

111
1966/3

საქართველოს
საბჭოთავო
საგარეო
აღმოსავლური
კავშირების
მინისტრო

გეოგრაფია

1966

7

გნათობი

ქოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 43-ე

№ 7

ივლისი, 1966 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შინაარსი

მწერალთა ურთიობის წინ	3
რევაზ მარგიანი — ლექსები ახალი წიგნიდან	7
სერგი ჭილაია — ეკატერინე ჭავჭავაძე, ქრონიკა, მეორე წიგნი	9
პოლიკარპე კაკაბაძე — შეფე ვახტანგ პირველი, დრამატული პოემა სამ ნაწილად, პირველი ნაწილის დასასრული	35
ლია ხტურუა — ლექსები	59
ოთარ ჩიჭავაძე — თეოშკველეები, რომანი, პირველი წიგნის დასასრული	61
თევდორე ტიუტუაძე — ლექსები, თარგმანი ხუტა გავგუასი	93

800 შოთა რუსთაველი 800

სარგის ცაიშვილი — ვეფხისტყაოსანი, ლიტერატურულ-კრიტიკული ნარკვევი	101
ვაიოზ იმედაშვილი — ასტრალური სინამდვილე ვეფხისტყაოსანსა და „იგორის ლაშქრობის ამბავში“	121
ივ. სურგულაძე — რუსთაველის პოლიტიკურ შეხედულებათა შესახებ	130
იოსებ მეგრელიძე — სამოციანელების ღვაწლი რუსთველოლოგიაში	135
ნათელა ურუშაძე — ვეფხისტყაოსნის მხატვრული კითხვის ტრადიცია საქართველოში	141

კრიტიკა

შოთა ხულაბერიძე — იოსებ ნონეშვილის პოეზია	151
ვიფი გაჩეჩილაძე — ჟონ გოლზუორთი, კრიტიკული ნარკვევი, დასასრული	161

წიგნების მიმოხილვა

დ. ქუშიშვილი — პოეტის გულისნაღები	183
სიმონ არველაძე — პოეტური ფიქრის სიცოცხლე	193



10301

94801

მთავარი რედაქტორი: გრიგოლ აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია: დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. გამეზარდა-
შვილი, გ. მარგველაშვილი, ე. მაღრაძე, ბ. ყლენტი, ა. სულაკაური, ა. ქუთათე-
ლი, ე. ყიფიანი, ს. შანშიაშვილი, ვ. წულუკიძე (პ/მგ. მდივანი), გ. ჭიბლაძე.

ტიქრედაქტორი რ. ჩავეტაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 63. ტელეფონი 7-18-42; 7-11-66.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/VII-66 წ. ქალაქის ზომა 70×108. ანაწყობის ზომა
7 1/4×12 1/2. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12. პირობით ფორმათა რაოდენობა 16.
უე 03162. ტირაჟი 6500. შეკვეთა № 2100.

- საქ. კ. ცკ-ის გამომცემლობის პ/კომბინატი,
თბილისი, ლენინის ქ. № 14

Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии,
Тбилиси, ул. Ленина № 14.

მწერალთა ყრილობის წინ

ოცდახუთ ივლისს იხსნება საქართველოს საბჭოთა მწერლების მეექვსე ყრილობა. იგი მოისმენს და განიხილავს საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოხსენებას მწერალთა შემოქმედებითი მუშაობის შესახებ განვლილ პერიოდში, პარტიისა და ხალხის მიერ მწერალთა წინაშე დასახულ ამოცანების შესაბამისად შეიმუშავებს ღონისძიებებს მწერალთა შემდგომი შემოქმედებითი მუშაობის გასაძლიერებლად. ყრილობა აირჩევს ახალ გამგეობას და დელეგატებს მწერალთა მეოთხე საკავშირო ყრილობისათვის.

საქართველოს საბჭოთა მწერლების მეექვსე ყრილობა მუშაობას იწყებს ქართველი ხალხის ეკონომიური და კულტურული აღმავლობის ვითარებაში. აღმავალი გზით ვითარდებოდა ქართული მეცნიერება, ხელოვნება, მწერლობა, მთელი ქართული საბჭოთა კულტურა; კერძოდ, ქართული საბჭოთა ლიტერატურა ავიდა იმ საფეხურზე, როცა მომწიფდა საქიროება სერიოზული და საფუძვლიანი მსჯელობა გაიშალა ამჟამად მიმდინარე ლიტერატურული პროცესის დამახასიათებელ თვისებებზე, ქართული ლიტერატურის მიერ განვლილ პერიოდში მოპოვებულ თვისობრივ მიღწევებზე.

როგორც ცნობილია, ლიტერატურული განვითარების მთელ მსვლელობას წარმართავდა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი უდიდესი ძვრები და ცვლილებები. კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული გაქანება, ლენინური ნორმების აღდგენა და განმტკიცება პარტიული და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, — ყოველივე ეს განსაზღვრავდა ლიტერატურისა და ხელოვნების შინაარსსაც და პოეტურ პათოსსაც.

პარტიის ყრილობების გადაწყვეტილებებმა ხელი შეუწვეს ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს მტკიცედ დამკვიდრებულ იყვნენ კომუნისტური პარტიულობის პოზიციებზე, განუხრელად გაყოლოდნენ მხატვრული შემოქმედების განვითარების მთავარ ხაზს, გადამწყვეტი ბრძოლა გაეჩაღებინათ ბურჟუაზიული იდეოლოგიის, რევოიონიზმის, დოგმატიზმის, ფორმალისტურ-ესთეტიური გადახრების წინააღმდეგ.

ჯანსაღი იდეური და მორალური ატმოსფერო, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებულ ღონისძიებათა შედეგად შეიქმნა საბჭოთა ლიტერატურასა და ხელოვნებაში, იყო საერთოდ, და კერძოდ ქართული საბჭოთა ლიტერატურის იდეური და მხატვრული სრულყოფის, მისი წინსვლის უტყუარი საწინდარი.

სწორედ ეს პირობა იყო საფუძველი იმისა, რომ განვლილ პერიოდში ნაყოფიერ შემოქმედებითს მუშაობას განაგრძობდნენ ქართული საბჭოთა მწერლობის როგორც უფროსი და საშუალო, ისე ახალი თაობის საუკეთესო წარმომადგენლები. განსაკუთრებით სასიხარულოა ის ფაქტი, რომ განვლილ პერიოდში ქართულ ლიტერატურას, მის ყოველ ქანრს შემოემატრნენ ახალგაზრდა ნი-

ჭიერი ძალები, რომელთაც თავიანთი უკეთესი ნაწარმოებებით თან მოიტანეს ცხოვრების მოვლენების თავისებური აღქმა, ცხოვრებით ნაკარნახევნი უახალი თემები, საკუთარი მანერა და ხელწერა, ამასთან შეუნელებელდ მისწრაფებდაც — ამაღლონ და სრულყოფნ თავისი ლიტერატურული კულტურა, პროფესიული ოსტატობა.

უდავო, სასიხარულო ფაქტია ის, რომ ქართული საბჭოთა ლიტერატურა, ისევე როგორც მთელი მრავალეროვანი საბჭოთა მწერლობა, გაბედულად შემობრუნდა თანამედროვეობის ძირეული თემებისაკენ. კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკა, კომუნისზმის მშენებელი ადამიანები წარმოებასა და ყოფაცხოვრებაში, ახალი ეთიკური თვისებების დამკვიდრება, ბურჟუაზიული მორალის გადმონაშთების დაძლევა ადამიანთა შეგნებაში, საოჯახო ყოფასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, — ასეთია თემატიკა იმ ახალი ქართული მხატვრული ნაწარმოებებისა, რომელთაც მკითხველთა მოწონება დაიმსახურეს. თანდათან იზრდებოდა რაოდენობა ისეთ ქართულ მხატვრულ ნაწარმოებთა, სადაც ღრმად და ფართოდ, მხატვრული დამაჯერებლობით ასახულია ცხოვრების სულ სხვადასხვა მხარეები, რთული წინააღმდეგობანი, სულ სხვადასხვა ტიპის ადამიანები. უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებულ ნაწარმოებებში ჩანს დინჯი, დაკვირვებულის, აწონილ-დაწონილი მიდგომა ჩვენი დროის ადამიანებისა და ფაქტებისადმი. მომწიფებული ოსტატობით და პროფესიული პასუხისმგებლობით არის დაწერილი როგორც კომუნისტურ მშენებლობასა და მის მოწინავე ადამიანებზე შექმნილი ნაწარმოებები, ისე ის წიგნებიც, სადაც ახლო წარსულის მოვლენებზეა მოთხრობილი; ახლებურად, უფრო დაკვირვებულად და სერიოზულად არის გააზრებული საბჭოთა ადამიანების გმირული დრამატული თავგადასავალი დიდი სამამულო ომის წლებში.

ქართულ საბჭოთა ლიტერატურის ფონდში ძნელია დავასახელოთ ნაწარმოები, სადაც საბჭოთა სინამდვილე ძალზე მუქი, შავი ფერებით იყოფს წარმოდგენილი, მაგრამ იშვიათი როდია ისეთი ქართული საბჭოთა ნაწარმოები, სადაც ჩვენი ცხოვრება, ჩვენი სინამდვილე, გამოიყურება ძალზე ვალამაზებულად, გაიდულებულად, ყოველგვარი წინააღმდეგობებისა და სიძინელის გარეშე. მიმდინარე ეტაპზე მხატვრულმა პროზამ თავი დააღწია წინათ მთელ რიგ ნაწარმოებებში შემჩნეულ ამ ცალმხრივობას. უკანასკნელ ხანს გამოქვეყნებულ პროზაულ ნაწარმოებებში კარგ მოწინავე ადამიანებთან ერთად ვხედავთ უკეთურ და ბოროტ ადამიანებს, რომლებიც ფეხებში ებლანდებიან წინ მიმავალთ და აფერხებენ საერთო წინსვლას; ვხედავთ სერიოზულ სიძინელებს, წინააღმდეგობებს, რთულ კოლიზიებს და კონფლიქტებს, მაგრამ იმის გამო, რომ ამ ნაწარმოებებში მოქმედებენ პარტიის მიერ კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდილი ადამიანები, ადამიანები, რომელთაც შესწევთ ძალა და უნარი გაუძლონ მანვე ადამიანთა წინააღმდეგობებს, გადალახონ ყოველგვარი დაბრკოლება და გამარჯვებამდე მიიყვანონ სახალხო საქმე, ყოველივე ამის გამო ეს ნაწარმოებები უღერენ ოპტიმისტურად, ცხოვრების დამამკვიდრებელი პათოსით.

მაგრამ დღევანდელ ქართულ საბჭოთა მწერლობაში არის სერიოზული ხარვეზებიც. ჯერ კიდევ გაჩნვეთ მთელი რიგი თემების არასწორ გააზრებას, ზოგჯერ აშკარად მცდარ გადაწყვეტასაც; ჯერ კიდევ დაძლეული არ არის ინ-

ტერესი წვრილმანი უმნიშვნელო ამბებისადმი, დაძლეული არ არის გზანაღ-
დარი, უქნარა, უფერული ადამიანების გარომანტიულება, ეპიგონური მამამე-
ლობა დასავლეთ ევროპელი მწერლების სტილია და მანერისადმი და ა. შ.

უქანასკნელი წლების ქართულ პროზასა და პოეზიაში მრავალი ღირსშესა-
ნიშნავი ნაწარმოები შეიქმნა და გამოქვეყნდა. ზოგიერთმა მათგანმა უმაღლესი
პრემიაც დაიმსახურა, მაგრამ მაინც ვერ ვიტყვი, რომ ქართულმა საბჭოთა
მწერლობამ უკვე მიადგინა უმაღლეს დონეს. ჯერ კიდევ შეიმჩნევა აზროვნე-
ბისა და ფორმის პრიმიტიულობა, დაბალი ინტელექტუალური დონე, ხოლო მეორე
მხრივ — აზროვნების გაურკვეველობა, ბუნდოვანობა, ფრაზის ხელოვნური გარ-
თულება, მოქალაქეობრივი პათოსის უგულვებელყოფა.

ბევრ წიგნს პროზაული იქნება თუ პოეტური, ჯერ კიდევ აკლია მოვლენების
ღრმა ფილოსოფიური გააზრება; ჯერ კიდევ ბლომად გამოდის უფერული, უღიმ-
ლამო, მხატვრულად მდარე წიგნები, რომლებიც მკითხველის მხოლოდ უკმაყო-
ფილებასა და ზოგჯერ გულისწყრომასაც იმსახურებს.

ქართულ ლიტერატურულ კრიტიკას, რომლის კვალიფიკაცია და პროფე-
სიული დონე განვიღო ბერლინში თანდათან მადლდებოდა, რა თქმა უნდა,
ჯერ კიდევ ბევრი აქვს ვასაკეთებელი. ქართულმა კრიტიკამ, რომელსაც ახალი
კადრები შემოემატნენ, უნდა გააძლიეროს მუშაობა, რათა ღირსეულად შეას-
რულოს თავისი როლი და მოწოდება — ხელი შეუწყოს ქართული საბჭოთა ლი-
ტერატურის ამაღლებას იმ დონემდე, როგორც ამას მოითხოვს პარტია და
მკითხველი საზოგადოებრიობა კრიტიკა არ უნდა შემოიფარგლოს კერძო დაკ-
ვირვებებით, ცალკეული წიგნების გარჩევით და შეფასებით. იგი მოწოდებულია
ანალიზი გაუკეთოს ლიტერატურულ პროცესს მთლიანად, გამოავლინოს წინა
ხაზზე წამოსაწევი პრობლემები, ის ესთეტიკურ-მხატვრული თვისებები, რომ-
ლებიც განვითარების ამ ეტაპზე ახასიათებს ქართულ საბჭოთა ლიტერატურას.

უეჭველია, ქართველ მწერალთა მეექვსე ყრილობა გამოიჩენს მზრუნველ
და სათუთ დამოკიდებულებას დაგროვილი გამოცდილებისადმი, კიდევ უფრო
ამაღლებს მომთხოვნელობას ლიტერატურულ ნაწარმოებთა იდეურობისა და
მხატვრულობისადმი.

— „საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება, — წერდა პარტიის ცენტრა-
ლური ბეჭდვითი ორგანო „პრავდა“ 1966 წ. 28 ივნისს, — დიდმნიშვნელოვან
როლს ასრულებენ მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში. მხატვრული შემოქმე-
დების მაღალი დანიშნულება იმით განისაზღვრება, რომ იგი კეთილნაყოფიერ გა-
ვლენას ახდენს ახალი ადამიანის სულიერ ფორმირებაზე, უსახავს მას ცხოვრების
პორიზონტებს, რომლებიც წინვლისაკენ მოგვიწოდებენ, გვიჩვენებს მისი
საარსებო მოწოდების აზრს, გვიღვიძებს აღმშენებლობის მძლავრ ენერჯიას.


ჩვენი მხატვრული კულტურა ხალხის განუყოფელი ნაწილია. იგი მახლო-
ბელი და გასაგებია ხალხისათვის იმით, რომ გამოხატავს მის ინტერესებს და
ზიზნებს, ამკვიდრებს მხატვრულ სახეებში კომუნისტური იდეალებს. ჩვენი თანა-
მედროვეობა, ხალხის ცხოვრების საარსებო მოვლენები, კომუნისტური მშენ-
ებლობის შთამავლებელი პრაქტიკა განსაზღვრავს მხატვრული შემოქმედების
უმათავრეს შინაარსს, მის პათოსს.

— უფრო ღრმად და მკაფიოდ ვუჩვენოთ თანამედროვის — ახალი ცხოვრების მშენებლის სახე, ახალი კომუნისტური ურთიერთობა, უფრო აქტიურად დაეუჭიროთ მხარი ყოველივე მხარდს, რომელიც მოასწავებს საზოგადოებრივ წინსვლას, — აი ის ამოცანები, რომლებიც კვლავაც უნდა გადასწყვიტოს საბჭოთა შემოქმედებითმა ინტელიგენციამ“.

პარტიის ეს სახელმძღვანელო აზრები უნდა დაედვას საფუძვლად საქართველოს საბჭოთა მწერლების შექვეყნებულ ყრილობის მუშაობას.

აღსანიშნავია ის, რომ ყრილობა გაიხსნება და იმუშავებს რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისათვის გაცხობველბული მზადების დღეებში. გათვალისწინება იმ ვარემოებისა, რომ ქართველი საბჭოთა მწერლობა იყო და არის შემკვიდრე ყველაზე ჰუმანური და ბრძენი ქართველი პოეტისა, უდიდესი პასუხისმგებლობის გრძობით და, მაღალი მოქალაქეობრივი პათოსით გამსჭვალავს ყრილობის მთელ საქმიანობას.

დღე, კომუნისტური პარტიის იდეები გვინათებდეს გზას და რუსთაველის მაღალი ოსტატობა ჩაგვაგონებდეს, რომ ღირსეული ნაწარმოებებით შევხედეთ ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის და უკვდავი ლენინის დაბადების 100 წლისთავის დღესასწაულს.



გეგმა მარტივი

საქართველოს ახალი წიგნი

• • •

ვიდრე შენა ხარ,

ვიდრე შენა ხარ,
გაზაფხულია ჩემთვის ზამთარიც.
გვიან შევნიშნე ჩემო ვენახო
და დღემდე თვალი ვერ მოვაპყარი.

თუმც ბედის ქროლვას ადრე
დავინებდი
და შენი სუნთქვა გამოშეპარა,
ზარივით თვალებს ვაბრიალებდი
და თურმე თვალზე ლიბრი მეფარა.

ახლა ყველაფერს ვუშვებ
სხვაგვარად,
თითქოს პირველად ვიყო მხილველი,

სულსხვაგვარია ახლა მთაბარი,
თბილზე-თბილია თოვლი პირველი.

კვლავ, ისევ მისკენ ვადამიბირეს
მოუსვენრობით სავსე წამებმა.
ხვალ რას მიპირებ?

ხვალ რას მიპირებ?
ეს სიხარული მეცოტაებმა!
ეს რანაირი ხილვით ამავსე,
გაზაფხულია ჩემთვის ზამთარიც...
და მაინც ვდარდობ, შენს სილამაზე ა,
რომ დღემდე თვალი ვერ მოვაპყარი.

ტყუპი

გადაიღო წვიმამ,
დიდხანს აღარ მოვა,
ბალახს შერჩა მძივად
მარგალიტის გროვა.

ტყე-ტყე დავალ უხმოდ,
მარტოდ-მარტო დავრჩი.
მზეს და მთვარეს ვუხმობ
დაკარგული არჩვი.

ვეძებ კენკრას მწიფეს,
დავჭრი უთაფლოოდ.
ვკრიფე, ვერ დავკრიფე
შეთვალული ქოლო.

ვის დასტირის ჩიტი,
ნეტავი რას ნაღვლობს?
გულისძვერით მიდის
ნაკადულის ახლოს.

ცას ვუცქირო შინდა,
ცა კი თითქმის არ სჩანს,
ფოთლებს დაუბინდავთ
გამჭვირვალე ფარჩა.

რა სიწყნარე სუფევს,
ფოთლის ცვენაც მესმის
და მევსება უბე
მყუდროების ლექსით.



საქართველოს
საბავშვო ლიტერატურის
და გამომცემლობა

სიბერე, სადღაც თვალს
ახამხამებს,
მაგრამ გზა მაინც მზით მიშუქდება.
ნუ დაახანებ,
ნუ დაახანებ,
შენ დაყოვნების არ გაქვს უფლება.

რაკი მგოსნობის ტვირთი იყისრე,
შენ უნდა აღმართ-აღმართ იარო,

ააგიზგიზე, ააქისკისე
შენი ალალი სამარგიანო:

არც თუ მცირეა შენი სამთავრო,
ეს არის ღმერთმა რაც გიწყალობა
და აღრიანად არ დაამთავრო
ამ ქვეყანაზე შენი ვალობა.

ვზისპირად მელის დილის ნიავი,
ტყისპირად ჩემი შაშვის ქახქახი:
— დაიგვიანე,
დაიგვიანე! —
ხმა იღუმალი ყურში ჩამძახის.

ვლდისპირად ცივი წყარო
ლიცლიცებს
და თავდაღმართში ქრის და
ჩქრიალებს:
— გამოიღვიძე, გამოიღვიძე!
დაიგვიანე!

დაიგვიანე!

სათიბში უკვე ღვიძავთ ბალანებს
და ერთი ცოდო-ბრალი ტრიალებს,
ვერ მოვუსწარი, ცული ანათებს,
დავიგვიანე,

დავიგვიანე!

გულს საწადელი ვეღარ ვუთხარი
და სიტყვა ჩემი ვერ ვამზიანე.
შენს ვაზაფხულსაც ძლივს
მოვუსწარი...

ეჰ, ნუთუ აქაც დავიგვიანე?



საკვირნი

ეკატერინე ჰავცავაძე

ქრონიკა

წიგნი მკორა

გზა სიარულზე დალია...

ეკატერინე ჰავცავაძის ცხოვრების ქრონიკისათვის იქნებ არ იყოს აუცილებელი და ამიტომაც მეპატიოს, რომ აქ არ აღვწერო, თუ რა ბედი ეწიათ დაპატიმრებისა და გადასახლების შემდეგ უტუ მიქავას და მის თანამებრძოლებს. უტუს და მისი ურდუმის ამბავი ბევრჯერ ყოფილა აღწერილი და ალბათ, ვინმე კვლავ დაუბრუნდება ბედდამწვარი მჭედლის ტრაგიკულ თავგადასავალს. ცირა? არც ცირას ბედზე ვიტყვით რამეს. ამ უბირი და უღამაზესი ქალის ცხოვრება მთელი რომანია და ეპიზოდური აღწერით ვერ გავუმასპინძლებდით მას. სჯობს, ესეც ადამიანთა ბედის მომავალ მხსრეკელს მიენდოს. არც იმაზე მოგახსენებთ რამეს, თუ რა ბედი არგუნა ცხოვრების უსამართლოდ ბრუნვამ დამარცხებულ ანდრი გეგეშკორს.

ყოველ დაკვირვებულ მკითხველს თვითონ შეუძლია წარმოიდგინოს მათი ცხოვრების დასასრული.

მე კი ისევ ეკატერინეს ცხოვრების ქრონიკას მივყავები, მის ნაკვალევს ვერ მოვცილდები.

მაშ გავყვეთ დედოფლის კვალს.

...ორპირში ეკატერინესთვის გამზადებულ პატარა გემს პირველი ნომრის კაიუტები და ერთი მოზრდილი სადარბაზო ჰქონდა. ეკატერინე და მისი შვილები სადარბაზო კაიუტაში მოკალათდ-

ნენ. დედოფალი ფეხზე იდგა და ისე გასცქეროდა რიონის სანაპიროს, თითქოს პირველად ენახოს ეს არეშარე, ყოველ სოფელს, ყოველ ხეს, ყოველ ბუჩქს ცნობისმოყვარეობით აცქერდებოდა. ნელა მიცურავდა პატარა გემი. კი არ მიდიოდა, მიიჩნეოდა რიონის სანაპირო ხეივანში, და ირგვლივ ყველაფერი ლამაზი იყო.

დედოფალმა გვერდით უფროსი ვაჟი ნიკო მოისვა და საგანგებოდ უხსნიდა ყოველივეს. ქვალონს რომ გასცილდნენ და გემი ჭალადიდის სიღრმეში შევიდა, ბუნება უფრო დაიბურა ტყით. ყოველ გავაკებაზე დედოფალს უამრავი ხალხი ეგებებოდა. ქალები, კაცები, ბავშვები გემს ხელის ქნევითა და მოუშორებელი მზერით აცილებდნენ. ამის შემხედვარე დედოფალს ქალურმა სისუსტემ სძლია და ცრემლები ჩამოყარა. ნიკოს ვერ გავგო, თუ რას ნიშნავდა დედის ცრემლები და ბავშვური გულბრყვილობით ჰკითხა, რა იყო, დედიკო, რა მოგივიდაო. და, როცა პასუხი ვერ მიიღო, თვითონაც აღრიაღდა. ახლა კი გონს მოეგო დედოფალი, შვილი გულში ჩაიხუტა და ძლივს დააშოშმინა.

მთელი დღე დასჭირდა ფოთამდე მგზავრობას. ეს პატარა საპორტო ქალაქი დიდი ამბით დახვდა დედოფალს. მაგრამ ვერც საზეიმო შეხვედრამ, ვერც ფოთელების მოალერსებამ ვერ უკუყა-

რა ყელზე მობჯენილი ნაღველი დედოფლისა. ეს ღამეც წვალებით გაათენა ეკატერინემ. მეორე დღეს აღრე ადგა. ოქტომბერი იყო, მაგრამ მაინც ცხელია და ფოთში.

ეკატერინემ შვილები მოიხმო, საითთაოდ გადაკოცნა. ჩვეულებრივზე უფრო მოეფერა. პატარებს არაფერი გაპკვირვებიათ, მაგრამ მათ აღმზრდელებს უკვირდათ ასეთი მეტისმეტი აყოლა გრძნობებისა. ეკატერინე, საერთოდ, დიდი მოყვარული იყო შვილებისა, მაგრამ იმ დღეს განსაკუთრებით ეალერსებოდა პატარებს. ახლა, როცა თავის სამთავროს სტოვებდა და პეტერბურგს მიდიოდა, მან მთელი ძალით იგრძნო ტედლის მოვალეობა, მთელი ძალით აღეძრა ფიქრები შვილების მომავალი ბედისა...

დღის 3 საათზე სხდებოდნენ ეკატერინე და მისი ამაღალ ოდესისაკენ მიმავალ გემში.

ზღვა წყნარი და მშვიდი იყო. ზღვის სიღრმიდან მოვარდნილი ტალღები ნავსადგურთან დამცხრალიყვნენ, ნაპირებს ნელა ეხებოდნენ და ისევ უკანვე ბრუნდებოდნენ, თითქოს ხმელეთს ეალერსებიათ. გემი ნაპირზე იდგა და მსუბუქად ირწყოდა. გემბანზე ბოგირი გასდეს. ეკატერინე და მისი შვილები კაიუტაში მოეწყვნენ. მერე ისევ გემბანზე გამოვიდნენ. ეკატერინემ ზღვას გახედდა. ზღვიდან მონაბერი აღმოსავლეთის ნიავი სახეზე ელამუნებოდა. ეამა კიდევ ეს ცივი ნიავი ოქტომბრის ცხელ დილას. სწორედ ამ დროს კაპიტნის თანამემწემ ოდნავ გასაგონად თქვა:

— ეს ნიავი ცუდად მაქვს დაცდილი, იგი ყოველთვის ავდრის მომასწავებელია.

ეკატერინეს ყურადღება არ მიუქცევია ამ სიტყვებისათვის. მაგრამ აი, სოხუმს გასცილდნენ და მართლაც გაავდრდა, ძლიერი ქარიშხალი ამოვარდა. ძიძა ზევით ამოვიდა, ბავშვებს ხელი დაავლო და კაიუტაში შეიყვანა. დედოფალთან კაპიტანი მოვიდა და მოკრძალებით სთხოვა:

— კაიუტაში შებრძანდით. ალბათ,

ძლიერი ღელვია მოსალოდნელი, ნუ-რაფრისა შეგეშინდებათ, ჩვენი ბაჭებიც გამოცდილები არიან და ჩვენი გემიც სალ კლდესავით მაგარია.

ესა თქვა და კაპიტანი ეკატერინეს გაშორდა.

ზღვა ბობოქრობდა, ვეებერთელა გემს პატარა ნავივით ათამაშებდა. აიქორებოდა, აღელდებოდა, ტალღები გემს ეხეთქებოდა, გემბანზე შემოღვრილი წყალი კი წელამდე სწვდებოდათ მეზღვაურებს. საშინელი ღრიანცელი იდგა. ქარიშხალი ისე დაჭირითობდა კაიუტებში, თითქოს ეშმა შემომჭდარიყო გემზე და ნიშნისმომგები სისინით ადამიანთა უძლეურებას დასცინოდა. ყველაფერი შიშისა და ძრწოლას მოეცვა. შიშისა და რყევისაგან თავებრუნებულნი მგზავრები მოწამლული თევზებით ეყარნენ, ზოგი ლოგინებში და ზოგიც პირდაპირ იატაკზე. ხმას არავენ იღებდა. მხოლოდ კენესა და ოხვრა თუ აღმოსდებოდათ ძალზე შეწყუხებულთ.

ღამეს დღე სცვლიდა, დღეს ღამე, ქარი კი არ ჩადგა და ზღვა არ დაწყნარდა. ხუთი დღე ასე საშინელ წამებასა და წვალუბაში გავიდა. სად იყვნენ ან რა მოელოდათ, არც კაპიტანმა იცოდა და არც მგზავრებმა. ქერჩინდან გამოსულებმა მეორე დღესვე დაქარგეს გეზი. აგერ, მას შემდეგ ხუთმა დღემ გაიარა და ჯერაც არ იციან, საით მიჰყავს გემს ბედის ანაბარა დარჩენილი მგზავრები.

იმ დღეს უკვე იმედდაქარგულმა დედოფალმა მღვდელი თევდორე იხმო. ღელვისაგან შეწყუხებული, გაფითრებული მღვდელი ძლივს იდგა ფეხზე. ზღვა ისევ ღელავდა. საცხებით დაუძლეურებული ეკატერინე კაიუტაში იწვა და თავზე მღვდელი თევდორე ხოსტარია ადგა. თვალი გაახილა, ღრმად ამოისუნთქა, მღვდელს მიუბრუნდა:

— მიაბე, მიაბე რამე, ეგებ გული გადავყოლო ნაამბობს, თორემ მეტი აღარ შემძლია.

ხოსტარია დედოფალთან დაჯდა და ამბავს მოჰყვა.

— დედოფალი, მე ასე მგონია, რაც

ჩვენ თავზე გადაგვხდა, ეს ყველაფერი ავი სულების საქმეა. აბა, თქვენ თვითონ დაუკვირდით, რაც მოხდა. სანამ ჩვენს მიწა-წყალზე ვიყავით, ზღვაც მშვიდი იყო და ქვეყანაც, ჩვენც ბედნიერად ვგრძნობდით თავს. გამოვცილდით ჩვენი სამშობლოს საზღვრებს და ეს უბედურებაც თავზე დაგვატყდა.

— მტრები, მტრები აქაც არ გვასვენებენ, მღვდლო.

— დიახ, დედოფალო, მტრები და ავი სულეზღ, ურჯულოები. კაპიტანმა თქვა, ჩვენ ახლა თურქეთის ზღვაში ვართო, სწორედ ავმა სულეზმა გამოგვრევს ამ უწმინდურ ქვეყანაში. კონსტანტინეპოლი და ეს ადგილები ხომ წმინდა ადგილები იყო, შემოგვესივნენ და წაგვართვეს, წაგვიბილწეს, მაგრამ ღმერთი არ გაგვწირავს ქრისტესთვის წამებულ ხალხს, დედოფალო.

თქვა თუ არა ეს სიტყვები, ისე გაქრა ტალღამ გემს, რომ მღვდელი სკამიდან გადაავდო. ადგა თევდორე, ბირჯვარი გადაისახა და ისევ დაუჯდა სასთუმალთან დედოფალს.

— აი, ხომ ხედავ, დედოფალო, უწმინდურობამ ისევ შემოგვიტია. ეს ავსულეზი, ეს უწმინდურები არ გვასვენებენ ამ ქვეყნად. მაგრამ არავის ისე არ ებრძვიან, ჩემო დედოფალო, ამ დედამიწაზე, როგორც ჩვენ, ქართველებს, და იცით, დედოფალო, რატომ ხდებამ ეს?

ისევ გაახილა ამ სიტყვების გამგონე დედოფალმა თვალი და ვედრებით მიმართა მღვდელს:

— მაინც რატომ, რატომ, თევდორე?

— მე, დედოფალო, იმას მოგახსენებთ, რაც გამიგონია და, თუ რამე შეეცოდე ღვთის წინაშე, ღმერთი სულგრძელია და მომდტრეებს უმადურს უცოდინარობით ჩადენილ შეცდომას. ჰო და, იმას მოგახსენებდით, დედოფალო, როდესაც ღმერთი ანაწილებდა დედამიწას, თურმე სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხის დიდი ჯერი იდგა. ღმერთი ყოველ მათგანს დიდხანს ავ-

ვირდებოდა და დიდხანს გამოკითხავდა ვინაობას, მერე ამის მიხედვით არჩევდა ამა თუ იმ ხალხსათვის სამკვიდრებელ ადგილს. ამ დროს, იქვე მახლობლად სამი ქართველი უშველებელ ურჩხულს ებრძოდა, რომელმაც გზა გადაუღობა უფლის სამყოფელსაკენ მიმავალ ქმებს. ამის გამო თურმე დაიგვიანეს და ღმერთთან მაშინ გამოცხადდნენ, როცა მიწები უკვე განაწილებული იყო. ქართველმა ხელი გაუშვირა ღმერთს და შესთხოვა, მათი წილი მიწა მიეცა. ღმერთი შეწუხდა და მოახსენა: რაც მქონდა, ყველაფერი გავანაწილე, სად იყავით აქამდო.

ქართველებმა მოახსენეს: ღმერთისა და ქვეყნის ავსულებთან ბრძოლაში შეგავგვიანდაო და გასისხლიანებული ხელები იქითკენ გაიშვირეს, სადაც მუცელგამომადრული ურჩხული ეგდო...

ღმერთს მოეწონა ეს ბრგე ვაქცალები და ასე მოახსენა ქართველებს: — რა ვაეწყობა, მე ჩემთვის დავიტოვე ერთი ნაწილი ჩვენი დალოცვილი მიწისა და ეს თქვენთვის მიჩუქებია, რაკი ასეთი რაინდი ხალხი ყოფილხართო. დიახ, საქართველო ბრძოლაში დაბადა და ბრძოლით მიიკაფავს გზას. ამავე დროს საქართველო, უფლისწილი უფალმა ჩვენ გვიწყალობა, და ამიტომ არის ჩვენი მიწა ბედნიერი და უხვი, ლამაზი და ყოველმხრივ შემკობილი. ღვთისმშობლის წილია ჩვენი საქართველო და ყველაზე ავი სულეზი სწორედ საქართველოს ემტრებვიან, მაგრამ ღმერთი ჩვენთან არის და ეშმაკები ვერაფერს დაგვაკლებენ!

ეს თქვა და დადუმდა მღვდელი.

დედოფალმა ამოიხვრით წარმოთქვა:

— მაშ, საქართველო ღმერთის წილი, მისივე ნაწყალობევი, მაშ, ღმერთი არ გაგვწირავს ჩვენ, მის შვილებს, არა, მღვდლო?

ამ დროს ერამულის ხმა შევარდა კაიუტაში. მგზავრები გემბანზე ამოსულიყვნენ. ზღვა დაწყნარებულიყო და გემი ნავსადგურს უახლოვდებოდა.

სულ მალე გამოირქვა, რომ ეს ნავ-

სადგური თურქეთისა იყო, და კაბიტან-მაკ გემი შეატრიალა, გეზი ოდესისკენ აიღეს. მშვიდობით გადაჩენილი დედოფალი და მისი ამაღა ოდესის ნავსადგურში შევიდნენ.

ოდესაში დედოფალი და მისი ამაღა, რომელიც სამოცი კაცისაგან შედგებოდა, სასტუმროში დაბინავდნენ. ნოემბერი იყო, შემოდგომის მიწურული თვე. შავი ზღვიდან კი თბილი ნიავეი ჰქროდა. სასტუმროს ოთახები სავსე იყო ზღვისპირეთის სითბოთი და ხალისით. ეკატერინეს ბავშვები ერთბაშად მოსულეიერდნენ და იმავე დღეს ქალაქში გასეირნება მოითხოვეს. მგზავრობით შეწუხებულ ეკატერინეს კი ისევ თავბრუ ეხვეოდა, და იწვა.

კონსტანტინე დადიანმა ძმისწულები ეტლში ჩასხა და ქალაქში გასეირნებაშვეებმა უზომოდ გაიხარეს და მოილხინეს.

ზღვისპირას მალლობზე გაშენებული ქალაქი ოდესა, მისი ლარივით სწორი და ფართო ქუჩები, ორსართულიანი და სამსართულიანი შენობები, სკვერები, ბაღები, მალაღუმბათიანი მონასტრები და ეკლესიები, ქუჩაში მოფუსფუსე ხალხი, რესტორნები და მაღაზიები, დიდძალ უცხოელთა ნაირ-ნაირი ჩაცმულობა ხიბლავდა ქართველებს. ეკატერინე და მისი ამაღა ოდესაში მთელი კვირა დარჩნენ. დადიოდნენ და ათვალიერებდნენ შესანიშნავ ადგილებს. ყველაზე მეტ ცნობისმოყვარეობას მღვდელი თევდორე იჩენდა. მას არც ერთი ეკლესია და მონასტერი არ დაუტოვებია. ყველგან იყო, ყველაფერი მოინახულა, ყველგან ილოცა, ყველა დიდ ხატს და ანგელოზს სანთელი აუნთო, გამოიკითხა მათი სადაურობა და ისტორია. საღამოს გვიან ბრუნდებოდა და მერე ბავშვებს და დიდებს შუალამმდე უყვებოდა ნახულსა და გაგონილს.

ეკატერინე თავისი ამაღით 25 ნოემბერს მოსკოვს გაემგზავრა.

ოდესას გასცილდნენ თუ არა, რუსეთის ზამთრის სუსხი ერთბაშად საგრძნობი გახდა. ყინვით გაითანგა ყველა-

ფერი. ეკატერინეს ამაღა საზამთროდ იყო შემოსილი, მაგრამ მაინც სციოდდა. სიცოცხეს, ყინვას, ნისლიან და დრუბლიან დღეებს დასასრული აღარ უჩინდა.

ორი თვის წინათ დედოფალი თავისი შვილებითა და ამაღით, გორდის უღელტეხილით დაეშვა, კოლხეთის ვაკით შავ ზღვას მიადგა და ადელევებულ ზღვას ძლივს გადაურჩა. ახლა კი რუსეთის თვალუწევდენელი ტრამალებით პეტერბურგს უახლოვდებოდა. დედოფლის ბედი რუსეთის მბრძანებელზე — ალექსანდრე მეორეზე ეკიდა. ტრამალებს გაჰყურებდა განიარაღებული დედოფალი, და წინ ძნელად გადასასვლელი უღელტეხილი ესახებოდა. დედოფალმა ყრუდ ჩაილაპარაკა: „არა, უნდა ვიბრძოლოთ. დაე, იცოდეს ყველამ, რომ სამეგრელოს გვირგვინოსანი დედოფალი ასე ადვილად არავის მისცემს დამცირების ნებას“. ესა თქვა და ეტლის სარკმლიდან ისევ გახედა ყინულით და თოვლით გათანგულ თვალუწევდენელ რუსეთის ტრამალებს...

დიდხანს მიდიოდნენ რუსეთის ტრამალებში, თოვლა და ქარბუქში, ვიდრე მოსკოვს მიალწევდნენ.

მოსკოვში ეკატერინემ თავისი ამაღა სასტუმროში მოაწყო, თვითონ კი თავისი მაზლის, კონსტანტინე დადიანის თანხლებით ბესარიონ დადიანს ესტუმრა. სამი წელი იყო, რაც ბერმონაზუნად განწესებული ბესარიონი მოსკოვში იმყოფებოდა. მას იმერეთის ეპისკოპოსად ამზადებდნენ. დადიანი იმერეთის მეფის სოლომონის ქვრივის ოჯახში ცხოვრობდა. მან დიდი პატივით მიიღო სამეგრელოს დედოფალი.

დეკემბრის ყინვები იდგა. მოსკოვის მიტროპოლიტი, ფილარეტი, კრემლის დიდ მონასტერში ნიკოლოზ პირველის გარდაცვალების წლისთავის აღსანიშნავად სწირავდა. დედოფალი მთელი ამაღით დაესწრო ამ წირვას.

ფილარეტს მოახსენეს, სამეგრელოს დედოფალი თავის შვილებითა და ამაღით წირვას ესწრებოა. მიტროპოლიტმა სასურველი სტუმრების ნახვა მოი-

სურვა. დედოფალი თავისი შვილებით წარუდგა ფილარეტს. მთავარი ნიკო, დედის წაბაძვით, ხელზე ეამბორა მიტროპოლიტს. მიტროპოლიტმა თავის მხრივ ხელზე აკოცა პატარა მთავარს და თან სეფისკვერი უძღვნა. ეკატერინემ დიდად გაიხარა ამით. იფიქრა: მიტროპოლიტმა, ალბათ, იცის ჩვენი ფასი და ადგილი, პატივისცემა დაუდასტურა სამეგრელოს მთავარს, და აქ ზედმეტი და გადაჭარბებული არაფერი, მაგრამ, როდესაც თავისი ახლანდელი მდგომარეობა მოაგონდა, მის სულს მწარე სევდა შემოაწვა. ვაი, რომ ყველაფერი ეს წარსულს ეკუთვნოდა და მომავალი ბურუსით იყო მოცული!

დედოფალმა თევდორე მღვდელი თავისი შვილების მასწავლებლად პეტერბურგს თან წაიყვანა. თევდორეს იმ წელს ოცდარვა წელი შეუსრულდა. ამ ახალგაზრდა მღვდელს სანდომიანი სახე ჰქონდა, საშუალო ტანისა იყო, მაგრამ სიგამხდრის გამო მაღალი ჩანდა.

თევდორე, ეს უაღრესად ცნობისმოყვარე და გონებაგახსნილი კაცი, პირველად იყო რუსეთში და ყველაფერს აკვირდებოდა, წიგნაკში იწერდა. მოსკოვის ყველა ეკლესია ხომ ფეხით შემოიარა და მოინახულა. ახლა პეტერბურგში — ამ უცნაურ ქალაქში იჯერა გული.

პეტერბურგში ეკატერინე დედოფალი, შვილებითა და მზლით კონსტანტინეთი, მისთვის წინასწარ საგანგებოდ მომზადებულ სახლში დადგა. ეს სახლი ნევის პროსპექტზე იყო, კახანის ტაძრის გვერდით. დედოფლის ამაღა კი სასტუმროში გაჩერდა. ეს სასტუმრო ისააკის ტაძრის წინ იყო და მარჯვნივ, ნევის გაღმა, პეტრე-პავლეს ციხე-მონასტერს გაჰყურებდა. ტაძრის გუმბათზე დიდი საათი იყო, რომელიც დღის 12 საათზე ისე ხმამაღლა რეკავდა, რომ მთელს პეტერბურგს ესმოდა. ისააკის ტაძარი ხარაჩოებში იყო ჩასმული. სამუშაოები დამთავრებას უახლოვდებოდა. მღვდელი თევდორე ყოველ ცისმარე დილას ხარაჩოებიდან უქვრეტდა ამ უცნაური

სიდიდისა და სილამაზის ტაძარს, მერე პეტრე-პავლეს და კახანის ტაძრებს მი-
აშურებდა, ათვლიერებდა, ლოცულობდა და შინ გაკვირებული ბრუნდებოდა.

— არა, მაინც რა ქალაქი ყოფილა ეს პეტერბურგი! მასზე ბევრი რამ მსმენია, მაგრამ რაც ვნახე, ეს ყველაფერს აჭარბებს.

მღვდელი ყოველდღე ყარაულობდა სასახლიდან ალექსანდრე მეორის გამოსვლას. ეტლზე ამხედრებულ მეფეს და შის ამაღს სულელივით აჩერდებოდა, აკვირდებოდა. შორიდან უკვე სცნობდა მეფეს.

ახალ წელს დედოფალი თავისი ამაღლით სასახლეში მიიწვიეს.

ალექსანდრე მეორემ დიდი ამბით მიიღო ეკატერინე. მის უფროს ვაჟს ნიკოს პირზე აკოცა. მერე მთელ ამაღს მიესალმა. იმპერატორმა დედოფალი ახლოს მოიხვია. ამაღს კი დარბაზში თვალსაჩინო ადგილი მიუჩინეს.

თევდორე მღვდელი თვალს არ აშორებდა იმპერატორს. შორიდან შესცივინებდა და გულმოდგინედ აკვირდებოდა მის ყოველ მოძრაობას.

ახალი წლის ღამის ზეიმი იმპერატორის სასახლეში მართლაც საოცარი, თვალმომჭრელი, ზღაპრული სანახაობა იყო.

• • •

ეკატერინე კარგად მოეწყო პეტერბურგს. თვით იმპერატორი ეახლა მისთვის გამოყოფილ რეზიდენციაში. იმპერატორი თავზიანად მიესალმა, მოეფერა და იმედებით და დაპირებებით აავსო მოწყალეების მაძიებელი დედოფალი.

მეორე დღესვე ეკატერინეს იმპერატორ ალექსანდრე მეორის ბრძანება ჩააბარეს, რომლის მიხედვითაც დავით დადიანის ოჯახს წლიურად ოცდაათი ათასი მანეთი ენიშნებოდა, მისი შვილების აღზრდას კი სახელმწიფო კისრულობდა. ეკატერინე თავიში ამაღლით, ბავშვებით, აღმზრდელებით და მოახ-

ლევით დიდებულად ცხოვრობდა პეტერბურგში, მაგრამ მაინც წუხდა, — ის მდგომარეობა მაინც არ ჰქონდა, რაც სამეგრელოში. ახლა მისი სამთავროს ბატონი და განმკარგულბელი უცხო ძალი იყო. წუხდა დედოფალი და იმედს მაინც არ ჰკარგავდა.

აი, მისი ნიკო, სამთავროს მემკვიდრე, მალე სრულწლოვანი გახდება და ისევ დაიბრუნებს სამთავროს იმპერატორისგან აღთქმული პირობის ძალით. ისევ გაიხარებს ეკატერინეს სასახლე, ისევ დააჩოქებს მოშურნესა და მტერს... — ოცნებობდა ეკატერინე და ამ ოცნებით დაიმედებული ისევ ჩაება ცხოვრების ფერხულში. ისევ გაიხარა პატივს, დიდებას, თავყანისცემას მიჩვეულმა დედოფალმა.

რუსეთის იმპერატორის კარზე, ბალებზე, მიღებაზე, სახელმწიფო ცერემონიალებზე კვლავ გამოჩნდა დედოფალი. ოცდაჩვიდმეტი წლის ულამაზესმა მანდილოსანმა მოხიბლა სასახლის შინაურები და სტუმრები. ისევ ყველას ყურადღებას იპყრობდა დის, ნინო გრიბოდოვას სიკვდილის გამო ძაძვებით მოსილი ეკატერინე.

იმპერატორის კარზე გამართულ ნადიმებზე წინათ ეკატერინეს უზომოდ მოტრფიალე ესპანეთის ჰერცოგი დ'ოსუნა კვლავ აღარ სცილდებოდა, ერთგულებას ფეციებოდა, ცოლობას სთხოვდა სათაყვანებელ ქვრივს.

— დედოფალო, ეტყობა, ღმერთს ჩემზე მთლად არ აუღია ხელი, რომ ისევ მეღირსა შეგხედროდით აქ, პეტერბურგს. გამოვიტყუდებით და გეტყვით, რომ მას შემდეგ, რაც თქვენ გაგიცანით, დავკარგე მოსვენება სულისა. თქვენთვის თეთრად გათენებული ღამეები იყოს თავდები, რომ მე ფიქრით და ოცნებით მუდამ თქვენთან ვიყავი, თქვენით ვცოცხლობდი. არ დავიშალავთ და გეტყვით, მადრიდში ჩემს იმპერატორს წერილი მივწერე, ერთი წლის შვებულება ვთხოვე. ვფიქრობდი, თქვენთან წამოვსულყავი სამეგრელოში და შემებრალბინა თავი, რომ მოსვენება და-

კარგულ ჩემს სულს თქვენი კალთის ქვეშ მშვიდობა ენახა. დიახს ასე ვფიქრობდი და იმის იმედით ვმუშავებდი, რომ ამ საქმეში თქვენი მშვენიერი და — ნინო დამეხმარებოდა. ის შეგულებოდა იმედად, მაგრამ, ვაი, რომ ჩემი მფარველი ანგელოზი ნინო უკვე აღარ არის. და ახლა მე თვით უნდა გითხრათ ჩემი სულის აღსარება, დედოფალო!

ესა თქვა ჰერცოგმა, დაიჩოქა და დაემხო ეკატერინეს წინაშე. ეკატერინე გაოცდა, უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. ამ დროს თავგზადაკარგულმა დ'ოსუნამ დედოფალს ხელი დასტაცა და ლოშნა დაუწყო. ამას კი არ მოელოდა ეკატერინე. ხელი წაპვლიჯა უიმედო მიჯნურს, მერე უბრძანა:

— აღექით, აბა რასა ჰკავს თქვენი საქციელი! მე აქ შვილებიც თანა მყავს და ახლობლებიც, და ვინმემ რომ დაგვიინახოს, ვის რა უნდა ვუთხრა! გონს მოდიოთ, ბატონო, და გთხოვთ ნუ მაყენებთ უხერხულ მდგომარეობაში!

როგორ არ ემუდარა დედოფალს დ'ოსუნა, როგორ არ დაუყვავა, მაგრამ არაფერმა არ გასჭრა. ეკატერინე უარზე იყო და კვლავ უმტკიცებდა ჰერცოგს:

— მე ბევრი ჰყავდა თავყანისმცემელი, ბევრი მპირდებოდა შეგობრობას. ეს მაშინაც ხდებოდა, როდესაც ომის ქარცეცხლში იყო ჩემი სამთავრო და მაშინაც, როცა აჯანყების აღში იყო გახვეული, მაგრამ არც ჰერცოგი და არც ლხინში არ გადამიდგამს ეს ნაბიჯი. ახლა კი გვიან არის.

ეს თქვა დედოფალმა და ოხერით მეორე დარბაზში გავიდა.

• • •

ეკატერინემ იმ დღეს მეორედ უთხრა უარი ესპანელ ელჩს. ესპანელს, მართლაც, გულით უყვარდა დედოფალი და ამიტომაც არ ეშვებოდა. ახლა კაცები მიუგზავნა მოგზავნილმა შუამავლებმა შორიდან შემოუარეს დედოფალს, რა არ უთხრეს, მაგრამ ვერაფრით ვერ გატეხეს. ეკატერინემ ისევ უარით გამოი-

სტუმრა ელჩის მიგზავნილი კაცები. ახლა მთლად გახელდა ჰერცოგი და იმავე დღეს თავათ ესტუმრა დედოფალს.

— არ მესმის, ასე უწყალოდ რად მკარით ხელი, ჩემო სალოცავო. მე დღესა და ღამეს თქვენზე ოცნებაში ვატარებ, თქვენი სიყვარულითა და ტრფილით ვარ ასე ამაყი. და თუ ამ სიყვარულში დავმარცხდი, ალბათ, არც ვისურვებ სიცოცხლეს. გეფიცებით, რომ მართალს გეუბნებით, — ჰერცოგმა დედოფლის წინ კვლავ დაიხოქა. დედოფალი შეწუხდა, ჰერცოგის სიტყვები ისეთი დამწვარი გულით იყო ნათქვამი, რომ შეეცოდა. მერე დაუყვავა:

— ჩემო კეთილო, ამოდ გავტეხიათ გული. თქვენ ჯერ სრულიად ახალგაზრდა ბრძანდებით და ცხოვრება წინა გაქვთ. ხვალ-ზევ, ჩემზე უკეთესს შეხვდებით და ალბათ, მაშინ ასე აღარ იფიქრებთ.

— არა, დედოფალო, ეს ასე არ არის. როდესაც თქვენგან მტკიცე და საბოლოო უარი მივიღე, შეურაცხყოფილი დავრჩი. გადავწყვიტე, არასდროს აღარ მომემართა თქვენთვის. სხვებს დავუწყე ძებნა ღამაზ ქალს ცოტას როდი ვიცნობდი, მეგონა, თანასწორს მოვძებნიდი, იმის სიყვარულს გულს გადავავალე და ყველაფერი გამივლიდა. ასეც მოვიქციე, მაგრამ სულ ტყუილი გამოდგა. გულმა თქვენს გარდა სხვა ვერაფერს შეითვისა და შეიყვარა. აჰა, ისევ თქვენთან მოვედი გული ჩემი მძიმედ არის დაჭრილი და სხვას არავის ძალუძს მისი გამთელება. მე ახლა თქვენთან ხელის სათხოვნელად კი არ მოვედი როგორც ტოლთან, არამედ — სავედრებლად. თქვენ ისიც მოგეხსენებათ, დედოფალო, რომ მთელმა პეტერბურგმა იცის ჩემი ამბავი. ასე მგონია, საზოგადოებაში დამცინიან თქვენგან უარყოფილს. როგორც განუზომელია ჩემი სიყვარული, ისე დიდია ჩემი თავმოყვარეობა; მე უზომოდ შეურაცხყოფილი ვარ თქვენი უარით. და ნუ იზამთ ამას, დედოფალო, ნუ დამტოვებთ ამ მდგომარეობაში, ანგარიში გაუწიეთ თქვენდამი

ჩემს უდიდეს პატივისცემას, ჩვენ ბედნიერნი ვიქნებით ერთ ჰერცოგთან და ოსუნა ისე მისჩერებოდა ეკატერინეს, როგორც გამოცდილი ცხენების დალალი ბაზარზე გასაყიდად გამოყვანილ ჯიშთან ცხენს, გულმოდგინედ აკვირდებოდა მის ყოველ მოძრაობას. სწორედ ამ დროს ეკატერინე ბუხართან მივიდა და შეშა შეუკეთა. როს დაიხარა, ტანზე მოხურული აბრეშუმის მოსასხამი ძირს ჩამოუცურდა, ახლა კი შვილდევით მოხრილ ნატიფ ტანს ჩააყინდა მთლად გახელებული ესპანელი. უშნოდ დამრგვალებულ და ვადამწიფებულ მღამებებს როდი ჰგავდა დედოფალი; ოცდაჩვიდმეტი წლის ეკატერინე ისევე ღამაში იყო და ღამაში! ქალიშვილის სიკოხტავე და ამპარტავნობა გაუხუნრად შერჩენოდა მისი სულისა და სხეულის აღნაგობას.

ღოსუნა ისევე დაყინებით ათვლიერებდა წელში გამოყვანილ, მკერდსავსე ტანს დედოფლისა. ამის შემცნე დედოფალი უცბათ მოტრიალდა და აელვარებული სახე შეანათა ურცხვად მოთვალთვალე მიჯნურს. გაღიმებული სახე ერთბაშად მოელუშა ეკატერინეს. რენესანსის მხატვრების მადონებს მიმგვანებულ ამ ღვთაებრივი სილამაზის ცისფერი თვალებიდან კი ისევე ცისფერი შუქი გამოუკრთოდა და მაინც ეკატერინემ ისე გაიარა მცირე მანძილი ბუხრიდან სავარძლამდე, რომ ესპანელმა დედოფლისაგან მონუსხული თვალები ვერ გაუმართა სასურველ მიჯნურს.

და ისევე თავი დახარა ჰერცოგმა დედოფლის წინაშე. ეკატერინე წუხდა, ლეღავდა. ჰერცოგმა ისევე განაგრძო:

— თქვენ კარგად იცით, რომ მე არც დიდება მაკლია და არც სახელი, არც მამული და არც სასახლეები. მხოლოდ თქვენი თანაგრძნობა მაკლია და ახლასასოებით შეგცქერით, დედოფალო. სხვა საწუხარი ამ ქვეყანაზე მე აღარა მაქვს, ქონებაც, ხარისხიც, ოცნებაც და იმედიც თქვენა ხართ ჩემთვის და ნუ მომიშლით ამ ბედნიერებას. თქვენმა

ყოყმანმა დამისწო იმედი, გამიღეთ გულის კარი, დედოფალო!

ჰერცოგმა დედოფალთან ახლოს მიიწია ახლა კი გონს მოვიდა ეკატერინე და წამოგდა:

— არა, ჩემო კეთილო, მე საყოყმანო არა მაქვს რა, დიდი ხანია მტკიცედ ვითხარით ჩემი აზრი. ჩემი უარის მიზეზი უბრალო როდია. მე არც თქვენი ხარისხი დამიწუნებია, არც მამული, არც კაცობა და არც გვარიშვილობა, მაგრამ კიდევ გეუბნებით, ვერ ვიხამ, ვერ ვიხამ ამას, მეორედ არ გავთხოვდები, თუნდაც მეფემ ამირჩიოს საცოლედ. რაკი არ მეშვებით, გეტყვით, მე შორეულ ლანდებს ველაიცები, ჩემი გული ორ კაცს ეკუთვნის — ჩემს კანონიერ ქმარს დავით დადიანს და ჩემს სიყვარულს მგობარს პოეტს. ამის მეტს ნურაფერს მკითხავთ, და ნურც ნურაფერს მთხოვთ. მე მათზე ვოცნებობ, მათს შესახვედრად ვამზადებ ჩემს სულს. ჩემს სულს ცოდვად ისიც ეყოფა, რომ ამ გარდაცვლილ ლანდებს ორი სახელი აქვს. მესამე მათ არასოდეს მიემატება. მე სიყვარულისათვის, მიჯნურობისათვის ვიყავი დაბადებული და ამ სიყვარულმა დამისამარა ყველა იმედი, გარდა ერთისა.

ახლა ჰერცოგმა იფიქრა, ალბათ, ეს ერთი ის არის, ვისაც უარი უთქვამს დედოფლისათვის, მაგრამ ამის გაფიქრებაც ვერ მოასწრო, რომ დედოფალმა ისევ განაგრძო:

— მე ახლა ერთი იმედით ვცხოვრობ: ყველა ამქვეყნიური სიამე დავივიწყო და ვილოცო მათ შესახვედრად. ამ ფიცს არ ვუღალატებ.

ეს თქვა და ისევ დაბრძანდა დედოფალი. მერე რა არ უთხრა, საიდან არ შემოუარა ჰერცოგმა დედოფალს, მაგრამ ამოდ.

ესპანელი ელჩი შინ ისევ გულმოკლული და იმედგაცრუებული დაბრუნდა.

• • •

იმ წელს პეტერბურგს ილია ჭავჭავაძე ჩავიდა. მან გამოცდები წარმატებით

ჩააბარა და უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა. ეს ის დრო იყო, როცა რუსეთის ახალგაზრდობა დეკაბრისტების კვალზე ცარიზმის წინააღმდეგ ირახმებოდა. ილია ამ მოწინავე ახალგაზრდების წრეში მოხვდა პატრიოტულად გულაგზნებულ ილიას დიდად მოეწონა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ამხედრებული რუსეთის ახალგაზრდობა და მის წრეში გულმოდგინედ ჩაება.

ჩერნიშევსკისთან შეხვედრებმა და რევოლუციური აზრების მოსმენამ საბოლოოდ დაარწმუნა, რომ ახალ რუსეთს არა სძინავს და იმ დიდი იდეალებისათვის იბრძვის, რომლის ეჭო აგრე ესპანურება მის მეზრძოლ სულს. ილია 60-იანი წლების რუსეთის ახალგაზრდობის აღლევებულ ზღვაში თავგანწირვით გადაეშვა და მაგრად მოუსვა მკლავი თავისუფლების ნაპირისაკენ გასაცურავადღე და ღამე „სოვრემენიკის“ კითხვაში იყო. კითხულობდა და ღელავდა, მის სულში ანთებული ნაპერწკალი თანდათან ღვივდებოდა.

ვინც ცარიზმის წინააღმდეგ იბრძვის, ახლა „სოვრემენიკის“ ახალგაზრდობასთან უნდა იყოს მტკიცედო, — ამბობდა ილია და ქართველ სტუდენტებს ამ დიდ საქმეში აბამდა.

ილიას ქართველი სტუდენტების მთელი ჯგუფი აჰყვა და ეს ახალგაზრდობის ნაღები ერთბაშად „სოვრემენიკის“ ჯგუფში აღმოჩნდა. ილია ყოველივე ამით აღფრთოვანებული იყო...

...მწერლობით გატაცებული ქაბუკი ილია, საკუთარ ლექსებს ხშირად უკითხავდა თავის უფროს დას ნინოს. ნინოს მოწონებასა და დაწუნებას ილია დიდად აფასებდა. ნინო აღტაცებით უსმენდა პოეტ ძმას და აქეზებდა ლექსების წერაში. „ცისკრის“ 1857 წლის პირველ ნომერში დაიბეჭდა ილიას ლექსი „ჩიტი“. ამ ამბით ყველაზე მეტად ნინომ გაიხარა. ზეპირად დაისწავლა ძმის ლექსი და მთელს ყვარელს მოსდო უსამბავი. ეს ის დრო იყო, როდესაც ილია

პეტერბურგს გასამგზავრებლად ემზადებოდა.

ილია პეტერბურგში ბეჭითად განაგრძობდა ლექსების წერას და ხშირად სწერდა წერილებს თავის დას ნინოს. ნინომ ამ წერილების პასუხად 1858 წლის ბოლოს ასეთი ბარათი მისწერა მას: „აბა სად არის, სად წავიდა შენი ქადილი, სულ მალე ნახავ ჩემს ლექსებს „ცისკარში“. რაც შენ წახველ, სულ ვფურცლავ ამ ჩვენს „ცისკარს“, და შენი ლექსები არსად ჩანს“. ილია დაფიქრდა, დალონდა. ახლა უფრო სხვანაირად უყურებდა მწერლობასაც და ლექსსაც, მაგრამ რაღაც დის ცნობისმოყვარეობა ასე დიდი იყო, გადაწყვიტა, ესიამოვნებინა მისთვის და იმავე დღეს „ცისკარში“ ლექსი გამოგზავნა.

იმავე წლის იანვრის ნომრიდან დაიწყო ისევ ილიას ლექსების ბეჭდვა „ცისკარში“. 18 თებერვალს დას წერილი მისწერა. წერილი ასე იწყებოდა: „ძლივსა დავამარცხე ჩემი სიზარმაცე და, როგორც ხედავ, ვწერ წიგნსა“... იანვრის „ცისკარში“ ჩემი ლექსია დაბეჭდილი, წაიკითხე თუ არა? აი, ვინდოდა ჩემი ლექსი გენახა „ცისკარში“ და ავისრულე, თორემ შენ რომ არ გსურვებოდა, არც მაგას დაბეჭდავდი. იმიტომ, რომ ჩვენი „ცისკარი“ ჯოჯოხეთის კარია და არა ცისა“...

ილიას ამ ლექსს უცნაური ბედი ეწია. დავით დადიანმა „ცისკარი“ 1852 წლიდანვე გამოიწერა და მისი პირველი ხელმოწერილი და ხელგამმართველი იყო. დავითის სიკვდილის შემდეგ ოჯახი ნიდავგ იღებდა „ცისკარს“. ეკატერინე ჭავჭავაძემაც, დავითის კვალობაზე, გამოიწერა კერესელიძის მიერ განახლებული „ცისკარი“. ყოველ ნომერს პეტერბურგში თვითონაც და შეილებიც დიდი ცნობისმოყვარეობით ათვალერებდნენ და აი, ისინი იანვრის ნომერში ილია ჭავჭავაძის გვარს წააწყდნენ. აქამდე ილიას არ იცნობდნენ. დედოფალი დაინტერესდა თავისი გვარის კაცით. ლექსს ბოლოს მიწერილი ჰქონდა „პეტერბურგში“. მოიკითხეს, მოძებნეს

ილია ჭავჭავაძე და მოიპატივეს დედოფალთან.

ილიას დიდად მოეწონა დედოფალი და მისი შეილები რაზე არ ილაპარაკეს, რა არ მოიგონეს. მერე საუბარი „ცისკარზე“ ჩამოვარდა.

— იანვრის ნომერში დაბეჭდილი ლექსიც ხომ თქვენი ლექსია, ბატონო ილია?

— დიახ, ჩემი გახლავს, — დარცხვენით უთხრა ახალგაზრდა სტუდენტმა.

— დიდად მეამა, ჩვენს გვარში ერთი პოეტი კიდევ დაბადებულა. მე ძლიერ მიყვარს ლექსები და დიდი პატივისმცემელი ვარ პოეტიისა.

— გასაგებია, დედოფალი, ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული რომ პოეტიის მოყვარული იყოს, აბა, რა არის აქ საჯვირველი.

— არა, მარტო იმიტომ კი არა, რომ მამაჩემი პოეტი იყო. მე ბავშვობიდანვე პოეტიით ვიზრდებოდი. იცნობთ, ალბათ, გრიგოლ ორბელიანს. აი, ის გვინებოვრებდა მე და ჩემ დას. ნინოს, ლექსებით. პოეტები ჩემი ახლო მეგობრები იყვნენ. — აქ უნდოდა ტატოს სახელი ეთქვა, მაგრამ თავი შეიკავა და ისევ მამაზე განაგრძო საუბარი:

— მე თითქმის ზეპირად ვიცი მამაჩემის ყველა ლექსი.

ეკატერინემ ხმამაღლა წაიკითხა ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსი „გოგჩის ტბა“. დედოფალი აღვზნებით, გატაცებით კითხულობდა ლექსს. ილია გაოცებული შესცქეროდა ამ ქალს, რომლის მღელვარებისა და ალტაცების მიზეზი ლექსი იყო.

დიდად ეამა ილიას ეკატერინესთან საუბარი და მთელი საღამო ლექსებზე, ქართველ პოეტებზე და ჟურნალზე ლაპარაკობდნენ. დაღამდა. ილია შინ ალტაცებული და გახარებული დაბრუნდა.

ილია კარგად იცნობდა ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსებს. ყველაზე ხშირად „ცისკარში“ მისი ლექსები იბეჭდებოდა. ილიას მოსწონდა ეს ლექსები და ზეპირადაც იცოდა, მაგრამ ახლა ეკატერინე

01.34



ნეს წაქითხვამ სულ სხვანიარად წარმო-
უდგინა პოეტს პოეტი.

იმავე საღამოს ილიამ ალექსანდრე
ჭავჭავაძეს ლექსი მიუძღვნა. ამ ლექსს
ეპიგრაფად პუშკინის სიტყვები წაუშ-
დგვარა:

Его стихов пленительная сладость
Пройдет веков завистливую даль.

მისი ლექსი შევებით, ლხენით,
ხან შევლისში მოფრინდება,
გულს ჩაგვევრის, პლალობს. ჰხარობს.
გამღერებს და ამღერდება.
ხან ღონდება ნახ ქალსავით,
უიმედო სიყვარულით,
ხან იფეთქებს ჰებუქსავით,
და განდევნის სევდას ველით.
ხან ზურქებში მიმაღული,
პზის მარტო, ვით იაღონი,
შეაქედს სატრფოს გულსაკლავად,
ტრფობის ისრით განაწონი.
ხან პრბის ველად, მარტოდ ჰვალობს,
უღაბნოში ვითა შწირი.
შეკენეს შვე ბედს ქვეყნისასა
ქვეყნისათვის ანატირი.
ხან დაყურებს ნაღვლიანად,
დაფიქრებით გოგნის ტბასა,
და ემღერის მწვეავის მოთქმით
დაუდგრომელ დროთ ბრუნვასა...

ილიამ დაწერა ეს ლექსი და გადაწყ-
ვიტა მეორე დღესვე „ცისკარში“ გაეგ-
ზავნა. მაგრამ გადაიფიქრა, დედოფალ-
მა მეტისმეტ მლიქვნელობაში არ ჩაშო-
მართვასო და სხვა ლექსები გაუგზავ-
ნა „ცისკარს“. მალე კიდევ დაიბეჭ-
და ილიას ლექსები: „არაგვი“, „ელე-
გია“, „გაზაფხული“, „ალბომში“... დე-
დოფლის ოჯახში „ცისკარში“ გამოქ-
ვეყნებულ ამ ლექსებს დიდი ცნობის-
მოყვარეობით კითხულობდნენ. მათს
თვალში ილია ერთბაშად გამოჩნდა,
როგორც ნიჭიერი პოეტი და ახალგაზ-
რდა მამულიშვილი.

ეკატერინე ილიას უკვე თავისუფლად
უშვლავნებდა გულის ხეაშიადს, ოჯახის
გეგმებს, უყვებოდა წარსული ცხოვრე-
ბის ამბავს. ასე შეეჩვივნენ ეკატერინე
და მისი ოჯახი ილიას. შერე სწორედ
ის იყო, რომ ბავშვებმა ილიას ბარათა-
შვილის ლექსების რვეული აჩვენეს, ეკა-
ტერინე ასე სასოებით რომ ინახავდა,

როგორც პოეტისაგან მოძღვნილ უძ-
ვირფასეს განძს.

ილიას ბარათაშვილის „მეტყველი
ვარდზედ“, „რად ყვედრი კაცსა“ და
კიდევ რამდენიმე სატრფიალო ლექსი
წაქითხული ჰქონდა გიორგი ერისთავი-
სეულ ქურნალ „ცისკარში“. მაგრამ ეს
რვეული სულ სხვა აღმოჩნდა, ამ რვე-
ულში სულ სხვა რამე ნახა, სულ სხვა-
რამე იკრძნო...

რა ხელ-ყურის პატივს ნახი ბელბული
გალიაშია დატყვევებული?

გაოცდა ამის გამგონე ილია, ხელნა-
წერი ისევ ხელთ აიღო, ფურცლავდა,
სულმოუთქმელად კითხულობდა. ასე,
ერთი სულის მოთქმით წაქითხა „ბედი-
ქართლისა“.

არა, ეს რა იხილა მისმა თვალებმა,
ეს რა პოეტი ჰყოლია საქართველოს!
იკითხა და იკითხა ბარათაშვილის ლექ-
სები, ვიდრე სადილად არ მიიწვიეს.

ილიამ ეკატერინესთან ერთად ისა-
დილა. მაგრამ მისი თვალი და ყური
ისევ რვეულისკენ იყო მიპყრობილი.
შერცხვა, ვერ ჰკითხა, საიდან მოხდა-
ეს რვეული ეკატერინეს ხელში. ისაღი-
ლეს თუ არა, ილიამ ისევ ხელთ აიღო
ბარათაშვილის რვეული და ახლა იქი-
დან „ფიქრი მტკვრის პირად“ გადაი-
წერა.

ნთელი დამე არ ეძინა ილიას. იმე-
ორებდა ღრმად შთაბეჭდილ სიტყვებს:
„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკე-
დარსა ემსგავსოს“... ჩვენი სირცხვილი,
რომ აქამდის არ ვიცნობდით ამ კაცს!
სად იყო აქამდის ეს კრებული! ასეთი
კაცი გვეოლია და არა თუ ვერ მოგ-
ვივლია მისთვის, არამედ მისი ლექსე-
ბისათვის პატრონობაც ვერ გავგონი-
ვია!

— დიახ, დიახ, — არც კაცი ვარგა,
რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
მაგრამ ვაი, რომ ერთი კაცი კი არა,
მთელი საქართველო მკვდარსა ჰვავს,
ცოცხალ მკვდარს, მიძინებულს. უნდა
გამოვალვიძოთ ხალხი საღამოს ძილისა-
გან, უნდა შევექძახოთ, ფეხზე წამოვა-

ყნოთ. არა, ახლა არ არის მამაპაპეული ძილის დრო, არც განცხრომისა და ნებერობის დრო! ახლაგაზრდა კაცს ახლა ხელთ ვარდი კი არ უნდა ეკავოს, რომ გამწყრალი სატრფოს გული მოიგოს, არამედ თოფს და ხმალს უნდა იქნევდეს, უნდა იბრძოდეს. ბრძოლა და ბრძოლა, მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობა, — აი რა მართებს ჩემი თაობის კაცს დღეს. კაცი ქვეყანაზე იყოს და არ ზრუნავდეს ქვეყნისათვის, ხალხისათვის, ის რა კაცია...

იმ კვირას ილია ისევ ესტუმრა ეკატერინეს. დედოფალი შინ არ დაუხვდა. სამაგიეროდ, მისი ბავშვები შემოეგებნენ ვახარებულნი. ილიამ ისევ მოატანინა სალომეს ის რვეული, შიგ ჩარგო თავი და შემდეგ მთელი დღე მოანდომა მის გადაწყვერას. გადაწყვერა და მოისვენა, დაცხრა მისი მღელვარე სული. არა, კი არ მოისვენა, თავისთავთან დაიგულა ეს ლექსები და ამით ინუგეშა თავი.

გადაწყერილი ლექსები სასოებით ჩაიდო უბეში, ბავშვებს გამოემშვიდობა და შინ წამოვიდა.

• • •

მოსვენება დაეკარგა ახალგაზრდა კაცს. არა, როგორი ლექსი არ წაუკითხავს, რაინაირი ხელნაწერი რვეული არ უნახავს, მაგრამ ამის მსგავსი რამ არსად ამოუკითხავს. ამ გაყვითლებულ ფურცლებს რამდენი საიდუმლო შეუწახავს ადამიანის სულისა. დედისა და მამის ნაქონს, ოჯახებში შენახულ ხელნაწერებს ცოტას როდი ვაცნობია, მაგრამ ეს რვეული სულ სხვაა. ბარათაშვილის სულის სიდიადე, ამ პატარა რვეულის ფურცლებზე აღბეჭდილი ახლა აქ, შორეულ პეტერბურგში არ ასვენებდა ქართველ მამულიშვილს. ეკატერინეც რომ ასე განიცდის ამ რვეულის სულს! ეს რაღა იყო, ბავშვებმა ერთი ღამითაც რომ არ მათხოვეს, დედა გაგვიჯავრდებო!

ილიამ რა იცოდა, რომ ეს რვეული ეკატერინესათვის ახლა ყველაფერი

იყო. ამ რვეულში ჩარჩენილი ბარათაშვილის მხურვალე გული ამ ციფსა და უცხო მხარეში ისე ათმობდა ეკატერინეს ვაციებულ სულს, როგორც მოგიზგიზე ბუხარი. საოცარი ცეცხლის ნაპერწყმები ანათებდა ამ უცნაური რვეულის ფურცლებს.

ილია სათუთად შეეხო ამ ცეცხლოვან რვეულს, და მის სულშიაც გადმოიღვარა ეს საოცარი სითბო წინაპარი პოეტისა. პოეტმა პოეტის სულში ღრმად ჩაიხედა და გაოცდა. გონების თვალით წარმოიდგინა წინაპრის ტრაგედია და უკვირდა: საიდან და როგორ დატეულა პოეტის ეს დიდი სული და განუზომელი ტრაგედია ამ პატარა რვეულში?

ისევ ფურცლავდა ნაცრისფერ ფურცლებს, კითხულობდა გარკვეული, ლამაზი ხელით დაწერილ, დაწერილს კი არა, ჩახატულ სტრიქონებს, და უკვირდა, როგორ იტევდა ეს სიფრიფანა ფურცლები ამ დიდ აზრებს, უსაზღვრო სევდასა და ოცნებას... შიგ ქუხილიც იყო, ელვაც, წვიმაც და ქარიც...

ილიამ ყოველივე ეს წარმოიდგინა და უცბად თითქოს ისევ ქუხილი მოესმა, დაიგრავინა და საქართველოს ზეცა ელვამ გადაკვეთა, ეუფუნა წვიმა წამოვიდა, გვალვა უქუდა, გაიხარა საქართველოს ბუნებამ, ისე გაიტაცა ამ ფიქრმა, რომ ადგა, ფანჯარა გამოაღო და გარეთ გაიხედა, გარეთ კი პეტერბურგის ქუჩებში, წვიმდა, გადაუღებლად წვიმდა. ოღონდ ამ სიბნელეში არც ცა ჩანდა და არც ქუხილი ისმოდა. ფანჯარა დახურა, ფარდები ჩამოუშვა, დაწვა, მაგრამ ძილი არ მოეკარა საქართველოს ბედზე. ბარათაშვილის ბედზე დაფიქრებულ და დაღონებულ ქაბუქს.

ილიას იმ ღამესაც არ უძინია, ზორავდა, შფოთავდა, მერე ადგა. თავის საწერ მაგიდას მიუჯდა და ქაღალდზე ბარათაშვილის სტრიქონები ჩამოწერა:

უცლად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულისკვეთება, და გზა უვალი, შენგან თვლილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება.

ამ სტრიქონებს ქვევით ნ. ბარათაშვილი მოაწერა. მერე ერთბაშად მოუნდა თავისი საკუთარი ლექსით გამოხმაურებოდა ამ სტრიქონებს და გადაწყვიტა ლექსი დაეწერა და მისთვის ბარათაშვილის ეს სტრიქონები ემიგრაციად წაემძღვარებინა. ადგა, დიდხანს ბოლთასა სცემდა, მერე ისევ მიუჯდა მაგიდას, წერას შეუდგა... ლექსი ლამთავრა:

ვაი, დაკარგეთ... უღმრთო იყო შენი
სიკვდილი!
ვინ უწყს, რადენი საუნჯენი დემარხეთ ჩვენა?
ვამ ზოვა გული, სიყვარულის სხივქვეშ
გაშლილი,
რაოდენ გრძნობით, ვერ უთქმელით, ჩვენ
ჩავეყვანა?
ვინ იცის, თანა რაოდენი წარიღე ფიქრნი?
მათ მნიშვნელობა დაგვეკარგა ჩვენ საუკუნოდ...
რაოდენ იმედო და ნუგეშთა კოკრათ ყვაილნი
ჩასტყნენ შენს გულში განუშლულად ვერ
უღროოდ?
აია დედ-მამა, — მაგ სიკვდილით დაიხლდა
ერის...
ვინდა მოგვეთხრას ჩვენი ურვა, კირი და
ლენა?
ვაი, ჩვენ, თვარემ შენ მით მაინც ხარ
ბედნიერი,
რომ შენი ლექსი თვით მკვდრეთითაც
აღვადგინს შენა.

ილიამ თითქოს ამით თავის მოზღვავებულ შთაბეჭდილებას სარქველი ახადა და მშვიდად ამოისუნთქა. გადაიკითხა ლექსი და გადაწყვიტა დასაბეჭდად გაეგზავნა. ერთადერთ უურნალად კი „ცისკარი“ ეგულეობდა, რომელსაც არ ეთანხმებოდა პოეტის სული. მაგრამ სხვა გზა არ იყო.

მეორე დღეს ილიამ ქართველი სტუდენტები: ნიკო ლოლობერიძე, კობახიძე, აფხაზი მოხმობ, უკითხავდა და უკითხავდა ბარათაშვილის ლექსებს. ბორგავდნენ, ადგილზე ვერ ისვენებდნენ, დაობდნენ, ერთმანეთს არ აცლიდნენ სიტყვას ეს ახალგაზრდები და მაინც ვერ მოიხსნეს გული. ბედი ქართლისა ახლა, ბარათაშვილის მსგავსად, გულს უწყლდებდა, სულს უკოდავდა ქართველ სტუდენტებს და ეძებდნენ, ეძებდნენ პასუხს...

— ეს მართლაც რა შავად მღვდლვარე ფიქრებია, რა თავგანწირული შებრძოლებაა ბედთან, ეს რა ქარიშხალია აქ დატრიალებული, ერის სულიდან ამოვარდნილი, ნამდვილი ქარიშხალი, პოეზიის ქარიშხალი!...

პეტერბურგის ისააკის ტაძარი, რომლის აგებაც 1819 წელს დაიწყო, 1858 წელს 30 მაისს დიდი ზეიმით აკურთხეს. ისააკის ტაძრის კურთხევა უდიდესი დღესასწაული იყო, რომელზედაც მთელმა რუსეთმა მოინდომა დასწრება. პეტერბურგი მორწმუნე ხალხით აივსო. ვის არ შეხვდებოდით იქ, თავადა და აზნაურს, ვაჭარსა და მღვდელს, დამშეულ ყმებსა და ფეხშიშველა მანქანალებს...

მთავრობამ წინასწარი ზომები მიიღო წესრიგის დასაცავად: ტაძარს ვარსჯარი შემოარტყა, მისასვლელ გზებზე ოფიცრობა დააყენეს, ხოლო ზამთრის სისახლის და საგაზაფხულო ბალის გასწვრივ საპარადო ფორმაში გამოწყობილი ჯარისკაცები ორ რიგად გაამწყობეს. ხეივანად ქცეულ გზაზე იმპერატორის დაცვის წევრები საგანგებო საშვებით უშვებდნენ ტაძრის კურთხევაზე მოწვეულ პირებს. მთელი იმპერიის ჩინოსნები და სამღვდლოება ერთმანეთს ეცილებოდნენ, მაგრამ ყველას როდი გაუღიმა ბედმა შესულიყო ტაძარში. ტაძრის ახლო-მახლო სახლების აივნებიდან გადმომდგარი ხალხი ვარინდებული მისჩერებოდა ტაძარს, ხოლო ზამთრის სისახლისა და პეტრე პირველის მოედნებზე ხალხის ტევა არ იყო.

ამ გრანდიოზულ ზეიმზე ეკატერინე დედოფალი დიდი პატივით მიიწვიეს. პეტრე-პავლეს ტაძრის სამრეკლოს უშველებელმა საათმა თორმეტჯერ დააკრა, და მეფე და დედოფალი თავიანთი ამალით სასახლიდან გამობრძანდნენ. იმპერატორს ალექსანდრე მეორეს და იმპერატრიცას თან ახლდნენ. საიმპერიო

სახლის წულები, დიდი მოხელეები და სამხედრო პირები. იმპერატორის გვერდით მოჰყვებოდა ეკატერინე დედოფალი. სასახლის წულებს შორის ეკატერინეს ბავშვები მიიბიჯებდნენ.

ეკატერინე დედოფლის მდივანი თევდორე ხოშტარია თან წამოყვანა კურთხევაზე ბესარიონ დადიანს. იქამად ეპისკოპოსად კურთხეულ დადიანს ტაძარში შესასვლელი საშვი ჰქონდა, ხოშტარიას კი — აივანზე ასასვლელი.

თევდორე ხოშტარია ვაზივით დაგრეხილი კიბეებით აივანზე ავიდა და შვებით ამოისუნთქა — აქედან მოედნებიცა და ტაძრის დარბაზიც ხელისგულივით მოჩანდა. ხოშტარია იღვა და მონადირესავით უთვალთვალებდა, რაც მის ვარშემო ხდებოდა.

ზამთრის სასახლისაკენ გაიხედა და ფრიად გაიხარა: ეკატერინე დედოფალი იმპერატორის გვერდით მოდიოდა და რაღაცას ხელით ანიშნებდა. ხოშტარია სიხარულისაგან ცქმუტავდა, ადგილზე ვერ ჩერდებოდა, მზად აყო ზემოდან ეყვირა, რომ დედოფალს შეენიშნა ერთგული კარისკაცი. სწორედ ამ დროს მან ამაღლი ეკატერინეს ბავშვები დაინახა და ხელიც დაუქნია მათ. ბავშვებს ქვემოდან არ შეუნიშნავთ და არც ყურადღება მიუქცევიათ ბანიდან გადმომდგარი ხოშტარიასათვის. თევდორე მღვდელი კი ისევ გამწარებით უქნევდა ხელს დიდიანებს და შეწუხდა, მათი ყურადღება რომ ვერ დაიშახურა.

ტაძარში ორი გუნდი გალობდა, თითო გუნდში ას-ასი მგალობელი იყო. იმპერატორი და მისი ამაღა ტაძარში შევიდნენ. შევიდნენ თუ არა, ზედასავლის ორი ვეებერთელა კარი ვილო და იმპერატორს მღვდლებითა და დროშით სრულიად რუსეთის პატრიარქი გამოეგება.

ორივე გუნდმა გალობა დააგუგუნა.

გალობა როგორ არ მოუსმენია თევდორეს, საუცხოო გალობით დამტკბარა სიონსა და სვეტიცხოველში, მარტვილსა და სუჯუნაში, მაგრამ ამის

მსგავსი მის ყურს არაფერი სმენია და მის თვალს არაფერი უნახავს. ყოველმგვარად კეს, რაც იქ ხდებოდა, თევდორე ვერ იგონებულა და განცვიფრებული უსმენდა და უყურებდა. და ასე ეგონა, სადღაც სხვა პლანეტაზე მოვხვდიო.

იმპერატორმა და იმპერატორიკამ დაიკავეს მათთვის დაწესებული ადგილი დარბაზის ცენტრში. ხოლო მათ გვერდით პატრიარქის ადგილი — პატრიარქმა და დაიწყო კურთხევის ცერემონიალი. პატრიარქი ალექსი ღმერთსა და იმპერატორს ლოცვას აღუვლენდა და დარბაზი იმეორებდა. გუნდი გალობდა.

სამრეკლოდან ზარები დააგუგუნეს. ისააკის ტაძრის ზარებს ბანი მისცეს პეტრე-პავლეს და კახანის ტაძრების სამრეკლოს ზარებმა და მთელი პეტრებურგი ზართა გუგუნმა მოიცვა. მთლად გაოგნებულ ხოშტარიას ეგონა, რეკა ციდან მომესმიაო, ერთბაშად დაიჩოქა და ხელები მალა აღაპყრო, ღმერთს შეჰღაღადა ქართულად. ამას მოჰკრეს თუ არა თვალი, აივანზე მდგარმა მორწმუნეებმაც დაიჩოქეს და თავებს იატაკამდე ხრიდნენ ლოცვის წარმოთქმით. მერე ეს მთელ აივნებსა და დარბაზებს გადაედო და ხალხი მეფისა და ღვთის საიმპერიო ჰიმნს დაჩოქილი ამბობდა.

გამოუცნობმა რელიგიურმა ექსტაზმა მოიცვა მთელი ტაძარი...

თევდორე შინ გვიან ღამით დაბრუნდა. არავინ მოუკითხავს, ისე შევიდა საწოლ ოთახში და ლოგინზე დაეგდო. შთაბეჭდილებებით დაღლილსა და კმაყოფილს მკვდარივით დაეძინა. ესიზმრებოდა, ვითომ ისევ ისააკის ტაძრის აივანზე იდგა, ხალხი დაჩოქილი იყო, თვითონ თევდორეს ხელი აღეპყრო ზეცისაკენ და გულამოსკვნილი ღმერთს ევედრებოდა. ამ დროს ზეციდან ჩამოფრინდნენ ანგელოზები. ერთი ანგელოზი ყორანივით შავი იყო. სწორედ ამ შავმა ანგელოზმა ბრწყალბევივით ჩახსო ხელები და ზევივით აიტაცა. შეეშინდა, გაუძალიანდა, მაგრამ ვერას გახდა:

სულ ზევით რომ აიყვანა შავმა ანგელოზმა, ეჭიდნურად ჩაიცინა და ხელი უშვა. თვედორე ბზრიალითა და ტრიალით ტყვიასავით წამოვიდა და მიწას დაენარცხა. სწორედ ამ დროს მან, მართლაც, ლოგინიდან ძირს ბრავჯანი მოაღინა. თვალი გაახილა, გონს მოვიდა და საკუთარი თავისა შერცხვა...

ისააკის ტაძრის კურთხევას მაისის აღლუმი მოჰყვა. პეტრბურგში ეს ტრადიციული აღლუმი მაისის პირველ რიცხვებში სუვოროვის ძეგლის წინ, იმპერატორის საზაფხულო ბაღის გვერდით იმართებოდა. იმ წელს იგი მაისის ბოლოს — 31 მაისს მოეწყო. აღლუმში ქვეითი ჯარი და ცხენოსანი მხედრობა მონაწილეობდა. ეს ზეიმი მთელ ორ თვეს სამხედრო მინისტრის მეთვალყურეობით საგანგებოდ მზადდებოდა. წინასწარ არჩევდნენ რჩეულ დივიზიებსა და პოლკებს, ცხენებსა და სააღლუმო ფორმას.

იმ წელს აღლუმში ეკატერინეს უფროსი ვაჟი, თერთმეტი წლის ნიკო მონაწილეობდა. ნიკოს საგანგებოდ შეკერილი ჩოხა-ახალუხი ჩააცვეს, თავზე მეგრული ფაფანაჟი დაჰხურეს, წელზე პატარა ქამარ-ხანჯალი შემოარტყეს და ცხენზე შესვეს. ისედაც ლამაზი ყმაწვილი უფრო დამშვენდა.

სამეგრელოს პატარა მთავარი ნიკო თავისი ცხენით სათავეში ედგა ქართველების ცხენოსანთა რაზმს. აღლუმი იმ წელს, ეკატერინეს პატივსაცემად, ქართველ ცხენოსნებს უნდა დაეწყოთ.

სუვოროვის მოედანზე დიდი კარავი იყო აღმართული. ამ კარავზე იმპერატორიცა დაბრძანდა თავისი ამალით, გვერდით ეკატერინე მოისვა. დიდ ბოძებზე აღმართული ეს მაღალი კარავი მთელ მოედანს დასცქეროდა. მოედნის გარშემო ჭგუფ-ჭგუფად ჩამწყრივებულმა ცხენოსანთა ჯარი იდგა, კარავის გარშემო კი — ქვეითი ჯარი. კარავის წინ ასოცი კაცი საგან შემდგარი სამხედრო მუსიკა უკრავდა.

იმპერატორი და მისი მხედრონი საზაფხულო ბაღიდან გამობრძანდნენ,

ზედ ბალთან ალექსანდრე მეორე ულაყზე შეჭდა. უკან სამხედრო მინისტრი და გენერლები ამოუდგნენ. გამთხნდა თუ არა იმპერატორი, მაშინვე „ურა“ — იგრაილა ჩამწყრივებულმა ჯარმა. შეძახილმა იმავე წუთს მთელ შენაერთებს გადაუარა. ამ გამაყრუებელ ხმას სამხედრო მუსიკისა და ზარბაზნების ხმებიც შეუერთდა. მეფე და სამხედრო მინისტრი თითქმის მთელ საათს მოუნდნენ ჯარების ჩამოვლას. დასრულდა თუ არა ჯარების ჩამოვლა, იმპერატორი იმ კარავთან მიიჭრა, სადაც დედოფალი და მისი ამალა ბრძანდებოდნენ, და კარავს ცხენით გვერდით ამოუდგა, თითქოს იმპერატორიცა გვერდით უზისო, ის იყო აღლუმიც დაიწყო.

გულპირდაპირდნენ თუ არა კარავს, ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი ცხენოსნები ცხენებზე გასწორდნენ და თავები მარჯვნივ, იმპერატორისაკენ მოიღრიცეს. მერე ქართულად „ვაშა“ დასძახეს და ცხენები გააქენეს. ცხენოსანთა რაზმს წინ ნიკო დაღიანი მიუძღოდა. ისე ლამაზად გააქენეს ქართველებმა ცხენები, და ისე ოსტატურად შეასრულეს საცხენოსნო ილეთები, რომ მთელმა კარავმა ტაში დასცხო. თვით იმპერატორს დიდად მოეწონა ქართველთა რაზმი, ნიკო მიიხზო და თავის ხელქვეითებს ჭებით წარუდგინა. თვედორე ხოშტარია იქვე მოშორებით იდგა და ყოველივე ამას ცრემლმორეული შეპყრებდა. სამხედრო აღლუმი მთელი ოთხი საათი გაგრძელდა.

იმ ზაფხულს აღლუმს ილია ჭავჭავაძეც დაესწრო. ახალგაზრდა სტუდენტი მოიხიბლა ქართველების სიმარჯვითა და მხედრობით, მაგრამ გულის ძარღვი ჩასწყდა, რომ ეს რჩეული ვაჟაკები საქართველოს კი არ ამშვენებდნენ, არამედ დამპყრობელი მეფის რუსეთის არმიას. ილია დაღონებული და გულმოკლული დაბრუნდა შინ და იმავე საღამოს ლექსი, „კონვოელი“ დაწერა:

ავერ რაზმიდან ისუბა ყარაბაღულმა მერანმა,
 შორსა ვაჰთანტა თრთოლოთ ხმა მისმა რახტისა
 ელერამა...
 მიპქრის, მიფრინაუს, მიქექაუს, უან მისდღეს
 მტვრისა ბქერ,
 მასზედ მზის ივერიელი კაბუჯი ეინჰე ზაქვი.
 ავერ უეცრად რაღაცამ ჰაერში გაიკრიალა,
 თურმე მან თოფი თავისი შეავლო, შეატრიალა,
 შერე ლამაზად ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ
 ვაღმარწევებოდა,
 ხან ცხენიღამა ხტებოდა, ხან ზედვე
 შექფრინდებოდა.
 შეენოდა იგი კაბუჯი ცხენზედა ვით ალვა
 რგული,
 მარამ შე მის მკერეტელს ნაღვლით ამერიო
 სული, გული...
 ესთქვი, თუ ვისთვის შენ, კისკასობ, ვისთვის
 იჩენ სიზარდესა?
 შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამღუპველს
 ჩრდილოეთსა
 შენს სიზარდეს, სიჩაქქეს ქართლი შენი არ
 დაჰყურებს,
 შეფე შენი თავის ქებით კაბუჯს გულს არ
 ვიხალისებს!..

ისააკის ტაძრის კურთხევისა და აღ-
 ლუმის დღეს შერცოგი — ესპანეთის
 ელჩი დ'ოსუნა არ სცილდებოდა დედო-
 ფალს, სიყვარულისაგან გამოღუნჩე-
 ბული შორი-ახლო მისდევდა. მეორე
 დღეს ისევ ეწვია ეკატერინეს, სტუმარი
 დედოფალმა ჩვეულებრივი თავაზი-
 ნობით მიიღო და სასტუმრო დარბაზში
 შეიპატივა.

დარბაზში ორნი იყვნენ: დედოფალი
 და ელჩი. ისინი ჩუმად იხსდნენ, ვერც
 ერთს სალაპარაკო საგნისათვის ვერ
 შეიგნო. იმ მაისის დამეს ეკატერინეს
 დიდ დარბაზში ციოდა. ეკატერინე ად-
 გა და თავშალი მოიხვია, შემცივ-
 დაო, — თქვა და ბუხარს ახლო მი-
 უჭდა. ესპანელი ელჩიც სულ ახლოს მი-
 უჭდა დედოფალს. ისევ სიჩუმე სუფევ-
 და დარბაზში. ელჩი ლელავდა, სათქმე-
 ლისათვის თავი ვერ მოება. თავი კი ისე
 ახლო მიუტანა თავთან, რომ დედო-
 ფალს მისი სუნთქვაც ესმოდა და გუ-
 ლისცემაც. ელჩს ისე აჩქარებით უცემ-
 და გული, ისეთი ბაგა-ბუჯი ვაჰქონდა
 მის მკერდს, რომ დედოფალს ეგონა, ამ
 საცოდავს, ალბათ, გული საგულედან
 ვადმოუხტებოდა, და შეებრაღა, თანაგრ-

ძნობის ნიშნად მოწყალების თვალით
 შეხედა. ესპანელმა შევებით ემოციუნ-
 თქა და ენა ამოიღვა. ლაპარაკობდა
 თან გრძნობდა, რომ იმას კი არ ამბობ-
 და, რაც უნდა ეთქვა. პირზემომდგარი
 სიტყვა ყელში გაეჩხირა, ნერწყვი ძლივს
 გადაყლაპა და ლულული დაიწყო:

— დედოფალო, ჩემო დედოფა-
 ლო, — ემუდარებოდა თავის სალოცავ
 ხატს და თანდათანობით თავს მისკენ
 ხრიდა. ისედაც ახლო მოტანილი თავი
 ეკატერინეს მხრებზე შეეხო და ესპა-
 ნელს მთელს ტანში ცეცხლი შემოენ-
 თო, ოღონდ ვერ გაერჩია, ბუხრიდან
 მოდიოდა ეს მხურვალეობა, თუ დედოფ-
 ლისაგან. სწავდა გამოუცნობი ცეცხლი,
 სწავდა და მაინც სიამოვნების სითბო
 ეღვრებოდა სხეულში.

ისევ გაინაბა ელჩი. თითქოს სუნთ-
 ქვა შეწყვიტაო, ისე გაუნძრევლად იჯ-
 და იმის შიშით, რომ არ დაერღვია ეს
 ბედნიერება. ამ გრძნობამ ისე ღრმად
 შეიპყრო და დაიმორჩილა, რომ თვა-
 ლებდახუჭული ნატრობდა, ნეტავ
 ეს ბედნიერი წამები დიდხანს გაგრძელ-
 დესო. ბოლოს ნეტარებისაგან გამო-
 ფიზულდა, თვალი გაახლა, დედოფალს
 შეხედა: ბუხრის ცეცხლის სინათლე
 ეკატერინეს სახეში ჩასდგომოდა და მის
 ისედაც ნაზსა და ეშხიან სახეს, თვა-
 ლებს, ტუჩებს, ცხვირს უცნაური იერი
 გადაჰკრავდა, სასიამოვნო აღმურის
 იერი. და ელჩმა, მისდაუნებურად, კი-
 დევ უფრო ახლოს მიუტანა სახე სახეს-
 თან. მაშინ სკამზე ტანის ლამაზი მი-
 მოხვრით განზე გასწია თავი დედოფალ-
 ნა, მაგრამ ამ დროს გრძლად დაგრავნი-
 ლი ნაწნავები ჩამოეშალა და მისდა-
 უნებურად თავი გაიქნია. ერთი ნაწნავი
 ზედ სახეზე მოხვდა ელჩს. ესპანელი,
 სიხარულითა და სიცილით, ხელით სწე-
 და ნაწნავს და გულში ჩაიხუტა. ეს კი
 მეტისმეტ სითამამედ ჩამოართვა დე-
 დოფალმა და კოპები აიწურა, მრისხა-
 ნედ შეანათა სახე გონდაკარგულ ელჩს.

ისევ მძიმე ღუმელი ჩამოვარდა დარ-
 ბაზში. ამ სევდიან მდუმარებას ბუ-
 ხარში ცეცხლის ტყაცუნი არღვევდა.

გაბრაზებული დედოფალი ზურგშექცევით იჯდა და ფიქრობდა, რა მოხდაო.

ეკატერინე მუდამ უარით ისტუმრებდა ესპანელს, მაგრამ ისეთი ღიმილითა და სიცილით ამბობდა ყოველთვის ამ უარს, რომ ელჩი ქალურ სინაზესა და მორცხვობას მიაწერდა ყოველივეს, ისევე და ისევე მისკენ მიიწევედა უზომოდ გამიჯნურებული და დარწმუნებული, რომ დღეს თუ არა ხვალ გამოსტაცებდა დედოფალს მისთვის სასურველ პასუხს. თავის მხრივ ეკატერინეს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი უარი, მაგრამ არც იმის წინააღმდეგი იყო, რომ უზომოდ მოტრფიალედ ესპანელს მის ოჯახში ევლო. მძიმე სევდით შეპყრობილ დედოფალს სადღაც გულის სიღრმეში ესაიმოვნებოდა კიდევ, რომ ისევე ასეთი დიდი ყურადღების საგანი იყო, რომ ასეთი დიდი თავყანისმცემლები არ ელუოდა. დიახ, ეკატერინე ქალი იყო და ქალს ხომ უყვარს, როცა ეტრფიან და აღმერთებენ. მაგრამ დედოფალი იმასაც გრძნობდა და ხედავდა, რომ ძალიან შორს შეტოპა ესპანელმა. ეკატერინემ გადაწყვიტა თავიდან მოეშორებინა ეს სიყვარულისაგან გამოლენიებული კაცი. ეს გაიფიქრა და ისევე მრისხანე თვალები შეანათა სტუმარს, მაგრამ როცა თვალი თვალს გაუსწორა, შეკრთა დედოფალი. ისეთი მუდარით მისჩერებოდა ელჩის მავალივით შავი თვალები, იმდენი სიკეთე და სისაწყვე, იმდენი სევდა და მუდარა იყო მის თვალებში, რომ სიტყვა რა არის, დედოფალმა სიტყვა ვერ დაძრა მისთვის აუგად სათქმელი.

თავის თავზე მოსდიოდა ბრაზი დედოფალს. იჯდა და დუმდა. დუმდა და ბრაზი ვერ დაეოკებინა. ბრაზისაგან ცეცხლისმფრქვეველი მისი თვალები შეტს ამბობდა, ვიდრე მისი ბაგენი.

ეკატერინე ადგა, მეორე ოთახში გავიდა. იქ უფრო ძლიერ მოექცა ბრაზი. ელჩი კი ამოდ ელოდა მის გამოსვლას. მერე ნაცემი ძალივით ძლივს აითრია წელი და უცბად გავიდა იქაურობას.

ელჩს გარეთ ეტლი უცდიდა. ისე ჩაჯდა, ხმა არ გაუცია მეეტლისათვის. როცა საელჩო სახლს მიადგა, დედას ზერდა, მაშინდა მოვიდა გონს და აჩქარებით გადმოვიდა ეტლიდან. შინ რომ შევიდა, მაშინ ყელზე მოებჯინა ბრაზი ამაყ ესპანელს და გადაწყვიტა ვასცლოდა უკმეხ და უმადურ დედოფალს, არასოდეს სახელიც კი არ ეხსენებინა მისი.

— არა, ეს როგორ მოხდა, რომ მე, დიდებული ჰერცოგი, პეტერბურგში შეფის კარზე ასე მიღებული და ასე პატივცემული, ძალდადაც არ ჩამაგლო, პასუხის ღირსიც არ გამხადა, ისე მიმატოვა და გამაგლო ოთახიდან, — ფიქრობდა ესპანელი და ბრაზი აღრჩობდა. ერთხანს ბოლოს ცემა დაიწყო, მერე თავი გაიქნია რალაცის გამო და შეჩერდა. ტანთ გაიხადა და დაწვა, მაგრამ ძილი არ მიეკარა მის გაღიზიანებულ სხეულს. შეციებულებით უკრთოდა მთელი ტანი, ისევე ბრაზი ახრჩობდა და თავიდან მაინც ვერ იცილებდა შეურაცხყოფელი დედოფლის სახეს.

ელჩის სული ისევ საგვდ იყო ეკატერინეს სიყვარულით. მისი მწველი თვალები, ტუჩები, სახე ისევ ხატად ეხატა ელჩის მარტოდშენილ სულს. ძილდამფრთხალს, გონდაკარგულს ისევე ეკატერინე ელანდებოდა. მის საწოლ ოთახში დედოფლის სული ტრიალებდა, ახლაც იმით სუნთქავდა, იმით ცოცხლობდა, ამ ბნელ ოთახში დედოფლის შუქი სინათლედ ედგა, გაყინულს მისი მოგონება ათბობდა. ისე გაიტაცა ამ ხატებამ, რომ მზად იყო მეორე დღეს უთენია ამდგარიყო, დედოფალს ხლებოდა და მის წინაშე ისევე დაემცირებინა თავი, ოღონდ მისი გული მოეგო როგორმე. მზად იყო ყველაფერი გაეკეთებინა, ოღონდ დედოფლის სიყვარულის სითბო არ მოჰკლებოდა მის გაყინულ სულს. სიყვარულის ცეცხლმოკიდებულები ესპანელი დარდობდა და ოხრავდა. ასე ოხვრაში ის დამე ძლივს გაათენა.

დილით აღრე ადგა და უმაღლ წასვლა

დააპირა დედოფალთან, მაგრამ წუხან-
დელი საღამო მოაგონდა და შეერთა.
მთელი დღე ებრძოლა საკუთარ თავს,
მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მერე გა-
რთ გამოვიდა, ჯერ ქუჩებში იხეტია-
ლა, შემდეგ რესტორანში შევიდა, ერ-
თი კარგად გამოთვრა; მაგრამ ბრაზისა
და სიყვარულის ცეცხლი ვერც ამან გა-
უწელა. ისევ შინ დაბრუნდა, დაწვა, მა-
გრამ ძილი არ მიეკარა...

იმ საღამოს ისევ ესტუმრა დედო-
ფალს. ეკატერინეს ეგონა, წუხანდელი
საქციელის გამო ბოდიშის მოსახდელად
მოვიდაო, და ისევ თავაზიანად მიიღო,
ისევ იმ დარბაზში შეიპატიჟა, სადაც
წინაღამეს ისხდნენ. ისევ ორნი იყვნენ
დარბაზში.

— ბოდიშს ვიხდი, ჩემო დედოფა-
ლო, თუ ჩემი უტაქტობით რამე გაწყე-
ნინეთ წუხელ, თუ რამე უსიამოვნება
მივაყენე თქვენს კეთილშობილებას.

— ბედი ჩემთვის უსიამოვნებას უფ-
რო იმეტებს, ვიდრე უხვ პატივისცემას.
ბედი არ მანებებურებს, და უკვე დიდი-
ხანია ბრძოლითა და ომით ვიკაფავ
ცხოვრების გზას და აქ დამხმარედ ვერც
ვერავინ გამომადგება, ჩემო...

დედოფლის მშვიდობიანმა კილომ და
სვედიანმა სიტყვებმა ისევ ჩაუსახა
იმედი უიღბლო მიჯნურს:

— მპატიეთ, მაგრამ არა ხართ მარ-
თალი, ჩემო დედოფალო. ჩვენებური
ანდაზა ამბობს — მარტოხელა კაცი ჭა-
მაშიაც საბრალლოა. დროა, ჩემო დე-
დოფალო, ბოლო მოუღოთ ამ საშინელ
მარტოობას. ჩვენ ორივენი უფრო გა-
ვუძლებთ ბედთან შერკინებას. მერწ-
მუნეთ, რომ ასე აჯობებს, დედოფა-
ლო...

— არა, ეს არ გამოვა! სჯობს, ამას
თავი დავენებოთ. გთხოვთ სხვა რამე
მითხრათ, სხვა, რაც ჩვენს მეგობრო-
ბას გზად და ხიდად გამოადგება და
ისევ იმ საგანს ნუ დაუბრუნდებით,
რაც ამ მეგობრობის ზიდს დაანგრევს.
მე მინდა სიმართლე ვითხრათ და
თქვენც ბოლომდე მომისმინოთ.

მე ჩემი ოჯახის ღირსებას საკუთარ

თავზე მეტად ვუფრთხილდები. ჩემი
შვილების უმანკო სულს, რაღაცაა მერე
დავამჩნევ ჩემი ზორცხვების
და ბედნიერებით. ისინი უკვე საქმაოდ-
დიდები არიან და კარგად შეუძლიათ
გაარჩიონ ყველაფერი. მე არ მინდა ოჯა-
ხური დრამა გავუმართო. საფიქრებელი-
გაუფიჩინო უმანკო ბავშვებს. — ესა თქვა
და დადუმდა, მაგრამ უცხად ცუდ გუ-
ნებაზე დადგა, თვით ამ სიტყვის წარ-
მოთქმამ რაღაც სულიერი ქენჯნა მია-
ყენა მის დედოფალურ სიამაყეს; იფიქ-
რა, მე, სამეგრელოს დედოფალს, რად-
უნდა მჭირდებოდეს ამ უცხო კაცს ან-
გარიში ჩავაბაროო და ისევ ყელამდე
მოაწვა ბრაზი.

სახე ოფლით დაეცვარა, ცხვირსახო-
ცი ფრთხილად ამოიღო და პირზე მი-
იღო, თითქოს სირცხვილისაგან სახეს
იფარავსო, თუმცა მის სიტყვებში არა-
ფერი იყო სასირცხვილო და გასაბრა-
ზებელი. დიდი ხანია, ასეთი მძიმე გან-
ცდები არ ჰქონია. თვითონაც უკვირდა,
რა მოხდაო. უკვირდა და მინც შეწყ-
ვეტილ აზრს უნებლიედ აგრძელებდა:
„არა, კაცმა რომ თქვას, რას გადაამეკიდა
ეს ესპანელი ელჩი. ახლა მთელ პე-
ტრებურგს სალაპარაკოდ მხოლოდ ეს
ამბავი აქვს. რისთვის მჭირდება ყო-
ველივე ეს?! რას მოსცემს ეს ჩემ დიდე-
ბას, ან ჩემს ოჯახს?“

ისე გაიტაცა დედოფალი ამ შინაგან-
მა ხმამ, რომ თანდათანობით ბრაზი
უფრო მოეკიდა და, როდესაც ელჩმა
მოიხედა, მისი მთლად აელვარებული
სახე ცუდად ენიშნა.

ეკატერინე ფეხზე ადგა. გრძნობდა,
რაღაც მძიმე რამე აწვა მის გულმკერდს
და სუნთქვა შეეკრა. ისევ ვერ მიმსე-
დარიყო, რა ხდებოდა მის თავს: „რო-
გორც ჩანს, ჩვენ ვერ შევთანხმდებით,
ჩემო ბატონო, ეგებ სჯობდეს, რომ შეე-
წყვიტოთ ყოველგვარი ურთიერთობა
და მისვლა-მოსვლა“. ეს ისე მტკიცედ
თქვა, რომ მუდარის სიტყვები ესპანელ-
ელჩს ტუჩებზე შეაკვდა და ხმა ვერ ამო-
იღო, უფრო მძიმე საგონებელმა შეიპ-

ყო და ისევ უსიტყვოდ გაეცალა დედოფალს.

სწორედ ამ დროს თევდორე მღვდელი შემოფარფატდა. სახელეწილ დედოფალს არაფრად ეჭაშნიკა მისი გამოჩენა და ბრძანების კილოთი ჰკითხა: რაო, მღვდელო, რა მოხდა?

თევდორემ იცოდა, რომ „არამკითხე მოამბესავით“ უდროო დროს შემოდიოდა, მაგრამ მინც შემოვიდა. გაწყრომას კი არ მოელოდა. სიტყვა გაუშრა. ინტობარგატეხილ მღვდელს არაფერი უთქვამს, ისე უსიტყვოდ გავიდა დარბაზიდან.

დაღონებული და გალახული მღვდელი ოთახში შევიდა და ტახტზე მიეგდო, უცხად ხალხური ლექსი მოაგონდა და ისეთივე ბუტბუტით წარმოსთქვა, როგორც ძილის წინ ლოცვას ამბობდა ხოლომე:

გზა სიარულმა დალია
სიბი ქვა წყლისა დენამა,
ლამაზი გოგო და ბიჭი
ერთმანეთისა ცქერამა.

თუთიყუშვივით იმეორებდა ამ გაზეპირებულ სიტყვებს და თვითონაც ვერ გაეგო, რატომ და რისთვის აეკვიტა ახლა ეს ლექსი დედოფლისაგან დატუქსულ მღვდელს.

* * *

დედოფლისა და პერცოგის ეს ურთიერთობა ისე განმარტდა, რომ თვით გრიგოლ ორბელიანის ყურს მისწვდა დაღესტნის აულებში.

გრიგოლ ორბელიანი 1859 წლის 17 იანვარს დიმიტრი ჯორჯაძეს სწერდა: „...გუშინ განხდა დაუჯერებელი ხმა: ვითომ ეკატერინე დადიანისა შეურთავს, ანუ შეირთავს, ისპანიის პოსლანისა, რომელიც არის თურმე დიან დიდის გვარისა და სიმდიდრისა. — მგონია იყოს დერცოგ ორულა თუ ამის მსგავსი ვიღაც. მიკვირს, მაგრამ კი არ მჯერა“.

პეტერბურგშიაც, თბილისშიაც, ზუგდიდშიაც იმ უამად მხოლოდ ეს ამბავი ქონდათ საჭოროად. ეკატერინე მხოლოდ არ იკარებდა ვათხოვების აზრს, არც ესპანეთის ელჩს იკარებდა ახლო. კორი, ოზოფებებზე შემდგარი კორი კი, არხენად დააბოტებდა მთელს იმპერიაში. სწორედ ამ დროს ისეთი დიდი ამბავი მოხდა, რომელმაც მთელი ქვეყანა შესძრა და ყველას დაავიწყდა წვრილმანი ამბები:

1859 წლის 25 აგვისტოს დაღესტანი დაეცა. ბარიატინსკიმ შეუპოვარი შეტევით აიღო შამილის უკანასკნელი თავშესაფარი — გუნიბი და თვით შამილი და მისი ოჯახი ტყვედ წაიყვანა. გუნიბის აღების შემდეგ გამარჯვებული მეფისნაცვალი თბილისს ჩამოვიდა, ხოლო დატყვევებული შამილი პეტერბურგს გაგზავნა. თვითონაც რამდენიმე წნას შემდეგ პეტერბურგს გაემგზავრა. მთელი მსოფლიო აღაპარაკდა ამ ამბავზე.

ალექსანდრე მეორემ დიდი ზეიმით მიიღო ბარიატინსკი. რუსეთის იმპერიის ქალაქებსა და დაბებში გადაბმული ზეიმი და მოღვენება იყო. ნევის პროსპექტის მაღაზიები ბარიატინსკისა და შამილის პორტრეტებით აივსო. პეტერბურგის საზოგადოებას ახლა პირზე ბარიატინსკის სახელი ეკერა.

ეკატერინე ქავჭავაძე მიწვეული იყო იმ ბაღზე, რომელიც მეფისნაცვალის პატივსაცემად გაიმართა სასახლეში. დედოფალი თუმც ემდუროდა ბარიატინსკის, მაგრამ ისიც აპყვა ზეიმის ტალღას და, როგორც ახლობელს, ისე შეხვდა მეფისნაცვალს. მეორე დღეს ეკატერინემ წერილი მოსწერა გრიგოლ ორბელიანს: იმპერატორმა დიდი ზეიმი გაუწიარა ბარიატინსკის, მთელი პეტერბურგი ფეხზე დგას, ბარიატინსკიმ სრულიად გადარია პეტერბურგის ქალები. შენ სად ხარ, ჩემო გრიგოლ; ჩამოდი აქ პეტერბურგს. მეფისნაცვალმა მიითხრა თქვენი ორბელიანი გამოვიწვიეო პეტერბურგს, რათ იგვიანებ, განა შენ ცოტა წვლილი მიგიძღვის დაღესტნის

აღებაში. შენი და ჩემიანების სისხლი ტყუილად დაიღვარა განა, ჩამოდი, ჩამოდი, ჩემო გრიგოლ, მოუთმენლად გელოდებით...

გრიგოლ ორბელიანი, მართლაც, გაიწვიეს პეტერბურგს. მან სექტემბერი იქ გაატარა. ეკატერინეს ჩასვლისთანავე ეახლა. გრიგოლს ახლა იმის გაგება უფრო აინტერესებდა, თხოვდებოდა დედოფალი ესპანეთის ელჩზე, თუ ეს ყოველივე ჭორი იყო. ეკატერინეს დიდად ეამა გრიგოლის მოსვლა. სიხარულისგან ცრემლმორეული გადაეხვივნენ ერთმანეთს და მოიკითხეს. როცა დაღესტნისა და შამილის ამბებს მორჩინენ, გრიგოლმა ჩუმად შეაპარა:

— დედოფალო, შენზე ამბობენ, თხოვდებო. მართალია?

ეკატერინე არ მოელოდა ამ კითხვას და ერთბაშად გაწითლდა. გრიგოლს ეგონა დედოფალს შერცხვა მხილები-საო, და ისევე მისდაუნებურად გაიმეორა:

— მაშ, მართალია?

ეხლა ერთბაშად გონს მოვიდა ეკატერინე:

— გრიგოლ ბატონო, როგორ, თქვენც ჭორს აყვევით? ასე იცნობ შენ შენს კატინს?... არა, გრიგოლ, ამას ჩემი მტრები მივრცელებენ. ისინი მივრცელებენ, ვისაც სურს ხელი ავიღო სამთავროზე და სადმე შორს გადავიხვეწო. ჩემი დაუნდობელი მტრები მივრცელებენ ამ ცუდ ხმებს...

ეკატერინე ცრემლმორეული უპასუხებდა. გრიგოლს შეებრაღა დედოფალი.

— არა, დედოფალო, აქ მტრები არაფერ შუაში არიან, შენისთანა ახალგაზრდას, ლამაზს, თაყვანისმცემლები რომ გამოუჩინდნენ, განა დასაძრახისია? შენ ღირსი ხარ თაყვანისცემისა, ჩემო კატინა. არა, მაინც რომ შთლად გაახალგაზრდავებულხარ, ჩემო დედოფალო!...

გრიგოლს კიდევ უნდოდა ეთქვა სააღერსო სიტყვები, მაგრამ დედოფალმა შეაწყვეტინა:

— გრიგოლ, მე ახლა მხოლოდ ჩემი

შვილებისთვის ზრუნვა და სამთავროს ბედი მაწუხებს. შენ ~~ეკატერინე~~ თაყვანისმცემლები არ მაკლდები უნდა მოეთხრო ესპანელი ელჩის ამბავი, მაგრამ თავი შეიკავა და სულ სხვა თქვა.— არა მაგრამ დავითის შემდეგ, მე ჩემს შვილებზე და ოჯახზე არავის გავაბატონებ, ვინც არ უნდა იყოს...

ეკატერინე ისე მტკიცე გადაწყვეტილებით ამბობდა ყოველივე ამას, რომ გრიგოლმა ამჯობინა უმაღლვე შეიწყვიტა ამ საგანზე საუბარი.

გრიგოლ ორბელიანი ეკატერინე ჰკავებდას მორტფილად და თაყვანისმცემელი იყო და სადღაც, გულის სიღრმეში, შურდა ესპანელი ელჩის ბედი, აღეგებდა ეკატერინეს გათხოვების ჭორი. ახლა ეკატერინესთან შეხვედრამ ეს დაუბერებელი დონ-ჟუანი დაარწმუნა, რომ ეკატერინე გათხოვებას არ აპირებს და დამშვიდებული გამოეთხოვა დედოფალს.

ქართველი გენერალი გრიგოლ ორბელიანი პეტერბურგს დიდი ზემოთ მიიღეს. აქვე შეხვდა პირველად და პირადი საუბარი ჰქონდა შამილთან, იმ კაცთან, რომელსაც დაღესტანის აულებში ოცი წელი ებრძოდა...

პეტერბურგის შთაბეჭდილებით აღფრთოვანებული ორბელიანი სწერდა თავის მეგობარს:

„იმპერატორმა, იმპერატრიცამ, ველიკიე კნიაზემმა და მათმა ცოლებმა მიმიღეს დიდის მოწყალებით, დიდის ალერსით, ასე რომ თითქოს მე ვიყავ ვიღაცა მათი შინაურთაგანი. ველიკიე კნიაზები ხშირად წამიყვანდნენ სადილად, ისე სერთუკით; მათი ცოლები მიჩვენებდნენ პატარას თავიანთ შვილებს სააღერსოდ და, როგორც ნათესავნი, ისე გამომესალმნენ. — ღ-თი იყოს მფარველი მათდა, სხვა რა მეთქმის, სამაგიეროდ მათგან მოწყალებითის მიღებისა“..

1859 წლის ზაფხულს ილია ჰავჭავაძე ავად გახდა. 10 ივნისს ეკატერინეს

შეატყობინეს მისი ავადმყოფობა. ამ დროს დედოფალი ცარსკოე სელოში ცხოვრობდა და ბრძანა ილია მასთან ჩამოეყვანათ. ავადმყოფი ილია აქ თავის ბინაში მოათავსა და თავზე ალექსანდრე მეორის პირადი ექიმი, ნიკოლოზ არენდტი დააყენა. ილია სულ მალე გამოკეთდა, მაგრამ დედოფალი მაინც არ უშვებდა სახლიდან ახალგაზრდა სტუდენტს. ეკატერინეს შვილები ილიას შეეჩვივნენ და ყოველ დღე ნახულობდნენ.

გამომჯობინდა თუ არა, ილიამ საქართველოში გამოსწია. ის ზაფხული კახეთში გაატარა. განკურნებულმა და დასვენებულმა სტუდენტმა იმავე წლის შემოდგომას ისევ პეტერბურგს მიაშურა.

გრიგოლ ორბელიანიც იმავე წლის ოც ოქტომბერს დაბრუნდა თბილისს. იგი, პეტერბურგიდან თბილისს მომავალი, მოკლე საცალფეხო გზით ნებანება ჩამოდიოდა ყაზბეგის თავდადმართზე. ზვიადი მთები მზეს ოქროსფერი სხივებით შეემკო და აბიზინებულ ბალახს ეალერსებოდა. ირგვლივ მეფური მყუდროება სუფევდა. ბუნების ამ მყუდროებას მხოლოდ მეეტლეთა შეძახილი არღვევდა. გრიგოლს კი არაფერი ესმოდა, ისე გარინდებული მოდიოდა. მის სულში ახალი ლექსი მზადდებოდა. ლექსის დაბადება ამ მყუდროებაში ყველაფერს ავიწყებდა პოეტს...

როცა გრიგოლი მღვთთან ყაზბეგის თავდადმართზე ეშვებოდა, თბილისიდან გამოსული ილია მღვთის აღმართს მიჰყუებოდა. აქ ჭავჭავაძე და ორბელიანი ერთმანეთს შეხვდნენ.

ილია ცნობისმოყვარეობით დააცქერდა გრიგოლ ორბელიანს და იცნო. გიმნაზიაში სწავლისას რამდენჯერმე ენახა და მისი სახე ღრმად აღბეჭდოდა. და აი, ახლა, საქართველოს ამ სასიკეთლო კაცს ისე ჩაუარა პეტერბურგში მიმავალმა სტუდენტმა ილიამ, რომ ორბელიანს არც კი მოუხედავს მისკენ.

გრიგოლ ორბელიანს მხრებზე გენერლის ვარსკვლავები უბრწყინავდა. ილიამ

ისევ შეხედა საქართველოს სასიკეთლო მამულიშვილს და 1832 წლის შემოქმედების მონაწილე ალექსანდრე მოაგონდა. ახალგაზრდა ილია ზევიდან მოკრძალებით დაჰყურებდა მღვთის დაღმართისაკენ დაშვებულ გენერალს, აკვირდებოდა და ღმერთკაცად სახავდა. თავისი თავი კი პატარა კაცად წარმოედგინა. მაშინ რას იფიქრებდა ეს ახალგაზრდა კაცი, რომ კიდევ 10—12 წელი გაივლიდა და ყაზბეგის აღმართზე შეხვედრილ, გენერლის ჩინით დამშვენებულ ორბელიანს ბრძოლაში გამოიწვევდა... რომ მათი ეს პირველი პირისპირ შეხვედრა შემდეგ ისტორიის ფურცლებად გადაიწილებოდა...

თბილისიდან დაბრუნებული ილია ისევ ეწვია ეკატერინეს. ეკატერინემ დიდად გაიხარა ილიას მოსვლით. „ცისკარიში“ უკვე დაბეჭდილიყო ილია ჭავჭავაძის ლექსი „ალექსანდრე ჭავჭავაძეს“, და ამით განსაკუთრებით იყო ნაიამოვნები დედოფალი. ბავშვებს უკვე ზებიარად ესწავლათ ეს ლექსი და ერთმანეთს ეცილებოდნენ მის წაკითხვაში.

ილიამ შეატყო, რომ ეკატერინეს რაღაც სათქმელი ჰქონდა და თავს იკავებდა. შეატყო ესა და უთხრა:

— თქვენი აზრი, დედოფალო, დიდად საინტერესოა ჩემთვის.

— ჩემო ილია, არ დაგიმალავ და გეტყვი, ლექსი მომეწონა. ეს მამაჩემის ლექსებისა და მისი ღვაწლის პირუთენელი და მართალი შეფასებაა, მაგრამ გულწრფელად გეტყვი, რომ ენა თქვენი ლექსისა ისეთივეა, როგორც ჩვენებური გლეხისა: ჩვეულებრივი, მარტივი, სადა, სასაუბრო... მე კი ასე მგონია, რომ მწერალი, უპირველეს ყოვლისა, მწიგნობარია და ამიტომ მწიგნობრული ენა უნდა ამშვენებდეს მის ნაღვაწს. მამაჩემი ასეთ ლექსებს ბლიაქების — ხალხური მთქმელების, ენას ეძახდა. მართალი უნდა გითხრათ,

რომ, ჩემი აზრით, მწერლის ენა სხვაა და ჩვენისთანა მოკვდავის სასაუბრო ენა კი — სხვა.

დედოფალი აქ შეჩერდა, ილიამ ამით ისარგებლა და მიმართა:

— ნუ მიწყენთ, დედოფალო, და, უნდა გითხრათ, რომ თქვენ არ ბრძანდებით მართალი. დიახ, მწერლობის ენა ისეთივე უნდა იყოს, როგორც ხალხის ენაა, ჩვენებური გლეხის ენაა..

ახლა ეკატერინემ შეაწყვეტინა ილიას:

— არა, ჩემო ილია, თქვენ უკვე აკარებთ, აბა, რა ხელი აქვს მწერლობის ენასთან გლეხის ენას. ღმერთმანი გააპირეთ თქვენ ამ გლეხით საქმე. გლეხი გლეხია და გლეხად უნდა დარჩეს. ჩვენ კი სხვანი ვართ, სხვა ყალიბის ხალხი, ღმერთისაგან სხვად დაბადებულნი...

არც ეს მოეწონა ილიას და უნდოდა რაღე უკემბი სიტყვა ეთქვა დედოფლისათვის, მაგრამ მოერიდა და ისევ სხვა მხრიდან შემოუბრა:

— ჩვენ ქართული ენის ხმარებაში ცოდვილნი ვართ, და ეს უნდა გამოსწორდეს. დიახ, ცოდვილნი... სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა მამაბაბათაგან: მანული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა ხალხი ვართ, რა ზასუხს გავცემთ შთამომავლობას! სხვისა არ ვიცი და, ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენი დედანის მიწასთან გასწორებას. ენა საღმრთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა. მაგას კაცის ცოდვილი ხელი არ უნდა შეეხოს.

თქვა ილიამ და ფეხზე წამოდგა, მაგრამ უცბად შენიშნა, რომ ეს გამომწვევი პასუხი იყო, და ისევ გამოასწორა:

— არა, მე იმას მოგახსენებთ, თქვენ თვითონ ხომ ხედავთ, ჩვენს „ცისკარში“ რამდენი ცული ლექსი იბეჭდება: ალბათ, ეს იმიტომ, რომ ჩვენს ივანე კერესელიძეს, რომელიც თვითონ პატიოსანი და კეთილი კაცია, არა აქვს საშუალება, უპატრონოს ეურნალს. მას ამისთვის არც ფული აქვს და არც ქო-

ნება, ხელმომწერლები კი ამაღლიან ეურნალის შენახვას, „ცისკარს“ თავიანთ ეურნალად სთვლიან და განუკითხავად მოითხოვენ საკუთარი უნიკო ლექსების დაბეჭდვას. „ცისკარი“ ხარჯს ამ უნიკო ლექსებით ინაზღაურებს, და ეს არის მისი მთავარი ცოდვა და დანაშაული...

— ტყუილია, ბატონო! მე კარგად ვიცნობ ივანე კერესელიძეს. ის ჩემი ბავშვების ქართული ენის მასწავლებელი იყო. მას გასაოცრად უყვარს ქართული ენა, ქართული მწერლობა. მე ის ფრიად პატიოსანი კაცი მგონია.

— დედოფალო, მეც იმას მოგახსენებდით, რომ ის კეთილი და პატიოსანია, მაგრამ მართო პატიოსნება არა კმარა, როცა საქმე პრინციპზე დგას.

— ლიტერატურა ხალხის ქუეა, ხალხის გონებაა, გრძნობაა, ფიქრია. ლიტერატურის წარმომადგენელი ჩვენში მართო „ცისკარია“ ამჟამად. ნუთუ მართლა, რაც „ცისკარში“ იბეჭდება, ქართველი ხალხის ფიქრია, გონებაა, ჩვეულებაა... ნუთუ მართლა ეგრე დაეცა რუსთაველის ერი? არა, ათასჯერ არა! „ცისკარს“ უნიკოები მოეძალნენ და ისინი წალეკავენ და დაღუპავენ ჩვენს ენასაც, ჩვენს მწერლობასაც. ჩვენთვის მაგალითი რუსთაველის ენაა. რუსთაველი ქართველი ხალხის ხმა იყო, მისი ნამდვილი ძვერა გულისა, სასიამოვნო ქროლვა სულისა. ამიტომ არის, რომ რუსთაველი შვიდი საუკუნის შემდეგ ისევ დასაგებია ჩვენთვის, როგორც მის თანამედროვეთათვის იყო.

დაუნდობლად უნდა შევებრძოლოთ. ეინე ჩვენს პოეზიას გზას უბორკავს ხელოვნური ენით, უსულგულო, უსურნელო ყვავილებად ქცეული ლექსებით. მე ამ ყალბი გრძნობით მტირალი და წირპლიანი მწერლებისა არაფერი მომწონს, არაფერი მჯერა... ვის რაში სჭირდება ასე განგებ დახლართულად წერა. „ცისკრის“ რქტომბრის ნომერში ხომ წაიკითხეთ. დედოფალო, „ონიკოვის დარდები“?

— როგორ არა, წაიკითხე და დი-

დადაც გაეხარე. და ამეც იმას მოგახსენებთ, რომ სწორედ გრიგოლ ორბელიანი ჩვენი პოეზიის შთაგონება და მავალითი. ჩემო ილია, გრიგოლ ორბელიანი და მამაჩემი სხვანაირად წერდნენ, თქვენ სხვანაირად წერთ...

— შეიძლება, ქალბატონო, თქვენ მართალი ბრძანდებოდეთ, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ მთელს ევროპაში და რუსეთში ცდილობენ გაამარტივონ თავიანთი ენა. ჩვენც უნდა მივბაძოთ ევროპის მავალითს. ამით მწერალსაც გაუადვილდება წერა და ბავშვებსაც სწავლა:

— პოეზია უთავბოლოდ გადაბმული რითმების ჯაჭვი კი არ არის, გასხივოსნებაა ქეშმარიტებისა, ცხოვრებისა. „ცისკარს“ უნიჭო პოეტები კი რითმების რაბარუხს სწირავენ აზრსა. თუ წაიკითხეთ, დედოფალო, თავად რევაზ შალვას ძე ერისთავის კოზლოვის „შეშლილის“ თარგმანი, დამეთანხმებით, რომ თავადი ერისთავი ენას ნამდვილად ბარბაროსულად ექცევა. ორბელიანის ლექსში კი დიდი პოეზიაა. იქ თვალწინ წარმოგიდგებათ სიყვარული და ორთაქალის ბალები. რამდენი ქეშმარიტება და გულწრფელობაა მის წმინდა ქართულ, პოეტურ დარდიმანდობაში, კენესაში და ნატვრაში. განა ასევე არ არის ბარათაშვილის ლექსებში?! მართლა, ახლა გამახსენდა, დედოფალო, — ალბათ, თქვენ თუ მიაწოდეთ „ცისკარს“ ბარათაშვილის პოემა „ბედი ქართლისა“ და ლექსები — „ფიქრი მტკვრის პირას“, „მერანი“ მე ეს პოემა და ლექსები პირველად თქვენს რვეულში წაგიკითხე, და როცა „ცისკარში“ დაბეჭდილი ვნახე, ფრიად გაეხარე. თქვენი დიდი პატივისმცემელი დავრჩები, თუ სხვა ლექსებსაც ვაიმეტებთ და გაუგზავნით ბატონ კერესელიძეს. ჩვენ არა გვაქვს უფლება არ მოვუაროთ, არ გავუფრთხილდეთ ბარათაშვილის ლექსებს. ბარათაშვილი არის უდროოდ დამარბული იმედი ჩვენი ერისა, და იმას, რაც მისგან დავგვრჩენია, თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ...

— მართალია, ჩემო ილია, მართალია. მე ამას გვიან მივხვდეთ, მაგრამ დღეს გაუფრთხილებლობას ხომ ვერ ვინ მისაყვედურებს? ბარათაშვილის ლექსები საიმედო ხელშია... უნდა ვითხრათ ჩემო ილია, რომ თვით ბარათაშვილი, ვინც თქვენ სალოცავად გაგიხდიათ, სხვანაირად წერს, ვიდრე თქვენ.

— შეიძლება, ეს ასე იყოს, დედოფალო, და ამიტომ უნდა მოგახსენოთ, რომ კაცის ენა ადამიანის მსგავსად იზრდება და ვითარდება. ის ამ ზრდაში იცვლება, როგორც ჩვენ კაცნი ზრდაში ვიცვლებით ზოლმე. ხშირად იჩნება, რომ კანონები, ერთ დროს საჭირო, სხვა დროს უვარგისია ზოლმე. იმიტომაც ახალი ენა ძველს ენას არა ჰგავს, როგორც ახალი კაცი არა ჰგავს ძველსა, ძველი წიგნების ენა ახალი ენით უნდა შეიცვალოს. ეს ბუნების კანონია. ენას კანონსა თვით ენა აძლევს. ხალხი აძლევს. მაგრამ პოეზია მართო ენა როდია. ენაც, მხატვრობაც, აზრიც და სურათიც ისე უნდა იყოს დახატული, რომ წარმოიგენა ცხადად შეგეძლოთ. იქ არაფერი არ უნდა იყოს უაღბი. ნამალადვედ მოგონილი და ხელოვნური. გულის გამგმირავი კენესა, კენესა მოტყუებული გულისა — აი, რა ვგვისმის ჩვენ ბარათაშვილის ლექსებში. ამიტომ არის ეს ლექსები უკვდავი...

ეკატერინე ახალგაზრდა გვარისკაცის ალგზნებულ სიტყვებს ისმენდა და უქვირდა. ეს მშვიდი, დარბაისელი ახალგაზრდა როგორ იცვლებოდა ამ საუბარში. დიდად მოეწონა და დიდი სიამოვნებაც მოჰგვარა მასთან საუბარმა. ამიტომ იყო, რომ დაუყვავა, მოეფერა. აზრი მოუწონა და ასე უთხრა:

— ჩემო ილია, მე ბევრ რამეში არ გეთანხმებით, მაგრამ მომწონს თქვენი თამამი აზრები, და მიგულეთ თქვენს პატივისმცემლად. დადიანების ოჯახის კარი მუდამ ღია იქნება თქვენთვის და ნურც ნურაფერზე მომერიდებით. თქვენი ნახვა ყოველთვის სისამოვნო იქ-

ნება ჩემთვის და ჩემი ოჯახისათვის.

ესა თქვა დედოფალმა, დაემშვიდობა სასურველ სტუმარს და დასასვენებელ დარბაზში გავიდა. ილია ერთხანს გაოგნებული იდგა და აბეზარ ფიქრებს იგერიებდა. შემდეგ დამშვიდდა, ერთბაშად მოტრიალდა და შინისაკენ გასწია.

* * *

1259 წლის მაისს აკაკი წერეთელი რუსეთს გაემგზავრა, პეტერბურგს ეწვია. პეტერბურგში ჩასულმა თავისიანებს ბარათი მოსწერა:

„მშვიდობით ჩამოვედი, თუმცა კი ღიად დავიღალე. ორპირამდე (მარნაშდე) ცხენით ვიარე. იქ ნავში ჩაჯექი და მივანდე თავი ვადარეულ რიონს. ფრთამდე ორ დღეს მოვუნდი სიარულს. აქაც სამ დღეს დავრჩი, დავსწარ ფოთის კერძებევს. მერე კი სამხედრო ცეცხლის გემით გავეშურე ოდესისაკენ. თქვენი დავალებაც შევასრულე. ვორონცოვის ქვრივი მოვინახულე. ვორონცოვის კნენიამ შვილივით მიმიღო და დედამშვილურადაც მომეცა, გამომკითხა ყველას ამბავი და, ბოლოს, გიშრის ჭვარი რომ გადავეცი, დიდი სიამოვნება დაიმჩნია: „გახსოვართ ქართველებს? და ჩანს, რომ ჩემს ქმარს მალე არ დაივიწყებენო“... პეტერბურგს რომ მივედი, ჩემი ძმა არ დამხვდა, კანოები ცარსკოე სელოში გადაეყვანათ და მხოლოდ მეორე დღეს წავედი მის სანახავად. ჩემი ძმა თურმე უფრო ადრე მომელოდა და, გზაში რომ დამგვივინდა, შეშინებოდა, ვაი თუ რამე დაემართათ. რომ მივედი, ძალზე გაიხარა. იქ ჩემი ნაცნობი იმერლებიც ბევრი დამხვდა და შემომხებვიენ გარს.

იმ დღეს ცარსკოე სელოში ვიყავი. ჩემმა ძმამ ილიკომ დადიანის ქვრივთან მიმიყვანა — ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულ ეკატერინე დადიანთან. დედოფალმა მომიალერსა, ყველაფერი გამომკითხა და ასე მითხრა: „რამდენითა ხარ უფროსი ამ შენს ძმაზე, ილიკოზე?

შენი ილიკო კარგი ბიჭია, კონვოტობთ-გასახელა ამ მაისს ქართველებმა ჩემი ილიკო სულ მასთან არის; და ჩინებულნი მხედარია“. სულ აქო და აქო ჩემი ძმა.

„ჰო, ასეა, ილიკო ისე ცვიციკია არის, არც წვერი აქვს და არც უღვაში. ყველას ჩემი უმცროსი ძმა ჰგონია. მე როცა უფთხარი სამეგრელოს დედოფალს, ჩემზე უფროსია-მეთქი, დიდად გაიკვირვა.

„ეკატერინე პეტრე ბაგრატიონის სახლში დგას. პეტრე იმპერატორის ამალის კონვოის უფროსია. დიდად კარგი კაცია და ჩვენი — სტუდენტების — საქართველოდან აქ წამოსული კაცის ხელის გამწვდელი და მჩჩველი. მე გულთ შემიყვარდა ეს კაცი, იმიტომ კი არა, რომ ჩინები აქვს. ეპოლეტი სულ მასხარაობაა, არც ჩინი შეადგენს ბედნიერებას. და თუ შეადგენდა აქამდის, ის დროც მალე წაბრძანდებდა. სიმდიდრით, ჩინითა და სხვა ადგილებით ამალელებს, ხარისხებით მოპოვებულს სახელს, რომელიცა ამ ჩვენს დროში მანკიერებით მოიპოვება, — ადიდებს და შენატრის უგუნური ხალხი. კაცს, სულითა და ხორციით განსწავლულს, ეზიზღება ამგვარი სახელის მოპოება და მომპოებელიც...“

აკაკიმ ერთი კვირის შემდეგ კვლავ მისწერა ბარათი თავის დედას:

„ძვირფასო, ბატონო დედა. მე დევახლოვდი ბაგრატიონების ოჯახს. პეტრე ბაგრატიონი დიდად სიინტერესო კაცია. ამდენი ხანია აქ ცხოვრობს და, როცა შემხვდა, ქართულად მომიკითხა. მე ვაკვირდი და იმანაც სიცილით მითხრა: „განა ქართველი აღარა გგონივარო? დიდი ხანია, რუსეთში ვარო და ცოტა დამაფიწყდა, თუ არა შენზე უკეთ ვიცოდი ქართულიო. შენც, როგორც იმერელი, უიჭველია, იმერული კილოთი უყიდებ. მე კი წმინდა ქართული ვიცოდი. თბილისში საახნაურო სასწავლებელში ვსწავლობდი ერთად ტატო ბართამშვილთან, პოეტი რომ იყო, და ბრალიც იყო ჩემი რუსეთში წამოსვლა და კორპუსში გადასვლაო.“

გამიგონია შაირებით დიდკაცობის ლან-
ძღვა? აგვიყოლია ჩვენც, მისი მეგობ-
რები, ის სწერდა და ჩვენ ვგზავნიდით,
როცა ფოსტალონი მოვიდოდა ხოლმე
ჩვენს სასწავლებელში, ჩვენ შემოვხევე-
ოდით გარს. უცხად ავუწევდით ჩან-
თის თავს, სადაც წიგნები ელაგა და
ჩავუდებდით ხოლმე ჩუმად ჩვენს გა-
ლექილ წერილებს. ის რას მოიფიქ-
რებდა, რომ ნახავდა ჩანთაში წერი-
ლებს? მიჰქონდა ადრესისამებრ, ერთი
ალიაქოთი ატყდა თბილისში, გამოძიება
დაიწინა, ბოლოს გაიგეს, დაგვიჭირეს
და ბარათაშვილს ჰონორარად 25 რუბ-
ვი მიანიჭეს. ჩვენც იმდენივე გადაგვიწ-
ვიტეს, მაგრამ მე გავიქეცი, გამოვედი
სასწავლებლიდან, კორპუსში გამომგზავ-
ნეს და მას აქეთ აქა ვარ სამსახურშიო“.

ამის გარდაც ბევრი რამ გაიხსენა
საქართველოში ყოფნის დროიდან.

იმ დღეს ისევ ეკატერინესთან მივე-
დიოთ. მასთან დამხვდნენ ჩიჭოვანი და
დადიანი, აი, ქუთაისში რომ სწავლობ-
დნენ გიმნაზიაში. ახლა აქ უნივერსი-
ტეტში უნდათ შესვლა. და დედოფალი
დახმარებას შეჰპირდა. მერე დადიანის
შვილებმა ნიკო ბარათაშვილის რვეული
გამოიჩანეს და წამიკითხეს. ო, რა ლექ-
სებია, ბატონო დედა! დიდად ვისია-
მოვნე მათი კითხვითა და დიდათაც
დავლონდი. მე თვით გავხდი გულით
უნდო, სულით ურწმუნო. ეს ორი თვეა
ისე გამოვიცვალე, რომ ვერ მიცნობ.

„უძვირფასესო ბატონო დედა! მეტი
რა მოგწეროთ. „ცისკარში“ ჩემს ლექ-
სებს არ დავაბეჭდვინებ. და თუ გნე-
ბავთ, მანდ მოგართმევთ ხოლმე. ეგრე,
ოთხმოცი ფურცელი მექნება სხვადა-
სხვა ლექსები, თუ კამედიები, თუ სხვა
რამე ერთი ჩემოდანი მაქვს და გიგ-
ზავნით ხოლმე ნელნელა, თუ გნებავთ“.

მაგრამ აკაკის „ცისკარში“ თანამშრომ-
ლობა მაინც არ შეუწყვეტია, ეკატერი-
ნე დადიანთან და პეტრე ბაგრატიონთან
შეხვედრამ, ქართველი სტუდენტების
გაცნობამ განზრახვა შეაცვლევინა:
პეტერბურგში რომ მიდიოდა, გენერ-
ლობაზე ოცნებობდა. იქ კი ერთბაშად

ღარწმუნდა, რომ ეს შეუფერებელი
ოცნება იყო. უნივერსიტეტში კი, რომ
მოეწყო, სარატოველი კემინარეის—
ჩერნიშევსკის „სოვრემენიკა“ გაიტაცა
და ყველაფერი დააფიწყდა, სწავლისა
და ლიტერატურული მოღვაწეობის გარ-
და. და აი, სტუდენტობისას უფრო უხ-
შირა და უხშირა ლექსების წერას. ახ-
ლა გულისფანქვალთ მოელოდა „ცის-
კარის“ ყოველ ახალ ნომერს. ერთ ბა-
რათში აკაკი სწერდა დედას:

„ძვირფასო ბატონო დედა! თქვენი
წიგნი მივიღე. „ცისკარი“ აქ არავის
მიუღია, და არ ვიცი, რაზე მიჯავრდე-
ბიან და რომელ ლექსზე? თქვენ რად
სწუხდებით, მივირის, რაც უნდათ, ისა
სთქვან, და ერთი ძალიც დაიყუდეს; თუ
ყველას შეუტეით, ერთ ქუჩასაც ვეღარ
გაივლი; რაც უნდათ, ისა ქნან და ილა-
პარაკონ. დასწყველოს ეშმაკი თუ შეუს-
მინეს, თორემ ღმერთი არაა, გინებით
ენას შეირცხვენენ და გაჯავრებით მა-
გათ ბრწყინვალელებს სისხლი წაუხდე-
ბა. ილაყბონ, რა გენაღვლება. მაგათ
ნებაზე როგორ გავირჩები და მაგათი
ბრძანებით რად ვივლი, თუ კარგი ბრძა-
ნება სცოდნოდათ, აღარც ვლუხებსაც
წაართმევდნენ“.

ეს ის დრო იყო, როდესაც რუსეთში
ბატონყმობის წინააღმდეგ გაცხარე-
ბული კამათი იყო ატეხილი და „სოვ-
რემენიკის“ ახალგაზრდობას ქართველმა
სტუდენტობამაც ბანი მისცა. აკაკი ამ
ცხარე კამათში ბეჯითად ერეოდა და
„ცისკარში“ დაბეჭდილ ლექსებშიაც
იმავე აზრს ატარებდა. ამის თაობაზე
ეკატერინე დადიანთანაც ბევრჯერ ჰქონ-
და დიდი კამათი.

ნიკოს უმცროსი ძმა, ანდრო, ჰედრა-
კით იყო გატაცებული და საოცარ ნიჭ-
საც ამჟღავნებდა. დღედაღამ უჯდა გრი-
ვოლ დადიანისაგან ნაჩუქარ პატარა
ჰედრაკის დაფას. ყველას ეხვეწებოდა,
მეთამაშეო. და როცა თამაშის მსურ-
ველს ვერ პოულობდა, თავის თავს ეთა-

მაშობდა. ო, რა გულით უხაროდა, როდესაც ყველას უგებდა, თავის ტოლებსაც და უფროსებსაც. იმ დღეს სტუმრად მისულ ილია ქავეკვაძესაც შესთავაზა თამაში. ილია გვარიანად თამაშობდა; სტუდენტთა წრეში ყველას უგებდა. როცა თავისზე უმცროსს, ანდრო დადიანს მიუჭდა, ეგონა, იოლად მოუუგებო, და თავს ძალას არც ატანდა. მაგრამ ილიას გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, ამ თორმეტი წლის ბიჭმა მეოთხმეტე სვლაზე რომ მოუგო პარტია. ილია დაინტერესდა და ჩააყინდა. სულ აგებდა, მაგრამ გაიძახოდა: კიდევ ვითამაშოთ, კიდევ ვითამაშოთო. მთელ დღეს ითამაშეს, და ილიამ ვერც ერთხელ ვერ მოიგო. გაოცდა ილია; დიდად გაოცდა. მერე ხელი მოჰხვია და „მეტოქე“ გადაკოცნა.

ამ დროს დარბაზში ეკატერინე შემოვიდა. ილიას მიესალმა და მასთან მასლაათი ვააბა. ანდრო კი ჩუმად გავიდა დარბაზიდან. ეკატერინე მღელვარებით უყვებოდა ილიას:

— თქვენ, ალბათ, არ მოგესხენებათ, რომ ტატოს ლექსები ჩემზედაც აქვს დაწერილი. მე იგი ბავშვობიდან მიცნობდა. მაშინ მე, მასზე უფროსი, ყურადღებას არ ვაქცევდი. ახლა ვწუხვარ და ვნანობ ამას... როგორ მახარებს მისი ლექსების კრებული! მე ეს ლექსები ტანჯვით სავსე ცხოვრებას მიაღწილებს. ახლა, როცა ამ ქვეყნად არც ჩემი დავითია და არც ჩემი ტატო, წარსულითა ვცოცხლობ და ამ ლექსებში ვპოულობ სულიერ საზრდოს. ასე მგონია, მე და მხოლოდ მე ვიყავი მისი ლექსების მუზა, მისი დიდი ტკივილების საბაბი. როდესაც „ბედი ქართლისას“ წერდა, ალბათ, მაშინაც ჩემზე ფიქრობდა. დიახ, სამშობლოს ბედი, ჩვენი ქვეყნის ბედი, ჩემი ბედიც იყო. მე მის გულში ვიყავი, მასთან ვიყავი განუყოფლად. მისი ფიქრიც და ოცნებაც მე ვიყავი, და სამშობლოზე ფიქრის დროს ჩემზეც ფიქრობდა უეჭველად. ასე ვფიქრობ და ეს მიამებს ქრილობას სულისას. ამიტომ ახლა ჩემთვის ამ კრებულზე ძვირ-

ფასი არაფერია, და ჩემს შვილებს ანდროძად ვუტოვებ: როცა მოეკიდები, ეს წიგნი თან ჩამატანე საფლავში, რომ საიქიოში ამ წიგნით წარვდგე მისი ავტორის წინაშე.

ესა თქვა და ერთბაშად შეჩერდა, მერე საუბარი სულ სხვა საგანზე ჩამოაგდო:

— ჰო, მართლა, წერეთლის ლექსები წაეკითხე. წერეთლისა და შენი ლექსები ერთ პანგზეა აწყობილი, ხალხურ პანგზე, ალბათ, იცნობთ კიდევ ერთმანეთს?

— დიახ, დედოფალო, ვიცნობ, შარნან ჩამოვიდა აქ. კარგ ლექსებსაც წერს და კარგადაც სწავლობს.

— მეც გავიცანი. ნათესავად მერგება. თქვენ ორივენი ნათესავეები ხართ ჩემი: ის დადიანებისა და შენ ჰავეკვაძეთა მხრით. დავით დადიანის დედა წერეთლის ქალი იყო. მე და დავითმა, ახლად ჯვარდაწერილებმა, იმერეთში რომ გამოვიარეთ, წერეთლებმა ირმების მთელი რემა მახუქეს. ო, რა შესანიშნავი სანახაობა იყო! როცა მორეკეს ეს ლამაზი ირმები დადიანის სასახლეში, სათითაოდ ყოველ მათგანს მოვეფერე და ისე გავუშვი ნაქრძალში. მაგრამ რა, ახლა აქ წამოვედი და არც კი ვიცი, რა დღეში არიან ისინი. ეჰ, რა რიგად წავიდა ჩვენი საქმე, ჩემო ილია! ვაჰ, დრონი, დრონი, ნაგებნი მტკბარად, წარილტვენ განჰქრენ...

ილია ყურს უგდებდა დედოფლის სევდიან სიტყვებს; მაგრამ ბარათაშვილის ლექსები მოაგონდა და ბოლომდე ვერ მიადევნა გონება დედოფლის ნათქვამს.

საუბარი ისევ ბარათაშვილზე ჩამოვარდა.

— თქვენ ბრძანეთ, ტატო მოუსვენარი და დაუდგრომელი იყოო. მჭერა, ასე ბქნებოდა, ეს მისი ლექსებიდანაც ჩანს. ის იმ ბრწყინვალე და დიდ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, იშვიათად რომ იბადებიან, მაგრამ, სამწუხაროდ, ასევე უმალვე რომ ქრებიან, ცოტა ხანს რომ ცხოვრობენ. საჭამ ცოცხლობენ,

ისინი სულ შფოთავენ, ვერ ისვენებენ. თვით ის დიდი ტალანტი, რომელიც ღმერთს მათთვის უბოძებია, არ აკმაყოფილებთ, რაღაცას მიუღწეველს ეძებენ...

ილიამ ეკატერინეს შეხედა, მისმენს თუ არაო. დედოფალი გულისყურით უსმენდა.

— დიახ, ისინი რომანტიკოსები არიან და არ აკმაყოფილებთ, რასაც ხედავენ. რასაც ჩვენ ახლა ვხედავთ, რასაკვირველია, უვარგისია, ხოლო დიდი აღამიანები, რომელნიც დიდ რამეზე ოცნებობენ, არარეალისტებად გვეჩვენებიან. ბარათაშვილისათვის სულშემხუთავი იყო ის შავბნელი რეაქცია, რომელიც საქართველოს დაპყრობას, დამოუკიდებლობის დაკარგვას მოჰყვა...

ეკატერინემ აქ ერთი ამოიხვნეშა, თითქოს ილიას სიტყვებს გული თან ამოაყოლო, მაგრამ ილიას ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია და განაგრძო:

— შეუძლებელი იყო მისი ტალანტი შეჭვებოდა მის ბნელ დროებას, მისი დიდი სული არ ეტეოდა ამ საშინელ არტახებში. ეჰ, უღვთო იყო მისი სიკვდილი! ვაი, რომ მაშინ ვერავინ დაინახა ეს ღმერთკაცი. მაშინ კი არა, ახლაც ვერ ვაფასებთ. ის ისეთი ნათელი კაცი იყო, რომ თავისი ლექსებით გარშემო ანათებდა და ჩვენ მაინც ვერ ვხედავდით მას.

— თქვენ მართალი ხართ, ილია. მე ვეღარას ვიტყვი მის ტალანტზე; რადგან, ეტყობა, ვერც მე ვხედავდი მას. როცა იგი ვნახე, გათხოვების შემდეგ თბილისში წინოსთან ერთად, დიდად დაფიქრებული და დაღონებული იყო. დიახ, მაშინ აღმოვაჩინე მე ის, მაგრამ უკვე გვიან იყო. მაშინაც თავს ისე გვაჩვენებდა, თითქოს კარგ გუნებაზე იყო, ხუმრობდა, გვაცინებდა, გულში კი დიდი ვარამი ჰქონია. ეს ვარამი მე მერე, მისი ლექსების წაკითხვის შემდეგ, დავინახე. ზრუნვა კი ვერ გამოვიჩინე ასეთი კაცისათვის...

— არა, მე თქვენზე არ მოგასტუებთ, დედოფალო, თქვენ რა შუაში ხართ! მე მის მეგობრებზე ვლაპარაკობ.

აქ ცოტა შეყოყმანდა ილია. პირდაპირ უნდოდა ეთქვა, ამას გრიგოლ ორბელიანზე ვამბობო. ილიამ იმ დროს არ იცოდა ბარათაშვილისა და ეკატერინეს რომანის ამბავი.

— დედოფალო, საქართველო ახლაც მიწაზე ვართხმულია, დამარცხებულია, მაგრამ ისევ მოიკრებს ძალას. მე ვერ შევესწრები იმ ხეტარ დროს, მაგრამ იმ დღეებს ახლაც ვხედავ, — თქვა ილიამ.

— ეჰ, თქვენ კი მოვესწრებით, მაგრამ ვაი, რომ მე ვერ მოვესწრები! — ეკატერინეს ეგონა ილია ჩემს წართმეულ ტახტს გულისხმობსო. — მე ვამარტლებენ და ჩემ მტრებს ზიზღით მოიხსენიებენ, მაგრამ ეს მაშინ იქნება, როდესაც ეს ჩემი ხელი ისევე ცივი იქნება, როგორც ის გული ჩემი მტრებისა, რომელთაც ასე სასტიკად გამიმეტეს.

სწორედ ამ დროს დარბაზში ეკატერინეს შვილები შემოვიდნენ, და საუბარიც სხვა საგანზე გადავიდა.

ის ზაფხული დედოფალმა ცარსკოე სელოში გაატარა. თვით მეფის ოჯახიც იმ ზაფხულს პეტრე ბეარატიონის სასაღესში იდგა და ეკატერინეც იქ იყო. ცარსკოე სელოს წესრიგსა და უშიშროებას სავანებო წარი იცავდა.

ცარსკოე სელოს ახლოს, პავლოვსკის სამეფო ბაღში შადრევანი ცამდე ისრულდა შეფეხბს, სავაზაფხულო აივანზე მუსიკა უკრავდა და შტრაუსი დიორიორობდა. მთელი ბალი განცვიფრებული შეკყურებად შტრაუსს. პრინცესები, სეფე-ქალები, ლამაზმანები ყვავილებს ესროდნენ მუსიკის დიდოსტატს. დედოფლები კი ყვავილებში მარგალიტებს ატანდნენ და ისე უძღვნიდნენ მუსიკის ჯაღოქარს. ეკატერინე და მისი შვილები განცვიფრებული შეკყურებდნენ გენიოს მუსიკოსს. გაოგნებული თევდორე ზოშტარია იქვე იდგა და ხელუბაპყრობილი ღმერთს შეჰლაღებდა ამის მსგავსი მის თვალებს არაფერი ენახა, მის ყურებს არაფერი მოესმინა.

ილია და მისი ქართველი მეგობრებიც იმ ზაფხულს პავლოვსკის სტუმრები იყვნენ.

პოლიკარაე კაკაბაძე
მეფე ვახტანგ პირველი

დრამატული პოემა სამ ნაწილად
ნაწილი პირველი
დრამა ოთხ მოქმედებად
მოქმედება მეოთხე

მეხეთის ვალენის გარეთ. სცენის სიღრმეში ჩანს ქალაქის მთავარი კარები. სცენაზეა გრიგოლი, დემეტრე და მღვდელი.

- მღვდელი — მეუფისაგან მიტოვებულ დარბაზს ვინ იცავს?
გრიგოლი — ო, თუ დარაჯი არ გაუჩნდა, ერი წალეკავს
განძს, საუნჯეს და კედლებს დაღრღნის.
- დემეტრე — როცა მეუფე
მიაშურებდა ქალაქ გარეთ და ღრმა ვედრებით
მეფის საცქერლად გამომდგარ ბრბოს მკაცრად
ქლუბდა, მე
ჩავსვი დარბაზში დარაჯები.
(შემოდიან შიპრან, დინარა, მსლბელი)
- გრიგოლი — (შოსულთ ვკებება) როგორც გავიგეთ,
მეუფემ ბანაკს მიაშურა.
- მღვდელი — ბოროტს ველოდეთ.
დინარა — ვით დამამცირა, თვალს ძლივს ვახელ.
გრიგოლი — ამ სიმკაცრისთვის
ის შეჭულდა ერს,—შენ, ვით ცისკარს, გავიღო გული.
- შიპრანი — ნდობა დაკარგა.
დინარა — სირცხვილისაგან აწ მხოლოდ ტახტის
დაპყრობა გვიხსნის.
- გრიგოლი — მაშ, ქალაქის კედლებს მივხედოთ,
სანამ თავის სპით მოიჭრება.
- დემეტრე — მაშ, დროს ნუ ვკარგავთ.
(დემეტრე და გრიგოლი მიდიან. შემოდიან ეზდიგერი, კიროსი და ბაქარი)
- შიპრანი — ირანის ბურჯნო, ხედავთ, რომის მზაკვრულ
საქმეებს?
ეზდიგერ — ჩვენ შაჰინ-შაჰის თვალყურად ვართ მოვლენილი და
ვკვებრა. რომ შერი მარცხი, შიპრან, მთელ ირანისთვის
საველალოა.
- შიპრანი — მეც იმედად თქვენ გიგულვებდით.
ამისთვის დიდად დამამხნევა დღეს ამ ამბავმა,
რომ თქვენს ხელთ არის ჩავარდნილი ბედის
წყალობით
მეფის ოჯახი.
- ეზდიგერ — შეეცადენ, ისინი სწრაფად

- გაცლოდენ მცხეთას და მეფის ჯარს შეეკედლებოდენ,
მაგრამ დემეტრე, გრიგოლ და მეც გარს
გაქცნენ.
შემოვიარებოდა
- ღინარა — ჯუანშერი კი ცალკე გადგა, არ ჩაერია
და ჩემს ბანაკში დაევაწინ მთელი ოჯახი.
- უხდიგერ — ძეც შენთან არის?
- ღინარა — ჯუანშერმა ამოდ მთხოვა,
ვით აღმზრდელს, ისეც დაუბრუნო.
- უხდიგერ — მამ, დაჩის ბედი
სწორად მათუწყეთ, შეეყარა, ალბათ, სენი და
მოულოდნელად მიიცვალა.
- ღინარა — ვერ შეგპირდებით,
ასე უეცრად არ მოკვდება, კეთილო.
- უხდიგერ — რისთვის?
- მიპრანი — არის მრავალი დაბრკოლება.
- უხდიგერ — ჩვენ როს შევითქვით
ღინარა ტაბტზე დამჯდარიყო, იმავე საღამოს
ნადირობაში უცაბედად ახალშერთული
ქმარი მოუყვდა.
- ღინარა — მუცლოდანაც მომამწყვეტინეთ
ცოცხალი ხორცი, სულ-ჩადგმული, ანუთუ მარტო მე
მეკუთვნის მსხვერპლი?
- მიპრანი — ძილში მქენჯნის სიძის ამრდილი.
- უხდიგერ — დაჩის გავგზავნით შაჰინ-შაჰთან, თუ თქვენ
უმუხბთლებთ,
თავის ძეს დასვამს მამის ტახტზე.
(შემოდიან შაქელი, გრიგოლი და დემეტრე)
- გრიგოლი — მეუფე თავის ერს დამორდა, კეისარს აპყვა.
- უხდიგერ — რომს ავი ეამი თავს ატყდება, ვით ციდან მები.
- მიქელი — გლეხებუა მხედრის გამეფებამ დალუპა რომი,
მაგრამ მივიღე დღეს ბარათი, რომ ტყვეობიდან
დაულწევია თავი ნამდვილ, ღირს კეისარის
ფეოლოსის და ევდოკიას ასულს, ევდოქისი,
ვანდალებისგან გატაცებულ რომის დედოფალს.
ის ალტაცებით მიიღია იერუსალიმსა,
და თხოვენ მსგავსად მისი დედის, ევდოკიასი,
წმინდა ქალაქზე გახელმწიფდეს გამოყოფილად.
მე მჯერა, დმერთი ჩანგონებს შაჰინ შაჰს, — ხელი
შეუწყოს სპეტაც ევდოქიასს.
- უხდიგერ — შაჰინ-შაჰს არ სურს
წმინდა ქალაქის ფლობა, თუ დღეს უახლოვდება,
მხოლოდ ამ ზრახვით, რომ ურჩიოს საქრისტიანოს, —
ეკლესიები ნუ დავობენ ღვთის ბუნებაზე
და კაცთა შორის შფოთს ნუ ქმნიან.
- მიქელი — ო, მხოლოდ უგუნურ
რომის კეისარს შეუძლია არ დაინახოს
რა ურჩხული ჰყავს პატრიარქად. ეს არის მგელი
დაყენებული ცხვრების მწყემსად. მისი კბილები



წვდება წმინდანებს ცის კიდემდე.

ჩვენ მისგან განსხვავდებით.

ეზდიგერ
მიქელი
გრიგოლი
მიქრანი

— აწ საქმე გემართებს.

ვანტანგ ჯარით მოემართება.

— მან შეურაცხყო წმინდანი და უებრო სატრფო,
თავის სამეფო ცოფ-შეყრილად გამოაცხადა.

— აქ დათმობა და მორიგება არ მოხერხდება.

— ჩვენ ვიცნობთ სასტიკ მის სპასპეტებს.

დემეტრე
გრიგოლი
მიქელი

— თვით ჟუანშერი,
მისი დიდების მოადგილე, ვერც ებრძვის ვანტანგს,
ვერც აყვა მცხეთის შესამუსხრად.

დემეტრე

— მცხეთის გარეთაც
წმინდანს ემხრობა ყველა კუთხე.

ეზდიგერ

— თქვენი შფოთი ჩვენს ჰირად გვიჩანს,
ამისთვის ყოველ ღონით ჩემს დას, ვანტანგის დედას,
მოვეპატრონე, როცა მცხეთის გარეთ ილტვოდა.

მე ზოგიერთი ერისთავით შემოვერტყე და
ის ჩემს ბანაკში შევიფარე ყოველ მარცხისგან.
ახლა მზად ვარ, თუ დამაკისრებთ, მივეგვარო ვანტანგს
და ვცადო თქვენი მორიგება მშვიდობიანად.

გრიგოლი

— მას ვერ ვენდობით.

დემეტრე

— ჩვენ შორის გზა და ხიდი ჩატყდა.

ეზდიგერ

— მაშ, ომს აჩალებთ?

გრიგოლი

— აქ ლაშქრით მას ვერ შემოველშვებთ.

მიქელი

— ვერ დაეანებებ ღვთის სახელით ძალმომრეობას.

ეზდიგერ

— ო, მეც თქვენთან ვარ, კეთილებო, მე მსურს
შევთხოვო

მიქრანი

თქვენი სახელით და ვით ბიძამ, მეუფე ვანტანგს,
თავის ცოლვილი სპა დამალოს და მცირე მხლებლით
შემობრძანდეს აქ, ვით მეუფე და ვით პატრონი.
ეფიქრობ. სიშმავე და სიფიცხე ღონემცირესგან
თქვენთვის საწიში არ იქნება, მაგრამ უწყოდეთ,
იმის ღირსებამ მორჩილებით უნდა მოეპყრათ.

მიქელი

— ასეთივეა ჩვენი ზრახვა, ბრძენო ეზდიგერ.

ეზდიგერ

— ამაზე კეთილ აზრს ვერავინ შთაგაგონებდა.

— ხოლო მშვიდობა თუ დაგმო და ომი დაიწყო,
ვიბრძოლებ თქვენთან ერთად მეც და მთელი
სპარსეთის

მიქრანი

მტკიცე ძალები მოსათრეუნად.

— შენ ხარ, ეზდიგერ,
ჩვენი იმედი ერთადერთი.

დინარა

— შენ გულს გეხარებ, ვით მქენარ წალკოტს ციური
ნამი.

ეზდიგერ

— მაშ, თქვენ შებრძანდით და ემზადეთ თავდასაცავად.
ვინძლო არ გასჭრას მეუფეზე კეთილმა რჩევამ,
მე კი ძვირფას დით და დისწულით მივალ ვანტანგთან.

ხმები

— ვაშა, ეზდიგერ, მშვიდობა ჰყოს ჩვენში განგებამ.
(ყველა მიდის. რჩებიან ეზდიგერი, კიროსი, ბექარ)

კიროსი

— შაპო ეზდიგერ, ვით შეპირდი, რომ მათ მეუფეს

- გააშვებინებ ერთგულ ლაშქარს და ჩააბარებ
მას, როგორც დაბმულს სამსხვერპლო ხარს.
რა საფუძვლებზე
- ბეჭარ** — ამყარებ ზრახვას?
- ეზდიგერ** — მათ ვაბრძობ, როდესაც ვახტანგს
მათი სახელით წარვუდგები ასე თავხედი,
მოთხოვნიით, ბრაზით აენთება, ატყდება ბრძოლა
და შაჰინ-შაჰმაც ეს გვანიშნა, რომ იბერიის
შინაურ ომში ჩაბმით დღეს რომს ჩამოვაშორით.
- კიროსი** — ყოველი მხრიდან მზვერავეები გვითვალთვალებენ.
(ველა მიღას, შემოღიან საურმაგი, სპასპეტები, პეტრე და ლეონიდე)
- საურმაგი** — ახლა მესმის, რა საშიშია ეს მღელვარება
მთელ სამეფოსთვის.
- ბივრიტიანიე** — მისთვის მხიბლავს სიტყვა — სამეფო,
რომ ჩვენ ვახტანგი გვყავს შეუფედ. მაგრამ ამ ქვეყნის
მცხოვრებნი ერთ ბრბოდ დღეს ვიხილედ და
დავრწმუნდი, რომ
გესლს მიფარავდენ; ვერა ვცნობდი და დღეს თავს
ვკითხავ,
ნუთუ სულყველა ერთნაირად ბოროტია და
მხოლოდ სიცრუით განსხვავდება ერთმანეთსგან?
ლეონიდე — ბრბოს საკუთარი თავი არ აქვს.
მათ ამოძრავებს
გრძნობა და აზრი მოხვეული.
- ნასარ** — უნდა წარვუდგეთ დოსტაქრად ჩვენს ნაღრძობ
ქვეყანას.
- არტავაზ** — თავს დავატეხით უწყალობა, უღმობელობა
უებარ წამლად.
- ბივრიტიანიე** — გადამდები სენი ამოვწვით.
- პეტრე** — ღმერთს ვთხოვთ. გაქრას ქადაგებამ მშვიდობიანმა.
- ლეონიდე** — გავყვეთ სპასპეტებს, კვლავ ვიხილოთ, რა ხდება
ირგვლივ.
(სპასპეტები და დესპანები მიღიან. რჩება საურმაგი, შემოღიან
ვახტანგი და სახლოხუცესი)
- სახლოხუცესი** — შენი ძეძუმტეც გეგებება.
- საურმაგი** — ქალაქში შევძვერ.
- ვახტანგ, საურმაგი** — რა ხდება შიგნით, დააკვირდი?
კუცქერ და ვერ ვცნობ
ვერც დიდს, ვერც მცირეს და არა-თუ ადამიანებს...
მათი ძაღლებიც მეჩვენება გამოცვლილებად, —
თითქო დაკინვა შეპარვით თვალში კაცთ მიმართ
და გაუსწრით კაცობაში თვის გაძაღლებულ
პატრონებისთვის.
(შემოღიან მცხეთის კარიდან საეღუბტი და ზგარამზე)
- სახლოხუცესი** — ვმადლობ ღმერთს, აი, დიდი დედა და კეთილი დაც-
ვახტანგ — (გეგებება დედას)
რა მწუხარე ხარ!
- საგდუხტ** — ჯოჯოხეთურ სიზმრიდან გვიხსნის
სინამდვილეში გაღვიძება. აქ რამ გვიშველოს.



- ვახტანგ — დამშვიდდი.
- საგდუხტ — სპარსმა სტუმრებმა შეგვიპყრეს. მაგრამ ისეთ სახით, თითქო დავეცხსნენა ჩემი ვერაგი მთავრებისგან. აწ ეზდიგერმა გამომისტუმრა მე ბოდიშით, ხოლო შენი ძე ჩუმაღ მომტაცეს და ფარულად უხმოდ გადასცეს ჭუანშერს, როგორც საკუთრება მისი — უდავო. ჩემმა ერისთავთ-ერისთავმა ეს როგორ მკადრა? რასაც ჩაიდენს ჭუანშერი, მრავალჯერ ზომავს.
- სახლთუხუცესი — მისი ფარული მეგობრობა ეზდიგერ-შაჰთან, სახლთუხუცესო. ცუდსა ნიშნავს.
- სახლთუხუცესი — მაშ, მე გაგიწევ მოციქულობას, სადაც ჯერ არს. (შემოდის ქალაქის კარიდან სამანლირი ორი მხლებლით)
- სახლთუხუცესი — ბედნიერ იყოს სამანლირ, შენი გამოჩენა.
- სამანლირი — მრავალ ცდის შემდეგ მე ვინახულე მიპრანი და ასული მისი. რაზომ დიდი აქვთ შენს წინაშე დანაშაული, იმდენად მეტის გააფთრებით ომს გიმზადებენ. — არ ჰოელიან პატივებს, სანამ გაქვს ძალა, არ გენდობიან არა ფიცით. ხოლო მაშფოთებს, რომ ზოგიერთი ერისთავი და დიდებულნი მათ მხარს უჭერენ თავის ლაშქრით. გარდა ამისა, გვერდს უმშვენიებენ მათ სპარსელნი, მოვლინებულნი თითქო ქორწილის მოსალოცად შაჰინ-შაჰისგან. მრავალრიცხოვან მხედარ-მხლებლით დამშვენიებულნი, ისინი ახლა აქეზებენ შენს წინააღმდეგ ერისთავებს და წარმართთა ბრბოს.
- საგდუხტ — ვიცნობ მაგ ბნელებს, ჰაბუკობიდან, დაქვრივებულს, რა არ გადამხდა. რამდენჯერ ველურთ წამილეკეს სამეფო. მაინც აღზარდე, ვახტანგ, ცოცხალ კედლად იბერიისა. დღეს შენი ზრუნვით მჴლე ქვეყანამ ხორცი შეიბა, მაგრამ რა? — ხორცის გასუქებამ დააღპო სული. აღეძრათ ვნება ამპარტავნულ ვანცბრომის, შენ კი ნათელი რწმენა აანთე ბნელ ირანის ზღვარზე და ვით კანდელი იკვებება ზეთით, მის მსგავსად აქ იკვებება ცის სანთელი ქართველთა სისხლით. მაგრამ გარედან მოგვეპარა ცბიერი მტერი, შენს ქვეშევრდომებს ბრძოლის ნაცვლად მან შესთავაზა მშობელი ერის ლალატისთვის გმირის წოდება, ვიდრე შენს გვერდით მოიპოვონ ქვეყნად ნამდვილი გმირობა ღვაწლით და წამებით. (შემოდის მოურავი)
- მოურავი — მეუფევ, როგორც ნიადაგი — მიწა უგარძნობი თავის გაზრდილ ხეს, მისგან მოფხვრის შემდეგ, ველარ

- (საბჭო.)
საბჭოთა კავშირის
შინაგარეო ურთიერთობების
მინისტრის
- ვახტანგ სამნალირი — მსგავსად ამისა, შენმა ერმა გადაგივიწყებდა რომელ ცოდვისთვის?
- საურმაგი სამნალირი — ალბათ, მისთვის, რომ მეუღლების ფუძედ არჩიე სათნოება.
- ვახტანგ — შეგნი მტერს არ სპობ.
- სამნალირი — შიშით შექმნილი სიყვარული უფრო მტკიცედ ჩანს.
- ვახტანგ — რა მკურნალია, ვინც სიკვდილით მოაშორებს სენს თავის ავადმყოფს?
- სამნალირი — ერის გულს ფლობს ეპისკოპოსი, სპარსი სტუმრები ხელს უწყობენ ყველა შენს ორგულს, გარეგნულად კი შემრიგებლად მოდიან შენთან.
- საგდუხტ სამნალირი — ვისი სახელით?
- ხვარამზე სამნალირი — ერისგან და ეკლესიისგან.
- სამნალირი — ო, რარიგ იპყრობს ერს სიცრუე.
- სამნალირი — ცრუ უფრო უხვად აფრქვევს ნაჭურღალ წმინდა სიტყვებს. (შემოდიან სპასეტნი)
- ბივრიტიანი — ვინმე ფირუხა მოუგზავნიათ ჩვენს ბანაკში, და მოუწამლავს სპასეტთა პური. მცველმა ეპვით გასინჯა ძაღლზე.
- საგდუხტ — ვით დაცემულან! (შემოდის ზალენი)
- საგდუხტ ნასარ — ის ეშმაკი გავიძვრათ? არა,
- არტავაზ — იქვე მკვდარ ძაღლზე დავაკალით.
- ვახტანგ — კიდევ გავტეხეთ. სწყველა მიპრანი, ვით მაცდური.
- ვახტანგ — თავი ეშმაკის გადაისროლეთ გალავანში.
- ბივრიტიანი — (ზალენზე) ეს მისი ძეა, შენ ჩაომარ სამოსს გიმზადებს.
- ზალენი — მე მოგახსენეთ, გაყოფილი ვიყავ მამისგან.
- ვახტანგ — დროებით მაინც გააძევეთ ამ ბანაკიდან.
- ბივრიტიანი — ჩვენი მხვერავნი ამჩნევენ, რომ მცხეთით შიკრიცნი იგზავნებიან იბერიის ყოველ კუთხეში შენს წინააღმდეგ შეომარების შესაგროვებლად.
- ვახტანგ — მაშ, მოემზადეთ თქვენ ქალაქზე იერიშისთვის, სახლთუხუცესო, შენ კი მანამ შედი ქალაქში და ყველა ჭურის ბრბოს უბრძანე ჩემი სახელით ენდონ მეუფის გულს, ზრახვებს და მშვიდობით შემხვედენ.
- ბივრიტიანი — ვუცდით ბრძანებას. (აპირებენ წასვლას)
- სახლთუხუცესი — გულით ვიღებ ამ დავალებას.
- ვახტანგ — მოურავიც თან გაიყოლე.
- საგდუხტ — მე მხურვალედ გზას დავილოცავთ. (სპასეტები მიდიან, სახლთუხუცესი მხლებლებით მიადგება ქალაქის კარებს. ქალაქიდან ისმის ზმაური და მიდიან ქალაქში. იმავე კარებიდან შემოდის ეზდიგერი, კიროსი, ბეჟარი)



- ეზდიგერ — სალამი ჩემს დას, მიხარია, რომ გამოვიხსენებტერთა ხელიდან, ძეს მოგვევარე.
- საგდუხტ — ნეტავ რა ზრუნვით
- ეზდიგერ — ასული ხარ შენ ჩემი მამის, ალვანთა შაჰის, მახსოვს, რა ქებით დაგაბრძანა მან აქ საყდარზე. ახლა თვითონ შენ აირჩიე იბერთ დედოფლად ასული მზისა შესადარი, მაგრამ რას ვხედავთ, ქორწილი იქცა შავ გოდებად.
- ვახტანგ — შენ ზრუნავ ჩვენზე?
- ეზდიგერ — ————— ჰო, ვით ბიძა.
- საგდუხტ — ————— არა, ეზდიგერ, კარგა ხანია შენ აღმოფხვერ ჩვენი და-ძმობა.
- ეზდიგერ — ————— რით?
- საგდუხტ — ————— მეუღლისგან დაქვრივებულს რისხვად დამესხი, გამძვინდი, რომ არ შემრჩენოდა გვირგვინზე ჭვარი. მშობელს ნებართვა გამოსძალე ჩემს დასამხობად, მე კი სიცოცხლეს არ ვზოგავდი იბერიისთვის, შაჰის ასული ქაჯის მსგავსად ტყე-ველში ვრბოდი და შიშველ ფეხით ვუძღვებოდი ჭარს ზღუდეებზე. ოდეს მოსყიდვით შეიერთე ქედს იქეთ სკვითნიც და სრულ აღმოფხვრით დამემუქრე, მივიჭერ შაჰთან, დავეც გოდებით, დრტვინვით, ზარით. გადმოვიყარე მამის წინაშე ტუტეები და მოვითხოვე ან გავესრისე თავის ქუსლით, ან ვეხსენ შენგან, მოვუღლებ გული და ზეიმით მობრუნებულმა ერს გადარჩენა მოვულოცე და ვუგალობე, ვით ავადმყოფ შვილს, ავ სენისგან გამობრუნებულს, უმღერის დედა სასოებით.
- ეზდიგერ — ————— მეც მორჩილებით
- საგდუხტ — ————— არა, მას შემდეგ
- ეზდიგერ — ————— ჩემად მკვლელები მოგვიგზავნე.
- ვახტანგ — ————— მეც გავიხარე უბედურება რომ ავშორდათ, ჩემს თავს ვკიცხავდი წამიერ ცოფის აყოლისთვის.
- ეზდიგერ — ————— როგორც ჭიანი ნაყოფი, მღრღნელის შიშით ადრე მწიფდება. ეგრე მეც მოვიყრიბე ძალა ადრე ყმაწვილობაში
- ვახტანგ — ————— მეც მოვიყრიბე ძალა ადრე ჰასაკში. რათა დამეცვა შენგან ეს სამეფო.
- ეზდიგერ — ————— მე შენს სისხლზე მეტს ცრემლს ვღვრიდი შენი სიბრალულით.
- ვახტანგ — ————— როცა ვინმეზე შენ მახვილს ლესავ, დიდ თანაგრძნობით ყურს უშედავ.
- ეზდიგერ — ————— თუ ბოროტება მიქნია, სხვის ძალდატანებო.
- ვახტანგ — ————— შენ თავს დამესხი შაჰინ-შაჰის ლაშქრით, მე კი ტყვედ შეგიბეჯარ და თავისუფალ გყავ.

- ეზდიგერ — გმირს შეშენის
ბიძის დაზოგვა.
- ვახტანგ — დაარღვიე შენ ყველა ტერიტორიას
ეზდიგერ — ყველა საქმენი მე ავწონე ყრმობიდან დღემდე
და შემოყვარდი ძეზე მეტად.
- ქიროსი — ჩვენ გეახელით
შაჰინ-შაჰისგან მოსალოცად.
- ბექარი — მოგვაქვს მშვიდობა.
ვახტანგ — ო, ეზდიგერსაც მშვიდობა სურს, ვით ბრძანა.
ეზდიგერ — დიახ,
ჩვენ მოძღვარს, ბრბოს და ერისთავებს
მოვეთათბირეთ,
მოგვაქვს ქვეყნის ხმა და ერთპირად მოგმართავთ.
- ვახტანგ — ყველა
შეთანხმებულხართ.
- ეზდიგერ — ხოლო ღმერთს ვთხოვ, თვალი და ყური
აგინვნას.
- ვახტანგ — მეც ვთხოვ უფალს, ბრძანეთ.
ეზდიგერ — ყველა მოვითხოვთ
ისკვნა გვირგვინი დინარასთან, დღესვე, ვით დათქვიო,
ამასთან, შენი სპა დაშალო, რადგან გამდგარნი
დიდ სპის მფლობელს ვერ გენდობიან.
- ვახტანგ — ო, ჰეშმარიტად,
როგორც ხორცშია კაცის სული, ისე სპაშია
ერის სიცოცხლე. — იბერია ლეშად ვაქციო?
- ეზდიგერ — ვით ქრისტიანსაც, უნდა გსურდეს სპის გაუქმება,
რად ვინდა ჯარი, რომელიც შინ მტრად გადაგიდებს
ერს, ეკლესიას და მეზობლებს? სასტიკ სპის დაშლით
განსაცხრომელად მოიცილი შენს მზე დედოფალთან.
წმინდა მიქელთან შაჰინ-შაჰის შეთანხმებით კი
იბერიაში მეცეცხლენი აღმოიფხვრება,
აღორძინდება ქრისტეს სახლი. ხოლო ირანი
ვერავ რომისგან დაგიფარავს.
- ვახტანგ — მე ვხედავ, თურმე
თვით ჯოჯოხეთსაც შეუძლება გამოსცეს უცხო
დუღილი კაცის ყურის მოსაფერებლად,
სანამ ცხელ ქვაბში ჩაითრევდეს.
- ქარისკაცი — მობრძანდა მსლებლით
სომხეთის მთავარ-პატიახში.
- ვახტანგ — ერთად გაუღეთ
გული და კარი.
(შემოდის სომხეთის პატიახში ბაქური)
- ბაკური — ვმადლობ განგებას, რომ გიხილეთ.
ხვარამხვ — დაბურულ ცაზე
ერთი ციაცის გამოჩენაც ნალველს გვიჩაჩებს.
- ვახტანგ — იმ ჟამს გამოჩნდი, ბაკური, ოდეს გულს ძლივს ვერევი.
ბაკური — ირანის სვეტნო, თქვენ ჩემ კარზეც ჩამოიარეთ,
დამიშალებთ აქ მოსვლა

- ხვარამზე — რისთვის?
- პაკური — მაუწყეს, თითქმის ჩვენი ნიშნობა მოშალეთ და სპარსეთს თხოვდნენ, მაგრამ ამათი სიტყვა გულმა არ დაიჭერა.
- ხვარამზე — შენ გულში ყურზე უკეთესი სმენა გქონია.
- ვახტანგ — ჩანს, თქვენ ცდილობდით ჩვენს გათიშვას.
- ეზდიგერ — მხოლოდ მშვიდობას ვეძიებთ შენთვის.
- ვახტანგ — მკედრის მშვიდობას, — ლაშქარის დაშლას.
- ეზდიგერ — შენ კეთილი ხარ, მაგრამ მკაცი, ჯარი გაცდუნებს. ვფიქრობ, მშვიდ ცხვარს რომ გამოესხას ვეფხის ბრჭყალები ისიც სასტიკი შეიქმნება ვეფხივით.
- ვახტანგ — ჩემმა გამწირველებმა, ჩანს, მოგგვარეს ეს თავხედობა.
- ეზდიგერ — მაშ, რარიგ შეძლებ მოკლა შენი აღმზარდელი, მოსპო სატრფო დინარა, ამოყუეო დიდებულები, როგორ გაწყვეტ შენს მდაბიო ერს.
- საგდუხტ — გცნობილობთ, მტერნო!
- პაკური — აქ სათნოება საძრახია.
- ვახტანგ — თუ გული მეტყვის, მე გავამრთელებ მახვილით, რაც ტრფობით ჩირქდება. დღეს ფლიდ აღურსით თქვენ სამეფოს მირევთ, მაგრამ ვით ასპიტს. გისწრაფებთ.
- ეზდიგერ — არა, ვახტანგ.
- ვახტანგ — ჩასაფრული ხარო უთვალავ ჭირით ჩემს ზღუდზე, მაგრამ აწ გაწმენდ ყოველ ბიწს ცეცხლით და მახვილით.
- ეზდიგერ — მაშ, ეს პასუხი გადავცე მცხეთას?
- ვახტანგ — არ მსურს შენი მოციქულობა, ირანის ბურჯთა და მათ მხეველებს მრავალრიცხოვანს თავს დავესხმები მუხთლობისთვის.
- ეზდიგერ — მოკლე ხელი გაქვს.
- ვახტანგ — სიმართლე გავზრდის.
- კიროსი — შაჰინ-შაჰთან პასუხს არ ავებ?
- ვახტანგ — მისთვის მაქვს რვალი.
- ეზდიგერ — საკუთარ სახლს ცეცხლს ნუ შეუწოებ.
- ვახტანგ — კმარა! გაბრუნდით, დამმორჩილდეს მცხოვრებნი სანამ აედლების ქვებში მათი ხორცი აირეოდეს.
- ბივრიტიანე — გაეთრიეთ. იქ მოგიბტებით.
- ნასარი — აქ არ ვიკადრებთ ხელი დაგაპროთ. (ეზდიგერი, კიროსი და ბეჭაი მცხეთის კარებით დაფეთებულნი მიდიან. ქალაქიდან მოსმის ბრბოს ხმაური. კარიდან)

ბრძოლით გამოდიან მოურავი, ორი მცველი და შიშველ ღკ-
რილი ვალენტი. მოურავს მიეშველებიან ვახტანგის მცველი
უცხად ყველანი შესფოთებით იტყობიან ქალბატონს.
— ო, ბედავთ, კაცის მოკვეთილ თავს მცნებთს კედელზე.
— სახლოთუხუცესი!

ბაკური
ვახტანგ
საგდუხტ

მოურავი

ვახტანგ

ვალენტი

ვახტანგ

ვალენტი

მოურავი

ვალენტი

ვახტანგ

ვალენტი

მოურავი

— კეთილებო, დახუკეთ თვალი,

მხოლოდ ბოროტთა საცქერია დღეს ეს ქვეყანა.

— მეუფევე, როცა ერს მივმართეთ შენი სახელით,
ეპისკოპოსმა და მთავრებმა ყველა რჯულის ბრბო
შემოგვიხიეს გასათელად. მე ორი მხლებლით
რარიგ გამოველ, ველარ ვუწყი.

— ვალენტიც დაჭრეს.

— სასიყვდილოა, მე მგონია, ჩემი ჭრილობა
და ეს სიმძიმის მიმსუბუქებს.

— ვისკენ იბრძობდი?

— ვერ მოგახსენებ.

— მეც არ ვუწყი, მხოლოდ კარებში
მძიმედ დაჭრილი შემეფეთა:

— ოდეს დინარამ
ბრბო წააქეზა მოციქულნი რომ გაესრისათ.

მისთა თვალთავან ნაპერწყლები ცეცხლის ცვიოდა,
ვით განრისხებულ ქალღმერთისგან. ის გახსენებდა
ისჯეთის გმობით, აღშფოთებით და სიძულვილით,
თითქო გამოთქმის ეამს შენს სახელს კბენდა
კბილებით.

მან ბრბოსთან ერთად მეც ამაგზნო, ხოლო

სახლოთუხუცესს

შენი სახელით თქმული სიტყვა როს მოვეუსმინე,
სულ დავიბენი. გავეჩხირე ორ მებრძოლს შორის,
მე ეტრიალებდი ფარით ხელში და ვერ გავიგე.
რომელი მხრიდან გამიცხრილა ხორცი მახვილმა.
მხოლოდ ეს ვიცან, არც ერთისთვის საჭირო არ ვარ,
ამ ცხოვრებას ვერ მოვერგე და მიშორებს მკაცრად.
უძვირფასესი ქმნილებანი ჩემი ცხოვრების.

მეუფევე, — შენი და დინარას ქანდაკებანი

თუ ნივთიერად დაამსხვრიეს გუშინ ბნელებმა,

ამჟამად მისი წარმოდგენაც შენ და დინარამ

მოგონებაშიც შემიბღალეთ თქვენი გათიშვით

და სათაკილოდ მეჩვენება მათი აღდგენა.

ასე ზეგარდმო მადლის მსგავსი, ცხოველწყოფელი,

თქვენდამი წრფელი სიყვარული ამომიშალეთ

და ჩემთა დღეთა მიწურულში ცნობ, რომ არ მრჩება

მე ამა ქვეყნად არც ქმნილება, არცა შემკვიდრე;

მე ვკვდები ახლა უსაშინლეს, ნამდვილ სიყვდილით,

ვით ყველა, ვინცა ჩემებრ ავ ეამს დაბადებულა.

— ურწმუნობაზე მეტად შენ ვერ მოგკლავს სიყვდილი.

— აი, მეკვრება სუნთქვა...

(მოურავი და მცველი ჭალს მიაშველებენ და მიჰყავთ)

ბნდება.

- ვახტანგ — წესს ნუ მიაკლებთ,
თუმც ვერ იწამა, მაინც გულით უყვარდა დებურდნი
(მოურავი და მკველნი ფარებით ივარიებენ მფრცხველს
ვადმოსროლილ ისრებს)
- ხმები — მარჯვედ, მკველეობო, შეუხებელს ისრებს ესერიან.
- მოურავი — შეუფვე, შენთვის განვერიდოთ საშიშარ ადვილს.
- ვახტანგ — ჭუნაშერს ვუცდი, ქალაქიდან მომეგებება.
- მოურავი — უკანასკნელად თვალი მოვკარ, როს აივნიდან
ჭუნაშერ მშვიდად დასცქეროდა სახლთუხუცესის
უბედურებას, ხოლო მისი სპა ბრბოსთან ერთად
ეპისკოპოსის მოწოდებას უსმენდა ისეთ
თაყვანებით და შიშის ზარით, თითქო ყოველი
სიტყვა ზეციდან ატყდებოდათ.
- ვახტანგ — ნეტავ, კეთილო, გაგეშვილა ეს ყოვლის უმაღ;
როგორც მობრძანდი.
- ბაკური — მე დავტოვე განმზადებული
სპა შენს ზღუდესთან, რათა სადაც მიხმობ,
შევერთდეტ.
- (მოსმის საბრძოლო ხმა ქალაქიდან)
- ვახტანგ — დროს ნუ დავკარგავთ, დავატყვევოთ სპარსთა ბანაკი,
ჩემს სატახტოში შეთქმულებთან მოვლინებულნი.
მათ ტყვე ჰუნები გაუშვიათ ჩემი ციხიდან.
(ყველა მიდის, შემოდინ მცხეთის ფარიდან მიჰრანი,
დეშეტრე და გრიგოლი მხლებლებით)
- გრიგოლი — ჩვენ ვართ მართალი, თუ ვახტანგი, ამის მსაჯული
გამარჯვებაა. თუ დავმარცხდით, ცუდ სახელს
ვაოვებთ.
- მიჰრანი — ჩემო ერთგულო ერისთავნო და ნათესავნო,
ისეთ მტერთან გვაქვს საქმე, იმედს ნუ მივეცემით,
სანამ არ ვნახავთ მას ჩვენს ზელში.
- დეშეტრე — მიჰრან, უფალო,
შენს მხარეზეა ეკლესია, ქვეყნის წმინდანი,
ყოველგვარი ბრბო, დიდებულნი და მდაბიონიც,
მისთვის მოსთხოვა ეზდიგერმა თავხედად ვახტანგს
ჯარი დაშალოს.
- მიჰრანი — ეზდიგერის მხოლოდ გვეჯეროდეს. —
ბრბო მუხთალია, დიდებულნი გულჩახვეულნი,
მიქელი. ძველი მოძულეა და ორმოს მთხრელი.
ერთადერთია ჩვენთვის სანდო, — შაჰ-ეზდიგერი.
ის ერთგულია შაჰინ-შაჰის, რომის დღეშმანი
და რაჟი ერთხელ დავიპყრობთ ტახტს მის
შემწეობით,
ვერა მოჯანყე ვერ შეგვარყევს, ვერც შინ, ვერც
გარეთ.
- (მოსმის შორიდან საბრძოლო ნაღარის ხმა. შემოდის ლომივით
მძინეარე, თმაყრილი საგდუხტი ველურ მცველებით).
- გრიგოლი — გააფთრებულა ძველებურად!
- მიჰრანი — ჩვენს დედა უფაღს
მადლ მზიური!

- დემეტრე — დიდი, მაღლი!
- საგღუხტ — ბნელსა და ქვეყნულს
თქვენი მოკითხვა.
- მიპრანი — რაღა ვწყევლი?
- საგღუხტ — იმახედ მეტად
ვინ დაწყევლის გველს, როცა ის გველად გაჩენილა.
- გრიგოლი — რისთვის გვაძაგებ?
- საგღუხტ — თქვენ მეუფე სად გააძვეეთ,
ჩემგან აგებულ კედლებიდან?
- მიპრანი — მობრძანდეს, დაჯდეს.
- საგღუხტ — ო, სად პატივობთ!
- მიპრანი — მაღალ ტახტზე
- საგღუხტ — ტახტზე, რომელსაც
მწარე დაცინვით ჰქვია ტახტი, ხოლო ნამდვილად
მტრისგან შებმული ბორკილია.
- მიპრანი — ჩვენ მშვიდობისთვის
ძმა მოგიგზავნეთ მოციქულად, სპის დაშლა გთხოვეთ.
- საგღუხტ — მისთვის აღვშფოთდით, თითქო შხამი და ცეცხლი
ერთად
გულს ჩაგვიყენა მათმა სიტყვამ და ძლივს განერეს,
მაგრამ კვლავ მისდევს მათ ჩემი ძე და მიუსწრაფებს.
- მიპრანი — კვლავ მისდევს. მაშ, თქვენ უგებთ პასუხს ღმერთს
და შაჰინ-შაჰს.
- საგღუხტ — ო, გამოტყდი! ვით გამოძვრება მთელი თავ-კუდი
გველი ხერელიდან, გხედავ და შენს თავს ვჩეჩქავ
თვალთ,
უგებ, გყოფნიდეს მოსაკლავად.
(შემოდის ბიერტიანი)
- ბიერტიანი — დედა უფალო,
სპარსთა ლაშქარი, სტუმრის სახით შემოპარული,
ჩვენ დაეარბიეთ. მოციქულებს თავი მოგკვეთეთ
და ბრბოს გადაუგდეთ.
- საგღუხტ — ო, ეზლიგერს მოკვეთეთ თავი?
- ბიერტიანი — ჯერეთ გაუშვა ის მეუფემ თქვენი და-ძმობის
თუ სხვა მიზეზით.
- საგღუხტ — ცოცხალია?
- ბიერტიანი — არა, მაღალო,
როდესაც სპარსებს შევეუტიეთ, ის შამაცურად
ჩაღვა ბრძოლაში და დაეცა.
(შემობის მცხეთის კარიდან შირანდუხტი)
- შირანდუხტ — (ხელს იშვერს) ხედავთ, კაცთ თავებს!
- გრიგოლი — (ავირდება) ატარებენ ხელიდან ხელში.
- შირანდუხტ — ერთ დროს ბრწყინავდნენ ამ თავებზე ოქრო-
აღმასანი...
• მაგრამ მათ შორის მე მაცოფებს დედის ძმის თავი
- მიპრანი — არგაგონილი სისასტიკე!
- შირანდუხტ — ცნობთ ბოროტებას?
ხედავთ, იქ უფალ დედის ისეთ თვალთ ელვარებას,



- ს ა გ დ უ ხ ტ — რომ ეს სიავე ჩანს მის საქმედ! მე ძმა გავფუძვი და ის თავისმა ბედმა მოკლა უგნურ ბრძოლაში, თქვენ კი, ბოროტნო, რა ვალონებთ?
- მ ი შ რ ა ნ ი — დაემხო ჩემი ცხოვრების სვეტი.
- მ ი რ ა ნ დ უ ხ ტ — ვტირი ბიძას სასიკაღდლოს.
- ს ა გ დ უ ხ ტ — ასული რეგენობს, შენ კი, მიპრან, სცადე მტრის ხელით გამტარვალება, მაგრამ თავთა მათთა მოკვეთით ვახტანგმა ჩვენს და ირანს შორის უფსკრული შექმნა, რათა მტერი არ შემოდინდეს ჩვენს წასარღვენელად.
- მ ი შ რ ა ნ ი — მან გაიმარჯვა ჩემზე მით, რომ დასცინა სტუმროს პატივს, ასულის ნამუსს, ფიცს და ნათესაობას.
- ს ა გ დ უ ხ ტ — თქვენ მხოლოდ ნიღბად ეძებთ კეთილს.
- მ ი შ რ ა ნ ი — ჩემი იმედნი იქცენ მოკვეთილ თავებად, აწ შენდობას არც ვთხოვთ.
- ს ა გ დ უ ხ ტ — არც ვაპატიებთ.
- მ ი რ ა ნ დ უ ხ ტ — მე ველურსაც შენებრ სასტიკი არ გავუზრდივარ.
- ს ა გ დ უ ხ ტ — შენ სიწმინდე არცა გქონია მუხანათთაგან დასაცავად.
- მ ი რ ა ნ დ უ ხ ტ — ცილსა გვწამებენს
- ს ა გ დ უ ხ ტ — დღეს სასპეტების მოსაწამლად ბნელი ფირუზა შენ შემოგზაუნე.
- მ ი შ რ ა ნ ი — (ფირის მთელი ძალით) სიცრუეა! სრული სიცრუე!
- ს ა გ დ უ ხ ტ — (მრისხანედ) ხმა ჩაიწყვიტე! სიკვდილის წინ გატყდა ფირუზა, შეიღმაც უსმინა და მშრბელზე ხელი აიღო. ხომ ხედავთ, ვინც ხარ?
- მ ი შ რ ა ნ ი — წყევლა! წყევლა!
- მ ი რ ა ნ დ უ ხ ტ — კირის ოფლი სდის.
- მ ი შ რ ა ნ ი — ო, სული... სული მესხუთება.
- ს ა გ დ უ ხ ტ — ილოცე, მიპრან!
- მ ი შ რ ა ნ ი — იმდენად მძულხართ, რომ ლოცვისთვის ეამს ვერა გპოვებ, დაუსრულებლად მინდა გწყევლოთ. (მიპრანი დაეცემა კედელზე)
- გ რ ი გ ო ლ დ ე მ ე ტ რ ე { — კვდება... მოკვდა... (შემოდის დინარა, მიპრანის გვამს ეფარებიან გრიგოლი და დემეტრე)
- დ ი ნ ა რ ა — მირანდუსტ ჩემო, შენი დანახვა ვულს მიმწარებს.
- მ ი რ ა ნ დ უ ხ ტ — რისთვის?
- დ ი ნ ა რ ა — მოკვეთილ თავებში იცნეს მშვენიერი ჰუნი.
- მ ი რ ა ნ დ უ ხ ტ — ხაყანი?



- ეჭიბი — კმაყოფილია.
- ჭუანშერი — რომ მეუფის ძე, ღვთის შეწევნით, შინ დაიბრუნე.
- ეჭიბი — ჩემს აღზრდილს ვერვის ვერ დავეუთობ. **მეზღვირთხე**
ვით დავაკვირდი.
- ჭუანშერი — მიპრანის მარცხით მოეშალა ასულს კედელი.
მიქელი ზედავს, დინარას აწ არ შეუძლია
მეუფის სპისგან მისი დაცვა. მეზობელნი კი
ვახტანგის მტერნი, მოკავშირედ გამოსადეგნი,
შაპ-ეზღიგერი და ხაყანი მოსპობილია.
დარჩენილია საყდარზედა ეპისკოპოსი
აღელვებულის ბრბოს ამარა. და მას სჭირდება
საყრდენის დამცველად გაწვრთნილი სპა.
- ეჭიბი — ამ ქიდილში ვერ
გავერევი.
- ეჭიბი — გვერდს ვით აუვლი?
- ჭუანშერი — ერთ მხარეზეა
ჩემი მეუფე, მეორეზე ქვეყნის წმინდანი,
ვის გავეყარო, ჩემს სულს თუ ხორცს.
- ეჭიბი — კაცი სული და
თიხაა, მაგრამ ერთად ქმნიან ქვეყნად ცხოვრებას.
ჩვენც ასე უნდა მოვარიგოთ ხმალი და ჭვარი.
- ჭუანშერი — არ შეიძლება შეერთება მაგ კაცთა. როგორც
თივის და ცეცხლის.
- ეჭიბი — არ შეგშვენის უფროს ერისთავს
მშვიდად უყურო შენი ქვეყნის ხანძარს.
- ჭუანშერი — ჭერ ვზომავ, —
ვახტანგმა დაჩი მომთხოვა დღეს.
- ეჭიბი — გარდა ამისა,
მზვერავებს გზავნის შენს ბანაკში; მეტს ჭერ ვერ
გეტყვი.
- ჭუანშერი — მე არც ვუძრახავ
ვახტანგს ასეთ ქაშს, რომ შეიპყროს ეკვიანობამ. —
კაცი სანდოა მყარ ყოფაში, არევის ქაშს კი
ყველა ახალ ბედს ეძებს. გლეხი მეფობას ითხოვს,
მეფე ირჩევს მშვიდ გლახაკობას. წმინდანი იწყებს
უწმინაფრობას, ბილწი იხვევს წმინდანის სახელს.
მაშინ იქცევა ჯოჯოხეთად კაცთა ცხოვრება, —
შეუმჩნეველად გადადიან სხვა სამყაროში,
პირი მიწისა ქვესკნელისკენ ეშვება, მაღლა
ზეცა იცვლება ერთმანეთზე უყალბეს ზეციით,
სიცრუე ენას ცრუ კერპებზე ფიციით ილესავს
თვითონ სიტყვები დამუნჯებას მაშინ ითხოვენ,
რადგან ხმარობენ მათ ბაგენი არა სიმართლით
და გაცვეთისა ერცხვინებათ.
(მოსამის მცხეთიდან ხმაური. შემოდინ მიქელი, მღვდელ-
ნი, დიდებულნი და ბრბო)
- მღვდელი — დაწყნარდი, ერო, მოიქანცა წმინდანი, მაგრამ
ახლა ჭუანშერს დარიგებით მიმართავს, რათა
განცოფებულის მეუფისგან იხსნას ქვეყანა.



ქართული
საბჭოთაო

- ხმები — დაგვიდექ, დიდო ერისთავო. ფარად!
წმინდანის რჩევა!
მარცხს გვაშორე!
- ჯუანშერი — უთქმელად მესმის
შენი მომართვა, წმინდა მამავ, მაგრამ უძლურ ვარ
საქმით გიშველო.
- მიქელი — ლეთის წინაშე ვინც ვალს აიღებს,
ძალასაც იძენს მაშინ ლეთისგან.
- ჯუანშერი — ჯერ ბედს დავეუღო—
მიქელი — ლეთისგან კეთდება ყოველივე და არა ბედით.
დღეს დინარას მზე ამოვიდა ოქროს გვირგვინით,
მაგრამ შუადღის მოღწევამდე ასულმა გლოვის
ძაძა ჩაიცივა, და მე ტახტზე კურთხევის ნაცვლად
ვერჩიე წასვლა მამიდასთან.
- ჯუანშერი — ვისთან, ურჯულო—
მიქელი — დიდ დედოფალთან?
მე ვერჩიე. სპარსეთით ქსელი-
როგორ გააბას ტყვეობიდან აწ დაბრუნებულ
ევდოქსიასთან, ვისაც რომის ტახტი ეკუთვნის.
ქეშმარიტების ჩაგონებით, მას დაეუსახე
სამოღვაწეო ასპარეზი იმდენად ბრძნული,
საიმედო და სასარგებლო ვით მისთვის, ისე
ევდოქსიასთვის, მამიდასთვის და დიდ რომისთვის...
რომ მის მეგობარ მიჩანდებოდა. მამზე გამწყრალმა...
იყისრა მასთან გამგზავრება.
- ჯუანშერი — რასაც მიამბობ,
მიქელი — წმინდანო, მესმის ყოველივე.
საყდარი რევის-
შთამომავლობას უფალმა ჯერ აღარ არგუნა,
ძე შემკვიდრე კი შენა ხელთ არის, და ღმერთი
მოგთხოვა
იზრუნო მისი ცხოვრებისთვის.
- ჯუანშერი — ნუ ავჩქარდებით.
ვიცდოთ ვახტანგთან მორიგება.
- დიდებულნი — გემუდარებით.
- ჯუანშერი — ან უპატრონო იბერიას, ან მახვილს მიგვეცე.
აქედან ვხედავ, მეუღლის სპა რა მკაცრად მოდიხ.
არას დავშურავ ავიშროოთ ეს უბედობა.
(ყველა მიდის, გარდა რამდენიმე მოქალაქისა. შემოდის
სპასპეტნი)
- 1-ლი მოქალაქე — აჰა, შობრძანდით, წინამძღოლნო ავის ძალებიან!
მე-2 მოქალაქე — მოგბეზრდათ სისხლის შორს ძიება და შიგნით
გვზვიარათ.
- არტავაზ — ჩვენ არავის არ ვემუქრებით.
მე-3 მოქალაქე — მოდიხართ — თითქო
გადაგიყლაპავთ ყველა სარი.
- მე-2 მოქალაქე — მაგრამ იცოდეთ.

ისე დაგვხვდებით, ამ კედლებში კრულ გველებივით
იკლაკნებოდეთ და ხობავდეთ წელგატეხილნი.

- 1-ლი მოქალაქე — აჰა, მეუფეც მობრძანდა.
- მე-2 მოქალაქე — მას თვალი ვერ უძლებს.
(მოქალაქენი მიდიან. შემოდის ვახტანგი)
- ვახტანგ — ქალაქი გვიტყვებს, ვით სიკვდილს, ჩვენ, — მის სულის
ჩამდგმელს.
- ბივრიტიანე — წმინდანი წყევლით მათ გვამტერებს.
- ვახტანგ — მეც ვიხედები
ჩემს გულში შიშით. მყავდა და არ მყავს დღეს
წმინდანი.
- ნასარი — ჩვენ ღვთისმსახურად მხოლოდ მას ვცნობთ, ვინც
შენ დაგლოცავს.
- ვახტანგ — თქვენ სამარცხვინოდ მსჯელობთ, იბრძვით კი —
სასახელოდ.
- არტავაზ — ჩვენ გვეგონია, რომ წმინდანს არ აქვს იმდენი მაღლი
როგორც ნამდვილ გმირს.
- ვახტანგ — თქვენ უფლისგან განუყოფელს ყოფთ.
- ბივრიტიანე — შენ ძნელ ბრძოლაში ქმნი სასწაულს.
- ვახტანგ — არ დაგვეკირდეზა
ხელის გაღება, ჭუნაშერს ჰყავს ქალაქში სხვებზე
ძლიერი ჯარი, და ბრბოს ერთად დავამოშვინებთ.
- ბივრიტიანე — ჩვენი სპა მაინც წესით მოდის.
- ვახტანგ — მეც ასე ვითხოვ.
(შემოდის კრული ბრბო. შემდეგ ჭუნაშერა სპით და
დიღებულებით)
- ხმები ბრბოდან — საყდარზე დაჩი დააბრძანეს!
ვაშა ჭუნაშერს,
წმინდა მიქელის მოთაყვანეს და დაჩის აღმზრდელს!
ვაშა ჭუნაშერს, ხუთის წლის ძის უბადლო
მზრუნველს!
- ვახტანგ — ო, რას რომაევენ, ნუთუ მთელი ბრბო შეიშალა.
- ბივრიტიანე — ბრბოს რად სჭირდება შეშლა, იგი მთლად უგნურიც,
მხოლოდ დუმილის ჟამს გავს ჰკვიანს.
- ჭუნაშერი — გამხნევი, ერო!
მოემართება ვახტანგის სპა.
- ვახტანგ — ვერ გამიგია,
ჭუნაშერ. შენი გაფრთხილება.
- ბივრიტიანე — მხოლოდ გმირი იცავს სამეფოს.
- ხმა ბრბოდან — გესმით, სპასპეტნი რა თავხედად გვემუქრებიან?
- მღვდელი — ვინ ჩააგონათ, თითქო გმირი იხსნის ჰკვიანას? —
წინამძღოლს მგელთა ხროვაც იძენს, წმინდანს ცა
ნიშნავს.
- ვახტანგ — ის გაგვიძღვება სანთლად ამა ბნელი ქვეყნიდან
ღვთის მარადიულ წიალამდე.
- ვახტანგ — აჯანყებულებს,
როგორც ყოველთვის, სპასპეტებო, ის ათავხედებს,
რომ იმედი აქვთ მოვეპყრობით სრულ სათნოებით,

ხოლო ისინი სისასტიკით დაგვამარცხებენ.

ამისთვის მკაცრად შეუდექით კედლებს, ჩაგრეთ მათი
შიგ ქალაქიდან ჭუანშერის სპა ხელს შემკრწყნობით.

ჭუანშერი
ვახტანგ

— მე ერთგულება შეგვიცე — ძეს, მემკვიდრე დაჩის.

— ო, შენც მიმუხთლე!

ჭუანშერი
ვახტანგ

— — — — — ერს და წმინდანს ვერ გადავუდექი.
— თქვენ დღეს ცოცხალ ხართ ჩემი ლაშქრის სისხლით
და წყლულით.

და მარწამს წმინდანად, ვინც ჩემს სპაში გმირულად
მოკვდა.

მიქელი
ვახტანგ

— წმინდანს ღვთის მადლი ქმნის და არა მოღვაწეობა.
მიქელ!

შენ ცდილობ სწამდე სხვებს, — თვითონ არ იყო
ნამდვილი.

ერთ დროს დაგვიპყარ ქადაგებით უფლის წერილთა,

დღეს კი მოუგდე მტერს სამეფოც და ეკლესიაც:

არც ეს მუხთლობა იქმარე; შენს განსაღიღებლად

სცადე ძლიერ რომს გავთიშოდით საბედისწეროდ.

მაგრამ გამძღავნდა ავი ზრახვა.

ბივრიტიანი

— — — — — დაუყოვნებლივ

გააღეთ მცხეთის ყველა კარნი.

ვახტანგ

— — — — — ჩემს სპას ჩაბარდით.

დიდებულნი

— — — — — უმაღ

გარდავეგებით სიკვდილს!

ხმები

— რა უდიერი ბრალი დასდო მეუფემ წმინდანს.

მიქელი

— — — — — გესმოდეს, ერო!

მე შეგიყვარეთ და საყდარი გაგიძლიერეთ,

მეუფე ვახტანგ აღვიზარდეთ კეთილ მორწმუნედ.

ეგების კიდევ სხვა უთქმელი ღვაწლიც დაგდევით...

მაგრამ ესდენი რა სიკეთე მიმიძღვის თქვენდა

ძელზე გამაყრათ, თავს დამადგათ ეკლის გვირგვინი

და ამით, როგორც უსამართლოდ დასჯილს,

წამებულს,

მარგათ ციური დიდება და წმინდანად ცნობა.

მე არ ვარ ღირსი თქვენგან ასეთ მოწყალებიას,

მაგრამ თუ აღარ მოიშლით, მე აღფრთოვანებით

მივიღებ ქენჯნას და წამებას თქვენი ხელიდან.

აი, აქ ვდგავარ, და გამწირეთ, მგვემეთ, ჩამქოლეთ!

ხმები

-- ჰოი, წმინდანო!

ო, კეთილო!

ქვეყნის დიდებავ!

მღვდელი

— ვეამბორებით მიწას, სადაც შენ გაგივლია.

— დამცველო ყოველ ბოროტისაგან, ჩვენს თვალწინ
მუღამ

ამხელ სასწაულმოქმედებას.

ხმა

— — — — — უშენოდ ჩვენი

ცხოვრება იყო უწმინდური ბორცვა და ხოხვა.

მიქელი

— მე არც სასწაულმოქმედი ვარ, არც მკვერმეტყველი.



- საქმეს და სიტყვას ვავლენ მხოლოდ ლეთის ჩაგონებით.
- მე არაა ვარ, მაგრამ ჩემი მეშვეობით უახლოვდებით ციურ მამას. მე თვითონ ჩემი ჳირის წამლად რომ სასწაული დამჳირდეს, ჳეცა ძალს არ მომგვრის, ამისთვის, რომ ღმერთს სასწაულის
- მორწმუნე უფრო დიდად უღირს, ვიდრე მოჳმედი.
- ვახტანგ — კედლების ნგრევას შეუდეჳით, არტავაზ, ნასარ!
- ჯუანშერი — ამ სიმაჳკრით ერს მრავალ ჳამით გააბოროტებ.
- ვახტანგ — თუ გაიხსენებ ჳუანშერ, შენს ვალს ჳვეყნის წინაშე ნაკლები მსხვერპლით გაფჳანტავთ ბრბოს, რად ღვახარ განზე.
- ჯუანშერი — მე არ გავმდგარვარ, მზად ვარ მთელი ღონით გებრძოლო დიდის წმინდანის დასაცავად.
- ბივრიტიანე — ო, უშვერ პირზე რატომ მეხი არ დაგეცემა.
- ვახტანგ — გვიან ვიცანი. შენ გინდა ჩემი ძე ტიკინად დასვა ტახტზე და მზრუნველის სახით თვით იმეფო შეუზღუდავად. შეეფერებით შენ და მიჳელ ერთიმეორეს; მაგრამ სამეფოს არ დავტოვებ თჳვენს საჳიჯგნელად.
- ჯუანშერი — ვიცით, რა მახვილს ღესავ ჩვენთვის, და არ გენდობით.
- ვახტანგ — ერო, ბრძენო და დიდებულნო, მომეცი თხელი თჳვენს მტრისგან დამსნელს, და მიმართეთ გომობით მაცდურებს.
- გლახა — ისინი ჩემზე გაჳეზებენ, საჳუთარ თავის განსადიდებლად, ვერავ მტრებზე თჳვენს გასასყიდათ.
- ბრბოს ხმა — მეუფეე, ჩვენ არ გვაფრთოვანებს შენი გმირობა, წმინდანით ვცხოვრობთ, არა — გმირით.
- დიდებულნი — წმინდაო მამავ! შენ გაგირისხდა უსამართლოდ ჳაბუჳი მეფე. შენს წინ ვიჩოჳებთ, გვაპატიე მისი ცოდვისთვის.
- ჯუანშერი — ჩვენ გვეშინია უწმინდანოდ ცხოვრება ჳვეყნად, უგმიროდ გავძლებთ, თუ ვერა, — გმირს ჩვენ შორის ვპოვებთ, მხოლოდ წმინდანს კი ჳეცა ნიშნავს. ამიტომ შენთვის თავს არ დავრიდებთ.
- ჯუანშერი — გმირს ძნელად ვცნობთ ჩვენზე მეტ გმირად, წმინდანს კი მარად ჩვენზე ახლო ვცნობთ უფალთან და მეტ სასოებით შევეფოფინებთ.
- ბრბო — (შეჳოდის საგდუბით და მესვეტებს შიკრიჳი — ბერჳ) თავი დავიცავთ უჳანასჳნელ სულის მოთჳმამდე.
- საგდუხტ — მჳაჳრ მეუფისგან.

- ბივრიტიანე — აჰა, არ გესმით ჩვენი სპისგან კედლების ნგრევი?
საგდუხტ — ძეო მეუფევე, მოგვისმინე, აქ შიკრიკია უწმინდეს სვიმონ მესვეტესგან.
- ვახტანგ —
საგდუხტ — სვიმონისაგან? მისი ბეჭედით
- ვახტანგ — მცირე ფურცელზე.
- ვახტანგ — ეს ნიშანი მეცნობა, მაგრამ ჩემს შიკრიკს მან არ მოუსმინა. აწ მომახარე, რით მოგავლინა.
- შიკრიკი — დამაბარა, ასე გადმოგცეთ: შენ, ვინც ჩემ სვეტთან იცან გლეხის ქალად და გაპყევე უდაბნოში, ის გელოდება წმინდა ქალაქის კედელთან, მისგან დალოცვილ ხმლით.
- ვახტანგ — ვინც გლეხის ქალად ვცან, — ვინ არის?
- შიკრიკი — მე გადმოგეცე, რაც დამაბარა. მეტი არ ვუწყი.
- საგდუხტ — ბოროტს არას შეგყრის მესვეტე.
ვახტანგ — თუ ხორციელი ქალია ის, უფალო დედა, მე მისი ხილვით ზეციერად გადავიქცევი, მაგრამ თუ ღვთისგან მოვლენილი ანგელოზია, მისი ბრძანებით ვეწამები.
- საგდუხტ — მან ხმალი, ალბათ, გამარჯვებისთვის დაგილოცა.
- ვახტანგ — ძველ აღთქმაშია, რომ ანგელოზებს ღმერთმა ცეცხლის ხმალი გადასცა ადამიანთა სამოთხიდან გასაძევებლად. ახლა ვკითხულობ, ღმერთმა მაშინ გულში თუ ხმალში ჩაუდგა ცეცხლი ანგელოზებს? მისთვის ვკითხულობ, რომ იმ ეამიდან, როცა ხმალი მან დამილოცა, — გულში ციურ ცეცხლს ვგრძნობ, ხმალი კი მიწიერა მაქვს.
- ვახტანგ — მაგრამ ამ რვალით მევალება რომ მოვუარო ახალი აღთქმით გახსნილსა გზას სამოთხისაკენ. (შემოდან პეტრე, ლეონიდე, ბაკური)
- ბაკური — მეუფევე, ვხედავ, რომ ამ ჯანყში ერთად მოქმედებს გარე მტერი და შინაური.
- ვახტანგ — შენ მოელი სპას სომხეთიდან?
ბაკური — დიახ, ახლო მყავს.
ვახტანგ — შემეიერთებ უფლის საქმეში?
ბაკური — ჩვენ ერთადა ვართ ჭირში ღღემდე.
პეტრე — ნეტავ, მეუფევე, საღვთოსთან რარივ შეათავსებ შინაურ ბრძოლას. მე დავზვერე და ვხედავ, ხანგრძლივ ომში ებმები.
- საგდუხტ — განსაცდელში ვართ, ჩვენო მამავ! (შემოდის ნასარი)
- ნასარი — თუმცა კედელი მოვსპე ერთგან, ბრბო დარაზმული

ცოცხალ გალავნად აღმემართა, წინ იძღვანებენ საფრად ბავშვებს და დედაკაცებს. მე ნებას ვითხოვ აწ განურჩევლად ამოვწყვიტოთ წინ გაღმადგარი აჩანყებულნი.

ხმები ბრბოდან —

რა ქორწილში გვატიყებ, ვახტანგ? თავშესაფარებს გვიშენებდი, მტრისგან გვიცავდა, დღეს თვითონ იქვე მტერზე ავად.
(შემოდის არტავაზი)

არტავაზ —

გარს სოფლებიდან დიდძალი ბრბო მოედინება თავის წმინდანის დასახსნელად. შენი სახელით ვერ შევაჩერეთ. დაგვრჩენია მკაცრად მოვეპყრათ. — ცრუებს უნდათ მე დამატყვევონ.

ვახტანგ

ბივრიტიანე

— მეუფევე, ბრძანე გაწყვიტონ ურჩინი უღმობელად.

ნასარი

— დიდი განგება გმირ მეუფისთვის ქვეშევრდომებს ქვებისგან შექმნის.

(შემოდის ღვთის გლახები)

არტავაზ —

აი, ესენი გადაგვიდგნენ, შეგვიკარეს გზა და უსიკვდილოდ ფეხს არ იცვლიან.

ხმები

გლახებიდან

— ჩვენ ვართ გლახანი — დაღლილი მგზავრნი წუთისოფლის.

მიგვეჩქარება ზეცისკენ, ჩვენი სამშობლოსკენ.

შენ ხარ, მეუფევე,

ამქვეყნიური მასპინძელი, გმირი — ცოდვილი, ჩვენ გვყავს წმინდანი სასოებად.

არ გვაშინებს, რომ ლახვრით სიცოცხლეს დაგვაშორებ.

ჩვენ დაგამარცხებთ წყლულით, ტყვილით. არ გექირდება თქვენთვის

მახვილი! ზეცად წასული ჩვენი სისხლი ღმერთს განარისხებს, — ყოველი სისხლის წვეთი მუხად დაგიბრუნდებათ.

პეტრე

ვახტანგ

— სიმონ მესვეტეს მოციქულმა განახა, მეუფევე? — დიახ, მამაო, მაუწყა, რომ გამოუტნობი არსი კედელთან მელოდება.

პეტრე

— შენ კი გლახაკთა გოდებაში ის გავიწყდება?

ვახტანგ

— იმ წამიდან, რაც გამოუტნობი შემახსენა, აელვარდა ის სახე ჩემ სულში მსასოებელ მზიბლავ შექვივით.

პეტრე

ვახტანგ

— რა საქმით უგებ? — შენ ხედავ ჩემს ვასაჭირს, მამავე. მისი მომართვა ამიხსენი, რას ითხოვს ჩემგან.

პეტრე

— ითხოვს დატოვო საბლში მტერი და შენი ლაშქრით დაუყოვნებლივ მიეშველო უწმინდეს ქალაქს. ვინ გელოდება იმ ქალაქთან, ზორცსხმული ქალი,

- თუ ზეცის ზრახვის მოჩვენება, ერთი ვალი გაქვს: ქვეყნის სიწმინდე ხმლით დაიცვა.
- ლეონიდე — მცხეთის გარემოში გარემოება დავზვერე.
- ვახტანგ — რა გამოიტანე?
- ლეონიდე — გველის კულს აქ ნუ ედავები და გაეშურე გველის თავისა გასაქვეყნად.
- ვახტანგ — როცა მან ხმალი პირზე ამბორით დამილოცა, ბედნიერებით ზეცას ვეწიე, თუმც ვგრძნობდი, რომ თავს ვდებდი მსხვერპლად...
- ო, მამ, გაფრინდით, შეკრიკებო, და გადაეცით მცხეთის გარემო მთელ ჩემ ლაშქარს და შემტევთ უკან დაიხიონ აწ, თქვენ რად შეკრით, ჩემო სპასპეტრო? მისთვის, რომ არა თქვენი პირით გავეც ბრძანება, წესი მოვშალე?!
 რად გვიზადებ შინ დამარცხებას?
- ბივრიტიანე — ზეციდან ასე მესმის რეკა.
- ვახტანგ — ვით ზეცის რეკას, ემორჩილები ხმლის დამლოცველს.
- ვახტანგ — ბოროტებასთან ბრძოლა მიჩანს მის სიყვარულად.
- საგდუხტ — მე გმირად გზრდიდი, ახლა კი ვხედავ. შედგომიხარ სრულ წმინდანობას. მეუფება კი ქვეყნის წმინდანს უხელთებია და ჩემს სისხლ-ხორცთა სამშობლოში გზა დახშულა აქვთ.
- ამისთვის ყველა აქ აყრილნი შენ გამოგყვებით და თუ სიკვდილში სახელს შენებრ ვერ მოვიხვეყნებთ ტანჯვისგან საფარს მაინც ვპოვებთ.
- ვახტანგ — ვხედავ, გიმტყუვნა შეილის გმირობით დაქადებამ. უცხო მხარეში ვაღახვეწის მეტს ვერას გშველი.
- საგდუხტ — მე როგორც დედას, ჩემი ასულის და ბავურის ხვედრიც მალონებს, ჩვენი გაბნევით მათ ეშლებათ ქვეყნად კედელი.
- ბაკური — მართალია, ცულ რკალში ვრჩები, შინ დაბრუნება მტრის გალიაში გამომამწყვდევს და მიტომ მიჯობს უკანასკნელ სპით გავყვე ვახტანგს და ომში მოვკვდე. ვიდრე საყვარელ ხვარამხესთან ერთად შევესწრო სასტიკის მტრისგან დამცირებას.
- ბივრიტიანე — (ვახტანგს) შენი წყალობით, მრწამს, მძიმე გზას მჩატედ მოვივლით.
- ვახტანგ — ო, გავიმარჯვებთ. მეც წინდაწინ გიქადით, რადგან გამარჯვებულად ითქმის ყველა, ვინც ბოროტს ებრძვის.
- პეტრე — დიან, ბოროტზე გამარჯვებს ბოლოს კეთილი.



- ნასარი — ასეთი სიტუცა ჩვენი სპისთვის უცხოა.
- ვახტანგ —
 მე არ გპირდებით მტერზე ძღვევას, ედემს მინავედით
 ეგებ გზა გვიძევეს ჯოჯობეთზე.
- ბივრიტიანი — ბევრიც გვაფრთხილო,
 არ შევშფოთდებით, სანამ გხედავთ შენ
 წინამძღოლად.
- ვახტანგ — თქვენ შეურიგდით ასეთ ბედს, რომ ტანჯვით,
 სიკვდილის
 და დამარცხების მეტს, ჩემს გვერდით ვერას პოვებთ
 და
 თავგანწირულად, უანგაროდ მოწყევებით ომში. —
 ბრძანებას ჩემსას აღასრულებთ და ბედის სასჯელს
 უსაყვედუროდ გადაიტანთ.
- ბივრიტიანი — ჩვენ მოვიხვეჭეთ
 შენთან იმდენი გამარჯვება, გვმართებს დაგითმით
 შენგან მრავალჯერ გამოხსნილი ჩვენი სიცოცხლე
- ვახტანგ — მაშ, ჩემი სახლის კეთილ წევრთა და მეგობართა
 მსგავსად ლაშქარი ჩემთან ერთად გაუდგეს ჩემს.
 გზაა.
 ჩქარა, შიკრიკნო, შეკრბეს ჯარი წყალთ შესართავთან.
 (მოასმის ქალაქიდან ზეიმის ხმა. შემოდინ ბრძოლები, მიქელი-
 და ჯუანშერი. შემოაქვთ ძვირფას საკაცუროთ მძინარე გვირ-
 გვინოსანი მეფის ძე, ხელი წლის დანი)
- ბრბოდან ხმები — განერა მტერი, დავამარცხეთ!
 სირცხვილი სასტიკს!
 უბრალო ერმა მეომრები უკუვცაქციეთ!
 გვეზმარებოდენ უხილავი ანგელოზები!
 როგორ თავხედად დაგვცინიან!
- ბივრიტიანი — შენს კეთილ ნებას.
 საგდუხტ — რომ უბრძოლველად დავიხიოთ, რაცხენ მიქელის
 გამარჯვებად და სასწაულად.
- ვახტანგ — დე, ასე იცნან.
 მორგებულა რეგვენობა დიდი ბრბოს თავზე.
- ბრბოს ხმები — ხედავთ, ნიშანი მეუფესგან გადასცეს ლაშქარს, —
 მდინარეების შესართავთან იკრიბებიან.
- ჯუანშერი — რომის კეისრის მოწოდებით მიემგზავრებით?!
- პეტრე — ჩვენ მივალთ ვალის მოსახდელად ქვეყნის წინაშე.
- ვახტანგ — წმინდა საქმეზე მივიჩქარით და თქვენი სისხლით
 არ გვინდა ხელი შევიმწიკვლოთ.
 (შემოდინ დინარა და მირანდუხტი, მირანდუხტს უპყრია
 ხაყანის მოკვეთილი თავი. დინარა გამოიდებს სამოსიდან
 შიშველ ხანჯალს)
- დინარა — შეურაცხყოფამ ხელში რვალი ამაღებინა.
 შენ — სატრფოს თავი მოკვეთილი გიპყრია ცოფით.
- მირანდუხტ — ერი გვადარებს შავ ღრუბლიდან მოტეხილ მებებს.
- დინარა — გული გვაქეზებს მტერს დვატყდეთ, მოვსპოთ და
 გავჭრეთ.
- მირანდუხტ — რარიც ვიძიო შური ძმაზე? გაქრობა კი მსურს.

- დინარა — თუ წრფელად დრტვინავ, ხელს აღმართავ.
- მირანდუხტ — ჩემებრ: ვინ ჩემვს...
დახეთ ამ სახეს, ეს მარხის გვირგვინს... შენ მხოლოდ...
ტანს მოკვეთილი, მაინც რომელ ვარსკვლავს არ
სჯობნის.
- მე ტყვეობაში ხეს მივთხოვდი ქურუმთ დალოცვით, —
რათა დამეხსნა თავი ველურ საქმროებისგან,
ხოლო ამ ჰუნის ხილვამ ისე ამაგზნო ვნებით,
შეგუნთე ჩემად ცეცხლი ჩემ ხეს, მეხს დავაბრალებ
მისი დაწვა და შევუთვალე ხაყანს თანხმობა,
მაგრამ ამისთვის დაატეხა მას ტყის ღვთაებამ
ტყვეობა, აწ კი მოაშორა ტანი თავისგან...
ო, სამართლით მე ვაგებ პასუხს მის დაღუპვისთვის.
ამიტომ დამეც ეს ხანჯალი გულზე.
- დინარა — ო, არა,
მე ეს ვავლესე ანგარიშის გასასწორებლად
ჯერეთ ვახტანგთან, ჩემ სისხლ-ხორცის სამაგიეროდ,
შემდეგ სხვებთან, ვინც დაობლების შემდეგ
გამიდგნენ
და სასოება დაამყარეს უსუსურ დაჩზე.
(მიიწვეს დამალულ ხანჯლით მეფის ძის დარის
საკაცურისკენ)
- ჯუანშერი — ძინავს პატარას. განცლით დალილს. და რომც
ელვიძოს,
ვერვის მივეშვებ ჩემ საზრუნავ მეუფის აბლო.
- მიქელი — (დინარას) შენ და მირანდუხტს იბერიის გარე ფართო
გზა
გაქვთ გაკვალული სამშობლოდან გასამგზავრებლად.
- საგდუხტ — გზა დაგვილოცეთ ღვთის საქმეზე თავგანწირულებს,
რათა მშვიდობით სამშობლოში დავბრუნდეთ და
თქვენ,
მოლაღატენო, საქმისამებრ თქვენისა გიზღათ.
- მიქელი — ამოვარდნილი თქვენი ფესვი არ დაუბრუნდეს
მშობლიურ მიწას, ჩვენზე შხამის გამოსასხმელად.
- ბრბოს ხმები — ამინ! აუხდეს ვახტანგს წყევლა!
- ვახტანგის სპა — ქვეყნის წინაშე
ვალს მოვიხდით და დავბრუნდებით!
- ვახტანგ — ვილტვით წმინდა გზით. —
იხაროს მიწამ, შეღებილმა მართალთა სისხლით.
(მიღიან)

ფარდა

20. III. 66.

ლია სვანიძე

დ ა ლ ა ი

ოქაზის უფროსის დატირება მთაში.

დალავ ყველა პატარა გვირილას,
ყველა ზეს, რომელიც ქარში დაეცემა.
მომეცი ძალა არა ტირილის,
არამედ ზარის, მახლობელო ჩემო!
დიდ გლოვას არ ჭირდება

პარაკლისები
და ფანტიკური ხალხის ლიტანია.
იყოს ხმა, მაღალი, როგორც ევლესია.
რომელიც მოთქვამს წაქცეულ
ტანისთვის

ეს არის ზარი ცარიელ თვალების.
რომლებიც წვალობდნენ, მზე რომ
დაენახათ.

ოდნავ წამღერებით ნათქვამი დალაი—

ეს არის წვიმა და ყვითელი ვენახი...

ეს არის დროშა, სულში შენახული,

დროშა სიკეთის და მწარე სიტყვების.

რომელიც იცავდა კაცებს და ვენახებს

ბოროტებისგან. გვალვისგან,

სეტყვისგან...

დალაი კაცს, რომელსაც დროშა ეჭირა.

დალაი დროშას, რომელიც ქარში
ეცემა.
ის პირუტყვს ვერ ცემდა და ზეს ვერ
ჭრიდა —

ჩემი მახლობელი და კეთილი ჩემი...
ტყეთა სიმადლეში და დიდ სიჩუმეში
მას ესმოდა სული კაცთა და საგანთა,
და იყო იგი ტყვილამდე ჩემი
სისხლი სისხლთაგანი და ხორცი
ხორცთაგანი.

და სად არის მისი მოკვდავი ტანი?
დგას კუბო-ზარით და ბალახით საესე
და შის ნაშიერს პირველად ტანჯავს
კაცობის რთული და თბილი არსი...

დალაი, უმზეო და ჭრელა მოთქმა

და წვიმებით ივსება თვალების ჭრილი.

შეკერეთ დროშა თბილი ფოთლების

და დააფარეთ მის ღია ჭრილობას...

დალაი ყველა პატარა გვირილას,

ყველა ზეს, რომელიც ქარში დაეცემა.

შენ არ გეკუთვნის სუსტი ტირილი,
მე გეტყვი დალაის, მახლობელო ჩემო!

• • •

ერთი შვილ მაინც ვაგზარდ
ვეფხებთან მეომარია.

(ხალხური)

ზომ შეიძლება,

მე — იღბლიანმა მონადირემ

გადავიარო ჭიუხები

და ისე, როგორც ასი წლის წინათ.

შემომხვდეს ვეფხვი.

ის მოდიოდეს

ყვავილოვანი მინდვრების მხრიდან

და უძველესი წყევლა ამიხდეს:

მზე დამიბნელდეს,

ხმალი ვადაში გადამიტყდეს...

მაშინ მე უნდა მიშველოს მიწამ.

ჩამავადოს თბილ და მსუყვე წიაღში

და ჩემი ჩრდილი აქციოს მინდვრად.

მაგრამ მე მიწა არ მიშველოს —

მთელი სიცოცხლე
 მე ფეხქვეშ მქონდა ნიადაგი
 მხოლოდ სიზმრების და უჩვეულო
 სახეების...
 და, ახლაც, ვეფხვი — მოსისხლე
 მტერი,
 ჩემს აღმოსავლურ და ზანტ ხილვაში,
 მოდის, როგორც მზე.
 ასეთ მზეს მოაქვს სასტიკი გვალვა...
 და თუკი მართლა
 გიყვარს შენი უცნობი ძმები,
 შენში შემოვა თიხის ლაზარე
 და ამ გვალვას შეეწირები,
 ოღონდ მათთვის მოვიდეს წვიმა...
 მაგრამ უეცრად
 ჩემი სამსხვერპლო სხეულიდან
 გამოდის, როგორც უმწეო ბავშვი,
 რომელიღაც გაძარცვული
 სვეტიცხოველი

და მევედრება:

— მზე დედაა ჩემი.

მე ვიცი,
 მაგრამ ბრძოლა უკვე არ შემძლია;
 ნუ გამიწყობი, ჩემო სინათლე!
 და ელანდება გაყინულ ხელებს
 რაღაც ნატიფი და საშინელი.
 ალბათ, ბუსუსი მწიფე ატმების.
 მაგრამ თუ ჩემი
 მორყეული სამყაროს მიღმა
 აიშვებს მიწა,

რომელსაც ქედზე უღელღიფთულები
 დედადგრი ტახტს,

და მამატიებს
 უაზრო სიზმრებს, სუსტ სახეებს,
 მე მეგონება, რომ მოვიდა პურის
 მცენარე
 და ოქროსფერ სიკეთეს მამლევს...
 მე მეგონება,
 რომ ძველისძველმა ზარხოშმა ალლომ
 მოიყვანა ჩემთან ვენახი,
 რომელიც დათმობს უკვდავებას
 მცენარისეულს,
 რომ ერთი წუთით განკაცდეს ჩემში.
 მაშინ მე მოვკლავ ამ ლამაზ ნადირს,
 რადგანაც მზე დედაა ჩემი,
 რადგანაც მინდა ვუთხრა მეგობრებს:
 — მთელი სიცოცხლე
 ჩვენ დროშასავით მიგვექონდა მალლა
 მოაზროვნეთა თეთრი შუბლები,
 მაგრამ ოდესმე
 თუ დაგვირდათ დროშა სხვაგვარი,
 წაიღეთ ჩემი ტანსაცმელი,
 მზით გაცვეთილი,
 გადააფარეთ ოქროსფერ ცხენებს.
 და გამაზღაპრეთ, მე გაძლევთ ნებას.
 ნუ გადაიტანთ ჩემს ძვლებს ქალაქში.
 ცხვარს ნუ დამიკლავთ,
 მე არ მჭირდება ცრემლიანი
 პანაშვილები,
 ოღონდ მიეცით დედაჩემს ძალა,
 რომ დედა-ვეფხვი შეეცოდოს...

ოთარ ჩიჯავაძე

თვითგაკვლევები

(რომანი)

• • •

მთელი დღის განმავლობაში ნახაზები გადაშკონდა კალკაზე. მერე ველოდი. როდის მოვიდოდნენ წასაღებად.

საშუაზაროა, რომ ეს სამუშაო მუდმივი არ არის. ამ სამუშაოს, ხაზგრილვი ლოთობის შემდეგ, მეშვიდე ნომერში მცხოვრები მოხუცი მხაზავი მაძლევს, რომ შეკვეთების ჩაბარება მოასწროს.

დღეა დილიდანვე გაიქცა თავისიანებთან. მე კი სამუშაოს მოვრჩი და ძალზე გაჭინურებული და მეტად სანტიმენტალური გერმანული რომანის კითხვას შევუდექი.

როგორც ყოველთვის, ვერის ბალიდან დროგამოშვებით მოისმოდა ომანის მარშები.

თითქოს მთელი მოსახლეობა გასართობად გაკრფილაო... მაგრამ, აი, მეზობელი სახლის აივანზე ახალგაზრდა ცოლმა ტუქსვა დაუწყო მოხუც ქმარს, მონოტონურად, შეუჩერებელი... ალბათ, ისიც ძალზე მოწყენილი იყო. შემდეგ ისევ ნისლივით ჩამოწვა სიჩუმე. ორკესტრმა უკვე კარგა ხანია, რაც თავისი უკანასკნელი გამოსათხოვარი მარში შეასრულა.

დაბინდდა. მაგიდის ლამპა ავანთე. თუმცა რომანი ჭერ არაფერს ჭკვიანურსა და საინტერესოს არ ამბობდა, ნართულად, ყველაფერს შემდეგში გვპირდებოდა...

წიგნის ფურცელზე დაფრინდა საოცრად ლამაზი, ნაზი, მწვანე ფარვანა.

ფარვანა თავისი ნემსის სისხო სხუვლით დაცოცავდა რომანის გმირების მიძიმე დიალოგებზე... და, ჭეშმარიტად,

მხოლოდ იგი იყო ხელოვნების ქმნილება...

კარგია მარტობა... ჭამა რომ არ მდომებოდა. დედა, ალბათ, ისე გაერთო თავისი დების, სიძეებისა და მათ ნაშიერთა გარემოცვაში, რომ საესებით დააფიწყდა სხვა ყველანი.

გადაფწყვიტე, საბილიარლოში აღარ მევლო, საბოლოოდ გამეწყვიტა მეგობრობა ჟორასთან, გედეონთან და გოგისთან. ვიცოდი, რომ მათეც ძლიერი განცდები და თავგადასავალთა სიყვარული მიზიდავდა...

ამავე დროს დასაშვებად მიმანდა, ზოგიერთი ჩვენი მოქმედება რომ გასცდომოდა კიდევ საყოველთაოდ მიღებულ ნორმებს... ეს რომანტიკულ იერს მისცემდა მათ... მაგრამ ეს ყოველივე არ უნდა ყოფილიყო უპატიოსნო და დასაგმობი.

მაოცებდა, როგორ მოასწრეს გუშინდელმა მოწაფემ, გედეონმა, და მასზე უმცროსმა გოგამ, ბოროტმოქმედები გამხდარიყვნენ...

ერთ ხანს იცოცა ფარვანამ წიგნის ფურცლებზე, მერე უეცრად აფრინდა, ელნათურას შეასკდა და მყისვე ჩამოვარდა მაგიდაზე. ფრთები შეტრუსოდა და დასახიჩრებელიყო. აღარაფრით ჰკავდა იმ მშვენიერ ფარვანას, წამის წინ რომ კეკლუცად დაფარფატებდა.

რა ხანმოკლე ყოფილა ჭეშმარიტი სილამაზე... და განა ასევე ნაზი და ხანმოკლე არ არის ადამიანის პატიოსნება, თუ არ გაუფრთხილდი?

დღეა მოვიდა და კრინტი არ დაუძრავს, ისე შევიდა სამზარეულოში. მოსვლისას დედა მუდამ რალაცას მომიყვებდა ხოლმე, ხან სრულიად უმნიშვნელო-

საც, ახლა კი ძალზე გულჩათხრობილი გამოიყურებოდა. ალბათ, შოთასთან იყო, და მან უარი უთხრა შინ დაბრუნებაზე. მეც მეწყინა. არ მეგონა, თუ ასე დამენანებოდა უფისობა.

თამარიც არ დაბრუნებულა აგარაკიდან...

„ახალი“ მეცადინეობის დაწყებამდე სოფელში წავიდა. იქ პატარა სახლი აქვს და შორეული ნათესაეები ჰყავს. სანდრო ძმას ეხმარება ბინის შეკეთებაში და ძალზე დაკავებულია, რადგან მამის გარდაცვალების წლისთავი ახლოვდება. ნინო მამამისმა კიევში გაიყოლა. რაღაც სამეცნიერო კონფერენციაზე, რომლისაც, როგორც ნინომაც თქვა, თუ ვერაფერს გაიგებს, ქალაქს მაინც დაათვალიერებს.

მე და დედა უკვე ვვახშობდით, როცა კარზე დააკაკუნეს. კარებში „ახალი“ იდგა. ფერხით დიდი კალათა და პატარა ჩემოდანი ედგა.

— მე პირდაპირ სადგურიდან მოვდივარ. აი, ძლივს მოვათრიე ეს კალათა. ვაშლებია... შენ მოგიტანე.

— რას ამბობ? ამდენი... არა, არ ავიღებ, არავითარ შემთხვევაში!

— ჩემი ბალიდანაა! — წინ წამოსწია ნიკაბი „ახალმა“. — მამაჩემის დარგული ხეხილისაა... — და, რაღაც უცნაურად გაღიმებული, ჩემოდნისათვის დაიღუნა.

— საით ვაცო? მოიცა!

— თითქმის ძალით შემოვიყვანე და ჩაით გავუშასპინძლდი.

მეცადინეობის დაწყებამდე ჯერ კიდევ რამდენიმე დღე იყო მაგრამ „ახალი“ ადრე ჩამოვიდა, რადგან ბინა უნდა მიეღო.

კოლონიაში უკვე აღარ მუშაობდა. შეეთავაზე, ჯერჯერობით ჩვენთან ეცხოვრა, მაგრამ იუარა. მერე დედაჩემი შეეპატივა და მაინც დავიყოლიეთ.

გვიან ღამემდე ვსაუბრობდით მწოლიარენი.

„ახალმა“ მიაშობო, თუ როგორა შევლოდა გლეხებს განთიადიდან დაღამება-

მდე, და თავის მხრივ მკითხა, რას ვაკეთებდი ამ ხნის განმავლობაში?

— ცოტაოდენი ნახულებით გამოვიყვანე, ერთი მატჩი პირველ „დურუჯში“ ვითამაშე და, მგონია, არც ისე კარგად... დანარჩენი დრო კი სულ საბილიარდოში ვიყავი.

— ასე! — „ახალმა“ ნიდაყვზე წამოიწია, წუმწეუმა გაკპრა და ელოდა, სანამ კარგად აინთებოდა. ოთახში გოგირდის სუნი დადგა: მერე პაპიროსს მოუკიდა და ნერვიულად გამოაბოლა ჩემსკენ. — შენ სადღაც ჭიშან სულელ ლეკვს მაგონებ, რომელიც ნუგბარ საჭმელებს უარყოფს და ერთთავად სანაგვე ყუთისკენ მიიწევს.

— გმადლობთ შედარებისათვის!

— აბა, რა! არაფერი გაკლია ბედნიერებისათვის და შენ კი მას წვირიან ორმოში აგდებ!

— გასაგებია!... მე მოხეტიალე ბედნიერება განლაგარ და უღირსად დავეთრევი საბილიარდოში...

— რა თქმა უნდა! ეგ შენი საბილიარდო ხომ ქალაქის ნაძირალების თავშესაყარია და სხვა არაფერი!

— შენი შედარების სიზუსტე, მაოცებს! კიდევ გმადლობ, რომ გადაჭრებულ ძალს არ შემადარე... ოღონდ ერთი რამ დაგავიწყდა — ჩემი ძალღური ბედი! მას შემდეგ, რაც მამა გარდამეცვალა, არც ერთი ბედნიერი დღე არა მქონია!

— სტყუი, გქონდა!... აი, როცა ტრაქტორისტი გახდი, მუშაობდი...

— მუქთად, როგორც სულელი?

— შენ თვითონ იცი, რომ ეს შემთხვევით მოხდა!

— მაგ შემთხვევითობამ ყველაფერი ამირია!

— კარგი. და როცა შენ ორჯერ ითამაშე საქართველოს საუკეთესო გუნდის ძირითად შემადგენლობაში?

— გადავწყვიტე ფეხბურთს თავი დავანებო.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ან კარგად უნდა თამაშობდე, ანდა სულ დაეხსნა.

— აფექტი და შენც კარგად ითამაშე!

— ჩემი კვებით, ძილით, ან ნერვე-
ბით?

— ეეჰ, რომ გინდოდეს!...

— შე ძალიანაც მინდოდა.. მაგრამ არ
გამოდის, შენ თვითონა ხედავ!

— გამოვა! განა ბედნიერება არ არის,
უმაღლესში რომ მიგიღეს?...

— კი! მაგრამ...

— მაგრამ მაინც დადიხარ იმ საბილი-
არლოში!

— არა.. აღარ ვივლი და გათავდა..
ბოლოსდაბოლოს, განა ეს ჩემზე არ
არის დამოკიდებული!... მე იმაზე ვამ-
ბობ, რაც ჩემს გარეშე და ჩემივე დახმა-
რებით გარემოსთან მთიშავს!

— ამდენი -მე“ და „ჩემი“ წინადადე-
ბაში! — გაეცინა „ახალს“, მაგრამ უმაღ-
ვე მიხედა, რომ ხუმრობის გუნებაზე არ
ვიყავი, და შეეცადა გაეგრძელებინა საუ-
ბარი. — ალბათ, ამის მიზეზი შენ თვი-
თონა ხარ!

— რასაკვირველია, მე თვითონ! მთე-
ლი სამყარო არსებობს მხოლოდ ჩემე-
ბური აღქმით... თუ მე არ ვიქნები, საე-
რთოდ, აღარაფერი არ იქნება!

ისევ დადგა ოთახში გოგირდის სუნი.
„ახალმა“ პაპიროსს მოუყიდა და ახლა
ჭერში უშვებდა კვამლს.

— ეს შენი „გამოთიშვა“, ალბათ, იმის
შედეგია, რომ ბევრს მოითხოვ ცხოვრე-
ბისაგან მაშინ, როდესაც ჭერ თვითონ
არაფერი მიგიცია. — თქვა მან.

— არა, პირიქით. მე ყველაფერს მხო-
ლოდ ჩემი თავისაგან მოვიტხოვ!

— მაგალითად, რას?

— ობიექტურობას! ამ ცხოვრებაში
ორ წინააღმდეგობათა — ძველისა და
ახლის შუა მოვექციე. ვცდილობდი ობი-
ექტურად შემეფასებინა ყველაფერი...
ყოველგვარი მიკერძოების გარეშე... გვი-
ან მივხვდი, რომ სწორედ ეს ობიექტუ-
რობა მიშლიდა ახლის დანახვას! იმ გაქა-
ნებას არ მაძლევდა, ურომლისოდაც
არავითარი დიადის შექმნა არ შეიძლება.
სხვანაირად არ გამოვიგო... დიადზე ყოვე-
ლი ცოტად თუ ბევრად მოაზროვნე ადა-
მიანი უნდა ოცნებობდეს.

— მერე?

— მერე და... მე მშურს თქვენი მიკე-
რძობის უნარი, ახალს მთელი მისი
უზარმაზარი მნიშვნელობით რომ მიხედ-
ავთ!...

— რაკი გრძნობ, რაღა ვიშლის, რომ
შენც ასე მოიქცე?

— ეს უფრო რთულია, ვიდრე შენ გე-
ჩვენება. საჭიროა, მე თვითონ მივი-
დე იქამდე. მე თვითონ, ყოველგვარი
იძულების გარეშე! გესმის?

— ეს კი არ შესმის!

— სჯობია დაეძინოთ.

სინათლე ჩაეაქრო, მაგრამ ძილი არ
მომეკარა. როგორც ბუჩანში, შორეული
სივრციდან ჩემკენ მოიწევდა და თანდა-
თან დიდდებოდა რაღაც შემადრწუნებე-
ლი არსება.. რომელიც მე მგავდა.. —
„მე თვითონ!... მე თვითონ“ — იმეორებ-
და ეს არსება სულ უფრო და უფრო
ხმამალა. მე კი სულ ვპატარავდე-
ბოდი... გაქცევა მინდოდა, მაგრამ ეს
არსება უკვე გარს შემომხეხია, გულზე
მანეებოდა და სუნთქვას მიხუთავდა...
ვლამობდი შებრძოლებას, მაგრამ ისე
ბაწაწა და უმწეო ვიყავი... ვცდილობდი
საშველად დამეძახა, მაგრამ ყელიდან
არავითარი ხმა არ ამოდიოდა...

— შენ — ეს მე ვარ! მე!... — მეუბნე-
ბოდა ეს არსება. ძვლებს მიღწეავდა და
ხარხარებდა. მისი ხმა ქუხილს ჰგავდა.

— არა!.. არა!..

ვიღაც მანქარეგდა. „ახალი“ იყო.

— რა დაგემართა, ბიჭო? ყვიროდი!
დიდხანს მიჩქერებოდი, წანამ მიე-
ხვდებოდი, რომ ეს მხოლოდ სიხმრის
უქმური იყო.

— ნერვებს უნდა მიხედო! — თქვა
„ახალმა“ და საწოლში ჩაწვა. — სინა-
თლე ჩაეაქრო?

— არაფერია, მე თვითონ... მე თვი-
თონ.

* * *

სამი დღის შემდეგ, „ახალმა“ ქალაქის
ცენტრში დიდი, ნათელი ოთახი მიიღო
ყოველგვარი სათავსოების გარეშე. დაუ-
ყოვნებლივ გადასახლდა თავის ბინაში.

მე და სანდრო ვშველოდით, ვურჩევდით. სად რა ავეჭი დაეღვა... როცა შეიძენდა. ჭერჭერობით კი ერთი რკინის საწოლისა და წიგნების გარდა, არა ებადა რა.

რა თქმა უნდა, „ახალმა“ წვეულება გამართა; სუფრა იატაკზე გააწყო და სკამების ნაცვლად წიგნები დაგვილაგა.

სანდრო ენციკლოპედიის ტომებზე იჯდა, მე ვუთხარი, რომ მისთვის ეს საუკეთესო საშუალებაა ცოდნათა დაუფლებისათვის. ბუნებაში არის შემთხვევები, როცა ერთი ატროფირებული ორგანოს ფუნქციებს მეორე კისრულობს.

სანდროს, ცოტა არ იყოს, ეწყინა და ზომამზე შეტი დალია.

— შინ არ წავალ! — თქვა სანდრომ. როცა ყველაფერი შექმული და დაღეული იყო — მამაჩემი ძალზე ბევრსა სვამდა, და დედამ რომ ამ დღეში მზახოს!...

„ახალმა“ სანდრო თავის საწოლში ჩააწვინა, მე კი შინ წავედი. ნაშუადღევის ოთხი საათი იქნებოდა. შინ არავინ იყო. ნაბახუსევზე ძალიან მეძინებოდა. ჩემი დისაგან შემეკიდრებობით გადმოსული ოთახის ინგლისური კლიტე მივაჩხა-ტუნე და საწოლში გავიშოტე, რომ ერთი ნახევარი საათი წამეძინა.

სასადილო ოთახიდან კედლის საათის რეკვამ გამაღვიძა.

გაჭირვებით ვცდილობდი მომესაზრებინა, საათმა რვა დარეკა თუ ცხრა, როცა სასადილოდან ლაპარაკი შემომესმა: უკვე დიდი ხანია, რაც ჩვენს სახლში სტუმარი არ ყოფილა... საინტერესოა, ვინ იქნება...

გამოფხიზლებულმა მივაყურე. დედაჩემის დები იყვნენ. დედას ექვსი და ჰყავდა. ახლა სამი მათგანი მოსულიყო და საუბრობდნენ. დეიდა სონიას ჰკვეთრ ბრინწიან ხმას ერთვოდა დეიდა ელენეს ხანი და დეიდა მარგალიტას კოლორატურა.

ნათესაებიდან დეიდა სონია ჩვენი ოჯახის ყველაზე აქტიური კეთილისმუსურველია.

პროგრესული დამბლისაგან ქმრის

დამკარგავი და ნახევრად უსწავლეული, უქანარა შვილის შემყურე დეიდა სონია, პათოლოგიური სიჭიუტით ღრევე ჩვენი ოჯახის ცხოვრებაში და დედაჩემს თავის ჰკუთხე ატარებს.

მამაჩემმა კი ვერაფერი გააწყო მასთან, გარდა იმისა, რომ სახლიდან გააძევა.

მაგრამ „თუ მაჰმადი არ მიდიოდა მთასთან“... დედაჩემი დარბოდა დეიდა სონიასთან... ეს ასე გრძელდებოდა, რაც თავი მახსოვს.

საერთოდ, ამ შვიდი დის მიხედვით (დედაჩემის ჩათვლით) შეიძლება თვალსაჩინოდ დადასტურდეს სრული სისწორე გენეტიკური თეორიისა: თუ ჩემს ბებიას შეეძლო წარმოეშვა ერთი მილიონი ექვთმულიარი ჩემი დეიდებისა, არც ერთი არ ემგვანებოდა მეორეს.

შეიღ დათა შორის არიან ჰკვიანებიც და სულელებიც, კეთილებიც და ბოროტებიც. საოცრად ლამაზებიც და შიშხედავებიც.

სასადილოში საუბარი, აღბათ, რუსუდანზე და შოთაზე ჰქონდათ, რადგან ძალიან ხშირად ისმოდა მათი სახელები. რაკი ეგონათ, რომ მე შინ არ ვიყავი, ოჯახური თათბირი გამართეს!

კართან მივედი და ცოტა გამოვაღე. ახლა ყველაფერი კარგად ისმოდა: მსჯელობდნენ, როგორ გადაერჩინათ „იმ ქალისაგან“ შოთა და შინ დაებრუნებინათ რუსუდანი...

მერე დედამ თქვა, რომ განსვენებულ მამაჩემს, ჩემი და შოთას გაგზავნა უნდოდა საზღვარგარეთ სასწავლებლად.

ჯერ კიდევ მენშევიკების დროს გაუტანებია ფული თბილისში მცხოვრებ შვეიცარიელ მოქალაქე მეიერისათვის, რომელიც მამინ სამშობლოში ბრუნდებოდა.

— ოფიციალური ქალაქი მაქვს, — თქვა დედამ.

— მაგ ქალაქს მხოლოდ იქ, შვეიცარიაში აქვს ფასი! — თქვა დეიდა ელენემ. — ერთი მათგანი რომ გაუშვან, რომელს გააგზავნი?

— მეშინია, შოთა სუსტი ხასიათი-

სა... — დედაჩემს გულჩვილობისაგან ხმა აუტანაკალდა. — ოთარი კი ძალზე ჭიუტია!...

— თუ არც ერთი არ გაუშვებს? — ზარივით აწყრილდა დეიდა მარგალიტას ხმა. დეიდა მარგალიტა არაჩვეულებრივად ლამაზია... და მიაბიტც.

— მაშინ საზღვარზე... თუ სანდო გამცილებელს ვიშოვიო!... — თქვა დეიდა სონიამ.

ნუთუ კიდევ ახსოვდა, ბავშვობისას რომ ვაწყენინე: მის შვილს დეგენერატი და მის ქმარს ლოთი რომ ვუწოდე?... მაშ, აბა რად მიმეტებს ასე ადვილად, როცა უკვე სტუდენტი ვარ და ყველაფერი კარგად მიდის?!

მეტის მოსმენა არ შემეძლო, რომ მდომებოდა კიდევ. ფეხაყრფით გავემართე სამზარეულოსაკენ. მესმოდა დეიდა მარგალიტას შეშინებული ხმა:

— რომ მოჰკლან საზღვარზე გადასვლისას?!

და დედაჩემის: — უიმე!...

ფანჯრიდან ეზოში გადავბტი, ჰიშკარს გადავევლე და გავაბიჯე ქუჩაში.

მამაჩემზე ვფიქრობდი. წარმოვიდგინე, მამა რომ ცოცხალი ყოფილიყო, როგორ იფრენდა იმ მოთათბირებებს, როგორ მოცოცხავდა ის ბებერი ვირთხა, დეიდა სონია!... გამეცინა.

ალბათ, ძალზე გაოგნებული ვიყავი, ვილაკებმა გზა დამითმეს, რადგან მთვრალი ვეგონე.

მამის მოგონებამ დამამშვიდა. ისევ დავეუფლე თავს და ვგრძნობდი ჩემი სხეულის თვითთულ კუნთს... ოღონდ გულში შეპარული წყენა უსიამოვნოდ მომედო მთელ სხეულზე და მალიზაანებდა.

შინ ღამის პირველ საათზე დავბრუნდი.

მეორე დღეს მთელი დღია ზიზღის გრძნობით ვიყავი გამსჭვალული, მაგრამ ვის მიმართ, ამის დადგენაც არ მინდოდა. მეშინოდა, დეიდა სონია არ მომგონებოდა.

თურმე არის მომენტები, როცა ძა-

ლიან ახლობელი ნათესავიც კი შექცდება მტრად მიიჩნისო.

სად უნდა წავსულიყავი... თუ არა „ახალთან“.

ვერის აღმართზე რომ ავდიოდი, რამდენიმეჯერ მოვკარი ყური რაღაც მკვლევლობაზე ლაპარაკს. ამან ცოცა ამაფორიაქა. საკუთარი განცდები მომწყინდა... სხვისი ტრაგედიები ბევრად უფრო საინტერესო იყო.

ზემელის კუთხეში გოგის შევხვდი. გედეონი მეორე მხარეზე იდგა, და როგორც კი დამინახა, ჩვენსკენ წამოვიდა.

— ეორა ხომ არ გინახავს? — მკითხა გლეგი.

გედეონმაც მოსვლისას იგივე მკითხა.

— რა იყო? რატომ ღელავთ ასე?

— რომ იმან მასაც არ აუგოს ანდერძი! — თქვა გოგამ.

— ვინ, ვის?

— რაო, განა არ იცი? — თქვა გედეონმა. — ჩოფურამ გუშინ ღამით, უდელის ქუჩაზე ბუჭუჭა თომა მოკლა და ჩონჩხა ტანტრე დასჭრა.

— დღეს კი დილაადრიან, სახლში, ალიომა მალაკანი ასწია, — შეაწყვეტინა გოგამ. — ნაძალადევი საპირფარეშოები ხომ ეზოებში აქვთ... და იქ დამალული ელოდებოდა. სამი ტყვია დაახალა დედის თვალწინ, რომელიც ძროხას წველიდა... თურმე გაიძახოდა, ასწავლის მაგათ, როგორ დაუფახონ გამცემო!

— რა თქმა უნდა, მას არ გაუცია! — ახლა უკვე ჩოფურასადმი პატივისცემით თქვა გედეონმა.

— არავითარ შემთხვევაში! — მტკიცედ თქვა გოგამ.

— ჩონჩხა ტანტრე მძიმედ არის დაჭრილი? — ვიკითხე მე.

— ალბათ, მოკვდება. ნაგანის ტყვია მუცელში აქვს!

— რის მუცელში, ქალაღვივით გახვრიტა! — გაუსწორა გოგამ გედეონს. — ახლა, ეორას დაუწყებებს დევნას!

— მერე, ეორა რა შუაშია? — ვიკითხე მე. — განა ეორა იმათთან იყო?

გედეონმა და გოგამ ვიფომც ვერ გაიგონეს და საითკენაც გაეშურნენ.

მე „ახალთან“ წავედი, მაგრამ შინ არ დამიხვდა.

გული საბილიარდოსკენ შიმიწევდა. იქ ბევრ საინტერესო რამეს გავიგებდი, მაგრამ თავი დავაჯერე, რომ მე სულაც არ მეხებოდა, თუ როგორ უსწორებდნენ ერთმანეთს ანგარიშს სისხლის სამართლის დამნაშავენი, და კინოში შევედი. იქიდან კი პირდაპირ შინ წავედი. თითქოს განგებ, ამბები ერთი მეორეს მოსდევდნენ.

სახლს რომ მივუახლოვდი, ქიშკარი ფართოდ გაღებული დამხვდა. ეზოში ცოტაოდენი ბარგი იყო გადმოცლილი. შოთა და მისი მეუღლე, შუშაბანდის ბოლოში რომ ოთახია, იქ ეწყობოდნენ. იქვე ბედნიერებისგან აცრემლებული დედა ფუსფუსებდა... და თან შიშნარეგ თვალს მადევნებდა.

რა სისულელეა!... ნუთუ ვერ შენიშნა, როგორ გამეხარდა!

შოთა და მისი მეუღლე ზრდილობიანად მომესალმნენ. მეც ასევე ვუპასუხე. რძალი გადავკოცნე და დავეხმარე კიდევ ოთახში ნივთების შეტანისას.

ღმერთმა ხელი მოუშარტოს!... მაგრამ, კარგი იქნებოდა, რომ ეს, ჩემი ძმის გამაბედნიერებელი ქალბატონი ასე ვულგარულად არ გამოიყურებოდეს.

დედაჩემმა ცოტა კიდევ იტრიალა და, როცა დაინახა, რომ ყველაფერი რიგზეა, დეიდა სონიასთან გაიქცა.

ვითომ ჩემს საქმეებში გართული, ახლად შეუღლებულებს თვალყურს ვადევნებდი. ძალიან მაინტერესებდა, როგორი იქნებოდა შოთა ცოლიანი კაცის მდგომარეობაში.

მეტად გულთბილი და შეყვარებული გამოდგა... და ცოტა, მგონი სულელიც... მაგრამ შესაძლოა, ასე მეჩვენებოდა.

ყოველ შემთხვევაში, ძალიან შეუფერებლები არიან. საეჭვოა, რომ ფიზიკური სიახლოვით სულეერ ერთიანობას მიაღწიონ!

ადრე ზომ არაერთხელ მისაუბრია ძმასთან ამ საკითხებზე ძალზე მალაღობოზიციებიდან. ახლა კი მან შეირთო ქა-

ლი, რომლის თვალეებში აზროვნების ნატამალიც არ გამოსჭვავის.

საქართველო
თბილისი

• • •

სასწავლო წლის ნახევარი უკვე გავიდა. მე ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, თითქოს მთელი სიცოცხლე ლექციებზე დავდიოდი და უამთოდ ჩემს არსებობას არავითარი ფასი არ ექნებოდა.

თუმცა, შეიძლება, ასეც იყოს.

განა ეს ჯიუტად მიზანსწრაფული სამყარო, ყოველდღე რაღაც ახალს რომ მაძლევს, სხვებისა და საკუთარი თავის წინაშე ჩემს პასუხისმგებლობაში რომ მარწმუნებს, არ მავალდებულებდა დამევიწყებინა სხვა დანარჩენი სიმწარე და უსიამოვნება?

ახლა აშკარად ჩანდა სრული არაარობა ჩემი ინდივიდუალურ თვითგამორკვევისა, რაც ავადმყოფურად ემყარებოდა განდიდებულ „მე“-ზე, „მე“-ზე, რომელიც სინამდვილეში არაფერს არ წარმოადგენდა.

ახლა ბევრი ახალი ამხანაგი მყავს, მაგრამ ჩვენ ყოველთვის ოთხნი ვართ. ცოტათი სანდრო გვაფერხებს, მაგრამ თვითონაც ძალიან ცდილობს... ერთი ეგაა: სანდრო ზოგჯერ იქა ცდილობს, სადაც ეს საჭირო არ არის... ამის მიზეზი ფულია, რომელიც მას გაუჩნდა.

სანდროს ძმა ლუდის სახდელი ქარხნის დირექტორად დანიშნეს. მისი დედა და რძალიც იქვე მუშაობენ. ცოტა წელი მოიმეგრეს და სანდროსაც რაღაც ერგება ხოლმე.

სანდრო ახლა ნორმალურად იკვებება და პეწიანადაა ჩაცმული... თუმცა პირველ ხანებში ჩვენ დავეჭვდით, დალტონიზმით ზომ არ არისო დაავადებულნი, და ულტიმატუმი წაუყენეთ მისი ფეხსაცმელებისა და ტანსაცმლის ნაირფერადობის შესახებ.

ჩვენ რომ არ დავეკარგეთ, სანდროს სხვა აღარა დარჩენოდა, ვაიდა იმისა, რომ დავგმორჩილებოდა, მაგრამ ორჯერ მაინც ძალიან გვაციანა.

პირველად, როცა ლექციებზე წარუშ-

ლელი, ყბამოქცეული ღიმილით გამოცხადდა.

ნინომ, ყველა ქალივით დაკვირვებულმა, პირველმა შეამჩნია, რომ მას მარცხენა მხარეს ორი ოქროს კბილი ჰქონდა, და ჩურჩულით გვამცნო ამის შესახებ.

გადავწყვიტეთ, გაგვეთამაშებინა სანდრო. თვალდაუხამხამებლივ მივჩერებოდით მის მომღიმარ სახეს და ვითომ სულაც ვერ ვამჩნევდით ასეთ თვალისმომპირელ სიახლეს.

ბოლოს, სანდრომ თავი ვეღარ შეიკავა.

— აი, შეხედეთ, ხალასი ოქროა! — თქვა მან და თვითეულ ჩვენგანს მოგვიახლოვა კბილებდაკრეპილი პირისახე.

შემდეგ, მეტი დამაჯერებლობისათვის, კბილებიდან ორივე გვირგვინი მოიხსნა, ხელისგულზე დაიწყო და გვთხოვა გავეესინჯა.

— შეიძლება ხოლმე მაგათი ჩამოხსნა? — ჰკითხა ნინომ.

— ეს დროებით, ერთი დღელამით დამიყენეს, რომ შევეჩვიო. მერე დამაგრებენ.

— შენ ხომ მხოლოდ ერთი კბილი გტკიოდა? — გაიკვირვა „ახალმა“.

— ერთი ოქროს კბილი პირში არც კი გამოჩნდებოდა! — სანდროს მაგივრად ვუპასუხე მე.

— სწორეა! — დამეთანხმა სანდრო.

— სამი ან ოთხი უნდა დაგეყენებინა! — განვფარძე მე.

— მეტი ფული არა მქონდა! — თქვა სანდრომ.

„ახალმა“ საყვედურით გამოხედა.

სანდროს გულუბრყვილობამ მისი გაბიაზურების ყოველგვარი ხალისი დაევიკარგა, მაგრამ, როგორც მომეჩვენა, თვითეულ ჩვენთაგანს უნებურად დაეხდა კითხვა: გამოვა კი მისგან ნამდვილი ექიმი?

როცორც ყველა დამწყები, ჩვენ სასტიკი მომთხოვნი ვართ ჩვენი მომავალი პროტესისისადმი.

მომდევნო ლექციამდე თითქმის საათნახევარი დრო იყო და სანდრო პურისა და ძხვების საყიდლად გაგაგზავნით,

თვითონ კი ამ დღეების გარჩევას შევუდგეთ.

— ჩემის აზრით, — თქვა სანდრომ, — მაგას სხვა პროფესია უნდა აერჩია. ექიმის წინაშე სწორად ისეთი მორალურ-ეთიკური ხასიათის საკითხები წამოიჭრება ხოლმე, სადაც იმდენად დიდი ეულტურაა საჭირო, რომ...

— ჰმ!... — წაბუზღუნა „ახალმა“.

— ჩემი აზრით კი, საერთოდ, უმალესი განათლება არ არის ყველასათვის სავალდებულო!

ჩემმა სიტყვებმა პირდაპირ გააცოფა „ახალი“, და ღრმად შეისუნთქა, რომ ბრაზი დაეოკებინა.

— რა თქმა უნდა! უმალესი განათლება მხოლოდ ინტელიგენტური ოჯახის შვილებმა უნდა მიიღონ!... კეთილზარდნი, ნაკითხი და დაგეშობები არიან! ისინი კი, რომლებსაც მშობლებმა ეს ვერ მისცეს, უნდა გარიყულები დარჩინენ? ჰკვიანურია!... მეტსაც ვიტყოდი — უსინდისობაა! თანაც მორალზე და ეთიკაზე რომ მსჯელობთ?!

ეს უყვე ნინოსაც ეხებოდა.

პირველად ჩემს სიტყვებში, ყოველგვარი ჭიუტობის გარეშე, საკუთარ თავს გამოვეუტყდი ჩემს უმართებულობაში.

„ახალთან“ პოლემიკა უპატიოსნობა იქნებოდა.

— დაიცადეთ! აღროვეთ მას რამდენიმე წელი! ეს ხომ პირველი ნაბიჯებია... ყველა თქვენისთვის აჯობებს!

სახტად დარჩენილი და გაწითლებული ნინო სდუმდა. მე ისევ გაგებდე:

— მომისმინე „ახალი“! ამას ისე ნუ მიიღებ... შენ სავსებით მართალი ხარ! მე მიუტყებელი სისულელე წამოვროშე!

ნირწამხდარი ნინო ღიმილით შეკყურებდა „ახალს“. მისი ღიმილი იმასვე ამბობდა, რაც მე ვთქვი.

„ახალი“ თვალს გვარიდებდა.

— შაპატიეთ უნებომა! — თქვა მან.

— აბა, რას ამბობ!

— არაფერია!

ბედად, სანდროც დაბრუნდა.

სორი ნათიშვილი თვით ოლიმპის მწვერ-
ვალზე დგას!

საღამოთი სანდრომ მთელი ქვაბი მო-
ხარშული კართოფილი შეჭამა. ორი
დღის შემდეგ მის პირში კვლავ ეღვა-
რებდა უკვე მაგარად ჩასმული ორი ოქ-
როს გვირგვინი!

პირველ ხანებში ღიმილი მაინც ცოტა
გვერდელა ჰქონდა.

მეორედ სანდრომ სულ ახლახან გვა-
ცინა.

რამდენიმე დღე ზედიზედ სანდრო
მხედველობას უჩიოდა, მერე კი ლექ-
ციაზე ცხვირზე წამოსკუპული შესანიშ-
ნავი პენსნეთი გამოცხადდა.

მხედველობა ხელად გაუშვებოდა,
ხოლო სიარული და თავის დაჭერა პირ-
დაპირ ღირსეული გაუხდა.

ჩვენ პირველად ცოტა ვერ ვეთანხმე-
ბოდით მას, რადგან უპირატესობას
ჩვეულებრივ სათვალეს ვაძლევდით. . .
მაგრამ გვეშინებდა არა დავობენ, მე-
ტადრე მაშინ, როცა პენსნე სხვის
ცხვირზეა.

ერთხელ, ზოოლოგიის ლექციაზე, რო-
ცა სანდრომ პენსნე მოიხსნა და მომჭე-
რებისაგან დაწითლებული ცხვირის კე-
ხი მოიხრისა, პენსნეს წავეტანე და
ცხვირზე წამოვიკუპე.

მშვენივრად ჩანდა დაფასთან ახლო
გამოკიდული სოლიტერების ყველა სუ-
რათი, თვით „taenia nana“-ც კი, ყვე-
ლაზე პაწაწინტელა ამ „შრომისმოყვა-
რე“ ოჯახიდან, მოჩანდა მთელი თავისი
დეტალებით.

შეჯერითი, ალბათ, მეც მჭირდებოდა
სათვალე. ნინოს გადავეცი პენსნე. ნინო-
მაც ალბათ იგივე განიცადა, რაც მე.
რადგან თავის მხრივ პენსნე „ახალს“
გადასცა.

შეცბუნებისაგან „ახალმა“ გამოგვიყ-
ვანა: გვითხრა, სანდროს პენსნეს ოპტი-
კა ჩვეულებრივი ფანჯრის შუშისააო.

როცა ამას გვეუბნებოდა, ცოტა დარ-
ცხვნილი იყო; ალბათ, ახსოვდა, სანდ-
როს ოქროს კბილების თაობაზე რომ
წავეციოდა.

— ეს უკვე პროგრესია. . . — ჩურჩუ-

ლით იმართლებდა თავს „ახალს“, +
ინტელექტუალური განხრითი უნდო-
და ქვეყნიური შესახებ დაუბალოდ და
ლექციის დამთავრების შემდეგ, სან-
დრო დაევიმარტოხელეთ და „ბართლო-
მეს ღამე“ გაეუმართეთ.

ყველანი ერთად ველაპარაკებოდით
და ასევე ერთდროულად ფეხით ვთე-
ლავდით მის შესანიშნავ პენსნეს.

სანდროს ძუნწობას ვერ დასწამებდით.
სულ არ ენანებოდა პენსნეში დახარჯუ-
ლი ფული. მას სულ სხვა რამ აწუხებ-
და. მგონი, უკვე მიიპყრო მაღალი, გამ-
ხდარი, ხბოსთვალეზიანი სტუდენტი ქა-
ლის ყურადღება. ჩვენ კი სწორედ ახლა
დავეუშხვრიეთ პენსნე. . . მეგობრობას,
ცხადია, აქვს ამის უფლება. . . მაგრამ
კაცის გულისთქმაც ხომ უნდა გვესმო-
დეს. . . მით უფრო, როცა საქმე ყველაზე
ღამაზე ჰქვას ეხება. და, რაც მთავარია,
ეს ქალი მათი მეზობელი სოფლიდანაა.

დაახლოებით ასე იცავდა თავს სანდ-
რო და თანაც ცდილობდა. არ ეცქირა
თავისი პენსნეს საცოდავი „ნეშტისათ-
ვის“.

სანდრო შეგვებრალა და ტონი შეე-
ცვალეთ, თუმცა თემა იგივე დარჩა.

ორი საათის შემდეგ, ყველაფერი დაი-
ვიწყა, ქალიშვილიც კი აღარ ეჩვენებო-
და ისე ღამაზად.

• • •

გამოცდამდე ადამიანის თავის ქალა
დაგვიჭირდა, რათა მასზე შეგვესწავლა
ლათინური სახელწოდება ყველა იმ
ღრმულისა, ამოზნექილობათა, ღრუ-
ებისა და ნახვრეტებისა. რომლებზეც
წარმოდგენაც კი არა აქვთ სწორედ ასე-
თივე თავის ქალათა მილიონობით
მფლობელებს. . .

იმის ფიქრში, თუ სად ვიშოვით თა-
ვის ქალას, ჩემს თვალწინ ასოციაციით
ჩაიჭროლეს კლასიკურმა სახემ მოხუცე-
ბული მოაზროვნისა თავის ქალათი ხელ-
ში. . . ყოფნა—არყოფნის ფიქრებში
ვართულმა ახალგაზრდა პამლეტმა. . .
თავის ქალათა პირამიდამ ვერეშჩაგინის
სურათზე. . . თავის ქალებმა სატრანს-

ფორმატორი კოშკებზე... საწამლავით სავსე შუშებზე...

ალბათ, საჭიროა მუდმივად გაახსენო ადამიანს, რომ ის მომავლადგია. რათა ამ საზარელი გარდუვალობით შეშინებულს დაუბრუნდეს პირველყოფილი გულკეთილობა...

აკი ადამიანები მხოლოდ მაშინ აღიარებენ თავიანთ უღმობელობასა და შეურიგებლობას... როცა თავისიანებს მარხავენ!

ბოლოს, გავიგეთ, სად შეგვეძლო გვეშოვნა ჩვენთვის ესოდენ საჭირო თავის ქალა.

როგორც კი შევედით არქაული აგეჯით მოწყობილ ოთახში, ჩვენი ყურადღება მაშინვე მიიპყრო კედლებზე გაკრულმა თეატრალურმა აფიშებმა და მსახიობთა ფოტოსურათებმა. უკეთ, ერთი და იგივე აქტიორის სურათებმა, სხვადასხვა პარტნიორებთან.

ახოვანმა, კარმაგმა მოხუცმა ძლიერი, კარგად დაყენებული ხმით გვკითხა:

— რით შემიძლია გემსახურო?

— ჩვენ გვინდა თავის ქალა! — უპასუხა ნინომ.

— აჰა!... მომავალი ესკულაები!.. მაპატიეთ, ერთი წუთით! — დაიბუხუნა ბინის პატრონმა, მივიდა ხავერდის ფარდით ნახევრად დაფარულ ფანჯარასთან და თეატრალური ევსტით გადასწია ფარდა. რამდენიმე წამს მედიდურ პოზაში იდგა, ოდნავ მოკუტუელი თვალებით, თითქოს აპლოდისმენტებს ელისო, შემდეგ ჩამოჯდომა შემოგვთავაზა.

რადგან ჩვენ ცოტა ვკოჰმანობდით, ვალანტურად ჩასვა ნინო ძველ, ვოლტერისეულ სავარძელში, მე და „ახალს“ ორი დანჭრეული ვენური სკამი მოგვიწია და, ვინაიდან სხვა სკამი აღარ გააჩნდა, სანდროს დაბალ ტაბურეტზე მიუთითა.

დავსხედით, მოხუცმა კი ვახეხილი პლენი გადააფარა დივანიდან ამოჩრილ ზამბარებს, ვაზეთით დაფარა პატარა „ამპირის“ სტილის მავიდაზე მდგარი ვაურეცხავი თეფში და ყამთა ვითარ-

ბისაგან შამპანურის გაშვებულ სიცილით დაცმული, ნათალი შუშის სურათი იატაკზე, კედელთან, ნაფთქურჯ ენთო, ალის ყვირელი შუქი შარავანდელსა პვენდა ზოლებიან შპალერზე ქონიან ლაქებს.

— ბოდიში, მე ეს-ეს არის... ასე რომ ვთქვათ, ვსაუზმობდი!...

— დაამთავრეთ, დაამთავრეთ, ბატონო!... ჩვენ ხელი შეგიშალეთ!

— არა, აბა, რასა ბრძანებთ! ასეთი მშვენიერი ქალბატონის თანდასწრებით?.. უკაცრავად, ნება მიბოძეთ გაგეცნოთ! — იგი კარგახანს იდგა ნინოს წინ, ვიდრე უკანასკნელი მოიფიქრებდა მისთვის პირველს გაეწოდებინა ხელი. — ნაროდოლიუბსკი სვიატოსლავ ინოკენტიევიჩი! — მერე მარცხენა ხელით ნინოს გაწვდილი ხელი ჩამოართვა, დაბლა დაიხარა და ეამბორა.

ახალა შევნიშნეთ, რომ მას მარჯვენა ხელის მტევანი არა ჰქონდა.

— ნაროდოლიუბსკი!.. ნაროდოლიუბსკი!.. ნაროდოლიუბსკი!.. — ხელის ჩამორთმევისას სათითაოდ გვეუბნებოდა და ლომის ფაფარიან თავს მკერდამდე ჰხრიდა.

— დაბრძანდით, გეთყვავ, დაბრძანდით!..

ისევ დავსხედით. მე შევახსენე, რომ თავის ქალასათვის ვიყავით მოსული.

— დიან!.. მე მაქვს გასაოცარი, ექსტრაორდინალური თავის ქალა! — სანდრომ თვალი ჩამიკრა, ამას შეხედე, ფასს უწევს თავის საქონელსაო.

სვიატოსლავ ინოკენტიევიჩმა, ალბათ, შენიშნა ეს. რადგან საცმოდ დაეინებით მიაჩერდა სანდროს. სანდრო აიღეწა.

— შეგიძლიათ გვაჩვენოთ? — თქვა ნინომ და უხერხულობა უცებ გაიფანტა.

— უდიდესი სიმოვნებით!.. ამ თავის ქალას უმზერდნენ ათასეული ადამიანები... მისი მფლობელის სიცოცხლის დროს. შემდეგ კი, როცა მე ჰამლეტს ვთამაშობდი, — მილიონები!.. თქვენ, რა თქმა უნდა, გავიგონიათ საიმპერატორო... და მუშათა და გლეხთა თეა-

ტრის აქტიორის ნაროდოლოუბსკის შე-
სახებ!

— არა! — წამოროშა სანდრომ.

— ეს მე გახლავართ!.. თქვენი მორ-
ჩილი მონა! — ალბათ, მან აღებული
ინერციის გამო, უცებ ვერ შეაფასა სან-
დროს რებლიკა.

ჩვენ შეგვებრალა სიმპატიური მოხუ-
ცი.

— დიახ, გაგვიგონია! — წამოიძახა
ნინომ.

— რა თქმა უნდა, გაგვიგონია! — ბა-
ნი დაეწიე მე.

— ვის არ გაუგონია?! — კვერი დაგ-
ვიკრა „ახალმა“.

სვიატოსლავ ინოკენტიევიჩმა გამარ-
ჯვებულის ღიმილით გადახედა სანდ-
როს.

— როცა მე ვთამაშობდი, შეყვარებუ-
ლი ქალები სცენას ყვავილებით ავსებ-
დნენ!.. შემდეგ კი, ხელებზე აყვანილი,
შინ მივყავდი!

— ქალებს მიყავდით? — ჰკითხა
სანდრომ.

— არა, რქადადგმულ ქმრებს!.. ხა,
ხა, ხა. მახსოვს, როცა მე ვებრძოდი
ლაერთს... მაშინ ჯერ კიდევა მქონდა
ხელი... .

— როგორ დაკარგეთ ხელის მტევანი?
— შეაწყვეტინა ნინომ.

მოხუცმა ლობიერი თავმდაბლობით
გაიღიმა.

— ვანა თვით ჩემი გვარი, ნაროდო-
ლოუბსკი — ხალხის მოყვარული, არ
მოწმობს იმას, თუ ვისთან უნდა ვყო-
ფილიყავი?!

ეს რაღაც შარადისებური იყო, და
მხოლოდ ამბის მომყოლს შეეძლო მისი
ამოხსნა.

ჩვენ ჩუმად ველოდით, სანამ იგი რა-
ღაცას მოიფიქრებდა, თუ მოიგონებდა.

— მარჯვენა ხელი ხალხს შევწირე! —
ტრაგიკულად მოგუდული ხმით თქვა
მან.

— ნეტავ რად უნდოდათ? — გულ-
უბრყვილოდ იკითხა სანდრომ და
ამით უცებ დაბლა დასწია ის მაღალი

ატმოსფერო, რომელიც გამეფებული
იყო მოხუცის სიტყვების შემდეგ.

— მარჯვენა ხელი — ეს სამშობლოა
მეგობრობისა, ძმური მხარდაჭერისა! —
მოხუცი ლაპარაკის დროს რიგრიგობით
გვიყურებდა ყველას, სანდროს კი თვალს
არიდებდა. — ტყუილად ხომ არ ამბო-
ბენ „მე მარჯვენას მივცემ მოსაქრელა-
დო“, როცა საქმე ეხება ყველაზე დიდი
მსხვერპლის გაღებას, როგორც კი აღა-
მიანს შეუძლიან!

— და თქვენ იგი მოგვეკეთეს? —
ჰკითხა ნინომ, არ ვიცო, ცნობისმოყვა-
რეობით, თუ იმიტომ, რომ გამოესწო-
რებინა სანდროს უტაქტობა.

— მოკვთა არაფერია!.. მხოლოდ
მე კი... ის, რაც მე გავაკეთე, ისტორი-
აში უნდა შესულიყო, მაგრამ... ბუნე-
ბით მე თავმდაბალი კაცი ვახლავართ
და... შევეცადე ჩრდილში დავრჩენი-
ლიყავ, ქეშმარიტ გამირობას მრავალსი-
ტყვაობა არ უყვარს!

— საინტერესოა! — თქვა „ახალმა“.

— მაშინ ჩვენ გასტროლებზე ვიყა-
ვით ციმბირის ერთ-ერთ ქალაქში. რე-
ვოლუცია ახლოვდებოდა. რამდენიმე
რევოლუციური გამოთქმისათვის ანტ-
რეპრენიორმა მეორეხარისხოვან რო-
ლებზე გადამიყვანა... მაგრამ ნიკს ვე-
რავითარია ინტრიგებით ვერ ჩაახშობ!..
მაშინ სპექტაკლის მხოლოდ მეცხრე
სურათში მქონდა გამოსვლა, მაგრამ,
როგორც მოგეხსენებათ, არ არსებობს
ცუდი როლები, არიან მხოლოდ ცუდი
აქტიორები! ჩემი თამაშით ვაზანზარე-
ბდი იმ ქალაქს! სპექტაკლის დასაწყის-
ში თეატრი მუდამ ცარიელი იყო... და
ასე გრძელდებოდა მეშვიდე სურათა-
მდე, ვიდრე ხალხი დაიწყებდა შეკ-
რებას. მერვე სურათისთვის თეატრი
თითქმის საესე იყო, ხოლო მეცხრე სუ-
რათზე რაღაც არაჩვეულებრივი ხდე-
ბოდა! ხალხის ტევა არ იყო. ვასასვლე-
ლებში, თვით ორკესტრის ღრმულ-
შიაც კი, და იგი არ აძლევდა ორკესტრს
დაკერის საშუალებას. მეცხრე სურა-
თში ჩემი გამოსვლის შემდეგ, რადგან
მერე მე აღარ ვთამაშობდი, ხალხი და-

შლას იწყებდა... და მეთოთხმეტე სურათისთვის დარბაზში უკვე აღარაინა რჩებოდა! — მოხუცმა მედიდური ეესტით შეაჩერა სანდრო, რომელსაც რაღაც უნდა ეკითხა და განაგრძო: — იმ დღეს მე გრიმგაკეთებული ვიქეი ჩემს საპირფარეოში... „ტიტ-ა-ტიტ“ ქალაქის სამხედრო გუბერნატორის ცოლთან, რომელიც ჩემთვის ჰკუთხა ჰკარგავდა. „გავიქცეთ“ — მითხრა მან. „არ შემძლია! — მივეუბრე მე. — ხალხი უკვე შეიკრიბა ჩემ სანახავად!“ მაშინ იგი ჩემს წინ მუხლებზე დაეცა. „გავიქცეთ, ვისარგებლოთ შემთხვევით! ჩემი ქმარი ახლა დაკავებულია, მუშათა აჯანყება უნდა ჩაახშოს!... ხუთი წუთის შემდეგ, ჯავშნოსანი მატარებლით შეიკრება ხალხის მასებში და დაუწყებს ელექტას.“

ყოვლის შთანთქმელი ვნებით დაბრმავებულს გადაავიწყდა, რომ ჩემი გვარი ნაროდოლიუბსკია, და ვასცა სახელმწიფო საიდუმლო.

გაგრძელები, სცენისათვის გადაკმული გავქანდი მუშათა კლასის გასაფრთხილებლად. მაგრამ უკვე გვიან იყო! ჯავშნოსანმა მატარებელმა უკვე მესამე საყვირი მისცა. მაშინ მარჯვენა ხელი ბოლო ვაგონის ბუფერს ჩავავლე, მარცხენათი კი ფარის თუჯის ბოძს მოვეხვიე! ორთქლმავალი ადგილზე აბუქსავდა და ვერ დაიძრა. ამის დამნახავმა სამხედრო გუბერნატორმა მიიღივნა ორთქლმავალთან და მოჰკლა იგი!

— ვინ, ორთქლმავალი? — იკითხა სანდრომ.

— არა, მემანქანე! მერე თვითონ დადგა მის ადგილზე და მისცა სრული სვლა!... თუჯის ბოძი მოიღუნა. მაგრამ მე მაინც არ ვუშვებდი, სანამ ხელი არ მომწყვიტა! — მოხუცმა თვალები დახუჭა აუტანელი ტკივილისაგან და თავი განწირულად განაგრძო: — ხალხის მასებმა მოასწრეს შეენიშნათ, რომ მე შეჭირა ჯავშნიანი მატარებელი და თავს უშველეს!.. მე კი ხელი გადავიკირე ქამრით, გავქანე თეატრისაკენ და სწორედ მეცხრე სურათს მივუსწარი! ისე შევასრულე ჩემი როლი, როგორც არასდროს!

ჩამოშვებულ ფარდასთან ერთად მეც დავეცი. სისხლისაგან ვიკლდებოდე! გონს ციხეში მოვედი... *შეზღუდულია*

— მერე და ხელი?... — ჰკითხა ოდნავი ღიმილით ნინომ.

— რომელი ხელი? აჰ, ის!.. ის ისე მაგრად იყო ჩაჭიდული ბუფერზე, რომ ცუდით მოუხდათ მისი მოკვეთა!

— არა, ეს, თქვენ დაჭრილ ხელზე გეკითხებათ. — ვთქვი მე.

— დიახ... თუ არ ჩემი გოლიათური ჯანმრთელობა... მაგრამ ხალხთა მასებმა იმ დღესვე მოითხოვეს ჩემი განთავისუფლება.

მოხუცმა მარცხენა ხელში აიღო მარჯვენა ხელის ტაკვი და სიყვარულით დასცქეროდა მას.

კომენტარიები, რასაკვირველია, ხედმეტი იყო, მაგრამ ჩვენი დუმილი აწუხებდა მოხუცს. წამოხტა, ბუფეტთან მიფრატუნდა და ღვეზელებით სავსე თეფში მოიტანა.

— მიირთვი, გეთავა... ვთხოვთ! ჩემი ცოლი მსოფლიოში საუკეთესო ღვეზელებს აცხობს! დიახ, დიახ; ამას სავსებით სერიოზულად გეუბნებით!

ღვეზელები, მართლაც, ძალიან გემრიელი აღმოჩნდა.

— აიღეთ კიდევ! ძალიან ვთხოვთ, ნუ დაირცხვენთ!.. სამწუხაროდ, საქართველოში არ არის გველთევზები, თორემ ჩემი მეუღლე იმათგან ისეთ ღვეზელებს ამზადებდა; როცა პირში ჩაიდებ, გველთევზები ჰყვივინ ხოლმე.

ნინო კინალამ დაიბრჩო ღვეზელით, სანდრო ვებებრთელა ჭრელი ხელსახოცით გულმოდგინედ იხოცავდა სახეს. მე და „ახალი“ კი ტუჩებს ვიკვნიტდით.

ჩვენს ბედად კარი გაიღო და ოთახში შემოვიდა მომცრო ტანის კოპწია მოხუცი ქალი, ძალზე ცოცხალი თვალები ჰქონდა.

ქალი კეთილად მოგვესალმა, დივანის ვერძზე რაღაც პატარა შეფუთული ნივთი დადო, მიჯახლოვდა ქმარს და ალერსიანი მოძრაობით შუ-

ბლზე ჩამოვარდნილი ქალაქი კულუღი გადაუწია.

— ვერაფერი ვერ ვაგვიდე. — დაბალი ხმით უთხრა ქმარს.

— ლიუდმილა ბორისოვნა, — მიმართა მას მოხუცმა, — ამ ახალგაზრდებს სურთ ჩვენგან იყიდონ თავის ქალა.

— ჰოდა, უჩვენე. — თქვა ლიუდმილა ბორისოვნამ. — მოვიტანო?

— გვიყავი სიკეთე, თუ არ ვაგვიძნელებდა.

ქალმა გამოიღო კარადიდან ქუდების მრგვალი ყუთი და ნეკრესის ქარები-საგან დაკრუნხებული თითებით დაუწყო გახსნა კოლოფზე გადაჭერილ ღვედს.

— სვიატასლავ ინოკენტიევიჩმა, ალბათ, ბევრი აბდაუბდა ვიამბოთ?.. — გვეითხა მანდილოსანმა და ისეთი სიყვარულით ვახედა ქმარს, რომ გულს სიამე მოგვეფინა.

— აბა, რას ამბობ, ჩემო გვრიტო!.. ეს-ეს არის მოვიდნენ! — იცრუა მოხუცმა.

ქალმა, როგორც იქნა, ვახსნა კოლოფი, ამოიღო ვახეთში შეხვეული თავის ქალა და ქმარს ვადასცა.

— მე ნავთისათვის წავალ, თორემ მერე დუქანს დაკეტავენ, — თქვა ქალმა.

— ჰო, ჰო, წადი! — რატომღაც გაეხარადა მოხუცს.

— მე, წინათ, რასაკვირველია, ჩემს თავს ამის უფლებას არ მივცემდი... მაგრამ რას იზამ, რაღაცნაირად ხომ უნდა იცხოვრო! — დაიწყო მოხუცმა, როცა დიასახლისმა კარი გაიხურა.

— აბა, გვიჩვენეთ, თუ შეიძლება, — ველარ მოითმინა ნინომ, რადგან მოხუცი ჯერ არ აპირებდა ვახეთის ვახსნას.

— ქალა, როგორც ყოველი ქალა! — თქვა სანდრომ, რომელმაც ვადაწყვიტა, რომ ვაპრობა თავიდანვე უნდა დაიწყო.

— ჯერ ნახეთ და მერე ვიამბობთ... — საზამთროების გამოყიდვით და-

უწყო მოხუცმა აქეთ-იქით ტრიალი ლაქწასმულ ქალას.

— რამდენი გნებავთ „ახალმა“.

— ამ ქალას ფასი არა აქვს! — მედიდურად წარმოსთქვა მოხუცმა.

— იქნებ, თქვენთვის... მაგრამ ჩვენ... — ჩაერია ლაპარაკში ჩვენს შორის საუკეთესო დიპლომატი ნინო.

— ერთი წამი... — ზრდილობიანი ღიმილით შეაჩერა ნინო მოხუცმა, — ეს განთქმული ყაჩაღის თავის ქალაა, რომელიც მე...

— უჰ! — დაეკარგა მოთმინება სანდროს.

— ჩვენ უფრო სწავლულთა ქალა გვინტერესებს, — ვთქვი მე.

— ის დიდი მეცნიერიც იყო! როცა მე...

— რამდენი გნებავთ მაგ ქალში? — საკმაოდ მშრალად იკითხა „ახალმა“, რომელსაც, მისი ხასიათის მიხედვით, სიზუსტე და გარკვეულობა უყვარდა, რაც საშუალებას აძლევდა ფასი დაედო მოხუცის ფანტაზიის სრული მშვენებისათვის.

მოხუცი ცოტაოდენ ჩაფიქრდა, მერე კი სავესებით ბუნებრივი ტონით გვითხრა ფასი.

ჩვენ უნებურად ერთმანეთს ვადავებდეთ: ერთი ათად ვადაპარბებული იყო.

— რასა ბრძანებთ? — აღშფოთდა სანდრო.

— ძალიან ძვირია! — თქვა ნინომ. — იმდენად ძვირი, რომ ათი წლითაც რომ გვჭირდებოდეს, და არა რამდენიმე თვით. მაშინაც კი ვერ შევძლებდით მაგის ყიდვას.

— უფრო იაფად ვერ დაგითმობთ. — თქვა მოხუცმა.

— წავიდე. — თქვა „ახალმა“.

— ნახვამდის!

— მოითმინეთ, ნუთუ არა გჯერათ, რომ ეგ ნამდვილად მისი ფასია?

— გჯერა... — წამოვდექი მე, — მხოლოდ თქვენც დაგვიჯერეთ, რომ მაგდენის ვადახდა არ შეგვიძლია!

შემოვიდა დიასახლისი. ხელში ნავთის ბოთლი ეჭირა.

— რად მიბრძანდებით? — გაიკვირვა მან. — ჩაითა და ღვეზელებით გაგიმსპინძლდებით.

— ლიუდმილა ბორისოვნა! — მიმართა მოხუცმა დიასახლისს, — ხომ შეიძლება ვათხოვოთ ეს ქალა ამ ახალგაზრდებს, თუ კი მათ არ შეუძლიათ მისი ყიდვა!

— რა თქმა უნდა!.. თუ კი შენ მიგაჩნია, რომ ასეა საჭირო, ჩემო კარგო...

ამან, ცოტა არ იყოს, შელახა ჩვენი თავმოყვარეობა და კატეგორიული უარი განაცხადეთ.

ბევრი, გაქიანურებული და უხერხული კოკმანის შემდეგ, რადგან მოხუცებს ძალზე სწყინდათ ჩვენი უარი, ავიღეთ თავის ქალა.

თან პირობა ჩამოგვართვეს, რომ ხანდახან გვენახა მოხუცი. დიასახლისი სადღაც რაღაცას საქმიანობდა და მარტო დარჩენილი მოხუცი მოწყენილი იყო.

წასვლისას გვინდოდა დაგვეტოვებინა ჩვენი მისამართი, მაგრამ მათ ესეც ეწყინათ.

— მე არასდროს არავინ მომიტყუებია და მჭერა ადამიანებისა! — თქვა მოხუცმა.

— მართლაც, ასეთი მყავს! — დაუდასტურა დიასახლისმა.

როცა ძუნწის ჯიბესავით ბნელი და ღრმა სადარბაზოდან გამოვდიოდით, ერთმა ხნიერმა ქალმა შეგვაჩერა.

— დიდება ღმერთს, რომ თქვენ მათგან რაღაც გიყიდნიათ. — თქვა მან როცა დაინახა, რა სათუთად მოჰქონდა სანდროს შეფუთული ნივთი.

ჩვენ უხერხულობა ვიგრძენით, არაფერი ვუპასუხეთ და გვინდოდა საჩქაროდ გავსულიყავით, მაგრამ ქალს მთლიანად დაკავებული ჰქონდა გასასვლელი.

— მიიმეა მოხუცი მსახიობის ცხოვრება! — ამოოხვრით წარმოსთქვა მან. ალბათ, უნდოდა გრძელი საუბარი გაეხატა. ნინო უცებ წამოეგო მის ანკესზე.

— რა, ეგ განთქმული მსახიობი იყო? — შეეკითხა ნინო.

— განთქმული მსახიობი... მაგისტრი... ცოლი იყო... თვითონ კი... მხოლოდ ძალიან ლამაზი იყო!

— ის პატარა მოხუცი ქალი? — გაიკვირვა ნინომ.

— სწორედ ის... ქმარს კი, მხოლოდ ცოლის გულისთვის დებულობდნენ დასში, აი ახლაც, ის ქალი რომ არა...

— უკაცრავად! — თქვა „ახალმა“ და შეეცადა როგორმე გამძვრალიყო უზარმაზარ გულმკერდსა და კარის ჩარჩოს შუა.

მე და სანდრო „ახალს“ მივეყვით, და ნინო, სულმოკლედ, იმ ქალს შევეატოვეთ ხელში.

ახლა გვეჩვენებოდა, რომ მოხუცები მოვატყუეთ.

მას შემდეგ, კიდევ რამდენჯერმე ვიყავით მოხუცებთან და ხან ხილით, ხან ღვინოთი მოვიკითხეთ.

მოხუცის ფანტაზია უშრეტე გახლდათ. ყოველ საგანზე შეეძლო შეეთხზა შემადრწუნებელი ამბები, რომლებზეც თვით ბარონ მიუნჰაუზენიც კი არ იტყოდა უარს.

ჩემი პირველი შთაბეჭდილება, რომ მოხუცი ჰქუაზე ცოტა აფრაკად იყო, შემცდარი გამოდგა. სვიატოსლავ ინოკენტიევიჩს ნათელი გონება აქვს და საინტერესო თანამოსაუბრეა იმ მომენტამდე... სანამ მთხრობლად გადაიქცევა... მე კი ერთიკ მომწონს და მეორეც.

დიდხანს ვერ მივხვდი პიროვნების ასეთი გარებების მიზეზს. თითქოს ჰკვიანი, ინტელიგენტი კაცი, უეცრად გადაიქცეოდა ხოლმე ტყუილების გუდალად. რა იძულებდა? ბოლოს მივხვდი: ეს იყო თავდაცვა.

თავდაცვა ასე მოულოდნელად თავზე დატეხილი, მისთვის სრულიად გაუგებარი ახალი სამყაროს წინაშე.

რევოლუციამ გაკათა დახავსებული, ნახევრად დამპალი ტყე. ის კი ზრთოვანი ნაფორთაგანი იყო!.. და აი, თავისი ფანტაზიის კამყამა ნაკადულის ზე-

დაპირზე ცურვისას, მას ექნებოდა ილუზია, რომ ჯერ არ დაძვრჩავალა...

იგი მხოლოდ იმ პირთა ნაირსახეობა იყო, ვინც ცხოვრების კალაპოტს გარეთ ვაირიყა და რომლებიც ასე ბევრნი იყვნენ ჩვენს მოკეთებებსა და ნაცნობებში.

რა თქმა უნდა, ამას ზედ ერთვოდა მოხუცებულობა. „აქტიორისა“ და „ლაშაზი შამაკისა“, პროფესიული დაქვეითება, ხელმოკლეობა... მაგრამ ჩემი აზრით, ეს მაინც მთავარი არ იყო...

რადაც კოლოსალურმა ძალამ დაღეწა ყველა შემეცნება, რომელიც მას ურყევი და მუდმივი ეგონა... იმას კი, რომ იგი უხეირო ადამიანი არ იყო, არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

როგორც მდარე აქტიორი, რეჟისორის ნება-სურვილისა და აზრების დაქვემდებარებას დაჩვეული, ის ახლაც თავისებურად იცავდა თავს... მაგრამ მისი ახალი როლი „მუშათა კლასისათვის მებრძოლისა“ მეტად პრიმიტიულად იყო გათამამებული, და მხოლოდ სიცილს იწვევდა.

მე ძალზე კმაყოფილი ვიყავი ჩემი თავის. როცა მარტო რჩები საკუთარ ფიქრებთან, რა საჭიროა თავმდაბლობა! ყველას ხომ არ შეეძლო მოხუცის ტრაგედიაში გარკვევა. ამისათვის ინტელექტი იყო საჭირო...

სიამაყის გრძნობამ ამიტაცა ჩემი „მე“-ს წინაშე, რომელიც მხოლოდ იმას ელოდა, რომ დაუოკებლად გაბერილიყო და გარეთ გამოვარდნილიყო. როგორც გაბერილი კამერა გახეულ საბურავიდან... და უეცრად ყველაფერი საშინელი ჭახანით გასკდა!

მხოლოდ ახლა აღმოვაჩინე, რომ არა მქონდა ჩემი საკუთარი დამოკიდებულება იმ ამბებთან, რომლებსაც სხვებში ვაანალიზებდი.

საჭირო იყო სერიოზული ჩაფიქრება. თორემ გამოდიოდა, რომ ჩემი შინა სამყარო, რომელიც აღსავსე მეგონა ძალზე რთული გრძნობებით და შთანთქმირებით, სინამდვილეში სრულიად ცარიელი იყო!

რა თქმა უნდა, რეგულაცია მიტაცებ-

და თავისი უღმობელი ლოგიკით და მიზანთა ჰუმანურობით!... მაგრამ იმავ დროს მაშინებდა თავისი მუდმივად მუდმივ ბითაც მათ მიმართ, ვინც მასთან არ იყო.

მაშინებდა... მერე ეს მართალია? მე, უბრალოდ, ძალიან სწორად მსმენია ეს სიტყვა სხვებისაგან და როგორღაც შევეჩვიე მას. პირადად მე კი ეს სულაც არ მაშინებდა. მაშ, რაშია საქმე? რატომ დაეფრენ მე „ცისა და დედამიწის შუა“. როგორც მეუბნებოდა „ახალი“.

აღბათ, იმიტომ, რომ მე მებრალებოდნენ ისინი... მაგრამ, ვანა ღირსნი იყვნენ სიბრაულელისა?! ჩემის აზრით, არა! ახლა ხომ კარგად ვიცნობ ცხოვრებასა და მის ავანაჩავანს!

ზუნების უღმობელი კანონით სუსტმა უნდა დაუთმოს ადგილი ძლიერს, სხვანაირად რომ ვთქვათ, გაქრეს... და ეს უღმობელობა, არსებითად, აუცილებელი „აბლიაცია“ იყო სხეულის განგრენიანი ნაწილისა.

ახლა მგონია, ყველაფერში გავერკვევ. მაგრამ რა ძნელი იყო ამ დასკვნამდე მისვლა!

ჩემმა საუკეთესო მეგობარმა „ახალი-მა“ კომკავშირში შესვლა მირჩია:

— შენ პრინციპული ბიჭი ხარ და შენი ადგილი იქ არის! — ძალზე დამაჯერებლად მითხრა მან.

— არა!... — ვეცადე, მის მიერ დაყენებული საკითხის სერიოზულობისათვის არ მიმეცა მნიშვნელობა იმის შიშით, თუ როგორ შეხვდებოდა ამ ამბავს ჩემი მრავალრიცხოვანი ნათესაობა. რა უნებისყოფო, სულელი ვიყავი!... როგორც კი მომეცემა შემთხვევა, ვეტყვი „ახალს“, რომ ახლა ყველაფერი მესმის!

• • •

— აი, მობრძანდება „ხტუნია ვაჟაკი“! — ხმამალა თქვა „ანგლიჩანკამ“ და ზიზლით აღსავსე ღვალი გამომამყოლა.

ის ქუჩაში იდგა და ფანჯარაში გადმოყუდებულ თამარსა და დედამისს ესაუბრებოდა. თამარმა შორიდან მომ-

კრა თვალი და თავი განზე ძიებრუნა.

მე ისე გავიარე, თითქოს არაფერი გამეგონოს. მხოლოდ ხიღზე გავხსენი მწარედ შეკრული კრიჭა და გონების თვალი მოვაველე მომხდარ ამბებს.

ღიახ, „ხტუნია“ ვარ! ეს უიშისოდაც ვიცი!... თუმცა მის მიერ შემოთავაზებულ მეგობრობაზე თუ დამიყოლიებდა, ყველაფერი უფრო ბინძური იქნებოდა. არ უნდა დაეთანხმებოდი მას მიპატიებებაზე...

როცა შეევედი მადამ დე-სტალის და მანანა ორბელიანის ახლანდელი მიმდევარის — „ანგლიჩანკას სალონში“, უკვე შეკრებილიყვნენ სტუმრები — გამოკვანძული, ამრეზილი, ხანშიშესული მამაკაცები, ენამოჩლეკილი მომცრო ასაკის დეგენერატები, რამდენიმე შეღებილი, ერთთავად პაპიროსის მწვეელი ქალი, ზიგფრიდის პროფილიანი ახალგაზრდა, მეზობელი გერმანელი კბილის ექიმის შვილი და, რასაკვირველია, დიასახლისის ქმარი, ნებმანი.

ნებმანი იმდენად მოხუცდა და გაიქუცა, რომ „ანგლიჩანკას“ სხვა აღარა დარჩა რა, რომ მოეკიდა ხელი „ხელოვნებისთვის“...

— როგორ შეიძლება სიცოცხლე სიკეთის, სიმართლისა და პუმანურობის გარეშე! — უკვე მესამედ ამბობდა ზიგფრიდის პროფილიანი ახალგაზრდა და, რადგან არავინ გამოეპასუხა, აღშფოთებულმა წოვა დაუწყო მეზღვაურულ, ჩამქრალ ყალიონს.

ნებმანი, მთლად ჩაფლული ღრმა სავარძელში, საიდანაც მხოლოდ მისი დამპალი ნესვის მსგავსი თავი მოჩანდა, დროგამოშვებით ასწევდა ჩაწითლებულ ქუთუთოებს და ამღვრეულ თვალთა ბებრულ, დაუხამხამებელ მზერას არ ამორებდა თავის მეუღლეს.

შემდეგ კიდევ ვიღაც მოვიდა. დიასახლისი კარისაკენ გაემართა, სტუმრები კი მოწყენილი ცნობისმოყვარეობით მიაშტერდნენ დერეფნიდან შემოსასვლელ კარებს.

შემოვიდნენ ყვითელ დილბიან ფეხსაცმელებში გამოწყობილი მესაბნე

და უკანასკნელ მოდაზე ჩაცმული, თმებგადაპირილებული დამკრთობელი გედეონი.

გიგლიჩანკა

ქალთა ხელზე ამბორის შემდეგ, გედეონი ქედმაღლური თავისდაკრით მიესალმა მამაკაცებს და, როცა შემნიშნა, გამიღიმა.

ყავის სმის დროს ლაპარაკობდნენ კელერმანის გახმაურებულ რომანზე „გვირაბი“.

— მე ყველაზე უფრო ის მომეწონა, რომ მთავარ გმირს საესეებით არა აქვს სმენა! — თქვა „ანგლიჩანკამ“. — ასეთი კაცი იდეალური ქმარი იქნება!

— რატომ? — გაიკვირვა ზიგფრიდის პროფილიანმა ახალგაზრდამ, რომელიც, ალბათ, სთვლიდა, რომ ყოველგვარი იდეალების განსახიერება მხოლოდ თვითონ უნდა ყოფილიყო.

— იმიტომ, რომ მისთვის ძნელი იქნება გაერკვეს ყაღბ კოლოში, როცა ცოლი... — „ანგლიჩანკამ“ მანჭია ორახროვებით გადახედა მამაკაცებს, და გაიციინა.

— ე. მადრამ როცა კაცს მუსიკალური სმენა არა აქვს, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მას ცუდად ესმის! — ჭირვეულად განაგრძობდა კამათს ზიგფრიდის ჩამომავალი.

— სიმართლე რომ ვთქვათ, თქვენ, ამ მხრივ, არ უნდა გქონდეთ პრეტენზიები მეუღლის მიმართ! — ჩაუქილიკა ძალზე ღრმად ამოჭრილ დეკოლტიანმა მანდილოსანმა.

— ო, ო! ნუ ბრძანებთ ამას! მისი თავი ამ წუთშიაც ოჭროდა ღირს! — გამოეჭმობა ნებმანს მესაბნე.

— თქვენ მასთან საქმეები გაკავშირებთ და... შეიძლება იქ ყველაფერი რიგზე... — მხრები აიჩეჩა „ანგლიჩანკამ“, გაიხედა ქმრის სავარძლისკენ და, როცა მის დაუხამხამებელ მზერას წააწყდა, ალერსიანად გაუღიმა.

„ანგლიჩანკას“ გვერდზე მჯდარი, ძაფივით წვრილულვაშებიანი, ოწინათო სახის დიკინიარტი დაილოუნა შავილის ქვეშ, რომ ქმარს არ დაენახა და ხელზე კოცნა დაუწყო მას.

გედეონი ყავაში აწობდა ნამცხვარს და მაღიანად პირში იღებდა. იშვიათად, როცა ლაპარაკის საშუალება მიეცემოდა ხოლმე, ღრმა დეკოლტიან ქალს უყვებოდა, თუ როგორ იჭდა თითქმის მთელი დღე მკერავთან და პარიკმახერთან, და ვახშობაც ვერ მოასწრო.

დიდსულოვნებით აღსავსე ქალი განუწყვეტლივ აწვდიდა გედეონს ნამცხვრიან თევზებს და მიზნედილად, ძაღლივით უყურებდა თვალეში. მაღლიერი გედეონი კი, თავის მხრივ, ხანგამოშვებით ჩახედავდა ხოლმე დეკოლტეში.

ყავის შემდეგ ტუბილ სასმელებსა და არაყზე გადავიდნენ.

ნეპმანი, წინანდებურად, სავარძლიდან თვალს არ ამორებდა თავის ცოლს და პირს არაფერს აკარებდა. მერე მესამე მიუჯდა გვერდზე, უბის წიგნაკი მოიმარჯვა და რაღაცის მტკიცება დაუწყო, თან ციფრებზე თითს აყოლებდა.

შეზარბოშებული სტუმრები და დიასახლისი ვატაცებით ჭორაობდნენ საერთო ნაცნობებზე, არკვევდნენ, თუ ვინ ვისი საყვარელია.

ღმერთო, როგორ მეზიზღებოდა ირველივ ყველაფერი!...

წამოვდექი და შეუმჩნევლად ვაპირებდი წასვლას, მაგრამ სწორედ ამ დროს პატეფონი ახმაურდა, „ანგლიჩანკამ“ მხარზე ხელი დამადო და უკვე იბრიცებოდა მუსიკის ტაქტზე.

კიდევ კარგი, რომ ქალები ცოტანი იყვნენ კაცებზე და მეტწილად ჯდომა მიწევდა.

უკანასკნელი ფოქსტროტის ცეკვა მაინტ „ანგლიჩანკასთან“ მომიხდა.

— ჩვენ დავმეგობრდეთ! — წაიჩურჩულა და ცხელი სუნთქვით ყური ამიწვა. — როცა ყველანი წავლენ, მე მოხუცს დავაძინებ, თქვენ კი ოციოდე წუთის შემდეგ დაბჭუნდით!

დანამდეილებით არ მახსოვს, რა ვუპასუხე. მგონია, რაღაც მიამიტური და სულელური. ყოველ შემთხვევაში, ქალებზე ასე არ ამბობენ უარს. მგონია, ვუთხარი, არ მიყვარხარ — და ჩემზე ორჯერ უფროსიცა ხარ-მეთქი.

ამ მდგომარეობიდან გამოშყვანა გედეონმა, რომელსაც არ უნდოდა დეკოლტიანი ქალის გაცილებად მოგვეყვარებოდა და უთხრა „ანგლიჩანკას“, რომ ჩემთან ფრიალ სერიოზული და გადაუდებელი საქმე აქვს.

საქმე კი ის იყო, რომ გედეონს ჩემთან დასაძინებლად უნდოდა წამოსვლა. უკანასკნელ ხანებში გედეონი აუხიბრდა სიძეს, დის ქმარს, რომელთანაც ცხოვრობს.

აქედან დაიწყო ყველაფერი. გედეონი დაეჩვია ჩემთან ღამის თევას და, რომელი საათიც არ უნდა ყოფილიყო, შეშის საწყობის მესერზე გადმოდიოდა ხოლმე.

დღისით მას არა ვხვდებოდი. მტკიცებდა მქონდა გადაწყვეტილი, ჩამოვშორებოდი მასა და მის კომპანიას... თუმცა სულ სხვანაირად გამოდიოდა, თუ მივიღებთ მხედველობაში. მის ღამეულ ვიზიტებს.

როცა ანატომიურ კაბინეტში „ახალს“ „ანგლიჩანკას“ სალონში ჩემი სტუმრობის ამბავს ვუყვებოდი, იგი მშვიდად განაგრძობდა მუშაობას თავის სკალპელითა და პინცეტით.

შინისკენ რომ მოვდიოდი, „ახალს“ ვთხოვე ცოტა ჩამოვჩენოდიოთ სანდროსა და ნინოს.

— რატომ არაფერს მეუბნები? — ვკითხე ნაწყენი კილოთი.

— მერე და, რა აზრი აქვს ამას?

— მე ხომ ყველაფერი ამხანაგურად..

— ვწუხვარ. — შემაწყვეტინა მან, — მე არა მჯერა იმ დასავლეთური თეორიებისა, რომლების მიხედვით ცალკეული კატეგორია ადამიანებისა პათოლოგიური შთამომავლობისანი იბადებიან, თორემ...

— მიმაკუთნებდი იმ კატეგორიას, არა?!

— მაშ რა გინდოდა იმ გაბრწინილთა ბუნაგში, იმ სანაგვეზე გადაყრილ ხალხში?

— მეც მწიგნობრულად გიპასუხებ, — ვუთხარი მე, — ამისი მიზეზი სოციალუ-

რი პირობებია... მოწყენილი ვარ თავისუფალ დროს.

რამდენსაც არ ეცადა, „ახალი“ ღიმილი ვერ შეიკავა.

— თურმე რატომ მიყვარხარ! — თქვა მან. — ნუთუ არ იცოდი, ვისთან მიდიოდი?

მე მხრები ავიჩეჩე.

— ვიცოდი, მაგრამ... გართობა მიწოდდა...

— განა ყოველ საღამოს უნდა გაერთო? — „ახალი“ გამომცდელად ჩამაშტერდა თვალბეში.

— არა, მაგრამ მაინც...

— შენ, არსებითად, ოჯახი არა გაქვს და იმიტომ გიჭირს აგრე!

— შენ?

— ჩემი საქმე სულ სხვაა! — ალერსიანად გამოიღმა „ახალი“. — მეც მიჭირდა... მაგრამ მე მიზანი მქონდა!

რა ლამაზი და ვაჟკაცური იყო, როცა ამას ამბობდა!

ოჰ! რომ შეიძლებოდა დროის უკანვე შებრუნება! მას აქვთ ხომ მხოლოდ ორი თვე გავიდა. რამდენი რამ მოხდა შემდეგ. ახლა „ახალი“, სანდრო, ნინო და ყველა ამხანაგები განავრთობენ სწავლას. მათ ყველაფერი წინ, აქვთ, მე კი... „ხტუნია ვაჟკაცი“, — „ანგლიჩანკამაც“ რომ აბუჩად ამიგდო! მე კი სხვა არაფერი დამრჩენოდა, რომ კრიკა შემეკრა...

რომ სცოდნოდა იმ საზიზღარ ქალს, რა ორმაგად მოახვედრა მიზანში! მართლაც, მე ვხტოდი. ამ სიტყვის ნამდვილი გავებით, ის კი მესროდა... ვხტოდი, თითქოს ამით შეიძლებოდა ტყვიის აცილება...

„ანგლიჩანკამ“ საოცრად სწორედ თქვა, „ხტუნიაო!“ სინტერესოა, ახლა ჩემ მეგობრებს რა ლექცია აქვთ? ეჰ, სულერთია!...

საით წავიდე? იქნებ ისევ ვერის პარკში... ნეტავი კი იქ არავინ იყოს!.. გრილა, თუმცა მზე ბრწყინავს.. დავკლები ტირიფების ქვეშ ნაპირზე და ვუყურებ წყალს. ეს ისე მამშვიდებს...

რატომ არ დავიხრჩე მაშინ, ბავშვობა-

ში... ეს ყველაფერი ხომ არ შემემთხვეოდა! თუმცა, არა, მამა იქნებოდა ცაცოდავი! ახლა კი არ შემძლეოდა ვეღედემის საფლავეზე... მრცხენია, თუმცა უღირსი არა ჩამიდენია რა... არაფერი აღარ მესმის...

ღია ფერებად გამოსკვიოდა წიწვიანი ხეების სიმწვანე თამბაქოსფრად შეყვითლებულ, ჩამოცვენილ და ზოგან კიდევ ტოტებზე შერჩენილ ფურცლების ფონზე.

ხეშეში და ცივი იყო ტირიფის ძირი. ჩამორეცხილ ნაპირთან, გამკვირვალე წყალში, ხეების ვარდისფერი ფესვები ნელნელა ლივლივებდნენ. პირდაპირ, პატარა კუნძულზე, რიყის ქვებზე, წყალი დიდობისაგან წალეკილი და ფურცელგაცილი ტირიფის ბუჩქნარი წალუნულიყო და წელში ველარ გამართულიყო.

— ყველაფერი, რაც მას დაემართა, მართებულია და ლოგიკური! — რამდენჯერმე მოვკარი ყური, როცა ჩემზე ლაპარაკობდნენ.

მათი ლოგიკა?! ჰმ! შემთხვევის შემდეგ განსაჯო ყველაფერი, რაც მანამდე გაუგებრად მიაჩნდათ!

აკი ეს ამბები ჩემთვის იმ მოჯადოებულ რკალს გარეთ მზადდებოდა, რომელიც კულში კბილწალებულ მახრჩობელა გველსა ჰგავდა... ახლა უნდათ, მე შემჩხირონ იმ რკალში!..

ღამის სამ საათზე შეშის საწყობიდან გედრონი გადმოძვრა და ფანჯარაზე დამიკაქუნა. მერე დიღხანს იწმენდა ტალახიან ფეხსაცმელებსა და ტანისამოსს... დილით კი გამაფრთხილა; გუშინ მთელი საღამო ჩვენ ერთად ვიყავით, კინოშიც წავედით და მერე ჩემთან გვეძინა. ამოიღო ორი ბილეთი და მიიძულა დამეხსომებინა მათი ნომრები და რიგიც.

უარი ვერ ვუთხარი, თუმცა ჩემს თავზე ვბრაზობდი და ვფიქრობდი, რატომ ვუქმნი მას ყალბ ალიბის, როცა უკვე დიდი ხანია არაფერი მაქვს მათთან საერთო, თანაც ნამდვილად მხოლოდ ჩხუბი იყო?

ორი დღის შემდეგ, სამძებრო მძ-

ლიციაში გამოძიახეს. ქალაქიდან გაუსვლელობის ხელწერილი ჩამომართვეს...

ბოლოს, ბევრი ძეზნის შემდეგ, მაინც ვიპოვენ გედეონი ბრბოში, ცირკის წინ. და განზე გავიხმე. როცა ახსნა-განმარტების მაგივრად მირჩია, ენაზე კბილი დააპირეო, ყელში ვწვდი. გარს შემოგვეხვივნენ უცნობი პირები, გედეონს უბრძანეს დაუყოვნებლივ მოშორებოდა იქაურობას და მე მირჩიეს შევლეოდი მესხიერებას, რომელიც სიცოცხლეზე ბევრად იაფია...

ლექციაზე გაოგნებული ვიჯექი. არაფერი მესმოდა. „ახალმა“ შემატყო, რომ ჩემს თავს რაღაც ამბავია. მე კი არაფრის თქმა არ შემეძლო.

ჩვენ მეორე კურსელების პირველი საღამოსთვის ვემზადებოდით, და როცა უკუნებობის მიზეზი მკითხა, მოვიმიხეზე, თითქოს დეკორაციები არ გამომდიოდა. მერე თითქოს ყველაფერი დამშვიდდა. გულმოდგინედ ვმეცადინებოდი და ვცდილობდი არ მეფიქრა წარსულზე. თეთრ ხალათში გამოწყობილი შედიდურად გავცქეროდი ანატომიური კაბინეტის კარებთან შეკრებილ პირველკურსელებს, საუბარში ვხმარობდი სამედიცინო ტერმინებს, თვითელში უკვე ავადმყოფს ვხედავდი და გაწაფული დასტაქარივით, მთელი საათობით ვიბანდი ხელებს.

ყოველგვარი ძალდატანების გარეშე მეგობრებს დავევებოდი თეატრებში, პოეზიის საღამოებზე, საინტერესო მოხსენებაზე და ჩვენი ფაკულტეტის ზოგიერთ ამხანაგთა ოჯახებში...

ამას მოჰყვა ჩვენი საღამო, რომელმაც ყველაფერი გადამიხაზა, მე ერთერთი განმკარგულბული ვიყავი, დავრბოდი ათასგვარ საქმეზე და არც კი მიმიქცევია ყურადღება გოგისა და გედეონისათვის, რომლებიც ვიღაც ბიჭების თანხლებით მოვიდნენ.

როცა ყვირილის ხმაზე მოვირბინე, პირველი, რაც დავინახე, ეს იყო იატაკზე გაშლართული სანდრო, მისკენ ღალუნული ნინო და კედელზე მიყრდ-

ნობილი „ახალი“. „ახალი“ ძალზე გაფთვრებული იყო და ტუჩის კუთხიდან სისხლმა ნელნელა დაუწყო დენა.

გედეონი, რომელსაც გარშემო ხალხი შემოჰფანტოდა, ცოფიანივით აბრიალებდა თვალებს... მე, მგონია, ვიღიმებოდი, როცა მივუახლოვდი... მახსოვს გედეონის უკან გადაგდებული თავი, მის სახეზე ჯერ კიდევ წარუშლელი გაკვირვება. როგორ შემომხვია ხელები, რომ მეორე დარტყმა აცდენოდა და მთლად სისხლით მომსვარა. მერე როგორ ვფანტავდი ჩემს დასაოკებლად მოცვენილ ხალხს, როცა გედეონი მიჰყავდათ მის მეგობრებს.

მერე მილიცია მოვიდა. ჩემდა სამარცხვინოდ, როგორც საშიშ ბოროტმოქმედს, ორივე ხელი გამიკავეს და ისე ვამიყვანეს ქუჩაში. იქ კიდევ საგარეოდ გამოწყობილი თამარი და მისი შობლები შემომხვდნენ.

მახსოვს, ზურგს უკან მომესმა ნინოს ხმა: „ეგ არაფერ შუაშია!“

მილიციაში განვაცხადე, რომ გედეონი ჩემთვის სრულიად უცნობი პიროვნება იყო... ახლაც მახსოვს, როგორ დაუმრგვალდა თვალები სანდროს, ერთადერთს, რომელიც იცნობდა გედეონს.

ფაკულტეტიდან ჩემი ვარიცხვა უნდოდათ, მაგრამ როცა კარგად გაერკვნენ საქმეში, დამტოვეს. ეს, რა თქმა უნდა, „ახალის“, სანდროს და ნინოს მეოხებით მოხდა. მაგრამ ამხანაგური სასამართლოს თავიდან აცილება კი ველარ მოახერხეს.

მეგობრები მოითხოვნენ, მევედრებოდნენ, სასამართლოზე დავთანხმებოდი, მაგრამ ამაოდ. მე ვიუარე გავესამართლებინე იმათ, ვის თვალწინაც ყოველივე ეს მოხდა და თვითონ თითიც კი არ გაანძრის!

თამარს კატეგორიულად აუკრძალეს ჩემთან შეხვედრა... ისიც გამგონე ქალიშვილი გამოდგა. მით უმეტეს, რომ მათთან სიარულს მოუხშირა ზიგფრიდის პროფილიანმა ახალგაზრდამ.

მეგობრებმა არ მიმატოვეს. მეცადინეობიდან თავისუფალ საათებში რომელიმე მათგანი უმჯველად იყო ჩემთან. მე კი ძალზე ვდარდობდი თამარზე...

მე და ნინო ჩვენსას მივდიოდით, როცა ხიდიდან მათ თვალი მოვკარი: ფანჯარასთან ისხდნენ. იგი მედიდურად ეწეოდა ყალიონს, თამარი კი ნაზად შესცქეროდა მის წუნდაუღებელ პროფილს...

აშკარაა, ეს სასიძოს ჩვენება იყო, საპატარძლოს ოჯახში ის ჩემზე ხუთი წლით უფროსი იყო, მაშის კაბინეტის მემკვიდრე უნდა გამხდარიყო. სახარბიელო სასიძოდ ითვლებოდა.

ჩვენ მათი ფანჯრის ქვეშ უნდა გავველო.

— ნინო, მე მგონია, უკვე შემიყვარდი კიდეც! — ნაზად ვუთხარი მას და მკლავზე ხელი წავავლე.

ნინომ არაფერი მიპასუხა. მხოლოდ უფრო მომეკრა... და ვიგრძენი, რომ კანკალებდა...

გავიარეთ ფანჯრის ქვეშ, როგორც ნაზად შეყვარებულებმა, ვერაფერს რომ ვერა ხედავენ... მერე კი, სადარბაზოში, როცა მან ჩემკენ მოაბრუნა ატკრიცილებული სახე ვკოცნიდი გაშმაგებით, ბრაზით... და ვცდილობდი დავრწმუნებულიყავი, რომ მიყვარს ნინო და არა თამარი!

მხოლოდ გვიან მივხვდი, რომ უტიფრად შევლანძლე მისი ასე უშუალო და სუფთა გრძნობა!

ვუთხარი, რომ არ მიყვარხარ-თქო, და პატიებას ვთხოვდი. ისიც ვუთხარი, კარგად არ მიცნობ მეტქი, რომ ჯერჯერობიძე, თუ გარეწარი არა ვარ, უმჯველად გავხდები, როგორც ყველა. ვისაც დაკარგული აქვს ცხოვრების მიზანი! რომ აღამიანი უნდა შეამოწმო ისევე, როგორც ხიდი, — მაქსიმალური დატვირთვით და თუ ვერ გაუძლო, გადიქვევა ნანგრევთა გროვად ისევე, როგორც მე!...

მან მიპასუხა, რომ ეს არ არის მართალი, რომ მე არა ვარ ასეთი, რომ ეს

ყველაფერი გაივლის, რომ ეს ჩემ გვერდით იქნება!

ის ახლაც მოდის ჩემთან და ველოდება იმ გრძნობის დაბრუნებას, რომელიც მის მიმართ არასოდეს მქონია... „ახალი“ ყველაფერს მიხვდა, მაგრამ რატომღაც სდუმს. იმ ღამეს, როცა თამარი გათხოვდა, შინ ვეღარ გავქელი. ძალზე ხმაშია მღეროდნენ იმათთან სუფრულ სიმღერებს.

კინოშიც ვეღარ დავრჩი ბოლომდე, მეტად ღამაზები და ბედნიერები იყვნენ ფილმის გმირები, და მეტად სულელი და უღამაზო გახლდათ წინასწარ განწირული უარყოფითი პერსონაჟი. ერთხანს ბაღში ვიყიალე და ბოლოს გავემართე სიმფონიური კონცერტის მოსასმენად. როცა უკვე საორკესტრო ნიჟარის ღობურას ვუახლოვდებოდი, მომესმა, ვიღაცამ დამიძახა. გედეონი იყო, გოგისთან და ვიღაც მთვრალე-თან ერთად საზაფხულო რესტორნიდან გამოდიოდა. შევდექი და ველოდი, რა მოხდებოდა შემდეგ.

გედეონმა კიდეც რამდენიმე ნაბიჯი ვადმოდგა და წონასწორობის შესანარჩუნებლად. განზე ფეხებგამდგარი შეჩერდა.

— აბა, ერთი აქეთ მობრძანდი! — საჩვენებელი თითით მანიშნა.

— თუ საქმე გაქვს, თვითონ მოდი! ჩხუბს ამ მდგომარეობაში გედეონი ვერ გაბედავდა. ამისთანობაში გამოცდალი იყო.

— მოდი, თორემ ცუდად წავივა საქმე!

მანაც ნახა მომენტი ჩემი შეშინებისა!

— წადი, გაეთრიე! — ვეღარ მოვითმინე მე.

გოგი რატომღაც განზე გახტა, და მხოლოდ მაშინ შევამჩნიე, რომ გედეონმა ჯიბიდან რევოლვერი ამოიღო.

— არ მოხვალ?! — და რევოლვერის ლულა მომიღერა.

— მესროლე!... უკანასკნელი კაცი იყო, თუ არ მესროლო! ჰა, ჰა, ჰა!... ვაეკაცობა არ გეყოფა!

გედეონი მესროდა, მე კი ადგილზე ვბტოდი, რადგან გაქცევა თავის დამცირებად მიმაჩნდა.

ყველაფერი მერე შევიგნე, როცა გედეონს ტყვიები შემოვლია და შებოკეს... ჩემს ახლო, მიწაზე, ვილაც დაჭრილი ფართხალებდა. გვიან შევიტყვერომ ის კაცი დაკოჭლდებოდა, ტყვია კეირისტავში მოხვედროდა.

გედეონი ცინეშია და იქიდან მემუქრება, როცა გამოვალ, ანდერას ავიგებო. იქნებ, ეს მართალიც იყოს. მაგრამ ყველაზე მწარე სიმართლე ის არის, „ახალიჩანკა“ რომ ამბობს ჩემზე „ბტუნია ვაჭკაციო“, მე ისე გავივლი ხოლმე, თითქოს არც მესმოდეს...

წყალი უკვე კარგავს გამჟვირვალობას, ბინდდება. აცივდა კიდეც.

დიახ, უნდა გადავწყვიტო!

საკვირველია როცა საზღვარგარეთ გაქცევაზე ვფიქრობ, რა ტკბილად და ძვირფასად მეჩვენება ჩემი საშობლო... რა აშკარად გამოსჭვივის ყველაფერი ის კარგი, რაც წინათ ბუნებრივად, ჩვეულებრივად მიმაჩნდა.

ნუთუ აღარ ვიქნები აქ? მაგრამ ხომ დაებრუნდები! დაებრუნდები, სულ დიდი, ხუთი, ექვსი წლის შემდეგ საზღვარგარეთული დიპლომით!...

ოჰ, რა ძნელია გადაწყვეტა!...

აქ ხომ ყველაფერში მარცხი ვანვიცადე: ოჯახში, სიყვარულში... სწავლაში! ყველაფერში... აბსოლუტურად ყველაფერში!

ვაიქცე, თუნდაც სამყაროს იქით, რომ თამარი აღარ დავინახო... როცა ის, ისე ბედნიერი, ქმართან ერთად ხელკავით მიდის.

დიახ, ეს ერთადერთი გამოსავალია! ოღონდ „ახალმა“ არ ვაიგოს... ის ხომ ჩემი საუკეთესო მეგობარია! ერთადერთია, რომელსაც ყველაფერი შეიძლება ვაანდო. მაგრამ ეს — არასოდეს!

უჩნევლა დაიწყო. ყველაფერი მღვრიე ბურუსში გაეხვია. შინ უნდა წავიდე...

• • •

საქართველო
საზღვარგარეთის

ისევე დავდივარ საბილიარდოში.

გედეონი ჯერ ცინეშია, უორა კაი ხანია, რაც ჩამოშორდა მათ კომპანიას და უფრო მაღალ სფეროში ტრიალებს, გოგის კი თვითონ ეშინია ჩემი.

ამაში საბოლოოდ დავრწმუნდი ამას წინათ, როცა მან აგდებულად მითხრა:

— ცინიდან გამოსვლისას გედეონი ვასანებს!

— ენახოთ, ვინ ვის! — ვუთხარი და თან სახეში შევებოლე. — მის გამოსვლამდე კი მის დოსტებს გაუფსოვრებ ანგარიშს!

რა თქმა უნდა, ასეთი რამ აზრადაც არ გამივლია, მაგრამ ახლა, როცა დავინახე, როგორ იმოქმედა ჩემმა სიტყვებმა ვოგზე, ეს სავსებით მისაღებად ჩავთვალე. არსებითად, აღარაფერი მქონდა დასაკარგავი და არაფრით განვსხვავდებოდი ამ ქმა-ბიჭებისაგან...

— არა, შენ კი ნუ გეგონება, რომ მე... შევეცდები ყველაფერი მოვაგვარო! მე ხომ შენიც ისეთივე მეგობარი ვარ, როგორც იმისი!

ანკარა იყო, შეშინდა.

სულმდებალი ფსიქოლოგია დაქაშების გარეშე დარჩენილი მხდალისა... მაგრამ სწორედ ასეთები არიან ძალზე საწინი, როცა მომრავლდებიან.

— ახლა კი შეეცადე, რაც შეიძლება იშვიათად მომხვედ თვალში! — თან ზიზლით ავთვალეირ-ჩავთვალეირე თავით ფეხებამდე და გავშორდი, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ დიდი ხანით გავუფუჭე ხასიათი.

საბილიარდოში ჩემი არყოფნის დროს იქ სიარული დაუწყია ჩვენი გუნდის მარჯვენა გარემარბს, ტოგოს. იგი ორი წელია ზედიზედ იჭრებოდა გამოცდებზე უნივერსიტეტში. რა თქმა უნდა, მეგობრობა განვაახლეთ.

ტოგო საშუალო ტანის, ლოყებწითელი ბიჭია, ცოტა ენას უკიდებს. გუნდში ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ ითვლებოდა. გამოირჩეოდა საოცარი

სისწრაფითა და ზუსტი დარტყმებით.

ტოგოს ტრაგედია მისი მრუდე ფეხებია. ის როგორღაც სხვანაირად დადის, თითქოს რვიანებსა ხაზავსო. როცა დგას, ერთი ფეხი ყოველთვის წინ აქვს წადგმული, მარცხნივ ან მარჯვნივ, სიმძიმის ცენტრის მიხედვით. ტოგოს რომ ჩემთან ერთად საზღვარგარეთ გაქცევა შევთავაზებ, ერთბაშად დამთანხმდა. მაგრამ მერე აწონ-დაწონა ყველაფერი და უარი მითხრა.

მხოლოდ მეორე დღეს მოვიდა ჩემთან, მტკიცედ გადაიწყვიტა გაქცევა.

ტოგომ მითხრა, თითქოს ამ საქმეებში მესაპნე ჩალიჩობდეს. მომაგონდა მესაპნის საუბარი ჩემთან საზღვრების პირობითობაზე, ლურჯი ან წითელი ფანქრით მოხაზულ რუკებზე.

საქირო იყო მესაპნესთან საერთო ენის გამოჩნება, მაგრამ მანამდე კიდევ ორი თანამგზავრი უნდა მეშოვნა, რომ გაცილებლებს საზღვარზე გადასვლისას არ დავეხოცეთ გაძარცვის მიზნით. იმათ ძებნაში საბილიარდოში ვათენვალამებდი და ყველას თვალებსა და სულში ვუძვრებოდი, იქნებ ჩვენი თანამოაზრე მეშოვნა. ერთთავად გვეტბასნებოდა სტეპკო, რომელსაც ადრე, როცა გოგისთან, უორასთან და გედეონთან ვმეგობრობდი, არაფრად ვაგდებდი, რადგან ქლესა კაცადა ვთვლიდი.

სტეპკო უხეიროდ არა მღეროდა, სასაცილოდ ჰბაძავდა სხვებს და, როცა მას საკონდიტროში წავიყვანდით ხოლმე, ძალზე მოხერხებულად იღებდა ორ ფუნთუშას ერთად, გამყიდველს კი ისე მოაჩვენებდა, თითქოს ერთს შეექცეოდა, როგორც ყველა დანარჩენები.

სტეპკოს ფულს არასოდეს არა ჰქონდა და იგი ჩვენს ანგარიშზე იზიარებდა ყოველნაირ სიამოვნებას, რასაც მეტად მოხდენილი უბრალოებით ღებულობდა.

ბოლოს, როცა სტეპკო ჩვენი კომპანიის განუყოფელი წევრი გახდა, ტოგომ წინადადება მომცა თან წაგვეყვანა.

მე ვუპასუხე, რომ თუმცა სტეპკოს

ვიცნობთ, მაგრამ უკეთესად უნდა გავიცნოთ-მეთქი. ტოგომ დაშინებულმა და ჩვენ მოვახერხეთ, თითქოს სრულად შემთხვევით, სტეპკოს ბინაზე მისვლა.

თავიდანვე თვალში მოგვხვდა სტეპკოს შშობლების ერთმანეთთან სრული შეუფერებლობა.

ჯერ კიდევ ლამაზი, ჰალარა, რალაც უცნაური გამომეტყველების დედა და პატარა, მახინჯი, ცხოველის მსგავსი, ქუქყიანი, დაჩაჩანაკებული მამა.

სტეპკოს მამას წინათ ღვინის სარდაფი ჰქონოდა. მას ბალანეთშიაც კი ვაპქონდა ღვინოები და ვილაც იქაური მეგობრის პარტივსაცემად, თავის ერთ-ერთ ვაჟს სტეპკო დაარქვა.

ოჯახში საშინელი ხელმოკლეობა სუფევდა, რადგან მამა დიდხანია ლოთობდა, უფროსი ვაჟი, ერთად-ერთი მაღალი ტანისა მთელ ოჯახში, ღმერთმა უწყის, რას საქმიანობდა, სტეპკო ერთთავად საბილიარდოში ეგდო. დანარჩენი ორნი კი ჯერ ბალღები იყვნენ.

მგონია, მათ ჰშველოდა დედასავით ლამაზი სტეპკოს უფროსი და, რომელიც ვილაც ფულიან კაცზე იყო გათხოვილი.

შემადრწუნებელი სანახავი იყო, რა ზიზღით და ხან კი აშკარა მძულვარებით უყურებდნენ ყველანი მამას.

დედას მთელი საღამოს განმავლობაში ერთხელაც არ შეუხედავს ქმრისათვის. უფროსმა ძმამ გადამეტებულად ქალური ექსტეზითა და მანერებით გვიჩვენა, თუ როგორა სძულს მამა; პატარა ბიჭი და გოგონა ისე ერიდებოდნენ მამას, როგორც სახადიანს. სტეპკომაც იგივე გვეგრძნობინა.

მე და ტოგო ძალიან უხერხულად ვგრძნობდით თავს, როცა სტეპკოსთან ერთად საბილიარდოში ვბრუნდებოდით. რალაცაზე უნდა გველაპარაკა და ჩვენც დედაზე გავაბით საუბარი, ერთად-ერთზე, რომელიც მოგვეწონა.

— ეჰ, თქვენ რომ გენახათ, რა ლამაზი იყო დედაჩემი იმ მკვლელობამდე! — დანანებით თქვა სტეპკომ.

— რა მკვლელობამდე? — სრულიად ლოგიკურად დაგვებადა კითხვა:

— მამ თქვენ არ იცით? მამაჩემმა რამდენიმე წლის წინათ... შემთხვევით, — უკანასკნელი სიტყვები სტეპკომ კბილებში გამოსცრა, — მოჰკლა ჩემი თორმეტი წლის ძმა!

— რას ამბობ, ბიჭო?!

— როგორ?

— ღვინოზე აგზავნიდა, ნისიალ... ძმამ კი იცოდა, რომ არ მისცემდნენ და არ გაუგონა. მაშინ მამაჩემმა, რომ დაეშინებინა... შემთხვევით ესროლა და მოჰკლა!

— მამა იცდა? — ჰკითხა ტოგომ.

— არა!... ხომ შემთხვევით მოხდა.

ამ „შემთხვევით“-ში იმდენი მწარე ირონია გამოსტვივოდა, რომ საუბარი სხვა თემაზე გადავიტანეთ.

როცა მე და ტოგო მარტონი დავრჩით, მითხრა, სტეპკო ძალიან წააგავს მამას და სკობია, მას ნურაფერს ვეტყვითო.

— პირიქით, ჩვენ სწორედ ეგეთები გვინდა! — ვუთხარი მე.

— ვითომ რატომო? — მკითხა ტოგომ.

— იმიტომ, რომ ჩვენ კეთილშობილ ქალწულთა ინსტიტუტისათვის კი არ ვაგროვებთ ხალხს.

— განა არსებობს ასეთი ინსტიტუტი? — მკითხა ტოგომ და, როცა შემამჩნია, რომ მოვიღუშე, დაუმატა: — ისეც უდი ბიჭი არ არის. მხოლოდ ეს კია, საიდან იშოვნის ფულს გამცილებლისათვის?

— ეგ უკვე მისი საქმეა. ვერ იშოვნის და დარჩება!

მეორე ღღეს ჩვენ შორიდან დაეუწყეთ ლაპარაკი სტეპკოს. იმისდა მიხედვით, თუ როგორ მიიღებდა ჩვენს წინადადებას, შეიძლებოდა სხვა თემაზე გადაგვეტანა საუბარი, ანდა გავნდობოდით.

სტეპკო ამისთანა საქმის დიდი ენთუზიასტი გამოდგა. საჭირო თანხაზე კი თქვა, ვიშოვნისო.

უკვე შეიძლებოდა სხვა უფრო რთულ

საკითხებზე მეფიქრა. რაკი საბოლოოდ გადავწყვიტე, ახლა ვიცოდე, რა უნდა მოხდეს. სახურებოდეს და ამისათვის საჭირო იყო ვყოფილიყავი ცბიერი, ანგარიშაინი და ქილიკი, ძალზე მსგავსი იმ ადამიანისა, მკვლელობა რომ განიზრახა.

ან იქნება ეს თვითმკვლელობა იყო? მაგრამ მე შევეცადე უკუმეგდო ეს ფიქრები. რადგან სიმბდალედ ჩავთვალე. ძალიან მიჭირდა „ახალთან“, სანდროსთან და ნინოსთან ყოფნა. ისინი წინანდელზე ნაკლებად არ მიყვარდა, მაგრამ მაღიზიანებდა მათი უსახლგრო ოპტიმიზმი, რომელიც ყოველ ნაბიჯზე გამოსტვივოდა. ნუთუ ოდესღაც მეც ასეთი ვიყავი?

მე მათგან განრიდება დაეიწყე. როცა მაინც ახერხებდნენ ჩემთან შეხვედრას, ცარიელ და უშინაარსო საუბარს ემართავდი და ვერიდებოდი ყველაფერს, რასაც შეეძლო შეენარჩუნებინა ჩვენი შერყეული მეგობრობა. ისინი მაინც დაჟინებით განაგრძობდნენ ჩემთან მეგობრობას, რადგან, ალბათ, ეგონათ, რომ მე იმათი გულისათვის დაეჩაგრე. ან, იქნებ, ჩემდამი სიყვარულის გამოც.

ამას ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა. ისინი უკვე ხელსაც კი მიშლიდნენ.

მთავარი იყო, შესაფერი დრო შემერჩია მესაპნესთან მოსალაპარაკებლად. თუ მასთან არაფერი გამოვიდოდა, მაშინ ჩვენ პირშიჩალაგამოვლებულები ვრჩებოდით. რა თქმა უნდა, ვინც ეძებს, პოულობს კიდეც! გარეწრები ჯერ კიდევ ბლომად დარჩნენ ამ ქვეყნად... და რადგან მე სწორედ ასეთი ხალხი მჭირდებოდა, ძებნა შეიძლება სიძნელესთან და ხიფათთან ყოფილიყო დაკავშირებული.

ბოლოს, გვიან ღამით, საბილიარდოდან მესაპნესთან ერთად შინ მივდიოდი. ცოტაოდენ წვრილმანზე ლაპარაკის შემდეგ, მე შეუშინებულად საქმეზე გადავედი.

— მე ინსტიტუტიდან წავედი. — ვითომდა ანაზღად ვუთხარი მესაპნეს.

— ვიცი. — გულგრილად მიპასუხა მან. — და, მგონია, თქვენი საცოლუც სივსა გააყვია!..

— დიას! — მე გამეხარდა კიდევ, რომ მან ესეც იცის და უფრო დამიჯერებს, რომ აქედან გადახვეწა მინდა... უცებ ვიგრძენი, სადამდე დავეცი! გინჯაროდეს, როცა დაცივით გელაპარაკებინ შენ საკუთარ დრამაზე?!

დიას, უნდა გავიქციე! უშველად გავიქციე საკუთარ თავს და იძულებულ გარეწრობას.

„თავს დაუფლუე,“ — გავივლე გუნებაში, რომ რამე სისულელე არ წამომე-როშა მესაპნესთან.

— ოჰ, რომ შეიძლებოდეს წახვიდე სადმე, ისე შორს, რომ ყველასთან დაკარგო კავშირი! — გულწაღვლიანად წარმოვსთქვი მე.

— სახელდობრ, საით? — მკითხა მესაპნემ.

— არ ვიცი... წავიდე სავსებით... თუნდაც საზღვარგარეთ.

— ოო, ჩემო კარგო! ეგ არც ისე ადვილია!

— ვიცი! და სწორედ ამიტომაც გეუბნებით თქვენ!

— რას ამბობთ?! რატომ მაინცადა-მაინც მე? — აწრიალდა მესაპნე. — ეგ ბომ სახელმწიფოს ღალატია.

— გახსოვთ, ამ წელიწადნახევრის წინ მე და თქვენ ბოშებზე რომ ვსაუბრობდით?

— არა, არ მახსოვს! — ისე სწრაფად მიპასუხა მესაპნემ, რომ ნამდვილად კარგად ახსოვდა.

გადაწყვიტე ჭიჭურ მივსულიყავი.

— მე აღარ მინდა აქ დარჩენა! ხომ არიან ისეთები, რომლებიც გარბიან!

— ძალიან ცოტანი. უმრავლესობა კი, საზღვარგარეთის ნაცვლად, სხვაგან ამოჰყოფს ხოლმე თავს...

— მაგრამ ხომ არიან ისეთებიც...

— ეგ ჩემი საქმე არ არის. ღამე მშვიდობისა! — მესაპნე სწრაფი ნაბი-

ჯით გაუდგა კირკის ქუჩას, მე კი სანაპიროზე მოვუხვიე.

რატომღაც მეჩვენებოდა, რომ მკვლელები არ იყო დაკარგული.

მომდევნო დღეებში მესაპნე რალაც სხვანაირად მომესალმებოდა ხოლმე და საბილიარდოში ხშირად ვგრძნობდი მის გამომცდელ მზერას.

დრო მიდიოდა. მე უკვე აღარა მჭეროდა ჩემი ვარაუდისა, რომ უცებ გამიმართლდა:

მესაპნე შემხვდა საპირფარეშოსა და საბილიარდოს შუა ცარიელ სათავსოში. ალბათ, დამედევნა.

— კირკის ზედმეტი ბილეთი მაქვს. გინდათ? — ამოიღო ორი ბილეთი და ერთი ჩემთვის მოხია.

— რამდენი მემართება თქვენი?

— აბა, რასა ბრძანებთ?! ოღონდ არ დაგვიწყდეთ, წარმოდგენა ხვალა!

ხვალამდე დრო ძალზე ზანტად მიიზღაწენებოდა. ტოვოს ძალიან გეხარდა, როცა ეს ამბავი გაიგო; მასაც უნდოდა კირკში წამოსვლა, მაგრამ მე არ ვურჩიე. სტუკოვსთვის არაფერი გვითქვამს.

წარმოდგენის დაწყებამდე უკვე ჩემს ადგილზე ვიჯექი. მესაპნე ჯერ არ ჩანდა. ჩემს მარცხნივ და მარჯვნივ ორივე ადგილი თავისუფალი იყო.

შემდეგ ჩემს მარცხნივ ჩამოჯდა ცოტა პროვინციული შესახედაობის ახალგაზრდა, შევეკრემანი, შევთვალწარბაგამხდარი, ჩემზე ორი-სამი წლით უფროსი. მარჯვნივ მესაპნის ადგილი ისევ თავისუფალი იყო. მე უკვე ველავდი.

წარმოდგენის დაწყების წინ, როცა შტალმეისტერი პირველ ნომერს აცხადებდა, ჩემს მარჯვნივ ჩამოჯდა თხუთმეტობდე წლის ბიჭუნა და თვალბეგდ-მოკარკლული, დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს პარტერის აკრობატების თითოეულ მოძრაობას. თანაც თითოთ ცხვირის ჩიჩქნა არ ავიწყდებოდა.

უკვე აღარ მესმოდა, რა ხდებოდა. იქნებ, ჩემთვის საჭირო კაცი იყო სწორედ ის, რომელიც მარცხნივ მიჯდა, მაგ-

რამ მას ერთხელაც არ მოუხედავს ჩემსკენ.

ანტრაქტის დროს ადგილზე დავრჩი. ხოლო როცა ჩემთან არავინ მოვიდა გადაწყვიტე. მესაბნე ხალხში, ბუფეტში, ან გასასვლელში მომენახა.

როცა ბუფეტის მეტად ვიწრო სათავსოში შევედი, მესაბნემ მომკრა თვალი და შეუძმნეველი თავის დაკვრით მიმიხმო. მასთან ჩემი მარცხენა მეზობელი იდგა.

— გაიცანით. — თქვა მესაბნემ.

— ოთარი.

— ომარი.

ხელის ჩამორთმევისას თვითვეული ჩვენგანი გამომცდელად ვუყურებდით ერთმანეთს თვალბში.

მესაბნემ, რომელიც პაპიროსს უკიდებდა, ძალზე დაბალი ხმით, მაგრამ მკაფიოდ წარმოსთქვა:

— თქვენ შეგიძლიათ მთლიანად მიენდოთ ერთმანეთს!

მერე კი, ვითომც არ გვიცნობდა, გაგვეცალა და ძლივს გააღწია ხალხში. მე უნებურად ვავაყოლე თვალი და დავინახე, როგორ გადიოდა ცირკიდან.

ახალ ნაცნობთან საუბარი ვერ ეწყობოდა. ალბათ, ომარიც ისევე უხერხულად გრძნობდა თავს, როგორც მე.

როცა წარმოდგენა დაიწყო, შეუძმნეველად ვუთვალთვალე მას. პირველი შთაბეჭდილება მაინცდამაინც კარგი არ იყო. ცხვარი ცოტა შეწითლებული და შეშუპებული ჰქონდა, ყურები — ბამბით დაცული. როცა რამეზე მომმართავდა, თვალბში არ მიყურებდა.

ომარს ერთხელაც კი არ გაუღიმი ვიტალი ლახარენკოს ძალზე სასაცილო პაროდებისა და შიარების შესრულების დროს. ალბათ, იუმორის გრძნობა სულ არა ჰქონდა. სამაგიეროდ, მრავალმნიშვნელოვნად ჩამიკრა თვალი, როცა ელბიდა ნიკიტასი „ტანის მოქნილობისა და ელასტიურობის“ ნორებს ასრულებდა და სრუტუნსაც უმატა... როცა ღერძის ოსტატმა, ცნობილმა „ცაბლაუქამ“, პოსპელოვმა ცირკის გუმბათის

ქვეშ პატარა საზღვეურით უცაბედი ჩამოვარდნისგან თავი დაიღწია და შფოთდა.

მაშ ასე, კომპანია იკრიბებოდა და როგორ! უკვე დიდი ხანი იყო, მარტოტოვოს ვიცნობდი და მიყვარდა კიდევ, როგორც ამხანაგი, მაგრამ ისიც ფეხბურთის გარდა, სხვა ყველაფერში საშუალო დონესაც ვერ აღწევდა.

წარმოდგენის შემდეგ დიდხანს დავდიოდით ქუჩებში და ჩვენს საქმეზე ვსაუბრობდით.

გადამყვანი, ასე ვეძახდით საზღვარზე გამცილებელს, ომარსა ჰყავდა. ომარმა ისიც კი თქვა, რომ თვითველმა ხუთას-ხუთასი მანეთი უნდა გადავიხადოთ. თანხა კარგა საგრძნობი იყო, ორმოცი მანეთიც კი ვერ ვიშოვნე, რომ ახალი პალტო მეყიდა.

შევთანხმდით, მეორე დღეს ალექსანდრეს ბაღში შევხვედრილიყავით, იქ უნდა გამეცნო მისთვის ტოგო და სტეპკო.

ჩვენი შეხვედრა შედგა ისეთი დეტექტივების ინტელექტუალურ დონეზე, ათი წლის ბიჭები საპირფარეოში რომ კითხულობენ ხოლქე.

ყოფაცხოვრების დეტალების მშვენივრად მცოდნე ომარი, სხვა ყველაფერში ყოვლად უფიცი გამოდგა. პრეტენზიები კი ისეთი ჰქონდა, როგორიც ინგლისელ ლორდის შემკვიდრეს, რომელმაც ეს-ეს არის, კემბრიჯის უნივერსიტეტი დაამთავრა.

გარკვეული საუბრის შემდეგ, თუ რამდენი უნდა მიგვეცა გამცილებლისათვის, რა ადგილას გადავსულიყავით საზღვარზე, რა საბაბით უნდა მივსულიყავით საზღვართან და როგორი ტანსაცმელი ჩაგვეცვა, ლაპარაკი საერთო თემაზე გადავიდა.

წახალისებული იმით, რომ აუდიტორია გულმოდგინედ უსმენდა, ომარი განავრძობდა:

— საზღვარგარეთ რაც გინდა, იმას გააკეთებ! .. აქ კი... მე სამხატვრო აკადემიაში შევდიოდი... შოქანდაკისათვის საჭირო საუკეთესო ხელსაწყოები

შევიძინე... სულ ბზისა. ძალიან დიდხანს ვარჩევდი... გამყიდველიც კი ვაჯავრდა... აკადემიაში კი არ მიმიღეს! მაგრამ არაფერია... ახლა რომანის წერას შევეუდგები.

— რის შესახებ? — ვკითხე მე.

— როგორ თუ რის შესახებ?!

— რა ენარის რომანს?

— ენარი? ... აი, როგორც მარგალიტა გოტიე! საზღვარგარეთული მეტი არაფერი წამიკითხავს.

ისევ ეს მარგალიტა გოტიე... ალბათ, ლიტერატურის ისტორიკოსები მხოლოდ მერე შეაფასებენ ღირსეულად ამ ნაწარმოების აღმზრდელობით მნიშვნელობას.

მომავლენა გომბორი. კოხტა, მიამიტი ფენია და გამელიძე.

— შენ, ალბათ, არ წაგიკითხავს. მე მოგცემ ამ წიგნს, — მზრუნველი ტონით მითხრა ომარმა, როცა ჩემი ღიმილი შენიშნა. — მე მას არავის ვანდობ. მაგრამ შენთვის შეიძლება!

მინდოდა მეცინა... და მეტირა! ჩემი თავი მთლად გასულელებული მეჩვენებოდა. ომარი კი, კმაყოფილი თავისი ინტელექტუალური უპირატესობით, განაგრძობდა.

— საზღვარგარეთ, როცა უფულოდ დარჩები, მიხვალ ისეთ სახელურთან. როგორც წყლის ტუმბოს აქვს და ერთხანს მოქაჩავ. მერე გამოვარდება ლითონის ფული. შენ მიდიხარ და ყიდულობ საჭმელს.

— კი, მაგრამ, რა უნდა ამოტუმბო? — ჰკითხა ტოგომ.

— საპირფარეოების ორმოები. ეს მიაბზო ერთმა ჩვენმა სოფელმა მოხუცმა, რომელიც იქ ტყვედ იყო.

— ნეტავი ჩვენს ჩასვლამდე სულ არ ამოქაჩავდნენ იმ ორმოებს! — უშედეგოდ ვიხუმრე მე.

მერე იარაღზე მოვილაპარაკეთ. ტოგომ თქვა, ვიშოვნი ბრაუნინგსო, მაგრამ საიდან და როგორ, ამის თქმა არ უნდოდა.

— მე ქალის პარაბელუმი მექნება. — თქვა ომარმა.

— ქალის პარაბელუმი არ არსებობს, — შევნიშნე შემართებით.

— როგორ თუ არა! მამაჩემმა პირობით მოიკლა თავი! — ეწყინა ჩემი შენიშვნა ომარს და გვიამბო მამის თვითმკვლელობის ამბავი:

— მიწები ჩამოგვართვეს და მამაჩემმა ბულალტრად დაიწყო მუშაობა გორში. მერე სამუშაოზე რაღაც უსიამოვნება შეხვდა და მამა... ისე ეჯავრებოდა ბოლშევიკები, რომ ჩაიკეტა თავის ოთახში, არც იბანდა, არც იპარსავდა. საჭმელს კარის წინ უდგამდნენ და მაშინ აიღებდა, როცა სიახლოვეს აღარავინ იყო.

— მერე, იქ დიდხანს დაჰყო? — ჰკითხა ტოგომ.

— ძალიან დიდხანს!.. მერე ის იყო, თავი მოიკლა!

ჩემთვის ახლა ყველაფერი გასაგები იყო.

არ არის სწორი, როცა ამბობენ — „ბუნებამ დააჩილოდა კაცი“ — „ბუნების“ მაგიერ უნდა თქვან „მშობლებმა“.

როცა დავიშალენით, შევნიშნე, რომ ომარი ცოტათი კოჭლობდა. ერთი ფეხი ოდნავ მოკლე ჰქონდა.

* * *

დანიშნული დღისთვის ფული მქონდა. დედას ვუთხარი, საზღვარგარეთ უნდა გავიქცე და ფული მქირდება-მეთქი. დედამ გადაწყვიტა, ჩემთვის გასაყიდად მოეცა დიდი თექვრთი ხალი, რომელიც მეტისმეტი სიმძიმის გამო რუსუდანმა ვერ წაიღო.

შესასყიდ წერტში ხალში ათასხუთასი მანეთი მომცეს, და ახლა ათასხუთასი მანეთი მაქვს. ათი მანეთი დეიდა სონიამ მაჩუქა, რომელსაც დედამ ყველაფერი გაანდო.

ჩემს ოთახში უკანასკნელი თათბირი გავმართეთ. ტოგომ თქვა, ცხრასი მანეთი მაქვსო, ომარმა — შვიდკორმოციო, სტეპკო მოკრძალებით სდუმდა.

— შენ რამდენი გაქვს? — ჰკითხა ომარმა.

— მე ვერ ვიშოვნე, მაგრამ მპირდებიან!

— ვინ? როდის? — დაეკვებით შეხედა ომარმა, მაგრამ სტეპკოს საოცრად დინჯად ეპირა თავი, თითქმის თამამადაც.

— რა საჭიროა ვითხრა, როცა, სულერთია, შენ მას არ იცნობ! — მხრები აიჩეჩა სტეპკომ.

— სტყუი! — უეცრად იფეთქა ტოგომ. — არაფერ არაფერსაც არა გპირდება.

— მე კი ასეთი შთაბეჭდილება მაქვს, — ვთქვი მე, — რომ ფული სულაც არ გაძებნია!

სტეპკო იღიმებოდა და არ გვპასუხობდა. ტოგომ მუშტით მიიწია მასზე. მათ შუაში ჩავდექი.

— გათახსირებული... იჯექი ახლა და ელოდე. სანამ ყველაფერი არ ჩაგვეფუშება! — არ ცხრებოდა ტოგო.

— არავისაც არ დაველოდებით, უმაგისოდაც იოლად წავალთ! — დაასკვნა ომარმა.

— არაფერი შეგეშალოთ! — მშვიდად მოუჭრა სტეპკომ. — თუ არ წამიყვანთ, ყველას დაგასმენთ.

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა, ამ ხნის განმავლობაში სტეპკო რამდენჯერმე გაფითრდა და გაწითლდა. ეს მისთვის ყველაზე ძნელი მომენტი იყო.

საჭირო იყო რაღაც გადაწყვეტილების მიღება, რადგან სამივენი, სტეპკოს ჩათვლით, მე შემომცქეროდნენ.

— გაძლევეთ სამი ღლის ვადას! ღრის ნუ ჰკარგავ. წადი და იშოვნე! — მკაცრად ვუთხარი მე.

სტეპკო უნდობლად ადგა, ორი ნაბიჯი გადადგა, შემდეგ მობრუნდა და შუბლშეჭმუხვნილმა თქვა:

— მაგრამ იცოდეთ! თუ ერთი ღლე მაინც არა გნახეთ!

— შეგიძლია! — ვუთხარი მე. — წადი!

სტეპკო წავიდა, კარებამდეც არ მიმიცილებია.

— ყოველ შემთხვევაში, სამი ღლის

განმავლობაში არ დაგვაბეზღებს, — თავი ვიშარტულე მე.

— უნდა მოვკლათ! —

— არა! — შეეშინდა ტოგოს. — ეგ უნდა შეგკრათ და გაკოჭილი გყავდეს, სანამ...

— სისულელეა! — შევაწყვეტინე მე. — ერთად-ერთი გამოსავალი ისაა, რომ ჩვენს ხარჯზე წაიყვანოთ.

ტოგოს დაძაბულ პოზაზე მივხედი, რომ არ მეთანხმებოდა. ომარი კი დიდხანს, ჯიქურ მიყურებდა.

— შენ როგორღაც, სწრაფად გადაწყვიტე. შემთხვევით, თქვენ მოლაპარაკებულები ხომ არა ხართ? — ცბიერად მკითხა მან.

მე ჯერ შევეცდუნდი, იმდენად შეურაცხყოფლად მეჩვენა ეს ბრალდება, მერე მივხედი, რომ უკეთესს არც უნდა ველოდო. არ უნდა მწყენოდა, პირიქით, მათზე ძლიერი უნდა ვყოფილიყავი თანაც ისეთი, როგორც მათ შეხედულებებს შეესაბამებოდა.

— ე მაგ სიტყვებისათვის კბილებს ჩაგილეწავ, მაგრამ ჩემს ოთახში კი არა, ეზოში. ადექი, წავიდეთ! ადე! ადე! — და გამხდარ მკლავეშიც კი წავავლე ხელი.

— კარგი, გეყოფა! — შემრიგებლურად თქვა ტოგომ.

— შენ ჩუმად ეგდე! შენ არ თქვი, სტეპკო წაიყვანოთ?!

აღელვებისაგან ფერდაკარგულმა ომარმა ძლივს ამოიღგა ენა.

— მე ისე, უბრალოდ გკითხე. — მითხრა მან. — ადრე ხომ არც ერთს არ გიცნობდით, თქვენ კი მისი ამხანაგები ხართ!

სტეპკოს შანტაჟის შემდეგ ომარს უფლება ჰქონდა ასე ელაპარაკა.

— ჩემი ბრალიც არის, — დავეთანხმე მე, — ამიტომ სტეპკოს წილის ნახევარს მე გადავიხდი, დანარჩენ ნახევარს თქვენ ორნი დადებთ.

ტოგომ უნდობლად დააქნია თავი. ომარი სდუმდა. საკითხი გამორკვეული იყო.

მეორე ღლეს გადავწყვიტეთ, მეტი რისკი არ გავგეწია და ვუთხარით სტეპ-

კოს, რომ თან მიგვყავს. პასუხად მის მომხიბლავ ღიმილს ველირსეთ...

• • •

ნოემბრის პირველ რიცხვებისათვის გასამგზავრებლად ყველაფერი მზად გვქონდა. ფულის ნაწილი სტერლინგებზე გადავახურდავით ერევნის მოედანზე, „ბირჟეეიკებთან“, თბილ საცვლებში ჩავიკერეთ. აღვიქურვეთ მონადირეთა მაღაზიაში შექმნილი ბებუთებით, ვიშოვნეთ პირადობის მოწმობები.

თან მიმქონდა სტუდენტის წიგნაკი და ჩემი მშობლების ფოტოსურათი ჯვრის წერის დღეს გადაღებული ვილაც სასახლის კარის ფოტოგრაფის მიერ.

ტოგომ გვითხრა, ბრაუნინგი და ერთი ზედმეტი სავაზნე ვიშოვეო. ომარის ბარაბელუმი ზღაპარი გამოდგა.

შევეთანხმდით, საღამოთი საბილიარლოში შევხვედროდით ერთმანეთს და იქიდან წავსულიყავით სადგურზე: ბორჯომის მატარებელი ცხრა საათზე გადიოდა.

მე თითქოს ბურანში ვიყავი. მეჩვენებოდა, რომ ყველაფერი ძალზე სწრაფად მოგვარდა, არც კი მჯეროდა და... არც მინდოდა.

გულში შეუმჩნევლად გამოვეთხოვე „ახალს“, სანდროს და ნინოს. მთელი საღამო ვხუმრობდით, ძალზე ალერსიანი ვიყავი და სხვადასხვა მიზეზებით სამივე გადავკოცნე.

მერე, როცა მარტო დავრჩი, გოგოსავით ავტირდი.

რუსულანს წერილი მივწერე, რომელიც მას გააკვირვებდა უჩვეულო სენტიმენტალობის გამო. რა თქმა უნდა, გაქცევაზე არაფერი მიმიწერია, მაგრამ ვთხოვდი დედისათვის მზრუნველობა არ მოეკლო. შოთასათვის არაფერი მითქვამს, ისე, გულისგადასაყოლებლად ვემასლაათე. ის იმის ფიქრში იყო გართული, რომ ცოლისთვის მავის საათი ეყიდა, და მთელი დრო ჩვენ ანკერსა და სხვა მექანიზმებზე ვმსჯელობდით.

ერთილა დამრჩენოდა — ქალქთან გამოთხოვება.

უკანსკელ დღემდე ქალქი რომანტიკულად მქონდა წარმოდგენილი, როგორ ვივლიდი ქუჩებში და მესხიერებაში აღვიბეჭდავდი საყვარელი ქალაქის იერს... ახლა კი მეგონა, თითქოს მე დადავანგრიე იგი, ქვა ქვაზე არ დავტოვე, ძალა აღარ მყოფნიდა ნანგრევებისათვის მეცქირა!

მთელი დღე ვიჯექი ჩემს ოთახში, საცოდავი და დაცლილი.

მამაჩემო, რა უფლებით დავტოვე? შენ რომ ცოცხალი ყოფილიყავ, მე ხომ ეს არ დამემართებოდა!.. მაპატიე, მაგრამ ვერ გამოვეთხოვები! არ შემიძლია, რადგან შენ არასდროს არ დამეთანხმებოდი იმაზე, რასაც მე ახლა ჩავდივარ!

საწყალი დედა! მან უკვე ორჯერ მიიბრინა დეიდა სონიასთან. ახლა კი სასადილოდან მესმის მისი ნერვული ნაბიჯების ხმა. დადის მავიდის ირგვლივ და ფიქრობს.

უნდა ველაპარაკო მას, დავამშვიდო და გამოვართვა იმ შეიერის ფულის ქაღალდი.

— დედა! — გავძახე მას, და ერთი წამის შემდეგ ის უკვე ჩემს ოთახში იყო. — ნუ ლელავ, დედა! ჩვენ გამოცდილი გამოცილებელი გვყავს! როცა დაებრუნდები საზღვარგარეთული დიპლომით, მაშინ შენ...

— არ გინდა, ერბოკვერცხი მოგიწვა?

— არა, მერე იყოს, ჯერ კიდევ არ მოგიცია იმ შეიერის ქაღალდი.

— რომ ვერ ვიპოვნე?

— უნდა მონახო, ამ საღამოს მივდივარ!

— იცი, გეთაყვა... ფული; რომელიც ჩვენ შვეიცარიაში გვაქვს, მარტო შენი კი არაა!

— მე მხოლოდ ჩემ წილს ავიღებ, დანარჩენს კი შევიტან ბანკში შოთას, რუსულანის და შენს საბელზე. მაშ სხვაფრთვ როგორ ვისწავლო?

— აჰ! მე არაფერიც არ მინდა! შენ, რომ გზაში რამე შეგემთხვეს?

— ნუ გეშინია, მე ისე შევიხანხავ იმ ქალაქს, რომ... — უცებ მივხვდი, — თუ მომკლავენ, რასაკვირველია. ქალაქი დაიკარგება!

— უიმე, ღმერთმა ნუ ქნას! რას ამბობ!

— მაშ წინათ რად მეუბნებოდით, რომ მომკემდი იმ ქალაქს?

— მაშინ არ ვფიქრობდი. ახლა კი...

— დეიდა სონიას დახმარებით, არა?!

— საბაზანოში გავედი და ცივ წყალს თავი შევეშვირე.

ვერაფრით ვერ მივხვედარილიყავი, დედა მართალი იყო თუ არა.

დრო მუდამ ჩემი მთავარი მეტოქე იყო. ახლა ის ძალზე ნელა მიიზღაზნებოდა... და თან უკანმოუხედავად გარბოდა. შვიდი საათისათვის უნდა ვყოფილიყავი საბილიარდოში და ექვსის ნახევარზე უკვე დავიწყე წასასვლელად მზადება, თუმცა საბილიარდომდე ათა წუთიც კმაროდა.

— დედა! მე მივდივარ.

— უიმე!

მე დავუკონე ხელები, მერე თვალეზი, თმები... პერში ავიტაცე და მკერდზე მივიკარი. პატარა, საწყალი, ძვირფასი ღედიკო...

— მეც შენთან გამოვალ. — მითხრა მან, როცა იატაკზე დავუშვი.

— ქუჩაში გამოთხოვება არ შეიძლება!

— მე გამოვალ შენთან! — ჯიუტად გაიმეორა მან.

არ ვიცი, რამდენ ხანს ვიდევით სახლის წინ და ერთმანეთს თვალეზში შეგვიკეროდით. მერე მივბრუნდი და წავიდე.

პირველად რომ უკან მივიხედე, დედა იდგა და მიყურებდა. მეორედ მიხედვისას თვალი მოვკარი მის პატარა ტანს კუთხეში, ელნათურის ქვეშ. სწრაფი ნაბიჯებით თითქმის მივბოლა დეიდა სონიასთან და, მგონი, ჩემს სიცოცხლეში პირველად ვაპატიე ეს სისუსტე.

გოგი და სტეპკო უკვე საბილიარდოში იყვნენ.

— სტეპკომ იშოვა ფული! — თვალით

მანიშნა ბილიარდზე მოთამაშე სტეპკოსკენ ტოვომ.

— რამდენი?

— სამი მანეთი! — გადაჭარბებული მრავალმნიშვნელობით მიპასუხა ტოვომ და ზიზღით გააპურჩყა.

მესაპნე ცაციას მაგიდის გვერდზე იჭდა და შეუშინველად გვათვალეირებდა. მერე მოვიდა ომარი. დაენახვა მესაპნეს და საპირფარეშოსაკენ გაემართა. ცოტა ხნის შემდეგ მესაპნეც იქით წავიდა. შემდეგ დაბრუნდნენ, ოღონდ ცალ-ცალკე.

ომარმა თვალთ მანიშნა, რომ შეიძლებოდა წავსულიყავით. მეც თვალთვე ვანიშნე ბილიარდზე მოთამაშე სტეპკოსკენ. დაუცადეთ, სანამ თამაშს მორჩებოდა.

როცა ტრამეაით სადგურისკენ მივდიოდით, მე დავფიქრდი, რა სისულელემდე მიდიოდა ჩვენი კონსპირაცია. ქალაქში ჩვენ ბევრნი გვიცნობდნენ, როგორც ერთმანეთის მეგობრებს, ახლა კი თავი ისე გვეპირა, თითქოს არც ვიცნობდით ერთმანეთს და ბილეთებსაც კი ცალ-ცალკე ვიღებდით.

მხოლოდ მე დამჭირდა სტეპკოსთვის ბილეთის აღება, რადგან მას, როგორც ყოველთვის, ერთი კაპიკიც კი არა ჰქონდა.

მატარებლით უკანასკნელ სადგურამდე, ბორჯომამდე უნდა გვემგზავრა, იქიდან აეტობუსით ახალციხემდე, მერე დაბა ვალემდე უნდა მიგვეღწია. იქ სამუშაოდ მოვეწყობოდით ვაშლის დამამზადებელ კერძო კანტორაში.

წინა

ათორღე დღე ვიმუშავეთ ლოყაწითელი და მკვრივი ვაშლებით სავსე უზარმაზარ ფარდულში. ეს ფარდული ტანაყრილი ვაშლის ხეებით დაბურული ბაღის განაპირას იდგა. ჩემს სიცოცხლეში პირველად ვხედავდი ასეთ მაღალ ვაშლის ხეებს.

ჩვენ ყუთებში ვაწყობდით ვაშლს და ვქედავდით ხუფებს. ყველაზე სწრა-

ფად და კარგად ამ საქმეში გაწაფული ომარი მუშაობდა. ყველაზე ცუდად სტეპკო ირჩებოდა.

ღამის სათევად სოფელ უდემში მივდიოდით. სოფელი კარგა მოშორებით მდებარეობდა. ეს წასვლა-წამოსვლა უეჭველად იყო საჭირო, რომ რაიონში ჩვენთვის თვალი შეეჩვიათ, რომ ვინცობაა, მთისკენ მიმავალი ვენახეთ, ეჭვი არაფერში შეჰპაროდათ.

გარეგნული შესახედაობაც შევიცვალეთ, რომ ქალაქელებს არა ვგვანებობოდით. ქალაქნებში და ჭრელ წინდებში შარვლისტოტებჩატანებულები, მოძველებულ და მუჭყიან პალტოებში და რაღაც უცნაურ ქუდეებში, ცოტად თუ ბევრად, სეზონურ მუშებს მივაგავდით.

ბოლოს დადგა ის დღეც, ამდენ ხანს რომ ველოდით. ომარი უქანასკნელად სადღაც წავიდა და დაბრუნებისას გამოგვიცხადა, დღეს გზას გავუდგებთო.

შუაღამისთვის ჩვენ უნდა შევხვედროდით გამცილებელს უდეს სასაფლაოსთან.

მთელი დანარჩენი დრო გავატარეთ პატარა, მუჭყიან, მიწის იატაკიან ოთახში. ერთმანეთს ვუთვალთვალავდით, თანაც ვცდილობდით, საკუთარი მღელვარება დაგვეოკებინა. ბუხარი ხრჩოლავდა და აზრად არავის მოდიოდა ცეცხლის გაღვივება. კერძინი ქვაბი ისევე ხელუხლებელი დარჩა ზედადგარზე.

ერთ რამეში კი ვგავდით ერთმანეთს: ჰამა არც ერთს არ შეგვეძლო.

— ნიეთებს ისევე დავტოვებთ ადგილზე, როგორც არის. დაე, სახლის პატრონებს ეგონათ, რომ სადღაც ვქეილობთ, — ვთქვი მე.

ყველანი უხმოდ დამეთანხმნენ. ან რა ნიეთები გავაჩნდა: რამდენიმე პირსახოცი, ძველი ფეხსაცმელები, ერთი პატარა ჩემოდანი და საბნის ნაჭერი. ყველაფერი, რაც მთავარი იყო, ზედა გვქონდა.

ვიწიქით ტახტზე და ველოდით. მხოლოდ სტეპკო დარბოდა წამდაუწუმ გა-

რეთ. გვითხრა, რაღაცით მოვიწამლეო. თვითუღმა ჩვენთაგანმა ეცოდა, რომ ასე შიშისაგან ემართებოდა, მაგრამ არც ერთს არა გვქონდა ამაზე გახუმრების სურვილი.

— წავედით!

ტოვომ რამდენჯერმე გადაიწერა პირჯვარი, სტეპკომ წალუნული თავი ზურგზე მომაბჯინა და ელოდა, როდის გავიდოდით, მხოლოდ ომარი, როგორც შევნიშნე, ფლობდა თავს და ფრთხილად გამოხურა კარი.

უკვე კარგა ხანი იყო, სოფელი ღრმა ძილს მისცემოდა.

ვარსკვლავებიანი, უღრუბლო, ნათელი ღამე იდგა. იმდენად ნათელი, რომ ათ ნაბიჯზე დაინახავდი კაცს. ირმის ნახტომის მკრთალი ზოლი ირიბად პკვეთდა მოციმციმე ვარსკვლავებით მოქედილ ცის თაღს და თითქოს გზას გვინათებდა. განაპირა უბნებით მივემართებოდით სასაფლაოსკენ. ბედად, არსად არც ერთი ძაღლი არ აყუფებულა, თითქოს არც ყოფილიყვნენ სოფელში.

სასაფლაოსთან მივედით და გამცილებელს დავუწყეთ ძებნა. ბოლოს, სასაფლაოს სიღრმეში, პატარა ხის ქვეშ, ჩვენ რაღაც სილუეტი შევნიშნეთ და აქა-იქ გაფანტული საფლავის ლოდების შემოვლით იქითკენ გავემართეთ. ხის ქვეშ ძაღლების ღმუილი, წკაცწკაცი და წკმუტუნი ისმოდა.

— მოიცათ!... ეს ჩამომხრჩვალა! — შეგვაჩერა სტეპკომ.

სილუეტი მიწის ზედაპირიდან საკმაოდ მაღლა ეკიდა და ქანაობდა.

უსიამოვნო გრძნობამ, ალბათ, შიშმა, გულისრევას რომ ჰგავს, ამიტაკა.

ჩვენს გვერდზე ჯერ ერთმა ძაღლმა გაირბინა, მერე მეორემ. ჩვენსა და ჩამომხრჩვალს შორის მათი თეთრი ბალნის წყალობით დავინახე კიდევ რამდენიმე მწოლიარე და ჩაცუცქული ძაღლი.

ჩვენ ვყოყმანობდით, არ ვიცოდით, რა გვედონა.

თუნდაც ჩამომხრჩვალი ყოფილიყო!

აკი შევეჩვიე ანატომიურ კაბინეტში გვაშებს... მერე გამიელვა აზრმა, რომ ასლა ჩვენთვის სწორედ გვაშებია ყოველად უსაფრთხო, და ამან სითამამე მომცა. ამხანაგები დეტრევე და დინჯად მივუახლოვდი ხეს.

ხის ტოტზე ჩამოკიდებული იყო დიდი შავი ძქუნა, იმის ქვეშ კი თავალერილი ხორხორობდა ყოველნაირი ფერისა და სიდიდის ძაღლების მთელი ზროვა. ხანდახან რომელიმე მათგანი, ყველაზე მოუთმენელი, ახტებოდა, წაპკრავდა დრუნჩს უბედურ ჩამომხრჩვალს და აქანავებდა. ყველაზე აულაგმავი ვნებით გატაცებული ძაღლები არავითარ ყურადღებას არ გვაქცევდნენ.

ამხანაგებს ვავძახებ.

— სოფლის ბიჭებს ჩამოუხრჩვიათ, — მტკიცედ თქვა ომარმა, — დღეს დავინახე, როგორ აიღვენა მაგან მთელი სოფლის ხვადები, კინაღამ ერთმანეთი დაქაშეს.

— ბოზი ყოფილა, — თქვა სტეპკომ.

— სრულიადაც არა. დედოფალია! — სერიოზულად ვუთხარი მე.

— როგორ თუ დედოფალი? — გაიკვირვა ტოგომ.

— მაშ როგორ!... ვანა შენ არ იცი, რომ დედოფლების გულისთვის სახელმწიფოები ერთმანეთს ეომებოდნენ და მრავალი ათასი კაცი კი იღუპებოდა!

— სისულელეა! — აღშფოთდა ტოგო. — როგორ შეიძლება ხალხი ძაღლებს შეადარო!

ჭეშმარიტად, ეს სისულელე იყო, მაგრამ ნერვული დაძაბულობა ვაცხოველებით ამუშავებდა გონებას და, მინდოდა გამოვრთულიყავ ძირითადისაგან, რაც გამცილებელთან შეხვედრას შეადგენდა.

ჩვენ სასაფლაოს განაპირას გავედით და საფლავის ლოდზე მოვიკალათეთ.

— არ მოვა. — სასოწარკვეთით თქვა სტეპკომ.

— სულერთია, შენ ეგ არაფერი ვიღირს! — ირონიით გადაუკრა საბრძოლოდ განწყობილმა ტოგომ.

ხის ქვეშ ძაღლები წაიჩხუბნენ და

არემარე ყმულითა და წყმტუტუნთ გააყრეს.

ლოდზე წამოვწიქი, თითქმის ნულს ასლო ციმციმებდნენ ვარსკვლავები. აი, საღდაც იქ, ერთ-ერთი შორეული ვარსკვლავის ქვეშ იყო ჩემი ქალაქი, დედა, შოთა, მეგობრები. ცოტა მარცხნივ — რუსუდანი... თამარზე ფიქრი არ მინდოდა, მაგრამ ვანა ეს ჩემზე იყო დამოკიდებული?...

— იქ არის, — ჩურჩულით თქვა ომარმა და გაემართა ჩვენგან რამდენიმე ნაბიჯზე მდგომ კაცისაკენ. ჩვენც მივუახლოვდით.

გამცილებელი ომარზე დაბალი იყო, მაგრამ ორჯერ ვანიერი. ომარს ხელი ჩამოართვა, ალბათ, ჩვენც გადაგვთვალა და ხმის ამოუღებლოვ დაეშვა ღელისკენ. ჩვენ მდუმარედ მივყვეით.

სოფელს შემოვუარეთ და ისევ ღელე-ღელე ავუყუვეით მთას. ვარსკვლავების შუქზე ბილიკი თეთრად ქათქათებდა. ხაფად ვიარეთ, არც ერთხელ არ შევჩერებულვართ. გამცილებელს კოჭლობით მიჰყვებოდა ომარი, მერე მე მივიდიოდი, ჩემს უკან მძიმედ ქშინავდა და ბუზღუნებდა ტოგო, რომელსაც ლამის ქუსლებზე აბიჯებდა სტეპკო.

სამიოდე კილომეტრის შემდეგ, გამცილებელი შეჩერდა და კლდეს მიეყუდა.

— ფარა! — გვითხრა თურქულად და, ჩვენთვის რომ გასაგები ყოფილიყო, რუსულად დაუმატა: — დენგი!

ცხვრის ქურჭი აძლევდა ჩაფსკენილი კაცის შესახედაობას. რალაც ბოხობის მაგვარი ეხურა, შუბლზე და თვალებზე გრძელი ბეწვები ეფარებოდა.

ჩვენ სამალავები მოვიჩხრიკეთ, ჩაცუცქებაც მოგვიხნდა. თათარი ჩამოჯდა და მოუთმენლად გვადევნებდა თვალს.

პირველად ომარმა ჩაუთვალა ფული.

— აი, ჩემი ხუთასი! — გაუწოდა გამცილებელს.

— აი, ჩემიცი! — ამოიღო წინასწარ გამზადებული დასტა ტოგომ.

— მოიცათ... — ვუთხარი ომარსა და

ტოგოს. — თქვენი წილი სტეპკოსათვის?

— მაგას არ ვიცნობ, ვინ არის! — თქვა ომარმა.

— შანტაყისტია ეგ გათახსირებული! — ისეთი ბრაზითა თქვა ტოგომ, რომ ყოველგვარი კამათი ზედმეტი იქნებოდა.

სისულელე იყო ჩხუბის ატეხა რაღაც ქალაღდებისათვის, როცა სულ რამდენიმე საათის შემდეგ შეიძლება დავეტუსალდებინეთ, ან მოვეკალით.

ამოვიღე ფული და გადაეთვალე ათასი მანეთი.

თათარმა ფული უბეში ღრმად შეინახა, წამოდგა და წავიდა. ფულის მიღების შემდეგ ენაც ამოიღე.

— აი, შთა, ხედავ, — გაიშვირა ხელი ჩვენ წინ აღმართულ მთისკენ, ნახევარციხის ტატნობს რო: ჰფარავდა, — იქით მხარეზე, დაბლა სხალი ფოცხოვი!.. გრანიცა!... მერე, თურცია!

ჩვენ ზევით მივიწევდით, მწვერვალი კი ისევ შორს ჩანდა. დღე უკვე ისე ღრმა აღარ იყო და კარგახანია, აღარ მოჩანდა არავითარი ბილიკები.

ყოველთვის, როცა გვეგონა, რომ უკვე ავედით, გამოდიოდა, რომ ეს პატარა გადასავალია, და ის შავი ბუმბერაზი კვლავ გვიფარავდა პორიზონტს.

ქალაშენების ძლივს ვასაგონი ფაჩუნი კლდიან ნიადაგზე და აჩქარებული ქმინება არღვევდა ჩამოწოლილ სიჩუმეს.

ორი საათი ვიარეთ, გამცილებელი გაჩერდა და დაგვიწყო დეტალურად განმარტება:

— ფირდაფირ სადი, სულ ფირდაფირ!.. მარჯვენა არ სადი!.. მარცხეხაც კილო არ სადი!

— მოიცა!... შენ ხომ თურქეთამდე უნდა წაგვიყვანო! — ვუთხარი მე.

— თითონ სახვალ! ეს სულ ახლოს არის!... — დამამშვიდებლად გვითხრა გამცილებელმა.

— ჩვენ ხომ არ ვიცით, როგორ წავიდეთ! — უთხრა ომარმა.

— მე ვითხარამ, ნუ გეშინიან! სადი!..

— არა, ასე არ გამოვა! — თითქმის დაევივირე მე. — ან გადავხედე, საზღვარზე, ან ფული დაგვბრუნე უხანავე. სამივემ, სტეპკოს გარდა, ჯიქურ მივიწიეთ გამცილებელზე.

— შენ ვინა გგონივ... — ომარმა ველ-არ დაამთავრა, რადგან თათრის ხელში ნაგანმა გაიკრიალა.

— გეთ!... გეთ!.. სადი! — მრისხანედ გვითხრა თათარმა.

უცნაურია, მაგრამ სწორედ ახლა ვიგრძენი, რომ გამცილებელს ეშინოდა და... სწორედ ახლა შეეძლო მას ოთხივე დავეხოცეთ.

— ყველანი რომ დაგვიკრიონ?! — უკვე სხვა ტონით ვუთხარი მე.

— მე ვიტყვი, რომ გამცილებელი შენა ხარ! და შენც დაგვაპატორებენ! — დამრიგებლურად დაუმატა ომარმა.

— ფირდაფირ სადი, რაღა!.. — არც ისე დაბეჯითებითა თქვა თათარმა.

— გაგვაცილე საზღვრამდე!.. იქ კი თვითონ გავიგნებთ გზას! — ჩემს ხმაში ხვეწნის კილომ თვითონვე გამაყვირვა.

— შენთვისაც ასე სჯობია! — უთხრა ომარმა.

— მე ძალიან გთხოვ! — ენამოჩლეკით უთხრა ალღეგებულმა, ტოგომ. — ჩვენ ძალიანა გთხოვთ!

— ყაბულ! — დათანხმდა გამცილებელი. — აი, ის ადგილი! — და გვიჩვენა სადღაც იქეთ, მწვერვალიდან მოშორებით. — სადი ცინ! სადი!

ახლა წინ სტეპკო მიდიოდა, მას მისდევდა ტოგო, მერე მე და ომარი. გამცილებელმა ნაგანი უბეში შეინახა და უკან მოგვდევდა.

— შენ გამცილებელი კი არა, ვიღაც წუბაკი გიშოვნია! — წაეწურჩულე ომარს.

— აბა, საიდან უნდა მცოდნოდა? — მიპასუხა ომარმა.

ხუთასიოდე მეტრი რომ გავიარეთ, გამცილებელმა ჩამორჩენა დაიწყო და გაჩერდა.

— მაგას ეშინია! — პირდაპირ ყურში ვუთხარი ომარს.

— ნაგანი ხომ აქვს!

— ეშინია ჩვენი კი არა, საზღვართან მისვლისა!

წინ წასული ტოგო და სტეპკო მობრუნდნენ.

— ტოგო! — ჩურჩულით მივმართე მას, მაგრამ მან გვერდზე ჩამიარა, მივიდა გამცილებელთან და ზვეწა დაუწყო:

— აბა ცოტა კიდევ!.. ჩვენ ძალიან გთხოვთ!...

— ძია-ჯან, ნუ დაგვეტოვებ ასე! — მათხოვარით აზლუქუნდა სტეპკო.

— კარქი ყაბულ. აი იქ, მერე არა! — ისევ დაგვეთანხმა გამცილებელი და წინანდებურად გაუდევით გზას.

ბრაზისაგან სული მებუთებოდა. ანდა რატომ არ უნდა ჰშინებოდა ჩვენიც?! სწრაფად უნდა გვემოქმედა, მაგრამ როგორ? ჩვენი ბებუთები ახლა ბევრით როდი სჯობდა კბილის საჩიჩქნელს... მე თითქმის ავეკარი ჩემს წინ მიმავალ ტოგოს.

— ტოგო, მომეცი ბრაუნინგი!

ტოგომ უცებ არ მიპასუხა.

— არა! ეგ ყველას დაგვსოცავს!

— მოიტა, მე შენ გეუბნები!

— არა!

— რა ამბავია? — იკითხა მოახლოვებულმა ომარმა.

— დამეხმარე! — წაჩურჩულე მას, მაგრამ მერის თქმა ვეღარ მოვასწარი, რადგან გამცილებელი წამოგვეწია.

ერთხანს მდუმარედ ვიარეთ. მერე ჩავცუცქდი და ქალამნის თასმას დავუწყე ცოდვილი. ომარი გაჩერდა და მიცდიდა. წინ წასული ტოგო და სტეპკო აღარა ჩანდნენ.

გამცილებელი არც ისე მიაშიტი გამოდგა. წინ ბიჯიც არ წაუდგამს, იდგა ჩემს ზურგს უკან და მელოდა.

არაფერი გამოდიოდა. მძიმე-ძიმედ წამოვდექი... და უეცრად მივიღე გადაწყვეტილება.

ნახევრად რომ წამოვდექი, უცებ წელს ზემოთ შემოვვებლე და ვცდილობდი წამექცია. მაგრად დამიხვდა. ალბათ, შიშმა გაუთავებია ძალა.

გამცილებელი ცდილობდა ხელიდან გამსხლტომოდა, მაგრამ ვაგზანგე.

ხელები მის ზურგს უკან გადავსასტეპე და ახლა მეკრდით ვეკვროდი მეკრდზე. მან თავით სახეში ცემა დამიწყო. ბირველ დარტყმებს მისი ბეწვიანი ქუდი არბილებდა, მაგრამ მერე ქუდი მიწაზე ჩამოუვარდა და უროსავით მხვდებოდა სახეში მისი გაპარსული თავი.

ომარი სადღაა? სანამ მეკრდით ვგრძნობდი ჩვენ შუა მოქცეულ ნაგანს, იგი ვერ მოიხმარდა იარაღს... მაგრამ, რომ...

უეცრად ყრუ ბრაგვანი გავიგონე. სახეში მიწა მომეყარა. მოდუნებული გამცილებელი აღარ მეწინააღმდეგებოდა, მოეშვა და ღუნედ გადმომაწვა ხელებზე. ხელი ვუშვი და იგი მიწაზე გულაღმა დაეცა.

სახე სისხლში მქონდა მოთხვრილი. ხელი მოვისვი, ჭრილობას ვეძებდი, მაგრამ ვერ ვიპოვე. მაშ ეს გამცილებლის სისხლი ყოფილა!

მოვიახრე. გამცილებელს მივეარდი, უბიდან ნაგანი ამოვართვი და მხოლოდ შემდეგ დაიხვედ.

გამცილებელს ფეხები ვაეშლართა. სხეულ ქვეშ ცალი ხელი მოპყროლიდა. სახე მთლად შავი ჰქონდა, ალბათ, სისხლისაგან, და ნათელ ზოლად მოსჩანდა მისი მსუქანი, თეთრი კისერი.

ტოგო და სტეპკო მობრუნდნენ. იქვე გაოგნებული ომარი იდგა. ხელში დიდი ქვა ეჭირა.

— მოკვდა? — აკანკალებული ხმით მკითხა ტოგომ. ტოგოს შეკითხვამ ომარი გამოაფხიზლა და გამცილებლისაკენ დაიხარა.

— გადაადე ეგ ქვა! — შეშინებულმა ხელი აფუქნიე, რომ კიდევ არ დაერთყა. ის კი დამაიწყდა, რომ ხელში ნაგანი მეჭირა.

— ფრთხილად, არ მესროლო! — ომარმა ქვა განზე გადაადლო.

ნაგანი ჯიბეში ჩავიღე.

გამცილებელმა ამოიკენესა.

— დიდება ღმერთს! — მაშ, არ მოგ-

ვიკლავს!... მე ხომ ორთაგან ერთი ვიყავი და თანაც წამომწყები!

— რა ვუყოთ ახლა ამას? — მომმართა ომარმა.

— ერთი კიდევ უთავაზე! — დიდსულოვნად ურჩია სტეპკომ.

— ჭკუიდან ხომ არ შეიშალე! — წაუსისინა ტოგომ.

— ერთ საათში ჩვენ უკვე იქით მხარეს ვიქნებით. მანამდე ეს ვერ გვიჩივლებს! და ვერც გაბედავს! წავედით! — ვთქვი მე.

— დაიცა, მთავარი დაგავიწყდა... ფული.. — ომარი დაჭრილის გვერდზე ჩაცუცქდა და ისე სწრაფად ამოალაგა ჩერვონეცები, კაცი თვალს ვერ მიატანდა.

ტოგომ საქმიანად გადაითვალა თავისი წილი, მერე ჩემიც გამომიწორდა.

არა, ომარმა სწორად ვერ გამოიგო! მე ეს ჩავიდინე არა ფულისთვის, არამედ არ მინდოდა ასე სულელურად ვაძარცულიყავით.

კიდევ ორი საათი ავდიოდით მთის ფერდობზე, ფეხს ფრთხილად ვადგამდით, რომ არ დავცურებულიყავით, ან ქვა არ დაგვეგორებინა.

რამდენჯერმე წავიქეცი და ხელები გადავიყვლიფე. ეცემოდნენ სხეებიც, მაგრამ ყველაფერი ეს ხდებოდა უხმაუროდ, ჩუმად, სხვა პირობებში წარმოუდგენელი სიჩიუტით.

უკვე მთის თხემზე მივდიოდით. ახლა ვარაუდი ირმის ნახტომზე მეჭირა, რომელსაც ირიბად უნდა გადაეჭრა ჩვენთვის საჭირო მიმართულების გეზი.

როცა დაბლა დაშვება დაეწყეთ, მაშინ კი ვიფიქრე, ირმის ნახტომიც ხომ არა ბრუნავს-მეთქი, ვერ მოვისაზრე, თუ ბრუნავს კიდეც, რომელ მხარეს?...

ცის ერთი ნაწილი ღრუბლებმა დაფარა, და გზის გაგნება გაჭირდა. დაბლა დაშვებაც არ იყო აღვილი. ძალაგამოცლილი ფეხები ველარ აკავებდნენ წინ წავარდნილ სხეულს. თანაც სამხრეთის ფერდობი არ იყო ღრანტიანი. ფეხი ღიდი სიფრთხილით უნდა დაგვებიჯებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში ქვები ღიდი

ხმაურით წყდებოდნენ და დაეღა, სადღაც უსასრულობაში იჩივებოდნენ. ჩემი ვარაუდით, უკვე ჩუმად საათზე მეტი იყო, გზას რომ ვადექით. სადღაც ახლო საზღვარი უნდა ყოფილიყო.

ახლა არჩევანი აღარა გვქონდა. ჩვენ გვაქვევით მიდიოდა, მხოლოდ ქვევით.

ომარი ჩემს გვერდით მოდიოდა. წინ არასოდეს არ მისწრებდა, ალბათ, გადაწყვიტა, წინამძღოლის როლი ჩემზე გადმოეტანა. მე კი ეს მაქვებდა და გამბედაობას მაძლევდა, რაც უტიფრობას უდრიდა.

ხომ შეიძლებოდა პირდაპირ მესაზღვრებებს წაეწყდომოდით. თავს მხოლოდ იმით ვიმშვიდებდი, რომ არც დანარჩენები იყვნენ ნაკლებ უმეცარნი.

ჩვენ! შემიდეგ, რამდენიმე მეტრის დამორებათ. მოდიოდა ტოგო. სტეპკო არა ჩანდა, მაგრამ გახშირდა მის მიერ დაგორებული ქვები.

— რას შერება? გაგვეცემს ეგ გამჩენძალი, — აღმფოთდა ომარი.

— დაუუცადოთ. — ვთქვი მე.

ტოგო გვიახლოვდებოდა. სამივენი მღუმარედ ვუცდიდით. ბნელს შეჩვეული თვალებით კარგად გავარჩიეთ, მთვრალივით როგორ მოზარბაცებდა სტეპკო. გეგონებოდა, განგებ წამოჰკრავს ხოლმე ფეხს ქვასო.

როცა მოგვიახლოვდა, სტეპკო გაჩერდა და შიშით გამსქვეალული ხმით წარმოსთქვა:

— დათვები მომდევენ!

— რა დათვები, ბიჭო? — შეეკითხა ომარი.

— ბოძებზე ავძვრეთ!... ჩქარა, ბოძებზე ავძვრეთ.

— რა დაგემართა? — ჰკითხა შეშინებულმა ტოგომ.

— მე ვიცი, რაც დაემართა. — მის გადატყეილ სახეს დავუმიზნე და სილა ვტყეიე.

— სწორეა! — თქვა ომარმა და ცხვირში ერთი მაგარი მუშტი უთავაზა.

სტეპკომ სახეზე ხელები მიიფარა. ჩვენ ველოდით, რა მოჰყვებოდა ამას.

— მეტს აღარ ვიზამ! — ყრუდ წამოი-

ძახა სტეპკომ სახიდან ხელბმომოშორებლივ.

იომის ნახტომი ღრუბლებმა დაჰფარა. სადღაც უკან, აქა-იქ კიაფობდნენ ვარსკვლავები. ახლა ერთი ნაბიჯის წინაც კი არა ჩანდა-რა. საჭრო იყო აჩქარება.

სტეპკო ძალიან ახლო მოგვდევდა და ქვეს აღარ აგორებდა.

დაქანებული ფერდობი ტალღისებური ვახდა, და ხშირად არც კი ვიცოდი. სად დავადგამდით ფეხს.

ერთ ადგილას მაინც შეჩერება მოგვიხდა. წინ ძალიან ბნელი ფლატე გადავევლობა.

— ჩავხტეთ! — შემოგვთავაზა ომარმა.

— კარგი... თუმცა, სჯობია, ვერ ვსინჯოთ. — ჩამოვჯექი და ფეხით მიწოდო: მომესინჯა სიღრმე, მაგრამ ფსკერს ვერ ჩავწვდი.

— მომიკიდეთ ხელი და ჩამიშვით. — გვითხრა ომარმა. იგი ჩვენს შორის ყველაზე მსუბუქი იყო.

დავდექი ფლატის პირას, ომარს მარჯვენაში ხელი მოვკიდე, მარცხენაში ტოგომ და სტეპკომ ჩაავლეხ ხელი და ნელ-ნელა ჩავუშვივით. ალბათ, ფლატე ორ მეტრზე მეტი სიღრმისა იყო. წონასწორობას ძლივს ვიცავდით. ისევ უკანვე ამოვათრიეთ ომარი.

ფლატეს მარჯვნივ პქონდა პატარა დაქანება და ჩვენც იქით გავწვიეთ.

ფლატეს გასწვრივ კლდის პატარა ჩამონაკვეთი თანდათან ზევით მიიწაღდა. სანამ არ გადაიქცა შვეულ პიტალო კლდედ. მანძილი ამ კლდისა და ფლატეს შორის თანდათან ვიწროვდებოდა, და ჩვენ დაწალიკებით განვაგარძეთ სვლა. რადგან საკუთარი მხრების სიგანეც კი ხელს გვიშლიდა.

მივიღოდით მძიმედ, მაგრამ დამშვიდებულნი, დარწმუნებულნი, რომ კლდე გვფარავდა უცხო თვალისაგან.

ოდნავ ინათლა. უკვე შვიდ საათზე მეტი გზაში ვიყავით. უეცრად ქვემოდან რაღაც ხმაური მოგვესმა. ნუთუ ფოცხოვია... მართლაც, ასიოდე მეტრის იქით, ჩვენს ქვემოთ თეთრი ზოლი დავი-

ნახეთ. ეს ფოცხოვი იყო, საზღვარი...

გზა მოგვიქრა ჩამოშვადეჭულმა ქვეშემა და მიწამ. ალბათ, არცინს: ჩრდილსა ნია, რაც აქ მეწყერი ჩამოწვა.

თითქმის მთლად ინათლა. სადღაც შორს, მარჯვნივ, ძალმა დაიყეფა. უმაღლე კლდეებს მოვეფარენით.

— ჩავეშვათ სულ ქვემოთ. მერე ერთდროულად შევცვივდეთ ფოცხოვში და დავიწყოთ გადასვლა. — ჩემი გეგმა შეეთავაზე.

— მხოლოდ ერთდროულად და ძალიან სწრაფად! — დაუშატა ომარმა. ამ ასი მეტრის გავლას თითქმის ნახევარი საათი მოვანდომეთ, ეკდილობდით, არ გამოეჩენილიყავით მარჯვენა მხრიდან, საიდანაც ძაღლის ყეფა მოგვესმა.

ხან ზურგზე, ხან მუცელზე ხოხვით. ერთიერთმანეთის წაშველებით, როგორც იქნა, აღმოვჩნდით ორმოციოდე მეტრის მანძილზე. კარგა განიერ, მაგრამ თავთხელ მდინარესთან. უკვე კარგად ინათლა.

ტალახში ამოგანგლულები, ლოდინებს შუა გართხმულები, თვალით ვეძებდით მდინარეზე გადასასვლელ ადგილს.

წუთებზე გადიოდა, ჩვენ კი ადგილიდან არ ვიძვროდით და ველოდით ბრძანებას. ეს კი ან მე უნდა მეთავებინა, ან ომარს, მაგრამ ჩვენ ორივენი ვლუმდით.

— წავედით! — თითქმის ერთდროულად დავიძახეთ ორივემ და რიყებზე ბორძიკით გავიქეციით.

ძალზე გრძლად გვეჩვენა მანძილი მდინარემდე. მერე თხელ წყალში მივრბოდით. როცა წყალი მუხლებამდე შემოგვწვდა, ნაბიჯი შევანელოთ... გვეჩვენებოდა, აი, ეს არის, ხელს წაგვაველებენო.

ირგვლივ სამარისებური სიჩუმე სუფევდა. უკან მიბრუნებისა და მიხედვისა მეშინოდა, თითქმის ვიღაც უხილავი მომდევდა.

შუა მდინარეში წყალი წელამდე გვწვდებოდა და დასველებული პალტოები ქვევით, წყლის დინების მიმართუ-

ლებით გვეწოდნენ. ბედად, ჩვენ უკვე მეორე ნაპირს ვუახლოვდებოდით.

წყალი უკვე მუხლებზევე იტყვებოდა და ნაპირამდე ათიოდე მეტრი-და იყო დარჩენილი, როცა თოფმა იტყვა, მას მოჰყვა მეორე... და სტეპკო, როგორც მოსხებილი, წყალმა წაიღო.

ჩვენ ხელი ვტაცეთ და გამოვათრიეთ. ნაპირთან სტეპკო უცებ ხელიდან გაგვისხლტა, ბექზე აირბინა და პატარა გორაკს მოეფარა.

რამდენიმე წამში ყველანი იმ გორაკის უკან ვიწექით.

— სტეპკო, დაჭრილი ხარ?

— სადა ხარ დაჭრილი?

— ჰა, ხმა ამოიღე რაღა, კაცო!

— მე მესროდნენ, მაგრამ ვერ მომხვედრეს! — კბილების კაწკაწით დაგვიწყო ახსნა სტეპკომ.

ახლა ჩვენც ვიგრძენით, რომ გვიცოდა.

ბალტოები გავიხადეთ და გავწურეთ. ასევე გავწურეთ შარვლები და ისევე ჩავიცვით. რადგან უიმისოდ უფრო ციოდა.

საჭირო იყო წასვლა, რომ საზღვარს გავცლოდით და თან არ გავყინულიყავით. საინტერესო კი იყო დაგვენახა, საიდან მოვედით.

ოდნავ თავი გამოვყავი და გავხედე იქით. ყოფილ ჩვენს მხარეს. და შიშისაგან თმა ყალყზე დამიდგა.

— რა დაგემართა? — მკითხა ტოგომ.

— აბა, გაიხედეთ, საიდან მოვედით!

ბიჭებმა ფრთხილად გამოჰყვეს თავები და მათაც ფერი ეცვალათ: თურმე, ციცაბო უფსკრულში ვაპირებდით გადახტომას. ომარს ვუშვებდით ხელზე დაკიდულს. ამ უძირო უფსკრულის პირას დიდხანს მივდიოდით...

ახლა ოთხივენი კვანკალებდით... შიშისაგან.

საჭირო იყო წასვლა. წადუნულები და ამ გორაკს მოფარებულები, რომელიც დასავლეთისაკენ უფრო დიდდებოდა, გავემართენით შორს... ჩვენი სამშობლოდან.

მერე კი სროლისა აღარ გვეშინოდა.

თამამად მივდიოდით. მხოლოდ სველი შარვლები გვაწუხებდა.

უცნაურია! არავითარ სინამდვილეში არ ვგრძნობდი, თუმცა უკვე საზღვარგარეთ ვიყავით!

— იქნებ, ვერ არცა ვართ საზღვარგარეთ? — თქვა სტეპკომ.

სულ მალე ჩვენ და ფოცხოვს მაღალი მთა გვეყოფდა. სოფლის შარაზე გამოვედით, რომელიც, მარცხნივ, როგორც მეჩვენებოდა, თურქეთის სიღრმეში მიდიოდა.

ირვლივ არსად ჩანდა ბუჩქი ან ჩირგვი, მოცებდა მიწის ყვითელი ფერი. საითაც არ უნდა გავგეხედა, არსად არც ხნული იყო, არც ნიშანი მოსასლეობისა, თუმცა ზოგან კი ეტყობოდა ნიდაგს, რომ მას ოდესღაც ამუშავებდნენ.

მარცხნივ, გზის პირზე, პატარა მინდორზე, რომელსაც მე შუაღამემდე გადავხანავდი ჩემი ტრაქტორით, ქალაღის ერთი ფურცელი ეგდო.

— აბა ნახეთ, თუ თურქულად სწერია, თურქეთში ვყოფილვართ და ეგ არი! — ფურცლის თავზე, გვერდის ნომერთან გასმული ხაზის ზემოთ ეწერა „А. С. Пушкин, Медный всадник“. შრიფტი ძველებური იყო.

— აკი ვამბობდი! — წაიბუზღუნა სტეპკომ.

— გაჩუმდი, სულელო! — გაბრაზდა ტოგო. — ეგ, ალბათ, ქარმა გამოსტაცა რომელიმე მესაზღვრეს.

ბალტოები და შარვლები უკვე დიდი ხანია ტანზე შემოგვაშრა, ჩვენ კი მივევებოდით ორ მთას შუა მოქცეულ ხეობას და ამაოდ ვეძებდით ამ საცოდავსა და გამოფიტულ არემარეზე ადამიანის მოღვაწეობის ნიშან-კვალს, თუ არას ვიტყვით უსასრულო შარავაზე.

თუმცა ომარმა ცალ ფეხზე კოკლობას უმატა, მიანც სულ გვერდით მომდევდა. უკან ტოგო მოცანცალებდა, და უფრო და უფრო ხშირად ველოდებოდით ჩამორჩენილ სტეპკოს.

როცა მზე დასავალს გადაიხარა, ვიზგარიმე, რომ ჩვენ მუხლჩაუხრელად

თხუთმეტი საათი მინც გველო, თუ მეტი არა.

საშინლად გეშოდა და გეწყუროდა. მეჩვენებოდა, რომ ახლა ჩვენი არსებობის ერთადერთი პრობლემა ესაა იყო.

ლაპარაკის არაქათი აღარა გეკონდა. გონება მძიმედ მუშაობდა. შეგნებაში მხოლოდ ერთი აზრი მონოტონურად და მომბეზვრებლად მიჩაჩქუნებდა: „ახლა შენ არა გაქვს სამშობლო, ახლა შენ არა გაქვს სამშობლო...“

უცერად ჩვენამდე რაღაც უჩვეულო ხმამ მოაღწია, რაც ერთდროულად ჰგავდა კვილის, ღრქილის, კენესას...

ჩამორჩენილ სტეპკოს ველოდით და თანაც ამ ხმას ვუსმენდით.

ხმები გზის მხრიდან მოდიოდა, თანდათან ძლიერდებოდა და მთელ ხეობას ავსებდა. ახლა შეიძლებოდა დაგვესვენა, რომ ეს ჰრიალი იყო. მაგრამ ასე უღმერთოდ რას უნდა ეპრიალა?

ისევ გაეწიეთ. უცებ მოსახვევიდან გამოჩნდა ურემი, ჩვეულებრივი მოჩარდახული ურემი, რომელსაც ერთი უღელი მკლე ხარი ეწეოდა.

ფეხს აეუჩქარეთ. ჩვენს დანახვაზე ხარები გაჩერდნენ, და ჩარდახიდან ნამძინარევი, ხნიერი თურქის სახე გამოჩნდა. შეშინებულმა თურქმა შეგვათვალიერა, სწრაფად წინა კოფოზე გადმოქდა და ხარებს შეუტია.

უღელზე ხელი შევაველეთ და ისე შევანერეთ ხარები. აღბათ, საშინელი შესახედობა გეკონდა, რადგან მეურმე ძალზე შეშინებული იყო.

— ექმეკი!... პური!.. — სტეპკომ თითები პირთან მიიტანა და პირი ისე ამოძრავა, თითქოს ლეკვავსო.

თურქმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

ომარი, ტოგო და მე ხელების მოძრაობით ვუხსნიდით, რომ სულ ცოტა პური გვინდოდა, მაგრამ თურქი უარის ნიშნად თავს იქნევდა, თან თითებით

გვიჩვენებდა, რომ წინ კიდევ სამი დღის გზა ჰქონდა. ეტყობა პურის გამოზოგვის სურვილმა სძლია შიშს. სტეპკომ თავს ლაღი დაგვესწა. ურემთან ახლოს მივიდა, გლახასავით დაიმანჯა და თხოვნა დაუწყო:

— სტეპკო, მოეცალე! ნუ გვარცხვენ!

— როგორ არა გრცხვენია, სტეპკო!..

მაგრამ სტეპკო ყურადღებას არ გვაქცევდა და ცრემლიანი თვალებით ხევწნას განაგრძობდა.

— ჩამოშორდი, თორემ აქვე გავათავებ!.. — რომ ველარაფერი გავაწყე, ჯიბიდან ნაგანი ამოვიღე.

რა თქმა უნდა, მე მხოლოდ სტეპკოს შეშინება მინდოდა, მაგრამ თურქიც ძალიან დაფეთდა. მუხლებზე დაეცა, ცისკენ აღაყრო ხელები და შებრალებას მევედრებოდა.

თურქის ზურგს უკან გამოჩნდა სათუთი ხელი და ათიოდე წლის ლამაზმა გოგონამ გამოგვიწოდა პატარა ტოპრაკი, რომელშიც მათი ღარიბი საგზალი იყო.

ძლივს მოვიფიქრე ნაგანი ჯიბეში ჩამედო. ბიჭებმა განზე გაათრიეს ახლუქუნებული სტეპკო.

თურქი რაღაცას მელაპარაკებოდა, აღბათ, მლოცავდა, მერე ჯოხი მთისკენ გაიშვირა.

საქართველოს მიმართულებით, დაქანებულ ფრიალოზე, მოჩანდა რაღაც სოფელი.

— მაგას პური უნდა წაართვა!.. — ტიროდა ჩემს ზურგს უკან სტეპკო. — მაგრა მიბეგვო... ეგ გოგო კი გააუპატიურო!

— ტოგო, მიაფურთხე მაგას სიფათში! — ვთქვი მე.

— ნერწყვი გამიშრა... — მიპასუხა ტოგომ.

ისევ აპრიალდა გაუპოხავი ღერძი, ჩვენ კი გავუღმქით გზას, იქით... ადამიანებისაკენ.

პირველი წიგნის დასასრული.

თავრობა გიჯგავი

რ უ ს ე თ ი

მას ვერ ჩაწვდები გონებით, ხოლო
საერთო ადლით მისი გაზომვა

სისულელეა და უაზრობა, —
ის შეიძლება იწამო მხოლოდ.

28 ნოემბერი 1866 წ.

P R O B L E M E

ზავსმოდებული უხმოდ გდია მიწაზე ლოდი.
- მთის კალთებიდან ჩამოცურდა როგორ ან როდის?
არავინ იცის, — იქნებ, მოწყდა იგი თავისით,
ან იქნებ. კაცი დაჰქიდა — ესეც არ იცის
ქვეყნად არავინ... საუკუნე გავიდა ბევრი,
მაგრამ ეს რთული გამოცანა ამოხსნა ვერვინ!

თებერვალი 1873

• • •

Est in arundineis modulatio musica ripis*

პარმონიული არის ყოველი
დავა. ჭიდილი თუ ზღვის ხმაური;
ლერწმებში მწყობრი მუსიკალური
ჩქამი ლივლივებს — დაუცხრომელი.

და ბუნებაში, ვით მყუდროება
თანხმობა სუფევს, როგორც სუფევდა.

მოჩვენებითო თავისუფლება.
ვერძნობთ მხოლოდ შენთან
უთანხმოებას.

რამ დაუბედა მევალესავეთ
უთანხმოება ჩვენს ფიქრს და მიზანს?
ან რატომ არ ჰგავს სულის ხმა ზღვისას
და გონიერი დრტივინავს ლერწამი?

11 მაისი 1865 წ.

შ ა ღ რ მ ვ კ ა ნ ი

აი, შეხედე, როგორი ძალით
ამოსკდა უცებ და მოწყდა მიწას;
მზის სინათლეზე წვეთებად იქცა
მისი მბრწყინავე და სველი კვამლი.

ვერტიკალურად აიჭრა ცისკენ,
ნაცნობ სიმაღლეს შეეხო ფრთებით,
რომ თვალწინ, როგორც ბრჭყვიალა
შხეფი,
ფერად მძივებად დაცივდეს ისევ.

* არის მუსიკალური სიმწყობრე
სანაპირო ლერწმებში (ლათ.).

ო, შადრევანო მოკვდავი სულის,
 დუშრეტელო მარად და მარად!
 საით გეწევა ოცნების დარად
 მარადისობის კანონი ბრძნული?

მიწიდან ცისკენ მძაფრად დაძრული,
 სივრცეში ისევ თავს ვერ ემაგრებ —
 მსხვერველით გაბრუნებს უკან სიძაღლი
 საბედისწერო და უსასრულო.

1836 წ.

• • •

ის უხმაუროდ არჩევდა ფურცლებს
 და იატაკზე ფერფლივით ყრიდა.
 და მოგონება უხმოდ და უცებ
 სულს და გონებას ქანცავდა, ღლიდა.

ვით მონუსხული, უძრავად იდგა:
 ო, თვალწინ, როგორც დაწვევით
 სიმებს,
 მარადი ძილით ეძინა თითქოს
 მოკლულ სიყვარულს, ჩაფერფლილ
 იმედს.

რა უცნაურად დასცქერდა დაყრილ
 ბარათთა გროვას, გვამებად ქცეულს —
 ასე სულეები დასცქერენ მაღლით
 მიწაზე უღვთოდ დაგდებულ სხეულს.

ო, გარდუვალი ბედის ტრიალი!
 ო, აუხსნელი შორი წარსული!
 მე ვიდექი იქვე ღრმად სევდიანი.
 გაოგნებული და გაძარცული.

1858 წ.

• • •

ღმერთმა წამართვა ყოველივე: ჯანი, ოცნება,
 ჰაერი, ძილი. — შენ ერთილა არ გაგიშვტა,
 დაგტოვა ჩემთან უკანასკნელ ხსნად და იმედად,
 რომ შევძლო ისევ დავუჩოქო — ამ დღის მომსწრემაც.

თებერვალი 1873

• • •

ო, ნიცა. ო, ეს სამხრეთი! არსად
 მე არ მინახავს ასეთი სივრცე!
 სიცოცხლე დაჰრილ ფრინველის
 მსგავსად
 ცდილობს აფრენას — და ველარ
 იწევს.

უხმოდ გართხმულა
 ფრთებმომსხვერველი
 და თავგანწირულ, უმწეო სხივად
 ფეთქავს. კანკალებს ლოცვად ქცეული,
 მთელი სხეულით კანკალებს — ტკივა...
 21 ნოემბერი — 13 დეკემბერი 1864 წ.

დეკემბრის დილა

ქათათებს მთვარე. და ღამის
 ჩრდილი
 არ იძვრის, მშვიდი და უღრტვინველი,
 თითქოს არა გრძნობს — საცაა დილა
 შეიფრთხილებს, როგორც ფრინველი.

ცა, განაბული და საკვირველი.
 ღამის ზეიმით ელვარებს ჭერაც.

მაგრამ წუთიც და, ვით გაოცება,
 დილა იფეთქებს დედამიწაზე
 და მთელი სივრცით სულს და ოცნებას
 გაბრწყინებულა დღე გაიტაცებს.

დეკემბერი 1859 წ.

და თუმცა ჩნდება სხივი პირველი,
 თამაში, როგორც ჭიუტი მწერა,



ქართული
საქმიანობა

სილა — მუხლამდე... დროა გვიანი,
ჩრდილები იქცნენ საერთო ჩრდილად;
მიემგზავრებით. რა სევდიანი
ადგილებია! დაღამდა — გრილა.

ღრმა ფიქვნარი და მწელა სისევე,
ხმაგაქმნდელი დამე უჩინრად
მხეცის ანთებულ თვლებით გვიმზერს,
მუქარით გვიმზერს ყველა ბუჩქიდან.

1830 წ.

ჯანსუღი 1854

ეს მისნობაა, მისნობა სწორედ!
საიდან. როგორ დაგვატყდა თავზე
მოულოდნელად და სხვათა შორის
ზაფხული — ზღაპრულ ფერებით
სავსე?

ეს რა ხმებია! ჩუმად, იქნება
გვესალმებიან, — ვის გავახსენდით?

ანდა აბუჩად ხომ არ გვიგდებენ?
რას მოასწავებს ჯადო ასეთი ..

ო, ასე — ვხვდებით ყველანი ბოლოს,
რომ სიბერისას იღუმალ ძალით
კი არა გეზიბლავს — გვაცბუნებს
მხოლოდ

უმანკო ღიმი მშვენიერ ქალის.

ავვისტო 1854

ბეერს ნუ ესწრაფვი, იკმარე მცირეც!
არარაობის ნუ ეძებ მიზეზს;
ჭრილობებს დღისას განკურნავს ძილი,
ხვალ მოსახდენი — მოხდება ისეც.

იყავ გულგრილი, და თუ აიტან
ყოველგვარ ტკივილს, სიხარულს,
სევდას, —
რაა სურვილი? ეს დღეც გავიდა
და, ზეციერო, მაღლობა შენდა!

1850

თარგმანი ნუნა ვაგნაშვილი

საგონი საიშვილი

ვეფხისტყაოსანი

ლიტერატურულ-კრიტიკული ნარკვევი

ვეფხისტყაოსანი პირველი უძველესი ქართული კულტურისა, რომელშიც ორგანულადაა შერწყმული აღმოსავლეთისა და დასავლეთის ცივილიზაციათა მონაპოვრები.

შოთა რუსთაველმა, რომელიც გამოხატავდა ქართველი ხალხის ყველაზე სახელოვანი ეპოქის მისწრაფებებს, უკუდავი პიში უმღერა ადამიანის უკეთილშობილეს გრძნობებს — მეგობრობასა და სიყვარულს და შუა საუკუნეთა პოეზიის ისტორიაში ერთმა პირველთაგანმა განამტკიცა სრულყოფილი ადამიანის ახლებური იდეალი.

სიბრძნე და პოეზია გაუთიშველად ბატონობს რუსთაველის პოემაში. ვეფხისტყაოსნის იდეალური გმირები რენესანსული სულით არიან აღზევებულნი. ბრძოლა და ოპტიმიზმი, ცხოვრების წინაშე არგადრეკა ვეფხისტყაოსნის მსოფლშეგრძნების ქვაკუთხედი, რაკ მარადუკუდავი შარავანდედით მოსავს რუსთაველსა და მის პოემას.

ჩვენ მოკლედ შევხებით იმ ძირითად საკითხებს, რაც დაკავშირებულია ვეფხისტყაოსანთან, როგორც შუა საუკუნეთა მსოფლიოს უდიდეს მხატვრულ მოვლენასთან.

ამბავი, რომელიც გადმოცემულია პოემაში, სიუჟეტური თვალსაზრისით ძალზე ოსტატურად არის გაშლილი. ორი შეყვარებული წყვილის თავგადა-

სავალი ბუნებრივად ერწყმის ერთმანეთს, ხოლო კარგად მოფიქრებულ ერთიან სიუჟეტურ ხაზს გზადაგზა ამდიდრებენ ცალკეული შენაქადები. პოემაში თხრობა ასეთი თანმიმდევრობით ვითარდება: ჯერ მოთხრობილია არაბეთის ამბები, ხოლო შემდეგ გადმოცემულია ინდოეთში დატრიალებული ტრაგედია. ავთანდილ-თინათინის ამბავს მოჰყვება ნესტან-ტარიელის მიჯნურობის ისტორია, რომელიც ავტორს ტარიელისავე პირით აქვს მოთხრობილი. გზადაგზა მათ ერთვის საგულისხმო ეპიზოდები, როგორცაა ფრიდონისა და ტარიელის შეხვედრა-დამეგობრების ამბავი. ავთანდილის ფათეჩაკებით აღსავსე მოგზაურობა, მისვლა ვაჰართა ქვეყანაში და მისი მსუბუქი სასიყვარულო ინტრიგა ვაჰართა უპირველესის ცოლთან ფაქმან ხათუნთან. სიუჟეტის ფაქტიურ კულმინაციაა წარმოადგენს ქაჯეთის ციხის აღება და იქ დამწყვდეული ნესტანის განთავისუფლება. საზიემო მოგზაურობათა შემდგომ გმირები უბრუნდებიან თავიანთ ქვეყნებს. ავტორის დასკვნით, მეგობრები შემდგომაც არ იფიწყებენ ერთმანეთს და ეს ერთიანობა მათ კუთვნილ სახელმწიფოთა ძლიერების საფუძველია.

ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის ასე ზოგადად წარმოდგენაც კი ნათელყოფს,

რომ პოემაში გარკვეული ადგილი უჭირავს ძველი ეპოსისათვის დამახასიათებელ ელემენტებს. თავისებურად არის გამოვლენილი კეთილისა და ბოროტის მარადიული ბრძოლა, ძველ მითოლოგიას განეკუთვნება ბოროტების სამეფოში მზეთუნახავის მოთავსება, რასაც პოეტი გველემშაპის მიერ მთვარის შთანთქმას ადარებს, არის მაგიის შემცველი რამდენიმე პასაჟი, როგორცაა გამოქვამულში საიდუმლო იარაღის პოვნა, რომლითაც შესაძლებელია ქაჩეთის სახელმწიფოს დაღუპვა და ა. შ. მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ ერთგვარი რელიქტის შთაბეჭდილებას აბდენს, რაც გარკვეული ხარკია ძველი მითოლოგიური თუ მისი შემდგომი საფეხურის საგმირო ეპოსის მიმართ. ვეფხისტყაოსანი ამითაც მკვეთრად განსხვავდება მისი წინამორბედი ქართული სადღევგმირო ხასიათის თხზულებებისაგან, რომელსაც „ამირანდარეჯანიანი“ ეწოდება (ავტორი მოსე ხონელი) და რომელშიც ძალზე მოჭარბებულია ზებუნებრივობის ელემენტი. როგორც ცნობილია, ზებუნებრივის როლი მოვლენათა განვითარებაში მსჭვალავს შუა საუკუნეთა თითქმის ყოველ მნიშვნელოვან თხზულებას, როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთშიც. საკმარისია მოვიგონოთ ზიგფრიდის უჩინმაჩინის ქუდი, რომლითაც იგი ახერხებს ბრუნპილდას გამოხსნას; ფახრედინ გურგანის „ვის ო რამინში“, ისე როგორც მის დასავლურ ანალოგიაში „ტრისტან და იზოლდაში“, ჯადოქრობა გარკვეულ როლს თამაშობს. ჭარბადაა ეს ელემენტი იმ ხანების ფრანგულ პოეზიაში და სპარსულ რომანტიულ პოემებში.

ვეფხისტყაოსანი ჩაფიქრებულია, როგორც ფართო ეპიური ტილო, რომელშიც პოეტი გადმოგვცემს მის მიერ წარმოსახულ პოეტურ სურათს, გვიხატავს გმირთა იდეალურ სამყაროს, გვაცნობს თავის წარმოდგენას მაღალ და მშვენიერ ადამიანურ ცხოვრებაზე. მაგრამ ძველი ეპოსისაგან განსხვავებით, ვეფხისტყაოსანს ძალზე მსჭვალავს ლირი-

კული ნაკადი, რაც თავის მხრით უფრო მეტ შესაძლებლობას აძლევს მოემის ავტორს გმირთა ფსიქოლოგიის დახატვისათვის, უფრო გრძნობად-კონკრეტულს ხდის ცალკეულ პასაჟებს. ამას რუსთაველი ალწევს ხშირი ლირიკული წილისვლებით, ავტორისეული გადახვევებით. საკმარისია გავიხსენოთ დიდებული ლირიკული ციკლი, რომელიც იხსნება პოეტის მონოლოგით:

„ვა, სოფელა, რაშიგან ხარ,
რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!
ყოველი შენი მონდობილი
ნიადაგმა ჩემებრ ტირისა!
ხად წიფეან საღატრსა,
სად აღუფხერი საღით ძირსა!
მაგრა ღმერთი არ გასწირავს
კაცსა, შენგან განაწირსა“. (951)

მაგრამ ფაქტიურად ასეთსავე შესაძლებლობას იძლევა ტარიელის თავგადასავალი, რომელიც ავტორს პირველი პირითა აქვს მოთხრობილი. ამ შეკთხვევაში ავტორისეული თხრობა (ძველი ეპოსის უპირველესი ნიშანი) უკანა პლანზე გადადის და მკითხველი მოწმე ხდება ტარიელის სულიერი ტკივილებისა, როცა იგი თავის ხსოვნაში აღადგენს გამოჩნტრებისა და შემდეგ ნესტან-დარეჯანის მოულოდნელად დაკარგვის ამბავს. სწორედ აქედან ტარიელი იწყებს თავისი ცხოვრების უმთავრესი ეპიზოდების გადმოცემას. ავტორისეულ ჩანართებთან ერთად იგივე ზერზო ლირიკულ ნაკადს უფრო წინა პლანზე სწევს, რაც ვეფხისტყაოსნის, როგორც რომანტიული პოემის, ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია.

ტარიელისათვის, რომელიც ფაქტიურად განწორებულა ადამიანურ ყოფას (ნესტანის დაკარგვის გამო) და შორხილად ელოდება ქვეყნიდან გასვლის ეამს, ძალზე სამძიმოა თავისი წარსულის გახსენება. კვლავ უნდა ვიხსნას ძველი ჭრილობები, განახლდეს სულაერი ტკივილები, რაც თითქმის მიუყუჩებულია კაცთაგან შორს მყოფი გმირისათვის. გავიხსენოთ ის ადგილი, როცა როსტეგანი და ავთანდილი პირველად

იხილავენ უცხო მოყმეს, დაღონებულსა და გარინდებულს. ტარიელს ამ დროს, როცა მეფე როსტევენი და მისი სპასუეტი ავთანდილი შემოხვდებიან ნადირობის ეამს, თავისი ცხოვრების ბედნიერადღეები მოაგონდა, როცა ისიც ასევე გალაღებული ახლდა სანადიროდ გასულ ინდოეთის მეფე ფარსადანს. ხოლო ნესტანი სამეფო ციხე-კოშკში ეგულეზობდა. ასეთივე მძიმე სულიერი ტკივილები მოელის ტარიელს, როცა იგი თავისი ცხოვრების საამბობლად ემზადება. მაგრამ იგი ამ მსხვერპლზე მიდას ავთანდილის გამო და ამით ავლენს თავის თავდადებას ახლად ჩასახული ძობა-მეგობრობისადმი. ამასთან, ტარიელი ავთანდილის სახით ხედავს მიჯნურ-რახინდს, რომელსაც დახმარება სჭირდება. ავთანდილი მიჯნურის დავალებით არის წამოსული უცხო მოყმის საქებრად. რაინდული კოდექსი კი დალაღებს მიჯნურის მიერ მიჯნურის თანაგრძობას, მეგობრისათვის თავდადებას. ტარიელის სიტყვებია:

„...გინცა კაცმან ძმა იძმოს, თუ დაცა იღოს, ზამა, თუ მისთვის სიყვდილსა და ჰირსა თავი არ დარიდოს; ღმერთმან ერთი ვით აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყვილოს შენ ისმენდი, მე გაამბობ, რაცა გინდა წამეკიდოს“. (306)

„ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის განვითარება ოპტიმისტურ რწმენას ემყარება: „ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს“ (1492,2). ვეფხისტყაოსნის გმირებიც, მრავალი დაბრკოლების გადალახვის შემდეგ, მაინც აღწევენ თავის საწაღელს.

„ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტზე დაკვირვება სხვა საგულისხმო საკითხებსაც აღძრავს შოთა რუსთაველის პოემის, როგორც ვარკვეული პოეტური ეპარის, დახასიათებისათვის. ავიღოთ თუნდაც კომპოზიციის საკითხი. იგი საინტერესო მასალას იძლევა არა მარტო რუსთაველის პოეტური ენის თავისებურე-

ბეზე, არამედ მის ღრმა კაცობრივ ხალხურ საგმირო ექვეყნადაე. უცხო მოყმის მოულოდნელ წამოხვეუნის მოტივი ან მეგობართა წყვილების შემოყვანა აშკარად ხალხური ეპოსის სპეციფიკური კომპოზიციური ხერხებია, მაგრამ ამასთან ორი თავისთავადი, თითქმის დამოუკიდებელი ამბის (ამბავი ტარიელისა და ამბავი ავთანდილისა) ისე ოსტატურად გადახლართვა უეჭველად მაღალი ლიტერატურული კულტურის მანვენებელია და რუსთაველის ორიგინალურ პოეტურ აზროვნებაზე მიუთითებს.

ასევე რუსთაველის სასახელოდ უნდა აღინიშნოს, რომ დასავლურ და, განსაკუთრებით, აღმოსავლურ სარაინდო რომანებისაგან განსხვავებით, ვეფხისტყაოსნის სიუჟეტს გასაოცარი დინამიკა ახასიათებს. მკითხველი შეუწყნებელი ინტერესით მიჰყვება ამბავთა სწრაფ და მოულოდნელ განვითარებას. ნიჰამი განჯელის პოემის განხილვასთან დაკავშირებით ა. ნ. ბოლდირევი სწორად მიუთითებს: «В поэмах Низами фабула играет далеко не первостепенное значение... действие в поэмах Низами очень замедленно, что дает возможность несложному сюжету быть развитым на протяжении нескольких тысяч стихов. В поэме Руставели наблюдается противоположная картина; там сложный запутанный сюжет развивается в очень энергичном темпе на протяжении всей поэмы» («Памятники эпохи Руставели» Сборник, 1938 г. стр. 117).

სიუჟეტის გამიზნული განვითარება და ზედმეტი შენაკადებისგან ზომიერი განტვირთვა ვეფხისტყაოსნის ერთერთი ნიშანდობლივი მხარეა. სიუჟეტის განვითარებისათვის საგულისხმოა შემდეგი მომენტი: გავიხსენოთ შეტაკება ინდოეთის მეფე ფარსადანსა და, მეორე მხრით, მაღალი, თავისუფალი სიყვარულის იდეების მატარებელ ნესტანსა და ტარიელს შორის. ფარსადანის არაგონიერული ნაბიჯი ეწინააღმდეგება ინდოეთის ეროვნულ ტენდენციებს, იწვევს დროებით კატასტრო-

ფას. მაგრამ ეს უფრო სიუჟეტის წარმართვის გარეგან მხარეს ეხება. რეალური კონფლიქტი პოემაში თვით პერსონაჟების სულიერ ცხოვრებაში, მოქმედებისა და უმოქმედობის, გრძნობისა და გონების გარკვეულ დაპირისპირებაში უნდა ვეძიოთ. ეს შინაგანი ბრძოლა პოემის იდეალურ გმირთა გამარჯვებით მთავრდება. ამიტომ მკითხველის ინტერესი მიმართულია გმირების სულიერი ცხოვრებისაკენ, რაც ქმნის იმ მძაფრ დრამატოზმს, რომლის გარეშე რუსთაველის პოემა ვერ ამაღლდებოდა შუასაუკუნეთა ყოველგვარი ტიპის სათავგადასავლო თუ სამიჯნურო რომანებზე.

აქვე შეუძლებელია ორიოდ სიტყვით არ შევჩერდეთ პოემის შესავლის იმ სტროფზე. სადაც ნათქვამია:

„ესე ამბავი სპარსელი,
ქართულად ნათარგმანებო,
ვბოვე და ლექსად გარდავთქვი,
საქმე ვქმენ საქოქმანებო“.

ამ სტროფმა თავის დროზე გარკვეული გაუგებრობანი გამოიწვია პოემის წყაროთა ძიების საკითხში. თავი რომ დავანებოთ იმ უცილობელ ფაქტს, რომ ამ ტიპის ამბავი (სიუჟეტი) არ აღმოჩნდა სპარსულ მწერლობაში (ამ თვალსაზრისით სპეციალური ძიება ჩაატარეს ვეფხისტყაოსნის პირველმა მკვლევარმა ვახტანგ მეექვსემ, ორიენტალისტმა ი. მარმა და სხვებმა), პოემაში აშკარად შეინიშნება ანტი სპარსული ტენდენცია (ხვარაზმელთა ეპიზოდი), შოთა რუსთაველის პოემა იდეური მიზანდასახულობით მთლიანად ეროვნულ-ქართულ საფუძველზეა აღმოცენებული. დიდი ქართველი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი უხვი მაგალითებით ასაბუთებდა პოემაში წარმოდგენილი სოციალური გარემოს ზუსტ იგივეობას მე-12-13 საუკუნეთა საქართველოს ისტორიულ სინამდვილესთან. დასასრულ, თვით თამარის გამეფების ფაქტიც, რაც უნიკალური მოვლენა იყო მუსლიმანურ აღმოსავლეთში, უკ-

ვე თავისთავად მეტყველებს ამ უკანასკნელი დებულების სასარგებლოდ. (გაუვისხნოთ პოემიდან *ჟინათურის* გამეფების ამბავი, ან ის, რომ ტარიელი სამეფო გვარის წარმომადგენელი იყო ისევე, როგორც თამარის მეუღლე დავით სოსლანი და ა. შ.).

ვეფხისტყაოსანი ფაქტიურად თამარ მეფისადმი მიძღვნილი, რასაც ავტორი ხან პირდაპირ („თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ დათხეული...“). ხან კი „შეფარვული“ ფორმით გამოხატავს (იხილეთ ავტორის მინიშნება: „მისი სახელი შეფარვით ქვემო რე მითქვამს, მიქია“), რის ერთგვარი შენიღბვის მიზნით პოეტი ვითომდა მის ხელთ არსებულ წყაროს ასახელებს.

პოეტი თითქოს აქ მოთხრობილი ამბის ნამდვილობასაც უსვამს ხაზს, რაც მისი თანამედროვე მკითხველის თვალში მეტ ღირსებას ანიჭებდა ნაწარმოებს. რაც შეეხება კონკრეტულად სპარსულზე მითითებას, როგორც ამას ვეფხისტყაოსნის პირველი კომენტატორი ვახტანგ VI აღნიშნავდა, გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ ამ ტიპის საგმირო-სამიჯნურო პოემები ძალზე გავრცელებული იყო სპარსულ მწერლობაში. ასეთივე მოსაზრება აქვს გამოთქმული ამ უკანასკნელ ხანს ინგლისელ ლიტერატურისმცოდნე მორის ბოურასაც (იხ. მისი წიგნი „შთავგონება და პოეზია“, ლონდონი. 1955 წ.).

მე-12 საუკუნე, ანუ საქართველის ისტორიის კლასიკური ხანა, შემზადებული და გაპირობებული იყო ხანგრძლივი ისტორიული პროცესით. აღმავლობის გზაზე შემდგარ ქვეყანას ყველა დარგში, სოციალურსა და პოლიტიკურში, ეკონომიურსა თუ იდეოლოგიურ სფეროში ემჩნევა არაჩვეულებრივი გამოცოცხლება. ჩვენ აქ დაწვრილებით ვერ შევჩერდებით იმაზე, თუ როგორი ეროვნული მისია დაიკისრა ჩვენში ადრეულ საუკუნეებში: ქრისტიანულმა რელიგიამ, რომელიც

თავის თავდაპირველი სახით კოსმოპოლიტურ მოძღვრებას წარმოადგენდა. ქრისტიანობა იქცა ქართველობის სინონიმად. ქრისტიანული პროზელიტიზმი ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე დადგა. თუ როგორ მძლავრდებოდა და ფეხს იკიდებდა უკვე მე-9, მე-10 საუკუნეთა, საქართველოს ერთიანობის იდეა ქართული ეკლესიის წიაღში კარგად ჩანს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“: „ქართლად, — ამბობს გიორგი მერჩულე, — ფრიადი ქვეყანა აღირაცხების, რომელსაც შინა ქართულითა ენითა ეამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“.

აღმავლობის გზაზე მდგარი ფეოდალური კლასი მის გარშემო იკრებდა სოციალურ, პოლიტიკურ თუ კულტურულ ძალებს და წინ უძღოდა იმ დიდ მოძრაობას, რომელმაც მე-12 საუკუნისათვის წარმოშვა მთელს მცირე აზიაში უძლიერესი სახელმწიფო. თუ ქრისტიანული რელიგია მანამდე ეროვნული იდეოლოგიის ბურჯს წარმოადგენდა, ახალ ვითარებასთან დაკავშირებით, ისევე, როგორც საერო ცხოვრების სხვა სფეროებში, იგი ჩრდილში დადგა. ძლიერი ქართული სახელმწიფოს შეთაურებმა, რომლებიც ამიერკავკასიის კონსოლიდაციისაკენ ისწრაფოდნენ, რელიგიური შემწყნარებლობის პოლიტიკას მიმართეს, რათა ამით ზემოქმედება მოეხდინათ მაჰმადიანური რწმენის მქონე მეზობელ ხალხებზე. რწმენის თავისუფლება ამ ერთიანობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა იყო.

უკვე შეათე საუკუნიდან მოკიდებულნი, როცა მტკიცდებოდა ერთიანი საქართველოს იდეა. ამავე დროს გარდუვალი ხდებოდა იმის აღიარება, რომ ცენტრალიზებული ხელისუფლების გარეშე ფუჭი იქნებოდა ყოველგვარი გაერთიანების ცდები. ამ ბრძოლის ანარეკლი შესანიშნავად ჩანს ძველ ქართულ მატთანეებში, რომლებშიც ყველგან ხაზგასმულია ცენტრალიზებული ხელისუფლების უპირატესობა. სწორედ ამ რწმენამ მოამზადა ის იდეოლო-

გიური ნაკადი, რომელიც ცნობილია „მესიანიზმის“ სახელწოდებით. ამ ქვეყნად ლეთაუბის კრწანთელის მისი უწმინდესი მოვალეობაა ემსახუროს ტახტს, მისი მიზანია ლეთაუბრივი სამართლიანობით მართოს ქვეყანა. როგორც ცნობილია, აღნიშნული თეორია ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენლებმა შეამაგრეს უძველესი ვადმოცემით, რომლის მიხედვითაც ბაგრატიონები პირველ ემბრაელ მეფეთა შთამომავლები არიან.

ეკონომიურმა და პოლიტიკურმა ძლიერებამ დიდი კულტურული აღორძინება გამოიწვია. დაწინაურდა ხელოვნების თითქმის ყველა დარგი. მაგალითად, არქიტექტურის ბრწყინვალე ძეგლები, ციხე-სიმაგრეები და ეკლესია-მონასტრები, რომლებითაც მოფენილია ჩვენი ქვეყანა, მეტწილად ამ ხანებში შეიქმნა. საეპარქიო მათი უბრალო ჩამოთვლაც კი, რომ წარმოიდგინოთ მაშინდელი მშენებლობის გრანდიოზული მასშტაბები. აღორძინდა ფრესკული მხატვრობა. შეიქმნა ქედური ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშები. ყველგან და ყველგან იგრძნობა, რომ ქრისტიანული რელიგიის ჩარჩოები ველარ აკავებს თავისუფალი აზრის მძლავრ შემოტევას.

სრულიად ახალ სიმაღლეებს დაეუფლა ქართული მწერლობა, ფილოსოფია და მეცნიერება. ქართული ფილოსოფიის, მწერლობისა და პოეზიის წარმომადგენლები სეამდნენ ისეთ საკითხებს, რომლებიც სამაგალითო იყო მსოფლიოს ყველაზე განვითარებული ქვეყნებისთვისაც კი.

სამწუხაროდ, ამ ეპოქის მონაპოვართაგან ბევრი რამ იავარკყო შემდეგი დროის ეამთა სიავემ, მაგრამ გადარჩენილი ძეგლებიც საკმაოდ ნათელყოფენ ამ აზრის სისწორეს. ჩვენამდე მოაღწია გამოჩენილი ქართველი მოღვაწეების ექვთიმე და გიორგი ათონელების, არსენ იყალთოელისა და იოანე პეტრიწის თხზულებებმა. ამ დროს დაიწერა შავთელისა და ჩახრუხაძის შესანიშნავი საზოტბო ოდები, რომლებშიც

შექმულია ძლიერი ქართული სახელმწიფო და მისი მეთაურები. ბრძოლაში შეუღრეკელი მოყმე-რაინდის ფანტასტიკური საგმირო საქმეები აღწერა „ამირან-დარეჯანის“ ავტორმა მოსე ხონელმა. ქართველი მკითხველი გაეცნო ანტიკურ მწერლობას, აღმოსავლური პოეზიის ნიმუშებს. სარგის თმოგველმა ბრწყინვალე ქართულით თარგმნა სპარსული პოემა „ეისრამინი“. სწორედ ამ ხანებში დაიწერა შოთა რუსთაველის უკვდავი ვეფხისტყაოსანი. რომელმაც დააგვირგვინა ჩვენი მწერლობის ბრწყინვალე ეპოქა.

უნდა აღინიშნოს, რომ პირველ ხანებში ამ დიდი მოძრაობის საფუძვლების კვლევისას, ზოგი რამ არ იყო მართებულად წარმოდგენილი. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ ამ საუკუნის დასაწყისში, როდესაც ნიკო მარი ეხებოდა ქართული კლასიკური მწერლობის წარმოშობის საფუძვლებს, იგი განსაკუთრებულად უსვამდა ხაზს აღმოსავლური და, კერძოდ, სპარსული მწერლობის გავლენას. ნ. მარმა შემდეგ და შემდეგ ეს შეხედულება საგრძნობლად შეარბილა, გარეგნულად თითქოს უარყო კიდევაც. 1917 წელს იგი წერდა:

«Теория моя о возникновении и развитии грузинской светской литературы под влиянием персидской литературы... устарела, она, мне кажется, нуждается в поправке и восполнении», ხოლო 1924 წელს კი ნ. მარმა პირდაპირ აღნიშნა, რომ მისი «теория заимствований и внешних творческих сил провалилась». (იხ. ლიტ. ძიებანი, ტ. VIII, გვ. 37).

ნ. მარის ამ შეხედულებებს, რასაკვირველია მეტ-ნაკლები დოზით, ეზიარებდნენ სხვა ქართველი მკვლევარებიც, მაგრამ, როგორც ცნობილია, უკანასკნელ ხანებში საერთოდ თითქმის არავინ შეხებია ამ საკითხებს, მაშინ როდესაც მე-12 საუკუნის მწერლობის და, კერძოდ, ვეფხისტყაოსნის წარმოშობის კვლევის დროს არაფრით არ შეიძლება როგორც ბიზანტიური ნეოპლატონიზმის (ეს საკითხი შედარებით

უკეთ არის დამუშავებული), ისევე, სპარსული ეპოსის ყურადღებულად დატოვება.

კონკრეტულად რომ წარმოვიდგინოთ ეს დებულება, პირველ რიგში, უნდა შევეხოთ ვეფხისტყაოსანს, როგორც მხატვრულ ქმნილებას, რადგან, ჩვენი აზრით, სწორედ ამ ასპექტში ვლინდება აღმოსავლეთისა და, კერძოდ, სპარსული ეპოსის მიმართება რუსთაველის პოემასთან.

როგორც აღვნიშნეთ, ვეფხისტყაოსანი, რომელიც სადევგმირო ეპოსისა და სარაინდო-სამიჯნურო რომანის გარკვეულ ელემენტებს შეიცავს, არსებითად წარმოადგენს რომანს, სრულიად თანამედროვე გაგებით, თუმცა პოეტური ფორმით იგი რომანტიული პოემის ქარგაზეა შექმნილი. მიუხედავად ამისა, ვეფხისტყაოსანი ზოგი ნიშნით ახლოს დგას თავის წინამორბედებთან. მაგალითად, ვეფხისტყაოსანი თავისი მხატვრული კონსტრუქციით გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს აღმოსავლურ რომანტიულ პოემასთან, რომლის უბრწყინვალეს ნიმუშს წარმოადგენს ნიზამი განჯელის „ლეილ-მეჩუნნიანი“. ვეფხისტყაოსანში ჩვენ ცალკე შეგვეძლო გამოვვეყო ტარიელის მიჯნურობის ამბავი და, ბოლოს, მისი ველად გაჭრა, რომელიც თავის მხატვრული სურათით საოცრად ახლოს დგას აღმოსავლურ პოემებთან და, კერძოდ, ზემოთ ნახსენებ ნიზამის „ლეილ-მეჩუნნიანთან“. ტარიელის სახეში ჩვენ ბევრ ნიშან-თვისებას დავინახავთ აღმოსავლეთში შემუშავებული მიჯნურის ტიპისას. ხოლო რაც შეეხება მისი თავგადასავლის პირველ ნახევარს, აქაც ასეთივე ვითარებაა, ვიდრე ტარიელის უკვე არსებითად დასრულებულ ცხოვრებაში არ ჩაერევა თვით ცხოვრებიდან მოვლენილი აქტიური ძალა ავთანდილის სახით. ამ შემთხვევაში ისე, როგორც სხვა პრინციპულ საკითხებშიც, ვეფხისტყაოსანი დიამეტრალურად სცილდება აღმოსავლურ პოემას და სულ სხვა იდეების ხორცშესხმას ცდილობს (როგორც ცნობილია,

ყაისსაც პქონდა საშუალება, რომ კვლავ დაბრუნებოდა ცხოვრებას, თუნდაც სხვათა აქტიური დახმარებით, მაგრამ თვით პოემის მიზანდასახულება უკვე თავისთავად უარყოფდა საკითხის ამგვარ გადაწყვეტას). ვეფხისტყაოსნის რენესანსულ მიდრეკილებათა ერთერთ ნიშნად სწორედ იმას თვლიან, რომ აქ განსაკუთრებული ინტერესია გამოვლინებული ადამიანისა და მისი ცხოვრების მიმართ. ეს დებულება გარკვეულ ნაწილში უმკველად მართებულია, და მაშინ სრულიად ბუნებრივია, რომ ამ თვალსაზრისით ვეფხისტყაოსნის ავტორზე გარკვეული გავლენა მოეხდინა ფხრედინ გორგანის „ვის ო რამინს“ ან უკეთ ვისრამიანის ქართულ თარგმანს, რომელიც მის დროს უკვე დიდხნის გავრცელებული უნდა ყოფილიყო ქართულ კულტურულ წრეებში. ვისრამიანი, რომელსაც მთელი თავისი გულისყური მიჰყვებოდა აქვს ამქვეყნიური ცხოვრებისაკენ (ზედმეტად ნატურალისტური მიდრეკილებით), გარკვეულ მასალას მისცემდა ვეფხისტყაოსნის გენიალურ ავტორს (თუმცა შოთა რუსთაველი პრინციპულ საკითხებში სრულიად სხვაგვარ ეთიკურ ნორმებს ქადაგებს და ძალზე შორსაა „ვის ო რამინს“ ზორციელი სიყვარულის კულტთაგან).

როგორც ფაქტი, უნდა აღინიშნოს, რომ კლასიკური ხანის მწერლობას დაკერძოდ, აშკარად რენესანსული შთაგონებით შექმნილ ვეფხისტყაოსანს, სოციალურ-პოლიტიკურად შესაფერ ნიადგთან ერთად იდეურად კვებავდა მდიდარი ქართული ლიტერატურულ-ფოლკლორული ტრადიციები. არ უნდა დავივიწყოთ, აგრეთვე, ქრისტიანული ნეობლატონიზმის ფილოსოფიური მიმართულება და აღმოსავლური, კერძოდ, სპარსული მწერლობა.

ვეფხისტყაოსნის ავტორის მსოფლმხედველობის კვლევისას, პირველ რიგში, ქართული ისტორიული სინამდვილით უნდა ვიხელმძღვანელოთ. რელი

გიური შემწყნარებლობის იდეა, რომელზედაც ჩვენ ზემოთ ვისაუბრებთ, ვეფხისტყაოსნის იდეური მიმართულების ერთი საფუძველთაგანია. „რუსთაველი, თავის პოემას რომ წერდა, ეტყობა, არ ცდილობდა ერთი რომელიმე სარწმუნოება ღირსებით შეემკო, ზოლო მეორე დაემციერებინა, იგი უპირატესობას არ ანიჭებდა რომელიმეს, არამედ ყველას კრიტიკული თვლით უცქეროდა. და თვითონ შეიმუშავა ცხოვრების შესახებ საკუთარი ფილოსოფია, საკუთარი მსოფლმხედველობა“ (ო. უორდროპი, ჟურნ. „ცისკარი“, №3 1966წ. გვ. 114). მაგრამ პოემაზე ყოველმხრივი დაკვირვება ავლენს, რომ პოემის ავტორი აშკარად ქრისტიანულ მრწამსს იზიარებს. საკმარისია აღინიშნოს, რომ სრულიად მოულოდნელ სიტუაციებში, როცა გარეგნულად პოემაში მუსლიმანური სამყაროა დახატული, აქა-იქ თავს იჩენს ქრისტიანი ავტორის თვალსაზრისი (მაგალითად, ერთ ადგილას ნახსენებია ქრისტიანული რელიგიის პირველი დღესასწაული „აღდგომა“, მოტანილია ციტატები ბიბლიიდან, დამოწმებულია პავლე მოციქული და ა. შ.), მაინც მთავარი ის არის, რომ ავტორი ღმერთს თუმცა ზოგადი, მაგრამ ისეთი ეპითეტებით ამკობს, რომლებიც სწორედ ქართული ქრისტიანული მწერლობის ენიდან იღებს სათავეს. რუსთაველი შესანიშნავად იცნობს ბერძნულ ნეობლატონიზმს, რომელსაც ქართულ ფილოსოფიურ მწერლობაში ბრწყინვალე წარმომადგენლები ჰყავდა. აკად. ნ. მარი თავის სპეციალურ ნაშრომში „Иоанн Петрицкий“ აღნიშნავდა, რომ „ქართველები X-XI საუკუნეებიდანვე ფილოსოფიის სფეროში იმავე კითხვების კვლევა-ძიებაში იყვნენ, რა კითხვებიც აინტერესებდათ იმ ხანის მოწინავე საქრისტიანო ქვეყნების მოაზროვნეებს როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში. ამ შემთხვევაში სხვებისაგან, სახელდობრ, ევროპელებიდან იმით განსხვავდებოდნენ, რომ იმ ხანებში ქარ-



თველებში სხვებზე უწინ ვასცეს პასუხი ფილოსოფიური აზროვნების ახალ მიმართულებას და აღჭურვილი იმ დროისათვის სამაგალითო კრიტიციზმით, რომელსაც საგნად ჰქონდა ბერტენთა ნაწერების განხილვა თვით ორიგინალშივე“ (გვ. 61).

ვეფხისტყაოსნის ავტორი კარგად იცნობს შემდეგში დასავლეთ ევროპაში ასე გახმაურებულ არეოპაგიტკულ ქრისტოლოგიას, რომლის ავტორობა უკანასკნელი გამოკვლევებით (აკად. შ. ნუცუბიძე, ბელგიელი მეცნიერი ერნესტ პონიგმანი) მიეწერება V საუკუნის გამოჩენილ ქართველ საზღვარგარეთელ მოღვაწეს, პეტრე იბერიელს. შეხვედრის ამკარა ფაქტებს ვეფხისტყაოსნის ავტორისა და არეოპაგიტკულ ნაზრევს შორის ვხედებით არა მხოლოდ ცალკეული ტერმინების მსგავსების სახით, არამედ თვით ზეციური იერარქიის წარმოსახვის დროსაც. შოთა რუსთაველი განსაკუთრებულ სიახლოვეს ამჟღავნებს, აგრეთვე, მის წინამორბედ ქართველ ნეოპლატონიკოსებთან, რომელთა შორის გამოირჩევა გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი.

თუ უზენაესი ღმერთის ცნების გაგებაში ვეფხისტყაოსნის ავტორი ახლოს დგას ქრისტიანობასთან, ეს არ ითქმის საერთო დამოკიდებულებაზე ქრისტიანულ რელიგიასთან. რუსთაველისათვის უცხოა ის ძირითადი მოტივები, რომლებიც მსჭვალავენ ქრისტიანობას. მაცხოვრობის, აღამიანის თანდაყოლილი ცოდვის და ამქვეყნიური არარაობის განცდა რუსთაველისათვის გადალახული პრობლემაა. პოეტისათვის თუმცა ამოსავალი ქრისტიანული რელიგიაა, იგი რიგ შემთხვევაში უფრო ახლოს მიდის ნეოპლატონურ ფილოსოფიასთან. საკმარისია გავიხსენოთ ნესტანის მიერ წარმოდგენილი მარადიული ქვეყანა, რომ ჩვენთვის ნათელი გახდეს ეს შეხედულება:

„ღმერთსა შემედრე, ნთუ ვლა
დამსნას სოფლისა შრომასა,

ცეცხლსა, წყალსა, და მიწასა,
პაერთა თანა ძრომასა;
მომწეს ფრთენა და აღვფრინებ
მივხედე მას ჩემსა ნდომანს,
დღისით და ღამით ვხედვიდე
მზისა ელვათა კრომასა“ (1304).

ეს არის ბიბლიური ქრისტიანული სამოთხე, იგი წარმოადგენს რელიგიური ფილოსოფიის მიერ შექმნილ მიბტიურ სამყაროს. რუსთაველი ბრწყინვალედ იცნობს ნეოპლატონურ თეოსოფიას და თეოგონიას და იგი მისი მსოფლმხედველობის შემადგენელი ელემენტია. მაგრამ იმ პრობლემის გადასალახავად რომელიც დასვა ქრისტიანობამ და რომლის გადალახვაააც არსებითად წარმოადგენს ვეფხისტყაოსნის, რასაკვირველია, ბევრს არაფერს მისცემდა ნეოპლატონიზმის მოძღვრება, რომელსაც მართებულად უწოდებენ სიკვდილის ფილოსოფიას. რუსთაველმა გაბედულად დასვა შუა საუკუნებისათვის სრულიად მოულოდნელი პრობლემა, აღამიანის ადგილისა, მისი ხვედრის შესახებ ამქვეყნიურ სამყაროში, და მას ჭეშმარიტად რენესანსული გადაწყვეტა მოუნახა. ღრმად აღამიანური პრობლემების დაძაბვა ვეფხისტყაოსანში უკვე თავისთავად იყო იგნორაცია ოფიციალური სარწმუნოებისა. ამაში უდიდესი როლი ითამაშა XII საუკუნის ქართულმა სინამდვილემ და პოეტის გენიალურმა მხატვრულმა ალლომ. რუსთაველი მსოფლმხედველობის ახალ სიმაღლეებს ძირითადში არა რეფლექსიისა და ლოგიკური აზროვნების გზით მიაწვდა, არამედ გენიალური პოეტური ინტუიციით (შტრ. მ. გოგიბერიძე „რუსთაველი...“ 1961 წ. გვ. 28 — 59)

რუსთაველის მსოფლმხედველობის ქვაკუთხედი არის ამალღებული ჰუმანიზმი. იგი თავით ბოლომდე გასდევს ვეფხისტყაოსანს, მის მხატვრულ სისტემას, პერსონაჟებს, რომლებიც მოქმედებენ პოემაში და თავიანთ აშკარად რენესანსული სულით გასაოცარი ძალით არღვევენ შუა საუკუნეთა წყვედილში გაბატონებულ ქრისტიანულ-ასკეტურ ჩაბ-

ჩვენს. ეს მოსაზრება ბუნებრივი დასკვნაა ზემოთ აღნიშნული შეხედულებისა, და მისი შემდგომი დამუშავება რუსთველოლოგიური მეცნიერების დღევანდელი ამოცანაა.

ვეფხისტყაოსანში დომინანტობს ორი იდეურ-თემატიკური მოტივი — სიყვარული და მეგობრობა. ასევე სრულად სხვაგვარი შარავანდედით ბრწყინავს პოემაში ორი წყვილი: ნესტან-დარეჯანი და ტარიელი, თინათინი და ავთანდილი. ერთ დროს ხელოვნურად დაუპირისპირეს ეს ორი მოტივი, მაშინ როცა მოყმე რაინდი, ისე, როგორც მას პოემა იცნობს, წარმოუდგენელია ამ ორი კომპონენტის გარეშე. მაგალითად, 1917 წელს ნ. მარი პირდაპირ მიუთითებდა, რომ ძმადნაფიცობა-მეგობრობა არის პოემის იდეური საფუძველი.

ამ მოსაზრებას გარკვეულად უპირდა მხარს ივანე ჯავახიშვილი და რუსთველოლოგი ზურაბ ავალიშვილი.

ვეფხისტყაოსნის ავტორის უპირველესი მხატვრული ამოცანა თავისუფალ, მის მიერ იდეალად წარმოდგენილ ადამიანთა წარმოსახვაა, რომელთაც იგი ეძებს სწორედ აღმავალი ფეოდალური კლასის წიაღში. ამითაა გამოწვეული პოემის უპირველეს გმირთა არაჩვეულებრივი გამოჩვეულობა, როგორც ფიზიკური, ისე სულიერი მშვენიერების სფეროში, არისტოკრატიული ბრწყინვალეობა და ქცევითა დახვეწილობა. პოემაში წარმოდგენილ იდეალურ გმირებს — მეფე-ქალებს — ნესტანსა და თინათინს, მოყმე რაინდებს — ტარიელსა და ავთანდილს, სიყვარულისა და მეგობრობის უფაქიზესი გრძნობები ამორაგებთ, რაც პოეტს მათი მხატვრული სახის ყოველმხრივი გამოკვეთისათვის სპირდებდა.

პრობლემა, რომელიც ამ შემთხვევაში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, ეხება პოემაში მოქმედი სახე-ხასიათების ბუნების გახანას. აქ უნდა გამოჩნდეს რუსთაველის, როგორც პოეტისა და მოაზროვნის, ნამდვილი სახე, რადგან ხასიათის ასე თუ ისე გადაწყვე-

ტა უკვე ავტორის მრწამსია, მისი პოეტური ენის კეშმარტი ნიშნუფუფუბაჲ, მართლაც, ვეფხისტყაოსანში უწყინებლად აღასტურებს ამ დებულებას. რუსთაველმა უკვდავი სიმღერა მიუძღვნა უკეთილშობილეს ადამიანურ გრძნობებს, უმღერა ისეთ საწყაროს, როგორც მას იდეალში ესახებოდა, და იგი საწყარო დაასახლა ისეთი საოცრად მშვენიერი ადამიანებით, როგორც არიან ნესტანი და თინათინი, ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ნესტანი და ტარიელი, თინათინი და ავთანდილი მხოლოდო ლიტერატურის უკვდავი სახეებია, თავისი ესთეტიკური თუ ეთიკური მონაცემებით ისინი ყველაზე მდიდარ მასალას გვაწვდიან, რათა რუსთაველი შუა საუკუნეთა უდიდეს პემანისტად დავსახოთ.

ძალზე საგულისხმოა ამ თვალსაზრისით პოემაში წარმოდგენილი სახე ფატმან-ხათუნისა, მსუბუქ სატრფიალო გრძნობათა ცვალებადობის ადვილად გადამტანი ქალისა. ფატმანის ეპიზოდს, რომელიც თითქოს ავტორის ძირითადი მხატვრული ამოცანის მიღმა დგას, თავისი რეალისტური ფერწერით გარკვეული კოლორატი შემოაქვს პოემაში. რეალისტურ ფერწერასთან ერთად, რომელსაც ჩვენ ქვემოთაც შევხვებით, ეს ეპიზოდი სუნთქავს არაჩვეულებრივი მიწიერი სიციცხლით, მსუბუქი იუმორით და ბრწყინვალედ ავლენს პოემის ავტორის მხატვრულ შეაძლებლობათა მრავალფეროვნებას. ვეფხისტყაოსანს, როგორც თანამედროვე რომანის წინამორბედს, ყველაზე საგულისხმო შტრიხებით სწორედ ფატმანის ეპიზოდი ამღიდრებს. ამის გამო ჭერ კიდევ 1884 წელს ცნობილი ავსტრიელი მწერალი ბარონ ზუტნერი აღნიშნავდა, რომ „მიუდგომლობა გვაძლევს გენიოსი ვეწოდოთ რუსთაველს, რადგან მან შექმნა რომანი იმ დროს, როცა ეს ქანრი ეპიკურ პოეზიისა ჭერ არსებობდა ევროპაში“ (გაზ. „Кавказ“, 1884, № 265).

ვეფხისტყაოსანი სიყვარულის წარმტაცი პოემაა, და ძმობა-შეგობრობა აქ ამ დიადი გრძნობის სფეროში შემოდის. ისინი ისევე არ უპირისპირდებიან ერთმანეთს, როგორც ტარიელი ავთანდილსა და ნესტანი თინათინა. „იმაში დაეჭვება, — წერდა შუა საუკუნეთა ევროპული მწერლობის ცნობილი სპეციალისტი აკად. შიშარიოვი, — რომ ვეფხისტყაოსანი სიყვარულის პოემაა, შეუძლებელია, და დავაც იმაზე წარმოებს, რომელი წყვილი ჩაითვალოს მთავარ ფიგურად: თინათინა-ავთანდილი თუ ნესტანი-ტარიელი“ (კრებ. „ენიმუის მოამბე“, თბილისი, 1938, III, გვ. 240). მე კი დავძენდი, რომ თუ იმაში დაეჭვება შეუძლებელია, რომ ვეფხისტყაოსანი, უწინარეს, სიყვარულის პოემაა, ასევე შეუძლებელია დავეჭვდეთ, რომ მთავარი პერსონაჟებიც სწორედ ისინი არიან, რომელთა ურყევ სიყვარულსაც უთმობს ყველაზე მეტ ადგილს შოთა რუსთაველი. ეს გამომკლავნებულია პოემის შესავალშიცა და დასასრულშიც, სადაც პოეტი ტარიელის შეწვევას ითხოვს, და, ამასვე ვგრძნობთ იმ სიმძიმის ცენტრის მიხედვითაც, რაზეც ტრიალებს მთელი პოემა. თინათინი და ავთანდილი გარკვეულად ავსებენ ნესტანისა და ტარიელის სახეებს და ერთ მთლიან წარმოდგენას გვიქმნიან პოეტისათვის იდეალად მიჩნეულ გმირთა წარმოსახვისათვის.

სიყვარული პოეზიის მარადიული თემაა. მას უმღეროდნენ რუსთაველზეც ბევრად ადრე, იგი მსჭვალავს სპარსულ რომანტიკულ პოეზიას, სიყვარულის ჰიმნებს თხზავდნენ სწორედ რუსთაველის თანამედროვე პროვანსელი პოეტები, სიყვარულის პლატონური თეორია მთელ მსოფლიოში ათასგარნიუანს იძენდა, ხან ნეოპლატონური მისტიკური სარჩულით, ხან კი სუფისტური საგალობლის სახით გვევლინებოდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის პოეზიაში. სიყვარულს თავისი მღვმიევი ადგილი (თუმცა მეტ-ნაკლებად) ჰქონდა დასავლეთ-ევრო-

პულ რაინდულ რომანებშიც, და აქ იწყება საკითხის არსებობა მხარე-მხარე რუსთაველის მთავარი იდეის შესახებ. იმას თვლიან, რომ შუა საუკუნეთა წყვილაღში, სწორედ ამ ქვეყანაზე იბოვა მან სივრცეები სიყვარულის გამაჩვევებისათვის, მაგრამ ეს საკითხის მხოლოდ ერთი მხარეა მთავარი კი მდინეც ის არის, რომ რუსთაველმა უმღერა ისეთ სიყვარულს, რომლის ბადალი ძნელია გამოიძებნოს მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში. მისი სახელია რუსთაველური სიყვარული, სპეტაკი (აქ იგი ახლოსაა დანტესთან) და ამავე დროს, სიცოცხლით სავსე ადამიანური გრძნობა (აქ შორდებიან ერთმეორეს დანტე და რუსთაველი). იგი კეთილი და რაინდული საქმეებისაკენ მიმართავს, აკეთილშობილებს და ასპეტაკებს ადამიანის სულს და ადავსებს ყველა იმ სინათლით, რაც შეიძლება ინატროს ადამიანმა „კაცთათვის მოცემულ უთვალავ ფერთა“ სამყაროში. საგულისხმოა ცნობილი ინგლისელი მკვლევარის, მსოფლიო პოეზიის შესანიშნავი მკვლევარის, მორის ბოლუას შემდეგი სიტყვები: „რუსთაველის ორიგინალობა ის არის, რომ იგი სიყვარულს როდი უყურებს, როგორც რაღაც არანორმალურს, იგი ისეთი ძალაა, რომელიც კეთილსაქენ წარმართავს მას, ვინაც იგი დაუფლებია... რუსთაველსა და სხვა რომანტიკულ პოეტებს შორის ის განსხვავებაა, რომ მაშინ, როცა მათ უპირატესად გართობა და დროატარება აინტერესებთ, რუსთაველს გარკვეული, თითქმის რელიგიური მისია და შეხედულებანი გააჩნია. ერთი მხრივ საგმირო საქმეებისა და მეორე მხრივ რეალობის ჯანსაღი გრძნობის — სიყვარულის პლატონურ მოძღვრებასთან შენივთებით, რუსთაველი გვიჩვენებს, თუ რა ადგილი უნდა დაეჭირა მას ცხოვრებაში. მისი აზრით, ასეთი სიყვარული რეალურ სამყაროში უნდა არსებობდეს და დაკავშირებული უნდა იყოს ვაკეცურ საქმეებთან. რუსთაველი თავის მოძღვრების აზრს უფრო გულდასმით და მეტი თანამიმდევ-

რობით აწუშავებს, ვიდრე ამას ფრანგული და სპარსული რომანების მწერლები აკეთებდნენ და საჩინოს ხდის რა მოხდებოდა, რომ აღაშინებდა აქამდე მიღწეათ“ (ქურნ. „მნათობი“, 1959, № 5, გვ. 131).

ვეფხისტყაოსნის ავტორის შეხედულებით, ჭეშმარიტი პოეტური ნაწარმოების შექმნა გმირულ შემართებას მოითხოვს. გონიერებასა და სიბრძნეს გული და გრძობა უნდა ედოს საფუძვლად. პოემის პროლოგში, რომელიც არსებითად ავტორის პოეტურ კრედოს წარმოადგენს, რუსთაველი ეხება, აგრეთვე, ისეთ ცნებებს, როგორცაა სიბრძნე, მიჯნურობა, გული. აღიარებულია, რომ ქართული პოეზიის ისტორიაში აქ გამოთქმულმა შეხედულებებმა ისეთივე როლი ითამაშა, როგორც თავის დროზე არისტოტელეს „პოეტიკა“ დასავლური მწერლობის განვითარებაში, ან ბუალოს „პოეტრმა ხელოვნებამ“ ფრანგულ კლასიციზმში. რუსთაველმა პოემაში ბრწყინვალედ განასახიერა პროლოგში წამოყენებული მოთხოვნები და საბოლოოდ განიმტკიცა ქართული პოეზიის მამამთავრის სახელი. XVIII საუკუნის უდიდესი ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის ზუსტი შედარებით, რუსთაველმა დარგო ქართული პოეზიის ფესვმავარი ზე და ზედ უხვი ნაყოფი მოიწია.

პროლოგშივე გადმოგვცემს ავტორი თავის შეხედულებას პოეზიის სხვადასხვა ჟანრზე. როგორც ჩანს, რუსთაველის და თამარის ეპოქაში ეს საკითხი პაექრობის საგანი ყოფილა. ამ ხანის პოეზიის ბევრმა ნიმუშმა (განსაკუთრებით, მცირე ფორმის თხზულებებმა) ჩვენამდე თუმცა ვეღარ მოაღწია, მაგრამ მათზე დოკუმენტური ცნობები საკმაოდ არის შენახული. სხვა რომ არა, მათი არსებობის კვალი ჩანს თვით ვეფხისტყაოსანში. შოთა რუსთაველი ასახელებს ლექსის რამდენიმე სახეობას და საკუთარი მსჯავრი გამოაქვს მათ

შესახებ. პოეტის აზრით, ვრცელი ეპიკური ტილოს შექმნა ყველაზე უფრო და ამასთან ძნელად დასაძლევია მცირე ფორმის თხზულებებს და ე. წ. სალალოზო ლირიკას რუსთაველი მსუბუქ ქანრად მიიჩნევს და ერთგვარი ირონიით საუბრობს მასზე. ასეთი ლექსების ავტორებს პოეტი ახალბედა მონადირეებს აღარებს, რომლებიც „დიდსა ვერ მოჰკლავენ, ხელად აქვთ ხოცვა ნადირთა მცირეთა“. პოლემიკური კილო უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ეს მსუბუქი ჟანრები პოპულარული იქნებოდა რუსთაველისდროინდელ ქართულ პოეზიაში და, შესაძლოა, მასში გაბატონებული მდგომარეობაც ეკავა. პოეტის ძალა და ოსტატობა, რუსთაველის აზრით, გამოჩნდება დიდ სარბიელზე, როცა შემოქმედი შეეცდება მნიშვნელოვანი ამბების გადმოცემას. მეორეგან ამ შეხედულებას რუსთაველი პოეტური შედარებით განამტკიცებს: როგორც ცხენს გამოსცდის გრძელი გზა და მობურთაღს მოედანი, ასევე ვრცელი ამბების თქმაა ჭეშმარიტი მელექსის ოსტატობის საზომი:

„მშინლა ნახეთ მელექსე
და მისი მოშაირობა,
რა ველარ მიხედეს ქართულსა,
დაუწყოს ლექსმან ძირობა,
არ შეამოკლოს ქართული,
არა ქმნას სიტყვა-მცირობა,
ხელ-მარჯვედ სეკმდეს ჩოგანსა,
ხმამტოს დიდი გმირობა“. (14)

რუსთაველი შესავალშივე ეხება ფორმის საკითხებს. ამ შემთხვევაშიც მისი მსჯელობა პოლემიკურ იერს იღებს. იგი აშკარად ემიჯნება მის დროს არსებულ საკარო პოეზიისათვის შემუშავებულ პოეტურ სტილს და პირველ რიგში მოითხოვს სათქმელის ნათლად გამოხატვას. ეს მოთხოვნა ეხება არა მარტო ეპიკურ ნაწარმოებებს, არამედ პოეტის მიერ მსუბუქ ჟანრებად მიჩნეულ მცირე ფორმის ლექსებსაც, რომელთა არსებობის გამართლება მხოლოდ ბუნდოვანი სტილისაგან თავის დაღწევას თუ შეუძლია („ჩვენ მათიცა გვია-

მების რაცა ოდენ თქვან ნათელად — 17). სინათლე და ლაკონიზმი, აზრის პლასტიკური გამოხატვა რუსთაველის პოეტური სტილის ორგანული თვისებებია. პროლოგში წამოყენებულ ამ მოთხოვნებს, პირველ რიგში, ამართლებს თვით ვეფხისტყაოსნის პოეტიკა.

ქართული სალიტერატურო ენის ისტორია რუსთაველამდე ცხრა საუკუნეს მაინც ითვლიდა (უფრო ადრეულმა ძეგლებმა ჩვენამდე ვეღარ მოაღწიეს), მაგრამ თავის სრულყოფას ქართულმა ენამ კლასიკურ ხანაში მიაღწია. ვეფხისტყაოსანი კი ამ ეპოქის სალიტერატურო ქართულის განვითარების მწვერვალს წარმოადგენს. უმდიდრეს ქართულ ფოლკლორთან ერთად, რომლის ნაყოფიერი გავლენა ჩანს ვეფხისტყაოსნის როგორც ცალკეულ მოტივებში, ისე პოეტურ ენაშიც, რუსთაველს წინ უსწრებდა სასულიერო ხასიათის — ჰიმნური პოეზია. თუ ქართული სალექსო საზომები ადრევე შემუშავდა ფოლკლორის წიაღში და შემდეგ გზა გაიკაფა როგორც სასულიერო, ისე საერო პოეზიაში, ჰიმნოგრაფიამ (მე-8-10 საუკუნეებში საქართველოში უკვე არსებობდა ბრწყინვალე სასულიერო პოეზია) პოეტური ენის დახვეწა-განვითარების მხრივაც დიდად ნაყოფიერი გავლენა მოახდინა ქართულ საერო პოეზიაზე. ქართული ჰიმნოგრაფია შეიძლება განვიხილოთ, როგორც გარდამავალი საფეხური ერთი მხრივ ქრისტიანულ პოეტურ ტრადიციასა და რუსთაველს შორის (ქრისტიანულ ტროპიკაზე რუსთაველთან იხ. ქვემოთ), მეორე მხრივ (უპირატესად ვერსაფიკაციულად) ქართულ წარმართულ პოეზიასა და რუსთაველს შორის. ქართულმა ჰიმნოგრაფიამ კლასიკური ხანის საერო პოეზიას უანდერძა დახვეწილი პოეტური მეტყველება, დატვირთული ისეთი მდიდარი პოეტური სახეებით, როგორიცაა მეტაფორები, ეპითეტები, ჰიპერბოლები და ა. შ. მაგალითად, როგორც ცნობილია, ჰიმნოგრაფიაში ძალზე ხშირად გვხვდება ნათლის ტროპიკა, რომე-

ლსაც რუსთაველი თავისუბური გადამუშავებით უმდიდრეს ესთეტიკურ ფუნქციებს აკისრებს.

ქართულმა კლასიკურმა პოეზიამ, პოეტური მეტყველების თვალსაზრისით, გარკვეულად შეითვისა ზოგი რამ აღმოსავლური მწერლობის, კერძოდ, არაბულ-სპარსული მწერლობის ტრადიციული პოეტიკიდან. რუსთაველი გარკვეულ ფარგლებში იყენებს უადრესად ჰიპერბოლურ პოეტურ მეტაფორებს, რომელთაც თავისთავადი ესთეტიკური ფუნქცია აქვს დაკისრებული. ძვირფასი ქვები და ვარდ-ყვავილები უხვად ბრწყინავენ ვეფხისტყაოსნის მხატვრობაში, და ამ მხრივ ვეფხისტყაოსნის ბევრი ადგილი ეხმაურება დასავლეთის კურტუაზული ლიტერატურის იმ ვრცელ პასაჟებს, სადაც ძვირფასი სამოსისა და თვალ-მარგალიტის ბრწყინვალეობით ტკობა არის კამოხატული, მაგრამ რუსთაველი მაინც მკაცრია სამკაულების არჩევაში და ძალზე გამიზნულად იყენებს მათ. პოეტს არცერთ შემთხვევაში არ დალატობს ზომიერების გრძნობა.

ბუნებრივია, რომ ქრისტიანულ სასულიერო მწერლობასთან ახლო ნაცნობობას, ფილოსოფიის, განსაკუთრებით კი ნეოპლატონური ფილოსოფიის ცოდნას, გარკვეული მიმართულება მიეცა რუსთაველის პოეტური მეტყველებისათვის. კერძოდ, ეს სიახლოვე ყველაზე უფრო მოსალოდნელი იყო იმ პოეტურ საშუალებებში, რომლებიც რუსთაველს გამოყენებულ აქვს მეტად ცხოველი რელიგიური გრძნობის და ღვთის სიდიადის გამოსახატად.

რუსთაველის პოეტური ენა ისეთივე მშვენივრით ბრწყინავს, როგორც მის მიერ დახატული იდეალური სამყარო. რუსთაველი პოეტური სამკაულების მდიდარ საგანძურს ფლობს და კონკრეტული ესთეტიკური მიზნებით ანაწილებს მათ. სხვადასხვა პოეტური სამკაულები იმის მიხედვით, თუ, მაგალითად, პერსონაჟთა რომელ ჯგუფს მიეკუთვნება

პოემის ესა თუ ის გმირი. სულ სხვა ფერწერა იჩენს თავს, როცა პოეტი ისეთ ადამიანებს გვიხატავს, რომლებსაც იგი ჩვეულებრივთა რიგში აყენებს, ხოლო სხვაგვარია პოეტური საღებავები, როცა რუსთაველი თავის უპირველეს მიზანს ახორციელებს: წარმოგვიანოს მისთვის იდეალად მიჩნეულ ადამიანთა სახეები. ფატმანის პორტრეტი, მაგალითად, პოემაში რეალისტური საღებავებით არის შესრულებული. ერთ სტროფში ძალზე ექსპრესიული სტილით დახასიათებულია მისი გარეგანი სახეც და სულიერი მიდრეკილებანიც:

„ფატმან ხათუნ თვალად მარჯვე,
არ-ყმაწვილი, მაგრამ მშველი,
ნაკეთად კარგი, შავ-გრემანი,
პირ-მსუქანი, არ-პირსმელი,
მეტრბოთა და მომღვრათა
მოყვარული, ღვინის-მსმელი,
ღია ეღვა სასაღვთო
დასაბურავ-ჩასაქმელი“ (სტრ. 1077).

აქ დეტალი განუყოფლად ბატონობს ტროპზე („თვალად მარჯვე“, „არ-ყმაწვილი, მაგრამ მშველი“, „ნაკეთად კარგი“, „შავ-გრემანი“, „ღვინის-მსმელი“, „საღვთო“ და სხვ.) იმ დროს, როცა მთავარი გმირების ხატვაში დეტალი და ტროპი სხვადასხვა პროპორციითაა შეზავებული. ფატმანის პიროვნების დამახასიათებელი დეტალები, მაგალითად, არ შეიძლება ეკუთვნოდეს პოემის იდეალურ პერსონაჟს. ასეთი დეტალებით უკვე შემზადებულია ეპიზოდი, რომლის გმირია მორალურ რიგორიზმს მოკლებული, მაგრამ კეთილი ბუნების მქონე, ვაჟართა სამეფოს მკვიდრი ფატმახ ხათუნი.

როგორც კი პოემაში სამოქმედოდ შემოდის იდეალური გმირი, ავტორი მყისვე მდიდარ ფერწერას, ღიმი ვაჟანების ჰიპერბოლიზმს მიმართავს. ერთ-მანეთს ენაცვლება ამბლებულობის გრძნობის მომგვრელი პოეტური სამკაულები. თინათინის პირველივე გამოჩენა მზიური ბრწყინვალეების განცდას ბადებს: „თინათინ მოჰყავს მამასა პირითა მით ნათელითა... ქალი მზეებერ სჭვრეტს

ყოველთა ცნობითა ბრძნად მზედველთა“ (45). თინათინს მზეც კვებულებს მეტოქეობას: „თინათინ მხესს სჭვრეტს და, მაგრა მზე თინათინებდა“ (51). ასეთივე ხარისხშია დახატული პოემის იდეალური გმირები: ნესტანი, ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი, ასტრალური შედარებები, ვარდ-ყვავილებისა და თვალ-მარგალიტთა მშვენებაზე აგებული მეტაფორები იდეალურ პერსონაჟთა დიდებულ გარეგნობას გვიხსურათებენ.

მაგრამ რაც უნდა მყარი და თვალსაჩინო იყოს რუსთაველის ტროპიკის კავშირი, ერთი მხრივ, დასავლურ ფილოსოფიურ და ქრისტიანულ, მეორე მხრივ, აღმოსავლურ პოეტურ ტრადიციასთან. რუსთაველის პოეტური ინდივიდუალობა მკვეთრად მელანგოღება არა მარტო ამ ტროპების ხმარების მხატვრულ ფუნქციებში (გაზვიადებული ტროპიკით დახატულია განცდის ინდივიდუალური ნიუანსები), არამედ თვით ამ ტროპებში და მათს აღნაგობაში. ასე, რუსთაველის ნათლის ტროპიკას, როგორც ვთქვით, ორი წყარო აქვს: აღმოსავლური („მზე“, მაგალითად, იხმარება მესამე პირის ნაცვალსახელის ფუნქციით მშვენიერი ქალის აღსანიშნავად) და დასავლური, მაგრამ ნათლის წარმოდგენაზე დამყარებულ სახეებში რუსთაველი ერთსადაც უხვევს და მეორესაც. ეს ტროპები მისთვის საესეა ინდივიდუალური ემოციური შინაარსით. მათ სტანდარტულობის ნიშან-წყალი არ ახასიათებს. მაგალითად, ქართულ ჰიმნოგრაფიაში ჩვეულებრივ სახეს: „ნათელი დაულამებელი“, „ნათელი მოუჩრდილებელი“. რომელიც ღვთის აღმნიშვნელია, რუსთაველი ქალის დასახასიათებლად იყენებს, მაგალითად, თინათინზე ნათქვამია, „თინათინს ჰკადრა შერმადინ. ნათელსა მას უღამოსა“ (682). „ნათელს“ მის ტროპიკაში თავისი გრადაციები აქვს: „მთვარე“ (ლამაზი ქალი) მისთვის ხან „მოვანებულია“, ხან „სავსე“, ხან „ნალევი“. „ვარდის“ ტრადიციულ მეტაფორასაც კი რუსთაველი თავისებურად ცვლის.

ვეფხისტყაოსნის მხატვრობაში „ვარდი“ ერთ-ერთი ყველაზე ვაგრცელბული სახეა. პოემაში ვარდი, ვითარცა ყვავილთა მეფე, სილამაზის, ტრფობისა და სისპეტაკის სიმბოლოა. ხოლო ეკლებით მოზღუდვილი, იგი ძნელად მოსაპოვებელი სიყვარულის მშვენიერი სახეა. პოემის პათოსი — ჭირში არგატეხა და სიყვარულისათვის ყოველგვარი ტანჯვის დაძლევა — ბრწყინვალედ გადმოცემულია ეკლიანი ვარდის იგავში:

„ვარდასა ჰკითხეს: „ეგზომ ტურფა
რამან შეგქმნა ტანად, ჰირად?
მიკვირს, რად ხარ ეკლიანი?
პოენა შენი რად არს ჭირად?“
მან თქვა: „ტბილაა შწარე ჰპოვებს,
სქობს, იქმნების რაცა ძვირად;
ოდეს ტურფა გაიფედეს,
აღარა ღირს არცა ჩირად“. (878).

მაგრამ რუსთაველი არ ერიდება იუმორისტული ფუნქციით ამ ამაღლებული სახის გამოყენებასაც. გავიხსენოთ ფატმანისა და ავთანდილს სამიჯნურო ეპიზოდი. ავთანდილისადმი ფატმანის სატრფიალო ზრახვანი ყვავისა და ვარდის შეუფერებელი სამიჯნურო წყვილის ასოციაციას ბადებს („თუ ყვავი ვარდასა იშოვნის, თავი ბულბული ჰგონია“ — 1254).

რუსთაველის შეხედულებები ციურ სხეულებზე, ასტროლოგიურ წარმოდგენებთან ერთად, ვარკვეულად გვიხასიათებენ პოეტის განსწავლულობის ხარისხს, აღმოსავლეთისა და დასავლეთის განათლებასთან უახლოეს კავშირს, მაგრამ ამჯერად იგი სხვა თვალსაზრისითაა ჩვენთვის საინტერესო. ასტრალურ წარმოდგენებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს რუსთაველის პოეტურ ენაში. ვეფხისტყაოსნის ფერწერა იმაში, რაც გმირთა განცდის ცვალებადობას შეეხება, ხშირად დამყარებულია ასტრალურ წარმოდგენათა ვარიანტებზე. ასტრალური სახე დიფერენცირებულადაა წარმოდგენილი პოემაში იმის მიხედვით, თუ კონკრეტულად რა მხატვრულ ამოცანას ისახავს პოეტი.

იხრობაში პოეტი უფრო ხშირად მი-

მართავს ციურ სხეულთა წარმოდგენას, ვიდრე ამას მეტაფორულ მეტყველების ამოცანები უკარნახებს. პოეტი ერიდება პერსონაჟის სახელის ხსენებას. სახელისა ან ნაცვალსახელის მაგიერ იგი სათანადო გაქვევებულ სახეს იყენებს: „მზე (თინათინი) უკადრი ტახტსა ზედა ჯდა მორკმული, არ ნადევრი“, „გარდახდა და თაყვანის სცა ლომთა ლომმან (ავთანდილმა) მზეთა მზესა (თინათინს)“. მაგრამ ამ მეტაფორული შინაარსისაგან თითქოს დაცლილი მეტაფორებითაც პოეტი გამოარჩევს თავის იდეალურ გმირებს არაიდეალურისაგან; ეს გამოთქმები მხოლოდ და მხოლოდ იდეალურ გმირთა მიმართ არის გამოყენებული. იგი იდეალურ პერსონაჟთა არამარტო სილამაზის, არამედ გამორჩეულობის პირდაპირი მანიშნებელია, რაც ზუსტად თანხვედება პოეტის იდეურსა და მხატვრულ კონცეფციას.

ის, რაც აქ ითქვა ასტრალურ წარმოდგენათა ვარშემო, მეტწილად მაინც ეხება იმ სახეებს, რომლებიც სტატიკური სილამაზის გადმოსაცემად იყო გამოყენებული. გამოჩაგლის შემთხვევებში განცდის დინამიკის დასახატავად პოეტი კმაყოფილება ისევ ციურ სხეულთა, ოღონდ, არა უცვლელ, არამედ მოძრავ, ცვალებადობის პროცესში მყოფ სხეულთა სახეების მოშველიებით. გმირის სულიერი ტანჯვის, მძიმე განწყობილების გადმოსაცემად, მაგალითად, პოეტი მიმართავს გალეული, ჩასაქრობად გამზადებული მთვარის სახეს, ხოლო საწინააღმდეგო ედექტს ბადებს გავსებული მთვარე, როცა ეს პოეტს რაიმე დიდი სიხარულის გადმოსაცემად სჭირდება. აქ ერთმანეთში გადახლართულია არამარტო გარეგნული მიმსგავსება ადამიანურ განცდასა და ასტრალურ მოვლენას შორის, არამედ პოეტი შინაგან კავშირს ეძებს და ფსიქოლოგიურ დასაბუთებაზე აყრდნობს მის მიერ წარმოდგენილ მხატვრულ სურათს. ამ შემთხვევაში პოეტი მაქსიმალურად იყენებს მისთვის ცნობილ ასტროლოგიურ წარმოდგე-

ნებს (მოძღვრებას ციურ მნათობთა, ბუნებასა და გავლენაზე) და მხატვრული სიმბოლიზაციის გზით ქმნის თავისებურ პოეტურ სურათებს. ასეა, მაგალითად, უძველესი მითოლოგიურ-ასტრალური რწმენა, რომელიც თითქმის ყველა ხალხის გადმოცემებში დასტურდება. მზეს, მთვარეს გველესაში (იგივე დრაკონი, ურჩხული) უპირებს შთანთქმას, რაც კაცობრიობის დაღუპვას მოასწავებს. ვეფხისტყაოსანში ამგვარი სიმბოლური სახე ნესტანს უკავშირდება, რომლის გასაჭირისაგან დასხნა არის პოემის გმირთა ქმედობის ფსიქოლოგიური საფუძველი.

ეს პოეტურად გარდაქმნილი ასტრალური სახე (გველი მთვარეს უპირებს შთანთქმას) მთელ პოემას მიჰყვება და სრულდება ეპიზოდში, რომელშიც გადმოცემულია ნესტანის ქაჯთა ტყვეობიდან დასხნა. ამ შემთხვევაში იგი ვაგებულა, როგორც სიკეთის ზეიმი და ბოროტების დათრგუნვა. გველისა და მთვარის სახეები აქ უმთავრესი სიმბოლოს როლს ასრულებენ. ტარიელი პირველი შეიანგრევს ქაჯეთის ციხე-სიმაგრეს, და მისი ძმადნაფიცები ავთანდილი და ფრიდონი ერთად წააწყდებიან დიდებულ სანახაობას; განთავისუფლებული ნესტანი და ტარიელი იდგნენ „ყვლგარდაქდობილინი“. სახე-სიმბოლო სრულყოფს ამ სურათს: „ნახეს, მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა“ (1420). მზე აქ ტარიელია, მთვარე — ნესტანი, ხოლო გველი (გველესაში) ქაჯთა სამყარო, რომელიც ბოროტებას ასახეობს, ეს არის პოემის ლოგიკური სრულქმნა, რაც სხვაგან გამოთქმულია რუსთაველისთვის დამახასიათებელი ადკორისტული ფორმით:

„მზე მოგვებალა. უჯნი ჩვენთვის აღარა ბნელია, ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“ (1361)

ასტრალურ სიმბოლიკას ეყრდნობა მთლიანად ვეფხისტყაოსნის საყოველთაოდ ცნობილი ეპიზოდი: უცხო-

ეთში გადახვეწილი ავთანდილი მძიმე სულიერ განცდებს უზიარებს ციურ სხეულებს: მზეს, მთვარეს და ჩუქოსავე ცთომილს. პოეტი იცნობს თითოეული მათგანის ასტროლოგიურ მნიშვნელობას და მათ უკავშირებს ავთანდილის სულიერ განწყობილებას. მზე ღვთის ხატია, მძლეთა-მძლეთ მნათობი, უზენაესი უფლებებით აღჭურვილი, ზუალი (სატურნი) ასტროლოგიაში მწუხარებისა და სევდის მნათობია, მუშთარი (იუპიტერი) სამართლიანობას განაგებს, ნარიხი (მარსი) მესისხლეა და კაცთა შორის შუღლის გამრიგე, ასპიროზ (ვენერა) მკურნალის თვისებებითაა აღჭურვილი, ოტარიდი (მერკური) მწიგნობრობისა და ცოდნის მნათობია, ხოლო მთვარე, როგორც ამას გვიხსნის ვეფხისტყაოსნის პირველი კომენტარიების ავტორი ვახტანგ VI, მოწყალეთა და სწეულთა გამგებელია. ასტრალურ სიმბოლოთა ასეთი გააზრების დანიშნულებაა ამაღლებულად წარმოვიდგინოს ავთანდილის სულიერი განწყობილება. მნათობთა გასულიერება, რაც ქრისტიანობამ წარმართული რელიგიებიდან შეიძინა, აქ თავისთავად ქმნის ბუნების მშვენიერების განცდას და ამავე დროს მათ ადამიანის ბედის მონაწილედ წარმოადგენს, რითაც ირღვევა ადამიანური შემოზღუდულობის ვიწრო არეები. პოეტი ამ ხერხით აღწევს გრანდიოზულ მხატვრულ ეფექტს. ავთანდილის ლოცვა აღიქმება, ვითარცა დროისა და სივრცის გაჭეშე არსებული კოსმოსური სიმღერა.

რუსთაველის პოეტურ მეტყველებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს უზენაესის (ღვთაების) გამოხატვის თემას. ცნებები, რომლებითაც იგი მეტყველებს და რომლებშიაც ღვთის სახელია მოხსენიებული, უფრო ზოგადი და ყოვლისმომცველია, ვიდრე იგი გვხვდება ქრისტიანულ წიგნებში. ეს მომენტები კიდევ ერთხელ ცხადყოფს ქრისტიანი ავტორის ახლო ნაცნობობას დასავლურ, კერძოდ, ნეოპლატონიკურ ფილოსოფიასთან. მისი ღმერთი „ერთია“, „უცნაუ-

რი“ და „უთქმელი“, რაც სწორედ ნე-
ოპლატონიზმიდან შევიდა შემდგომ გა-
ნათლებული ქრისტიანული ავტორების
შრომებში. პოეტი თავისუფლად იყე-
ნებს ამ ცნებებს და მისი მეტყველება
დატვირთულია ქრისტიანული კატაფე-
ტიკით (ღმერთი დადებით ცნებებში:
ნათელი, ყოვლად ძლიერი და ა. შ.)
და აპოფატკით (უარყოფითი ცნებე-
ბით გამოხატვა: უცნაური, უთქმელი
და ა. შ.). პოემაში მრავალფეროვანი
ვარიაციებით გვხვდება სინათლის,
ნათლის სახეები, რომლებიც ღვთაების
ბრწყინვალეების გამოსახატავად სჭირ-
დება ავტორს. მზე ღვთის ხატია, რო-
მელთანაც მიახლება ისე არ იქნება,
როგორც ღვთაებასთან. საინტერესოა
პოეტური მეტყველების თვალსაზრი-
სით, თუ როგორ კონტექსტშია წარმოდ-
გენილი მზე, როგორც ღვთის ხატი. მას
ისეთივე ლოცვით მიმართავენ, როგორც
ღვთაებას:

„აა, მზო, გეაჯები შენ,
უმძლესთა მძლეთა მძლესა,
ვინ მდაბალთა გააძლემბ,
შეფლობასა მისცემ, სვესა,
მე ნუ გამური საყვარელსა,
ნუ შემიცვლი ღამედ ღღესა“. (957)

ნათლის ტროპიკასთან მიმართებაში
ძალზე საინტერესოა ვეფხისტყაოსანში
გაშოყენებული ერთი ოქსიმირონის ტი-
პის სახე. ერთ ადგილას, როცა კონ-
ტექსტში მოსალოდნელია ღვთაების
ხსენება ან მისი შესაფერი ეპითეტის
გამოყენება, პოეტს მოჰყავს შესიტყვე-
ბა: „მზიანი ღამე“, რომლის რეალურ
პლანში წარმოდგენა შეუძლებელია.
ღამე სიბნელის გამომხატველი ცნებაა,
ხოლო მზე მისი საწინააღმდეგო საწყისი
— წყარო სინათლისა. ერთი შეხედვით,
მართლაც, ძალზე უცნაურმა სახემ „მზი-
ანი ღამე“. რუსთველოლოგიაში სხვა-
დასხვაგვარი ახსნა მიიღო. ზოგი მას
რეალურ ასტრონომიულ მოვლენის ანა-
რეკლად თვლიდა. მათი აზრით, „მზი-
ანი ღამე“ რეალურად არსებული მოვ-
ლენაა, და იგი შეიძლება ნიშნავდეს
პოლარულ „ოთხთვიან ღღეს“, ან

„ჩრდილოეთის ნათებას“, ასევე „მზი-
ან ღამეს“ პორიზონტს ქვემოთ დედამი-
წის უხილავ ნახევარზე. მომარგე მზეს
უკავშირებენ. ზოგის აზრით, აქ დამა-
ხინჯებელია დედანი და თავიდან სხვა
წაკითხვა უნდა ყოფილიყო. მაგრამ
თვით კონტექსტი აშკარად მიგვანიშნებს,
რომ „მზიანი ღამე“ არის ერთ-ერთი სა-
ხელი ღვთისა, ისევე როგორც სხვა ამ
ტიპის სახეები. რუსთაველი წერს:

„იტყვის: ჰე, მზო, ვინ ხატად
გოქვეს მზიანისა ღამისად,
ერთ-არსებისა ერთისა,
მის უქამოსა ქამისად“.

მაშასადამე, აქ ნათქვამია, რომ მზე
„ერთ-არსება ერთისა“ და „უქამო ქა-
მის“ ხატია. ასევე იგი „მზიანი ღამის“
ხატიცაა. „ერთ-არსება ერთი“ და „უქა-
მო ქამი“ ღვთის სახელებია და ამდენ-
ად „მზიანი ღამეც“ ღვთის სახელი გა-
მოდის, რადგან პოემაში მრავალჯერ
არის აღნიშნული, რომ მზე სწორედ
ღვთის ხატს წარმოადგენს (ვ. ნოზაძე).
ჯერჯერობით რუსთაველამდე არსებულ
მწერლობაში, კერძოდ, ქართულ ჰიმ-
ნოგრაფიაში არ დასტურდება გამოთქმა
„მზიანი ღამე“ და, შესაძლოა, პირვე-
ლად რუსთაველმა შემოიტანა ღვთის
ასეთი სახელი ქართულ პოეზიაში, მაგ-
რამ ასეთი სახე, საერთოდ, უნდა არსე-
ბულიყო ქრისტიანულ მწერლობაში და,
კერძოდ, ნეოპლატონიზმისგან დავაღე-
ბულ ქრისტიანულ შრომებში. მაგალი-
თად, ანალოგიური სახე-სურათი გვხვ-
დება ჩვენ დანტეს „სამოთხის“ 28-ე ქე-
ბაში, სადაც ლაპარაკია ღვთიურ წერ-
ტილზე (პირველი რკალი), რომელიც
მერკას უხშობს ადამიანს ბრწყინვალე-
ბისაგან. რუსთაველის ამ სახეშიც („მზი-
ანი ღამე“) ღვთაებასთან მიახლოება
შედარებულია მზესთან (რომელიც
ღვთის ხატია) მიახლოებასთან. ბრწყინ-
ვალება თავის საწინააღმდეგო შედეგს
იწვევს, ზედმეტი სინათლე აბრმავებს
ადამიანს. მისთვის დგება ღამე, მზის
ნათებისაგან გამოწვეული (იხ. აგრეთვე
სტრ. 1132, სადაც მეტაფორულად გა-



მოთქმულია შეხედულება, რომ მზის სისალოვე აბრმავებს ადამიანს). აქედან გადატანით ღმერთი არის იგივე „მზიანი ღაპე“. აღსანიშნავია, რომ იგივე სახე შემდეგში გამოიყენა XVIII საუკუნის ქართველმა პოეტმა დავით გურამიშვილმა.

რუსთაველის პოეტური მეტყველება, როგორც ვნახეთ, უმთავრესად მეტაფორას ეყრდნობა. ამ უკანასკნელის გაბატონებული მდგომარეობა სხვა ტროპებს შორის ტრადიციულად აღმოსავლურ პოეტიკაში და ქართული კლასიკური მწერლობა ამ შემთხვევაში გამოიყენეს არ არის. რუსთაველმა ქართული პოეტური აზროვნება გაამდიდრა უბრწყინვალესი მეტაფორული სახეებით, რომელთაც იგი ასე უხვად, მაგრამ უუსტად გამიზნული მისამართით იყენებს, რუსთაველისთვის მეტაფორული აზროვნება მეტია, ვიდრე ტრადიცია. ეს მისი ინდივიდუალური პოეტური ბუნებაა, მიდრეკილებაა, და სწორედ ეს უდევს საფუძვლად ვეფხისტყაოსნის პლასტიკურ მხატვრობას. ტრადიცია მისთვის, არსებითად, ისეთი საერთოდ მიღებული მეტაფორების ხმარებით ამოიწურება, როგორცაა „მელნის ტბა“ თვალების აღსანიშნავად, წამწამების ნაცვლად „გიშერი“ და „ინდოთა ტომი“ (სიშავის ნიშნით), დაწვეს ნაცვლად „ბროლი“ და „ვარდი“, რომელსაც ლალისფერი გადაჰკრავს, ტუჩები „ძოწია“, კბილი „მარგალიტნი“, იშა ხან „გიშერი“, ხან კი „ყორნის ბოლო“ და ა. შ. აღმოსავლურ პოეტიკას გაუცნობელ მკითხველს, შესაძლოა, თვალი მოსჭრას მეტაფორათა ამ სიუხვემ და გაუგებარიც კი მოეჩვენოს ზოგი სახე. მაგალითად, იმ ეპიზოდში, სადაც გამოყენებულია ვაჭართა ქვეყანაში (გულანშარო) ნესტანის ყოფნა, ფაქტმა იმ ასე აღწერს დამწუხრებული ნესტანის უხუცესი მდგომარეობას:

„შინა შევიდი, მას წინა
ვღვის ცრემლისა ვუბუბი,
შვიან მელნისა მორვესა

ყვარის ვიშრის შუბები,
მელნისა ტბათა იღვრების
სავეს სათისა რუბები, **მარგალიტნი**
შუა ძოწისა და აყისა **გიშერი**
სკვირს მარგალიტი ტყუბები“. (1146)

ნესტანის სულიერი მდგომარეობა (იგი ტირილით გამოხატავს სატრფოსაგან შორს ყოფნით გამოწვეულ ტრევილს) აქ მეტაფორათა მთელი ზომლითაა გადმოცემული (განმარტებისათვის: „მელნის მორვეი“ ცრემლიანი თვალეზბია, რომლებშიც ცურავენ წამწამები ანუ „ვიშრის შუბები“, „მელნის ტბა“ თვალებს ნიშნავს, საიდანაც ღვარად მოედინება სისხლის ცრემლები, სათიმოწითალო მარჯანია), ხოლო წითელ ტუჩებს (ბაგეებს) შორის (მეტაფორულად — „ძოწი და აყიცი“) გამოსჩანს ტყუბის ცალებივით ერთმანეთს მიმსგავსებული კბილები (მარგალიტები).

მაგრამ ეს ტრადიციული მეტაფორები, რომლებიც ავტორისთვის უფრო თბრობის უბრალო მანერაა, ვტრე პოეტური სახეები საკუთრივ. „ვეფხისტყაოსანში“ დაჩრდილულია სრულებით ორიგინალური, ძლიერი მეტაფორების გვერდით, რომელნიც ყოველგვარი ლიტერატურული ტრადიციის გარეთ დგანან და ავტორის საკუთარ პოეტურ ინტუიციას ემყარებიან: „სიხარულმან ამაჩქარა, ამათროლა, დაცამლუწა“... (627). „იდრე მოსვლასა ჰვედრებდა, მართ ვითა ია ჰნებოდა“ (670), ვავისენოთ განრისხებული ვეფხის სახე და ა. შ.

რაც შეეხება მეტაფორების ტრადიციულ ნაწილს, ვეფხისტყაოსნის ავტორი იდეალური გმირების გარეგნული სილამაზის გადმოსაცემად დაახლოებით ერთნაირ მეტაფორულ სახეთა სისტემას მიმართავს: თინათინი ისევე ბრწყინვალეა, როგორც ნესტანი. ტარიელის თმები ვიშერია, ხოლო წამწამები — ინდოთა რაზმი. ასევეა დახატული ავთანდილი და ფრიდონი. მაგრამ რაც შეეხება ორიგინალურ, მხოლოდ ავტორის ინტუიციიდან მომდინარე მეტაფორებს, ესენი პოემაში არ მეორდება სხვადა-

სხვა გმირთა მიმართ. ერთი მხრივ, ამ მეტაფორების სხვაობა, მეორე მხრივ განცდათა სხვაობა ქმნის ინიდივიდუალურ სხვაობებს ვეფხისტყაოსნის იდეალურ პერსონაჟთა შორის, რასაც პოემის მხატვრული აღნაგობისათვის ესოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს.

რუსთაველი, ცალკეული პოეტური სამკაულების გამოყენებასთან ერთად, მიმართავს ისეთ მეტაფორულ სახეებსაც, რომლებიც მთელ პოემას გასდევნენ და სიუჟეტის განვითარებაში გარკვეულ როლს ასრულებენ. ერთ-ერთი ასეთი სახეა ვეფხის მეტაფორა, რომელიც ნესტანის სახე-სიმბოლოს წარმოადგენს. განრისხებული ნესტანი შედარებულია ვეფხთან: „ქვე წვა, ვით კლდისა ნაპრალსა ვეფხი პირ-გამეხებული“, ტარიელისთვის ეს სახე შემდეგში განუყრელი შეიქმნა, ასე აღიბეჭდა მის ცნობიერებაში ნესტანის მშვენიება. ველად გაჭრილი ტარიელი ვეფხის ტყავით იმოსება, რაც ნესტანთან განუყრელობის გამოხატულებაა. ეგვევ სახე უდევს საფუძვლად პოემის ერთ-ერთ უბრწყინვალეს ეპიზოდს, როცა ტარიელი გადაეყრება ჯერ მოტრფივალე, ხოლო შემდეგში ერთმანეთთან მორკინალ წყვილს — ლომსა და ვეფხს. აქ გადმოცემული ამბავი ვერ ეტევა რეალურის ჩარჩოებში — ტარიელი ვეფხეში თავის მიჯნურს შეიცნობს და მის კოცნას ლამობს — იგი მხოლოდ გადატანით, მეტაფორულად უნდა გავიგოთ, მეტაფორის საფუძველია მიჯნურის განშორებით გამოწვეული ტკივილი და ტარიელის ცნობიერებაში აღბეჭდილი ნესტანის სახე, ანუ განრისხებული ვეფხი. პოემის სათაურიც ხომ ამგვარად გაცემული მეტაფორული სახის ხორც-შესხმაა. პოემის სათაურშივე — „ვეფხისტყაოსანი“ — თავისთავად იგულისხმება არა მარტო ტარიელი, არამედ ისიც, ვის გამოც ველად გაჭრილი მოყმე ვეფხის ტყავით არის შემოსილი.

ვეფხისტყაოსანში ძალზე გამახვილებულია სილამაზის გრძნობა. ადამიანი,

ისე როგორც იგი პოეტს ჰყავს წარმოდგენილი, არის ბუნების უმეტესესი ქმნილება, ამიტომ იგი სიხარულსა და ბედნიერების ღირსია. ასეთი განწყობილება მსჭვალავს პოემას და შესაფერია პოეტური სამკაულებიც. მეტაფორას პოემაში ერწყმის ერთმანეთზე უფრო მოხდენილი ეპითეტები, რომლებიც აგრეთვე არ იზღუდება რეალური განზომილებებით და ბევრ შემთხვევაში მოვლენათა ჰიპერბოლიზაციას ეყრდნობა. მაგრამ მეტაფორა და ეპითეტი (რომლებიც ზოგჯერ ერთმანეთს ენაცვლებიან) არ არის ვეფხისტყაოსნის პოეტუკაში ერთადერთი ხერხი. პოეტი ხშირად მიმართავს მხატვრულ შედარებას. ეს ხერხი ბევრად უფრო რეალური, მიწიერი შინაარსით ავსებს პოემას, რადგან აქ შედარება შეუზღუდველია და ცხოვრების ყველა სფეროს ეხება. „გარე მომრტყმოდეს ჯალაბნი, ვითა ჩამსხდომნი ნავისა“, — ამბობს ტარიელი მის სარეცელთან მოკრებულ ჭირისუფლებზე. კიღობანში მჭიდროდ ჩაწყობილი აბჯარი „მწნილთან“ არის შედარებული. შედარებისთვის მოხმობილია ქართული ხალხური ადათ-წესებიც: მოციქულთა მიღება მაყრების გამასპინძლებასთანაა შედარებული; „ყმა გარდაიჭრა, დაბაბ, ვითა კაკაბი მახესა“ — ნათქვამია ავთანდილისაგან ასმათის პირველი შეხვედრის სცენაში და ა. შ.

ტარიელის, ავთანდილის, ფრიდონის გარეგნობა, როგორც აღვნიშნეთ, პოემაში ხშირად დაახლოებით ერთნაირი ხარისხის პოეტური სამკაულებით არის დახასიათებული (ტრადიციული შედარებები. იხ. ზემოთ), მათი გმირობაც თითქმის ერთგვაროვანი ჩანს, მაგრამ ქაჩეთის ციხის აღებამ მინც გამოავლინა მათ შორის უმხნესი რაინდი — ტარიელი. პოეტი ასეთი შედარებით გამოხატავს ტარიელის პირველობას: წვიმებით მოდიღებული ხეები ზათით და ზარით მოარღვევენ კალაპოტს, მაგრამ მათი ეს შმაგობა მყისვე წყნარდება, როგორც კი მათი წყალი ზღვას შეუერთ-

დება. ტარიელი აქ ზღვასთანაა შედარებული, ხოლო ავთანდილი და ფრიდონი — მოდილებულ მდინარეებთან — ეს ბუნებიდან აღებული დიდებული პოეტური სახეა.

მხატვრული შედარებები თავისი შინაარსით ვეფხისტყაოსანს აახლოებს ხალხურ საწყისებთან. ასეთი ტიპის შედარებათა სიუხვე გარკვეულ სტილურ ნაკადს ქმნის ვეფხისტყაოსნის მთლიან მხატვრულ სისტემაში.

რუსთაველისათვის დიდად დამახასიათებელია გამოთქმის აფორისტული ფორმა. უფრო ხშირად აფორიზმები სტროფის უკანასკნელ, მეოთხე ტაქშია ხოლმე მოქცეული, და წინა სტროფებში მოცემული მსჯელობის ერთგვარ დასკვნას წარმოადგენენ. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ვეფხისტყაოსნის აფორიზმების ბევრი ცალკე კრებული არსებობს და რომ პოპულარულ წარმოდგენაში პოემის სიბრძნეს ხშირად ამ აფორიზმებს უიკვიებენ ხოლმე, რუსთაველისთვის აფორიზმები არა თუ თვითმიზანი არ არის, არამედ, შეიძლება ითქვას, ცალკეც კი არ არსებობს. აფორისტული გამონათქვამები ჩართულია ხოლმე მოქმედების განვითარების საერთო კონტექსტში: ისინი, როგორც წესი, ემსახურებიან გმირის განწყობილებისა და შეხედულებების გადმოცემას მოცემული სიტუაციისა და მიხედვით უფრო, ვიდრე ზოგადი ქეშმარიტებების გამოხატვას. იმ შემთხვევაშიც კი, როცა ისინი ავტორისეულ წიადსვლებს წარმოადგენენ, მათი შინაარსი და განწყობილება პოემის სათანადო ეპიზოდის ზოგად განწყობილებაზეა დამოკიდებული. ასე რომ, მათი ერთ სისტემად გაერთიანება, ან მით უმეტეს, პოეტის მსოფლმხედველობის ამ აფორიზმების მიხედვით განსაზღვრის ცდა, რასაც ხშირად ჰქონდა ხოლმე ადგილი ადრე, უნაყოფო საქმიანობა ჩანს.

რუსთაველს ახასიათებს პოეტური პარალელიზმის — როგორც დადებითის, ისე უარყოფითის — ხშირი გამოყენება.

დადებითი პარალელიზმი უფრო ხშირად გამოიხატება ორი ეგზეგეტიკური მნიშვნელობის სიტყვის ~~გადაწყობის~~ თულისა და ერთი უცხოურის ხმარებაში. მაგალითად, „მისის კითხვით წამოსრულვარ, არ მთრგალურად, არ მახმურად“ (933). ზოგჯერ ასეთივე კონსტრუქცია გადმოცემულია მხოლოდ ქართული სიტყვებით. უარყოფითი პარალელიზმი დადებითზე უფრო ხშირია. მაგალით., პოემაში არის ასეთი გამოთქმები: „ბრძენი ვითხრობ, არა ხელი“, „ლმობიერი, არ გამწყრალი“ და ა. შ.

რუსთაველი არა სისტემატურად, მაგრამ საკმაოდ ხშირად იყენებს ალიტერაციას. აღსანიშნავია ერთიდაიგივე სტროფში ერთნაირ სიტყვათა სხვადასხვა ფორმაში დაყენება („დარი არ დარობს დარულად“), რაც პოეტისთვის ძალზე საყვარელი ხერხია. რუსთაველის მეტყველებაში ძალზე დიდი ხვედრითი წონა აქვს ზმნების გამოყენებას, რითაც პოეტი აღწევს თხრობის არაჩვეულებრივ დინამიკას. ამის ნათელსაყოფად ერთი მაგალითიც კმარა: „დანა დაიცა, მოცაკვდა, დაეცა, გაისხლმდინარდა“. (ზმნებთან ერთად თვით სახელებიც აქ ზმნურ ფორმებშია წარმოდგენილი: „გაისხლმდინარდა“).

ქართული ლექსი თავისი ბუნებით სილაბურ-ტონურია, რომელშიც მარცვალთა რაოდენობასთან ერთად აუცილებელია მახვილიანი და უმახვილო მარცვლების ურთიერთმონაცვლეობა. რუსთაველის ეპოქაში ქართული ლექსის რამდენიმე სახეობა არსებობდა, მათ შორის, ორმარცვლიანი საზომის მქონე „ფსიტიკურის“ სახელით ცნობილი ლექსი, ჩახრუხაული, რომელიც ოცმარცვლიანია, ოღონდ გართულებულია შინაგანი რითმით. რუსთაველი რომ იცნობდა ლექსის ამ სახეობას, ეს უეჭველი ფაქტია. ერთ ადგილას პოემაში გამოყენებულიც არის ოცმარცვლიანი საზომი (სტრ. 771), რომელსაც პირველ ორ ტაქში შინაგანი რითმაც ახლავს, მაგრამ პოეტს უპირატესობა 16 მარცვ-

ლიანი საზოგადოების მიუხედავად (ტაქსის შუაზე ჰყოფს ცეზურა) და პოემა ამგვარი ლექსით გაუმართავს. ლექსის ეს საზომი ქართულ პოეზიაში შაირის სახელითაა ცნობილი (შაირი — არაბულად ლექსი) და ქართულ მწერლობაში იგი მე-10 საუკუნიდან შაინც ლიტერატურული ფაქტია (ფილიპეს საგალობელი). ქართულ ხალხურ პოეზიაში მისი გაბატონებული მდგომარეობა იმაზე მიუთითებს, რომ ლექსის ეს სახეობა უძველეს ეპოქაში უნდა წარმოშობილიყო (სარიტუალო პოეტურ ტექსტებში ჩანს მისი არსებობის კვალი).

პოეტური თხრობის დროს ერთფეოვნებისაგან თავის დასაღწევად პოეტი იყენებს შაირის ორ ნაირსახეობას: დაბალსა და მაღალ შაირს.

ორივე ნაირსახეობას ამ ზოგადი სახის გარდა, მოეპოვება რიტმული ვარიაციები იმის მიხედვით, თუ როგორ ვანლაგდება რიტმული ჯგუფები, მაგალითად, დაბალ შაირში შეიძლება ჯერ იყოს წარმოდგენილი დაქტილური ტერფი, ხოლო შემდეგ მოსდევდეს ქორედაქტილური ჯგუფი და ა. შ. ასევე, მაღალ შაირში ხან ქორეული ტერფებია, ხან კი მათი შეერთებით წარმოიქმნება დიქორიული მუხლები. დაბალი და მაღალი შაირის შენაცვლება გაპირობებული არაა კონკრეტული სიტუაციების ხასიათით, არამედ ამ შენაცვლებას პოეტს თხრობის დინამიკა კარნახობს.

კლასიკური შაირის სტროფი ოთხტაეპოვანია და გაწყობილია ერთ რითმაზე (კატრენი). რუსთაველი იყენებს ორ და სამმარცვლოვან რითმებს, არის ოთხ და მეტმარცვლიანი რითმების გამოყენების შემთხვევებიც. აღსანიშნავია

შემდეგი კანონზომიერებაც: როგორც წესი, სამმარცვლიანი რითმა (დაქტილური რითმა) ასრულებს დასრულებას სტრიქონს, ხოლო ორმარცვლოვანი (ქორეული ან ქალური) მაღალი შაირისას.

რუსთაველის პოეტური ენის დახასიათებისათვის საინტერესოა ზოგი სტატისტიკური მონაცემებიც. ვეფხისტყაოსანი, თუ ავიღებთ აღმოსავლური პოეტური ეპოსის მასშტაბებს, მოცულობით არც თუ ძალზე დიდი ნაწარმოებია. 1937 წლის საიუბილეო გამოცემით იგი შეიცავს 1669 სტროფს, ანუ 6676 ტაქსს (სტრიქონს). თუ ყველა სიტყვას (როგორც ძირითად, ისე დამხმარე) აღვნიშნავთ, მათი რაოდენობა 45 ათასამდე აღწევს. რაც შეეხება დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულებს, და ეს არის უმთავრესი, მათი რაოდენობა 7066 აღწევს. ეს არის პოეტური მეტყველების უდიდესი მარაგი. ვეფხისტყაოსნის ფეტორის არაჩვეულებრივ პოეტურ ძალაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ აღნიშნული მარაგიდან 3700-ზე მეტი სიტყვა ანუ 53%, პოემაში მხოლოდ ერთხელ არის გამოყენებული. (შდრ. შ. დლონტი, ვეფხისტყაოსნის ენის სპეციფიკისათვის). რთული ამოცანის წინაშე იდგა რუსთაველი, როცა თავის პოემისათვის შეარჩია 16 მარცვლოვანი საზომი კატრენული რითმით (ა, ა, ა, ა). სიტყვაშემოქმედების ბრწყინვალე ტალანტმა პოეტს საშუალება მისცა გადაეღაზა ეს დაბრკოლება. აღსანიშნავია, რომ პოეტი თითქმის არსად არ იმეორებს თავისთავს. რუსთაველმა სხვა მხატვრულ აღმოჩენებთან ერთად სრულიად ახალი ორიგინალური რითმებით გაამდიდრა ქართული პოეტური აულტურა.

აიოზ იბრაჰიმი

სტრალური სინამდვილე ვეფხისტყაოსანსა და
„იგორის დაშკრობის აბავში“

ქართული და რუსი ხალხების გენიის დაიდი ქმნილებანი — „ვეფხისტყაოსანი“ და «Слово о полку Игореве» ერთი ეპოქის ობზულებანი. მათი ავტორები უდავოდ თანამედროვენი არიან. იგორის დაშკრობა, როგორც პატრიანეებითაა დამოწმებული, 1185 წელს მოეწყო და ძველიც მის ახლო წლებშივე დაიწერა. ვეფხისტყაოსნის დაწერაც ამ წლებს შეიძლება მხოლოდ ერთ-ორი ათეული წლით სკოლდებოდეს.

ამიტომ შეტად საყურადღებოა, რომ ამ ორ-ვე ძეგლში, რომლებიც ერთნაირი სიტუაციით ანათებენ შეასავეენობრივ უღებურებაში თავისი ადამიანური იდეალებით, მოიპოვება ერთი მოტივი, რომელიც გვამცნობს მათ ავტორთა თანაბარ დაინტერესებას ერთი და იგივე სფეროთი — ეს არის ასტრალური სინამდვილე.

იგორის დაშკრობა, როგორც ცნობილია, მარცხით დამთავრდა. უიჯალებმა რუსი მხედრობა განადგურეს. მისი მეთაური თავადები კი დატყვევეს. რუსული დროშები დაეცა, რუსული სისხლით მოიწყო უიჯალთა მიწა. პოემის ცენტრალური თემაც სწორედ ეს რუსული კატასტროფაა, რომელსაც ადამიანებთან ერთად ბუნება დასტირის. ცოდვისაგან ბალახი ქცება, ხეები მწუხარებისაგან იხრებიან. ამ დაად ვახსადედეს პატრიოტი პოეტი სისხლიან ნაღმს ადარებს: «...ту кровавого вина недоста, ту пир доканчаша храбрый Русичи: свати допоница о сами полегоша за земо Русскую»¹.

პოემაში მოთხრობილი რუსული ნაციონალური უბედურების პოეტური გააზრებისა და თვით პოემის სიტუეტის განვითარება-ფინალისათვის, ერთგვარი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ დაშკრობის დასაწყისს, პოემაში აღწერილია რამდენიმე ასტრალური მოვლენა, რომელ-

ზეც სპეციალურ ლიტერატურაში დამარწმუნებლად არ უოფილა ახსნილი. ბრძოლის დაწყების წინ მთელი დაშკრობის დასაანახად ცაზე ოთხი მზე გამოჩნდა, რომელნიც სიბნელემ მოიცვა. ძველ რუსულ დედანში ეს აღვილი ასე ეკითხება: «Другаго дни велми рано кровавыя зори свет поведают; черныя тучя сьморя идутъ, хотягъ прикрити Д солнца: а въ них трепещутъ сини малыйи» (იქვე გვ. 12). ახალ რუსულ თარგმანში: «На другой день очень рано кровавые зори рассвет возвещают, черныя тучи с моря идуа, хотягъ закрыть четыре солнца, а в них трепещут синие молнии»¹. ამ მხრავ საყურადღებოა პოემის კიდევ ის ადგილი, სადაც ლაპარაკია ცაზე ორ მზეს შორის: გამოჩენილი შთავრის სიბნელეში შთანთქმის შესახებ: «Темно бо б в 1 день: два солнца померкоста, оба багряная стазла погасоста, и съ нимъ, молодая месяца, Олегъ и Святъслава тьмою ся поволокоста и въ море погрузиста. На пеще на Каяле тьма светъ покрыла» (იქვე, გვ. 25). ახალ რუსულ თარგმანში: «Темно было в тот день: два солнца померкли, оба багряные столпа погасли, и с ними оба молодых месяца, Олег и святослав, тьмою заволокли и в море погрузились... на реке на Каяле тьма свет покрыла» (გვ. 81).

ვეფხისტყაოსანზე ასტრალური სინამდვილეთა მოცული, ასტრალური მოვლენები რუსთაველის ეპითეტურ-მეტაფორული მეტყველების მუღშივე ელემენტებია. მისი შემოქმედება განსაყურებებით მზეს უმღერის მრავალფეროვან სურათებსა, მეტაფორებსა და ეპითეტებში, და იგორის დაშკრობის ასტრალურ თქმებთან ერთგვარი ანალოგიის გატარებისათვის თავისთავად ის გაერმოვანი გვაძლევს საფუძველს, რომ აქაც ნახსენებია ორი მზე და მთვარე, სამი

¹ Слово о полку Игореве, фототипическое воспроизведение 1-го издания 1800 г., С. Петербург, издание А. С. Суворина 1904. გვ. 18.

¹ Слово о походе Игоревом, Игоря, сына Святославова, внука Олегова, перевод С. Шамбинаго и В. Ржиги, კრებულში: Слово о полку Игореве. Academia, 1964, გვ. 79.

მზე, ორი მთვარე და მზე და სხვა მისთანანი. აეთანდილის, ტარიელისა და ფრიდონის შეყრას ჭაჭეთის ციხის აღების წინ რუსთაველი შემდეგი მეტაფორით წარმოკვიდვენს:

„მკვანდა, თუცა შეურთლ იუენეს
ორნი მზენი, ერთი მთვარე“. (1382).

ფატმანის პირით პოეტი ასე აღწერს უსენის მიერ ნესტანის გადაცემას შეფისათვის:

„აღღეს რომელი უსენ შესძღვნა ქალი მსგავსი
მზეთა ორთა“ (1172).

თინათინისა და აეთანდილის ქორწილში ორი უებრო მზეთუნახავის — ნესტანისა და თინათინის ერთად ყოფნა ორი მზის ანალოგიაშია მოცემული:

„ნესტანაქარ ახლავს თინათინს,
ვის შვერტთა ამაზრზენია,
ქვეს თუ, ცა შოდრკა ქვეყანად,
შეურილან ორნი მზენია“ (1549).

რამდენიმე მზის მეტაფორის თვალსაზრისით საყურადღებოა კიდევ ერთი ორი ტაევი. ჭაჭეთის დამწყვედელი ნესტანი სავაერეს წყაროს რომ უგზავნის, — სიყვდილამდე შენი ერთგული ვარ, თუ ხსნა არ იქნება, თავს მოვიკლავო, შესაძლებელი აღსასრულის მოლოდინში ფიცს სდებს:

„შენმან მზემან, უშენისა
არვის მიხედეს მთვარე შენი,
შენმან მზემან, ვერვის მიხედეს,
მოცაიღენ საპნი მზენი“ (1303).

რუსთაველს მოეპოება მეტაფორა, სადაც ორ მთვარეს შორის ერთი მზეა მოთავსებული. ტარიელისა და აეთანდილის გამგზავრებას ნესტანთან ერთად, პოეტი ორ მთვარეს შორის მოთავსებული მზის მეტაფორით იძლევა:

„მას ჰკვანდეს, თუცა სამყაროს მზე უქდა
მზე მთვარეთა“. (1495)

ამრიგად, საცხებით ბუნებრივად, იქ უფრადღებას იყრობს რამდენიმე მზის პოტივის არსებობა კლასიკური ხანის ქართულ და რუსულ ძეგლებში, რაც ლიტერატურაში მიინციდამინცი პოპულარული არ არის. რა საფუძველი აქვთ თავისთავად ამ სახეებს, რის გამოხატულებას შეიცავენ ისინი, და იქვთ თუ არა მათ ერთმანეთთან რაიმე ურთიერთობა წარმოშობის თვალსაზრისით, მრავალმხრივი მნიშვნელობის საკითხებს აღძრავს პოეტური მეტაფორების განვითარების ისტორიაში. ორი და ოთხი მზე პოეტური ფანტაზიისა და წარმოსახვის ნაყოფია როგორც მხატვრული ხერხი, თუ მის უფრო ღრმა საფუძველი და რაიმე სპეციფიუ-

რი შინაარსი აქვს? ამ საკითხის გერკვანი გავების და ვადაწყვეტისათვის, წინასწარ, ჭაჭეთითა ზოგი რამ ვთქვათ მხატვრული მეტაფორების ასტრალურ სინამდვილესთან მიმართების შესახებ.

• • •

კოსმოსის ცისფერი უსაზღვროება უსსოვარ დროიდანვე იყრობდა ადამიანის ყურადღებას. პოეტური შთაგონებისათვის ის აურო მომზობლობის დაღმრეტელი სფერო. ჩვეულებრივი ადამიანური წარმოსახვისათვის კი საიდუმლოებათა საოცარი სინამდვილე, რომელიც ადამიანური შემეცნების საზღვრებს იქნა აურო შთაინთქმული.

მუდმივი დაკვირვების შედეგად ადამიანს უსსოვარ დროთაგან დაფრკოდა ცოდნის მარაგი მნათობთა მდებარეობა-მოძრობის შესახებ. მისი პერიოდულობის შემწნევამ დაბადა ცოდნა, რომელიც გარკვეულ წესრიგს ამწნედა მნათობთა ცხოვრებაში. ამ ცოდნის მიხედვით, მნათობთა მოძრობის სხვადასხვა ფაზას პირდაპირი მიმართება ჰქონდა სამყურნეო ცხოვრებასთან, რამდენადაც, ჩვეულებრივი დაკვირვებითაც, მზისა და მთვარის ამოსვლა-ჩასვლა უშუალო გავლენას ახდენდა ბუნებაზე. ადამიანური ფანტაზიისათვის მართლაც, მრავალმნიშვნელოვანი აურო თუნდაც ის თვალსაჩინო ფაქტი, რომ დღისა და ღამის ცვალებადობა გამოწვეული ამ მნათობთა მოძრობით, პირველყოფილ შემეცნებაში უკავშირდებოდა კეთილისა და ბოროტი ძალის მუდმივი ბრძოლის წარმოდგენას. ამიტომ, მზისა და მთვარის დაბნელება, კომეტების გამოჩენა, ვარსკვლავების ვარდნა, „ხოშილი“, „იომის ნახტომი“ და სხვა ციერი მოვლენები, თავისებურ გააზრებაში მრავალმნიშვნელოვან ამსნას. პოეტიდა ასტროლოგიური წარმოსახვით. აზროვნების ჩამორჩენილობა და სისუსტე ბუნების ამ მოვლენათა ზოგი საიდუმლოების აუხსნელობაში იქცა ასტროლოგიის მთავარ დასაყრდენად.

ზოგი პერიოდული ციერი მოვლენის წინასწარმეტყველება, რასაც რეალურად აწუდდა ასტროლოგია ვაოცებული ადამიანის ცნობის-მოყვარეობას, მას დიდ ავტორიტეტს უქმნიდა. ამ ავტორიტეტით ასტროლოგიამ ადამიანის შეგნებაში ციერ მოვლენებს გარკვეული როლი დღესახა. ხანგრძლივ დაკვირვებათა მიხედვით შემეშავდა მჭებდულება ადამიანურ ყოფასთან მნათობთა მოძრობის კანონების ცვშირის შესახებ. ასე დაიბადა ასტროლოგია. მან ადამიანურ ფანტაზიაში ჩასაბული რწმენა, თითქოს მნათობთა მოძრობაზე მისი პირადი ბუდი დამოყრდებული, თავისი ავტორიტეტის განმტკიცებისათვის გამოიყენა. მან ისტორიის წინაშე მკითხვის როლი იქისრა. მისი საგანი

იყო ასტრალურ მოვლენათა ვარჯისა და ცუდის მიუწყებელი ნიშნებისა და სიმბოლოების განმარტება.

რწმენა, თითქოს ასტრალური სინამდვილე მოწყობილია ადამიანურის მიხედვით, თითონ ადამიანური კი ასტრალურითაა განსაზღვრული, მრავალ თეორიასა და კონცეფციასი გამოიხატა. ასტროლოგიური თვალთახედვით მნათობნი სუღიერი არსებებია — მათ აქვთ სქესი, ფერი, სუნი, გემო და სხვა ადამიანური თვისებენი, რომელნიც მათ ჩვენს ყოფსთან აახლოებენ.¹

ასტროლოგიური კონცეფციით მნათობთა მარადი მოძრაობის გზები განსაზღვრავენ ადამიანური ცხოვრების ისტორიას, თვითული ადამიანის ბედ-იბაღს. ყოველ ადამიანს თავისი ბედა ქუვება იმის მიხედვით თუ, როგორც იტყვიან, რომელ ვარსკვლავზეა დაბნეული. ასე იქმნება ზოდიაქო, რომლის აგებულებას პირდაპირი კავშირი აქვს ზოგი ასტრალური მეტეორის წარმოშობასთან და ამდენად — მნიშვნელობაც, მისი შინაარსის გასაჩვენებლად.

თანავარსკვლავედთა გზაზე მოძრაობისას ყოველი შეიღვეული მნათობთაგანი. — მთვარე, ოტარიდი, ასპირიონი, მზე, მარსი, მერკური, ზეალი — ვაჟლის თორმეტ თანავარსკვლავედს, რადგან თორმეტი თვის მიხედვით, ცის სარტყელი დაუფილია თორმეტ თანავარსკვლავედად, რომელთაც ვარკვეულ საფუძველზე შემოვრეებულ თავის სიმბოლოები ნიშნები მოეპოვება; — ვერძი, ხბო, მარბობი, კირჩხიბი, ლომი, ქალწული, სასწორი, მორიელი, მშვილდოსანი, თხის რქა, მერწყული, თევზი, ამის მიხედვით, წლის ყოველი თვე, ყოველი დღე, საათი და წუთიც კი, როდესაც არ უნდა აღიზაღოს ადამიანი, უთოვად რომელმე ფაზას ბეღება და ხასიათება რაიმე თავისებურებით, რაც საფუძველია ასტროლოგიური გამოანგარიშებისა. ბედის ამ გამოანგარიშებას ქართულად ეტლი ჰქვია და ჩვეულებრივ ხალხურ გამოთქმასი ცნობილია როგორც ბედნიერი, ან უბედურ ვარსკვლავზე დაბადება.

ასტროლოგიური კონცეფცია მრავალმხრივ გამოიხატა ელტურის ისტორიაში. ასტრალური სინამდვილითაა გაპირობებულ მსოფლიო რელიგიური სისტემები, მითოლოგიაზე რომ ადარაფერი ითქვას. ძველი სუმერულ-ქალდური, ასურულ-ბაბილონური და ბერძნულ-რომაული მითოლოგიური წარმოდგენები ღვთაებათა ასტრალურ პერსონაჟიკაიზება დამყარებული, რის საფუძველიც ასტროლოგიური კონცეფციებია.

აქედან ვსაგებია ისიც, რომ რაკი ასტრალური სინამდვილე და ასტროლოგიური კონცეფცია

წარმართული ხანის ელტურის ტრადიციებთან იყო დაკავშირებული, ქრისტიანობა დიდხანს ანტაგონისტურად იყო განწყობილი ასტროლოგიასთან, როგორც წარმართობის განდმონაშთთან, მაგრამ მათ შორის შორიგება ჩება მოხდა, ისე რომ, თითონ სახარების ოთხივე წიგნი ასტრალური სინამდვილის ძლიერა ეკუფენით დიწერა.² პირველვე თავი იესოს ცხოვრებისა მათეს სახარებაში, ასტრალურ ფონზე იშლება. მოგვემა შენიშნის ასლი ვარსკვლავი, რომელმაც ამცნო მესიის მოახლოებული დაბადება. ისინი ახლადდაბებულ ყრმისკენ მიდიან ამ ვარსკვლავის ჩვენებით. ვსაგებია, რომ რაკი სახარებამ ასტრალური ელემენტარ შეტანისა, იქიდან მან მთელ ქრისტიანულ მწერლობაშიც გაიღდა ფეხი, და პირველვე ნიმუშები ქრისტიანული პიპნოგრაფიული პოეზიისა ასტრალურ სახე-სიმბოლოებასა და ეპითეტებს შეიცავს. ასტრალური სინამდვილე პოეტური, ხატოვანი მეტყველების დიდ წყაროდ იქცა. შემშვადეა ასტრალური პოეტური მეტყველების ზერხები. გმირის მოცემა ასტრალურ შედარებებში ჩვეულებრივი მოვლენა ვახდა.

ამრიგად, რაკი ასტრალური საწყისი ოფიციალურ რელიგიურ კანონიერ ტექსტს დაეკავშირა, მან უფე არა მხოლოდ პოეტურ წარმოსახებაში პოეზია ნიადივი, არამედ აბროვინებაშიც. ყოველთვე სასწაულებრივი და აზრსხელი ასტროლოგიურად შეიძლება ახსნილიყო, მთელი ბუნება გარკვეულ კავშირში უნდა აღმოჩნულიყო ასტრალურ სინამდვილესთან.

ეს ფონი ახასიათებს მთელ მსოფლიო პოეზიასა და მწერლობას, მხოლოდ ამ იდენებისა და სახეების ათვისებაში ცალკეულ თავისებურებანი იპერობენ ყურადღებას. ქართულ პოეზიასა და მწერლობაში ასტრალური სინამდვილის გამოხატულებას უძველესი ტრადიციები აქვს, რომელშიც ბევრი თავისებურებაა აღბეღილი, რაც ჩვენი ელტურის ისტორიის სპეციფიკითაა განსაზღვრული. მთავარ რომ ღვთაება იყო, ეს ერთი გამოხატულება ჩვენი ასტრალური წარმოდგენა-რწმენისა. ცნობილი სიმღერა „მზე შინა და მზე გარეთა“, აგრეთვე, ქართულ მეტყველებაში ჩვეულებრივ გაგრეყებული მზეზე დაფიციბა ასტრალური ელტის გადმონაშთია. ბოლოს, მზესთან დაკავშირებული ქართული თქმულება-ღვინდები და წარმართული პიპნების გადმონაშთები ასტრალური საწყაროს ქართულ ყოფაში ვავრცელებას ვარგად მოწმობენ. ამიტომ, მთელადნელი არ არის ისეთი დიდი როლი რუსთაველის შემოქმედებაში, როგორიც მიკუფენებული აქვს მზეს, ის დიდი

¹ Ф. Ф. Зелинский, Умершая наука, Вестник Европы, 1901, X, стр. 441-484; XI, стр. 1-56.

² Николай Морозов, Астрология в Евангелиях, წიგნი: Бог и слово, М.-Л. 1923, გვ. 636—660.

თემა, რომლის საწყისები ქართული კულტურის უძველეს ფესვებზე მეტყველებს, მაგრამ ამჟამად შემოვიზღუდებთ ვეფხისტყაოსნის ერთი მეტაფორის საკითხით, რამდენადაც ის ერთგვარ კავშირშია სწორედ იგარის დასწრებაში გამოყენებულ ასტროლურ გამოთქმებთან.

მნათობა მოძრაობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭებამ გამოხატულება პოეტიკურ მეტყველებაში. მის ნიადაგზე შეიქმნა პოეტური ხერხების მთელი სისტემა, რომელსაც პოეტები იყენებდნენ თავიანთი მხატვრული მიზნისათვის საერთო იდეის შესაბამისად. გმირის მინიჭანი განცდის, თუ ვარეგანი თვისებების დახატვისას, ისინი მიმართავენ მზეს, მთვარეს, როგორც ეპითეტს. მაგ., ნესტანის ცხენზე შექდომას ვასამზავებულად რუსთაველი ასეთ ასტროლურ მეტაფორაში იძლევა: „კვანდა, ოდეს ღომსა შექდეს მზე, მნათობთა უკეთესი“ (1201, 3). ასტროლოგიური გაგებით აქ ღომსა და მზეს შორის არსებული რთული დამოკიდებულებაა გამოყენებული, გმირთან ურთიერთობის გამოსახატავად, მისი შინაარსი და მნიშვნელობა ზეენ სხვა ადგილას სპეციალურად გვაქვს გამოაკვეთილი; აქ კი შეიძლება მოკლედ აღვნიშნოთ, რომ ეს ღომი ზოდიაქოს ღომია, რომელზედაც შემადარი მზეც თავის ზოდიაქურ ნიშანში — ივლისში ვეღლილი მზეა, რასაც ასტროლოგიურად ღომის ბურჯში მზის დაქდომა ეწოდება.

ხოლო რუსთაველს რომ ასტროლოგიური კონცეფცია ეხატებოდა თვალწინ, რატო ზოგ მეტაფორას ქმნიდა, იქიდანაც ჩანს, რომ ის პირდაპირ ახსენებს ეტლს, როგორც ბედს, სწორედ ზოდიაქური მნიშვნელობით. მაგალითად:

- „ღმერთმან სხეცა ეტლსა ჩემსა
სადმცა კაცი რად დამადა“ (257, 1)
- „კლა იტყვის „ვერცხენ ვერას იქმს,
თუ ეტლი არ მოთაშინდებოს“ (1904, 1).
- „ეტლის ცვალება მზისაგან, შექდომა
სარატინისა“ (1328, 3).

ვეფხისტყაოსანში ცნობილია ერთი ადგილი, სადაც რუსთაველი თვით ამ მნათობებს უდიდეს ქებას უმღერის. ესაა ავთანდილის, ვედრება, შვიდ ცდომილთაღმი მიმართული (სტროფები 957-964). ამ გასაოცარი განცდით დაწერილ სიმღერაში რუსთაველი იძლევა შვიდი მნათობის დახასიათებას მათდამი ადამიანის დამოკიდებულების მიხედვით. თითოეულ მნათობთან რუსთაველი ავთანდილს განსაკუთრებულ საგანსა და მდგომარეობაზე ასაუბრებს, მზეს ის სიყვარულზე ესაუბრება:

¹ რუსთაველის ღომი და მზე. „ლიტერატურული მიგზანი“, ტ. VII, 1951, გვ. 241-250.

„აა მზეო, გეაყები შენ უმძღესთა, მძღესთა
მძღესთა, მძღესთა,
ვინ მდაბალთა გაამალღებ, ვედრებასა, მოსცემ,
სენა“ (957, 1).

ზუღალს ცრემლსა, კეშანსა და კირზე ესაუბრება:

„მო ზუალო, მომიმატე
კრებლსა ცრემლსა, კირი კირსა,
ველი შავად შემიღებე,
სიბნელესა მიმეც ხშირსა“. (958).

მეშთარს სამართალზე:

„ჰე მეშთარო, გეაყები შენ მართალსა,
ბრტესა ღმრთულსა,
მო და უყავ სამართალი, გაებრტობს ველი
გულსა (959);

მარიხს — ლახვარსა, კრილობასა და სისხლებზე:

„მოდი, მარიხო, უწყალოდ დამქერ
ლახვრითა შენითა,
შეცამღებ და შემსვარე წითლად სისხლისა-
დენითა“ (960);

ასპიროზს მშვენიერებზე:

„მოდი, ასპიროზ, მარგო რა, მან დამწვა
ცუცხლთა დაგოთა,
ვინ მარგალიტსა ვარეშე მოსცავს
ძოწინსა ბაგითა,
შენ დაამშვენებ კეკლუცთა დაშვენებითა
მაგითა“ (961);

ოტარიდს საწერ-კალამსა და მელანზე:

„ოტარიდო, შენგან კიდევ არვის მიგავს
საქმე სხვასა,
დაჟე წერად ჰირთა ჩემთა, მელნად მოცემე
კრემლთა ტამასა“ (962);

მთვარეს უძღურებაზე:

„მო, მთვარეო, შემობრალე, ეილევი და
შენებრ ვჰვლდები,
მზე გამავსებს, მზევე გამლევს, ზოგჯერ
ესხლდები, ზოგჯერ ვწვლდები“ (963).

ავთანდილის ამ მიმართებაში საგრძნობი ხდება, რომ ისინი განსაკუთრებული თაყვანისცემის ობიექტს წარმოადგენენ — ისინი ღვთაებანი არიან. თითოეული მნათობის დახასიათების თავისებურება, მისი ბუნებისა და თვისების აღნიშვნით, აქ სასენებით ვითხვევა ასტროლოგიურ შეხედულებებს. ამიტომ შემთხვევით არაა ნახსენები ზუღლიან — კეშანი, მეშთართან — სამართალი, მარიხთან — ლახვარი, ასპიროზთან — მშვენიერება, ოტარიდთან — საწერ-კალამი, მთვარესთან — უძღურება. ამავე დროს თვითონ მნათობთა მოხსენების რიგი, მზის გამოწინადადობის, სასენებით ერთნაირებაში მნათობთა რეალური მდებარეობის რიგს დღემიწასთან სიახლოვე-დაშორების მიხედვით. დალაგების ეს წესი დიდი ხნით აღრე ყოფილი ცნობილი ძველი აღმოსავლეთის ხალხებში, მთავან ის ბერძენებსაც ჰქონდათ შეთვისებული, და

უახლოეს ასტრონომიულ გამოანგარიშებასაც ამ განსაზღვრაში არაფერი არ შეუცვლია.

ასევე ძველი ტრადიცია მზის მეოთხე ადგილადან პირველზე ვადმოყვანა, რაც მისი, თავისთავადაც გასაგები უპირატესობით იყო გამოწვეული¹.

ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ რუსთაველი თავისი დროის მეცნიერულ მიღწევათა სიმძლავრე იდგა და ამ ცოდნას თავისი იდეალები შესაბამისად პოეტურად ასახავდა. ამიტომ არც ერთ შემთხვევაში მას რაიმე სახე შემთხვევით არა აქვს გამოყენებული. ყოველ მათგანს თავისი კონკრეტული აზრი და მნიშვნელობა გააჩნია. რუსთაველისათვის ასტროლოგიური ცოდნა, რომლის საგანი ობიექტურად ასტრონომიული სინამდვილე იყო, არის მასალა მხატვრულ სახეობის ასაგებად, რომელიც შენაგანდაც ეხმარებიან მის მიერ შექმნილ თხზულების ყოველ ცალკე სიტუაციას. ამრიგად, რუსთაველისათვის ასტრალური სინამდვილე მხატვრულ სახეთა მასალაა, მისი ასტრალური მერყეულობა — პოეტური მერყეობები და ეპითეტები.

ამ თვალსაზრისით რას უნდა ნიშნავდეს ასტრალური მოვლენები იგორის ლაშქრობაში? რას ნიშნავს ცაზე ოთხი მზის გამოჩენა საბედისწერო ბრძოლის დაწყების წინ? და რა აზრი უნდა ჰქონდეს მას მთელი თხზულების საერთო ხასიათისა და იდეასთან დაკავშირებით, თუ მას, საერთოდ, შეიძლება არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს?

„Слово о подвигу Игорева“² ს ძველი რუსული ტექსტის ახალ რუსულზე მთარგმნელები და კომენტატორები ამ ადგილს იგებენ, როგორც სიმბოლოსა და აღგვარების. შიტი სავრთო აზრით, აქ გამოჩენილი ოთხი მზე, ბრძოლის მონაწილე ოთხი რუსი რაინდი — იგორ სვიატოსლავიჩ ნოვგოროდ-სევერსკი, მისი ძმა ვსევოლოდი, ძმისწული სვიატოსლავ ოლგოვიჩი და შვილი ვლადიმირი. ასეთი გაგებით, ოთხი მზე მთლიანად ეპითეტია, სახე-სიმბოლოა, მეტაფორული გამოხატულება. ამბის თხრობასთან დაკავშირებით ოთხი ჩამქრალი მზის აღგვარების საფუძველი ოთხ რუს რაინდთან ისაა, რომ რუსები დამარცხდნენ, რუსეთის სამხედრო დიდება ისევე ჩაეყენა, როგორც ოთხი მზის ბრწყინვალეობა.

რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში ასტრალური სახეთა სიმბოლურ-აღგვარითელი განმარტების პირველი წარმომადგენელი ა. პოტებნია

ოთხ მზეს პოეტურ მეტაფორად თვლიდა, მასთან დაკავშირებულ სხვა ასტრალურ მოვლენებს კი — პოეტურ სიმბოლიზაციას — მზე არ გაიზიარა ვ. პოტებნის აზრი იმის შესახებ, რომ „ლაშქრობის“ ზოგი შედარება და ეპითეტი ბიზანტიური და ბულგარული ლიტერატურიდანაა ნასესხები. ასევე არ მიაჩნდა მას ნასესხებ ეპითეტად მიჩნეული სიტუაცია „СВЯТЫ“ რასაც საკითხისათვის ერთგვარი მნიშვნელობა აქვს. მნათობთა გაორმაგებისა და გაოთხმაგების ეს ხერხები, პოტებნიის აზრით, ლაშქრობის ავტორის ხალხური რუსული სიმღერებიდან იქვს აღებული. ამრიგად, მას ოთხი და ორი მზე პოეტური ფანტაზიის ნაყოფად მიაჩნდა და ცდილობდა კიდევ მათთვის პარალელურ მონახეს ცალკეული ელემენტების სახით. ამასთან დაკავშირებით, რაჟი პოტებნიას ეს ასტრალური გამოქმნები პოეტურ ფანტაზიად მიაჩნდა, ეგონა, რომ ოთხი და ორი მზის მოხსენიება ერთგვარი გაუგებრობა უნდა ყოფილიყო, რამდენადაც, მისი აზრით, აქ ავტორის მიზანი იყო მწეებისათვის შეედარებინა, ალბათ, მხოლოდ იგორი და ვსევოლოდი, რის გამოც, ოთხი რიცხვი რამდენიმე მზესთან დაკავშირებით, შეუძლებელი იყო წარმოშობილი. ამრიგად მისი კონტეორული მტკიცებით, პირველ შემთხვევაში ლაპარაკი იყო არა ოთხი მზის, არამედ მხოლოდ ორი მზის შესახებ, როგორც ორი რუსი თავადის სიმბოლოება.

პოტებნიას შემდგომ წარმოებულ კვლევაშიც ამ ადგილს განმარტება ძირითადად იმავე მოსაზრებას ეყრდნობოდა, ოღონდ მკერცოლენი ცვლილება იყო დასაბუთების დეტალებში (ნ. ტიხონრაივი, ვ. კელტუალა, ს. შამბინა-ვი, ა. ნოვიკოვი, ვ. შტორმი, ნ. გლაზუნოვი, ვ. რიგვა, ა. ორლოვი, ნ. ვუძიი, ვ. პერეტეი და სხვები).

ვ. კელტუალა ძველში გამოხატულ ატმოსფერულ მოვლენათა კომპლექსს მთლიანად სიმბოლურ-მეტაფორულ ნიადაგზე ხსნიდა. მისი აზრით, ლაშქრობის ავტორი ჰქმნიდა სიმბოლურ სურათს, რომელშიაც ქვეაქების სახით გამოხატულია იგორის მოსალოდნელი ბრძოლა ყოჩაღებთან, ზღვიდან წამოსული შავი ღრუბლები, მისი აზრით, ყოჩაღთა ურდოებია, ღრუბლებში გამოქრთალი ღერჯი შეხი—ყოჩაღთა მრისხანე თავდასხმა. ამ სიმბოლოების ეითარებაში, რასაკვირველია, ოთხი მზე მისთვისაც ოთხი რუსი რაინდია. ვ. კელტუალა შეეცადა ძველის ზოგი, თითქოს გაუგებარი ავგილის გაზრებას. მეორედ გამოჩენილი ორი მზე, მისთვისაც ორი რუსი თავადი — იგორი და ვსევოლოდი, „Померкоста багряная

¹ შეიდი მნათობისა, მზის უპირატესი როლისა და ზოგი სხვა ასტრალური საკითხების შესახებ იხ. გაიოზ იმედაშვილი — ზოგი რამ რუსთაველის შეიდი მნათობის შესახებ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XI, № 4, 1950, გვ. 263-269.

² Слово о подвигу Игорева; текст и примечания А. А. Потебни, Воронеж, 1878.
³ Слово о подвигу Игорева, перевод, примечания и объяснительные статьи В. А. Келтуяла, М. Л. 1940.

столпа*-ს — მათივე სიმბოლოა, რაც შეეება „Молодая месяца“-ს, ის უმცროსი თავადების — ოლეგისა და სვიატოსლავის სიმბოლოებია. „В море погрузиста“, მისი აზრით, სიმბოლურად გადმოსცემს იმ ფაქტს, რომ, კიალაზე რუსების დანარცხების შემდეგ, ყივჩაღებმა მათი ნარჩენები აზოვის ზღვისთან მირგეტს და ჩააღრეს.

ს. კ. შამბინავიმ ასტრალური ადგილების სიმბოლურ განმარტებაში ზოგი კორექტივი შეიტანა, ზოგი თითქოს აღხსნელი გამოთქმის შემცველი ადგილები კი, მან შემდეგი დროის ჩანამატად მიიჩნია, რომელთაც მისი აზრით, თვითონ ძირითად ტექსტთან კავშირი არა აქვთ. „Синий“ ნიშნისავე ნრაველმნიშვნელოვანი ეპითეტია, რომელიც შეიცავს წარმოდგენას სინათლისა და იმავე დროს რაღაც უხედურებაზე.

ძველის ასეთი სიმბოლური განმარტებანი ადგილის აღარ სტოვებენ მასში რეალური ხაზების დანახვისათვის. მაგ., ე. რეიგა რუსული მატინეების მიერ ერთხმად აღიარებულ ისეთ რეალურ ფაქტსაც კი, როგორც არის მზის დაბნელება ბრძოლის დაწყების წინ, სიმბოლური აზრის შემცველად ივლის¹. მისთვისაც, თავადების დამარცხება გააზრებულაა, როგორც მნათობთა დაბნელება.

ამრიგად, შეიძლება აღინიშნოს, რომ მთელი რუსული კრიტიკა ასეთ ასტრალურ მოვლენათა ახსნაში ძირითადად იმეორებს და ავითარებს პოეტური სიმბოლიზაციის თეზის სხვადასხვა ვარიანტით, სხვათა შორის, იგორის ლაშქრობის ქართული მთარგმნელებიც, თავის კომენტარებში ამსვე იმეორებენ. მათთვისაც ოთხი შვე — ოთხი რუსი თავადია².

ველა ეს და მათი მსგავსი განმარტება არსებითად არაფერს არ გვეუბნება მათ კუმპარტ ახსნა და მნიშვნელობაზე. ისინი ჩქმალევენ თხზულების ძირითად ტენდენციას, რომელმაც განაპირობა მისი სტილი, და ვერ იგებენ მას ისეთ რეალისტურ სიტუაციაში, როგორშიაც ავტორს პქონდა ჩაფიქრებული. ასეთი სიმბოლურ-ალეგორიული ახსნით უფრო მეტი გუგებრობა იქმნება. მართლაც, თუ აქ მოხსენებული ოთხი შვე ოთხი თავადია, როგორღა უნდა გაეფოთ კიდევ სხვა ასტრალური მოვლენები, რომლებიც ოთხ შვესთან ერთად პოემაშია აღწერილი? როგორ გაეფოთ, მაგალითად, „Кровавая зорь“, „Чръная туча“, „Синий

млынй“, „два столпа“, „два еблыща“, „барганыя стълпа“, „молодая месяца“, „тъма светь покрыла“ და სხვა მისთ როგორ ავიცილოთ ის შეესაბამება, რომ ოთხ შვეზე ოთხი რუსი თავადი დანახვა არ მართლდება ისტორიული სინამდვილით — მატინე ბრძოლის აღწერილობაში ხომ არ ახსენებს იმათ, რომელთაც ბავშვური ასაკის გამო არც შეეძლოთ ბრძოლაში მონაწილეობის მიღება? საკმარისი ხომ არ არის ამ გაუგებრობის ახსნა იმ მოტივით, თითქოს ამ უბუნეთ თავადების მოხსენება ზოგიერთ კომენტატორს, სწორედ ამ მიზეზით, ჩანამატად მიანინა?

ამ თითქოს გაუგებარ მოვლენეთა ახსნას ჩვენ მივეჯავართ ძველის უფრო რეალისტურ გადაწყვეტასთან, ვიდრე ეს სიმბოლური გააზრების საფუძველზე იყო მოსაზრებებელი. ძირითადი ნასივი ამ რეალობაში ის არის, რომ იგორის ლაშქრობის ავტორი დასტირის რუსების დამარცხებას, როგორც მართალ ამბავს, რომელიც მან თავისი თვლით ნახა. გადაწყვეტი მნიშვნელობა აქ იმასაც აქვს, რომ ასტრალური მოვლენები როგორც ლაშქრობის ავტორის, ისე რუსულ მტიანეებს, ძირითადად ერთნაირად აქვთ გადმოცემული. მართლაც, თუ პოემაში ოთხი შვე სიმბოლოა, როგორც მატინეული ზერხი, რაღა არის მტიანეს ოთხი შვე? ცხადია, მის ასახსნელად არავითარი სიმბოლოვანი და ალევორიები არ გამოდგება.

ამ იმოცანის გადაწყვეტა როგორც „Слово о полку Игореве“-ს, ისე ველისტიკოსნის ისტრალური ადგილების მასალაზე, ერთნაირად გასაგები საფუძველით ზერხდება. როგორც გაიჩქაა ორი შვე, სამი შვე, ორი შვე და მთვარე, ორი მთვარე და შვე, მეწამული სვეტები და სხვა ციური მოვლენები არც არსუასეულია და არც იგორის ლაშქრობის ავტორის მოგონილი არ ყოფილა. ის რეალურად არსებული მოვლენებია, ჰველზბრივი დაკვირვებებით სახილველი ოპტიკური სერათი, და ასტრონომიის ისტორიით უძველესი დროიდანვე ყოფილა ცნობილი.

სამი შვის გამოჩენის პირველი შემთხვევა ქერ კიდევ რომის დაარსებიდან 636 წლის თავზე აღნიშნული იაგურტის ბრძოლის დაწყების წინ, რასაც საერთო შემფოთება გამოუწვევია და ომთან დაკავშირებით განგებოთ მოვლენილნიშნად მივლიათ³. იმავე ქალაქში 680 წელს სატურნის სახელობის ტაძარზე დანათებული სა-

¹ Слово о полку Игореве, перевод и об'яснения прив. доц. С. К. Шамбинаго, 1912.

² В. Ржига, „Слово о полку Игореве“, как поэтический памятник киевской Феодальной Руси XII века, СНИ, Академия, 1934.

³ ამბავი იგორის ლაშქრობისა, 1938, კ. ჭიკინაძის თარგმანის შენიშვნები, გვ. 45; ს. ჩიქოვანის, გვ. 58.

¹ ისტორიული ცნობები ცრემზეთა და მთვარეთა გამოჩენის და სხვა ციური მოვლენების შესახებ იხილე წიგნი: „Камилл Фламарკон, Атмосфера, С. П., 1900, თავი Круги и гало“ გვ. 141-156.

მი მზე შეუძნევიით, რაც განმეორებულა 710, 712 წლებშიც.

უფრო საყურადღებოა, რომ რამდენიმე შხისა და მთვარის მოვლენებით სწორედ რუსთაველსა და იგორის ლაშქრობის ეპოქა ცნობილი, როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში. 1118 წელს პენრიბ I მეფობისას ინგლისში ორი მთავარე გამორჩინილა და მოპოვებული გამარჯვებაჲ ამათვე აუტსინათ. 1156 წელს გამორჩინილა სამი მზე, რასაც შეიძლება იმის დამთავრება მიაწერეს. იგივე განმეორებულა 1157 წელს.

ამის შემდეგ, საერთოდ, მთელი შესაუკუნეები თანამედროვეობაჲდ ასეთ მოვლენათა აღწერის უამარე შემთხვევას შეიცავს. ჩვენთვის კი ის გარემოებაა საინტერესო, რომ სწორედ 1185 წელს იგორის მთავრე ხალხთა წინააღმდეგ გალაშქრებისას, ერთერთი ბრძოლის დროს ოთხი მზე და შემდეგ ორი მზე და მთვარე გამოჩენილა.

ამ ფაქტების ახსნა ძველად მეცნიერებს აზრებდო როგორც ოპტიური მოვლენების, რას გამოიქვინა ცრუმორწმუნეობრივად ესმოდათ თვით მეცნიერებ წრეებშიც. ამ თითქოს ღვთაით მოვლენილ სასწაულებარე მზეთა გამოჩენას, ასტროლოგიური კონცეფციით განმარტავდენ ხან კარგის, ხან ცუდის შიუწვებდენიშნებად. ხალხი მათ მიაწერდა ათასგვარ შინაშენლობას — ისინი მათთვის ომების, შიმშილის, ტზიდემების ან მსოფლიოს აღსასრულის მაუწყებელი იყვენ. აქედან ცხადია, თუ პოეტური აღმავრენისათვის რაოდენ მიშხიდველი მასალა იყო უცნაურობით აღბეჭდილი ეს მოვლენებო, რომელიც საიდუმლოების შეუცნობლობით მოცულ აღამიანის გონებას სინამდვილესა და ირრეალობას შორის ეხატებოდა.

მათი შინაშენლობა და წარმოშობა მეცნიერებლად მხოლოდ XVII საუკუნეში ფიზიკოსმა მარიოტმა ახსნა. ამჟამად მეცნიერებაში დადგენილია, რომ ის არ წარმოადგენს გარკვეულ ეტმოსფერულ პირობებში სხივების გარდატეხით წარმოქმნილ შხის გამოხატულებას, ნამდვილი შხის მეორე სფეროს, დედამიწისათან ახლოს მდებარე პერის ნაშინ შრეებზე ან ღრუბლებზე, რომელიც საესებით სრული სახით, თუმცა იშვიათად, ჩვენთვის ცნობილ რეალურ შესთან ერთად იხილება. ასეთი ორი მზე, სამი მზე, ორი მზე და მთვარე, ოთხი მზე საესებით რეალური მოვლენაა, ჩვეულებრივი დაკვირვებითაც შეინიშნება და თანამედროვე ასტრომეტრიული ოპტიკის მონაცემებით წარმოადგენს ე. წ. პარელაისა და ვალის მოვლენას და

მეცნიერებაში ცნობილია შხის ირრეალება სხივოსანი წრეების, ან ცრუ მზეების სახელით.

აქედან ცხადია, რომ სწორედ ეს მოვლენები საიდუმლო რეორც პოეტურ შრეებში ასტროლოგი მეტაფორების შექმნისა, ისე იგორის ლაშქრობაში მოხსენიებული ოთხი შხისა, რუსთაველმა და იგორის ლაშქრობის ავტორმა უთუოდ იცოდნენ ამ მოვლენების არსებობის შესახებ. მათ იცოდნენ ცრუ მზეების არსებობა, რამდენადაც შესაუკუნეობრივი საზოგადოებრივი ურადღება ასეთი მოვლენების ახსნისადმი იყო განსაკუთრებით მიპყრობილი და, როგორც ვნახეთ, სწორედ მეთორმეტე საუკუნეა ცნობილი ცრუ მზეთა გამოჩენით.

ამრიგად, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, ეს ცრუ მზეთა მოვლენა უდევს საიდუმლო პოეტურ მეტყველებაში რამდენიმე შხის გამოხატულებას, სულერთია, ის მეტაფორა იქნება თუ რეალური ამბავი. აქ ძირითადია, რომ ის არაა მწერლის ფანტაზია, არც როგორც სიმბოლო, არც როგორც მეტაფორა. რუსთაველისათვის ის მხოლოდ შედარების მასალაა, იგორის ლაშქრობის ეტორისათვის კი ნამდვილი ამბავი.

აღსანიშნავია, რომ რუსთაველისათვის ეს მასალა ლიტერატურულად იყო ნაცნობი, როგორც მეტაფორა. ის ქართულ პოეტურ მეტყველებაში მინამდვილ არსებულა. იოანე მტბევეარის ერთ საგალობელში ეხედებით ასეთ ადგილს:

„ეთარცა მთვარეჲ შორის ორთა მზეთაჲ, რაც რუსთაველის შემდეგი მეტაფორის წყარო უნდა იყოს:

„კვენდა თუცა შეყრილიყვენს, ორი მზენი, ერთი მთვარე“.

ის მოიპოვება ილარიონის „დასდებულშიც“:

1 ვრცელად ცრუმზეთა პოეტურ მეტყველებაში გამოყენება—შინაშენლობის შესახებ იხილეთ: Г. И. Имедашвили, четыре солнца в „Слове о полку Игореве“, კრებულში: „Слово о полку Игореве“, Сборник исследований и статей под редакцией члена—корреспондента АН СССР В. П. Адриановой—Перетц, Академия Наук СССР, Институт русской литературы (Пушкинский дом); Москва—Ленинград, 1950, გვ. 218-225. იგრეთვე ჩემი: ორი მზე ვეფხისტყაოსანში. „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. VI, 1950, გვ. 133-143.

2 პავლე ინგვროყევა, ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, 1913, გვ. 91. მსგავსი პარალელების შესახებ ქართულ მწერლობაში იხილეთ ჩემი: „ვეფხისტყაოსნის პარალელები შეთვსაუკუნის ქართულ პიშნოგრაფიაში, ლიტერატურული ძიებანი, 1944, II, გვ. 209.

1 ს. პროფ. П. И. Броунов, Атмосферная оптика, М., 1924; А. Панов, Жизнь Атмосферы, 1926.

„ვითარცა ორთა შვეთა შორის ღვთიე
ბრწყინვალე მთიები აღმოჰქდა“¹.

ამ მხრივ საყურადღებოა, რომ „ორი შვე“
ენობლია ყოფილა საერო შერელობაშიც.
ვისრამიანში ლაპარაკია ხორასანში ამოხელი
ორი მზის შესახებ. სამშობლოში დაბრუნებულ
ვისზე ნათქვამია: „შენთვის ხორასნით ორი
მზე გამოხელა—თქო“². მას ვხედებით „სიბრძნე
ბალავარისას“ არაბულ ვერსიაშიც: „არის ორი
მზე, რომელიც აღმოვლენ და არც ერთი მეო-
რეს არ ჩამოეფარდება ბრწყინვალე სინათლის
უნახლვარებაში“³. ამ ორ მავალითში შედარების
მასალა ცრუ მზეთა მოვლენაა, მისი შინაარსი
კი, მისთვის ძველი ტრადიციით მინიჭებული
სილამაზისა და ზედნიერების მნიშვნელობა.

მაგრამ უფრო საყურადღებოა ფაქტი, რომ ის
მოთხოვნა ქართულ ფოლკლორშიც. გველის
მკამელის ხეცსურულ თქმულებაში, თ. ნარო-
ზაულის თქმით, მინდიაზე აღნიშნულია: „ხო-
გაის მინდ იყვ არხობიდან. მინდი რა დაბადე-
ბულას, ორი მზე მდგარას ცაზე“⁴. ეს საინტერე-
სო ფაქტი იმას მიუთითებს, რომ ხეცსურთა
რწმენაში ორი მზის გამოჩენა ბავშვის დაბადე-
ბისას ბედნიერების მომასწავებელი ნიშანი ყო-
ფილა. ეს რეალურ შემთხვევად მიჩნეული ასტ-
როლოგიური მოვლენა, ხეცსურულ ყოფაში შემონა-
ხელი, ჩვენს მიერ აღნიშნული ასტროლოგიურ-
ი ტრადიციის გადმონაშთი ჩანს. მისი საფუ-
ძველიც რომ პარელიისა და ვალის მოვლენაა,
უფრო დამაჩვენებლად ჩანს ამ ხალხური თქმუ-
ლების სხვა ვერსიით. ბაბუა ჭინჭარაულის
თქმით: „როდესაც მინდია გაჩენილას, ცაზე ორი
მზე მდგარას. მის ვაჭენის მერე ერთი მზე და-
მრჩალას, ერთი ქვე გამქრალას“⁵. ამ ვარიანტ-
ში სანალოგიოდ მეტად მნიშვნელოვანია ის
შემოქმეტი, რომ აქაც ლაპარაკია მზეთა ვაჭრო-
ბაზე, როგორც იგორის ლაშქრობაშია.

ველა ამის შემდეგ ცხადია, რომ იგორის
ლაშქრობაში ლაპარაკია ნამდვილად ოთხი მზისა
და ნამდვილად ორი მზე მთავარის გამოჩენის
შესახებ, რასაც ბრძოლის წინ ჰქონდა ად-
გილი. იგორის ლაშქრობის ავტორი მათ ავგი-

წერს, როგორც რეალურ ფაქტებს, ისე, რო-
გორც ის აღწერილი აქვთ რუს მემორიანებშიც.
პარელიისა და ვალის ამ მარტოვენიან-დაკავ-
შიერებითვე ეძლევა ახსნა ავტორთა „Два стола-
на“-ს და ეპითეტად მიჩნეულ „Синий“-ს, რომელ-
ნიც ოპტიკურად იხილვებიან ცრუ მზეებთან
ერთად, იგივე წარმოშობა აქვთ და არაერთი
სიმბოლოს არ წარმოადგენენ. ერთადერთი არ-
რეალური ხაზი ასტროლოგიური მოვლენათა დაბა-
ტვაში პოემის ავტორისათვის, ვაგრცელებული
ასტროლოგიური თეალსაზრისია, რომლის მიხედ-
ვით, ეს მოვლენები ვაგებელი აქვს როგორც
ცული დასასრულის მარწყვებელი ნიშანი, რა-
შეიც ეს ამქვეყნებს თანადროული იდეოლოგიით
განსაზღვრულ თავის პიჩად ვაწყობილებას.
ამიტომაც, რომ ოთხი მზის გამოჩენისა და ჩაქ-
რობის აღწერას უშეალოდ მოსდევს ავტორის
შინის გამოშატვრული მომავალი საბედისწერო
ბრძოლის ვარდუელობის სიმბოლიზაცია:

„Быть грому великому! Ити дождю стрелам
с Дону великого! тут коням преломиться,
тут саблям пощербиться о шлемы половец-
кие на реке на Каяле, у Дона великого“
(გვ. 79).

ამიტომაც, ვეფხისტყაოსნისისაგან განსხვავებით,
აქ ისინი მეტაფორებს არ წარმოადგენენ, რის
გამოც შეუძლებელია მათში ოთხი, ან ორი რუ-
სი თვადი იველისმებოდეს. ისინი ოხრობის
სიტუაციით და პოეტური მეტყველების სპე-
ციფიკით მეტაფორები არ არიან, რადგან შე-
უძლებელი იყო დამარცხებულ მომრევი, რომ-
ელთაც ვერ გაამართლეს იმედი, პოეტს მზეე-
ბისთვის შეედარებინა. ავტორი ხომ არც ერი-
დება მათდამი საყვედურის გამოთქმასაც, რომ-
ელთაც საკუთარი სიამაყის გრძნობას შესწი-
რეს რუსთა მხედრობის წინასწარ საბედისწე-
როდ ვაწყობილ ლაშქრობა. ვერ შეადარებდა
პოეტი ამ მომრევის ასტროლოგიური ეპითეტებს კი-
დეც უფრო იმპროვ, რომ მამინ ვაგრცელებუ-
ლი მეტაფორიზაციის ტრადიციის მიხედვით,
ისინი ავტორმა, სწორედ ამ ადგილას უკვე შეა-
დარა შევარდნებს, რომელთაც მტრებმა ფრთე-
ბი მოაქვეყნეს: „се бо два сокола съелъта
съотни стола злата поскати града Тмут-
ороканя, а любо испити шеломом Дону.
Уже соколома крилица припешали поганых
саблям, а самою опуташа в путини желез-
ни“ (გვ. 25). ეს შედარებანი შევარდნებთან, დ. ს.
ლისაზოვის მნიშვნედი, გეგმატავენ შევარდნით
ნადირობის მამინ ვაგრცელებულ რუსული ყო-
ფის სურათებს, მასთან დაკავშირებული ტერმი-
ნოლოგიით⁶.

უფრო მეტად სათუთა, ორი ისეთი პიროვნე-
ბა — იგორის შვილი ელაღიმირი და სეიატოს-

¹ Слово о полку Игореве (историко-
литературный очерк), გვ. 294.

¹ ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელ-
ნაწერი აღაპებით, 1901, გვ. 191.

² ვისრამიანი, 1938, გვ. 95.

³ Повесть о Варлааме и Иосафе, АН
СССР, 1947, გვ. 58.

⁴ ა. ვაჩეჩილაძე, ვეფ-ფშაველას „გველის
მკამელის“ წყაროს შესახებ, ი. გოგებაშვი-
ლის სახელობის თელავის სახელმწიფო სამს-
წავლებლო ინსტიტუტის შრომები, I, თელავი,
1947 წ. გვ. 56.

⁵ შალვა არაბელის მიერ ჩაწერილი ხეცსუ-
რული თქმულება გველისმკამელ მინდიაზე, 93
წლის ბაბუა ჭინჭარაულის თქმით (ა. ვაჩეჩილა-
ძის მასალები).

ლავ ოლეგის ძე, რომელთაც ბრძოლაში მონაწილეობა არც მიუღიათ, პოეტს შეეძარება მხედაობისა და გამოთქმები აქ არაა ფანტაზიის ნაყოფი, არამედ რეალური სურათის ასახვა, რომლის არ დანახვა და არ აღნიშვნა არ შეეძლო ავტორს. ვასაგებია, რომ ავტორი, რომელიც უშუალო მონაწილეა ამ ტრაგიკული ლაშქრობისა, შეტყუებული იყო ამ ისტორიული მოვლენებით, რის კვალიც, საერთო შემოფოტების ტონი მიუღ ძეგლს შესამჩნევად ატყვია. აქედან ეხადია, რომ იგორის ლაშქრობის ავტორი რუსთა დამარცხებას ხსნის იმ გარემოებით, რომ იგორმა ანგარიში არ გაუწია ვაფრთხილებას, რომელიც მას განგებამ ოთხი მზის სახით ამცნო. ძეგლს დასაწყისშივე ხომ ვარკვევითაა აღნიშნული კიდევ სხვა ასტრალური ჩვენება, რომელსაც ამ შემთხვევაში ვერავითარი სიმბოლიზაცია ვეღარ ახსნის: „Тогда Игорьъ възре на светлое солнце и виде отъ него тьмою вся своя вояя прикрыты“. მაგრამ საბელის მოხვედრის სურვილით გათამამებულმა იგორმა ამ ჩვენებას ანგარიში არ გაუწია. იმის მაგიერად, რომ გონიერულად განესაჯა თავის მხედრობის არახელსაყრელი მდგომარეობა სამიერის მხრივ, თან სასწაულებრივი ჩვენებაც მიეღო მხედველობაში და უკან დაბრუნებულყო, გამარჯვების მოლოდინით გონებადაბნელებულმა, რუსებს მოუწოდა ან დაბოცილიყვნენ, ან დონის წყალი დაეღოთ, ესე იგი, შეპბმოდნენ უიეჩადებს. ასეთი ჩვენე-

ბანი კი, ავტორის თქმით, მას არავრთხელ გამარცხდა: „Солнце ему тьмою путь заслупаше“. ეს დიხნელებანი საერთო ძეგლში ოთხივე ორ მხესთან, სვეტებთან, მებსთან, ღრუბლებთან, როგორც რეალურ ასტრალურ მოვლენებთან.

სწორედ ბრძოლას დღეს ამ ასტრალურ მოვლენებს რომ არ ჰქონოდათ ისტორიულად ადგილი, იგორის ლაშქრობის ავტორს აზრადაც არ მოუვიდოდა ოთხი მზე ესსენებნა. მაგრამ რაი ეს მოხდა და რუსობაც დამარცხდა, პოემის ავტორმა თავისი პარტიოტული გრძობის დამკაფიოტლებისათვის, დიდი დამარცხების ლოგია ასტრალურ ჩვენებაში დაინახა.

ამრავად, იგორის ლაშქრობის პოეტური ენის საფუძველი უფრო მეტად სადა და ვასაგებია, მთელი პოემის მიზანთან და განწყობილებასთან ახლო მდგომი, ვიდრე ეს ჩანს თავისთავად, ან ეჩვენება ზოგიერთ კომენტატორს.

აქ ასტრალური სინამდვილე ნახული რეალობაა, ისტორიული ფაქტია, რომელიც არ შეიძლება მეტადორა-სიმბოლოდ და ალეგორიად გადავაქციოთ, რადგან ის ავტორს ისე არც ჰქონია ჩაფიქრებელი. ვეფხისტყაოსანში კი, მისგან განსხვავებით, ასტრალური მოვლენა პოეტურ ასპექტშია გადატეხილი. მისი ასტრალური სახეების რეალური საფუძველი იფიგია, რაც იგორის ლაშქრობის ასტრალური სურათებისა და გამოთქმებისა. მაგრამ რუსთაველი მათ იყენებს მეტადორის მასალად, რისი ტრადიციაც ჭართულ პოეზიაში გაცილებით აღრე იყო შემოშეგებულ.



ივ. სარგლავაძე

რუსთაველის პოლიტიკურ შეხედულებათა შესახებ

ვეფხისტყაოსანი არ არის იურიდიული ტრაქტატი, ის მხატვრული ნაწარმოებია და ასეთი ნაწარმოებიდან არც მოველით იურიდიული საკითხების განხილვას. მაგრამ შოთა რუსთაველი გარკვეული ეპოქის შეილია და მისი პოემა ასახავს ამ ეპოქის სინამდვილეს. ამასთანავე, ზოგჯერ შემთხვევაში ნამდვილად მხატვრული ნაწარმოებები მეტ საშუალებას იძლევა ნაწარმოების ეპოქის შესასწავლად. ვიდრე ამავე ეპოქის ისტორიკოსებისა ან ეკონომისტების ნაშრომები; გენიალურ მხატვრულ ნაწარმოებში სინამდვილე ისე გამოკვეთილად, შევლილ არის წარმოსახული, რომ ასეთი ნაწარმოები ამა თუ იმ პერიოდის ერთგვარი სარკეა კიდევ¹.

შოთა რუსთაველის შემოქმედება XII საუკუნეს ასახავს.

რამდენადაც სახელმწიფო და სამართალი ავტორის თანადროულობის, მისი გარემოს, მისი ასახავი ცხოვრების შემადგენელი ნაწილია, ამდენად მოსალოდნელი იყო, რომ ამა თუ იმ სახით ამ ნაწილსაც ებოვა გამოხატულება მის ნაწარმოებში და ამის შესაბამისად გამოვლინებულყო ავტორისეული შეხედულება სამართლის ამ თუ იმ საკითხზე. ჩვეულებრივად, მხატვრული ნაწარმოების ავტორი პოზიტიურად არ გამოთქვამს თავის მოსაზრებას საკითხზე, მაგრამ მისი შეხედულება, შესაძლებელია, მაინც გასაგებ იყოს ავტორის დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულებიდან მოვლენისადაც.

შოთა რუსთაველი თავისი ეპოქისათვის დამახასიათებელი ცნებებით ვაღმოკვეცემს ამა თუ იმ საგნის განმარტებას. ეს ცნებები არა მარტო ვეფხისტყაოსანშია, არამედ ვეფხისტყაოსნის ეპოქის სხვა ნაწარმოებებში, ისტორიული შინაარსის შრომებში, სივლეებში და სხვა ხასიათის ძეგლებში.

ვეფხისტყაოსანში საუბარია იმის შესახებ, რომ გულანშაროში მისული ეპურები, თავიანთი

საქონლის ნაპირზე გადასახილად ჰქირაობდნენ მუშებს: „მოსახნეს კაცნი შიდაგნი, დამიხდებულნი დრამითა“ (1062,3).

თვით ფაქტი დაქირავებული შიდაგის შესახებ, საუფრადღებოა. ავტორმა აღნიშნა ეს, მაგრამ მისი არავითარი მიმართება ამ მოვლენისადმი არ ჩანს; ავტორის მიერ მიზნით შიდაგი მოხსენებულია ქალაქის ცხოვრების აღწერილობის ერთ-ერთ კომპონენტად, ამ აღწერილობაში პოეტისათვის მიზნით შიდაგი იმდენად არის საჭირო, რამდენადაც ქალაქი ამ შემთხვევაში ვეფხისტყაოსნის ერთ-ერთი გმირის ავთანდილის სამოქმედო სარბილია; ავტორის მიზანი აქ ის იყო, რომ ეჩვენებინა მეგობრისათვის მეტროლი ავთანდილი, რომელსაც მრავალი დაბრუნების გადაღახვა უხდება ნესტანის მოსაძებნად. რასაკვირველია, თვით ქალაქის აღწერა ფრიალ საუფრადღებოა იმდროინდელი ეპოქის შესასწავლად. ამასთან, ავტორი ქალაქის ცხოვრების აღწერისას, კერძოდ, ეპურებისა და ეპურების მიმართ, კიდევ გამოავლენს თავის დამოკიდებულებას, თავის სიმპათია-ანტიპათიას; პოეტს ეპურების მეგობრებთან შეხვედრა ისე აქვს ვადმოცემული, რომ ეპურები შშიშრებია (1038,2) და ამ შემთხვევაში ავთანდილი პირდაპირ გამოთქვამს ასეთ შეხედულებას ეპურებზე: „თქვენ ეპურნი ვახანნი ხართ“ (1040,1).

საერთოდ, ფეოდალური არისტოკრატია მადლიდან უცქეროდა ეპურებს და თავილობდა მის საქმიანობას. ამ შემთხვევაში რუსთაველიც მალა არისტოკრატის სულისკვეთებას გამოხატავს.

აულოთ სხვა მაგალითი. ვეფხისტყაოსანში „სანაპიროს“ (149,1, 163,3) იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც თამარის მეორე ისტორიკოსის შრომის: ეს იყო სანაპირო ქალაქი-ციხეები სამეფოს საზღვრებზე, სანაპირო ციხეებს დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ვეფხისტყაოსანში, ისე ქართულ ისტორიულ წყაროებში. რუსთაველს „სანაპირო“ ნახსენები აქვს ავთანდილის ინდერში, როგორც ფაქტი, რომლისადმი არავითარი მიმართება ავტორისა არა ჩანს. მაგრამ თვითონ

¹ K. Маркс и Ф. Энгельс, ტ. 37, 1965 ვვ. 36; K. Маркс и Ф. Энгельс, Об Искусстве, ტ. 1, 1957, გვ. 528. ლენინი, თხზულებანი, 15, მეოთხე გამოცემა, 1950, გვ. 236-245; 16, მეოთხე გამოცემა, 1951, გვ. 402.

¹ „ქართლის ცხოვრება“, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, II, 1959, გვ. 129.

ეს ცნება ფრად საურაღდებოა იმ მხრივ, რომ ეს ქართული ისტორიული სინამდვილისათვის არის ნიშანდობლივი.

ვეფხისტყაოსანში გვხვდება, აგრეთვე, ისეთი სახელები, ცნებები, რომელთაც არც საქართველოს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების შესწავლისათვის აქვთ მნიშვნელობა და არც შოთის შეხედულებათა შესასწავლად. ასეთია, მაგალითად, ამირბარი; თუ ამირბარი ქართულ სახელმწიფოებრივი წყობილების მოხელე არ იყო (ჩვენ გვგონია, რომ ის არ იყო საქართველოს მოქმედი სახელი), მაშინ ის საქართველოს სახელმწიფო წესწყობილების შესასწავლად არ გამოიყენება, მეორე მხრივ, ავტორი არავითარ მიმართებას ამ სახელსადმი არ აცდენს.

მაგრამ ზოგიერთი ინსტიტუტი ვეფხისტყაოსანში იმგვარად არის მოცემული, რომ ერთი მხრივ, ის ქართული სახელმწიფოებრივი წყობილების შესატყვისია, და მეორე მხრივ, იმ ინსტიტუტის შესახებ ავტორის შეხედულება არის მოცემული, მაგალითად, მეფობის ინსტიტუტი: ავტორს გადმოცემული აქვს მეფის ფუნქციები, მეფის ხელისუფლების დამოკიდებულება მოხელეებთან, დიდებულებთან და სხვა, და ამასთან დაკავშირებით ავტორი აცდენს თავის დადებით შეხედულებას მეფის ძლიერ ხელისუფლებაზე, გაერთიანებულ, ცენტრალიზებულ სახელმწიფოზე. ვეფხისტყაოსანში ავტორი გამოთქვამს თავის შეხედულებას ხალხთა და სახელმწიფოთა მეგობრულ დამოკიდებულებაზე, ტახტის მემკვიდრეობაზე, ურთიერთ სიყვარულზე დამყარებულ ქორწინებაზე და სხვა.

ამრიგად, მასალა სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ ვეფხისტყაოსანში მოცემულია შემთხვევით, ეპიზოდურად, პოემის სიუჟეტის განვითარების მიხედვით.

საურაღდებოა აღინიშნოს, რომ მსოფლიოში ცნობილი გენიალური ავტორების შემოქმედება ხშირად ყოფილა იურისტების შესწავლის ობიექტი: ამ მხრივ აღსანიშნავია შექსპირის, გოეთეს, შილერის, ლესინგის და სხვების ნაშრომები; ამ ნაწარმოებთა შესახებ დიდალთ იურიდიული შინაარსის ლიტერატურა არსებობს, რომელშიც განხილულია სახელმწიფოსა და სამართლის საკითხები. მაგალითად: იურისტების მიერ გამოთქმულია შეხედულება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეფასდეს პაპუტის მიერ წერილის შეცლა როზენკრანცისა და გილდენსტერნის დაღუპვის მიზნით (იყო აქ აუცილებელი მოვერიება თუ სხვა რამ?). აგრეთვე რას წინმოადგენს სამართლის თეატრალიზაციის შეიღობისა და მეფისტიველის მიერ დადებული ხელშეკრულებანი და სხვა!

იურისტი იერიწვი შექსპირის შრომებში განხილვისას წერს: პოეტს შეუძლია შექმნას თავისი საკუთარი იურისტადუნეცია, და ჩვენ არ ვნანობთ, რომ შექსპირმა გააკეთა ეს ამგვარად და არა სხვაგვარად. მხატვარი ნაწარმოების ავტორის საქმეა, თუ როგორ იურისტადუნეციას შექმნის ის, მაგრამ იურისტი კი, რომელიც შეუდის მხატვრის მიერ შექმნილ იურიდიულ სამყაროში, ვერაფერს იქ ვერ შეცდის, მხოლოდ ამ სინამდვილეს თავის საკუთარ, იურისტის საზომს და თვალსაზრისს მიუყენებს!

რასაკვირველია, სახელმწიფოს საკითხები ვეფხისტყაოსანში უფრო ფართოდ არის წარმოდგენილი, ვიდრე სამართლის.

შოთა რუსთაველის შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე პროგრესულია, ის გამაზრკელია ჰუმანიზმით.

რუსთაველი ფეოდალური ეპოქის შვილია. ეს არის ეპოქა, როდესაც იდეოლოგიური ბრძოლა ხშირად რელიგიური დროში სწარმოებს, როდესაც აღამიანის აზრი შებოჭილია რელიგიური ცრურწმენებით, სკოლასტრიზმით. ასეთ ეპოქაში გაბედულად გაისმა გენიალური პოეტის ხმა, რომელიც აღამიანის ამქვეყნიურ ბედთერებას უგალობდა.

რელიგიის მიერ აბუხად აგდებული მატერიალური სამყარო, ხორციელი აღამიანი, მისი გონება და ღირსება არის ვეფხისტყაოსნის ავტორის სიყვარულის საგანი. რუსთაველს უყვარს აღამიანი, სეგრამ მისი გონების.

პოეტმა ფეოდალური აშლილობისა, დაქუცმაცებისა და აქედან გამომდინარე უწესრიგობის ვითარებაში წამოაყენა იდეა გაერთიანებულ, ცენტრალიზებული ფეოდალური სახელმწიფოსი, რომლის სათავეში დგას გონიერი, კანათლებული და ძლიერი მონარქი. ცენტრალიზებული, ძლიერი სახელმწიფო, პოეტის აზრით, უნდა ემყარებოდეს პატრიონულერ ერთგულებასა და სიყვარულს.

რუსთაველის შეხედულებით, მეფე ყოველმხრივ შემკულია: ის უნდა იყოს არა მარტო გონიერი და სამართლიანი, არამედ ფიზიკურადც უნაყო, კარგი ორატორი, ნიჭიერი მხედართმთავარი, იშვიათი მონადირე, შეუდარებელი ცხენოსანი, უებრო რაინდი, უსჯი, მშვეობლივი, კარგი მისამართლე და სხვა. ასეთი მეფე ყველასათვის საყვარელია, ამიტომაც უნდა იყენდ მისთვის თავდადებულნი.

ამ შემთხვევაში რუსთაველის შეხედულებანი ერთგვარ წინააღმდეგობასთან გვაქვს საქმე.

ერთი მხრივ მეფე ზეკლასობრივი პიროვნებაა, რომელიც ყველასათვის ერთნაირად ზრუნავს, მეფე როსტკვეანი ასე არაგებს თინათინს:

1 Проф. Н. Колер, Шекспир, с точки зрения права, 1896, с. 162-171.

1 Jhering Rudolf, Der Kampf ums Recht, 1880, с. 58.

„ვარდთა და ნებეთა ვინათგან
 შვე სწორად მოეფინების,
 დიდთა და წვრილთა წყალობა.
 შენცა ნუ მოგეწყინების“ (49,1—2);

ვეფხისტყაოსნის მიხედვით ინდოეთსა, არა-
 ზეთსა და შულაზანზარში დამყარდა ბედნიე-
 რი ცხოვრება:

„უოკლთა სწორად წყალობასა ვითა
 თოვლსა მოათოვდეს,
 უბოლქვრივინი დაამდიდრნეს და გლახანნი
 არ დახოვდეს,
 ივის მშენელნი დაამინნეს, კრავნი კრავთა
 ვერ უწოვდეს,
 შივან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი
 ერთად სძოვდეს (1664).

ამავე დროს, შოთა რუსთაველი თვითვე ამ-
 ზობს, რომ „კაცი არ უველა სწორია“ (952, 4),
 რომ ერთის ბედნიერება მეორის უბედურებაზეა
 აგებული:

„ღმერთმა ერთი ვით აცხოვნოს, თუ მეორე
 არ წაწყვიდოს“ (306, 3).

ვეფხისტყაოსანში ის აზრია გატარებული,
 რომ საზოგადოების დანაწილება არათანასწორ-
 უფლებიან ფუნებად დამყარებული საზოგადო-
 ებრივი ფუნქციების დანაწილებაზე: ერთი მეო-
 შარია, მეორე მუშაკი, მიწის მუშა:

„მუშა მიწყავ მუშაკობდეს, მეომარი
 ვულავნებდეს“ (11,2);

ერთის მეომრობა და მეორის მუშაკობა იმთა-
 ვითვე არის განსაზღვრული, და ასეთ ბედს
 უველა უნდა დამორჩილდეს (ამ იდეამ შემდეგ-
 ში, XIX საუკუნეში, მიიღო „ხმლისა და გუთ-
 ნის“ დაკავშირების სახელწოდება და მას თერგ-
 დაღუღულები იცადენენ).

ვეფხისტყაოსანში ძირითადად წარმოდგენი-
 ლია ფეოდალური საზოგადოების მაღალი ფენა:
 მეფე, მისი ვასალი, ვასალის ვასალი. უფრო
 წვრილი ფეოდალები და მშრომელი მასების
 წარმომადგენლები ეპიზოდურ როლებში
 ვხვდებით, ან იგულისხმებთან.

ვეფხისტყაოსნის მიხედვით, ფეოდალური სა-
 ზოგადოების უფრო დაბალ საფეხურზე მდგომნი
 თავს უნდა სწირავდნენ ამავე საზოგადოების
 უფრო მაღალ საფეხურზე მდგომთ. ყველაფერი
 ეს ეწინააღმდეგება იმას, რომ თხა და მგელი
 ერთად სძოვდეს, რომ მეფე ყველას ერთნა-
 ირად ემსახურებოდეს და სხვა.

მაგრამ ვეფხისტყაოსნის მიხედვით ადამიანთა
 დამოკიდებულება ჰუმანური უნდა იყოს, მეფე
 ქვეშევრდომებისათვის უნდა ზრუნავდეს. მეფე
 რამაში სთხოვს ტარიელს, რომ იოდონ ლაშქარს
 წუ დაეხოსყავს, თვითონ ის და მისი მზღებლები

დასაჯოს (1611). ფრიდონი მელიქი მეფესუბა-
 რომ ქაჯეთის ციხის აღებას მისი ლაშქარი შე-
 ეწერა (1452,2).

ვეფხისტყაოსნის მიხედვით, ქვეშევრდომთა-
 რი ბედით არის განსაზღვრული, მაგრამ ადამი-
 ანმა უნდა იბრძოდეს, ეცადოს (903), რადგანაც
 ლინის მოქა „ჭირთა“ გარეშე „უშუშაკოდ“ არ
 შეიძლება (879), რომ „ვარდნი უეკლოდ არავის
 მოუქრებთან“ (877,4).

მეფე გონიერად უნდა განაგებდეს სახელმწი-
 ფოს. ამასთანავე, მისი ვაზირებაც თავიანთ მო-
 ქმედებაში გონიერებას უნდა ემყარებოდნენ.
 გონიერება შეერთებული განათლებასთან, ცოდ-
 ნასთან, ცდა-ვარჯისთან, უნდა იყოს საფუძველი
 სახელმწიფოს გამგებლობისა. გონიერი და გა-
 ნათლებული მონარქი არის, აგრეთვე, ამოსავალი
 პატრონყმური ერთგულება-სიყვარულისა. გო-
 ნიერება, განათლება მჭიდროდ არის დაკავში-
 რებული სამართლიანობასთან.

ვეფხისტყაოსნიდან სწორედ ის აზრი გამო-
 დინარტობს, რომ თავისთავად მეფე კი არ არის
 პატივისცემისა, სიყვარულისა და ერთგულების
 საგანი, არამედ ისეთი მეფე იმსახურებს სიყვარ-
 რულსა და ერთგულებას, რომელიც გონიერი,
 განათლებული და სამართლიანია, თუ მეფეს ეს
 თვისებები აკლია, ასეთ შემთხვევაში ის არ არის
 მეფობის ღირსი.

რუსთაველი კატეგორიულად გმობს ფეოდალ-
 თა ურჩობას, მათ განეკრობებასავე მისწრაფე-
 ბას. ამავე დროს, რუსთაველის აზრით, თუ მეფე
 არ არის სამართლიანი, გონიერი, მაშინ ქვეშევრ-
 დომი მას არ უნდა დაემორჩილოს. ტარიელისა
 და ნესტანის აზრით, ფარსადანმა უსამართლობა
 წილად, როდესაც სიძედ, ე. ი. ნესტანის საქმ-
 როდ, ზეარაზმას შვილი მოიწვია, ამის გამო
 ტარიელმა სასიძო მოკლა, რაც ნიშნავდა ფარ-
 სადანის წინააღმდეგ აჯანყებას.

ეთანდლიმა გადაწყვიტა წასულიყო ნესტანის
 მოსაძებნად. ამისათვის ნებადათვა სთხოვა როს-
 ტევანს, როსტევანმა არ დაართო წასვლის ნება.
 ეთანდლი არ დაემორჩილა მეფეს და წავიდა.
 ეთანდლის აზრით, ის მიდიოდა მშობილის და-
 სახმარებლად; მშობილის დახმარება, მისთვის
 თავდადება კი, ვეფხისტყაოსნის მიხედვით, არის
 ადამიანის უმაღლესი მოწოდება. როსტევანი,
 ეთანდლის აზრით, არ მოქცეა სამართლიანად,
 გონიერად, როცა არ მისცა ეთანდლის მშობი-
 ლის დასახმარებლად წასვლის ნება.

მამასადავმე, თუ მეფე უსამართლოა, არ განა-
 გებს საშეფოს გონიერების საფუძველზე, არის
 ტირანი, მაშინ ქვეშევრდომს შეუძლია მას არ
 დაემორჩილოს.

მართალია, ვეფხისტყაოსანი ტირანი მეფის
 წინააღმდეგ ხალხის აჯანყების უფლებამდ არ
 მისცემს, მაგრამ მეფისადმი ქვეშევრდომის არ-
 დემორჩილებას იდეა, რომელიც მოცემულია
 პოემაში, თავისთავად პირველად და ნიადაგს

უმზადებს მეფის წინააღმდეგ ხალხის აჯანყების უფლების იდეას.

სახელმწიფოს საფუძვლად გონებრივი საწყისის გამოცხადებით რუსთაველმა განამტკიცა ადამიანის რწმენა თავისთავისადმი, საფუძველი ჩაეყარა ზემოთხსენებრივ ძალებზე კრიტიკულ შეხედულებას და რაისთავისა და თავის გონების მოიმიდევ ადამიანს გზა გაუხსნა მეცნიერული აზროვნებისაკენ, ჩამოიფეხა ადამიანი ზეციდან ამ ქვეყანაზე, დაუსხა მას ცხოვრებისეული მიზნები და ამ მიზნების მიწიერი განზორციელების საშუალებანი.

ეს იყო უდიდესი პროტესტი შუა საუკუნეების სქოლასტიზმის წინააღმდეგ მიმართული. თავისთავად შოთა რუსთაველის ასეთი შეხედულება სახელმწიფოზე გამოშლინარების მისი საერთო მსოფლმხედველობისაგან.

სახელმწიფო, ვეფხისტყაოსნის მიხედვით, აშენებულია გონიერებაზე, ხოლო გონიერი ადამიანები ცხოვრობენ, იბრძვიან, მოქმედებენ ურთიერთ-სიყვარულითა და მშობა-შეგობრობით. ადამიანი ადამიანისათვის თავდადებულია. ვეფხისტყაოსნის გმირები იფიქრებენ თავის პირადულ და მშობა-შეგობრისა და სიყვარულისათვის თავს სწირავენ. ამ იდეით ვეფხისტყაოსანი ეხმარება დღევანდელობას.

შოთა რუსთაველის აზრით, ცოლ-ქმრობა აშენებული უნდა იყოს პირად დახლოებაზე, ურთიერთ სიყვარულზე. ამიტომ ყოველგვარი პოლიტიკური თუ სხვაგვარი ინგარიში, რომელიც ხშირად განაპირობებდა ფეოდალურ საზოგადოებაში ცოლ-ქმრობას, ვეფხისტყაოსნის მეტე უარყოფილია. ამ შემთხვევაში, პოეტის აზრით, ადამიანს არაფერი წინ არ უნდა ედობებოდეს. ეს იყო პიროვნების, მისი სიყვარულის განთავისუფლების უაღრესად პროგრესული იდეა. მაგრამ ადამიანის ურთიერთ სიყვარული და მშობა-შეგობრობა შოთა რუსთაველმა ცოლ-ქმრულ სიყვარულზე მალა დააყენა. შოთა რუსთაველი ადამიანის დანიშნულებას, მის მაღალ მოწოდებას ხედავს მეგობრობასა და მშობაში.

ეს იდეა აღესაყვებოდა ძვირფასი იქნება ყოველთვის, სანამ კაცობრიობა არსებობს.

პროგრესული იდეა წამოაყენა შოთა რუსთაველმა ქალის და მამაკაცის როლის შესახებ საზოგადოებრივისა და სახელმწიფოს ცხოვრებაში. ვეფხისტყაოსნის გმირი ქალები უაღრესად დიდებითა და, ამასთან, გონიერნი და აქტიურები არიან. შეიძლება ითქვას, რომ მიუღ რაც საკითხებში ვეფხისტყაოსნის პერსონაჟი ქალები მეტე თაოსნობასაც კი იხიენ მამაკაცებთან შედარებით. ისინი არა თუ მხარში უდგანან მამაკაცებს, არამედ ხშირად ხელმძღვანელობენ კიდევ მათ.

ვეფხისტყაოსნის მიხედვით მეფის ოქანში ქალი და ვაჟი თანასწორია (39). „ლექვი ლოშისა

სწორია, ძე იყოს, თუნდა ზეადია“ (39,4), ეს პოეტს ნათქვამი აქვს თინათინს, მეფის ასულის, მისამართით, მაგრამ თუ შევხედვთ შეხედულებობაში პოემის შინაარსს, აქტიური შეხედულების ქალებზე, შეიძლება ქალისა და ვაჟის ვეფხისტყაოსანისეული თანასწორობის იდეა გავფართოვოთ და ეს იდეა მივეყენოთ ქალისა და მამაკაცის თანასწორობას განსაზღვრულ წრის, განსაზღვრული კლასის ფარგლებში.

აქვე უნდა აღენიშნოთ, რომ ქრისტიანული რელიგიის საწინააღმდეგოდ, რომელიც ქალსა სათანას ხედავდა, რუსთაველის შეხედულებით, ქალში გონიერი საწყისია მოცემული; ეს საწყისი ქალს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების აქტიურ მონაწილედ ხდის. (კიდევ უფრო დაბალი შეხედულებისა იყო ქალზე მაშინდელია, რომელიც ქრისტიანობაზე უფრო მეტად იყო გავრცელებული საქართველოს მეზობელ ქვეყნებში). ვეფხისტყაოსნის ქალი (თინათინი) სახელმწიფოს ხელმძღვანელობასაც კი კისრულობს და ჩინებულიადაც ართმევს თავს მოვალეობას.

ქალის მაღალი უფლებებრივი მდგომარეობა, რომელიც მოცემულია ვეფხისტყაოსანში, ქართულ სინამდვილეს შეესაბამება. თამარის და რუსუდანის, თამარის ეპოქისა და თამარის წინაპერობის ქალების მოღვაწეობა არის ასახული ვეფხისტყაოსანში.

გენიოსმა პოეტმა აღმოაჩინა ხმა ქალის უფლებათა დასაცავად.

ქალის დანიშნულებაზე ასეთი პროგრესული იდეა უაღრესად მნიშვნელოვანია დღესაც. კაპიტალისტური საზოგადოება არსებობის პირობებში.

რუსთაველის პროგრესულ იდეებს შორის, შესაძლებელია, ყველაზე მნიშვნელოვანი იყოს პოეტის შეხედულება სახელმწიფოზე, შეხედულება, რომლითაც უარყოფილია სახელმწიფო შენება სარწმუნოების საწყისზე.

შუა საუკუნეებში ყველაფერი სარწმუნოების სახელით ეთოდებოდა. საუკუნეების განმავლობაში ქართველობის დაეცა ქრისტიანობის დაცვასთან იყო დაკავშირებული. შუა საუკუნეებში სხვა სარწმუნოებისადმი ფანტიკური სიძულვილი საფუძვლად ედო სისხლისმღვრელობებს ხალხებს შორის. ვეფხისტყაოსანში არაერთ უარყოფილია სარწმუნოებრივი შეტრიაკვლობა, არამედ არც კი შეიშინვეა სარწმუნოებრივი მიყრობა. ყოველ შემთხვევაში, ვეფხისტყაოსნის სახელმწიფოებში არ არის გაბატონებული სახელმწიფოებრივი რელიგია, არ არის სარწმუნოებრივი დევნა.

ვეფხისტყაოსანში სარწმუნოებრივი შემარიკვებლობის იდეა საქართველოს სინამდვილიდან არის აღებული.

ცნობილია ის გარემოება, რომ დავით აღმაშენებელი მფარველობდა მუსლიმან პოეტებსა და მეცნიერებს, სპეციალურად მეჩეთში შედიოდა,

რომ ყველასათვის ენევენება თავისი პატივისცემა უცხო რელიგიისადმი.

დავით აღმაშენებელი და თამარ მეფე სპეციალურ პაექრობას მართავდნენ ქრისტიანობისა და სხვა რელიგიის წარმომადგენლებს შორის რელიგიურ საყიბებზე, ხალხი თვითონ თბიჭტური მსაქნელების როლში გამოდიოდნენ.

ვეფხისტყაოსნის პერსონაჟებს ნაციონალური და სარწმუნოებრივი სხვაობა არ უშლით ზღვს ერთმანეთის შეგობრები იყენენ. არაბი ავთანდილი თავს სდებს ინდოელი ტარიელისათვის, შელდუზნაზარელი ფრიდონი, ორთავეს — ტარიელისა და ავთანდილის ძმობილია.

ასევე ქალებიც; არაბი თინათინი ინდოელი ნესტანის დობილია, მისთვის თავდადებული. გულამშროული ფატმანი შოელი თავისი შესაძლებლობით იბრძვის ნესტანის გამოსასხნელად.

შოთა რუსთაველის აზრით, აღამიანს აღამიანი უნდა უყვარდეს, მისთვის თავდადებული უნდა იყოს. აღამიანის სიყვარული, შეგობრობა, ძმობილობა, ყველაფერზე მაღლა დგას ვეფხისტყაოსანში. ძმობა-შეგობრობაში არ იცის არავითარი ზღუდე, ის ყველაფერს გადალახავს. ნაციონალური და რელიგიური განსხვავება ვერ აბრკოლებს აღამიანთა ურთიერთმისწრაფებას; ავთანდილის სიმღერაზე თანაგრძნობით მოვიდნენ: „ინდო-არაბ-საბერძნეთით, მამრიყით და მარბიბელნი, რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი და მისრეთით მეგობტენნი“ (968,3—4).

ვეფხისტყაოსნის მიხედვით სახელმწიფოთა ურთიერთობა დამყარებული უნდა იყოს ურთიერთის ნდობაზე, შეგობრობასა და სიყვარულზე.

ამასთან, საშობლოს სიყვარული, მისთვის თავისდადება, ვეფხისტყაოსნის ავტორის იდეალია. პატრიოტიზმით ერთნაირად არის გამსჭვალული ვეფხისტყაოსნის დადებითი პერსონაჟები, როგორც მამაკაცები, ისე ქალები.

ამ შემთხვევაშიც ვეფხისტყაოსანი დღევანდელობას ემსახურება.

გახსავტორებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ვეფხისტყაოსანი საქართველოს სინამდვილეს ასახავს. ვეფხისტყაოსანში წამოყენებული პროგრესული იდეები ქართული სინამდვილის საფუძველზე შემუშავდა; ეს იდეები სპექტრების განმავლობაში მზადდებოდა ქართული აზროვნების ისტორიაში, რომლის ერთი ნაწილია იურიდიული აზროვნება. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ვეფხისტყაოსანში ბევრი რამ უშუალოდ ხალხის სიბრძნეიდან არის ამოღებული. ბევრი რამ, რუსთაველის ენით რომ ვთქვათ, ვეფხისტყაოსნის ავტორს „ტყვილ ქართულზე“

(710,1) მოუხმენია, ხალხის სიბრძნეიდან სიყვარული და სათუთად ამოუკრეფია.

რუსთაველი თავის ეპოქის უმჯობესეს წინამძღვრულ იდეაში იყო, ის უმჯობესეს იდეაში აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურას.

ქართული კულტურა გამოცალკევებულად, განზოგადებულად არ ვითარდებოდა. კაცობრიობის ისტორიული განვითარების ერთიან პროცესში სხვადასხვა ხალხი ამის მიხედვით ღებულობს მონაწილეობას, რამდენად შეძლებს ის მოწინავე კულტურის პროგრესული იდეების აღთვისებას და თავისებურად ვადამუშავებს. ამის მიხედვით მოწინავე კულტურის შემქმნელი ხალხი მონაწილეობს კაცობრიობის პროგრესულ განვითარებაში, ამის მიხედვით იცვლის გეოგრაფიულად აღვილს კაცობრიობის კულტურის განვითარების კერები.

ქართულმა კულტურამ თავის განვითარებაში შეითვისა საუკუნეების განმავლობაში მოწინავე ხალხთა და აღამიანთა ნაზრევი,

რუსთაველის ეპოქაში და ამ ეპოქის წინ ქართველი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლები საკაცობრიო მნიშვნელობის კულტურულ მოღვაწეობას ეწეოდნენ.

ამასთან, როგორც ვეფხისტყაოსნიდან ჩანს, რუსთაველის შეხედულება სახელმწიფოზე ძირითადად ქართულ ნიადაგზე შემუშავდა. რუსთაველი კარგად იცნობდა დავით აღმაშენებლის ბრძოლას ცენტრალიზებული სახელმწიფოს შემქმნისათვის, მის რეფორმებს სახელმწიფო წესწყობილებაში, გიორგი III და თამარ მეფის დონისძიებებს, მსხვილი ფეოდალების წინააღმდეგ მებრძოლს, და სხვ.

რასაკვირველია, ქართული კულტურა მაღალი არ იქნებოდა კაცობრიობის უკვე მიღწეული კულტურული მონაცემების გარეშე. მას უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კიდევ აღმოსავლური და ბერძნულ-რომაული კულტურის მიღწევები.

წინსვლა შესაძლებელი იყო ყველა ამ მიღწევის დაფუძნებით. ქართველი ხალხის ურთიერთობა მსოფლიო კულტურის შემქმნელ სხვა ხალხების კულტურასთან აქტიური იყო.

სიყვარული, ძმობა, შეგობრობა მართო შოთა რუსთაველის სიმღერის საგანი არ ყოფილა. მაგრამ ვეფხისტყაოსანში ამ იდეებმა თავისებური, ქართული განვითარება პპოვა; ჩვენი ხალხის განვითარების თავისებურებამ ამ იდეებს ისეთი ძალა მისცა, რომ ქართული კულტურის ეს შედევი, მისი მწვერვალი, იმეც დროს მსოფლიო კულტურის განვითარებას შედეგური აღმოჩნდა. ამან ვეფხისტყაოსნის უკვდავების საიდუმლოება.

სამოციანელების ღვაწდი რუსთველოლოგიაში

უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსის თაობაზე სჭელდებოდად წოდებულმა ვახტანგ მეექვსემ გამოთქვა აზრი: „სპარსშიდ ეს ამბავი არსად აზოგბა“, ლექსიც რუსთაველს „გაუკეთებია და ამბავიცა“.

ვახტანგის შემდეგ თეიმურაზ ბატონიშვილი, შარი ბროსე, დავით ჩუბინაშვილი, პლატონ იოსელიანი და ჩვენი სამოციანელები — ილია აკაი, აკობ ვოგებაშვილი და სხვები (ვ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე...) „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაციასა და კვლევა-ძიებას ისტორიულ-ეროვნული ინტერპრეტაციით აწარმოებდნენ.

ილ. ხახანაშვილმა რუსთაველის პოემის სიუჟეტის წარმოშობის საკითხზე ახალი თვალსაზრისი წამოაყენა, — პოეტმა ქართულ ზემორსატყვიერებაში არსებული თქმულებით ისარგებლაო, — მაგრამ მეთოდოლოგიითა და კონცეფციით ისიც ვახტანგისა და ბროსე-ჩუბინაშვილის თვალსაზრისს აეთარტებს. ამიტომ დრო ვახტანგ შექმნიდან (1712) ნაკო მარამდე რუსთველოლოგიის განვითარების პირველ ეტაპად ითვლება შეცნობრებაში.

ამ დარგის მეორე — ახალი ეტაპი ოთხმოცდაათიანი წლებიდან ქართველოლოგ ნიკო მარით იწყება. ამ მეცნიერმა სომხურ-ქართულ ფილოლოგიაში პირველმა „შემოხილვა გამოსაცემი ძეგლების... ის წინასწარი კრიტიკული ფილოლოგიურ-ლინგვისტური მეთოდი, რომელიც ბერძნული და ლათინური ძეგლებს გამოცემის დროს დასავლეთ ევროპის ფილოლოგიურმა შეცნობრებამ შექმნა და დააკანონა“ და „ქართული და სომხური ფილოლოგია ის დონე ერთბაშად ის სიმართლეზე აიხვანა, რომელზედაც დასავლეთ ევროპის ფილოლოგიაა“ (ივ. ჯავახიშვილი. 1937 წ.).

ქართული ტექსტოლოგიის ნამდვილ მეცნიერულ პრინციპებზე დაყრდნობის გარდა, ნ. მარის საკითხების შესწავლაში გასცილდა ქართულ ისტორიულ-ლიტერატურულ ფარგლებს, სათანადო ქართული პრობლემებისა და საკითხების შესწავლა მსოფლიო ისტორიულ-ლიტერატურულ პრობლემებს დაეჯერა.

შესამოცე წლების ჩვენმა მოღვაწეებმა შექმნეს ახალი ხანა საქართველოს ცხოვრებაში. მათ „ვეფხისტყაოსნის“ საკითხში მნიშვნელოვ-

ნად განავითარეს ამ პოემის ისტორიულ-ეროვნული ინტერპრეტაცია და რუსთაველის ადგილი ძირითადად სწორად განსაზღვრეს მსოფლიოს გენიოს პოეტთა შორის.

პლ. იოსელიანის შემდეგ ილია ჭავჭავაძე პირველია, რომელმაც „ვეფხისტყაოსანი“ ლიტერატურულ-ესთეტიკური თვალსაზრისით განიხილა და მიუთითა მის ადგილზე მსოფლიოს უბრწყინველეს ნაწარმოებათა შორის (ილ. ბარამიძე).

ილია ჭავჭავაძე ჯერ კიდევ 1861 წელს წერდა: „ვეფხისტყაოსანი თუ არს უკვდავი (ეს არის), ირა მარტო თავისი ფორმით, არამედ თავის შინაგანი ღირსებებით“. 1889 წლიდან ილია იცავს რუსთაველსა და მთლიანად ქართულ კულტურას ი. ჯაბადარისა და სხვათა ნიპილიზმისაგან. ეს ის ჯაბადარია, რომელმაც საქართველოს გარეთ, „Северный Вестник“-ში წერილებით „Письма о Грузии“ დიწყო ქართული კულტურის სახელის შეზღაღვა, ხოლო ი. ჭავჭავაძემ „ივერიის“ ფურცლებზე „შეაჩვენა“ ის ფელტონები „აი ისტორია“, რის შედეგადაც, როგორც ეს თავის დროზე იაკობ ვოგებაშვილმა აღნიშნა, ივ. ჯაბადარი „სრულად მორჩულდა, მაგრამ მისმა ველურმა აზრებმა შინც შევინე კვალი დასტოვა“ (ს. ობრდანიშვილის წერილი ი. ვოგებაშვილზე).

ჩვენმა დიდმა მოამბე ილიამ ასევე დაიცვა ქართული კულტურის ინტერესები სხვათა მიმართაც („შვათა ლაღაღი“). ის შეებრძოლა ნ. მარის პიპოთეზასაც რუსთაველის პოემის სიუჟეტის ნასესხებობის შესახებ და სამართლიანად აღნიშნა: ასეთი მტკიცებისათვის „სათანადო საბუთებია საჭირო, ზემორად ამის დადგენა არ შეიძლება“, ეს პოემა ქართული ორიგინალური ქმნილებააო და სჭვა.

ი. ჭავჭავაძის რუსთველოლოგიურ ნაშრომებს შორის უმნიშვნელოვანესია მისი პუბლიცისტური წერილი „აკაკი წერეთელი და ვეფხისტყაოსანი“ (1867). აქ ის წერს: ყველამ იცის, რომ „ვეფხისტყაოსნით“ „თავს ვაწონებთ, ვკადღელობთ“, მაგრამ ყველამ, განსაკუთრებით უცხოელებმა, არ იციათ, თუ „რა ვეაღუებს უტყუარ საბუთს ამ თავმოწონებისას, სახელისას, ქაღალისას“ (ტ. III, თბ., 1953, გვ. 166).

ა. წერეთელმა კი დაიწა „პოემაში სამი, საქართველოს სხვადასხვა ნაწილის ქართველი“ (გვ. 167). ამ ლიტერატურული სახეების უზარალო ენოზგრაფიის საგნად გახდომა არ შეიძლება. რუსთაველი არ არის პორტრეტისტი, ის „ზოგადის კაცის, ტიპის შემოქმედია“, ჩვენი რუსთაველის სახელი, — ასევეს ილია, — მეტის-შეტად დიდ სახელად მიგვანხნა და მოგვიტყონ, რომ მის სახელს და დიდებას ადვილად ვერაგის დავთმობთ“ (გვ. 178).

თუ წინათ, ილიამდე, უმთავრესად „ვეფხისტყაოსნის“ წარმოშობის საკითხს ივლევენენ, ილია ერთი პირველთაგანი იძლევა ამ „პოემის მხატვრულ ანალიზს, ტიპების ფსიქოლოგიურ დასასაბუთებას“, მის ჰომეროსის, შექსპირისა და სხვათა გვერდში აყენებს.

„არავის ისე კარგად და ვრცლად შოთას აფორიზმები არ გამოუყენებია თავის მხატვრულ მნიშვნელობაში, პუბლიცისტურ წერილებსა და ზეპირ გამოცხადებში, როგორც ეს ილიამ შეძლო. რუსთაველის აფორიზმებში ნახელთება იგი „ცხოვრებისათვის გამოსადეგ ადგილებს, და ცნობილია, რამდენად მეტია ამა თუ იმ ნაწარმოებში ცხოვრებისათვის გამოყენებულობა, გამოსადეგობა, იმდენად ძლიერია იგი და ფაბაღუდებელია სოციალურად“ (ვ. ბერიძე).

ილიამ ილიამ რუსთაველის პოემის მნიშვნელობა საქართველოსათვის ასე ბრწყინვალედ განმარტა: „ვეფხისტყაოსანი ჩვენი ეროვნული ღირსებისა და ვინაობის სასოფარია, რომელსაც შთელმა ერმა შიგ ჩაატანა თავის ცრემლი და თავისი სიხარული, შიგ ჩაახვია თავისი სული და გული, შიგ ჩააწია თავისი უკეთესი ფიქრნი, ზრახვანი, გრძობანი“...

ცნობილია, თუ როგორ საქმიანი იყო ილიას მონაწილეობა „ვეფხისტყაოსნის“ 1888 წლის გამოცემის ტექსტის დადგენაში, რომელზეც მუშაობა სპეციალურმა კომისიამ 1881 წლის თებერვალში დაიწყო ვრ. ორბელიანის წეთაურობით, მაგრამ შემდეგ საქმის ფაქტობრივ ხელმძღვანელი (თავმჯდომარე) დიდი ილია იყო.

ვახტანგის 1712 წლის, ბროსეს რედაქციით 1841 წლის, დ. ჩუბინაშვილის 1860 წლის „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემებსა და ხელნაწერებზე ტექსტოლოგიურა მუშაობის დროს თავმჯდომარე ვრ. ორბელიანი მოითხოვდა, უპირატესობა ვახტანგის გამოცემას მიეცეთო, რადგან ვახტანგს უკეთესი ხელნაწერები შეიძლება ჰქონოდაო. ილია კვავკავაძე კი ასეთ ერთადერთ სწორ გზას უსახავდა კომისიას: „პირდაპირ კითხვას შევედღვეთ და თვითონ კითხვა დავეანახებებს, თუ რა ფასი რომელ გამოცემას ექნებაო“.

დაიწყო ტექსტზე მუშაობა, და აქაც გამოჩნდა ილიას ბუმბერაზობა, სიტყვათა და ფორმათა შერჩევისას რომ მარგალიტებს ალაგებდა ხოლმე; აქაც გამართლდა ილიას მიერ წინათ თქმულიც. სხედლობრ, „ვეფხისტყაოსნის“ 1888

წლის გამოცემის ხარკები რომ ვ. ქართველი-შვილმა იტისრა, ილიამ თქვა: „ბევრს თავი მარჯეს შოთას თხზულების ცოდნით მატარებ ვეჭვით თუ ვისმე მითვამს წაეკითხოს იგი და იქნებ მარტო დედ და შეეძლოს მისი შინაარსის გადმოცემა...“

აქ ეუცხვოეთ ეს განცხადება, მაგრამ კომისიამ რომ ტექსტის დადგენა დაიწყო, შოთას პოემის საერთო და წერტილმანების ცოდნაში ილიას ტოლი არ აღმოუჩნდა.

„ვეფხისტყაოსნის“ 1888 წლის გამოცემას ტექსტოლოგიური მხრივ სერიოზული ნაკლოვანებები ექვს. მაგრამ აქ ამის გარჩევის ადგილი არაა. აქ მთავარია ის გარემოება, რომ შეთადრი, რომლითაც მუშაობას მოითხოვდა ილია, სწორი იყო. შიო უფრო, რომ კომისია ხელნაწერებთანაც სარგებლობდა.

ილია რომ „ვეფხისტყაოსნის“ დიდი მცოდნე და სწორი შემფასებელია, ეს არავითარ ეჭვს არ იწვევს; ამაში იგულისხმება ისიც, რომ მან სწორად გაიგო შოთას საკაცობრიო მნიშვნელობა. აგრეთვე უდავოა ისიც, რომ „დიდი მხატვარი ილია იმედე დროს დიდი კრიტიკოსიცაა“.

• • •

აკაც წერეთელი რუსთაველით ვერ კიდევ ბავშვობაში დაინტერესებულა.

ყოველგვარი სათამაშოთი ვიყავი გართული, — იგონებს იგი, — შემთხვევით „ვეფხისტყაოსანი“ წაეკითხე „თავიდან ბოლომდე და, თუმცა ზღაპრული მხარის მეტი არა გამოვიცა რა, მაგრამ ძალიან გამიტაცა; შემდეგ თამაშობას ვეკრძალე ეუვლიდი და წიგნებს ვკითხულობდი“ (თხზულებანი“, ტ. VII, 1958, გვ. 57).

ცნობილია, რომ აკაცი პეტრობურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფალოლოგიკურ დამათარა (1862) და მშინვე საკანდიდატო (სადიპლომო) ნაშრომად წარადგინა „Несколько слов в пользу оригинальности „Барсовы кожи““ (გამოაქვეყნეს ან. აბრამიშვილი და ალ. ლლონტა, „წინათობი“, 1956 წ. № 10).

მისში ავტორი ლაბარაკობს „ვეფხისტყაოსნის“ უდიდეს პოეტობასზე საქართველოში მთელი შეიღეს წლის განმავლობაში და სუვედურს გამოთქვამს, რომ ეს პოემა არაა შესწავლილი კრიტიკულად. ახლანდელი თობობი, — ამბობს აკაცი — „красивет на нас, называя мистической, азиатской, фантастической легендой...“, она написана в духе грузин и легко задевает за струны грузинского сердца...“ (ტ. IV, 1933, გვ. 588). აქ ახალგაზრდა ავტორი პოემის ისტორიისა, საფუძვლიან ცოდნას ამვლავნებს, ლაბარაკობს „ვეფხისტყაოსანში“ აღწერილ სახელწოდებებზე და ასევეს: მათში „Должны разуметь тогдашних семь царств Грузии и пять княжеств“; ჩერდება პეტრობურგის თავსებურებაზე და იგონებს ნაშრომის დასაწყის-

შივე თქმულს: ეს ქართული ორიგინალური ნაწარმოებია.

აქაი 1875 წელსაც წერდა: „ვეფხისტყაოსანი“ რომ გვიარჩიოთ, აქ ჩვენს ქვეყანას დაგინახეთ „მისის კუთხეებით და მცხოვრებლებით“.

ა. წერეთლის მთავარი რუსთაველოლოგიური ნაშრომია „სამი ლექცია ვეფხვის-ტყაოსანზე“ (1881). ავტორი აქაც პოემას ისევ საქართველოს ისტორიის ფონზე განიხილავს და სპეციალურად ზერდება „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა ხასიათებზე. პოემაში „გამოხატული ტიპები — ამბოხს აკაკი, — როგორც კაცები, ისე ქალები, ნამღვლი ქართველები არიან (საქართველოს) სხვადასხვა კუთხიდან აღებული. მართო ეს მნიშვნელობა არა აქვს ჩვენთვის ვეფხვის ტყაოსანს“, აქ ჩვენ ვხედავთ დიდ წინასწარმეტყველებას ჩვენი სამშობლოს შესახებ: ნესტან-დარეჯანი არის ჩვენი ქვეყნის მღვთმარეობა“ (ტ. XII, 1960, გვ. 111).

აქაი ეხმარება თეიმურაზ პირველის სიტყვებს: —

„არვის უნდა სახარება, არცა წიგნი მოციქულთა“ — და არჩილის თქმას:

„სამღვთო წიგნი ბევრი წახდა უუდოთა და უბედობით, საშაიროს ინახვედნენ სტავრის ბუდით ან ნახლობით“.

აქაი აღნიშნავს: ტყვილად კი არ სმოიდა ძველად სამღვდელობა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ სახარებაზე უფრო გაუტყმა ქვეყანასაო. „საუქუნეების განმავლობაში დიდი და პატარა ყველა იმას ეწაფებოდა: კაცები ტარიელ-ავთანდილს მზამავდნენ, ქალები ნესტან-თინათინობას სცდილობდნენ, მუხე და კარისკაცები როსტყენ-სოკრატობაზე სდებდნენ თავს, მსახურნი შეიპატივებოდნენ და მოახლე-გამადლები კი ამალობას სწემობდნენ“.

აქაის სურს, — წერს ს. იორდანიშვილი, — რომ „თანამედროვეებსაც ასე გაუტყმეს „ვეფხისტყაოსანი“. საუმაწილო მოთხრობაში „პატარა ტარიელი“, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის გამოყენებითა და ტიპილი იუმორით არის დაწერილი, აქაი იღვალადი მისწავლებლის პირით მოეწოდებს ახალგაზრდებს, რომ „ტარიელი და ავთანდილები ყოველთვის და ყველგან უფილან და არიან კიდევ საქირო. ის ხალხი, რომელიც ტარიელ-ავთანდილებს ვერ წაიბოშობს და ვერ გიზარდის, ხალხადღა აღარ იხსენება, უბედურია და ვაჰქრება დედამიწის ზურგზე...“ ჩვენში, როგორც ერისთავის, ისე ცალქალამინძის ქალებიც, ყველა ერთგვარად თინათინ-ნესტანებად არიან გაჩენილი...“

აქაი აქვე მოუწოდებს ახალგაზრდებს ერთად იყვნენ, ძალი ერთობაშია, — უნდა ვახსოვდეთ, — დასძენს მოძღვარი, — „ტარიელი ვერას განდა მართო სხვების დაუხმარებლად, ისე ვერც

არას თქვენ ვახდებით. ჩვენი ქვეყნის მსუ და მთავარ მართო ქართლ-კახეთში კი არ გამოდის: მრავალკუთხოვანია საქართველო“, ვეულებს ავთანდილ-ფრიდონებმა უნდა გამოჩინდები, „დათმე ვაბროთ და შეთანხმებული სურვილით, შეერთებული ძალით იმოქმედოთ...“

ამ ერთიანობისათვის იყენებდა აქაი „ვეფხისტყაოსნის“ ვარჩევის შემოხვევასაც, ამიტომაც თქვა, რომ ტარიელი და ნესტანი ქართლებია, ავთანდილი და თინათინი — იმერლები, ფრიდონ-ფატმანი კი სამეგრელოაო.

ცნობილია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გმირებმა საქართველოს ეთნოგრაფიული კუთხეებით ეს შემოფარგვლა დიდმა ილიამ გააერთიანა.

აი, როგორი მეცნიერული პასუხი გასცა აქაი: არაა შეუძლებელი, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გმირები „ეროთა და იმევედროს, ქართველებიც იყვნენ და საზოგადო, საყოველთაო ტიპებიც“ გახლდნენო. საილუსტრაციოდ ასახელებს: „იულოის კეისარია, ანუ კორითლანისი მართლა მსოფლიო ტიპები არიან, მაგრამ იმევედროს, ყველაზე უმალ, რომაელებიც არიან“, და ეს მათ ზოგადობას ხელს არ უშლის; ასევე რუსთაველის პოემის გმირები ქართველები არიან, მაგრამ ეს ხელს არ უშლის მათილიო ტიპები იყენენ: მე რომ ამ გმირებში ქართველებს დაეინახე, ეს „საქართველოს შემოქმედების ძალს“ კი არ ამიკრებს, არამედ ზრდის.

აქაი სისტემატურად აღვნიშნავდა თავის რუსთაველოლოგიურ ლიტერატურას, იგი ახალგაზრდა ს. კაკაბაძის სათანადო ლექციასაც კი გამოეხმურა, მას მოწინავე პოზიციებდან შეხედა, სიახლზე თავისი პროგრესული აზრი თქვა: — ახალი აზრი რომ არავის ვაუქმევიროთ, „ქვეყნიერების წინ-სვლა შეფერხებულდა!“ დიდი სიმეა მველევარობა, ჩვენ „სამუშაოდ გამოსულ ქართველობას ყოველთვის ვახსოვდით და ვახსოვთ არა კავკასურად სხვების ნათქვამის განმეორების...“ არამედ სიახლის ძებნასო. „დი-ახ, ჩვენ წარსულს ვებრევათ გამტყიცვა და სპირო არიან მველევარები. ბ. ავადმეოქსმა მარტმა ვვიჩენა მავალითი და მას სხვებიც მიპყენენ“ (ტ. XIV, გვ. 539).

როგორც ილია, ისე აქაი დიდ ყურადღებას აქცევს და ხშირად იყენებს შოთას აფორიზმს, კერძოდ — „ლეკი ღომისა სწორია“-ზე... აქაი ამბობს: რუსთაველის მალად იდებობა — დედაკაც-მამაკაცთა თანასწორობის ღალადისაო და სხვა, მაგრამ აქაი მის დროს არის სრულიად უტოლო იმ მხრივ, რომ მან იცის არა მხოლოდ წერილობითი, არამედ ზეპირსიტყვიერებითი მასალებიც. ის იმ დროის უდიდესი მცოდნეა ქართული ზეპირსიტყვიერებისა. მან იცის როგორც ეს თქმულება, რომლის მიხედვითაც მ. ზიზიმ შოთას მიერ თანართისთვის „ვეფხისტყაოსნის“ მართმევის სურათი

დახატა, ისევე თქმულზეა გოციარიძესა და ბუღა ხარზე და სხვა მრავალა.

რუსთაველი აკაკის სიცოცხლის მთელ მანძილზე ახლდგამულბს, ის ხანდაზმულიც კი ფრიდონსა და ავთანდილს უხმობდა და თავი ტარიელი მკონიოა, — ამბობდა; მისი ცხოვრების დევიზი იყო შოთას სიტყვები —

„კირსა შიგან ვამაგრება ასრე უნდა, ვით ქვეტყირსა“ —

და მოუწოდებდა მშობელ ხალხს, ისიც უღრეკი ყოფილიყო, იმედს აძლევდა ნესტინადარეკანი — საქართველო — ქაქუცა ჩავიარდნი ხელში, მაგრამ ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი მას დაიხსნიანო. აკაკი ობტიმიზმს უწერდაც ხალხს: „ის ნადაგი, რომელმაც წარმოშვა ვახტანგ გორგასლანი, დავით აღმაშენებელი, თამარა, გიორგი ბრწყინვალე, დიდი მოუბივი, მთაწმინდელეები, მეტრეფი, რუსთაველი და სხვები — მსოფლიო გმირები, კიდევ წარმოშობს იმისთანა გმირებს“.

„ვეფხისტყაოსნის“ საყატობრიო ტაქების საქართველოს ეთნოგრაფიული არეითი შეზღუდვის პიპოთეზა (ა. წერეთელი), ისევე, როგორც ამავე პოემის ხალხური სიტყვებებებდან წარმოშობის პიპოთეზა (იხ. ალ. ხახანაშვილი), თავის დროზე გროვნილი ინტერესების გამოც ვრცელდებოდა, იგი მაშინ ამათილებდა პოემის სიუჟეტის ნახსებებობის მდდარ დებულებას. აკაკიმ ამიტომაც წამოაყენა „ვეფხისტყაოსნის“ გმირების ქართულობის პიპოთეზა.

მართალია, აკაკის რივი შეზღუდლება რუსთაველზე არ გამართლდა (მაგ., ტაბების კუთხურობა, შეეთელისა და ჩახრუხაქისაც რუსთაველობა, რუსთაველის თამარის დროინდლობაშე ერთგვარი დაქვეება...), მაგრამ მას მაინც დამსახურება მიუძღვის დროის შესახვერისად „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლის, პიპოთეზისადაცისისა და სათანადო ორგანიზაციულ საქმეში (შდრ. პოემის 1888 წ. გამოცემის პროგრამა. იხ. ჩვენი პუბლიკაცია — „ლიტერატურული ვახუთი“, 1965 წ. № 34).

აკაკის სპეციალური, ფილოლოგიური განათლება ქონდა მიღებული და ის ვლინდება მის რუსთაველოლოგიურ აზრებშიც. აკაკი წერეთელი იყო თავისი დროის უდიდესი პატრიოტიკანი და მწერალბს შორის რუსთაველოლოგი, მან უწოდა საქართველოს „ცა ფირუ“, ხელეუტ ზღრმეხტო“ და მის სასიქამილო შვილს — შოთა რუსთაველს — სულომნათი — მარად ბრწყინვალე. ამით აკაკიმ სწორად განსაზღვრა რუსთაველის სიდაადე.

• • •

ი. გოგებაშვილი შ. რუსთაველის უღრეკი დამცველი და პიპოლარიზატორია. იმ მიზნით, რომ

ჩვენი მკონანი და მისი ქმნილება მოსწავლეუთვის გაეცნო და შეევეარებინა, მან სათანადო ნარკვევი დაწერა, სასკოლო ნახელმძღვანელოსა და საერთოდ საკითხავ წიგნ „ბუნების კარში“ შეიტანა; მის მიერვე შედგენილ რიგ სახელმძღვანელოებსა და სხვა წიგნებშიც არა ერთხელ გამოაყენა რუსთაველის აფორიზმები და ადიდა სახელი საამყო წინაპრისა.

ი. გოგებაშვილი „ბუნების კარში“ ჩამოთვლის საქართველოს კულტურის ისტორიის უმნიშვნელოვანეს პირებს და შოთა რუსთაველზე წერს: „იგია წარმომადგენელი და გამოჩხატველი ქართველთა ერის გონების ძალისა, შემოქმედებბა, გენიოსობისა“. იაკობი აღნიშნავს: „ვეფხისტყაოსნის“ შეუღარებელი მნიშვნელობა ბქონდა და აქეს ჩვენი ლიტერატურაში“. განგლო საუკუნეებში, მაგრამ „ვეფხისტყაოსნი“ დღემდეა „შეადგენს უძვირფასესსა და უკეთესს საუნჯეს ქართველს გონებისა და გულისათვის. ამგვარად დაუმტყნარი მნიშვნელობა ყოველთვის ყოფილი მხოლოდ გენიოსის ხეედრი, და რუსთაველიც ყველან ალაარებულია გენიოსად“.

ი. გოგებაშვილის თქმით, ჩვენი პოეტი დაბადებულა შესხვთის რუსთავეში და ამიტომ ეწოდა მას რუსთაველი. იგი ადრე დაბობებულა, აღუზრდა შვიცნობარ ბიძას, უსწავლებია ტბეთისა და იყალთოს სასწავლებელში, გაუზავინათ ათინამი, „სადაც შეესწავლია: ფილოლოფია, ლეთის-მეტყველება, პოეზია, მჭერ-მეტყველება, ვარსკვლავთ-მრიცხველობა, შეუთვისებია ზერძნილი და ლათინური ენები“; ის სამშობლოში დაბრუნებულა „თამარის შუა მეფობაში“, მეფეს შოთა დაუნაშნავს მოლარეთ-უხუციესად; ეს თანამდებობა დიდი იყო, მაგრამ „სურლიად არ შეურყვევია პოეტს მუდრომ ცხოვრებასა და მწერლობაში ხელს არ შეუშლიდა“.

რუსთაველმა დაწერა პოემა, რომელშიც გამოხატა „თამარი თავისი მწმენერებბით, სათანოებბით და სიბრძნით, საქართველოს წარჩინებულნი პირნი და აგრეთვე ღირსებანი და ავისებანი ქართველთა ერისა. რადგანაც თანამდებობა პირების პირდაპირ დასახელება მოუხერხებელი იყო, ამიტომ პოემის მისცა არაკის ფორმა, მოჭმედება ვადიტიანი არაბეთში და სხვა უცხო ქვეყნებში; მომქმედნი პირნიც“ იმავე ქვეყნებში და დასაბა. ტარიელს ვეფხისტ ტყავი აცვია და ამიტომ აეტარსმა პოემას „ვეფხისტყაოსანი“ უწოდა.

აქვე ი. გოგებაშვილი რუსთაველის ბიოგრაფიას ხალხური ვადმოცემებითაც ამდიდრებს; კერძოდ, იყენებს იმ თქმულებას, რომლითაც „ვეფხისტყაოსანი“ წაკითხულ იქნა თამარ მეფის მიერ გამართულ საგანგებო ნადიმზე, „პოემა ყველამ ფრიად საუცხოო ნაწარმოებად ჩათვალა“. თამარი წაიბრო ხელიდან ბქირფასი ბექედი და უბოძა აეტარს ნიშნად მადლობისა და წყალობისა; მისმა მეუღლემ დაეითმა პოიანსა ხვალი და თავის ხელთ შემოარტყა (პოეტს),

დამსწრე საზოგადოებამ (მასვე) საჩუქრად მიართვა ძვირფასს ქვევში ჩასმული კალამი...»

საურთიანდობა ი. გოგებაშვილის ეს თქმაც: «მალე მოიფინა ჭება რუსთაველისა და ამისის ვეფხისტყაოსნისა». სუბრისა და ბაასის დროს, დაამტკიცებლად თავისს აზრისა, ჭირთველებმა იწყეს მოყვინა „ვეფხისტყაოსნის“ სიტყვებისა... ამის გამო ბევრი ნათქვამი რუსთაველისა მშვენიერ ანდაზად გადაიტყა».

პოემის დიდებასა და ხალხში გავრცელებას იმანაც შეუწყო ხელით, — ამბობს ი. გოგებაშვილი, — რომ ისტორიკოსის ბახათაშვილის გამოკვლევით, რუსთაველი იყო უმშვენიერესი ვაჟაკი, ფრიად ზრდილი, დარბაზულ, საესე ჰედითა და მიმტაცებლობით, და ამათთან ისეთი სწავლული, რომ ტოლი არა ჰყავდა მთელს საშეფხიმო».

„ვეფხისტყაოსანი“, — ლაშარაიკოს ი. გოგებაშვილი, — „ამტკიცებს, რომ რუსთაველი იყო არა მარტო უნივერსული პოეტი, არამედ ბრძენი, რომელიც აზროვნებით ბევრად წინ უსწრებდა თავის დროსა“ (შეაღარე ს. იორდანიშვილის წერილი ი. გოგებაშვილზე).

ყოველდღე ამისა და მსგავსთა შემდეგ ი. გოგებაშვილი წარმოადგენს რუსთაველის რამდენიმე აფორიზმს განმარტებებით.

იმავე „ბუნების კარში“ იაკობმა დაბეჭდა ხალხურად ცნობილი „ლექსი აეთანდილია“ (ეთანდილ გაინადირა...), რითაც მან დიდად შეუწყო ხელი ხალხში ამ ლექსისა და „ვეფხისტყაოსნის“ კიდევ უფრო გავრცელებას.

თუ გაეხსენებთ, რომ ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებზე იზრდებოდნენ ქართველი ახალგაზრდობის მთელი თაობები, 1863-1925 წლებში, თითოეულ ამ სახელმძღვანელოთაგანან ათეულჯერ გამოცემულ, კერძოდ „ღეღაენა“ 1925 წლამდე 45-ჯერ და „ბუნებისკარი“ კი 1918 წლამდე 27-ჯერ გამოცემა, ვასაგები იქნება, თუ რაოდენ დიდმნიშვნელოვანი იყო მათში რომელიმე გეარის თუნდაც უბრალოდ მოხსენიება.

ი. გოგებაშვილი არავის არ ზოგავდა რუსთაველის დიდების დასაცავად. ის ქართველთა სიამაყედ თვლიდა ნაკო მარის ნიქს, ეს მშვენიერი ქართველი გლეხი ქალის შვილია, იგი იმდენად ნიჭიერია, რომ მას „ზოგიერთი რუსის სწავლული აღმოშავალ ვარსკვლავს ეძახის“, მგერამ რომდესაც ე. მარმა „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის სპარსულობაზე დაძრა სიტყვა, ი. გოგებაშვილმა არც ის დაინდო და გააკრიტიკა. მანვე გააკრიტიკა ქართული ელტურის ნიმილისტი ნ. ჯაბაღარი.

ი. გოგებაშვილი ამბობდა, რომ აღმოსავლეთისა და, კერძოდ, სპარსული ლიტერატურის დიდი მყოღნე გულაჟი, გერმანელი მეცნიერი ზურნერი და სხვები ამტკიცებდნენ: რუსთაველს აზრები ღირსია „облаетъ всю вселенную“.

შინაურები კი ვერ აფასებენ ჩვენს პოეტსაჟ; ის წუხდა, რომ ამ დიდებული პოემის რუსულდ თარგმანი არ არსებობდა.

ი. გოგებაშვილმა დაწერა წიგნი „ბურჯი ეროვნების“ (II შეფხებული გამოცემა 1903 წ.). ავტორი თვით იყო ჩვენი განათლების საქმის ბურჯი. იგი იცავდა ჩვენი ეროვნული სიდიადის ბურჯს — შოთა რუსთაველს, მის სახელს დიდების გვირგვინით ამკობდა, მა; პაემს ხალხს აყვარებდა.

ვაჟა-ფშაველა წერს: ვიზრდებოდი ქართულ წიგნებზე, „ვეფხისტყაოსანი“, „ამირანდარეჯანიანი“ და „არუსულანიანი“ ჯერ კიდევ 8 წლისა; გადაამოთხავს არა ერთხელ, მუდამ საგმირო ამბები მიტაცებდაო.

რუსთაველის შემოქმედებას ვაჟა-ფშაველამ უძღვნა სპეციალური ნარკვევები: „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ (ორიოდ სიტყვა პასუხად ბ.ნ. ა. ხახანაშვილს, 1890), „ფიქრები ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“ (ორ ნაკვეთად; 1911), რომლის ნაწილსაც წარმოადგენს იმავე ავტორის წერილი „ჩემი პოემების შესახებ“, „მცირე რამ კიდევ „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“ (1903) და ნაწილობრივ „კრიტიკა ბ. იპოლიტე ვართაგავისი“ (1914).

ამათ გარდა, ვაჟა-ფშაველა სხვა ნაწერებშიც ახსენებს რუსთაველს. კერძოდ, ძალიან ზშირად იყენებს რუსთაველის აფორიზმებს; აღ. ზარამისის დაკვირვებით, ეს აფორიზმები ვაჟა-ფშაველას იცის და წიგნში არ იხედება; ამიტომ მათში ზოგიერთი სიტყვის ფორმის ცვალების შემთხვევასაც ვამჩნევთ.

ვაჟა იცავს „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის აზრს; აქ იგი ეწინააღმდეგება ნ. მარს და მის თანამოაზრებს, აღნიშნავს სპარსეთში, რომ ისეთი არავი (სიუჟეტი) არსებულეო, რომელიც „ვეფხისტყაოსანს“. აქვს, მაშინ „ამისთანა შინაარსისანი არავს გამლექსავე, დამწერი, თვით სპარსეთშიაც ბევრი აღმოუჩნდებოდა“.

მეორეს მხრივ, ვაჟა-ფშაველა არ იზიარებს აღ. ხახანაშვილის მტკიცებას „ვეფხისტყაოსნის“ ხალხური თქმულებებისა და ლექსებიდან წარმოშობის თაობაზე, უყანასენელს ვაჟა სიყვარულს უწოდებს. „ვეფხისტყაოსანი“, — ამბობს იგი, — „წინათ ყოფილა გავრცელებული ხალხში, ხალხს შეჰყვარებია პოემა“ და, რაც დაიწყებია, თავისი სიტყვებით შეუესია, — „ხალხს ეს ზნე სჭირს“. აქედან განიდა პოემის ხალხური ვერსაებობა (1890).

ვაჟის მოსაზრებით, ტყუილია ეჭვები, რუსთაველის დიდებული პოემა „მარტო ერთის კაცის ტვისისა და გულის ნაყოფი როგორ უნდა იყოს...“

თავის მხრივ ვაჟა-ფშაველა ამტკიცებს: რო-

გორადაც დიდებული არ უნდა იყოს „ზღაპარი, თუ მან არ გაიარა პოეტის ფანტაზიის და გონების მანქანაში, თუ მის პოეტმა არ ჩაჰხერა უკვდავი სული...“ იგი ზღაპარი, თუ ლეგენდა არ შეუსისლბორცა საყუთარ სულსა და გულსა, არაფერი გამოვა, — თავის დღეში „ვეფხისტყაოსნისთანა“ თხზულება არ დაიწერება“.

დიდი ვაჟა ეჭმა პოემის კომპოზიციის საკითხსაც, — შეუსაბამობას პოემის წინასიტყვაობასა და თვით პოემას შორის „ჩვენ ვერაფერს ვხედავთ, როგორც ზოგიერთები ხედავენ. მთლიანად კლასიკური ფორმა დაუთლი წინასიტყვაობაში“ და ამ საფუძველზეა გაშლილი ტარიელის აზრები.

მისივე მტკიცებით, პოემა უეჭველად თამარის დროსაა დაწერილი, ხოლო სტრაქონი —

„ანუ მომცეს განკურნება,
ანუ მიწა მე სამარა“,

სხვისა ან თამარის სიკვდილის შემდეგაც შეტანილი პოემაში თვით რუსთაველის მიერ, რადგან ის ამას თამარ მეფის სიცოცხლეში ვერ იტყოდაო.

ვაჟამ დააყენა პოემის ტექსტის მთლიანობის საკითხიც. იგი ამბობდა, უკეთესია „ჩვენმა მკვლევარებმა პოემის განხილვა პოეტებს შიანდონ, თორემ ერთმა მათგანმა წინასიტყვაობის 32 სტროფიდან 29 ყალბად აღიარაო. ასახელებს სტროფს

„მიწური შმაგსა მიქვიან“...

და ისყენს: „ვინა ჰკვათმოყოფელი აღამიანი ამ ტაეზს ან შეუსაბამოდ იცნობს და ან არ იფიქრებდა, რუსთაველს ვარდა, ისე ლამაზად ასე მკვეთრად სხვა ვერაფერ იტყოდა...“ ჩვენს მკვლევარებს რომ შეეძლოთ პოეტური ნაწარმოების ღირსეულად დაფასება, ვინა ასე ვაკადნიერდებოდნენ და რუსთაველს ინტერპოლიატობასა ჰყადრებდნენ! (1911).

მეორე მხრივ, თვით ვაჟაც ამჩნევს, რომ პო-

ემის ტექსტში გადამწერთა ხელიც ურევია...

ვაჟა-ფშაველამ სწორად დააყენა რუსთაველის ქართული პატრიოტიზმის სუბსტანციის თხზულებას, როგორც „ვეფხისტყაოსანია“, — ლაპარაკობს იგი, — ვერ დასწერდა ვადაგვარებული, ეროვნულ, პატრიოტულ გრძნობას მოკლებული პოეტი, რადგან დიდებული ნაწარმოების იეტორნი, მსოფლიო გენიოსები, დიდი პატრიოტები იყვნენ“.

ვაჟის მტკიცებით, რუსთაველი გვიხატავს თავის „ეპოქას, ოქროს საუკუნეს, რომელიც იალბუხიით ქედმოღვრებულ სდას მთელს საქართველოს“ ისტორიაში“, პასუხს იძლევა ამ საუკუნის უმაჯურეს კითხვაზე. „არავითარი ეპიკე არ გვქონდეს იმაში, რომ „ვეფხისტყაოსანის“ არაკი ნამდვილი აზრები, მომხდარი საქართველოში. ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი, ნესტან-დარეჯანი, თინათინი და სხვა — ისტორიული პირები არიან გადასხვაფერებულის სახით. მეტიც, — შოთას „ტარიელად თავისი თავი ჰყავს წარმოდგენილი“ ან კიდევ მას „თავი მდგომარეობას აშგაგებს“. აქ იგი იზიარებს დ. ჩუბინაშვილის კონცეფციას, უკიდურესი ანალოგიების თეორიასაც უწონებს ს. ჭვარციანს (1903), თანაც კვლავ შენიშნავს პოემის შექმნის დროის საკითხზე: — „დიდებულ ეპოქებს სჭირთ ზნე და ჩვეულება გენიოსების დაბადებისა“, მაგრამ „დიდებულს ეპოქას იდამიანები ჰქმნიან“, „გზირობისა და გატაცებული სიყვარულის მაგალითები მის (რუსთაველის) თვალწინ ხდებოდა და თამარისა და მის ტარიელის — დემნას აზრებიც ხომ საქმარისია პოემის საგნად, როგორც ეს დაგვიანხა და დაგვიმტკიცა შოთა რუსთაველმა“.

ჩვენი მოის შვილი აქაც, ილია ჭავჭავაძის, აკაცი წერეთლისა და მათ თანამებრძოლთა მსგავსად, იცავს ქართულ ეროვნულ პრინციპს. ვაჟა-ფშაველამ სწორად გამოთქვა სამოციანელების აზრი ჩვენს უტოლო პოეტზე: „შოთა რუსთაველი იგივე საქართველოა და საქართველო იგივე „ვეფხისტყაოსანია“.



ნათელა ჯავახიძე

ვეფხისტყაოსნის მხატვრული კითხვის ტრადიციის სამართავლოში

„ვეფხისტყაოსანი“ ლიტერატურული ნაწარმოებია. მისი არსებობის და სხვისთვის გადაცემის მთავარი ფორმაა—წიგნი. მაგრამ რუსთაველის ნაწარმოებში ჩაქსოვილი სიბრძნე და მხატვრული შვენიერება იმდენად დიდაა და მრავალფეროვანი, რომ ზელოვნების სხვა დარგთა მასაზრდოებელიც ვახდა, მის სხვა ფორმებს დაუახლოვდა და არამწიგნობრული გზითაც იყო გამოვლენილი. ერთი ასეთი გზაა სცენის ზელოვნება.

დღეს „ვეფხისტყაოსნის“ სასცენო ზელოვნებასთან კავშირი აშკარაა და ნათელი. არსებობს „ვეფხისტყაოსნიდან“ გაკეთებული პიესები, სცენარები, ლიბრეტოები ოპერისა და ბალეტისათვის, პოემას კითხულობენ მხატვრული კითხვის გამოჩენილი ოსტატები, რუსთაველის პოემის სცენის ზელოვნებასთან აშკარა კავშირების ნათლად გამოვლენამდე, ამ საკითხმა ჩამოყალიბების და განვითარების დიდი და საკმაოდ რთული გზა გაიარა. სწორედ ესაა ამაჟამად ჩვენი კვლევის საგანი — რა გზებით, რა საშუალებებით უკავშირდება „ვეფხისტყაოსანი“ სასცენო ზელოვნებას, კერძოდ, დრამატულ თეატრს.

ჩაოდენ შორეულადაც არ უნდა გვეჩვენებოდეს ლიტერატურული ნაწარმოების მხატვრული შესრულების თეატრალურ ზელოვნებასთან კავშირი, ის მაინც არსებობს. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ პირველი ნაბიჯი „ვეფხისტყაოსნის“ ლიტერატურული ფორმიდან სასცენო ზელოვნებისაკენ გადაიდგა მაშინ, როდესაც პოემის სხვათაგანის მოსასმენად კითხვა დაიწყო. ეს მოხდა ჯერ კიდევ XII საუკუნეში, როდესაც საქართველოში სასცენო ზელოვნება არსებობდა როგორც თეატრი „სახიობა“ (ამ თეატრის წარმოდგენები სრულდებოდა ნიღბოსანი მსახიობების — მოცეკვავე-მომღერლებისა და მუსიკოსების მონაწილეობით). „სახიობა“ თვით „ვეფხისტყაოსანიშია“ მოხსენებული.

შეკვლევართა აზრით, რუსთაველის დროინდელ საქართველოში „ვეფხისტყაოსანი“ წამღერებით და საკრავის თანხლებით იკითხებოდა, ვინაიდან მაშინ მოშიაობის ზელოვნება, აგრეთვე „სახიობა“ მსახიობისა, მწერლისა და მსახიობის შემოქმედებას აერთიანებდა. ეს ორი ზელოვანი მოგვიანო პერიოდში გამოეყო ერთმანეთს. შემდეგ, როდესაც მხატვრული კითხვის ზელოვნება შემოქმედების ცალკე დარგად იქცევა და მის დრამატული თეატრის პროფესიონალი მსახიობები დაეუფლებიან, „ვეფხისტყაოსანი“ მათ შემოქმედებაში გარკვეულ ადგილს დაიკავებს. მაგრამ, სანამ ეს მოხდებოდა, „ვეფხისტყაოსნის“ სხვათათვის მოსასმენად კითხვას აღმოუჩნდება კიდევ ერთი, დიდად მნიშვნელოვანი კერა—ეს არის ქართული ოჯახი, სადაც წინათ, უმრავლეს შემთხვევაში, ბავშვი ანბანს დედისაგან სწავლობდა „ვეფხისტყაოსნის“ საშუალებით.

სხვათა მოსასმენად „ვეფხისტყაოსნის“ კითხვის სიბშირეს ისიც უწყობდა ზელს, რომ პოემა არსებობდა ზელნაწერის სახით. ზელნაწერთა რაოდენობა მცირე იყო. არც მწიგნობარი იყო მრავლად. ასე რომ, მოწინავე ქართულ ოჯახებში „ვეფხისტყაოსნის“ სხვათათვის მოსასმენად კითხვა უთუოდ ადრე დამკვიდრდა. კითხვის სიბშირემ თავისთავად გამოაჩინა უცუთესი შემსრულებლები, მათ გაუჩნდათ მიმბაძველები. ამგვარად, დროთა განმავლობაში იზრდებოდა პოემის შეკითხველთა რაოდენობა, ამავე დროს ყალიბდებოდა „ვეფხისტყაოსნის“ ხმამაღალი კითხვის თავისებური ტრადიციაც, ერთი მხრივ, „სახიობის“ მონაწილეთა შესრულებაში, მეორე

1 დ. ჯანელიძე, რუსთაველი და „ვეფხისტყაოსანი“ თეატრსა და დრამატურგიაში“, ქვრნ. „საბჭოთა ზელოვნება“, 1937, № 6.

2 მ. გოგიბერძე, რუსთაველის ესთეტიკა, „მნათობი“, 1937, № 8. გვ. 146.

მხრივ, მოწინავე ქართულ ოჯახებში. ვიორგი ერისთავს, დიმიტრი ყიფიანს, ალექსანდრე ჰაე-
ჰავაძეს, ვრიგოლ ორბელიანს, ილია ჰაეჰავაძეს,
ნიკო ნიკოლაძეს და ბევრ სხვას დედამ შეას-
წავლა წერა-კითხვა, შეაყვარა წიგნი. დედანად
„ვეფხისტყაოსანი“ ჰქონდათ. აკაკი წერეთელს
შესანიშნავი მოგონება აქვს დაწერილი იმის შე-
სახებზე, თუ როგორ იყო გამართული დიდ ქარ-
თულ ოჯახებში სკოლა „ვეფხისტყაოსნის“ წყა-
ლობით.

სამწუხაროდ, არ გაგვიჩინა ცნობები იმის შე-
სახებზე, თუ ვინ და რანაირად კითხულობდა „ვე-
ფხისტყაოსანს“ XII საუკუნეში ან უფრო გვი-
ან, თუმცა თვით პოემის არსებობის ფაქტია
საყვარისი იმისათვის, რომ წარმოედგინათ
ქართული მეტყველების კულტურის იმდროინ-
დელი დონე. ის ძუნწი ცნობები, რომლებიც
მოგვეპოვება მოგვიანო პერიოდის შესახებ, სა-
ფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ „ვეფხის-
ტყაოსნის“ XIX საუკუნის მკითხველთა შეს-
რულების თავისებურება ერთგვარი გაგრძელე-
ბაა იმ ტრადიციისა, რომელიც მათ მემკვიდრე-
ობით შეიღეს წარსულიდან.

პლატონ იოსელიანის ცნობით, მეფე ვიორგი
მეცამეტეს (გარდაიცვალა 1800), რომელიც იყო
„სიყრძიდან განსწავლული საღმრთოთა წერი-
ლითა, უყვარდა დიდად კითხვა ვეფხის-ტყაოს-
ნისა ზეპირად. ძველ დროთა ჩვეულ ე-
ბრივითა წესითა, წარმოთქმიდა ოცდა-
ათსა და მეტთა მუხლითა, ეტრფო და ლექ-
სითა წყობასა და გულშეხარულებითა გასა-
გონად, ტკბილად აბოლოებდა შოთას
ტკბილთა ნათქვამთა“. შემდეგ პლ. იოსელიანს
თავისი აზრის დასაბუთებლად მოჰყავს ვიორ-
გი XIII სიტყვები რუსთაველის პოემის შესახებ:
„...შოთას თქმულნი ატბობენ სულსა, ასუქებენ
გონებასა, ამაღლებენ გრძობასა, ავრცელებენ
გულსა, ამზარებენ ეასა. დიდებულ ჰყო-
ფენ ქართველთა ენასა, ამუსიკებენ ქალთა და
კაცთა...“¹ (ხაზგასმით ჩვენია, ნ. უ.).

როგორც ვხედავთ, პლატონ იოსელიანი პირ-
დაპირ მივეითითებს იმაზე, რომ ვიორგი XIII
„ვეფხისტყაოსანს“ კითხულობდა „ძველთა დრო-
თა ჩვეულებრივთა წესითა“ ე. ი. ტრადიციულად;
„ტკბილად აბოლოებდა“, მასთანავე, წამღერე-
ბით კითხულობდა. შემდეგ თვით ვიორგი XIII

სიტყვები მოჰყავს რუსთაველის სიტყვას განსა-
კუთრებული მუსიკალობის შესახებ: „რაც, სერ-
თოდ არის მიზეზი ლექსის წამღერებელი ვიფიქრესა“.

როგორც ლექსის დამღერებით შესრულება
საკრავის თანხლებით, ისე ლექსის წამღერებით
შესრულება საკრავის გარეშე XIX საუკუნემდე
შემორჩა საქართველოს.¹ XIX საუკუნემ ლექსის
სამეტყველო ენის სისადავის შესრულებისაკენ
აიღო გეზი. ამ დროს საქართველოში გაჩნდა ლი-
ტერატურული წრეები და სალონები, იმართე-
ზოდა საოჯახო და საჯარო ლიტერატურული სა-
ღამო-კონცერტები და დივერტისმენტები. თუ გა-
ვიხსენებთ, რომ ამ დროს ქართული პროფესიო-
ლი თეატრი ჯერ არ არსებობდა, გასაგებია იქნე-
ბა ამ საღამოების მნიშვნელობა საქართველოს
საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის.²

ეს ლიტერატურული შეკრებანი, რომლებიც
პროფესიული თეატრის გახსნის შემდეგაც
ზოგიერ იმართებოდა, დანიშნულებითა და ხასია-
თით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან (საბუ-
ბილეო თარღების აღნიშვნა, კლასიკურ და
ახალ ნაწარმოებთა კითხვა, ცალკეულ გმირთა
ლიტერატურული გასამართლებანი და სხვ.) მი-
უხედავად ამ განსხვავებისა, ისინი ინახავდნენ
ლიტერატურულ ტრადიციას, ამავე დროს აღ-
ვიებდნენ ინტერესს ეროვნული კულტურისა-
დმი. სწორედ ამიტომ ეპოქის უდიდესი ადამი-
ანები ილია ჰაეჰავაძე, დიმიტრი ყიფიანი, აკაკი
წერეთელი, ივანე მაჩაბელი და სხვანი ამგვარ
საღამოთა ინიციატორები და მონაწილენი იყუ-
ნენ. ახალ ნაწარმოებებთან ერთად ლიტერატუ-
რულ შეკრებებზე კითხულობდნენ ხოლმე აღ-
ვილებს „ვეფხისტყაოსნიდან“.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-იან წლებში
თბილისის პირველ გიმნაზიასთან ჩამოყალიბ-
და ლიტერატურული წრე. მას ქართული ენის
მასწავლებელი სოლომონ დოდაშვილი ზელმ-
ღვანელობდა. წრეში გაერთიანებული იყვნენ
შემდეგი მოსწავლეები: ნიკოლოზ ბარათაშვილი,

1 ბ. ნიკოლაიშვილის სადისერტაციო შრომა,
„ლექსის მხატვრული შესრულების პრობლემა-
სათვის ქართულ მხატვრულ კითხვასა და სას-
ცენო მეტყველებაში“, 1955, დატულია რუსთავე-
ლის სახ. საზღვარგარეთი ინსტიტუ-
ტის ბიბლიოთეკაში.

2 ი. ბალახაშვილი, „ლიტ. წრეები და სალო-
ნები“ და ა. ბ. მახარაძის „ლიტერატ. შეკრებ-
საღამოები საქართველოში“.

¹ პლ. იოსელიანი, „ცხოვრება ვიორგი მე-
ცამეტისა“, „ფედერაცია“, 1936 წ. გვ. 182.

მიხეილ თუმანიშვილი, ილია ორბელიანი, პეტრე ბაგრატიონი, ლუკა ისარლიშვილი, ასეუ ანდრონიკაშვილი, მიხეილ ბებუთოვი, ვარსევიან ვარლამოვი, ლევან შელიქიშვილი, ალექსანდრე მონასტიროვსკი, ივანე ტიტოვი, მირიან ჭყონია, ალექსანდრე იზიუმსკი და სხვანი. ქართული ლიტერატურით დაინტერესებული ეს ახალგაზრდები არა მარტო ეცნობოდნენ ხელნაწერის სახით არსებულ ნიმუშებს, არამედ ზეპირადაც სწავლობდნენ. ამ წრის ერთ-ერთი წევრი ლუკა ისარლიშვილი წერს:

„ჩვენ ვკითხულობდით „ვეფხისტყაოსანს“, ზეპირად ვიცოდით ვისრამიანი, ჩახრუხაძე, ქავჭავაძე“¹.

ზეპირად დასწავლა სხვის მოსამყენად წაკითხვას გულისხმობს უთუოდ. ასე რომ, გიმნაზიის ლიტერატურული წრის წევრები, რა თქმა უნდა, ხშირად კითხულობდნენ ქართული ლიტერატურის ნიმუშებს, მათ შორის „ვეფხისტყაოსანს“. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სხენებულ წრეში მომავალი სახელმძღვანელო ქართველი მგონსებიც იყვნენ, მათი ხელმძღვანელი კი ქართული ლიტერატურის გამოჩენილი მკვლევ. მხატვრული მეტყველების საკითხებით დაინტერესებული სოლომონ დოდაშვილი, ქართული ლიტერატურის ნიმუშებისადმი ყურადღების სიღრმე-სიმტკიცეში ეპის შეტანა ძნელი იქნება.

გიმნაზიის ლიტერატურულ წრეს საკუთარი ხელნაწერი ვერხლიც ჰქონდა („Цапок ГИМНАЗИИ“). ერთ-ერთ ნიმურში (რედაქტორი მიხ. თუმანიშვილი) არასრული სახით შემონახულია „ვეფხისტყაოსნიდან“ გადმოწერილი ორი ეპიზოდი.² ცნობები იმის შესახებ, თუ ვინ და რანაირად კითხულობდა ამ წრის შერჩევებზე ნაწყვეტებს რუსთაველის პოეზიდან, საშუაბაროდ, არ გვაქვს.

როდესაც გიორგი ერისთავის მიერ შექმნილი ქართული პროფესიული თეატრი დაიშალა (1856 წ.), ლიტერატურული წრეების, შინაური თუ საჯარო შერევა-სალამოების როდენობამ კიდევ უფრო იზარტა. ოცნება ქართული პროფესიული თეატრის აღდგენის შესახებ კვლავ

ცოცხლობდა, როგორც ერთგულად მნიშვნელოვანი იდუა. მის განხორციელებამდე კი სწორედ ეს ლიტერატურული შერევა-სალამოები ლიტერატურულ ტრადიციას და აღვივებდნენ ინტერესს ეროვნული კულტურისადმი საერთოდ. ამ მოძრაობის სათავეში იყვნენ შოწინავე ქართველი მწერლები. „ისინი წერდნენ და უკითხავდნენ დაწესრეებს ჩვენი ხალხის ღებჭირი ცხოვრებიდან ამოღებულ სურათებს, უკითხავდნენ და აცნობდნენ ფართო წრეებს რუსთაველის (ზახვასმა ჩვენი, ნ. უ.) უკვდავი ქნილებიდან ადგილებს სიყვარულის, მეგობრობის და თანასწორობის შესახებ...“¹ კონკრეტულ ცნობებს იმის შესახებ, თუ ვინ, რა ადგილებს და როგორ კითხულობდა, ჭერ ვერ მიაგვინით. ეროვნული კულტურისადმი ინტერესი თანდათან იზრდებოდა. მთელი სიმწვაით იდგა საკითხი თბილისში. უნივერსიტეტის დაარსების და პროფესიული თეატრის აღდგენის შესახებ. ქართული ლიტერატურის გარშემო ყურადღების მოკრებაც ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის უმნიშვნელოვანესი საქმე იყო.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, განსაკუთრებით, 70-80-იან წ. წ. თბილისში, გორში, ქუთაისში სისტემატრად იმართება ლიტერატურული შერევა-სალამოები. კითხულობენ ძველსა და ახალს, საკუთარსა და სხვის ნაწარმოებებს, თარგმანებს, რა თქმა უნდა, „ვეფხისტყაოსანს“. 1872 წ. მიხ. თუმანიშვილის უფროსი ქალიშვილი ბარბარე, დიდად გატაცებული საზოგადოებრივი და ლიტერატურული საკითხებით, 14 დეკემბრით დათარიღებულ წერილში სწერდა თავის ძმას, გიორგის, ოდესისაში.

„... ვმოშირობ... საცდელად ბერანეცს ერთი ლექსი ვადუთარგმნე. მაგრამ მე სხვა გეგმა მაქვს, თუ მოვახერხე ... ვაპირებ მთელი „ვეფხისტყაოსნის“ წაკითხვას.“²

ლიტერატურულ შერევებზე სჯა-ბაისის, კაშათის, ლექსით გაზმზრების დროს ვლინდებოდნენ არა მარტო ქართული ლიტერატურის მკვლენი, არამედ მისი საუკეთესო შემსრულებლებიც მხატვრულ კითხვაში.

¹ ი. ბალახაშვილი, „ლიტერატურული წრეები და სალონები საქართველოში“, საბლიტვაში, 1940, გვ. 120.

² იქვე, გვ. 126.

¹ ან. მხარაძე, ლიტერატურული შერევა-სალამოები საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში. თბ.; 1939 წ.; გვ. 16.

² მ. თუმანიშვილი, ფეფრატი, 1937, გვ. 92.

1875 წლის 4 აპრილს თბილისის საზოგადოებრივი თეატრში მოეწყო პირველი ქართული სალიტერატურო და მუსიკალური საღამო. თუ რაოდენ მნიშვნელოვანი და დროული იყო იგი, ამის შესახებ ასე წერდა ს. მესხი გვს. „დროების“ 1875 წ. 9 აპრილის ნომერში:

„... არც ერთ ქართულ წარმოდგენას, არც ერთ სხვა რომელსავე თავის შესაქცევარს, დროს გატარებას არ მოუხდენია ჩვენში არასოდეს ისეთი კარგი, ისეთი სასიამოვნო შთაბეჭდილება, როგორც ამ სალიტერატურო საღამოს.

„... ყველამ, ვინც კი ამ საღამოს ჰყოთხელობდა, ძალიან კარგად ახსრულა თავიანთი მოვალეობა, ყველამ კარგად წაიკითხა. ერთი წამითხველი არ გამოსულა ისე სცენაზე, რომ პებლაკას 2-3-ჯერ არ გამოეთხოვოს და, აფიშაში დანიშნულს გარდა, სხვა რამე არ წაეკითხინებინოს.

„... ამ პირველმა სალიტერატურო საღამომ უნდა გავამზნევეს, საზოგადოება დიდად კმაყოფილი დარჩა; ყველას მოეწონა ეს ახალი დროსგასატარებელი საშელება... საზოგადოება ჩვენს დედაქალაქში თითქმის სრულიად მოკლებულია ამისთანა დროსგასატარებელ საშელებას, რომელიც ერთსა და იმავე დროს საამოც იყოს მისთვის, სასარგებლოცა და არც ძალიან ძვირი.

„ჩვენ, ქართველები, ბევრ კითხვას არა ვართ შეჩვეულნი: ათასში ერთი არ ჰკითხულობს ჩვენი ძველისა და ახალი დროების სატკეთსო მწერლების თხზულებებსა და ეტრნალ-გაზნეთებს სხვა არა იყოს რა, ამგვარი საღამოების საშელებით ცოტათ მინც შეიძლება კითხვის ხალისი მიეცეს საზოგადოებას და გაიციოს თავისი მწერლები; შეიტყოს, რომ ქართლის ტერის ოდესმე უძროშია, უფხიზლია და ახლაც შრომობს.“¹

საღამოს პროგრამა შემდგენიარად იყო შედგენილი — დიმიტრი ყიფიანმა წაიკითხა ერთი სცენა შექსპირის „შეულობს“ საკუთარი თარგმანიდან და ერთი თავი რუსთაველის „ვეფხისტყაოსნიდან“, რა დიელ ერთსავე მ—

ნაწყვეტი გ. სუნდუკიანის „პეპოდან“, აკაკი წერეთელმა — „ადგოკატის დილა“, და „სცენა საყრობილეში“, ილღუ მკერძვემვე ერთი ნაწყვეტი „კაცია-ადამიანიდან“ და გროზელაიანს „დ. ო.-ვის დარდები“, დავით ერეკლესთავე მ — ნაწყვეტი ილიას „აზრდილიდან“.

ამგვარად, პირველსავე საჭარო ლიტერატურულ საღამოს რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ამშვენებდა (დიმიტრი ყიფიანს შესრულებით). „დროების“ დღიურში ამის შესახებ ვკითხულობთ: „... დიმიტრი ყიფიანი ნამდვილი ოვაციით მიიღო საზოგადოებამ. გამოვიდა თუ არა ეს პატოვსკეში, გაპალარავებული მოხუცი, ყველამ ერთხმით დაჰყრეს ტამი და ეს ტამის კვრა რამდენიმე მინუტის განმავლობაში არ შეწყვეტილა.“²

კორესპონდენციის ავტორს მიანიჩა, რომ ამ ოვაციით დამსწრე საზოგადოება თავისებურად მოესალმებოდა იმას, რომ დ. ყიფიანი ახალგაზრდებთან ერთდაა ამ სამამულიშვილო საქმეში. საშუებაროდ, არაა დასახელებული პოემის რომელი ადგილი წაიკითხა დ. ყიფიანმა. რაც შეეხება შესრულებას, დ. ყიფიანს კარგად წაუთთხავს, მაგრამ „საუბედუროდ ისე დაბალი ხმით, რომ ზოგიერთებს, ვინც სცენაზე მოშორებული იყვნენ, არ გავგონიათ“.

რა თქმა უნდა, ლიტერატურული ნაწარმოების მშატერულ კითხვაში შესრულება უპირველესად გასაგონი უნდა იყოს მსმენელთათვის თუ დ. ყიფიანის კითხვა მისგან შორს მჯდომთ არ ესმოდათ, ეს უსათუოდ ნაკლია, მაგრამ რეცენზიის მიხედვით, დ. ყიფიანი არც ისწრაფოდა ხმაძალაი კითხვისაკენ. რეცენზენტი არაფერს ამბობს მისი ხმის ნაკლოვანი ელერადობის შესახებ, ის აღნიშნავს „კარგად წაიკითხა, მაგრამ საუბედუროდ, დაბალი ხმით“. ამ მოსაზრებას ისიც ადასტურებს, რომ რეცენზიის ავტორი იმავე ნაეზზე მიგვანიშნებს მაშინაც, როდესაც რ. ერისთავის კითხვას აფასებს — „ეს ევე ნაკლოვანება ჰქონდა რ. ერისთავის კითხვისაც, რომელმაც „პეპოს“ ნაწყვეტი სუსტი ხმით... წაიკითხა, მაგრამ მეორე გამოსვლაზე გამოისყიდა ეს ნაკლოვანება“. მაშასადამე, რეცენზენტის აზრით, დ. ყიფიანისა და რ. ერისთავის

¹ ასეთივე მაღალი აზრისა იყო ლიტერატურულ-მუსიკალურ საღამოებზე იაკობ გოგებაშვილი, იხ. „ივერია“, 1889, 5 აპრილი, №73,

² „დროება“, 1875, 9 აპრილი, №42, გვ. 1-2, დღიური.

ნაკლი მდგომარეობს არა შთაი ხმის ღირსება-
ნაკლოვანებაში, არამედ შესრულების თა-
ვისებურებაში. დ. ყიფიანს ყარვად, მაგ-
რამ ხმადაბლა წაუკითხავს. შეიძლება ვითქ-
როთ, რომ ის პოემის საღად შესრულებსავე
ისწრაფვოდა.

თუ დაეუჭრებთ „დროების“ რეცენზენტს—
„ყოველ წაქოთხველს „ბიზს“ ეძახდნენ და
ერთს წაქოთხვას არ სჯერდებოდნენ“ — შეიძ-
ლება ისიც ვითქვოთ, რომ XIX საუკუნის
მეორე ნახევარში „ვეფხისტყაოსანის“ ამგვარი
კითხვა საზოგადოების მოწონებას იმსახურებ-
და. საერთოდ, საღამოს წარმატება იმდენად
დიდი ყოფილა, რომ ის ხელშეორედ გაიშეო-
რეს თბილისში, შემდეგ კი ქუთაისში იმავე
პროგრამითა და იმავე შესრულებების მო-
წაწილებით.

ამგვარად, საქარო ლიტერატურულ საღამო-
ზე „ვეფხისტყაოსანი“ პირველად ქართულმა
მწერალმა დ. ყიფიანმა წაუკითხა. შემდეგმეც
„ვეფხისტყაოსანის“ ცნობილი საქარო მკითხ-
ველები ქართველი მწერლები არიან. შთა შო-
რის, უპირველეს ყოვლისა დასახელებულ უნდა
იქნას გრიგოლ დადიანი (1814 — 1901),
ლიტერატურაში კოლხიდელის სახელით ცნო-
ბილი. (მე სამეგრელოს შთაერის ლევაინა).
იონა მუენარგიას ცნობით, „გრიგოლ დადიანე
ხელოვანი მკითხველი იყო ქართული ენისა.
არც ლექსის მკითხველი, არც პროზისა მისებრ
მოხდენილი მე არ მინახავს ჩვენს ენაზე.“¹

გრ. დადიანი დიწად კითხულობდა თერმე,
აქტარებლად. სიტყვის წარმოთქმა მკაფიოდ,
„შეორისაგან განყოფილად“ უყვარდა. ხმის არა-
სოდეს არ უწევდა. სიტყვის სიღარბისლია შე-
სატყვისად, მოძარბაზე ჭუნწი ჰქონდა—ხელებს
არ იქნევდა და მკერდს არ იცემა. ი. მუენარგია
იწონებს ამგვარ სიტყვებს და განსაკუთრებული
ხაზგახმით აღნიშნავს: „...თითოეული მისი მოძ-
რაობა იყო მოხდენილი და იშვიათი“.

მეტყველების ტექნიკა გრიგოლ დადიანს იმ-
დენად მაღალი ჰქონდა, რომ, ი. მუენარგიას აზ-
რით, „იმაზე უკეთეს დიქციის მასწავლებელს
ვერ იშოვნინდა ჩვენში ვერც ერთი თეატრალური
სკოლა, ვერც ერთი სასწავლებელი“.

გრ. დადიანი „ვეფხისტყაოსანსაც“ კითხულო-

ბდა. კითხვის ის თავისებურებანი, რომელნიც
მისთვის საერთოდ იყო დამახასიათებელი, არ
ოქმა უნდა, ამ შემთხვევაშიც შენარჩუნებულ
ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ი. მუენარგია მაინც
საგანგებოდ ჩერდება ამ საკითხზე. გრ. დადიანის
მეორე „ვეფხისტყაოსანის“ კითხვია დაწერილებით
განხილვამდე, ი. მუენარგია ეხება საკითხს რუს-
თაველის პოემის მხატვრული კითხვის ტრადი-
ციის შესახებ საქართველოში:

„... ვერ კიდევ შორს არ წავსულვართ ჩვენ
იმ დროიდან, როცა „ვეფხისტყაოსანს“, თუ შეი-
ძლება ასე ითქვას, დიდებულნი ჩვენში
და არა კითხულობდნენ. ახალი დრომ კითხვა
დაუწყო „ვეფხისტყაოსანს“, მაგრამ ვალობის
ტონი ჭერ კიდევ არ გამოხელებია
და არც შეიძლება გამოხელებს ამ კითხვას, რად-
ვანაც თვით ქართული ლექსითა წყობა დამყარ-
ბულია მხოლოდ მარცელის რაოდენობაზე, რი-
გორც ფრანგულში და არა ხმის აწევაზე, რი-
გორც რუსულში. ქართული ლექსის კითხვას ბე-
ნებრივად მონოტონურად შეიქმნენ, მაგრამ
რამდენიც შეიძლება დადიანი „ვეფხის-
ტყაოსანს“ შვენივრად კითხულობს.“¹

როგორც ხანს, გრ. დადიანი, ახალი დროის
შესაფერისად, კი არ ღიღინებდა, კითხულო-
ბდა „ვეფხისტყაოსანს“, მაგრამ ამ კითხვაში
ინარჩუნებდა ვალობის ტონს სწორედ იმ-
დენად, რამდენადაც ამას, ი. მუენარგიას აზრით,
ქართული ლექსის ბუნება მოითხოვდა.

შემდეგ ი. მუენარგია ერთ ნიმუშზე („ვეფხის-
ტყაოსანის“ სტროფი 32) დაწერილებით განიხი-
ლავს გრ. დადიანის ინტონაციებს, ხმის აწე-
დაწევის, პაუზათა ხანგრძლივობის, შთა მნიშვნე-
ლობას. გრ. დადიანი მეორე „ვეფხისტყაოსანის“
მხატვრულ კითხვას ი. მუენარგია განიხილავს
განსაკუთრებული ყურადღებით, ღრმა ცოდნით,
როგორც პროფესიონალი. ეს გვაფიქრებინებს,
რომ თვით ი. მუენარგია უნდა ყოფილიყო
მხატვრული კითხვის ოსტატი. მის ახლობელთა
გადმოცემით, ის თერმე ჩინებულად კითხულობ-
და ბაირონს, პუშკინს, რუსთაველს, მაგრამ რი-
გორ, ამის შესახებ, საწუხაროდ, არავის არა-
ფერი დაუწერია.

რა არის უკვლავ საყურადღებო შეენიშვნა ი.

¹. ი. მუენარგია, ქართველი მწერლები, ტ. 1,
საბლიტგამი, თბ. 1944, გვ. 337.

10. „მნათობი“, № 7.

1. ი. მუენარგია, ქართველი მწერლები, ტ.
1, საბლიტგამი, თბილისი, 1944 წ., გვ. 238.

მეუნარგის ცნობიდან ვრ. დადიანის შესრულების შესახებ? ის, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში „ვეფხისტყაოსნის“ საუკეთესო მკითხველთა შორის პირველი ადგილი უჭირავს მწერალს. რომ ეს მწერალი აგრძელებს „ვეფხისტყაოსნის“ წამლერებით კითხვის წარსულიდან მიღებულ ტრადიციას. ამავე დროს შეაქვს მასში ის ახალი, რაც მისი დროის პროგრესულ მოაზროვნეთათვის იყო დამახასიათებელი, როგორც ლიტერატურული ნაწარმოების შექმნის საკითხში, ისე მისი მხატვრული შესრულების საკითხში—ცხოვრებისეულ სიმართლესთან მიახლოება, უბრალოება, სისადავე და იმ გზით ნაწარმოების დედაბრის ხაზგასმით წინ წამოწევა.

რომანტიკულად ზეაწეული მხატვრული კითხვის ნაცვლად ლიტერატურული ნაწარმოების სადა წაკითხვის დამკვიდრება ძნელად ვინახორციელებელი ამოცანა იყო, მაგრამ ეპოქისათვის დამახასიათებელი და კანონზომიერი.

ვრ. დადიანის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ კითხვაში ამგვარი ტენდენცია ეჭვითურთაა.

მხატვრულ კითხვაში ვრ. დადიანს მოწაფეები და მიმდევრებიც ჰყავდა. მათ შორის გამოირჩეოდნენ მამია გურიელი და დავით ერისთავი.

თავიდანვე პოეზიის გარემოში ვაზრდილი მამია გურიელი (1836—1891) პოეტი და მწიგნობარი, ლიტერატურულ ნაწარმოებთა მხატვრული შესრულების დიდი ოსტატი იყო. ეს საქმე ისე უყვარდა და ეხერხებოდა, რომ მისი თანამედროვენი ხშირად ხუმრობდნენ თურმე—მამიას თარგმანები იმიტომ მოგვწონს, რომ თავითონ გვიკითხავსო. რაც შეეხება „ვეფხისტყაოსნის“ კითხვას, გარდა დიდი სიყვარულისა, ამ შესრულებას რუსთაველის პოემის ღრმა შესწავლა ედო საფუძვლად. მამია გურიელი კარგად იცნობდა „ვეფხისტყაოსნის“, სინტერესო და საგულისხმო აზრებიც აქვს გამოთქმული. უყვარდა პოემის ხმამაღლა კითხვაც სხვათა მოსასმენად.

მამია გურიელის ნიჭიერება მხატვრული კითხვის დარგში იმდენად დიდი იყო, რომ ცხოვრებაში შესამჩნევი მისი ზოგი ნაკლოვანება კითხვაში არ იგრძნობოდა — „მამიას კითხვაში მე ვვალახე უფრო ის მკვირვებდა,—წერს ი. მეუნარგია, — რომ ამ ჩერისასვით გამხმარ კაცს როცა იგი დაიწყებდა კითხვას, ფილტვებში იმდენი პერი მოქედოდა, რომ თუნდ ერთ გვერდს წაიკითხავდა ისე, რომ ხმა არსად უღალატებდა

და აფიქრებინებდა კაცს, რომ იმას კიდევ სხვა იმდენის წაკითხვა შეეძლო“¹

რა შეიძლება უთვლიდნენ მამია გურიელის მიზეზი? ვერ ერთი ის, რომ კითხვის დროს შემსრულებლის აწეული შესაძლებლობა მაქსიმალურად იყო მომართული. მეორე ის, რასაც მამია გურიელი აქსოვდა ლექსის შეარქულებაში იმდენად შთამბეჭდავი და ზემოქმედი იყო, რომ მის მსმენელს ხმის ელქადობაც უფრო ძლიერად ეჩვენებოდა, ვიდრე ეს იყო სინამდვილეში.

ვრ. დადიანის ერთგული მოწაფე და მისი სკოლის მიმდევარი მამია გურიელიც სიტყვას განსაკუთრებით მკაფიოდ წარმოთქვამდა. ერთი სიტყვის მეორისაგან გამოყოფა უყვარდა, დინჯად, მოსვენებით. მიზანი, ალბათ, იგივე იყო—მსმენელია უფრადლების ნაწარმოების დედაბრისადმი მიპყრობა. „მამიას სიტყვა რაღაც პირის სიღრმეში იბადებოდა“, ამბობს ი. მეუნარგია.

მიუხედავად იმისა, რომ, თავის მასწავლებლისაგან განსხვავებით, მამია გურიელი მხოლოდ ლექსებს კითხულობდა, „მის კითხვაში კაც ვერც ჩვეულებრივ ქართულ მონოტონურ დილინს (ხაზგასმა ზეწეა. ნ. უ.) გაიგონებდა, ვერც ვეროზელ გაეარდნილ დეკლამაციას“.¹

როგორც ვხედავთ, ი. მეუნარგია აქც საგანგებოდ მივითითებს მამია გურიელის მიერ ლექსის დილინით შეარქულების ტრადიციის დარღვევას. მამია გურიელიც სადად, ცხოვრებისეული სიმართლით, სამეტყველო ენასთან მიახლოების სურვილით კითხულობდა საკუთარსა და სხვის პოეტურ ნაწარმოებებს. სიტყვის სისადავეს მოძრაობის სიძნევეც ახლდა თან. ერთი ჩვეულება ჰქონდა—მარჯვენა ხელის ტუჩებსა და წვერზე ჩამოსმა უყვარდა დარბაისლურად. შინაარსით კი ისეთი ლექსების წაკითხვა უყვარდა, რომლებშიც „დრამატული მოძრაობა იყო“. „ვეფხისტყაოსნიდანაც“ უმეტესად ასეთ ადგილებს ირჩევდა. სანიშნოდ ი. მეუნარგია ვანიხილავს მამია გურიელის მიერ სანაქებოდ შესრულებულ მონაქვეთებს („ტარიელისაგან ხატავთს წასულა და დიდი ომი“, „თათბირი ტარიელისა“):

„...მამია ამ ტაევის (1419, ნ. უ.) პირველ ნახევრამდის წამოვიდოდა, მისი ხმა თვითონ ბრძოლის ხატი იყო: ძლიერი, სწრაფი, მრისხანებით საესე, მაგრამ რა აქ ჩამოაწედა,

1. ი. მეუნარგია, — ქართველი მწერლები, ტ. II. საბლიტგამი, თბ. 1944, გვ. 97.

ის ცოტა ხანს შეჩერდებოდა, ხმას დაუწევდა და ცოტა აჩქარებულად, სხარტულად, მუსიკის კილოზე, თითქოს განზე, წასვლით წაილაპარაკებდა „...სიტყვეს, საქმეა მისეული“¹. (ხაზგასმა ჩვენია ნ. უ.).

ინტონაციური მრავალფეროვნება, რომელიც დამახასიათებელი ყოფილა მამია გურიელის კითხვისათვის, კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ იგი არა თუ უარყოფდა ტრადიციულ, მონოტონურ, ერთფეროვან კითხვას, არამედ საპირისპირო გზითაც მიდიოდა—მუსიკის კილოზე წაილაპარაკებდა კი შეიტანა „ვეფხისტყაოსნის“ შესრულებაში. ეს, ჯერ ერთი, მისი ოსტატობის საბუთია, ამავე დროს იმის საბუთიც, რომ გრიგოლ დადიანის მიერ დანერგული მისწრაფებების საფუძველი გადარჩა. მისმა მოწაფემ კიდევ უფრო მეტად გააღრმავა წარმატება, რომელიც მუდამ თანდევდა მამია გურიელის მხატვრულ კითხვას, ყველაზე დამარწმუნებელი საბუთია იმისა, თუ რამდენად აკმაყოფილებდა ამგვარი კითხვა მისი დროის მოწინავე საზოგადოებებს მოთხოვნილებებს. აფიშავს მამია გურიელის სახელი გაქვდილ დარბაზს ნიშნავდა. გამოსვლისთანავე აუდიტორია ხელთ ეპყრა. ღასასრულს აღტაცებული ვაჟა იყო სამადლობელო.

მამიას კითხვით მოხიბლული მეგობრები პოეტის საქარო გამოსვლებით არ კმაყოფილდებოდნენ და ჩვეულებრივი ოქაბური შეხვედრებიც მისი კითხვით იყო დამწვევებელი. მაგრამ საქმე მარტო წარმატებასა და საიმპონებაში არ იყო, — მამია გურიელის მხატვრული კითხვის თავისებურება და ხარისხი გარკვეულ ნორმად, მისაბამ და დასაყვიდრებულ ეტალონად იყო მიჩნეული. ამას გვიმოწმებს ქართული მწერლობისა და სიტყვიერების ისევე ის დიდი მოაზრე ი. მუხნარგია, რომელმაც ამდენი შეიკრახა მასალა შემოგვიწინა ქართული მხატვრული კითხვის წარსულ ოსტატთა შესახებ: „...რამდენჯერ მინატრია და მითქვამს, ვიღამაც რიგი იყო, რომ მამია მოეწვიათ რამდენიმე ხნით ქუთაისის ან ტფილისის სათავადაზნაურო სკოლებში, რომ იმდენ ყმაწვილებში, რამდენიც იქ არიან, ერთ-ორს მაინც შეეთვისებინა მამიას კითხვა.“²

გრ. დადიანის მეორე მოწაფე, მწერალი დავით ერისთავი (1847-1890), მამიას გურიელი ერისთავისა, თეატრალური კითხვის მხატვრულად თეატრალური, ერთხანს რეცესორადაც მუშაობდა. თავ რომ, სასკენო ხელოვნებასთან უშუალო კავშირში იმყოფებოდა. უყვარდა ლექსების კითხვა, კითხვობდა რუსულად, ფრანგულად, ქართულად. 1875 წელს გამართულ პირველ სალიტერატურო საღამოში ისიც მონაწილეობდა (ილია ჭავჭავაძის „აზრდილი“ წაიკითხა). რეცენზენტი აღნიშნავდა „ახლა პვერად უყვით კითხვობს ქართულს, ვიდრე ამ ორი-სამი წლის წინათ კითხვობდა, უმისლოდ მშვენიერი და ძლიერი ლექსები პოემის „აზრდილისა“ დ. ერისთავის წაიკითხვაში უფრო მშვენიერად და ძლიერად გამოისმოდა“¹. ძლიერი ხმის პატრონი იყო, დიდი აუდიტორიის მოყვარული, მკითხველ-ტრბუნა. სკოლა კი გრ. დადიანისა ჰქონდა, — სიტყვის მკადიობა ახასიათებდა, ხმის მოწინაობა, ინტონაციის მრავალფეროვნება. უყვარდა დასაბუდი, დრამატული მომენტები. ამ წუთებში, როგორც ხანს, იმდენად ემოციური იყო, რომ იმ დროს გამოჩენილ სომეხ მკითხველს გაბოტერ-სტეფანოსს ეთქვამს „ეს კითხვა კი არა, თამაშიაო“, ამავე დროს, როდესაც „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ვარიანტების შედარებისას (1881 წ.) და ერისთავმა ერთი თავი წაიკითხა, „მისი კითხვა სრულებით არაფრით არ განსხვავდებოდა სულ უბრალო კითხვისაგან“².

მამასადამე, დ. ერისთავი, გრ. დადიანისა და მ. გურიელის მსგავსად, „ვეფხისტყაოსნის“ საფუძველზე მხატვრული პრინციპის იცავდა.

პოეტი, პროზაიკოსი და დრამატურგი აკაკი წერეთელი (1840-1915), რომელიც ერთხანს ქართულ თეატრს ხელმძღვანელობდა, რეცესორობდა და თამაშობდა კიდევ სცენაზე, ამავე დროს საუკეთესო მკითხველიც იყო. თეატრთან პრაქტიკული შემოქმედებითი კავშირი, აგრეთვე საკუთარი შემოქმედების თავისებურება, რა თქმა უნდა, განაპირობებდა აკაკი-სულ მხატვრულ კითხვის თავისებურებასაც.

აკაკი წერეთელი ოსტატურად გამოდიოდა მხატვრული კითხვით. უმეტესად საკუთარ ნა-

1. ი. მუხნარგია, ქართული მწერლები, ტ. II, საბლიტგამო, თბ. 1944, გვ. 97.

2. ი. მუხნარგია, ქართული მწერლები, ტ. II, საბლიტგამო, 1944, გვ. 100.

1. „დროება“, 1875, 9 აპრილი, №42, გვ. 1-2 დღიერი. წერილი ხელმოუწერელია.

2. ი. მუხნარგია, ქართული მწერლები, ტ. II, საბლიტგამო, 1944, გვ. 138.

წარმოებებს კიბებლობა. მსმენელთა ყურადღების დაპყრობის საიდუმლოებას ფლობდა. ლამაზი იყო, სიტყვა დნეი ქონდა, ხმა ხვერდოვანი, სასიამოვნო, ზამთალი კითხვა არ უყვარდა, მაგრამ არც ერთი მისი ბეჭა არასოდეს არ იყარგებოდა. ხელების მოძრაობას მხოლოდ უკიდურესი ადგილებლობის შემთხვევაში მიმართავდა. მის კითხვაში ყველაფერი ნაწარმოების დედა-აზრის გამოყევას ემსახურებოდა, განურჩევლად იმისა, ლექსს კითხულობდა აქაი, ბროზას, სტენებს, თუ საჯარო ლექციას. არ უყვარდა ყალბი პათოსი, არც უღიმღამო ყოფითობა, მსმენელთან კონტაქტის დასამყარებლად საუბრის კალს ირჩევდა. გაზთა „დროება“ პირდაპირ წერდა ამის შესახებ: „... აკაის ორატორული ნიჭი, მართლა, არა აქვს; ის გეშეისიფება, გელაპარაკება, თითქო ამბავს რამე გიამბობს; მაგრამ ეს ლაპარაკი და შესაფი ისეთი ტიპილია, ისეთი საამოა, რომ არ შეგიძლიათ ყური მოაშოროთ“.¹

აკაი წერეთელი ვრ. დადიანის მოწაფე არ უოფილა, მაგრამ მხატვრული კითხვის დადაინსტრუქციული სკოლას პინციპები არ დატრღვევია. ყველა ცნობა აკაის, როგორც მხატვრული კითხვის ოსტატის შესახებ ამოწმებს იმას, რომ დიდ მწერალ მხატვრული კითხვის სფეროშიც ცხოვრებამდელი სწავრთლის სადად გადმოცემის დამამკვიდრებელი იყო.² რაც შეეხება აკაი წერეთლის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ კითხვას, ცნობილია, რომ პოემის ტექსტის დამდგენი კომისიის მეორე სხდომაზე 1881 წლის 13 თებერვალს აკაი წერეთელი ილია ჭავჭავაძესთან მონაცვლეობით კითხულობდა თავს „ამბავი როსტევან მეფისა“.³ და წერილებით ცნობები ამ კითხვის შესახებ არ მოგვეპოვება.

მავე 1881 წ. აკაიმ წააკითხა თავისი ცნობილი ლექციები „ვეფხისტყაოსანზე“. იმდროინდელი პრესა ფართოდ გამოეხმაურა ამ ლექციებს, იბეჭდებოდა მათი ტექსტი, ცნობები წარმატების შესახებ. გვატყობინებენ იმასაც, რომ ლექციას თან ახლდა თვით ლექტორის მი-

ერ შესრულებული საილუსტრაციო მავალითები რუსთაველის პოემიდან. ყველამ იცის, ვისაც კი შარშანდელი ლექციები „ვეფხისტყაოსნის“ გვირგვინზე ვაფიგონათ, თუ რა ტიპილმობარი ლექტორია აკაი წერეთელი. რა ზინებულ კართულით, რა გარკვევით და ყველასთვის გასაგონად ლაპარაკობს, და რა მშვენიერ, მოხდენილია, მახვილის მავალითებითა და ემიზონდების მოყვანით აცხოველებს ზოლმე ის თავა ლექციებს.⁴

მაშასადამე, აკაი წერეთელი კითხულობდა ადგილებს „ვეფხისტყაოსნიდან“, კითხულობდა მისთვის ჩვეული მანერით, მაგრამ სახელდობრ რომელ ადგილებს, ამის დამადასტურებელ მასალას ვერ მოვაგენით.

რუსთაველის პოემა მთლიანად წაკითხულ იქნა 1881 წლის თებერვლიდან თითქმის ერთი წლის განმავლობაში სხედასხევა პირთა მიერ, ძირითადად ქართველ მწერალთა მიერ, როდესაც „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისია მუშაობდა. თამყდომარეობდა გრიგოლ ორბელიანი, ლიტერატორებსა და მწერლობის მოყვარეთა შორის იყვნენ: დ. ყიფიანი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ვ. ორბელიანი, ნ. დადიანი, რ. ერისთავი, გ. წერეთელი, ი. შეუნარგია, ს. მესხი, დ. გორჯაძე, ი. გოგებაშვილი, დ. დადიანი, დ. ერისთავი, არქიმანდრიტი გრიგოლი, გაბრიელ ეპისკოპოსი, პ. უმიყაშვილი, ი. შანაბელი ვ. მიქელაძე, გ. იოსელიანი, ი. წინამძღვრევილი და სხვანი. ესწრებოდნენ ქალებიც: ი. ჭავჭავაძისა, ქ. ბაგრატიონ-მუხრანსკისა, ნ. ორბელიანი, ე. გაბაშვილი, ა. ერისთავისა, ნ. აბაშიძისა, ა. შიშიშელაშვილი, გ. გვათა და ა. მელიქიშვილისა. ზოგს მათგანი მონაწილეობას ღებულობდა პოემის ვარიანტების კითხვაში.

იტმოსფერო, რომელშიაც კომისიის მუშაობა მიმდინარეობდა, არ იყო ჩვეულებრივი და მხოლოდ საქმიანი ერთეულად უმნიშვნელოვანეს საქმის მოთავეთ იმაზეც უზრუნიათ, რომ ქართველის გენიის ქმნილებაზე მუშაობა სათანადო განწყობილებით წარმართულიყო სხდომები თბილისის სააღიღამებლო ბანკის დარბაზში იმართებოდა. გრძელ მაგინდს კომისიის წევრები უსხდნენ. თამყდომარის — გრიგოლ ორბელიანის უკან, კედელზე სათლის შუქში გაბეული მხატვარ მირიანაშვილის მიერ შეს-

1. „დროება“, 1881, 31 მარტი № 68, გვ. 1.

2. ს. გერსამია, აკაი წერეთელი და ქართული თეატრი. 1949 წ.

3. „დროება“, 1881, 17 თებერვალი, № 36.

4. იბ. 3.

1. „დროება“, 1881, 23 მარტი, № 6, გვ. 2.

რულეზული პორტრეტი რუსთაველსა. დარბაზში უამრავი ხალხი. კომისიის წევრებს და პატრიარქს სტუმრებს ჩამოურთივლიათ „ვეფხისტყაოსნის“ 22 ცალი, რომელიც ხელთ ჰქონდათ მაშინ. ბანკის საათმა ზარით დასკრა და „ყრილობამ დაიწყო უკვდავ პოემაში „ობოლი მარგალიტის“ ძებნა, უდიდესი თანამედროვე პოეტის ხელმძღვანელობით... ესეთია უძველესი ძალა პოეტის გენიისა, რომელიც 600 წელიწადი მეფობს ქართველების გონებაში...“¹ აღარებენ, მსჯელობენ, კამათობენ...

შეიძლება ითქვას, რომ კომისიის მუშაობა თეატრალურ ატმოსფეროში მიმდინარეობს: დარბაზში ხალხი, სცენაზე საგანგებოდ შექმნილი გარემო, სათანადოდ გაფორმებული. ყურადღების ცენტრში ქართველი ერის უმეორდასუსი განძი, მისი სიბრძნისა და სიმდიერის საამაყო სახეები „ვეფხისტყაოსანი“. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ორი წლის წინ, 1879 წელს, ქუთაისის პროგიმნაზიის ინსპექტორმა იუდიშმა ვიშნაიის მოსწავლეთ ატრიაძალა „ვეფხისტყაოსნის“ კითხვა,² ნათელი გახდება რუსთაველის პოემის ტექსტის დადგენის არა მარტო შემცენებითი, არამედ პატრიოტული მნიშვნელობაც. ქართულ საზოგადოებაში ერთნაირი გრძნობის ვალდებულებას სურვილიც იყო, აღბათ, იმის მიზეზი, რომ კომისია არ დაქაყოფილდა წმინდა კლევით, და ხალხმრავალი საზოგადო შეკრებულობის ხასიათი იჩინა. ასეთ გარემოში, სახე დარბაზის თანდასწრებით, სახელის, შუქით განათებული რუსთაველის პორტრეტის ქვეშ წაეთხუთა მონაცემთი „ვეფხისტყაოსანისა“, რა თქმა უნდა, უკვე საჭარო კითხვის ნიშნშია.

ყოველი სხდომის შემდეგ კომისიის მდივანი ი. მეთნარგია ვაზეთ „დროების“ მორჩე ნომრებში სხდომის დაწერილებით ანგარიშს აქვეყნებდა.

ზოგჯერ ვხვდებით ცნობებს, თუ ვინ ან როგორ კითხულობდა განსახილველ მონაცემთებს „ვეფხისტყაოსნიდან.“ უკვე დასახელებულთა გარდა ნახსენები არიან რ. ერისთავი, ი. მაჩაბელი და ი. ჭავჭავაძე. ი. მაჩაბელი ჭერ კიდევ ბავშვობაში ყოფილა ჩინებული მკითხველი, ეკლესიაში სახარებასაც ი აკითხებდნენ. მსმენელები იხიბულებდნენ მისი მკაფიო გამოთქმით და სამო ხმით. „ვეფხისტყაოსანიც“

ბავშვობაში წაუკითხავს ი. მაჩაბელს ადგილები ზეპირადაც კი სცოდნია.

კომისიის მეტრე სხდომაზე, 13 მარტი 1881, ჩაბელს ისე კარგად წაუკითხავს ადგილები „ვეფხისტყაოსნიდან“ (IV კარი, ხანა 32-78), რომ შემდეგ თითქმის სულ მას აკითხებდნენ. „დროებში“ კორესპონდენტი გამოთქვამდა იმის იმედს, რომ ასეთი მარდი მკითხველის შემწეობით რედაქცია მცირე ვადაში შეასრულებს დაწვებულ საქმესო. უფრო კონკრეტული ცნობები, სამწუხაროდ, არავის მოუწოდებია. სამაგიეროდ ი. ჭავჭავაძის, როგორც მკითხველის შესახებ, ბევრი საინტერესო და საგულისხმო გამოითქვა მაშინაც და ცოტა უფრო გვიანაც.

როგორც უკვე იყო თქმული, 13 თებერვლის სხდომაზე ი. ჭავჭავაძემ წაიკითხა მონაცემთი „ამბავი როსტევენი მეფისა“, აღტაცებულ ი. მეთნარგია წერდა:

... ილია ჭავჭავაძე, რომელიც ამ საღამოს კითხულობდა „ვეფხისტყაოსანს“, საზოგადო კარგი მკითხველია. იმას მშვენიერი ხმა აქვს, მშვენიერი გამოთქმა, ჩინებული კლო. მის კითხვაში ნამდვილი ქართული სიმების ელერია ისმის... რაღაც გამოუთქმელ საამოვნებას ეძიებ ილია ჭავჭავაძის კითხვაში, როდესაც ის თავის ხმის სასამოვნო ტემპრით შემოსძახებ:

„მეგას ნუ ბრძანებ მეფეო, ჭერ ვარდი არ დაგკნობია...“ რაღაც გრძნობისათვის სასამოვნო რამ ისმის ამ ხმაში, ამ ერის გულიდამ გამოსულ სიტყვების გამოვრებაში.³

ი. ჭავჭავაძის შემდგომშიც ხშირად წაუკითხავს საჭაროდ უმეტესად საკეთარი ნაწარმოებები. ი. გოგებაშვილის აზრით, „... ილია დეკლამატორი არ არის, ნაფიც მკითხველებს დასს არ ეცუთენის, მაგრამ სამაგიეროდ შემკულია ბუნებრივის მკითხველის ღირსებითა: ხმა აქვს მუსიკალური, კილო შესაფერი, ლოგიკური ხმის აწევი-წევა რიგზე მიჰყავს, გამომეტყველება და მოპრაობა პირისაშია შეესაბამება წასაკითხის შინაარსს და საზოგადოდ მისი ხმა მკაფიოდ მხატვრულ ყოველ ზარს და გრძნობას,

1 ვ. კელიძე, „ცხოვრება ივანე მაჩაბელისა“, „საბჭოთა საქართველო“ თბ. 1963 გვ. 26-27.

2 „დროება“ 1881, 17 თებერვალი, № 36 გვ. 3. (ხაზგასმა ჩვენივე ნ. უ.)

1. „დროება“, 1881, 11 თებერვალი, № 31, გვ. 3.
2. იმის შესახებ იხ. ვაზ. „დროება“, 1879, 1 ქრისტეშობისთვე, № 249, გვ. 1.

რომელსაც კი იმპერატორს სიტყვები და ფრაზები წასაკითხისა".¹

ამგვარად, ა. ქავჭავაძისეული მხატვრული კითხვის თავისებურებითა განსაზღვრისას მისმა თანამედროვეებმა დაასახელეს ის თავისებურებები, რომლებიც გრ. დავიანიდან დაწყებული XIX საუკუნის მეორე ნახევრის საუკუნისთვის მკითხველთათვის იყო დამახასიათებელი: მშვენიერი გამოთქმა, ბუნებრიობა, ლოგიკა, აზრის წინ წამოწევა.

1879 წ. კვლავ გაიხსნა ქართული პროფესიული თეატრი. ლიტერატურული შეკრებანი ისევ აქტიურად ემსახურებოდნენ თავის მიზანს. ოჯახო შეკრებებს და საქარო საღამოებს სხვადასხვა სათითგამანათლებლო, ხალხსწერი წრეები მიემატა. კითხულობდნენ რეფერატებს, ლექციებს, მხატვრულ ნაწარმოებებს. რა თქმა უნდა „ვეფხისტყაოსანსაც“.


ზ. სარაჯიშვილის სახლში თვეში ოთხჯერ, პარასკევობით საღამოს 8 საათიდან 11 საათამდე იკრიბებოდნენ ქართველი მოღვაწენი, სადაც აუცილებლად იყო ალექსანდრა მამუკა ასული მელიქიშვილისა და კითხულობდნენ „ვეფხისტყაოსანს“.²

რუსთაველის პოემას აკითხებდნენ ნიჭიერ

მოსწავლეებს დამატებით მეცადინეობაზე გამოჩენილი ქართველი მოღვაწენი: ჯ. ჯუღაშვილი და ს. შვალბლიშვილი. ცხოვრობდა მხატვრული სწავლული და უსწავლელი ადამიანი, რომლებმაც ზეპირად იცოდნენ მთელი „ვეფხისტყაოსანი“, მაგრამ მათი შესრულება არ ეკუთვნის მხატვრული კითხვის იმ შტოს, რომელიც სასცენო ხელოვნებასთან იყო დაკავშირებული. ამიტომ მათ შესახებ არაფერს ვიტყვით.

ამგვარად, „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული კითხვის ტრადიციამ საქართველოში განვითარების რამდენიმე საფეხტრი გაიარა: საკრავზე დამღერება „სახიობის“ თეატრის მონაწილეთა მიერ, ოჯახში ღიღინით კითხვა, უმეტესად ქალთა შესრულებით, რომანტიკულად ზეაწეული, წამღერებითი შესრულება და სამეტყველო ენასთან მიახლოვებული რეალისტური კითხვა. მკითხველთა ძირითადი მიზნები ქართველ მწერლებისაგან შედგებოდა. „ვეფხისტყაოსანზე“ აღზრდილნი, პოემის მხატვრული კითხვის გზითაც ზრდიდნენ ახალ თაობას. ეს იყო დიდი სამამულოშვილო საქმე.

ასეთია „ვეფხისტყაოსნის“ სასცენო ხელოვნებასთან დაკავშირების ერთი გზა.



¹ „ივერია“, 1889, 5 თებერვალი, № 77, გვ. 1. (ხაზგასმა ზეენია ნ. უ.).

² იხილეთ ნ. გაბუნის ავტობიოგრაფია საქ. სათეატრო მუზეუმში 61769 გვ. 4.

მთა სვამბაკიძე

იოსებ ნონეშვილის პოეზია

იოსებ ნონეშვილი მკაფიო პოეტური ინდივიდუალობით დაჯილდოებული შემოქმედია. იგი ამ ოცდაათიოდე წლის წინათ მოვიდა ქართულ პოეზიაში და იმთავითვე მიიპყრო მკითხველის ყურადღება პათეტიკური, მღელვარე ინტონაციით. პოეტს არ უყვარს მშვიდი, თავდაპირველი, სიტყვატუნწი საუბარი. მის ლექსებში ბევრია მძვერმეტყველური ფრაზები, მეტაფორები თუ შედარებები, ეფექტური ეპითეტები, ფრთხილი თქმები: „ელნათურები დაბინდულ სივრცეს ამოეპარგნენ ოქროს დიღებად“, „მისმა შემობრძანება ყაყაჩოს შუქით გვახარა“, „მიდის ცხვრის ფარა და ვარსკვლავები პატარა კრავებს ეძინებად მიაქვთ“, „ციხარტყვლით ავწევთ ღრუბლის ფარდას“, „ეგ თმები კლდეებზე ჩანჩქერად შინახავს“, „ელსადგურები სხივებს ჰფანტავენ, თითქოს იქნევენ ცეცხლის მუგუზლებს“, „ველზე მოჰქრის გაზაფხული-მხედარი, უნაგირზე ყვავილები ჩანან“... ამგვარი პოეტური ფრაზები შეადგენენ ი. ნონეშვილის სიტყვიერი მხატვრობის მთავარ სტილურ ნიშანს.

განსაკუთრებით უყვარს პოეტს ფრთხილი თქმები. იგი საგანგებოდ ზრუნავს, რომ საყურადღებო აზრი ღამაზ და სხარტ ფრაზაში ჩატიოს: „ჩვენ სიკაბუკის ჩაფხუტი გვხურავს, ტანზე გვაყვია მისი ბეგთარი“, „ჩვენგან ყველაზე შორს თქვენ წახველით, ამით ყველაზე ახლონი გახდით“, ან კიდევ:

გაუო დასვენება, ნახვენი მიწა,
გაძნევედი, არა გაქვს ჯერ ძუძუ დაცილი,
გაუო დასვენება, ნახვენი მიწა,
უნდა დაიღალო მშრომელი კაცავით.

ამ მხრივ პოეტი ხშირად თავისებურ აფორისტულ გამომსახველობას აღწევს: „ქვევრი გულსა ჰგავს კაცისას, უცეცხლოდ ამომდუღარი“, „ერთად რომ ამოვისუნთქოთ, ამოვარდება გრიგალი“, „ნუ იწვიმებ! — ვინ უბრძანოს ღრუბელს“, „ნაპირთან შებმით არ იღლება ტალღა არასდროს“, „რა კაცია, ეზო-კარი ვინც ნარ-ეკლით შემოღობა“ და სხვ.

ი. ნონეშვილის ნახატი ხან ფერწერული სურათოვნებით გამოირჩევა, ხანაც პლასტიკური მოქნილობით. პოეტი ხან ფუნჯის მოსმას ამჯობინებს, ხანაც საკრეთელს იმარჯვებს და სკულპტურულ ფიგურებს ძერწავს.

შენი თმების ფერი აქვს ყაზახეთის ღამეს,
მაგ ბაგეთა ფერი აქვს განთიადზე ცას.
მზე ეფინა ველებზე ყვავილებს და ყანებს
და ეგ შენი მზიური გაღიმება ვცან.

აქ ყველაფერი ფერების შეგრძნებაზეა დამყარებული. ყაზახი ქალის თმებს, ბაგეებს, ღიმილს, ამ ღამეს, ცას, განთიადს, ველებს, ყვავილებსა და ყანებს ჩვენ ფერებით ვგრძნობთ და ვხედავთ, თითქოს მათ არცა ჰქონდეთ ფორმა, საგნობრივი კონკრეტულობა. სამავიეროდ, ზოგ სტრიქონებში ფერის შეგრძნება თითქმის სრულიად გამ-

ქრალია და ჩვენ ვხედავთ რელიეფურად გამოკვეთილ, პლასტიკური მოძრაობით გაცოცხლებულ სკულპტურულ კომპოზიციას.

ი. ნონეშვილის მხატვრული სახეები, მეტაფორები და შედარებები უმთავრესად მხედველობითი აღქმის ნაყოფია... ისინი ან რაიმე პეიზაჟურ სურათს წარმოსახავენ („დაღამდა, თითქოს ცაზე დასცალეს ლალის მტევნებით სავსე კალათა“), ან აღამიანის სულიერ განცდას, ცხოვრების რაიმე მოვლენას გვისურათებენ („და ვარსკვლავით განთიადისას ცაში ჩაიწვა, როგორც ოცნება“). პოეტი ასევე ხშირად იყენებს ისეთ მეტაფორებსაც, რომლებიც აღამიანის სულიერი თუ მატერიალური ცხოვრების ფაქტებზე, ფსიქოლოგიურ თუ ყოფით დეტალებზეა აგებული („მავრამ ჭედმოხდილ კაცივით შემზება ეს უდერეფნო სახლი პატარა“, „მინდა სიმღერამ ამოვარდნილმა გულის ფესვები ამოიტანოს“, „როგორც ჯავშანზე, ამ სამ სიტყვაზეც ვადატეხილა მომხდურის ხმალი“).

იმისათვის, რომ მხატვრული სახე კონკრეტული განცდის, ლექსში გამოხატული კონკრეტული პოეტური იდეის შესატყვისი იყოს, ი. ნონეშვილი ხშირად მიმართავს მეტაფორიის ერთტრადიციულ ხერხს, რომელიც აღმოსავლურ პოეზიიდან მომდინარეობს. ასე, როცა პოეტი ძმობისა და მეგობრობის სულისკვეთებას აქებს და დაღესტნიდან გადმოტანილი თარის ღუღუნს ისმენს, მაშინ მთვარე მის ლექსში დაირასავით ირხევა („და ზევით, თითქოს სიმღერის ხმაზე, დაირასავით შეირხა მთვარე“); როცა ალაზნის ახალ არხთან დგას და მწვავე ტყვილით ახსენდება წარსულის მძიმე ბრძოლები, იგივე მთვარე გატეხილ მუზარადად ეჩვენება („და გატეხილი მუზარადივით ტალღებში ეგდო ყვითელი მთვარე“); ხოლო, როცა ცხრაასხუთი წლის რევოლუციის შემდეგ გამეფებულ რეაქციონსა და ცარიზმის დესპოტიზმზე ლაპარაკობს, ეს მთვარე ახლა უკვე მოქნეულ

ცულს აგონებს („ცაზე ცულოვით მოქნეულ მთვარეს“). ეს ხერხი მეტაფორიზებისა დღეს რამდენადაც პრიმიტიული ჩანს და სტილიზაციის აშკარა ნიშნებს ატარებს, თუმცა იგი მაინც ინარჩუნებს პოეტური შთაბეჭდაობის საკმარის ძალას. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ შთაბეჭდილებას საგრძნობლად ანელებს ის გარემოება, რომ ი. ნონეშვილი ხშირად იმეორებს ერთსა და იმავე მხატვრულ სახეებს. აი დამახასიათებელი მაგალითები: „ცა როგორ ახელს ვარსკვლავთა თვალებს“ („ქართველი შემშას კი არ შიშობდა“), „ცა გაახელს ვარსკვლავების თვალებს“ („ცისარტყელით ავწევთ...“), „როგორ ახელს ღამე ტყეში ვარსკვლავების თვალებს“ („ულიანა ბაბინა“); „სადაც ისარი ეკლად ეყარა“ („იხარე მუხავ“), „ისრის ნაღწი იყარა ეკლად“ („ბევრი რამ ახსოვს თბილისის მიწას“); „მთას შვენის ელვის პირბადე, ცას — ცისარტყელის ქამარი“ („მერცხლებმა ფრთები პატარა“), „ცას ცისარტყელის ქამარს არტყამენ“ („დილა მშვიდობის!“); „ცამ ცისარტყელა მოზიდა მშვილდად“ („ზანტად დაიძრნენ“), „და ცისარტყელით — მზის დიდი მშვილდით“ („და ჩვენი გმირი ჩადგა ჩვენს შორის“); „და შვიდწლედის შვიდნაკეცი ცისარტყელის აფეთქება“ („გადღეგრძელოთ“), „შვიდწლედის შვიდფერ ცისარტყელაში“ („იხარე მუხავ“); „და ვაშმა, როგორც კოლუმბმა, იპოვა მიწა ახალი“ („პირველ რთველშიაც გეწვევით“), „როგორც კოლუმბი, ცაში ახალ მიწებს დაქებს“ („ყური დაუვგლოთ“).

პოეტი არა მარტო სახეებს იმეორებს, არამედ ზოგჯერ ფრაზეოლოგიურ ფიგურებსა და კომპოზიციურ მოტივებსაც კი, როგორც მაგალითად: „მე წყალი მინდოდა — თქვენ ფანს რომ ეძახით“ („შეხვედრა“), „ვიხილე წერო — კრუნკს რომ ეძახით“ („საე ნატრობდით...“); „...და ფიქრმა გამკრა შორს გულის შიგნით“ („გოეთეს მუხეუშში“), „სისარულის, სიამაყის ფიქრმა გამკრა გულზე“ („ულიანა ბაბინა“), „დავლიე,

ოცნებამ ფრთა გამკრა ანაზღად“ („შეხვედრა“) და ა. შ. ამგვარ გამეორებებს ი. ნონეშვილთან ისეთი ხასიათი აქვს, რომ, ეტყობა, პოეტი შეგნებულად აკეთებს ამას. მაგრამ ჩვენთვის გაუგებარია ასეთი პოზიციის მხატვრული მიზანშეწონილობა. სხვა რომ არაფერი, იგი ერთფეროვნების უსიამო გრძნობას გვიჩენს, სიანაღისა და მოულოდნელობის ესოდენ ძვირფას თვისებას უქარწყლებს მის ლექსებს.

ი. ნონეშვილის პოეტური ჰანგების სათავე მშობელი ქვეყნის თავდავიწყებული სიყვარულია. სამშობლო მისი უმაღლესი და უწმინდესი მცნებაა. „დაუჩრდილავი“ სილამაზეა და პოეტს გულის ფესვებიდან ამომსკდარი სიმღერებით სურს მისდამი ღრმა თაყვანისცემისა და ერთგულების გამოხატვა.

წმინდაა, როგორც დედის მანდილი,
ჩემი ღამაში ქვეყნის მიღამო.
მინდა სიმღერამ ამოვარდნილმა
გულს ფესვები ამოიტანოს,

ამბობს პოეტი და სამშობლო ქვეყნისადმი თავის სიყვარულს ყოველთვის კონკრეტული შთაბეჭდილებით გამოხატავს. კერძოდ, მოყვანილი სტრიქონები შთაგონებულია მისი მშობელი კახეთით, რომელსაც ი. ნონეშვილმა არა ერთი და ორი მღელვარე სტრიქონი უძღვნა („დაღამდა, თითქოს ცაზე დასცალეს“, „ცა—ფარშავანგის გაშლილი ბოლო“, „ზანტად დაიძრნენ გზებზე ურმები“, „როცა თადარიგს იჭერს ბებია“, „კახეთი“, „აი, კახეთი“, „ჭალაში არყის სახდელი“ და სხვ.).

პოეტი ცდილობს ღირსეულად შეაქოს მისი „ხავერდით გულმოხასხასე“ მიწა, გამრჩე, გულმართალი და პურადი ხალხი. აქ გაატარა მან „ყველაზე წმინდა“ ბავშვობის წლები, აქედან დაინახა ქვეყანა, მის ბუნებასა და ხალხში შეითვისა სილამაზისა და სიყვარულის ძმობისა და მეგობრობის, სიკეთისა და პატიოსნების, აღამიანობისა და მოქალაქეობის ენა. ამიტომაც მისთვის ყველაფერი ძვირფასია აქ: ნაწიმიარო მი-

წის სურნელიც, ალაზნის ტყბილი დედნიც, ყურძნის მთებში ჩაფლულნი მარნებიც, კაცის გულივითა ტყეცხლნიც ამომდღვარი ქვევრიც, „სიმღერით სიცოცხლის გადასახედი“ ციფგომბორიც „მწყურია მშერით დავეითო მხოლოდ“, — აღმოხდება ერთ-ერთ ლექსში პოეტს და ამ მეტყველ, ემოციურ სტრიქონში ჩატეულია მშობელი კუთხისადმი სიყვარულის უსაზღვრო გრძნობა.

მშობლიური კუთხის სილამაზე ღირიკული შთაბეჭდაობითაა დახატული ლექსში „დაღამდა, თითქოს ცაზე დასცალეს“. ეს არის დეტალებით მდიდარი პეიზაჟური სურათი, რომელშიც ბუნება და ადამიანი პარმონიულ ურთიერთობაშია დანახული. თუ ამ ლექსში ი. ნონეშვილი კახური შემოდგომის ღამის მშვენიერებას განგვაცდევინებს, მეორე ლექსში „ჭალაში არყის სახდელი“, იგი კოლორიტულ ქანრულ სურათს ქმნის:

ჭალაში არის არყის სახდელი,
არყის ხეების წყება.
ცა მტრედისფერი ვამხდარა,
მთვარის ნაღვეიც ქრება.
ღამპარც ვეღარ ვაშკაშებს,
კუთხეში სულსა ლაფავს, —
და ერთი მთვრალი ვაქვაცი
იღარ ათივებს ზღაპარს.

ამ სურათში პლასტიკური სიცხადითა და გამომსახველობით, ფერების მახვილი წარმოსახვითაა დახატული მოახლოებულ დილის ბინდში გახვეული არყის სახდელი და მთელი გარემო მის ირგვლივ. ლექსი დაწერილია 1946 წელს, ომისშემდგომ პირველ წელს. როცა ნაომარ ვაყვაცებს ჭერ კიდევ ცხადლივ ჩაესმოდათ იმ ბრძოლები, ქუბილი, ჭერ კიდევ არ განწლებოდათ იმ დღეების ცოცხალი შთაბეჭდილებები. ლექსის გმირი სწორედ ერთი მათგანია. იგი გამარჯვებული, მრავალბრძოლავამოვლილი დაბრუნებია მშობლიურ სოფელს, უკვე პირველი მშვიდობიანი წლის მოსავალიც მოუწეგია და ახლა თანასოფლელებთან ერთად ჭალაში არაყსა ხდის, ღამეს ათევს და

სიამაყით იგონებს, როგორ უტევდნენ ვაჟაკი ბიჭები მომხდურ მტერს, როგორ მიიმწყედდეს მხეცი საკუთარ ბუნავში და შეუმტერიეს გულის ფიცარი.

სხედან ქედნაბდაანები,
ჯიხვის რქებს სკლიან ხარხად
და ყურს უგდებენ მთვრალები
ვაუთავებელ ამბავს, —

ამბობს პოეტი და თვალწინ გვიყენებს ამ პორტრეტულ ჯგუფს, ამ „ქედნაბდაიან“ კახელ ვაჟაკებს, არყის ქვაბთან რომ მიმსხდარან და ხარხად სკლიან ჯიხვის რქებს.

სინამდვილის უშუალო პოეტური აღქმით იპყრობს მკითხველის ყურადღებას ლექსი „აი, კახეთი“. ლექსში თავისებურ განწყობილებას ქმნის თანამედროვეობისა და წარსულის მოვლენების შეხშიანება:

აი, კახეთი...
მთებზე, ველებზე
რომ არ ცხრებოდა ხმლების თარეში
თვალმოციმციმე ქალიშვილები
ყვავილებზეთ ჩინან ყანებში.

ნაციხარებიც ჰყვავის ამირ,
ათასი ბრძოლით ვადაბუგელი,
და დარბაისლურ „მრავალფაშვებს“
გულთან გულზე გააქვს ვუგუნო.

ამ პოეტური ხერხის გამოყენებით ავტორი გვაგრძნობინებს დღევანდელი ბის სიკეთესა და სილამაზეს.

საერთოდ, ი. ნონეშვილი ლექსის კომპოზიციაში ხშირად იყენებს ისტორიული წარსულის დეტალებს თუ მოტივებს ამა თუ იმ კონკრეტული ამოცანის გადასაწყვეტად, ლექსის იდეური ჩანაფიქრის ხორცშესასხმელად. ამის ერთი მაგალითი ზემოთ მოყვანილი სტრიქონები იყო. დამახასიათებელია, აგრეთვე, ლექსი „ბიჭო, იქნებ პაპა იყო შენი“.

ამ ლექსში დახატულია პოეტური სუ-

რათი იმისა, თუ როგორ შთაგონებს გმირული საქმეებისათვის ჩვეულებრივ გზარდობას რევოლუციისათვის შთაგონებადებული მამების ნათელი ხსოვნა. ლექსის თემა პოეტისათვის შთაგონებია უშუალო შთაბეჭდილებას: „ყაზახეთში, ზობდის რაიონში, ტრაქტორმა კაცის ჩონჩხი და ბორკილები ამოიტანა“, ვკითხულობთ ლექსისათვის ეპიგრაფად წამძღვარებულ სტრიქონებში. ამ მოულოდნელი სურათით აღვლევებული პოეტი თითქოს ფიქრში ესაუბრება ლირიკულ გმირს და ზუსტი ფსიქოლოგიური დეტალების გამოყენებით ქმნის ემოციურად ძლიერ ნაწარმოებს, სადაც წარსული მხოლოდ მოგონება კი არ არის, არამედ უშუალოდაა გადაწულ თანამედროვეობასთან.

ლექსში „დგას თბილისი ყვავილებში, ხეივნებში ჩახატული“, განახლებული დედაქალაქი სიცოცხლისა და გაზაფხულის ტახტით აღმართულა პოეტის წინაშე. მის თვალს ახარებს ხალისიანი ბავშვების მხიარული კისკისი პიონერთა სასახლეში, ჩიტუნებით შეფოთილი ცაცხვის ხეივნები, ხარაჩოთა ტყეები, მილნაყარი ქარხნები, ვერის ბალთან სტუდენტების ერიამული და, ამ სიამითა და სიხარულით ავისილს, გულის კვნესით ასხენდება ხსოვნაში ჩაკრული მწარე მოგონება:

ჭანა მუდამ ბალი იყო
ეს ლამაზი ხეივანი?
დანგრეული ვაკესია
იღვა, როგორც ხეივანი.
გვერდით შავი ლოდი იღო
ნაქარალი, ნაწვიმარი
და ჰყვავდა მხოლოდ ხავსი
ჩუმი, როგორც სამიძიარი.

ამ ლირიკული წიადსვლით პოეტი წამიერად მკითხველს წარსულისაკენ ახედებს და გონებაში უცოცხლებს იმ გრძელ გზას, რომლის გამოვლაც დასჭირდა ხალხს, რათა ეს ბალები, ლამაზი ხეივნები, სიცოცხლე და სიხარული დაემკვიდრებია თავის დედაქალაქში, თავის ქვეყანაში.

თბილისი ყოველთვის იყო ქართველი პოეტების შთაგონების წყარო, მაგრამ საბჭოთა პოეზიაში მან განსაკუთრებული როლი დაიმკვიდრა. ჩვენი მგოსნები თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიან მის სიყვარულში, არ დარჩენილა პოეტი, რომ ხოტბა არ შეესხას მისთვის. ი. ნონეშვილი ერთი ყველაზე თავგამოდებული მომღერალია ჩვენი დედაქალაქისა. „თბილისი — ოცნების, მგოსნების ქალაქი“, „შემოდგომა თბილისში“, „ღამით მოდიოდა“, „მიყვარს, თბილისო, დასაფიცარი შენი ცა, შენი მიწა ქართული“, „ბევრი რამ ახსოვს თბილისის მიწას“, „დგას თბილისი ყვავილებში, ხეივანებში ჩახატული“, „და ყველგან, ყოველ ნაბიჯზე...“, „წყნეთის ტყე“, „რას ამბობს მტკვარი“, „თბილისი — საქართველოს გული“. „თბილისი“ და კიდევ რამდენიმე სხვა ლექსიც თბილისისადმი მიძღვნილი. მართალია, ბევრი მათგანი მძალფარდოვანი რიტორიკული შექებაა მხოლოდ და მიღწევად ვერ ჩაეთვლება ავტორს, მაგრამ ბევრი შთაგონების წუთებშია დაწერილი და პოეტურად შთამბეჭდავია. ასე, მწვავე გულისტკივილის ამშლელია ლექსი „ღამით მოდიოდა“, რომელშიც პოეტი ალა-მაჰმად-ხანის მიერ აოხრებულ თბილისში ერეკლეს შემოსვლას აღწერს:

სისხლით უბზინავდათ ფოლადის ჯავშნები,
ცეცხლის შუქისაგან სახელეწილებს.
ნიავს ამოქონდა ტირილი ბავშვების,
კალთებანზე რომ ცხენებს აღეწინეს.

თვალი მოაშორა... თვალებიც ვერ იტანს...
ცხენს დეზო ამოჰკრა მეფემ უაღუნებოდ.
ისევ მოისმოდა კრწანისის ველიდან
სამას არავეულთა ძელები გუგუზებდნენ.

ნახი ლირიკული განწყობილებათა გამოხატული მინიატურაში „თბილისი — ოცნების, მგოსნების ქალაქი“, რომელშიც არტისტულადაა გათამაშებული გორგასალის ისრით განვმირული ხოხობის პოეტური მოტივი; ფერებითა და პლასტიკური ფორმებით მდიდარი ენარული ტილოა ლექსი „შემოდგომა თბილისში“.

განახლებული დედაქალაქი, განახლებული სამშობლო ქვეყანა, ირგვლივ მჩქეფარე ცხოვრება იუზუნდუნდუნს პოეტური ინტერესების მთავარი სფეროა. ამ მხრივ დამახასიათებელია ყაზახეთის ყამირ მიწებზე მგზავრობის შთაბეჭდილებებით შექმნილი „ლექსების ციკლი, რომელშიც ისახა საბჭოთა ადამიანების შემართებლობა, ყამირის პირველ დამპყრობთა გმირული შრომის პათოსი. ამ ციკლის ერთ-ერთი კარგი ლექსია „ქება ადამიანს“. პოეტური თემა ამ ლექსში თავისებურადაა გადაწყვეტილი იმ შთაბეჭდილებათა ასახვით, რომელიც ყაზახეთის უსიცოცხლო ველებმა მოახდინეს სტუმრად ჩასულ ქართველ პოეტზე.

ზვიადი მთები, მქუხარე მდინარეები, ლამაზი ხეობები, მწვანედ მოლალანე ველ-მინდვრები, ხალიჩასავით მოხატული ფერდობები, სალამურით მორაკაკე ნაკადულები, ბუნების ფერთა ელვარება და მრავალგვარობა—შობლიური ბუნების ეს ორგანული განცდა იმდენად ძლიერია, რომ უცხო ბუნების წიაღში პოეტი, მართალია, ახალი განწყობილებით, მოტივებით, სახეებით, იდეებით მდიდრდება, მაგრამ მის ფიქრთა და აზრთა წარმმართველი და მასულდგმულებელი, ცხადად თუ ქვეშეცნულად, მაინც მისი შობლიური გარემო რჩება. „როგორ ჰგვანან ზედაზენს, იქ რომ ლურჯი მთებია“, ამბობს უცხო ქვეყანაში მყოფი ი. ნონეშვილი თავის ერთ-ერთ ლექსში, ხოლო მეორეგან წერს: „ვერ დავხატავდი ლამაზ პეიზაჟს, ჩანდნენ ველები გადაბუგული“.

ამიტომაც ბუნებრივი და გასაგებია ის უჩვეულო გრძნობა, რომელმაც მოიცვა ქართველი პოეტი ყაზახეთის უყიდევანო ტრამალების ხილვისას. აქ მის წინაშე სრულიად უჩვევი, მოულოდნელი ფერები და სივრცეები გადაიშალა. ფართო ველზე, უსაზღვროდ გაშლილ სივრცეზე, რომელსაც არც სივრცე აქვს, არც განი, პოეტმა ერთბაშად ბავშვივით უმწეოდ იგრძნო თავი, თითქოს და-

პატარავდა, წერტილად იქცა და „ამ ზღვა-სივრცეში“ გადაკარგვის შიშმა აიტანა:

მეზორიელის ფეხდაუდგაში
მოჩანდა ველი ფიჭვივით ფართო.
ჩაღაც უმწეოდ ვიგრძენი თავი,
როდესაც წელზე ვიდებო მარტო.

არ მქონდა სივრცეს სივრცე და ვანი,
ვჩანდი ტრამაზე, როგორც წერტილი.
თითქოს დაკარგე სიციხლის კვალი,
ტალღა ვიყავი ზღვას მოწყვეტილი.

პოეტმა მკაფიოდ და შთამბეჭდავად გამოხატა ეს განცდა, მაგრამ ამით როლი კმაყოფილდება. მან გაცილებით უფრო საგულისხმო რამ განიცადა ამ ველზე და სწორედ ამან გაუღვიძა მკითხველთან საუბრის მოთხოვნილება. ბუნების სურათით მოგვრილი მკვლევარე განწყობილება ამ ლექსში მხოლოდ ძლიერი კონტრასტული მოტივია, რომლის ფონზეც უფრო მკაფიოდ ისმის იმ ჰიმნის აკორდები, რომელსაც პოეტი ადამიანის გამრჩე მარჯვენას უძღვნის.

უმწეობისა და სიპატარავის უამური ფიჭვით შებოჭილ, ზღვა სივრცეში წვეთივით გადაკარგულ პოეტს უეცრად ჩაესმის ადამიანთა „ხმა და განგაში“ და ამ უქმად გადაშლილ ვეება ველებს თითქოს ერთბაშად ეფინება ნათელი სხივი. ამ უკაცრიელ ველზე ადამიანის ხმის გაგონებას პოეტი გაზაფხულის მაუწყებელი მების პირველ დაქუხებას ადარებს და ეს შედარება აქ, ამ კონტრასტში, მრავლისმეტყველია. ყამირს შეჭიდებულ მკლავმაგარ ვაკეკათა ყიჟინამ პოეტის სულში ერთბაშად ჩაღვარა სიხარული და სითბო და მას თანდათან ეუფლება ფიჭვები ადამიანზე, მისი გონებისა და მარჯვენის უძლეველობაზე. „შენი დიადი ძალა ვიწამე შემმართებელო, ხალისიანო“, ამბობს პოეტი და ჰიმნს უგალობს ადამიანის ბარაქიან მარჯვენას, რომელმაც გატეხა ყამირის მაგარი ქერქი და ლურჯი ყანა აღმოაცენა ამ ხრიოკ და უდაბურ ველებზე, „ფერი უცვალა მშობელ ბუნებას“, შეძლო

„ზღვათა გაჩენა და მდინარეთა შემობრუნება“.

ეს ლექსი სამოქალაქო ლირიკისკენე გი ნიშნუშია. პოეტური თემა აქ გამოხატულია ბუნებრივ და ფსიქოლოგიურად მართალ სიტუაციაში, გამოხატულია არა როგორც შიშველი აზრი, მშრალი დეკლარაცია, არამედ როგორც სავსებით რეალურ და კონკრეტულ გარემოში მიღებული სულიერი განცდა. ამიტომაც ლექსის ორატორული ინტონაცია, პუბლიცისტური კილო და ფრაზეოლოგია არ ტოვებს ლექსის მხატვრული ქსოვილისათვის უცხო საღებავის შთაბეჭდილებას და პოეტის სულიერი მდგომარეობის სავსებით ბუნებრივ გამოვლინებად მივიჩნევთ.

ი. ნონეშვილის ლირიკაში მძლავრად ელერს სატრფიალო მოტივები. პოეტმა შეძლო თავის ლექსებში გამოეხატა უადრესად ინტიმური გრძნობები, თუმცა არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყველა მათგანი როდია ერთნაირად შთაგონებული და მაღალი განცდით აღბეჭდილი. ზოგიერთში შესამჩნევია განცდის პრიმიტიულობა, ლირიკული გმირის, როგორც პიროვნების, ერთგვარი სულიერი ზერელობა. ასე, საკმაოდ ბანალური კილო და სულიერი სამყარო გვიდგება თვალწინ, როცა მის ლექსებში ამოვიკითხავთ:

სიყვარული ჰუმარობი
არის, კარგო, ვით ზღვა ვრცელი:
ადვილა შესვლა შევინო,
გამოსვლა კი მტად ძნელი.

მაგრამ ი. ნონეშვილის ბევრი სამიჯნურო ლექსი მღელვარე განცდითაა დაწერილი და სულის სათუთ თრთოლვას გვიმზღვს. პოეტი ხშირად ქალის ეშხით დამტკბარი კაცის თვალებით უყურებს ამ ქვეყანას. მისთვის თბილისის ზეცა სიყვარულის დიდი წიგნია, კლდეებზე გადმომდინარე ჩანჩქერი — საყვარელი ქალის თმები, იორი და ალაზანი — მისი წველი დალალი, ორი ალვა — ქელით ყელზე გადაჭობილი ქალ-ვაყი; შემოდგომის ქარი — ლამაზ ქალთა კაბების

შრიალი, ენშიაძინის ჩუქურთმა — ქალწულის წარბი. ვანთიადის ცა — მის ზაგეთა ფერი, ღამე სატრფოს თვალთა შუქით თენდება, შემოდგომას ქალის სისასვე ენატრება, ცხელ უდაბნოს — მისი მხურვალეობა და ა. შ.

საგულსხმოა, რომ სამამულო ომის წლებში, როცა ჩვენი მხატვრული სიტყვის ოსტატები თავიანთი ღრმად პატრიოტული ლექსებით გმირობისა და მამაციობის სულს უღვივებდნენ და სოციალისტური სამშობლოს თავისუფლებისათვის საბრძოლველად შთაავგონებდნენ საბჭოთა ადამიანებს, ისინი თამამად აუღერებდნენ სატრფიალო ღირიკის ხმებს და შესანიშნავად გამოხატავდნენ თავიანთ მალალ მოქალაქეობრივ იდეალებს. სწორედ ამ სულისკვეთების გამოხატველია ნონეშვილის ომის დროინდელი სატრფიალო ლექსები: „მისმა შემობრძანება ყაყაჩოს შუქით გვაზარა“, „არსად წარწერა ფერგადასული“, „ბარათი ფრონტიდან“, „არწივო, წაიღე გული სისხლიანი“, „საქართველოს ყელყარყარა ღამაზებო“ და სხვა.

საერთოდ, ი. ნონეშვილის ბევრი სატრფიალო ლექსი გამსჭვალულია მალალი მოქალაქეობრივი გრძნობით, საზოგადოებრივი სულისკვეთებით, აი, თუნდაც, მისი „ყოზი ყუუ! — დაეწიე ქალიშვილს“. ამ ლექსის თემა შთაგონებულია ყაზახური ხალხური თამაშობის სურათით, ცხენოსანი ქალ-ვაჟის თავისებური სატრფიალო გაპაექრებით. პოეტი ლექსისათვის წამძღვარებულ შენიშვნაში განმარტავს, რომ „ყოზი ყუუ!“ — ყაზახური ცხენოსნური სპორტის სახეობაა. ქართულად ნიშნავს: „დაეწიე ქალიშვილს“. ცხენოსანი ვაჟი მისდევს მხედარ ქალიშვილს. თუ დაეწია, ცხენდაცხენ აკოცებს, თუ ვერ დაეწევა, საჯაროდ სირცხვილს სკამს. უკან მობრუნებულ ვაჟს ახლა ქალიშვილი მისდევს, რომ დაეწიოს და მათრახი გადაარტყას. ამ სურათის ხილვამ პოეტს დააწერიინა ლექსი, რომელიც გვხიბლავს ღამის და სახიერი თბრობით, მეტაფორული გაზრებით, ცეცხლოვანი რიტმით. პოეტს აღაფრთოვანებდა ქალიშვილის მქუხარე მაჯისცემა, გველზე მქუხარე ნივით გაფრენილი ქალიშვილის ეინიანი ქროლვა, მიმინოსავით მის კვალს დადევნებულვი ვაჟაკის თავაწყვეტილი ხალისი, ახალგაზრდულ სულთა მეოცნებე სწრაფვა. ეს სწრაფვა პოეტის სულშიც ვადმოღის, ყაზახი კაბუკივით მასაც ახელებს „შავი დალალების ქარი“ და იპყრობს ეინი თავისი „ლექსის რაშით“ დაედევნოს ამ „საოცნებო მხედარს“.

ყოზი ყუუ! — შენ იცი, არ ვაუშვა, ჩქარა, ჩქარა, არსად დაახანო... მოგდევ, მოგდევ და გზას ბოლო არ უჩანს, ხეტავ როდის დაგეწევი, ქალი?! —

ამბობს პოეტი და მკითხველისათვის ნათელია ამ მეტაფორული სტრიქონების აზრი: იგი შთაგონებულია კეთილშობილური მიზნით — ღირსეულად შეიცნოს და ასახოს ჩვენი დროის ადამიანი, მისი ღამაში სული და ცხოვრება. ეს მიზანი საოცნებო ნატვრად ქცევია და მთელს მის არსებას დაუფლებია.

ლექსში, უწინარეს ყოვლისა, გვხიბლავს თბრობის სიმსუბუქე და სილაღე. ჩვენ ვერა ვგრძნობთ ფრაზისა თუ სიტყვისადმი რაიმე ძალდატანებას.

დაგედევნა ტანშალაი მხედარი, „ყოზი ყუუ!“ — დაქარა ხალხმა ტაში. მიფრინავდი ველზე, როგორც ქედანი, და მიმინო მოყვებოდა კვალში.

„ყოზი ყუუ!“ დაეწიე ქალიშვილს — ეძახოდნენ გაეცხლებულ მხედარს. და ვაჟაკი უცნაური ხალისით მოგვიოდა, ცას მათრახით ხედა.

ამ სტროფში მკითხველი უთუოდ შენიშნავს იმას, რომ როგორცაე გამოყოფილია და მეტი აქცენტით იკითხება სიტყვა „მოგვიოდა“ მეოთხე სტრიქონში. ეს შემთხვევითი არაა. პოეტს ძალიან სურს ამ აზრობრივად შენიშნელოვანი და სურათის ცხადივც წარმომსახველი სიტყვის მკითხველის მეხსიერება-

ში საგანგებოდ გახშირდება და მიაღწია კიდევ ამას გადატანის მხატვრული ხერხის გამოყენებით. სინტაქსურად ეს სიტყვა შემასმენელია, მესამე სტრიქონთან არის დაკავშირებული (ვაკეცი უცნაური ხალისით მოგვიოდა), მაგრამ პოეტმა იგი მოწყვიტა თავის სინტაქსურ სხეულს, მომდევნო სტრიქონის დასაწყისში გადაიტანა, პაუზებში მოაქცია და მკაფიოდ გამოჰყო ენერგიულ რიტმულ ერთეულად. მეორეჯერ ამავე მიზნით ი. ნონეშვილი იყენებს ფრაზის ინვერსიულ წყობას და ინტონაციურად გამოჰყოფს მისთვის საგულისხმო სიტყვას, რომლითაც თავისი პოეზიის ერთ-ერთ ნიშან-თვისებაზე სურს მიუთითოს მკითხველს:

და მეც, როგორც ის ყაზახი მხედარი,
თვალწინ მხოლოდ შენს დალაღებს ვხედავ.
ჩემი ლექსის რაშით, გაუხეხნავეთ,
დაგაღდეგე საოცნებო მხედარს.

ლექსს შთამბეჭდაობას ჰმატებენ კომპოზიციაში საზრიანად განაწილებული გრადაციები („შეღვა ვაეი, შეწყდა ცხენთა თარეში, შენც შეჩერდი და ქუხილიც ჩადგა...“), გამეორებები („ჩქარა, ჩქარა, არსად დაახანო...“), პაუზები, ინტონაციური ვარიაციები. ლექსი დაწერილია მიმართვის კილოთი. პოეტი თითქოს განცდილის შთაბეჭდილებითაა ავსილი, ფიქრებთან განმარტოებული თვალწინ ხედავს მთელ სურათს. ელვასავით წელმოქნეულ ყაზახ გოგონას და ოცნებით მიმართავს მას. მაგრამ მიმართვის კილო როდია ერთადერთი ინტონაციური ხაზი ამ ლექსში. ამ მაგისტრალურ ინტონაციას ორგანულად ერწყმის სულიერი მდგომარეობის, ფიქრისა და განცდის შესატყვისი ინტონაციური შენაქადები — შეძახილი, ნატყრა, თხოვნა, აღერსი, აღტაცება, ხვეწნა-მუდარა, მოწოდება („სხვა სანახავს რას ვნახავდი უკეთესს“, „ნუ იჩქარი, აგრემც შემოგველები“, „— ყიზი ყუუ! — შენ იცი, არ გაუშვა“, „ნეტავ როდის დაგეწვიე ქალო?!“), რის მეოხებითაც

იქმნება ნიუანსებით მდიდარი ერთი მთლიანი განწყობილება. ლექსის ემოციურ ზემოქმედებას განსაკუთრებულად აღიერებს ალიტერაციულად შეღწევი ყაზახური ფრაზა — „ყიზი ყუუ!“

ეს ხერხი, საერთოდ, ი. ნონეშვილისათვის ჩვეული ხერხია. ასე გაათამაშა მან ჩეხური მისალმების სიტყვები — „ჩესტ პრაცე“ („დიდება შრომას“) და შექმნა მეგობრობისა და შრომის სადიდებელი ჰიმნი; ასე აამღერა სომხური „ცავად ტანემ“ („შენი ჭირიმე“) ლექსში „შენ სევანის ლერწამი ხარ...“, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა მის სატრფიალო ლირიკაში. ავზნებული ინტონაცია, მღელვარე და ენერგიული რიტმი, ყოველი სტროფის ბოლოში რითმად გაათამაშებული მჭახე და ბგერადი სომხური „ცავად ტანემ“ („შემოგხედე, ელდამ დამკრა, თვალებს გულიც გავატანე და სომხეთის ნათელ ვარსკვლავს შემოგძახე: ცავად ტანემ!“), ალიტერაციული ბგერწერა („შავგვრემანო, შახიანო, შენზე დარდით დავალამე“), ზმნებით მდიდარი ენერგიული ფრაზები („ნუ ეცდები, ვერ წამიხვალ. შემოგველე, ცავად ტანემ!“), ჰმატებული გზნებით შთაგონებული სახეები („გამოლიმე, მახსოვს თითქოს ვარსკვლავს ხელი წავატანე“, „ჩემი გული — შენი ტაბტი, ზედ დედოფლად დაგაბრძანებ“) ლირიკული გმირის გულწრფელ გრძნობაში არწმუნებს მკითხველს.

საკვებით სწორია ის მოსაზრება, რომ ისტორიული პიროვნებებისადმი მიძღვნილ ლექსებში მწერალი მხოლოდ შექებით კი არ უნდა დაკმაყოფილდეს. არამედ გმირის შინაგანი სამყაროს ჩვენებით უნდა დახატოს იგი. მხოლოდ მაშინ იქონიებს ლექსი მკითხველზე ემოციურ ზემოქმედებას. ი. ნონეშვილი, ერთი-ორი გამოწვევის გარდა, ჰმნის მოღვაწეთა რეალისტურ ლირიკულ პორტრეტებს და სულიერი მღელვარებით გვესაუბრება მათ ღვაწლზე.

პოეტური თრთოლვითაა დაწერილი „ბარათაშვილის სურათი“. ლექსის კომპოზიციის ტერზემულს წარმოადგენს მო-

ხდენილი სტრიქონი — „მისი სურათი ნაპოვნი არის!“ თავისი მოულოდნელობით, შეიძლება ითქვას, სენსაციურობით, ეს სტრიქონი ერთბაშად იპყრობს მკითხველის ყურადღებას. პოეტი ფსიქოლოგიური ალლოთი იყენებს იმ გარემოებას, რომ დღემდე არ არის მიკვლეული ქართველი გენიოსის ფოტოსურათი და ქმნის მხატვრულ სახეს, რომელიც მრავალ ასოციაციას ბადებს და შთამბეჭდავად წარმოგვისახავს დიდი ქართველი პოეტის სულიერ პორტრეტს.

ოსტატის ხელითაა შესრულებული ლექსი „საიათნოვა“, რომელშიც ცნობილი თბილისელი აშული წარმოდგენილია ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის მომღერლად.

ხალხთა ძმობისა და მეგობრობის მოტივები, საერთოდ, ი. ნონაშვილის პოეზიის ერთ-ერთი ძირითადი ლაიტ-მოტივია. „ვისაც მოყვარე არ უძებნია, რა ქართველია, რა ვაჟაკია“, ამჟამს პოეტი და თავისი სულის ამ კეთილშობილურ სწრაფვას ადასტურებს მთელი თავისი შემოქმედებით.

მოგზაურობის შთაბეჭდილებებითაა შთაგონებული მისი ლექსები: „შეხვედრა“, „ვენის ტყეში ქართველები ცეკვავენ“, „ბოჰემის ტყე“, „ახალი წელი პრალაში“, „ნუ მეძახით უცხოელს“, „ბერიუთში“, „როცა შენ ცეკვაე“ და სხვ. ბოჰემის ტყე პოეტისთვის ძვირფასი და მახლობელია, რადგან იგი შილერის ოცნება, მრცარტისა და გოეთეს შთაგონება იყო („ბოჰემის ტყე“); სლოვაკიაში იგი მშობლიურ სიტბოს გრძნობს და შთაბეჭდილებით მოზიბლული მიმართავს კეთილ მასპინძლებს — ნუ მეძახით უცხოელს, მე ხომ უცხო არა ვარო („ნუ მეძახით უცხოელს“); ინდოეთში ალალი გულით მასპინძლობენ და პოეტს ნატვრად აქვს, თვითონ როდის მოუწევს მათი მასპინძლობა, ქართულად დახვედრა („შეხვედრა“); ბერიუთში, ამ მთებზე წამომართულ ქალაქში, იგი მშობლიური თბილისის ფერებს ცნობს,

სტუმრისადმი აღფრსშიც რაღაც ქართულს ხედავს და „სიყვარულისა“ და ძმობის ენაზე“ საუბრობს არაბებთან („ბერიუთში“).

მზოური ფერებითაა გამთბარი ლექსი „ვენის ტყეში ქართველები ცეკვავენ“. ვენაში, შტრაუსის ცეცხლოვანი ვალსების სამშობლოში, მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან შეკრებილ ახალგაზრდობის ფესტივალზე, სხვებთან ერთად, დიდი წარმატება ხვდათ ქართველ მოცეკვავეებს. პოეტი გზნებით აღწერს ქართველ ქალ-ვაჟთა შთაგონებულ ცეკვას და ქმნის მეგობრობისა და ძმობის ნათელი განწყობილებით ამეტყველებულ სურათს. სულ სხვა პლანშია გადაწყვეტილი პოეტური თემა ლექსში „როცა შენ ცეკვაე“, რომელიც შთაგონებულია ეგვიპტელი მოცეკვავე ქალის ცეცხლოვანი თამაშით.

პოეტმა იმოგზაურა, აგრეთვე, ამერიკის შეერთებულ შტატებში და უკვე გამოაქვეყნა რამდენიმე ლექსი („ვიყოთ გულთა“, „ცათამბეჭენები“, „ყვავილი ცათამბეჭენთა ჩრდილში“), რომლებშიც ცდილობს მხატვრულად წარმოსახოს თანამედროვე კაპიტალიზმის ამ კლასიკური ქვეყნის ღრმა წინააღმდეგობებით აღსავსე სინამდვილე. ამ ლექსებს აქვთ ლირიული თემა და პოეტური სიუჟეტი, მაგრამ მათში შესამჩნევია პლაკატური შტრიხები. მაგალითად, ლექსში „ყვავილი ცათამბეჭენთა ჩრდილში“ გამოხატული ქვე და ბეტონი, მანქანები, მაღალი შენობები, მეტროს სადგურები, ასფალტი და ა. შ. საერთოდ დიდი ქალაქების ატრიბუტებია და არა მარტოდენ კაპიტალიზმური ქალაქებისა.

ქვეშარბიტი პოეზია სიხარულის მომნიჭებულია. ი. ნონაშვილის ბევრი ლექსიც ამგვარი სიხარულის მომნიჭებელია, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მის შემოქმედებაში მეტად მოჭარბებულია სახეიშო ინტონაციები და ფერები. ჩვენი ცხოვრება პოეტისათვის მხოლოდ „გახაფხული“ და „ალისფერ ვარდთა ცდუნება“ არის, მხოლოდ „ლხი-

ნია". შემოქმედების "გარიერაზე ნათქვამი „ირველივ არ არის ღერი ბალახი ცდენაკლული და გულდაჩაგრული“ ექსტაზში მყოფი ადამიანის წუთიერ განცდად არ დარჩენილა მისთვის, იგი მთავარ სულისკვეთებად ექცა ი. ნონე-შვილს.

დღეს სადავო აღარ არის, რომ ჩვენი ცხოვრება, რომელსაც პოეტი სამართლიანად მიიჩნევს „დასაბამიდან ჭერ არნახულ გაზაფხულად“, ამავე დროს არის ბრძოლა, მწვავე წინააღმდეგობები, წრფელი ადამიანური ტყვილები, დარდი და წუხილი და ზელოვნებაში ყოველივე ამან თავისი ადვილი უნდა კპოვოს. ეს ჰეშმარიტება დღეს უკვე საყოველთაოდ დამკვიდრებული თვალსაზრისია საბჭოთა ზელოვნებაში და, ბუნებრივია, მან ახალი შესაძლებლობები და სივრცეები გამოაჩინა. კერძოდ, ბევრი პოეტი თითქოს ახლებურად წარმოსდგა ჩვენს წინაშე, თავისთვის უფრო ორგანულ, ბუნებრივ ხმაზე ამეტ-

ყველდა, ახალი მოტივებითა და განწყობილებებით გამდიდრდა. მართალია, ყველა შემოქმედს თავისი ადამიანური ბუნების, ხასიათის შესატყვისი მიდრეკილებები და ინტერესები ამ ცხოვრებაში, საკუთარი ხედვა და, თუ რაიმე მნიშვნელოვანი სურს შექმნას, ყველაფრის წედომას კი არ უნდა ცდილობდეს, არამედ თავის გულის ძახილს უნდა მიჰყვებოდეს და საკუთარ გზაზე მიაბიჯებდეს. მაგრამ საკუთარ გზაზე სიარული სულაც არ არის მხატვრული თვალსაზრისით ცალმხრივობის გამართლება. ყოველი შემოქმედი დაულალავად უნდა ზრუნავდეს თავის ინტერესთა სფეროს გაფართოებასა და გაღრმავებაზე, თავისი სულიერი ცხოვრების გამდიდრებაზე, გარემო სინამდვილის მოვლენების მეტი სისავსითა და სიღრმით ათვისებაზე, რადგან, რაც უფრო საგრძნობია ეს სისავსე და სიღრმე, მით უფრო დიდია პოეტის შემოქმედების რეზონანსი, ფასი და წონა.



მედიის განვითარება

ზონ გოლდშორტი

„ფორსაიტ-საგა“ კარმოლ

ა) მესაქუთრე

...მარტვი პასუხი,

ჩვენი არიან ეს მონები...
„ვენიციელი ვაჭარი“.

„მუდროების თავშესაფარი“ (I nn of Trang- uilitg 1919) გოლდშორტი გვიჩვენებს ხელო- ეანს, რომელიც ჩირაღდნით ხელში დაქმებს თავის ღმერთებს, ჰუმბრაიტებს და სილაამზებს. ღმერთებს ვერ პოულობს სრულებით, ხოლო ჰუმბრაიტებს და სილაამზებს პოულობს შერყე- ნილს და დამცირებულს. ამ მგრძობობაზე გან- წყობილების მწარე და ირონიული ჩრდილი გატარებულია ფორსაიტ-საგის პირველ ნაწილ- შივე, რომანში „მესაქუთრე“.

„მესაქუთრე“ იხსნება დარბაზობის აღწერით „მოხუცი ქალიონისას“ 1886 წლის 15 ივლისს. სამი წელია ვასტლი მას შემდეგ, რაც სოომს ფორსაიტმა-ტაბიურმა ფორსაიტმა-ცოლად შე- ირთო გაღარიბებული პროფესორის ლამაზი ასული აირინ პერონი. დარბაზობა მოხუცმა ქალიონმა. მოაწყო იმის გამო, რომ მისი შვილი- შვილი ჟინი დაინაშნა ხეროთმოდღვარ ფილიპ ბოსნიზე. საღამოზე წარმოადგინილია ფორსაი- ტების მთელი მოღვაძე. გოლდშორტის პირდაპირ შევეყვართ ფორსაიტების ქვეყანაში.

მესაქუთრე ვიქტორიანული ინგლისი განსა- ხიერებულია ფორსაიტებში. „მესაქუთრის“ ფარდის ახსნისას ფორსაიტების „პროსპერო- ტი“ აღწევს უმაღლეს წერტილს, მის იქით მხოლოდ თავდაღმართის პერსპექტივია. ახალ- გაზრდა მხატვარი ქალიონ ფორსაიტი (რო- გორც ფიქრობენ, და ეს საეგზეთი შესაძლებე- ლია, გოლდშორტის საკუთარ შეზღუდულობათა გამოითქმელნ მინც, თუ თვით ავტორის გან- სახიერება არა), რომელიც თვითონ ვრძობს რომ „ფორსაიტია“, ამავე რომანში ზუსტად ახსიათებს ფორსაიტებს: „ფორსაიტები სა- შუალო ადამიანებია, კომერსანტები, საზო- ვადობის სვეტები, პირობითობის ქვეყნებე- დები, ყოველფე, რაც აღტაცების ღირსაა! ხეროთმოდღვართა, მხატვართა ან მწერალთა ისე უმრავლესობას არა აქვს პრინციპები და ევე, როგორც ფორსაიტებს. ხელოვნება, ლიტერატურა, რელიგია სძლებს ამ მცირეო- დენ ახიერებულ ადამიანთა წყალობით, რომე-

ლთაც ვერ კიდევ სწამთ ასეთი რამ, და მრავალი ფორსაიტის წყალობით, რომლებიც კომერციულ სარგებლობას პოუებენ მათში... ისინი ბრწყინვალედ არიან წარმოდგენილი რელიგიაში; თეშთა პალატაში იქნებ უფრო მრავალრიცხოვნადაც კი, ვიდრე სხვაგან საღ- მე, არისტოკრატიაზე ვერაფერს ვიტყვი... ჩემს გუარს აქვს თავისი კერძო თავისებურება- ნი, როგორც ყოველ სხვა ოჯახს, მაგრამ იგი ორი ისეთი თვისების პატრონაა, რომელიც ნამდვილ ფორსაიტს ამკლავებს მასში — ერთია იმის ძალი, რომ არაფერმა ვავიტაციოს სული- თა და ხორციით, ხოლო მეორე — საკუთრების გრძნობა“.

ფორსაიტების, ისევე, როგორც მათი პრო- ვენციული შესატყვისის პენდისების, ინსტიტუ- ტური რწმენა პრეცედენტისა და ტრადიციის მიმართ ამავრებს მათი ოჯახების ფუნდამენ- ტურ სიწმინდეს. ოჯახი წმინდაა, როგორც საკუთრება. რკინისებური უზრუნველყოფა იცავს მათ დაბანდებულ ფულს, მათს ქორწი- ნებას, მათს ჯანმრთელობას. ისინი ცოცხო- ბენ დიდ ზანს. საოცარი გამძლეობით ვეიდე- ბიან სიცოცხლეს. აქვთ ენერგია და გარკვეუ- ლი პლასტიკური ძალი. არიან ეგოისტები, უბ- რალოდ და ყოველგვარი სინდისის ქენჩის გა- რეშე. შესაძლებელია მათი დამკვითებული მგრძობლობითაც აიხსნებოდეს საყოველთა- ოდ ცნობილი ბრიტანული ფლეგმა, ინგლისე- რი სპლინი, ხელოვნება, ფილოსოფია და სიყ- ვარული. საერთოდ, აბსტრაქცია უცხოა მათ- თვის. განვითარებული სოციალური ინსტიტუ- ტის მქონენი, ისინი თავის მსყლობასაც კო- მერციული ტერმინებით გამოხატავენ.

საკუთრება არას ფორსაიტების მიზანი. სა- კუთრების სული მათ ფერტიმობადად ხდის. მთელი სამყარო მათთვის იქცევა მძიმე საგ- ნობრივ ურთიერთობათა ბაღედ, საგანი მათ აინტერესებთ არა თავისთავად, არამედ იმდენ- ნად, რამდენადაც იგი მათია. ამ მზრეო ისინი ტიპები არიან, მაგრამ ტიპები შემდგარი სის- ლსა და ზორცისაგან და არა მარტო თეოლსა- ზრისისაგან. ევესი მშა ფორსაიტი ირონიუ- ლადა წარმოდგენილი, მაგრამ მაინც ცხადი

ხდება, რომ მათ გარეშე ინგლისელი ერი ვერ იქნება ისეთი, როგორც ის არის.

„შესაყურთეში“ გოლზუორთი ცდილობს გვიჩვენოს სოომსის გონების წინაგანი მუშაობა. მაგრამ იგი სოომსის მხოლოდ იმ აზრებს ვადა-მაგვეყენს, რომლებიც უწყვეტად იწყობა მის ირონიულ მიზანს, მის საბრალმდებლო დასკვნას, პასუხაუცემელ საბრალმდებლო დასკვნას იმ სოციალური წყობილების წინააღმდეგ, რომელიც ცოლს საყურთებად თვლის, და იმ კაცის მორალური უუნარობის წინააღმდეგ, რომელიც ეთანხმება ამგვარ კლასთფიციაციას.

შართალია გოლზუორთი თანდათან ოსტატდება „საგის“ წერის დროს, მაგრამ ამის წყალობით კი არ გვაფასობინებს იგი ფორსიატრის მის ინკარნაციის სოომსის მიმართ სიბრალულს, არამედ თავისი შეცვლილი დამოკიდებულების გამო სოომსის მიმართ. სოომსი ბერდება ფორსიატრის მოძღვენო რომანებში. ხანში შედის გოლზუორთიც და იგი წარსულს უყურებს არა ისე, როგორც შეილება უყურებენ შამების საქმეებს. სოომსი იძენს ახალ შეხედულებებს ძველ ღირებულებათა შესახებ. ირონიული გოლზუორთი და შესაყურთე სოომსი ერთმანეთს უთმობენ. სოომსმა სილაშაზუნა და თავისუფლებასთან კონფლიქტის გრძელი და მძიმე გზა გამოიარა და მიადგინა იმას, რომ შეიკინო სილაშაზუნა თავის განწირვისა საყურთების ეგოისტური გრძნობა. თავის მხრით გოლზუორთი თავი იბრუნა ძველ სოომსში ბევრი დადებითი და საჭირო თვისება. თუნდაც, მაგალითად, სიმეორე და რწმენა, რომლებიც დაპყარვა ახალი თაობის ინგლისში. ამიტომ გვიხატავს მოხუცი სოომსს გოლზუორთი სიმპათიურად. გოლზუორთი ახალი ინგლისისათვის კვლავ ტრადიციულ საშუალებათა მიღებას ქადაგებს და ეტყვის გამოსავალს მშობლიური კლასისათვის. ამიტომაც სუსტდება მისი კრიტიციზმის ძალა.

„ფორსიატ საგის“ პირველსავე რომანში გოლზუორთი ფორსიატების ორ თაობას ხატავს. მოხუცებიდან ყველაზე საინტერესოა საში პორტრეტი, ზუსტი და ღრმად რეალისტური (გოლზუორთის საერთოდ ეხერხება მიამაყებების პორტრეტების ხატვა). ქალების პორტრეტები თითქმის ყოველთვის იმპრესიონისტული გამოვლის, თუმცე ეფექტური, ხოლო ბავშვების პორტრეტები, გარდა ჯონისა („გამოლიცხებაში“). და უფრო კი ენისა („პატრიციუსში“) გოლზუორთის არ დაუხატავს.

მოხუცი ქოლიონი ფორსიატების ტომის პატრიარქია, მაგრამ მისგანვე იწყება ფორსიატული მსოფლშეგრძნების განმტოება. ახალგაზრდობაში იგი ჩიის კომპანიების მთავარი

მონაწილე იყო და მუდამ გამოირჩეოდა თავისი გემოვნებით და ზომიერებებს გრძნობით. უყარდა მუსიკა და მხატვრობა — არა როგორც სხვა ფორსიატებს. იგი, როგორც რანტიე, ჯერ სიმღერას აგრობებდა, მერე კი ეძლეოდა მხედველობით, სწავით და ყნოსვით სიამოვნებას. უყარდა კარგი სიგარა, ჩაი, ლეინო და ბავშვები. მყოფიოდ ჰქონდა გამოყვეთილი სოციალური ინსტიტუტი და კლასობრივი შეგნება. არ იყო საგანთა არსებულ წყობაში დაეკუბებულა, მაგრამ არ ჰქონდა ის წმინდა ფორსიატული, ზოოლოგიური სიფრთხილე დანარჩენი სამყაროს მიმართ, ის ინსტიტუტობაში ყოველივე უცხოის წინაშე, როგორსაც გრძნობენ „შესაყურთის“ პირველსავე თავში შეკრებილი ფორსიატები, როგორც ცხოველთა ჯოგი, რომელმაც საფრთხე იყნოსა პაერში, მაგრამ ჯერ კიდევ კარგად არ იცნის, რა აშინებს მას“. სხვათა შორის, ამ შიშისთვის დამახასიათებელია. მაშინდა პესტერის შენიშვნა ბოსინის რბილ, ნატივსფერ მუღზე, რომელიც ტრადიციული ცოლინდრის მავიურ ეტრია ბოსინს ჯენის ნიშნობაზე. ეს ქული შამიდან კარტა ეგონა და სკამიდან გადმოვდება დაეპარა („ისე არავეულებრივია, ჩემო ძვირფასო, ისე უცნაურია“).

შემოხვევითი არ არის, რომ მოხუცი ქოლიონის გარდაცვალება (ინტერედლიში „ფორსიატის უცნასკელი ზაფხული“) გოლზუორთისებურ სილაშაზის ნათელშია გახვეული.

მეორე მოხუცი, ტიმოთა, ფორსიატულ სიფრთხილეს ასახიერებს. იგი გამოყვეული იყო, მაგრამ მალე დაანება საქმეებს თავი და თავის ბინაში, როგორც ყუთში, ისე ჩაიკეტა. მას თან სდევს ავადმყოფობის პერმანენტული შიში. ჯენის ნიშნობაზე იგი ვერ მოიხსნის („ქალაქში უელპირებაა და ტიმოთის ისეთი მიდრეკილება აქვს ავადმყოფობისადმი...“). ტიმოთის კაპიტალი ხაზინის სამპროცენტრიან ობლივიციებადაა ქვეული, რადგან სხვა ვერაფერი გაბედა ფულს დაეარგვის შიშით. მისი სახლი წარმოადგენს ფორსიატების ბირჟას, სადაც მოთავსებულია ტრადიციული არქივი და ფორსიატების უმადლესი სამსჯავრო. აქ იკრიბებიან ერთმანეთისათვის არაკეთილმსურველნი, მაგრამ უცხოის წინაშე მიანიც ყოველთვის სოლიდარული ფორსიატები.

მესამე ტაბიური ფორსიატა პირველი თაობის სოომის მამაა — ვიონისი, მთელი მისი ცხოვრება სულ ამის ცახცახშია, არაფერი დაემართოს მის კაპიტალს ან მის ბავშვებს. ვიონისს აკეთებია აზრი, რომ „მას არაფერს ეუბნებია“. და მართლაც, იგი მეორადი ფიგურაა საგანში. განსაკუთრებით მისი სიამაყის, სოომსის ფიგურასთან შედარებით.

სოომსი წარმოადგენს ფორსიატების მეორე

თაობას. მასში შემოდის წინა თაობათა მიერ პოტენცია. იგი შესაქუთრება და საქმოსანი. ძლიერი პაროენება, მძლავრი სიყვარულის უნარის მქონე, მთლიანი ფიგურა, რომელიც ღირსია სახანგებო ანალიზისა.

მაგრამ რანტიეს კლასი, რომელსაც შეადგენენ ფორსაიტები, თავის დამთავრებულ წარმომადგენელთა გარდა, გადაკვარებულ ფიგურასაც იძლევა. ფორსაიტების მეორე თაობაში წარმოდგენილი არიან დარღმინდები, ბურჟუაზიული ესთეტიკები და ფილანთროპები. დამახასიათებელია, რომ, მიუხედავად გადაკვარებისა, ისინი მაინც ინარჩუნებენ ფორსაიტულ ფესვებს. დარღმინადი ჯორჯ ფორსაიტი მთელი სიცოცხლე დახეტილია და თამაშობდა, მისი ვაჟაცუბა იყო ღლიის ცხენებზე და ფარული ურთიერთობანი. სოომის იგი „შესახვევს“ უძახდა, რადგან სოომში იყო ფორსაიტების ყველა ტრადიციული დაქრძალვის ორგანიზატორი. მაგრამ სოომშია, რომელიც, რა თქმა უნდა, არა მარტო დაქრძალვითა ორგანიზატორი იყო, სხვათა შორის, ჯორჯიც დასაფლავა. 12.000 გირკანქა სტერლინგად დატოვა ჯორჯმა თავის სიყვარულს სიყუთარა მეტოი შემოსავლიდან. თავისი ქონების მთავარი ნაწილი კი, როგორც ქეშმარატიმა ფორსაიტმა, მაინც ნათესავებს უაღერმა. იგი სულ სამოცი წლისა გარდაიცვალა. ეს მეტად მცირე ასაკია ფორსაიტული სიცოცხლისუნარიანობის თვალსაზრისით.

ესთეტიკებისა და ფილანთროპების რიგიდან ყურადღებას იქცევს მოხუცი ჯოლიონის შევლით „ქაბუცი ჯოლიონის“ ფიგურა. თუ სპორტსმენი ჯორჯი ფორსაიტების გვარის ერთ კიდეზე დგას, მეორე კიდეზე დგას ზელოვანი „ქაბუცი ჯოლიონი.“ იგი, როგორც აღინიშნა, ყველაზე უკეთ გამოხატავს თვით გოლზუორთის თვალსაზრისს და, ამგვარად, ფორსაიტების თანამედროვე ტრადიციამში ხშირად ასრულებს ბერძნული ქოროსი, ან, უფრო მეტო, შექსპირისეული ხეშარის ფუნქციას. „ქაბუცი ჯოლიონს“ კარგად ესმის, რომ იგი ფორსაიტია და ამ საბედისწერო ფარგალს ვერ გადავა ჯოლიონს რანტიეს პარაზიტული არსებობის საზღვრებში ავიწყდება მრავალქერი შევლითი ცხოვრების უშინაარსობა. იგი არისტოკრატულ იტონში და კემბრიჯშია აღზრდილი და ამიტომაც გამოყოლილია აქვს ზიზლი ფორსაიტული ცხოვრებისადმი. მან ვერ მოახერხა, თავისი ცხოვრების მოჭადლოვებული წრის დაძლევა და მხოლოდ ესთეტი მჭერტეული ვახდა თუ მოხუცმა ჯოლიონმა ფორსაიტების რღვევა თავისი გამახვილებული ესთეტიკური ინსტიქტის გამო დაიწყო, ქაბუცი ჯოლიონი, პროფესიონალი დაზღვევის აგენტი, ამსხერვეს უიღბლო ქორწინების ბორკილებს, ირთავს ერთ

აღმზრდელ ქალს, და მისგან შექმნიება ორი ბავშვი. ის ამავე დროს, მხატვარი-აგურლისტი ხდება. მამას მაინც არ შეუძლია მისი მხატვრული ფორსაიტული ტრადიციის დარღვევა შეიღს ქაბუცი ჯოლიონის ამგვარ თავისუფალ მოქმედებას დიდხინით მოსდევს ურთიერთობის შეწყვეტა მამასთან; მხოლოდ თოთხუტი წლის შემდეგ ურთედებან ისინი ერთმანეთს. „ფორსაიტსაგამში“ მოქმედ პირთაგან ყველაზე უკეთ ქაბუცი ჯოლიონს ესმის სოომის ოქანში წარმოშობილი კონფლიქტის ტრაგიკულობა, იგი, მიუხედავად თავისი ფორსაიტისებისა, მაინც სილაშხისა და თავისუფლების იდეის მხარეზეა. ჯოლიონი ბოლოს შეიერთავს აირინს, რატუა ეს უკანასკნელი გაეყრება სოომსს და ეყოლება მისგან ვაჟიშვილი ჯონი. ჯონი ფორსაიტების მესამე თაობის და, მამასადამე, ახალი ინგლისის წარმომადგენელია.

„შესაქუთრემი“ ყურადღებას იპყრობს ამაყი მოხუცი ჯოლიონის ამაყი შევლიშვილის ჯენ ფორსაიტის ფიგურა. ჯენ ფორსაიტი, „ქაბუცი ჯოლიონის“ ქალიშვილი, გამოხატავს ქალში გამოქვლავებულ ფორსაიტისებს. საერთოდ, გოლზუორთის ქალები ყოველთვის ერთნაირები არიან: კრემისფერკანიანი, მუქთვალბინანი, რალაც მაგნეტური სიმშვიდესა და მომჭადლოვებულ იდეშალვებას ებეჭედენ, და პასიური მორჩილების კეთილშობილური ძალის მფლობელებია. ისინი ყოველთვის უსიყვარულოდ თხოვლებიან, აცვიით საღამოს კაბა სარტყელთან მიმაკრებული ახალი იეზის კინით, რატუა მარტონი არიან, უჯრავენ პიანოს, და ელოდებიან მიჯნურს; მიჯნურს მათთვის მოაქვს ან სიკვდილი, ან სასურჯუკეთილბუ. ხანტრეტრესოა, რომ სიყვარული ყოველთვის ფატალისტურად ესმის გოლზუორთის: ერთხელ და სამუდამოდ... გამოწყალისია მხოლოდ ლენანის სიყვარული რომანში „ბნელი ყვავილი“. ანგლოსაქსური წარმოშობის ქალბი გოლზუორთის არასოდეს მიჰყავს ადულტერისადმი; ისინი ან ერთგული არიან შემრისა ან მათი დალატი უღრის ტრადიციას. ჯენ ფორსაიტი არ წაავებს გოლზუორთის ამ ტიპურ ქალებს. იგი ენერგიულია, ჰვიანი და გამხედავი, ზელოვნების სიყვარულის ნიქიც აქვს დაყოლილი მამამისისაგან. იგი ისეთი ქალები კატეგორიას ეკუთვნის, რომლებიც გოლზუორთისს არ უყვარს: ამ ქალებს შეუძლიათ გარემოს დამარცხება ან მისი მართვა, ამის გამო, მიუხედავად ერთგვარი მოშიზილავობისა, ჯენი თითქმის არ იწყევს სიმპაიას. ჯიტიკი ნიკაბის პატრონი და ვიკინგისთვალეზიანი ჯენი — ბოსინის საცოლეა, ამ ტრანტითა მფარველი, რომლებსაც არავინ სუნობს. თავი მუდამ აქვეული უქირავს. ჯენი აირინის ანტიპოდი. ამიტომაც ადვილი ვსაავებია, რატომ გადაინაცვლა ბოსინის სიყვარულმა აირინისაყენ.

ბოსნიი თვითონ არის ფორსაიტის მოპირისპირე ჯგუფის წარმომადგენელი და საკუთრების მსხვერპლი. ჟენი ჰკარავს საქმროს და მისი სიყვარული გადადის კოკლი იხვის ტემპლებზე მოვლას. მიგრამ ჟენი ფორსაიტი სულით არ დავიწყდა:

— „მითხარით, ვანა აირინმა თქვენც არ იგორიათ ცხოვრება?“

ჯენმა აიხვდა.

— არავეს შეუძლია ცხოვრების არევა, ჩემო ძვირფასო. ევ სისულიღია. რაც უნდა მოხდეს, არ უნდა მოვიხაროთ ქელი... ნუ მოიხრებთ, ჩემო ძვირფასო. ჩვენ არ შეგვიძლია ვნახოთ ცხოვრება, მაგრამ შეგვიძლია ვებრძოლოთ მას — მეც ასე მომიხდა. გაეძელი... მეც ვტიროდი, მაგრამ შემხედვით ახლა“.

„მესაკუთრის“ მთავარი ფიგურები აღგენენ სამკუთხედს: სოომსი, აირინი, ბოსინი. სოომსი აირინის ქმარია. ჟენის ნიშნობაზე სოომსი და აირინი ვაიციანობენ ჟენის საქმროს, ხუროთმოძღვარ ბოსინის. ბოსინი თავისუფალი ხელოვანია, ინდივიდუალური თავისუფლების დამაპირისპირებელი კასტრ ტრადიციონალიზმთან. ამიტომ ბოსინი და აირინი ერთმანეთს ადვილად უგებენ. მათ შორის მძღვარი, ვანა იღვინება. სოომსი ბოსინის ავადებს სახლის აშენებას ქალაქგარეთ, რომინ პილში. ბოსინი რამდენიმე ასი გირვანქა სტერლინგით აკარებს ხარჯთაღრიცხვას. ამ საბაბით სოომსი, რომელიც დარწმუნებულია, აირინმა მიღალაჯა, სასამართლოში აღმარავს საჩივარს ბოსინის წინააღმდეგ და სრულიად აღატყებს მას. მაგრამ ჟენი კიდევ სასამართლო პროცესამდე ბოსინი ჩაეარება ავტობუსის ქვეშ და იღვინება.

სოომსი მესაკუთრეა. აირინი მისია ისევე, როგორც რომინ პილსი სახლი, ან მისი სურათები, რომელთა ფასიც მან კარგად იცის. იგი ფერმართალია და კარგად ვაპარსული, შავთმიანი, წინ წამოწეული ნიკაბით, მხარებაშლილი, წილგამართლი. უნაკლო ჩაემული. შვერითონის გამოთქმა რომ ეხებარათ, „ისეთივე რუხია, გლუვი და მტკიცე, როგორც ლონდონის ქუჩების ასფალტი“. მაგრამ სოომსის ტრადედი ის არის, რომ მისი უმადლესი „საკუთრება“ ვანადილად არასოდეს ევთენოდ მას, რადგან საკუთრების საისტემის განხორციელებას — სოომსს აღმოაჩნდა ერთი სახედისწერო სუსტი მხარე: იგი გამოიტყავს ირაციონარულს საჭიროებას. მას არ შეუძლია მართოს ინდივიდუალური ემოციური რეაქცია. ვნების უწესრიგობის წინაშე საკუთრების მალაღი და წმინდა კანონი უძღვრია. ფორსაიტის გონება ვერ სწვდება მეტაფიზიკას — სოომსისთვის ვაუკვაბარია სილამაზის საფუძველი. მას მარტოვად სტრს ინტაქტად ევფულებოვს უზიჯერ კლამაზეს და ფორსაიტული სიიჯერო იქნაადვის ამისკენ. მაგრამ სილამაზე ატსნელი და

შინაგანად მიუწვდომელი რჩება მისთვის. სოომსი ებრძვის საკუთარ თავს და ეს ბრძოლა ბოსინის გამოჩენის შემდეგ კიდევ უფრო უწესდება. მანამდე მხოლოდ აირინის ვანდვობა და თავის თავში ჩაეტყვა ამტავებდა ვარეგულად სოომსისა და აირინის ძირეულ წინააღმდეგობას, რომლის ახსნაც სოომსმა ვერ მოახერხა. ვარდა ამისა, არსებობდა სოციალური სისტემა, რომელიც იღვდა სოომსის უკან. აირინისთვის ბედნიერების მინიჭება კერის (Home) დანგრევის გზით (აირინისთვის ეს იყო არა „Home“ — „შინ“, — „კერა“, არამედ მხოლოდ „House“ — „სახლი“) და სისტემის შეტრახეყოფა მანამდე ვეუგონარი აშბავი იყო. სოომსის პირად ტრადედიას სოციალური მნიშვნელობა უნიჭება. სოომსის ფიგურა სიმბოლური ხდება, მაგრამ მისი სიმბოლერობა (ისე როგორც „სავის“ სიმბოლერობა, საერთოდ) როდი სარბს მის ინდივიდუალობას. ამის გამო სოომსის ფიგურა გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ახდენს.

რბალი და მიშვიდელია, მაგრამ ძლიერია თავის პასიურ წინააღმდეგობაში, იმპრესიონისტული ტონებითა და რომანტიკით შებერული, მრავალმნიშვნელოვანად მდებარე აირინის ფიგურა. ხვევრდისთვალვანი აირინი პერონს იციწულით ახლავარდა ქალი იყო, ასული ვალატაქეული პროფესორისა, როდესაც, დარბი და ვაპოტედელი, უსიყვარულოდ ვაბხოვდა და უღრდესი შეეცდომა ჩაიღინა. აირინი ევთენის იმ კონტრასტული ტიპების ჯგუფს, რომელსაც გოლზუოთთი რომანტშივიც და პეესებშივი იყვენება. აირინის კონტრასტული ფიგურა ფორსაიტში ევსაც იწევეს მისი ბრიტანული წარმოშობის მიმართ. იგი ერთი ყველაზე ცოცხალ ქმნილებათაგანია გოლზუოთისა, ეროდროვლად ადამიანურიცაა და მეამბოხე ხასიათის პატრონიც — მიუხედავად რაღაც ინდივიდუალური, იღვშალი და მგანეტერია ელემენტისა ხასიათში. აირინის ფიგურა ვანსაზღვრელია და შეუცნობელი ფორსაიტების მიერ. ბუნებრივია, რომ მისი მოპასუზე ინდივიდუეში უნდა სხვა საწყაროში მოიძებნოს, „არაფორსაიტთა“ შორის. აირინი, — სილამაზის ინკარნაცია, მესაკუთრე ქვეყნის მამოთებელი; მისთვის სასურველი, მაგრამ მიუწვდომელი და საჭიროებს დამთავრების სხვა ფიგურაში. „მესაკუთრეში“ შემოღის ეს ფიგურაც. ესაა ბოსინი. ბოსინი სიმბოლოა არამატრო სიყვარულის მარადიული ძალისა, რომელიც უტევს საკუთრებას, არამედ ცოცხალი, არტისტული და რველუციური ტემპერამენტი, სილამაზისა და თავისუფლების ქემწარბარი ვაგებისაკენ მიმართული, მარადი მეჭარა ძველი და პატრიონიული სისტემისათვის. მისი ფიგურა აქლიერვს ღრამის ინტეპირობას. ბოსინი არა მარტო მეუცნებეა, არამედ ბიოლოგიური უწესიოცაა ვა ვარტებელი მისი პირეული ვაპარეება სოომს-

ზე: იგი მიმზიდველი მამაკაცია, ტემპერამენტია, იშვიათი ფიზიკური თვისებებით შემკული, ფერმკრთალი, შევევრებანა სახის პატრონი, ძლიერ წამოწვეული ყვარმალის ძელებით, ჩავარდნილი ლაყებით, ღმრთობური შებლია, ტიპური ბოქმეილი. ბოსონი წარმადგენს იდეალის ძლიერებას, რომელიც კაპიტალის ძალის უპირისპირდება თვით დასავლელი ლიტერატორების აზრობაც კი. ბოსონის გვერდით სთომს ისევე ცუდიად ვრანობს თავს, როგორც ყოველთვის პასიური და შეუცნობელი აბრინის გვერდით. აბრინი წაიგავს ყვავილს „ნახევარად დაბურული ფურცლებით და ვენებანი გულით“. სთომსის საყუთრების ინსტრუქტი საფრთხეს მზოოდ მშინი შეიცონს, როდესაც ხელზეა იმ უცნაურ, ენებან ატმოსფეროს, თან რომ სდევს ყვავილს, რომელიც იშლება. სთომსს ბნელი, პათეტიკური შიში იპურობს. მის პირდაპირ კთხებებს აბრინი დეჰილით უბასუბებს. სთომსის მესაყუთრე სული, განრისხებული, საყუთრების დოქტრინას აყალიბებს: „ერთი კარგი გალახვა მოვარქულება...“ იქვე უნდა აღინიშნოს, რომ დასავლელ კრიტიკოსთა შორის არიან ისეთებიც, რომლებსაც არ ესმით სთომსისა და აბრინის კონფლიქტის ორგანულობა. მათი აზრით, აბრინი სუსტი და უნებო ხასიათია, რომლისადმი ამაოდ ედილობს გოლზუორთი მკითხველის სიმათიის მოპოვებას. აბრინი უფროსია. „ტიმი ცოლისა, რომელიც კთხებზე — სად იყავი?“ მიუგებს: „ზეცაში — ამ სახლის გარეთ — საკბროებს ფიზიკურ სასყულს“ (შეი). ზოგიერთი ბურჟუაზიული მწერლის აზრითაც, რომანი „მესაყუთრე“ მხოლოდ თანამედროვე ქორწინების კანონებისადმი უნდაღობის გამოწვევის ცდაა (ფორდი).

აბრინი უარს ეუბნება სთომსს ცოლის მოვალეობას შესრულებაზე. სთომსი ძალას ხმარობს, აბრინი გარბის სთომსის სახლიდან, ბოსონი თავს იცავს (თემცა ეს პუნქტი იწვევს აზრთა სხვადასხვაობას) და, ზოგიერთის აზრით, მისი სიკვდილი უდრის თითქმის მსხვერპლის შეწირვას ფორსაიტების ღმერთის, შამონის საყუთრებველზე. აბრინი უბრუნდება სთომსის სახლს, „როგორც სისიკვდილოდ დაპირი ცხოველი, რომელსაც არ ესმის, რას აკეთებს, არ იცის, სად წაიღებს...“ საბრალო აბრინი ზის მიმჭრალი ცუცხლის პირას, როგორც სიმათილო სასყულსა, რომელიც მოელის ყველას, ვინც ამბობდას გაუბედაეს სისტემას. „და ამ წუთს სთომსი მიხედა, რომ ბოსონი იყო აბრინის საყუარელი; მიხედა, რომ მან უკვე შეიტყო ბოსონის სიკვდილი — შეიძლება ისევე, როგორც სთომსმა, იყიდა ვახუთი და წაიკეთა სადმე ქუჩის კუთხეში, სადაც დაქრალა ქარი. აბრინი დაბრუნდა საყუთრით ნებით იმ გალიაში, საიდანაც ესოდენ სურდა გამოსვლა; სთომსმა შეიძინო ამ საყუთრის მთელი საშინელი აზრი და ძლიავს

შეიკავა თავი, რომ არ დაეძახა: წაიღი ჩემი — ხლიდან, დამწლე ეს საყუთრელი სხეული, რამელიც ასე მიყვარს. დამალე ჩემგან ეს ხელილო, გაფითრებული, სასტიკი, წმინდი, კარგი, ნამ არ შემობოკებს ხელებით. წაიღი ჩემგან, თვალთ არ დამეახო“. და მას მოეჩვენა, რომ ამ წარმოუთქმელი სიტყვების პასუხად დგება აბრინი და მიდის, თითქოს საშინელი სიზმრისაგან გამოფხიზლებას ედილობდეს, — დგება და მიდის წყვილადსა და სიცივეში, ისე რომ არც კი აფრდებდა სთომსს, ვერც კი ამჩნევს მას.

მაშინ შესძახა მან იმ წარმოუთქმელი სიტყვების საბასუხოდ: — არა, არა, არა წახვიდე! — და მიბრუნდა და ჩამოქდა თავის ჩვეულებრივ ადგილს, ბუხრის მიჯრე მხარეს.

ასე იხსნენ ისინი მღვდმარედ. და სთომსი ფიქრობდა: „რატომ ხდება ეს ყველაფერი? რატომ უნდა ვიტანყო ასე? რა ჩაივინე? კს ხომ ჩემი ბრალი არ არის?“

აბრინის ამ უნევემო ნოტაზე, რომელშიც უცნაურადაა შტრეული პათოსის გრძნობა, ტრაგედია თაღდება... ტრაგეიში, ირონია, პათოსი და სიბრაღელის გრძნობა საოცრად ერთდებიან გოლზუორთის დამოკიდებულებაში სთომსის მიმართ. ფორდის აზრით, გოლზუორთის სენი იყო სიბრაღელი და ისე სიბრაღელი არა, როგორც აღმფთვება სუსტის ან ღბობის ტანჯვის გამო. სწორედ ამან წაართვა გოლზუორთის გვიანდელ შემოქმედებას ინტერესი. მწერალი უნდა შეუბრალებელი იყო შემოქმედებაში მაინც. ყველაზე უფრო იგი სხვა აღმამათა მწუხარებას გრძნობდა... და ეს ტანჯვა ძალადობისა თუ სისასტიკის გამო მისი ხასიათისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის უმთავრესი ნიშანი გახდა. უთუოდ ამ ფისებით აიხსნება მრავალი ფილანტროპიული საქმე, რომელიც გოლზუორთის ჩაუდენია. ულიამსონის აზრით სიბრაღელის გარეშე საერთოდ არ შეიძლება დიდი ხასიათის შექმნა. „სიბრაღელი, რომელიც იწმინავს სიმათიას... და არ უარსყოფს სინამდვილეს... თილისმა სენტიმენტალობისა და ცინიზმის წინააღმდეგ, რომლებიც, როგორც სიკვლა და ქარიზმა, ემუქრებიან ხელოვანს ქემწარიტების ძიების ვაით. ბეერი ხასიათი გოლზუორთის შემოქმედებაში არის უბრალო პროექტია ავტორის მსგავსებისა და არამსგავსების; მეტად ბევრი მის სიტუაციათაგან — მსაყლის მიუკერძოებელი შეგამება; მაგრამ ამ ერთ ინსტანციამ ხელოვანი შეებრძოლა მასში მორალისტს და მისამართლეს — და გამარჯვა... სთომსისა და აბრინის პირად კონფლიქტში არის ტრაგედის ნამდვილი ქსოვილი, სიტუაცია, რომელიც ამტკუნებს აღმამათა ბრძოლას ბედისწერის წინააღმდეგ არა ნაკლებ, ვიდრე ესპირიტის რომელიმე თემა, და რადგან სთომსი, როგორც აღმამინი, იწვევს სიმათიას ჩვენი ზიზღის შესანელებლად, ჩვენ შეგვიძლია მივი-

ლოთ იგი როგორც სიმბოლოც“ (ვილიამსონი). მიუხედავად იმისა, შევიძლია თუ არა ჩვენ მივიღოთ სოომსი როგორც აღამიანი, ან როგორც სიმბოლო, დეკტი ისა, რომ მკითხველის თანაგრძნობა სოომსის მიმართ მატულობს „საკის“ მინილზე, რადგან მატულობს გოლზუორთის სიბრაღული და სიპაითა ამ დამარცხებულნი, მართოდ შთაინილი და ხანში შემავალი კაცის მიმართ. შემდეგში სოომსი აღარა ჰყავს შეუბრაღებელ ახალგაზრდა სოომსს, რომელსაც ტყვედ ჰყავდა აირინი.

საყურადღებოა „მესაქუთრის“ ვარშემო ირსებული აზრთა სხვადასხვაობა. იგი შეეხება უმთავრესად ბოსინის სიცილილს და რომანის ფინალს და იმავე დროს გოლზუორთის მხატვრულ მეთოდსა და ავტორის დამოკიდებულებას რომანის გმირების მიმართ.

„მესაქუთრეზე“ შეშობის პერიოდში გოლზუორთი წერს თავის შეგობარს ედვარდ გარნეტს (რომელსაც მიეძღვნა, სხვათა შორის, ეს რომანი): „ბოსინი თავს იტყობს... ჩვენ ორივეს გვსურს ერთი და იგივე ეფექტი, ორივეს გვძულს ფორსაიტები და გვსურს მათი დანგრევა. თქვენი ინსტიტუტი გიყარნახებს ვაკეთოთ ეს პოზიტიურად: თქვენ მათ დასტოვებდით დამარცხებულს. ჩემი ინსტიტუტი მუშაობს, რომ ეს მხოლოდ ნეგატიურად შეიძლება ვაკეთდეს; მე ვტოვებ მათ გამარჯვებულს — მაგრამ ეს რა გამარჯვებაა! ეს არის ტრაგედია!“ გოლზუორთი ამიტომ ცდილობს გამოურკვეველი დასტოვოს მკითხველისათვის, ბოსინმა თავი მოიკლა, თუ შემთხვევით დაიღუპა. მისი აზრით, ბოსინის სიცილილი მოიგებდა მღვირვებისა და დამაყრებლობის თვალსაზრისით, როგორც შემთხვევა რომელიც მკითხველში გამოიწვევდა თვითმკვლელობის უკნეს. გარნეტს ბოსინი მებრძოლ ტიპად მიანიჭა და მისი აზრით, ბოსინის დებრესა და სასოწარკვეთილება არ აიხსნება ფინანსური დაბრკოლებით ან სოომსის საქციელით აირინის მიმართ. მაშასადამე, გარნეტს ეკვი ეპარება ბოსინის მხატვრულ დამაყრებლობაში. გოლზუორთი თავს იმართლებს იმით, რომ მას თვითმკვლელობა ისეთ ალოგიურ მოვლენად მიიჩნია, იმდენად მომენტურ, წმინდა ფინანსურ შემთხვევად, რომელიც ხასიათისაგან დამოუკიდებელია, შესაწყენარებელი და ადვილად მისაღები. ამიტომ იგი უახლოვდება შემთხვევას, არის კიდევ შემთხვევა. იგი არ გამომდინარეობს მთელი აღმართისგან. აღმართის მხოლოდ ერთი ნაწილი იღებს თვითმკვლელობის ვადამყვებლობას და ეს ნაწილი წუთით ქიუილია მთელად, მართავს მთელს. საყურადღებოა, რომ შემდეგში გოლზუორთიმ ფორსაიტი სოომსის ტრაგიკული სიციცხლე დაასრულა ამ უკანასკნელის თავგანწირვით საყურადღებო ქალიშვილის ვადასარჩენად და, მაშასადამე, ფორსაიტების დაძლევათ სოომსის სიციცხლის უკანასკნელ

მომენტში. როგორც ვხედავთ, გოლზუორთის ბოლომდე არ შეუცვლია თავისი აზრი; მან სოომსის ევოლუცია მოახდინა, რადგან მისი მესაქუთრე ტანჯვის გზით მიიღწევა მესაქუთრე გამდე.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ფორსაიტების წრე იყო გოლზუორთის საყურადღებო სიციცხლე წრე. ბუნებრივია, რომ გოლზუორთის მიერ დახატულმა სურათებმა ამ წრეში შემოთქება გამოიწვია. წერლის საყურადღებო და, ლილიან გოლზუორთი შეაძრწუნა სატირიკული სტილით დახატულმა ნათესაეების სურათებმა. წერლით (11. 9. 1905) გოლზუორთი ასე უბასუხებს ლილიანს: „...მე უფრო რაღაც ქოქოსის მსგავსი მგონია თავი, უფრო კრიტიკული, ყოველთვის ფილოსოფიურ იდეას მოქიდებული და მის შესაბამისად ღირებულზე ბათა გარდამქმნელი, თუ ვნებას, მე გამოვდივარ იქიდან, რომ საყურადღებო არ არის ქრისტიანული სიციცხლე იდეა. მე მოვედი, რომ ხალხი დინახავს ამას; ყოველ შემთხვევაში, მე ვიჭებდი მედამ უარყოფითად, დესტრუქტივულად. ვერ ვიტან ღამაზი ხასიათის იდეას. იგი მუტისმეტად ცხადი მერეინება, ვაკეთოლი, და ზოლის აღმქარელი, გარდა ამისა, არაფილოსოფიური. შეიძლება ეს ნაყოლი, მაგრამ ასეა და ამას არიფერი ეშველება... არიან საგნები, რომლებიც მომწონს, არის ისეთი რამ, რაც მიყვარს აღმართში, მაგრამ თუ აღმართს შევეხებ, დარწმუნებული იყავი, ყარვად ვაუტსწორდება მათ უარყოფით მხარეებს. ეს ჩემი ჟანრი. არ შემიძლია მას ევოლუტო“.

იმვე წერილში გოლზუორთი კვლავ ეხება ბოსინის: „ბოსინი მე თავდაპირველად ვაგასუბებ და ჩემთვის მიუღებელი მერეინა. არც ნამდვილად დასანახავი აღმოჩნდა (ჩემი ჩვეულებრივი ზედღის თინახმალაც კი). ამიტომ იგი ობიექტური ქმნილება ვადამყვით და ფოტოსი მთლად ფორსაიტის თვალში მოვათავსე, რაც ერთგვარ არტისტულ სისრულეს აძლევს წიგნს... ახლა იგი ნამდვილი ფიგურაა და არა ხასიათი; ასევეა აირინიც; ისიც მთლანდ ობიექტურია. ისინი არ არიან ისე ცოცხლნი, როგორც შემთხვევები, მაგრამ სასარგებლონი კი არიან“.

მაგრამ გოლზუორთი მანც აღიარებდა, რომ იგი დამარცხდა ბოსინის საკითხში (წერილი ედვარდ გარნეტისადმი, 2.6.1905). ეს შესაძლოა ასეც იყო, რამდენადაც მან, მართლაც, ფორსაიტებისათვის გამოიყენა ბოსინის სახე და ამით წარათვა მას ტიპისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი შესაძლებლობანი. გარნეტის უთუოდ მართალია (წერილი გოლზუორთისადმი, 7.6.1905), როდესაც სთხოვს გოლზუორთის — არ გამოიყენოს თვითმკვლელობა ბოსინის შემთხვევაში, რადგან თვითმკვლელობა ძალმოპყრების გამო ისევე დაუჭრებ-

ლია, როგორც თვითმკვლელობა ფინანსური დაზარალების გამო“. გარნეტის აზრით, ბოსნიის ფიგურა კარგად მოხაზული ფიგურაა — ძლიერი და დამაჯერებელი იქამდე, ვიდრე გაპარობა სცენა ბოტანიკურ ბაღში, სადაც უკანასკნელად ერთმანეთს ხედებიან აირინი და ბოსინი. აქ აირინი ბოსინის უშეღავნებს სოომსის ძალმომრეობის ამბავს. ძალმომრეობამ ბოსინისთან ტიპში უნდა გამოიწვიოს რისხვა და დაუყოვნებელი მოქმედება და არა სასოწარკვეთილება. ყოველ შემთხვევაში, თვითმკვლელობისათვის საჭირო იყო უფრო ღრმა და მახვილი ანალიტიკური ახსნა მგრძნობიარე და ნეეროტიული ტიპისა. ბოსინისათვის სულერთია საზოგადოება, სოომში და ფულა, იგი მებრძოლი კაცის ტიპია (ნეეროტიული ხასიათი), მისთვის არც აირინი წაუტრიალავდა, რომ ამით მიიწვევს მართლებული მისი სასოწარკვეთილება. მაშინ, სადაც, ბოსინის თვითმკვლელობა არ მართლებულა. ამიტომ გარნეტი ურჩევს გოლზუორთის უკეთესი სიკვდილით მოკლას ბოსინი; ეს უფრო ემსახურება სინამდვილეს.

როგორც ჩანს, გოლზუორთიმ მხედველობაში მიიღო ყოველფე ეს, ბოსინის სიცოცხლე

არ დასრულა თვითმკვლელობით, მაგრამ მკითხველი საგანგებოდ გურკვევილი დასტოვია, თვითმკვლელობა იყო ეს, სწორედ ამით რომანის მხატვრულმა მსახურმა მოახერხა ბოსინი დარჩა მსუთად როგორც შეიქცევა მის ფიგურას — მაშინ, მაგრამ გურკვევილი თავის დასვენებაში.

ფორდიც ფიქრებს, რომ ბოსინის თვითმკვლელობა დაუჭრებელია, რადგან ბოსინი არავითარ შემთხვევაში ამის ჩამდენი არ არის, და გოლზუორთი თავს აკვლევინებს ბოსინის იმისათვის, რომ დაამტკიცოს მკაცრად კლასების უღმობელობა. მაგრამ, როგორც დღევანდელ, გოლზუორთიმ ბოლოს შინც გურკვევილი დასტოვა ეს მომენტი და ამიტომაც არ არის აქ სათანადო მორალური გაკვეთილი მიღებული. გოლზუორთიმ თუმცა ბოსინის ფიგურა გამოიყენა კონტრასტის ხერხით მსუთვად კლასების მორატების სანაწინააღმდეგოდ. მაგრამ ბოსინის სიცოცხლეს დასასრულიც სინამდვილეს მიმგვანებელი მისცა: ხელიდან დასაძლია მორალისტი. გოლზუორთიმ მზახარეული მორალი არ გამოიტანა მკითხველისათვის. ბოსინის სიკვდილი თავისი იდუმალებითა და უაზრობით მიამსგავსა თვითონ ცხოვრებას.

ბ) „ფორსაიტის უკანასკნელი ზაფხული“.

„და მეტისმეტად მოკლე იყო ზაფხულის ეპიზოდი“
შექსპირი

შსოფლიო ომის დამთავრებამდე გოლზუორთი აღარ დაბრუნებია ფორსაიტებს. 19:9 წელს გამოვიდა მისი კრებული „ხუთი მოთხრობა“, რომელშიც მოთავსებული იყო მოთხრობა „ფორსაიტის უკანასკნელი ზაფხული“. ეს მოთხრობა „ფორსაიტ საგამი“ შევიდა როგორც ინტერლუდია, მდებარე ორ რომანს შუა („მესაყურე“ და „მარყუჟი“). თითქმის მთელი ინტერლუდია ჯოლიონის თვალთ მზერაა და მისში მოთხრობილია აირინის ამბავი: აირინმა ბოსინის სიკვდილის შემდეგ დასტოვა სოომსის სახლი და მუსიკის გაკვეთილებით დაიწყო ცხოვრება. მოქმედების ადგილია რომანში ჰილი, სოომის აგარაკი, რომელიც მოხუცმა ჯოლიონმა შეიძინა. 1892 წელს აირინი, უკვე ოცდაათი წლის ქალი, უკრავდ ხედება მოხუც ჯოლიონს, რომელსაც ტიპური ფორსაიტებისაგან მუდამ ასხვავებდა სილამაზის გრძნობა. ჯოლიონი უცნაურ სიმპათიას გრძნობს აირინისადმი, თუმცა იგი უკვე ღრმა მოხუცია. იგი მფარველობს აირინს. სიკვდილის წინ მკვიდრეობის ნაწილსაც კი უტოვებს. ინტერლუდია თავდება ჯოლიონის ვარდაცვალების სცენით.

გოლზუორთი როგორც ლირიკოსი ამ ინტერლუდიაში უმაღლეს დონეს აღწევს. შეიძლება ეს მცირე ფორმის ნაწარმოები მის სა-

უკეთესო ნაწარმოებდაც ჩაითვალოს. ინტერლუდიის მოცულობა აადვილებს მის მხატვრულ სტრუქტურას წინააღმდეგ რთული რომანისა და კონსტრუქტიული დრამისა. ამ სტრუქტურას გოლზუორთი აღწევს კიდევ. ეს ლირიკული ინტერლუდია წარმოადგენს ანდანტეს, რომელიც მოსდევს „მესაყურის“ ალევრის.

გოლზუორთი საოცარი ოსტატობით ხსნის მოხუცის ცხოვრებას უკანასკნელი დღეების გრძნობებს და აზრებს, ხედავს ყოველფეც მოხუცის თვალთ. მოხუცი ჯოლიონის ამ უკანასკნელ დღეებშიც მის თვალწინ გაივლი სილამაზის ემბლემატური ფიგურა. „ნაცრისფერად შემოსილი ქალბატონი“ და აოქროსფერებს მათ. „აირინი ისევე შეუვალა, შეუტრიალებული და ამოუკითხავი, და შინც ჩვენ შევდივართ მის ცხოვრებაში, დადევარათ მასთან ერთად. ვიზიარებთ მის გრძნობებს, ფიზიკურსა და ფსიქიკურს. სილამაზე ერთხელ კიდევ გაბედულად შეიჭრა იმ ფორსაიტის ცხოვრებაში, რომელიც ყველაზე უკეთესი და ზომიერი ფორსაიტის იყო ქველ თათბარში“ (მალიტი). ფორსაიტა ამ სილამაზის ატმოსფეროში ეთხოვება თვითონ ოქროს საუკუნეს“ და მასთან ერთად თვითონაც მდინს. აირინის ცხოვრებაც ტრაგიკული სიყვარულის მოგონებებითაა შეპყრობილი. ახ-

ლა იგი ამათიური მწუხარებიდან სიციხეებს ებრუნდება. შესანიშნავი ზაფხულის ფონი და რობინ ჰილის ბუნება უდიდესი ხელოვნებით უერთდება სილამაზის ხელახალ გამოცხადებას.

გოლზუორთი — სილამაზისა და სიციხეების თაყვანისმცემელი — ისევ წინ მოიწევს. როდესაც მოხუცი ჯოლიონი შეიტყობს, რომ კეთილი და ღარიბი აზრანი ეხმარება ლონდონის მავალინებს, იგი შემოფთობდება. „უნებურად მისი ხელი საფელოსკენ წავიდა. მან აჩქარებით თქვა: — „მერე და როგორ ეცნობით მათ?“

— „ერთერთ საავადმყოფოში დავდივარ“.

— „საავადმყოფოში?“

— „ყველაზე უფრო ისა მწყინს, რომ ოდესღაც თითქმის ყველა მათგანი ღამიანი იყო“. მოხუცმა ჯოლიონმა თოჯინა ვასწორა. „სილამაზე“, წარმოსთქვა მან: „ჰა, დაბ, სამწუხარო ამბავია“ — და სახლისაკენ წავიდა.

სილამაზის კონცენტრირებული გრძობა შეიპყრობს ფორსაიტს. „მაგრამ მასში იყო რაღაც ისეთი, რაც ფორსაიტისთვის საზღვარებს სცილდებოდა, რადგან ცნობილია, რომ ფორსაიტს არ უნდა უფვარდეს სილამაზე გონიერებაზე უფრო მეტად: არც საკუთარი სურვილი უნდა დააყენოს საკუთარ განზრთვობაზე მაღლა და იმ დღეებში რაღაც ძვირად მასში ისეთი, რომ ყოველი დარტყმით ანგრეულა მის შეთხველბულ ნივთას“. „მას უკვე აღარ შეეძლო წარმოედგინა სიციხეზე ამ ახალი ინტერესის გარეშე, მაგრამ ის, რისი წარმოდგენაც არ შეიძლება, ზანჯახან მინც არსებობს და ფორსაიტებიც მუდამ რწმუნდებიან“.

„ოთხმოცდაათი წლის კაცს არა აქვს ენებება, მაგრამ სილამაზე, რომელიც ბაღებს ენებას. ძველებურად მოჭმედებს, სანამ სიკვდილი დაუხუტავს თვალებს, სილამაზის ჭკრეტის მოსურნეს“. „ქაღისნური, სასტიკი რამ

არის სიციხეზე, როდესაც მოხუცი ნარ და სუსტი; თითქოს დავეციან თავის მრავალფეროვანებათა და ნაპირებიდან სიციხეველით.

მოხუცი ჯოლიონს იპყრობს ფაუსტისებური ტრავედია: სურვილი სიკაბუჯის უიღვისა ერთი წლით, ერთი თვით შინც. ერთხელ, კლოპატრას და სოკრატეს ბრინჯაოს სტატუეტების წინ მოხუცი ჯოლიონი დაფიქრდება ოპერის ფაუსტზე, რომელმაც თავისი სული რამდენიმე წლის სიკაბუჯეში გაჰყიდა. უცნაური გამოგონებაა! შეუძლებელია ასეთი რამ. სწორედ ეს არის ტრავედია. და მოხუცმა ჯოლიონმა შეხედა თავის საყვარელ სტატუეტებს. „ისინი იციციხეებენ!“ გაიფიქრა მან და გულში ტყვილმა გაურა. „მათ კიდევ თამის წლის სიციხეზე უდიდო წინ“.

მოხუცი ჯოლიონი მართლაც კვდება. კვდება დიდი, ბებერი მუხის ქვეშ, აყვავებული ზაფხულის შეაგულში, ბალახებისა და ბუნების წიაღში, აირინის მოლოდინში. გოლზუორთი საოცარი ოსტატობით გეზბატავს გარდაცვალების ამ სცენას სილამაზის სამყაროში: „საინიბოს თავზე საათმა ჩარტეი დატყვა. ძაღლმა ბალთახარამ ვაიზმორა და პატრონს შეხედა. შავი ნარის ბუნესი არ ირბოდა. ძაღლმა თავი დააღო მზით განათებულ ფეხს. ფეხი არ გაინძრა. ძაღლმა სწრაფად მოაშორა ცხვირი, წამოდგა და მოხუცი ჯოლიონს მუხლებზე შეახტა, სახეში ჩაახედა და დაიწმუტუნა; შემდეგ გადმოხტა, უკანა ფეხებზე ჩიყუნტა, თავი ასწია მაღლა და უეცრად ვაბშით, ხანგრძლივად შეკამყვლა.

მაგრამ ბუნესი უძარავი იყო როგორც სიკვდილი და როგორც ძაღლის მოხუცი პატრონის სახე.

ზაფხული — ზაფხული — ზაფხული! — უბრალო ნაბიჯები ბალახზე!“

ა) „მარყუში“

„ოქროს საუჯენე“ მიდის. მოხუცი ჯოლიონი უკანასკნელი წარმომადგენელი იყო კლასიკური და მშვეიდი ვიქტორიანიზმისა. ძველი ეპოქა კვდება. იწყება იმპერიალიზმისა და კაპიტალისტური საზოგადოების კრიზისის ეპოქა.

დედოფალი ვიქტორიას გრანდიოზული და სიმბოლური დაკრძალვის ფონზე იშლება „ფორსაიტ საგის“ მეორე რომანი „მარყუში“ „საუჯენის წასკლა“ ყველაზე გრაფიკული და შესანიშნავი თავია ამ რომანისა. „დედოფალი გარდაიცვალა და მსოფლიოს უდიდესი დედაქალაქის ჰაერში იდგა დაღვრული ცრემლებს ნაცრისფერი ბინდი“.

გოლზუორთი მისთვის ჩვეული პირდაპირობით გვიხატავს საუჯენის წასკლის სოციალურ სურათს, აქაც სიომისის თვალით დანახულს: თუმცა ჩვეულებრივ საზოგადოებრივი მოვლენები შიტირდ აღეულებდა სიომისს, ღრმა სიმბოლურმა მოვლენამ, გრძელი და ბრწყინვალე ეპოქის ამ დასასრულმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. 1837 წელს, როდესაც ვიქტორია ტახტზე ავიდა, „ამაჟი დოსტოი“ ჭერ კიდევ აშენებდა სახლებს და ლონდონს ამახინებდა. ჟეიმსი, ოცის წლის ჰაბუტი, ის-ის იყო საფუძველს უყრიდა თავის იურიდიულ საქმიანობას. ჭერ კიდევ დადიოდნენ საფოსტო ეტლები.

შმაკაცებს მალე საყუროები ეყით და ზედა ტუნის იპარსადენენ, ხამანკებს პირდაპირ კასრიდან ქამდენენ. კაბრიოლეტების უკან ლაქები ისხდენენ, ქალები ამბობდნენ: „ნუ თუ?“ და არა ჰქონდათ საყუროების უფლება. შთელს ქვეყანაში მეფობდა ზრდილობა. ჭოხები ღარიბებს ეყუთნოდით, უბედურთ აბრჩობდნენ მცირე დანაშაულისათვის და დიკენსი ის იყო იწყებდა მწერლობას. თითქმის ორი თაობა გამოიყვალა მას შემდეგ — ორთქლის გემის რკინიგზის, ტელეგრაფის, ტელეფონის, ველოსპედლისა და ახლა ამ ავტომობილისა — იმდენი სამდიდრე დაგროვდა, რომ რვა პროცენტი იქცა სამად და ათასობით ფორსაიტები ვანდნენ. შორალი გამოიყვალა, აღმინებთ კიდევ ერთი ნაბიჯით დამორღვენ მაიმუნს, შამონი გახდა ღმერთი და თანაც იმდენად პატრიცეული, რომ თავის თავს ვეღარც კი სცნობდა. საყუროების შფარველობის საზოცდაოთხმა წილმა შექმნა საშუალო კლასის ზედა ფენა, იმდენად მოუარა, ვაშალაშინა და ვაპარიალა, რომ ქვეყნით, შორალით, ენით, გარეგნობითა და ჩვეულებებით არისტოკრატისაგან აღარ განირჩეოდა; ებოქა, რომელმაც ისე შოაკარავა პიროვნების თავისუფლება, რომ, თუ კაცს ჰქონდა ფული, იგი თავისუფალი იყო კანონითაც და ნამდვილადაც, მაგრამ თუ ფული არა ჰქონდა — თავისუფალი იყო კანონით, ზრლო ნამდვილად არა. ებოქა, რომელმაც ისე დაკანონა თვალთმაქცობა, რომ საქმარისი იყო პატრიცეულს კაცად გეგვენებინა თავი და შართლც პატრიცეული გახდებოდი... დაახ, საუკუნე მიდის... აი ის, დედოფლის კატაფალკო, ნენელვა მიხაილი საყურის კუბო, და ისევე ნელა როგორც იგი მიდოდა, მისი მოთვალთვალე ბზროს რიგებიდან დგებოდა ყრუ ვენესა. არასოდეს გაუგონია სოომს ასეთი ხმა, ისე უნებური, პირველყოფილი, ღრმა და ველური, რომ არც მან, არც სხვამ არ იცოდა, ყოველ აღამიანს აღმობდა იგი, თუ არა უცნაური ხმა, საუკუნის სარკი საყუთარი სიყვლისადმი... აი... აი... სარკიხლის საფურცელი გასხლნა, ის, რაც შარადელი ჩანდა, წაეღდა“

ასე ასვენებდა ვიქტორიანული ინგლისი თავის „ოქროს საუკუნეს“.

„საკუთრების ინსტიტუტი არ არის უძრავი რამ. აყვავებას და მტრობას, ყინვას და სიციხეს იგი მისდევდა უკან პროგრესის კანონების თანახმად თეო ფორსაიტების ოჯახშიაც კი, რომელიც მას სამეფოდან დაფქმებულად სთვლიდა. ის უფრო მეტად იყო დაკავშირებული თავის გარემოცვისთან, ვიდრე კარტოფილი — ნადაგთან.“

ინგლისის ოთხმოციანი და ოთხმოცდაათიანი წლების ისტორიისი ოდესმე, მოხერხებულ ღრბს აღწერს ამ სწრაფ გარდასვლას

კმაყოფილი და თავდაპირილი პროვიციალზნიზიდან უფრო მეტად კმაყოფილ, მაგრამ ნაკლებ თავდაპირალ იმპერიალიზმსმეც უკან დახეწიარად, ველოციონიზებულმეტროპოლიტანკუთრების ინსტიტუტის განვითარებას. ჩანს, ამავე კანონს ემორჩილებოდა ფორსაიტების ოჯახიც, ისინი ვითარდებოდნენ არა მარტო გარეგნულად, არამედ შინაგანდაც“.

ანგლო-ბურების ომის ფონზე (რომელიც უფრო ოდნავ არის ასახული, ვიდრე ნამდვილად აღწერილი), 1890-1901 წლებში, მიმდინარეობს რომანია. ფორსაიტების დისინტეგრაცია ღრმავდება. რომანიის შთავარი გმირები ქაბუტარ ქოლიონი და სოთმსი. ქაბუტარ ქოლიონი „ფორსაიტის“ სიყვითლ ხდება აკვარელისტი, იგი შამასაეთი გერმანობიარცა და კეთილშობილი, საყუთრების ინსტიტუტი და ქვეითებული აქვს და ირონიული პემორითა დაჭილდოებული. მასში განსახიერებულა ეღვარდიანული საუკუნე, შეცვლად შეხედულებების მქონე ვიქტორიანულთან შედარებით. ზოგიერთი მკვლევარი ქაბუტარ ქოლიონს გოლზორკისთან აიგივებს (შალიტი), და მართლაც ქოლიონში მწელი საცნობია ორთოდოქსალური ფორსაიტ. მისი საყუთრების ინსტიტუტი უყვე თითქმის რედემპტული ხასიათისა. სამაგიეროდ სილამაზის გრძობდა განვითარებული. მისი ფილოსოფია გოლზორკის საყუთარი ფილოსოფიაა. უფრო ემოციით შეპირობებული, ვიდრე გონებით, ირონიულად უნდობი, სილამაზის მოტრფიალე. აღამიანური და შემწყნარებელი. ქოლიონის განწყობილება ტონს აძლევს მთელ რომანს პლატონური სიყვარული იარინისადმი ქოლიონისათვის უმაღლესი შემოქმედებით იმპულსამდე ამყვანი ფაქტორი იყო. მის თვალებს ეჩვენებოდა, რომ რალაც, ქალზე უფრო მეტი რამ იყო მის წინაშე. „უნივერსალურდ სილამაზის სელი, ღრმა და იღუშალი. ის, რომელსაც იცნობდნენ ძველი მხატვრები ტიციანო, კარავონე, ბოტიჩელი, ეკერდნენ და გაღმოსევდნენ თავიანთი ქალების სახეებში. ეს მიმჭარლი სილამაზე ეჩვენებოდა მას აღბეჭდილი აარინის შებლზე, მის ომაზე, მის ტუნებზე და მის თვალბში...“ „და ეს უნდა ჩემი იყოს“, ფიქრობდა იგი, „ეს მინანებს მე...“

გოლზორკისი საყუთარ კეთილშობილურ ეთიკას ამკვავებს ქოლიონის შვილური დამოკიდებულება მიცვალებულ შამასთან და მისი ურთიერთობა ვაიშვილ ქოლისთან. ქოლიონი ამ ეთიკას გუნდობს ქოლის: ნუ მიაყენებ სხვა აღამიანს ვნებას, თუ ეს აბსოლუტურად აუცილებელი არ არის.

რომანიის ძირითადი სიუჟეტი ქოლიონისა და სოთმის გარშემო ტრიალებს. სოომსი მოესურვა ჰყავდნენ შემკვიდრე ვაიშვილი, რომელიც შეიძლება ვანაცო და ვახარდოს მისი საყუთრება და ისევე „სიოდეს“ სოომსი. ისევე საყუთარი

პრაქტიკული მიზნებისათვის ირთავს ცოლად ფრანგის ქალს ანეტს. ანეტმა იცის, რომ სოომს იგი არ უყვარს, მაგრამ თავისი სიღარიბის გამო მაინც მიყვება და კვლავ ისვენა სოომსა ამ ეგოისტური რომანისათვის. ანეტს შეერთებულად სოომის სწირდება აირინთან გაყრის ოფიციალური გაფორმება. ამის გამო იგი აირინთან მიდის და კვლავ მარცხდება სიღარიბის მოშიზილაობით, კვლავ სედის შერიგებას, მაგრამ ამაოდ. აირინი მიყვება ჰაბუე ჯოლიონს. სოომსი ირთავს ანეტს. აირინს უჩნდება ვაიშვილი, რომელსაც სახელად ტრადიციულად არქმევენ ჯოლიონს (ჯომ) ანეტს ეყოლება ქალი, სახელად ფლურა; საბედისწერო შეუსრულებლობა ნატურისა აქაც თან სდევს სოომსს. უფრადლებას იქცევს კონტრასტი სოომსის მშრალ ხასიათსა და ანეტის ცოცხალ ფრანგულ ტემპერამენტს შორის. ანეტი, გარდა იმისა, რომ ფრანგული ტემპერამენტის პატრონია, თავმოყვარეა, ანგარიშაინი, ჯიუტი. ამავე დროს კარგი დიასახლისი. ის გოლზუორთი განგებ შეარჩია სოომსის მეუღლედ; ამით მან თავისებური ხასიათი მოუშინადა სოომსის ქალიშვილს რომელსაც აღარა აქვს „წმინდა ბრატანული სისხლი“.

წირთადაი სიუჟეტის გარდა, რომანში ორი პარალელური სიუჟეტია: ერთია სოომსის დის უინიფრედის და მისი ქმრის დარტის გაყრისა და შერიგების ამბავი. უინიფრედი ჰემშარიტი ფორსაიტის ქალია, მის არ უნდა დამკარგოს ქმარი როგორც საკუთრება. დარტი კი ვატაცებების ამჟოლი „არაფორსაიტული“ ტიპია. მეორე პარალელური სიუჟეტია ველ დარტის (უინიფრედის ვაჟის) და (პოლი ფორსაიტის) (ჰაბუე ჯოლიონის ასული მეორე ცოლისაგან აირინამდე) სიუჟარტის ამბავი. ამ რომანს წინ აღუდგება პოლის მამა ჯოლი (ეს უკანასკნელი გამოხატავს ინსტიტუტურ ანტაგონიზმს რაფინირებული მოხუცი ჯოლიონისა და ასპროცენტაინი ფორსაიტის ჯიემსის შთამომავლებს შორის). ჯოლი ბერტის ომში იწვევს ველს. პოლი და მისი უფროსი და ჯენი აგრეთვე ტრანსეაღლი მიდიან. ველი და პოლი თავის იწერენ იქ. ჯოლი ომში კედება. ახალგაზრდობა და სიუჟარული იმპაჩუებს ძველ ანტიპათიაზე. გოლზუორთი ჰაბუე თაობას ხატავს ახლო მანოილიდან და ამ სიუჟარტის ამბით არამარტო ამხადებს ფორსაიტების ისტორიის გავრცელებას, არამედ უფრო მნიშვნელოვან სიუჟარტისა, რომელიც მომავალში აღმოცენდება ჯოლიონის უმცროს ვაჟს ჯონსა და სოომსის ქალიშვილ ფლურას შორის.

საინტერესოა გოლზუორთის, როგორც აღმნიშნისა და ხელოვანის, ღრმა ცვლილება ამ რომანში. „მესაუთრის“ ინტენსიური დრამატული ძალა, კონცენტრაცია და ბნელი ელფერი ამ რომანში შეცვლილია მშვიდი და შერბილებული ფერით. ამას გოლზუორთი შე-

საძღვებლია მნიშვნელოვანი თვისებების შეწირვით აღწევს; სოომსის ქარიზმატი ხასიათი (საკუთრების ინსტიტუტი), უცვლელი ტრადიცი, მაგრამ ძველი, ტრადიციულად პათეტიური მესაუთრე ახლა კომიკური ხდება; მდის ირონია სიუჟარტის ახალ შემოტრევას და სოომსის მიერ აირინის დაგვიანებულ დენას პაროდის ამგვანებს. ამ რომანის სიმშველედ „ქარავლებაში“ კიდევ უფრო ღრმადდება: იქ უკვე წინასწარი ხმები იმისა, მაეწუებელი ფორსაიტების მეორე ტრილოგიის — „თანამედროვე კომედის“ — დისპარმონიული საუკუნისა. დრამატული მეთოდი თანდათან იცვლება ნარატიულით. ახალგაზრდა ფორსაიტებს შორის სოომსი წაგავს ანაქრონიზმს. იგი ფორსაიტების განსახიერებაა, მაგრამ ფორსაიტობა ახლა ახალ სახეს ღებულობს: ნივთებისა და ცოლის საკუთრების შემდეგ დგება აღმნიშნის სხეულისა და სულის საკუთრების საკითხი. და ახლა თაობა გზას უხსნის ინდივიდუალურ თავისუფლებას. მოხუცი ჯოლიონი უკვე იყო ფორსაიტობისათვის უცხო ფილოსოფიურ კითხვით მატარებელი, რაც უფრო ხანში შედიოდა იგი, მით უფრო იზრდებოდა მისი სიძულვილი სიკრუის მიმართ: საპოციანი წლების მართლმორწმუნეობა უკვე დიდიხანია გაქვრა, და დასტოვა იგი სამი შოვლენის პატივისმცემლად — სიღარიბის, პატიოსანის ქვეყნისა და საკუთრების გრძობისა. ახლა უდიდესი ამბო შორის იყო სიღარიბე. შევლთან შერიგება და აირინის მფარველობა უკვე ამბობება იყო სისტემის წინააღმდეგ. ჰაბუე ჯოლიონი აღრმავებს მამამისის მიერ გაჩენილ ამ ბზარს. ახალგაზრდა ფორსაიტებს კიდევ უფრო მეტი ნიშნები აქვთ ფორსაიტობის დაჭყელებების: თეოკრატია, ინტროსპექტიული ბუნება. ფორსაიტობაში შესული შეგნება, ჰაბუე ჯოლიონის აზრით ასხევეებს ვიქტორიანულ და ედვარდიანულ საუკუნეებს. ამ თვალსაზრისით სოომსი და ძველი თაობა იყვენ ბრძემა, რამეთუ სოომსმა არ იცოდა, რომ იგი სცოდავდა თავისი მეუღლის წინაშე, სცოდავდა სიღარიბისა და თავისუფლების წინაშე. მისი ცოდვა ბუნებიდან და ვარეშოცვიდან მოდოდა. იგი იყო ბრმა მისი კლასის სიბრძნეით და ეს იყო მისი ტრადიცი.

არცერთი ტრილოგიის ორ ნაწილს შორის არ არის ისეთი განსხვავება, როგორც რომანებს „მესაუთრესა“ და „მარყუემის“ შორის. ამ უკანასკნელში გოლზუორთი უფრო დარბაისელია, ბოროტება უფრო შენელებულადაა წარმოდგენილი, აირინის ხასიათი უფრო პოზიტიური, გამბედავი და მებრძოლი. რომანის საუკეთესო თავებია „ძაღლის ბალთაზრის საუკელი“ და „მდინარეზე“ (ჯოლიონის უფროსი ვაჟის ჯოლის სიკვდილი), რადგან მათში მოსიანს გოლზუორთი, სიკვდილისა და მარადისობის სიღარიბის შთაგონებულ მკერტელი.

დ) „გამოღვიძება“

„ფორსაიტ საგის“ მეორე ინტერლუდია „გამოღვიძება“ ფსიქოლოგიური მოთხრობაა, კარბონული და საინტერესო. ამბავი ვაშლილია რომინ პილში, 1909 წლის ერთ ნაშუადღევსა და საღამოს შორის მდებარე დროის მონაკვეთში: პატარა ჯონი, ჰაბუკი ჯოლიონისა და აირინის რვა წლის ვაჟიშვილი, მოუთმენლად ელოდება მშობლების დაბრუნებას ირლანდიიდან. მშობლები ჩამოდიან. პატარა ჯონი შოთხობავს ღედის ლოკინში დაძინებას და იძინებს კიდევ.

თუ პირველი ინტერლუდია ხატავს ოთხმოცდამეათე წლის მოხუცის უკანასკნელ დღეებს, სილაშაის გამოცხადებით ვანათებულს, და მოხუცის გარდაცვალებას სილაშაის წიაღში, მეორე ინტერლუდია მიძღვნილია სილაშაის შეცნობის პირველი გამოღვიძებისადმი რვა წლის ბავშვში. ორმოცდაცამეტი წლის გოლზუორთი რვა წლის ბავშვის თვალთ უყურებს ქვეყანას და ეს ხედავს ისე საოცრად ზუსტია, რომ ჰუმშირტე ფსიქოლოგიური ინტერესს წარმოადგენს. მოთხრობის შინაარსი შეიცავს წმინდა, ფროიდისტულ მასალას. ფროიდისტული მომენტები, როგორც აღვნიშნეთ, სხვაგანაც გვხვდება გოლზუორთის შემოქმედებაში, მაგრამ ეს აიხსნება არა იმით, რომ გოლზუორთი ფროიდის მიმდევარია, არამედ იდამიანის ბუნების ღრმა ცოდნით და მისწრაფებით ჰუმშირტეებისაკენ. ამავე დროს ეს ინტერლუდია აშუადებს ჯონს მნიშვნელოვანი როლისათვის რომანში „ჭირავდება“.

როგორც ცნობილია, ფროიდი ფსიქოანალიზის გზით ხსნის ადამიანის მშარველ უბნში ძალებს, რომლებიც მოთავსებულია ქვეცნობიერების ფსევრზე, ცნობიერების მორალური, სოციალური და სხვა უმაღლესი მისწრაფებების ფუნქს ქვემოთ. არქაული, პირველყოფილი აზროვნების ელემენტები მოაბოვება ცვალებადი ადამიანის ოუნსნელ ქვეცნობი, სულიერი ავადმყოფობაც სხვა არაფერია, თუ არა გათავისუფლება სოციალურ-მორალური პირობათობისაგან და დაბრუნება უკან, მსოფლშეგრძნების პირველ წყაროსთან. ფროიდის აზრით, სექსუალური ინსტინქტი თამაშობს ძირითად როლს ადამიანის ფსიქიურ პროცესებში. ეს არის თავის შენახვის მძლავრი ინსტინქტი, ვეგეტოეული ინსტინქტი, განვითარებისათვის უზარმაზარი მნიშვნელობის მქონე ფაქტორი, რომელიც ფსიქოანალიზმა წინა პლანზე წამოსწია.

ფროიდმა ფსიქოანალიზის ძირითად პირობად ძილის დეგოზარობა აირჩია, როდესაც ადამიანი ყველაზე უფრო უშუალოდ ეძლევა პირველყოფილ სიმპლიკურ აზროვნებას. განსაკუთრებით საინტერესოა ფსიქოლოგია ბავშვისა, რომლის სიზმრებშიც (ყოველგვარი

ცნებების გარეშე მდგარ სიზმრებში) ნათლად ჩანს ადამიანის პირველყოფილი ცნობიერების განვითარების საფეხურები. ფროიდმა ამოხარა ინსტინქტები, ღრმად ჩამარხული ქვეცნობიერ სამყაროში, კერძოდ, მან მოუძებნა თავისი ფესვი ესთეტიკური გრძნობის გამოღვიძებას ბავშვში, რაც ოიდიპოსის კომპლექსის კანონით უკავშირდება გრძნობის ვადვიძებას დედის მიმართ.

ფროიდის აზრით, ანტიკური მითი მეფე ოიდიპოსის მიერ მამის მოკვლასა და დედის ცოლად შეერთების შესახებ გეიტაკებს ჩვენ იმიტომ, რომ იგი შეიძლებოდა გამხდარიყო ჩვენი ბედიც. რადგან მისამა ჩვენც დაბადებამდე დაგვღადა ისეთივე წყველით, როგორითაც ოიდიპოსი, ყველა ჩვენგანს შესაძლებელია უწერია თავისი პირველი გრძნობის მიმართვა დედისკენ და თავისი პირველი სიძულელიისა და ძალმომრეობის სურვილის მამისკენ მიმართვა. ამის საბუთია ჩვენი სიზმრები. ფროიდის აზრით, ოიდიპოსის მითიც სიზმრის უძველესი მასალიდან აღმოცენდა.

სიტუაცია, რომელიც, ფროიდის მიხედვით, საერთოა ყოველი ადამიანისათვის, სავანგებოდაა მოცემული „გამოღვიძებაში“. იგი იწყება რვა წლის ბავშვის, ფიზიოლოგიური წინააწარგანწყობით სილაშაის გრძნობის გამოღვიძებისადმი. ჯონი ეცაბება აირინს (რომელიც ამ ინტერლუდიაში სილაშაის ინკარნაციაა, ახლა უკვე ახალი ტიპის ფორსაიტების მამუთებელი სულ სხვა, უფრო ზოგადი ფსიქოლოგიური კანონის გამო):

- „რა ნახე გუნსოფტარში?“
- „არაფერი, გარდა სილაშაისისა, ძვირფასო“,
- „მერე რა არის სილაშაზე?“
- „რა არის, ო, ჯონ, ეს ძნელი კითხვაა.“
- „მე, მავალითად, შემიძლია მისი ნახვა?“
- „დედა წამოღდა და ჯონს გვჯრდით მიუჭდა.“
- „ყოველ დღე ხედავ. ლამაზია ცა და ვარსკვლავები, მოვარის შუქი, და მერე კიდევ ჩიტები, ყვავილები, ხეები — ყველაფერი ეს ლამაზია. გაიხედე საჩემელში — იმ შენი სილაშაზე, ჯონ.“

- „ო, ეგ ხედავ. სულ ეგ არის?“
- „სულ? არა. ზღვა განსაკვიფრებლად ლამაზია, ტალღებიც, ზემოთენ მიმქროლავი ქაფებით.“
- „შენ ყოველდღე დგებოდი იქიდან, დედა?“
- „დღამ ვაიღებ. ჩვენ გბანაობდით.“
- პატარა ჯონმა უფროად წამოიწია და ცისკრზე შეუძობა ხელედა.
- „მე ვიცი“, სთქვა მან საიდუმლოდ. „ეს შენა ხარ, სხვა დანარჩენი კი მხოლოდ ისეა.“
- პატარა ჯონი, რომელმაც მოსმინა აირინის პირით გამოთქმული გოლზუორთის კონცეფცია ფიზიკური ქვეყნის სილაშაის შესახებ,

დედის უჩვეულო გულწრფელობით უმგლანებებს თავის სიყვარულს მის მიმართ. სადილობისას ის მეტისმეტად აღვზნებულა და იწყებს მამის უცნობერ ღიმილს. დასაძინებლად მიდის ძალიან გვიან, ფედის თანდასწრებით ვანგებ აჭიანურებს ტანსაცმლის გახდას, რათა დედა არ წაეიდეს მალე. როდესაც დედა მიდის, შორიდან ისმენს, როგორ უჩრავს დედა მთანოს და იძინებს. მთავარის შუქი ეცემა სახეზე.

იწყება ფრაიდისტული სიზმარი, რომელსაც სიმბოლურად კი არ ეთქმის, იმდენად პირდაპირია მისი აზრი. ჯონს ესიზმრება, რომ იგი სევამს რძეს ტაფიდან, ტაფა — ეს არის მთავარი. მის პირდაპირ კი ზის. დიდი შვიდი კატა და უფურებს მამის უცნაური ღიმილით. მას ესმის დედის ჩურჩული: „ნუ დაღუვ შეტად ბევრს“, რაე ხომ კატისაა, და იგი მეგობრულად იწყებს ხელს, რომ კატას მოუაღეროს, მაგრამ კატა ჰქრება: ტაფა გადაიქცევა საწოლად, რომელზედაც იგი წევს, და როდესაც მოსიურეებს ადგომას, ვერ პოულობს საწო-

ლის კიდეს და ვერაფრით, ვერაფრით ვერ ახერხებს ადგომას. ეს სასწინელება, ჯონს კვილით იღვიძებს. დედა თავზე ხდევს ამ-შვილებს. პატარა ჯონი მშვედღებს და მშვედღესთან დაწოლას ითხოვს. პატარა ჯონი, დამშვიდებულად და ბედნიერი იძინებს დედის ლოგინში.

ამ სიზმარს ფროიდი უთვოდ ახსნიდა, როგორც ოიდიპოსის კომპლექსის გამოვლენებას, რომელიც სექსუალური გრძნობის გამოვლენებასთანაა დაკავშირებული. გოლზუორთი, რომელიც ფსიქოანალიზის საგანგებოდ არ მისდევდა, აქ მხოლოდ ღრმა ობიექტური მხატვარია რვა წლის ბავშვის ფსიქოლოგიისა და სილამაზის მამულოებელი გავლენისა ყრმა ფორსიბზე. „გამოვლენების“ თავდაპირველ ხელნაწერში ძლიერ ეტა შესწორებებია. ჩანს, ეს ინტერუდია გოლზუორთის ერთიანი შთავგონებით დაუწერია. მისი სტილიც აქ უფრო მეტად მინიმუმებს ეურდნობა, ისე როგორც ამას მოითხოვს შინაარსი.

ე) „ქირავდება“

რომანი „ქირავდება“ მთავარებს „ფორსიბტ სავას“ ტრილოგიას და ამ ტრილოგიის პირველსავე რომანში დაწყებულ დისინტეგრაციის პროცესს. მისი საერთო ტონი დრამატულია და ძლიერ ლირიული, ბოლოში პათეტიკურობამდე მისული.

რომანის დასაწყისი დიდი ოსტატობითაა დაწერილი. მსოფლიო ომისა და რევოლუციების პირველი წლების შემდეგ, 1920 წლის 12 მაისს, სურათების გამოფენაზე რომანის ავტორმა მთავარი პერსონაჟი ერთბაშად შემოღდა: აირინი, სოომში, ჯონი, ფლერი და მაიკლ მონტიე კი გავილიან სცენაზე. რომანის პირთი რომანის პირველსავე, ექსპოზიციურ თავშია მოცემული. აქვე ირკვევა, თუ რატომ ერქვა თავდაპირველად „ქირავდებას“ მართლმსაჯულების ბერძენი ქალღმერთის სახელი „ნეფეზის“. სურათების გამოფენაზე აირინი და მისი ცხრაშვილი წლის ვაჟიშვილი ჯონი ხედუბიან სოომსს და მის თვრამეტი წლის ქალიშვილს ფლერს. ეს შეხვედრა ისევე საბედისწერია, როგორც ოდესღაც თვითონ სოომსის შეხვედრა იყო აირინთან. ძველი საგვარეულო მუდლის ფონზე, რომლის შესახებ არც ჯონმა და არც ფლერმა არაფერი იცნან, იმდენა ჯონისა და ფლერის რომანი. მძიმე განცდებისა და დიდი შრომის ფასად უქდებათ აირინისა და სოომსს შვილების დარწმუნება, რომ მათი ქორწინება შეუძლებელია. რომანში კვდება „ქაბუეი ქოლიონი“. აირინი და ჯონი მიდიან ამერიკაში. ჯონი ხდება ფერმერი. ინგლისში

ფორსიბტების დისინტეგრაცია სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. რომან ჰილის სახლი ცარიელდება. მასზე ჰკილია აბრა „ქირავდება“. რომანის პირველსავე თავში ჩნდება მაიკლ მონტიე, ფლერის მომავალი ქმარი, არისტოკრატი, ბარონეტის ერთადერთი ვაჟი, რომელსაც მამის საკვდილის შემდეგ უნდა დაარჩეს საგვარეულო ციხედაზნაში და მამულე. იგი ერთ ღრბს აპირებდა მხატვრობისთვის მოეკიდნახელი, მაგრამ გამოიარა ომი და შემდეგ საგამომცემლო ფირმის თანამსახურთერე ვახდა მაიკლი ცოლად ირთავს ფლერს და ამ ქორწინებით ფორსიბტები პირველად უნათესავდუბიან საგვარეულო არისტოკრატისა, რომელსაც, სხვათა შორის, მოხუცი სოომსი მუდამ ათვალისწუნებით უყურებდა. ამ ქორწინებით ღრმავდება სოციალური კომპრომისი ინგლისური საზოგადოებოს მმართველ ფენებში.

რომანის მთავარი ფონია ომის შემდგომი ინგლისის უბრალებქტივი, გამოურკვეველი პერიოდი. პორბონტზე უკვე დეგბიან რევოლუციის არდილები და მოსჩანან დიდ ცელოლებათა ტალღები. სოომსი, ვიქტორიანული სტილის მესაყურთერე მწვეველ განიცდის ამ კრიზისს. მისი საერთო განწყობილება, ისევე როგორც თვითონ გოლზუორთის განწყობილება, გავლენითლია შიმის ფილოსოფიით, თუმცა ამავე რომანში დამტებს გოლზუორთი, მისი აზრით, ინგლისის მომავლისთვის საიმედო ელემენტებს. გოლზუორთი — დიდი რეალისტი გრძნობს ბურჟუაზიული საზოგადოების

ძირულ რყევას. მაგრამ დამახასიათებელია, რომ მისი საკუთარი სოციალური თეატრალიზაციის ამ რომანში უკვე სოთმისის პირობათა გადმოცემული. სოთმისი, რომელსაც „მესაკუთრეში“ ასე უპირისპირდებოდა თვითონ გოლზუორთი, აქ განვითარებულია სიმბალიურ მოხუცად და მზადდება შემდგომი ევოლუციონისათვის მეორე ტრილოგიაში, სადაც იგი უნდა გადავიდეს, ამიტომაც გოლზუორთი ემსგავსება თვითონ სოთმისს, როგორც კი აყენებს საკითხს ბურჟუაზიის ბედობლის შესახებ.

გოლზუორთისა და მთელი რომანის განწყობილება რომანის უკანასკნელ სცენაშია გადმოცემული. სწრაფად გაუყოლებულ ოქტომბერსი მოდის სოთმისი პაიეტი პილის სასაფლაოზე. დიდხანს ზის იქ. იგონებს თავისი ცხოვრების გზას, და საკუთრების ინსტინქტით უცდელად მართულს, და თვით დამარცხებათა მოგონებებიც კი ათბობენ მას.

„ქირავდება“, ფორსაიტული საუბრე და ცხოვრების წესი, როდესაც ადამიანს ევეთნოდა მისი სული, მისი შემოსავალი და მისი ცოლი უკონტროლოდ და განუკითხავად. ახლა კი სახელმწიფო ზღვს ახებს მის შემოსავალს, ცოლი თავის თავს ევეთნის და დემონმა იცის, ეს ევეთნის კაცის სული, ქირავდება ის ქანსალი და მარტვი რწმენა!

ცვლილებათა ქაფიანი ტალღები იჭრებიან შიგნით. იწყებიან ახალ ფორმებს, მაგრამ მხოლოდ ამ დროისთვის, როდესაც მათი დამანგრეველი ნაგადი დაიწვეს ადიდების შემდგომი სოთმისი, იქდა იქ, ქვეყნობიარად შემგონობა მათა, მაგრამ მისი აზრით ვიჭობდა მონიარობადღენ წარსლისაკენ — როგორც შექმლო ქენება ცხენზე უკლმა მჭდარ მხედარს აედრიან ღამეში... ტალღები ტუნებზე მლაშე გემოს სტაგებდნენ, როგორც სისხლსა აქვს და სცემდნენ პაიეტიპილოს ძირს, სადაც საფლავებში განისვენებდა ვიქტორიანობა. და აქ, მაღლა, ამ განცალკევებულ ადგილას მჭდარი სოთმისი, როგორც უზრუნველყოფის ქანდაკება, უარს ამბობდა ესმინა მათი დაუცხრომელი ხმაური. იგი ინსტინქტურად არ ებრძოდა მათ — მასში მჭდარ ბვერი იყო პირველყოფილი სიბრძნე ადამიანისა, რომელიც მესაკუთრე უბოველია. ტალღები დაწყნარდებიან, როდესაც გავევლით ექსპროპრიაციისა და ნგრევის ციებ-ცხელება. როდესაც სხვათა შემოჭრდება და საკუთრება საკმაოდ იქნება დამსხრეველი, ისინი ძირს დაიწვევენ და ჩადგებიან კალპობრით და დაიწყება ახალ ფორმათა შექმნა. უფრო ძველ ინსტინქტზე დაფუძნებული, ვიდრე ცვლილებათა ეს ციებ-ცხელებაა, — მშობლიური ეყრის ინსტინქტზე... გულის სიღრმეში მან იცოდა, რომ ეს ცვლილება იყო მხოლოდ სიკვდილის ანტირეგულირების ორ ფორმას შორის, ნგრევა, რომელიც იეცილებულია ახალ საკუთრებისათ-

ვის გზის გასაყვავად. რა ვუყოთ მეტი, რომ გამოკრულია აზრა და მუედრო ბინა ქირავდება? მოვა ვინმე, სხვა და ერთე მწვეწმენტი დღეს კვლავ აიღებს მას“.

და ამ სოციალური ანალიზისა და იმედის გვერდით გოლზუორთი ისევ გვაგრძობინებს თავის მარადიულ შემფოთებას — ფიზიკური ქვეყნის სილამაზის ფატალურ თავდასხმას მესაკუთრე კაცის სულზე:

„და ერთადერთი რამ ნამდვილად აწუხებდა სოთმისს, როდესაც საფლავთან იქდა, ეს იყო მტკივნეული სევდა გულში, რადგან მზემ წაღოქარივით შიანათა სხივი მის სახეს და ღრუბლებს და არყის ზის ოქროსფერი ფოთლებს. ქაბი ისე ალერსიანად შრიალბდა და ურთხვებს მწვანე ისეთი მუჭი იყო და მთავრის ნამკალი ცაში — ფერგამკროალი.“

მას შეეძლო ესურვა და ესურვა დაუსრულებლად. მაგრამ არასოდეს მიეღო იგი — სილამაზე და სიყვარული ამქვეყნობრივი“.

ფორსაიტ სიგის“ ძველი ანტიკონსტები — სოთმისი და აირინი თითქმის უცვლელი არიან ხასიათით; აირინი ისევე ჩნდება რომანში, როგორც სილამაზის ანკარანაცია, მხოლოდ მისი თმები თითქმის ოდნავ დაითრთვილა თეთრი. სოთმისიც ისეთივეა თავისი ხასიათით, მაგრამ გოლზუორთის დამოკიდებულება მისდამი შეცვლილია. ისეთი ცინიკური ფიგურის გვერდით, როგორიცაა პრასპერ პროფონი, სოთმისი კეთილშობილ და სამაგალითო ინგლისელადაც კი შეიჭლება ჩათვალაო. სოთმისს დამოკიდებულებაში თავისი სულეტი საკუთრების — ფორსისადმი უკვე მოსჩანს მის მიერ სილამაზის რეალიზაციის აუცილებელი პირობა — სიყვარული, რომელიც საკუთარ თავს ავიწყებინებს ადამიანს. ძირითადად კი სოთმისი უკვე წარმოადგენს ტრადიციის და წარსულის რწმენის ისეთ განსახიერებას, რომლის ვარჯშე მოპაეღის რწმენა წარმოუდგენელია. ომისშემდგომი თაობის წარმომადგენლის პროსპერ პროფონის ცინიკური ფიგურა გვიხატავს ქვეყნის სელას მეორე უკიდურესობისაკენ. პროსპერ პროფონი, ნიპილიტი, ანეტის საყვარელი (რასაც სოთმისი უყარებდა), ტიპური ემბლემატური ფიგურაა. იგი ასახიერებს ღმერთებს მოკლებული ომისშემდგომ საუყუნეს.

სოთმისი და გოლზუორთი მწუხარე, მაგრამ მშვიდ სტოიციზმს იჩენენ ახალ საუყუნეში. ორთვე მხარის შემყურე გოლზუორთი სიმბალითის იჩენს ძველა საუყუნისადმი. პერმანენტულმა ფორსაიტულმა ინსტინქტმა მანაც გადაიტანა კატალიზმები და მესამე თაობის ემანსიპაციის საუყუნეში ფლერ ფორსაიტის ატავისტურ მყერდში ჩასახლდა. ფლერი ახალი ფორსაიტია, მაგრამ ძველიდან ორგანული პაშოლია. აი, რომარ ასმის ახალი ინგლისის შემადარნად ეღმენებებს წარმომობა გოლზუორთის!

ახალი ფორსაიტები რომანში ფლერისა და ჯონის სახით არიან წარმოდგენილი. ფლერი ულტრა თანამედროვეა, მოუსვენარი და ცოცხალი ბუნების ქალი. იგი სოფლის უძვირფასესი საკეთიბებაა. საშუალო ტანის გოგონა, მოკლე, წაბლისფერი თმით, ელვარე და თითქმის შეოცნებებელი დიდრონი თვალებით, თეთრი ქუთუთოებით, მოშხიბლავი პროფილითა და მამის ჯიუტი ნიკაბით, ფლერი წარმოადგენს ინგლისელისა და ფრანგის ნარტეს. ფლერს ფატალურად თანსდევს მამისაგან დაყოლილი სურვილი — ჰქონდეს ის, რაც არასოდეს ჰქონია. ეს არის ჯონი და მისი დასაკეთიბებისათვის ბრძოლაში ფლერი იხენს ფორსაიტის სიჯიუტეს. მაგრამ ამაოდ. პათეტიკურობამდე მიღებული მისი სიყვარული, ბოლოს მაინც მარცხდება. ფლერი მიჰყვება მთელს, რადგან მას სურს ეყოფინოდეს რაიმე როგორც ფორსაიტს შეუფერება. გოლზუორთის აზრით, ფლერის მოშხიბლავობა მისი ფრანგული ძარღვიდან მომდინარეობს.

ფლერი და აირინის ეკიშვილი ჯონი — ეს კეთილშობილი, პოეტურად განწყობილი, მეოცნებე ჰუმელი, ღრმა, ნაეროსფერი და ნათელ-ფეხებიანი, — წარმოადგენენ ახალ ფორსაიტებს. ისინი წინაპართა რწმენას მოკლებულნი არიან, უფრო კრიტიკულად განწყობილნი, წარმოდგენის უნარის მქონენი, მახვილი და ინტროსპექტიული, მაგრამ ჰეული შუღლი ამარცხებს მათ სიყვარულს და ისინი შორდებიან ერთმანეთს. ფლერს თითქოს მამის იღბალი გამოჰყოლია შემკვლარეობით. გოლზუორთი

უთუოდ კვლავ ხარკს უხდის ფატალისტურ კონცეფციას.

ფლერის და ჯონის კორწინების ჩამოლა, რომელსაც განსაკუთრებით იზრუნენ ჯონის შრომალებაში, ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, რომ აირინი და ჯოლიონი ფორსაიტულად მოექცნენ თავიანთ სულერ საკუთრებას — ჯონს. მაშინ, როდესაც სოფლის, პირიქით, სამაგალითო მშობელივით ხელს უწყობს ფლერს. მაგრამ ასეთი პაპერკრიტიციზმის დროს დავიწყებულია ის გარემოება, რომ სოფლის ამ დამოშობას ჩადის ეგოისტური შოსაზრებებით, რადგან არ უნდა დაქაირდეს ფლერი, თავისი უკანასკნელი საკუთრება, ჯონი კი მოქმედებს არა მშობლების ხელდატანებით, არამედ ფაქტების გაყენებით, ხოლო ფაქტების გაყენობად (როგორც გოლზუორთი ამბობს) ამ საკითხის გამო „ფორსაიტ საგის“ წინასიტყვაობაში), ვერცერთი მშობელი ვერ დასტოვებდა შვილს მსგავსი მდგომარეობის დროს. უფრო მეტიც: ჯოლიონს აფიქრებს აირინი, ხოლო აირინე ეუბნება ჯონს: „ნუ იფიქრებ ჩემზე, იფიქრე შენზე“!

სტილისტურად „ქიარადებას“ მსუბუქი და შლინარი თხრობა, მისი, დრამატული და, ამავე დროს, ლირიული, წყნარი განწყობილება ამხადებს „თანამედროვე კომედიის“ კიდევ უფრო შემსუბუქებულ ატმოსფეროს. ხასიათები რომანის თანამედროვენი არიან უყვევანსაკუთრებით ფლერი, რომელიც საუკუნის სიმშოლური ფიგურაა. შალტის თქმით, შედამების ნელი ნათელი თან ახლავს „ფორსაიტ საგის“ ამ ფინალს.

„თანამედროვე კომედია“

ა) „ეთერი მიიმინე“

„არ დაიხიო, არ დაიხიო,
ის გაიმარჯვებს, ანდა მოკვდება,
ვინც არ დაიხებს“.

გ ე ი.

„ფორსაიტ საგას“ და „თანამედროვე კომედიას“ შორის გოლზუორთი ათავსებს ფორსაიტული მოთხრობების კრებულს „ფორსაიტების ბირჯაზე“. ეს მოთხრობები დაწერილია მეორე ტრილოგიის შემდეგ. ავტორი მათი დაწერის მიზეზად ასახელებს ესოდენ შეჩვეულ გმირებთან განშორების სიძნელეს. კრებული მოიცავს პერიოდს მეცხრამეტე საუკუნის ოციანი წლებიდან მეოცე საუკუნის ოციან წლებამდე (ზმირად რეტროსპექტივულად განჭვრეტის) და ავსებს ფორსაიტების ოჯახის პრონიკებს; მაგრამ ამ კრებულში დამოუკიდებელი და ახალი შიანი არაფერია არც იდეურად, არც ფორმალურად. მოთხრობები არ შეიცავენ ახალ საკითხებს ტრილოგიაში აღმართულ საკითხებთან შედარებით. მათ მოთავსებ-

ბას ტრილოგიებს შორის გოლზუორთი იმით ხსნის, რომ „სავამდე“ მათი გაება არ შეიძლება, „კომედიის“ დაწყებამდე კი ისინი უკვე მთავრდებიან. ამ კრებულში გოლზუორთის სოფლის პორტრეტისათვის კიდევ ორი ნაკვთი დაუმატებია. ერთი ეხება სოფლის გარდაუვალი სიყვარულის დასაწყისს („ფარშეკანის ძახილი“, ამავე 1883 წლისა) და მეორე სოფლის 1918 წელს, ომის დასასრულს. ამ უკანასკნელში ომის უბედურებათაგან მოზარდობა სევადა, სევადა სხვადასხვა ეროვნებათა საზარელი ურთიერთდამოკიდებულების გამო, შეერთებულა ინგლისელის სიამაყესთან. სოფლის იქ თვით გოლზუორთია.

„თანამედროვე კომედიაში“ დისონანსური ნოტებით შემოდის ომისშემდგომი, მეოცე

საუკუნე. გოლზუორთი ცდილობს ამ ტრილოგიაში მოიცვას ეპოქის ფსიქოლოგია, სტაბილიზაციამქნელი ძალები და მომავლის უწყედა პერსპექტივი. უფროდ ამ ყოვლისშემძველობის განზრახვით აიხსნება ტრილოგიის სათაურიც, რომელიც გვაგონებს მსოფლიო ლიტერატურის დიდ „კომედიებს“ — დანტეს „ღვთაებრივსა“ და ბალზაის „ადამიანებს“. თანამედროვეობის ამ განადიოებელ სურათში გოლზუორთი ისევ უახლოვდება ბალზას, მაგრამ აქაც ისევე რჩება დიდი ფრანგი რეალისტისაგან მისი განსხვავების ნიშანი: „თანამედროვე კომედია“, უფრო ნაკლებ, ვიდრე „ფორსაიტ საგა“ წარმოვიდგენს კაპიტალისტური საზოგადოების მამოძღველ კრიტიკას. უფრო მეტიც ეს მალაქმატერული კლასიკების მქონე ნაწარმოები გვიჩვენებს თანამედროვე საზოგადოების მხსნელი ძალების ძიებას თვით ბურჟუაზიული კლასის შიგნით, და, მამასადამე, მწერლის შეზღუდულობას.

გოლზუორთი კლასობრივი შეგნების მქონე ინგლისელი ბურჟუა ხდება. სოომსის სახით იგი ურთავდება იმ წმინდა ინგლისურ ტრადიციონალიზმს, რომელსაც ოდესღაც თვითონვე სასტაკად აკრიტიკებდა. ძველი ტრადიციებიდან გამოსულ ახალ ინგლისურ საზოგადოებაში დაქმნის გოლზუორთი მომავალი დროის საწყისებს.

გოლზუორთის აზრით ახალი თაობა პარალიზებულია მისი შეგნების წყალობით. გოლზუორთის ეფფლება ტრადიციული ინგლისური უნდაობლობა ინტელექტისადმი, ჭერ კიდევ შექსპირის მიერ ასახული „ჰამლეტიში“, — რომ რფლექსია ადამიანს მოქმედების უნარს ათამებს.

„თანამედროვე კომედიის“ რომანები ეხებებიან 1924-28 წლების ხანას, ომისშემდგომი კაპიტალიზმის დროებითი სტაბილიზაციის პერიოდს, როდესაც ლეიბორისტთა მთავრობამ უკვე დააწმუნა ინგლისური „ფორსაიტული“ საზოგადოება, რომ იგი მკითრედ განსხვავდება რეაქციული პარტიების მოავრობათაგან თავისი პოლიტიკური კურსით. ტრილოგიის პირველი რომანი „თეთრი მიამენი“ გვიხსნის ომისშემდგომი ბურჟუაზიის გამოკარიელებულ და აღვირაბხნილ ფსიქიკას. ამ ფსიქიკის ფონზე ძველი ორთოდოქსალური ფორსაიტი სოომში უკვე უღრესად გააღამიანურებულ და ლირიკულ პიროველებად მოჩანს.

სათაური „თეთრი მიამენი“ ტიპიურია გოლზუორთისათვის. იგი იღვმალი სიმბოლურობის მანიშნებელიცაა და ამავე დროს მისი ირონიული მუხის ნამდვილი დევიზი.

გოლზუორთი ფიქრობს, რომ ამ რომანში „თავს ესმის მემარტყენობის ექსცესებს, როგორც წარსულში მკანაჩვენებობის ექსცესებს ესმოდა თავს“ (წერალი შევროინისადმი,

6.III. 1925). იგი საშუალო გზას ეძებს, ინგლისში კი ეს-ეს არის საშინელი ომი გადაიხადა. ინგლისური არისტოკრატული ბურჟუაზიული ახალგაზრდობის პატრიოტული ილუზიები ვაჟარო ომის საშინელებაზე ბურჟუაზიულ საზოგადოებას ეკონომიური და იდეოლოგიური კრიზისი დაატყდა თავს. ფლერის ქმრის მიკლ მონტის მამა, მეცხრე ბარონეტი სერ ლორენს მონტი ამგვარად გამოხატავს საერთო იმედგაცრუებას: „მშვენიერი, დაადი და ორნამენტული ყველაფერი დაიღუბა. აღარ არის შორეული პერსპექტივები, დაადი გვეგები, დაადი პრინციპები, დაადი რელიგია, ან დაადი ხელოვნება ბნელ ადგილებში მძაბივების ესოტრიზირებული ფუნფუნია. პატარა ადამიანები პატარა ქულებში...“

ახალგაზრდა პოეტი უილფრიდ დეზერტი, საშინელ ომგადახდილი და იმედგაცრუებული, გრწნობს ეპოქის წინააღმდეგობას: „ხელოვნება გვინდა და ერთადერთი ხელოვნება—კინოა. ზაუზე ლაბარაკის მტის არადერს ვაკეთებთ, ყველაფერი კი, რაც მის სასარგებლოდ გავაკეთებთ—ეს მხამიანი იარების სრულყოფია“.

განვლილი ომის ვიბრაციები მთელი რომანის მანძილზე ისმის. გოლზუორთის სტოევებს „მესაკეთის“ ტრაგიკული სიმწვავე. იგი გადმოგვცემს თავისი გმირების შეცვლილ დამოკიდებულებას ქვეყანასთან. მწვავე ირონია იცვლება ნათელი, მხსნელი ჰუმორით, რომელიც ადვილად აღქვინებს ადამიანს ყველა დამბრკოლებას. შალატი წერს: „როდესაც კაცი ბერდება,—მიიხრა გოლზუორთიმ ერთ დღეს, როდესაც ჩვენ ჰამსტედს პითზე მივსვირნიბდით,—ის აღარ უყურებს საგნებს ისე სერიოზულად და ტრაგიკულად. მის ჰუმორნარევი ირონია იპჩრებს“ (შალატი).

რომანის მოთავარი პერსონაჟი ფლერია, შემდეგ მაკლ მონტი. ფლერა საზოგადოების გატაკებებს გამოხატავს. ისიც დღევანდელი დღით ცხოვრობს, სურს დაივიწყოს ხელირული. მის სახლში საში სტილი მეფობს: ჩინური, ესპანური და მისი საკუთარი. ორი წელიწადია მაკლთან ერთად ცხოვრობს და ზაუზვი არა ჰყავს მოხუცი ბარონეტის სამწუხაროდ. ფლერმა სოომსისგან მემკვიდრეობით მიიღო კოლექციონერობისადმი მიდრეკილება. მისი ლომების, ვეფხვების, მაიმუნებისა და კატების კოლექციას ეყუთენის ახალგაზრდა პოეტი უილფრიდ დეზერტიც, მაკლის მეგობარი, ომისგან იმედგაცრუებული, რაღაც ანარქისტის მსგავსი პიროვნება. ფლერი ეწაფება ყველაფერს ახალს, ისწრაფვის თავგადასავალისაკენ, მაგრამ როგორც ფორსაიტი, იგი არ არის საამისოდ გაზენილი. ის მაინც ახლოს არ იყარებს დეზერტს, რომლითაც გატაკებულია. ფლერის მეგობარია მარტერი ფერარი, ოქროსფერთმიანი არისტოკრატ ქალი, რომლის იდეალიც ამ

გვარადა ჩამოყალიბებული: „ჩემი სტრეცია ვიყო სრულყოფილი ცოლი ერთი კაცისა, სრულყოფილი საუყარელი მეორესი და სრულყოფილი დედა მესამესი, — ყველაფერი ერთად. ეს საყვანილობა შესაძლებელია — ასე იქცევიან საფრანგეთში“.

რომანოს ცენტრშია ფლერის ყოყმანი ქმარსა და დეზერტს შორის. ომში შეთვისებული აგრესიულობით და ცინიზმით უიღფრიდო გაუნდობს მაიკლს თავის სიყვარულს და განზრახვასაც კი. მაიკლში განვითარებული სოციალურია ინსტიტუტი მას თავდაპირადად ამოქმედებს: ცეცხლიან მოთამაშე ფლერის იგი თავის თავს მიაჩნობს. ამ დროს სოომსს ფლერისათვის შემოაქვს რომანში მისი ბიასშვილისეული ძველი ჩინური სტრატია: თეთრი მაიმუნი, რომელსაც ხელში უჭირავს შეკმული ფორთოხლის ქერტი და მყუერებელს სვედიანი, წაბლისფერი და თითქმის ადამიანური თვალებით უცქერის. ქერტი იატაკზეა მიმოფანტული. ეს სტრატია თანამედროვე ცივილიზაციის ალგორითაა. მაიმუნს პგონია, რომ ცხოვრების უკან კიდევ რაღაც იმალება, რასაც ვერ შიწვდება და ამიტომ წუხს. ფლერისათვისაც მას შემდეგ, რაც მან ვერ დაისჯება ჯონი, სულერიბია, ვინ იქნება მისი — უიღფრიდო თუ მაიკლი. სოომსის მიტანილ სტრატის იგი თეთრ მაიმუნს არქმევს. ეს სახელი სიმბოლურად გამოხატავს თანამედროვე ცივილიზაციის სიცარიელეს: ეს უკანასკნელია შექცეულია ცხოვრების ნაყოფს, ფანტავს ქერქს და თან რაღაცას ნაღვლობს.

მაიკლი რომანის მეორეადი პერსონაჟია. იგი შემთხვევით შეიტყობს, რომ ფლერი მას ქონის ამბავში დამარცხების შემდეგ გაყვა ცოლად

(„მოდი კვლავ, როდესაც მეცოდინება, რომ ვერ შევისრულე ჩემი წადილი“). მაიკლი ნასტიკად ღონდება, მაგრამ კბილს კბილზე აქვს დასწყვილი ინგლისური სიმღერის რეფრენი „ასწავლებს თავს: „არ დაიხოოს, არ დაიხოოს, ის ვაიმარჩევებს, ანდა მოკვდება, ვინც არ დაიხვეს“. ფლერში იმარჩევებს ფორსაიტი და იგი მაიკლთან რჩება. უიღფრიდო მიხედება, რომ „სიყვარული ამბოლად გაისარჯა“, (იგულისხმება შექსპირის პიესის სათაური „სიყვარულის ამბო ვარჯა“) და გადასწყვეტს ინგლისი დატოვოს — წაიღებს აღმოსავლეთში. ფლერი ფეხმძიმეა და შობს ვაჟს. მაიკლი ბუნდოვია.

მოხუცი სოომსი რომანში მხოლოდ ფლერით ცხოვრობს. გოლზუორთი ახლა მერტ ჰუმორს აქროვს სოომსის ფაგურაში. მოხუცი სოომსი უფრო ფილოსოფიურია და ზომიერი. რომანის ჩამდენიმე თვეი მისი თვალთახედვითაა გადმოცემული.

რომანში დიდი ადგილი უჭირავს არაფორსაიტულ ხასიათებს, აგრეთვე მოღუბი კელტურის (თუ დეკლტურის) ფენენებულ სურათებსა და მოღერნულ ქაზებს. თანამედროვეობის ყველა ძირითადი პრობლემა ასე თუ ისე განიხილება. ფლერის სახე გამოხატავს დისპარპონიულ საუკუნეს: ქაოტიურს, ცინიკურს და ზედპარულს, მოუსვენარსა და სენსაციის მოყვარულს, მარად უმეყოფილს. ეგოისტურს და პათეტიკურად უმიზნოს ამ გარდამავალ პერიოდში. შესაძლებელია მართალია შალიტი, როდესაც ამბობს, სოომსს სწორედ ქალიშვილი უნდა ჰყოლოდა, რადგან ეპოქის დასასიათება ასე ეფექტურად არ მოხერხდებოდა ვაჟის ფაგურაში.

ბ) „მღუმარე ნიშნობა“

ინტერლუდიაში „მღუმარე ნიშნობა“, რომელიც ფორსაიტების მეორე ტრილოგიის პირველ რომანს მოსდევს, აეტრის ტრილოგიის ორი ახალი ხასიათი შემოაყავს: დამა, ვნ და ფრენისის უიღმოტები. მოქმედება იწყება 1924 წლის 1 თებერვალს, ამერიკაში, სადაც დედასთან ერთად გადასახლდა ჯონი. ფრენისის უიღმოტი ჯონის მეზობელი ფერმერია, ახალგაზრდა ამერიკელი, დედით ფრანგი. ჯონი ტხენით სეირნობის დროს გაიცნობს ფრენის-

ისის დას ენს, მოეწონება და ბოლოს ცოლად ირთავს.

გოლზუორთი — ლანდშაფტის მხატვარი და ლირიკოსი, რომელმაც „თეთრ მაიმუნში“ უკან დაიწია, ამ ინტერლუდიაში კვლავ წინ მოდის. ეს პატარა მოთხრობა მარტივია და რეალისტური. მისი სახით „თანამედროვე კომედიაში“ პირველად ჩნდება წმინდა პოეტური საწყისი. გოლზუორთი შესანიშნავად ამტყუებლებს მღუმარებას მიყნურებისა, რომლებიც ერთ სიტყვასაც არ ეუბნებან ერთმანეთს.

გ) „ვერცხლის კოვი“

„მაგრამ გზა ჩვენი, მეგობარო, ეკლიანია“
შექსპირი — „ზამთრის ზღაპარი“

ტრილოგიის მეორე რომანი „ვერცხლის კოვი“ იხსნება 1924 წლის სექტემბრის ბოლოს. ფლერ ფორსაიტის ქმარმა მაიკლ მონტმა

თავი დაანება გამომცემლობას და პოლიტიკურ მოღვაწეობას მოკლიდა ხელი. გახდა პარლამენტის წევრი და კონსერვატორების პარტიის წა-

რამომადგენელი. რომანის სათაური სიმბოლურად გულისხმობს ბებერ ინგლისს, „რომელიც უკვე უძებლო პირით სწოვს ვერცხლის კოვზს. კოვზი ვერ დაუჭერია და თანაც არ უნდა მისი გაშვება“.

მაიკლი ავტორს ყველაზე სიმპათიურ ფიგურად გამოჰყავს რომანში. მაიკლი მონაწილეობს არა მარტო საზოგადოებრივ საქმეებში, არამედ ნაციონალურ ეკონომიკის პრობლემების გადაწყვეტასაც ცდილობს. იგი პარლამენტში იცავს ვინმე ჯეიმს ფოგარტის ბუნდოვან თეორიას ინგლისის აღორჩინების შესახებ ომის შემდგომი პერიოდის კრიზისიდან. (სახელი „ფოგარტ“ წარმომდგარია სიტყვიდან „Fog“ — ნისლი). ფოგარტი, მაიკლის აზრით, „მთლად მომავალშია და თავის პროგრამას აგებს 1944 წლის მიხედვით. უშიშროება პაერში, მიწათმოქმედების განვითარება (მეტროპოლიაში. გ. გ.), ბავშვების ემიგრაცია (კოლონიებში. გ. გ.): მოთხოვნილების და მიწოდების მოწესრიგება იმპერიის შიგნით; სანამ გვიან არ არის, ვეროპასთან მორიგება. ერთი სიტყვით, დღეს მსხვერპლის გაღება უკეთესი ხეაღისათვის. არსებითად, იგი ქადაგებს იმას, რაც არაერთი პოპულარობით არ სარგებლობს და განუხორციელებლად ითვლება“.

თეორიის სახელიც სიმბოლურია: რომანის ერთ ადგილას მაიკლ მონტი ავტომობილით ლონდონის სქელ ნისლში დაეხეტება და ზუსს ვერ პოულობს თავის სახლისკენ. თითქოს მთელი ინგლისიც ასევე დაეხეტება ნისლში

რომანის შინაარსის ცენტრში ფლერის და მარჯერი ფერარის ბრძოლაა. ეს ბრძოლა ფლერის ოდიოალური გამარჯვებით თავდება. არისტოკრატი მარჯერი ფერარი დასცილდა ფლერის „სალონს“ და იმ საღამოებს, რომლითაც ფლერი მდგომარეობის მოპოვებას ცდილობს უმაღლეს საზოგადოებაში. შერაცხმყოფელ და ცინიკას ყურს მოჰკრავს სოომსი. სოომსი ვარგულ მითითებს მის ასულის შერაცხმყოფელს. ამგვარად, გახმაურებული სკანდალი მთარღობს სასამართლო პროცესით. გამარჯვებული ფლერი გაციხებულა საზოგადოების მიერ, ზოლო მარჯერი სიმპათიას იმსახურებს. სოომსის ამაყი, განუბურებული ქალი, „პირში ვერცხლის კოვზით დაბადებული“ (რომანის სათაურის მეორე აზრი), მეორედ განიციდის მარცხს. მაგრამ დამარცხებული ფლერიც და გამარჯვებული მარჯერიც თანაბრად გამოხატა-

ვენ ჰედონისტურ, უსულო საუკუნეს. მიღწევა მარჯერის მიზნებისა, რომლებიც „თეთრი მაიმუნი“აა“ ვადმოცემული, არც ისე ცხელი ყოფილა სინამდვილეში, როგორც „ვერცხლის კოვზში“ ირყევა. ფლერი კი თავის კოლექციონერობის სიყვარულით და სხვათა თვალში ბრწყინვის სურვილით, საბზალო ფიგურას წარმოადგენს. იგი მეტად საეჭვო საშუალებებით აგროვებს ცნობებს მარჯერის კერძო ცხოვრების შესახებ და პროცესის შემდეგ იმედგაცრუებული მიდის მამასთან ერთად დედამწიფს გარშემო სამოგზაუროდ. საყურადღებოა სკანდალთან აღმოცენებულ ანტიფონიზმთან დაკავშირებული კომიკური სცენა, რომელშიც პარლამენტის ორი წევრის — მაიკლ მონტის და მარჯერის საქმროს ალექსანდრე მაკგოუნის ჩხუბია აღწერილი.

ფოგარტიზმის საკითხებისათვის ამდენი ყურადღების დათმობა რომანში მოწმობს ავტორის ინტერესს თანამედროვეობის მწვავე საკითხებისადმი. მაგრამ ეკონომიური და პოლიტიკური საკითხები რომანს არ ვნებს. პირაქით, ის უფრო დამთავრებულია, ვიდრე „თეთრი მაიმუნი“, სტილიც აქ უფრო სრულყოფილია.

სახეები მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი. იბრინი და ჯონი თვალს მოფარებული აიან, სოომსი კი საინტერესოდაა განვითარებული: იგი უკვე თითქმის სამოცდაათი წლისაა. ღრმა სიყვარული ფლერისადმი მას სრულად ამორებს „ფორსაიტ, სავის“ პირველი ორი წევრის სოომსს. გოლზუორთი მას ისევე ირონიულად უყურებს, მაგრამ როგორც შალიტი ამბობს, ეს უკვე ანტიმსებატური ირონიაა. სოომსის დამახასიათებელია რომანის თავი „სოომსი ბრუნდება შინ“, სადაც ჰუმორისტულადაა გამოხატული სოომსი, გადასული შესანიშნავად ასახულ მჭკრეტელობაში.

„ვერცხლის კოვზის“ საზოგადოება უიდეალოა, ჰედონისტურად განწყობილი და უსაქმო. მაიკლი და ფოგარტი, თავიანთი ფანტასტიკური გეგმებით, ბავშვებს შორის მომუშავე ნორა კერფი და ქვეყნის ელემენტროფიკაციისათვის მოღვაწე თომზოცი წლის მარკიზი შრომშორი, ყველა ესენი ამტკიცებენ გოლზუორთის განწყობას ინგლისის საკირობოტო საკითხების სასარგებლოდ, მაგრამ იმავე დროს ამ საკითხთა და მით უმეტეს, მათ გადაწყვეტათა სრულ უსუსტრობას.

დ) „გამკვლელები“

ინტერესულია „გამკვლელები“ „ვერცხლის კოვზს“ აკავშირებს „თანამედროვე კომედის“ ექსპანსიურ დასასრულთან „გედის სიმღერასთან“.

სოომსისა და ფლერის მოგზაურობა ქვეყნის გარშემო პროგრამის მხედველთ მიმდინარეობს. იგი მხოლოდ ამარტებს სოომსის სუციფიკურ ინგლისურ ინსულარულ თვალსა-

ზრის სხვა ქვეყნების მიმართ. ერთი შე-
პოხევა არღვეს მხოლოდ მის პროგრამის
ეკონომიკურში. ისინი ხედებიან აირინსა და ჯონს
კოლიტურთ, მაგრამ სოომში ყველაფერს ისე
მოაწყობს, რომ ფლერმა არაფერი შეიტყოს.
ფლერი ჩუქვის ჯონს, ჯონი კი—ფლერს
ისე, რომ ერთმანეთს ვერ დაინახებენ. უფრო
მეტყ: სოომში კვლავ შეხედება აირინს, მაგ-
რამ აირინიც ვერ დაინახავს სოომსს. მკითხველი
ერთხელ კვლავ იგზავნის მოხუცი სოომისს
მთელი ცხოვრების ტრაგედიას, სილაშხის იმ
შემამფოთებელ ვაჟუნას, რომლის აზრდილე-

ბით ავსებულია „ფორსაიტის უკანასკნელი ხე-
ხელი“. ეს ლირიკული ინტერმეტ კვლავ გვაფი-
ლება „გამეღლებს“ პოეტურში, სწრაფში და
შენელებული ინტონაციის გემოთი თითქმის ავტო-
მატურ ჩამავალი შხის შეუქი გაღმომეხებული.

ისევ სოომში და აირინი: სოომში ისმენს
როგორ უქრავს რიილს აირინი. „ამ მრავალი
ნაკლი ჰქონდა მას, მაგრამ ყველაზე უარესი
მით შორის მდამ იყო და ახლაც არის მისი
ჯოჯობითური იღუმალება! ამგვარად, აირინი
აქ უკანასკნელად ჩნდება, როგორც სილაშხის
სიმბოლო. თუმცა „გედის სიმღერაში“ ხშირა-
დაა იგი ნახსენებია.

ე) „გედის სიმღერა“

„გედის სიმღერით“ მთავრდება ფორსაიტების
ქრონიკები. ეს დრამატული ფინალი თავისი
ლირიკული გეგონებს „ქირადებას“. კვლავ
რობან ჰილში შლის იგი ფორსაიტების სიყვა-
რულსა და შეუხარებას.

რომანის მოქმედება 1926 წლის გაზაფხულზე
მწყება. ინგლისის ცნობილი საყოველთაო გა-
ფიცვა მისი ფონია. მთელი და ფლერი მხარს
უჭერენ მთავრობის შტრაიკბრეხერულ ორგა-
ნიზაციას და თვითონვე მონაწილეობენ მასში.
ფლერი მუშაობს სასაიდლოში და იქ ხედება
ჯონს, რომელიც, როგორც ჰემარიტი ინგლი-
ელი, ამ ეროვნული საფრთხის მომენტში ამე-
ტიყიდან ჩამოვიდა და შტრაიკბრეხერთა რიგ-
ში შევიდა ცეცხლდარეშად. ფლერში ისევ
იფიქრებს ძველი გრძნობა ფლერი ხედება
ჯონს რომის ჰილს მხოლოდ, მაგრამ ჯონს
დაბრუნებას ვერც ახლა ახერხებს. დიდი ხანძრის
დროს მამამისის ვალერეაში, როდესაც უზარ-
მახარი სურათი ვარდენ ზემოსართულიდან,
ფლერი ვარბას სურათისავე, როგორც ჩანს,
თავის მოსაყვად. მაგრამ მხოლოდ მდგა-
რი სოომში უეცრად შეინაცვლება ფლერს და
იხსნის მის. სურათი. სოომსს დაეცემა,
სასიკვდილოდ დაშავდება და მალე კვდება
კვდეს. საკვილის წინ ფლერი მამა-
მისს ალექს სიტყვას: „ჰო, მამა, შეტს აღარ
ვიხამ!“ მთელი მონტი, რომელმაც უკვე შეიგნო
თავის ფანტასტიკურ პოლიტიკურ იდეათა უნი-
ადაგობა, შედის ფილანთროპიულ-საკვლესიო
საზოგადოებაში და ეხმარება ღარიბებს. რომა-
ნის დასასრული ვაჟუნთადაა გრძნობით, რო-
მელიც მიბრუნებულია სამყაროს მარადიულო-
ბისაკენ. მთელი რომანის ბოლო სცენაში
გოლზუორთის განწყობილებას გადმოსცემს:

„ეს ქსოვილი ვართ,
რომლისაგანაც მოქსოვილი არის სიზმარი და
შეხერხულა ძილით ჩვენი წუთისოფელი“.
შექსპირი — „ქარიშხალი“

„სამყარო ემყარება ირონიას, თქვა მამამისმა.
დიდი, დიდი ირონია და ფორსაიტების, განწყობი-
ლებათა, ბუგათა სელა და არაფერი მუატი,
გარდა ვარსკვლავებისა და იმ ინსტინქტისა,
რომელიც აქვს ყოველ ცოცხალ არსებას:
„იციცხლე!“... და მიიკლმა სუნთქვა შეიკრი.
მდინარის მხრიდან მოაღწია სიმღერის ხმა.
ეს იყო გრძელი, შორეული, ნაზი ხმა. თითქმის
გედმა სიტყვა თავისი სიმღერას“

ამ რომანშიც უკანასკნელ სიტყვას სოომში
ამბობს, აირინისადმი სიყვარული საყვარე-
ბის გრძნობაზე შორს არ მიდიოდა. ფლერისადმი
უსაზღვრო სიყვარულმა კი სოომში თავგა-
წირვამდე მიიყვანა და უკანასკნელ მომენტში
აუხსნა სოომსს „სილაშხის შეცნობის ვრთად-
ერთი გზა — თავის თავისა და, მამასადამე-
საკვთრების ეკონსტრუქციის გრძნობის დათმობა.
გრძნობათა ეს შეცვლა ადამიანს ბუნებითაა
ახსნილი, როგორც სხევეთა გოლზუორთის:
აირინი კოლი იყო და თუმცა საოცრად მიზო-
ღველი, მაინც უცხო არსება. ფლერი — სო-
მისს აძულია და მისი სისხლხორცი. ბოლოს-
დაბოლოს სოომში მძლავრი სიყვარულის უნა-
რი დამტყცია. ამ სიყვარულმა, რომელსაც სი-
ყვარების გრძნობა ვეროდა აირინის შემთხვე-
ვაში, მიიღო, გოლზუორთის აზრით, საყვარით
ლოგიკური ინტერპრეტაცია ფლერის შემთხვე-
ვაში, თანამად ძველი ბერძნული ანდაზისა:
კაცმა, რომელსაც დიდი სიყვარული ძილქს,
ბოლოს უნდა გამწიროს თავი. და სოომში,
„გედის სიმღერაში“ კვდება როგორც
გმირი. ბედისწერა სრულდება. სოომში, რომე-
ლსაც არასოდეს ჰქონია „ამქვეყნითური სილა-
შხე და სიყვარული“ ლებულობს მას მისი სა-
ყვარელი ფლერის ცრემლიანი თვალებიდან

და იგებს, რომ „სილამაზე მიუწევდომელია თვისი თავგანწირვისა“.

რომანოს ერთერთი საინტერესო სცენა: სოომის მიერ წინაპართა საცხოვრებელი ადგილის მონახულება დასავლეთ ინგლისში, დევონშირისა და დორსეტშირის სასლავარზე, ზღვის პირად. ამ პორტზე ემიზონდის ვარეშე, სადაც სოომის მოძრაობაში რომანს ფორსაიტული თავდაპირველობა, კორსაიტების ტრილოგებში არ იქნებოდა სრული. „ზღვიდან მოდიოდა ქარი, ვრილი, მაგარი, შლაშე. წინაპართა ქარა სოომსა ღრმად შეისუნთქა პაერი და გვიზაატრანა როგორც ძველ დღეინოს“.

ღანღაფტისტი ამ რომანში ისევ წინ იწევა. პუნება ისევ ჰქმნის ლარიელ ფონს პერსონაჟების განწყობილებისათვის და მონაწილეობს მათი სულის მოძრაობაში. ასეთია, მაგალითად, მდინარის ნაპირის ფინალური სცენა და გეგმების მახალი.

„თავის დასასრული“

ფორსაიტების ტრილოგებში თავისუფალ ინდივიდუალბათა ამბობებანი ადვილს უთმობენ ახალი ინგლისის შეილებს. მიდის უკანასკნელი ძველი ფორსაიტ — ამ შვამბოხეთა ანტაგონისტი. რჩებთან ფლერ და ჰონ ფორსაიტები — ახალი ფორსაიტები, რომლებიც საერთო სამომავტების წინაშე შეერიგდნენ ორთოლოქსალურ ფორსაიტებს და, გოლზორკის აზრით, ახორციელებენ ინგლისის (იგულისხმება, ინგლისური პერსონაჟის, გ. გ.) აღორძინების იმედებს. გოლზორკი არა თუ არ მოწედა ბერეუახიულ კლასს, არამედ კიდევ უფრო მშობროდ დაუკავშირდა მას. „ფორსაიტ საგის“ მამბილებელი, რეალისტური სტილი სიმბოლური სტილით შესცვალა. „გმლის სიმღერაში“ მან პირდაპირ დაამახინჯა სინამდვილე საყოველთაო გაფიცივის გამოხატვის დროს. ბერეუახიული ეურხანისტო ნეენსონიუ კი აღიარებს, რომ, როცა გოლზორკი მუშათა კლასს ეხება, როგორც უცხო ზატეს ვარედან და არა შიგნიდან, როგორც ფორსაიტების ან პენდისების ოქაბებს. „გველის სიმღერაში“ გოლზორკითი მახა არა პრეტორიარტის ბრძოლა, არამედ ბერეუახიის ერთიანი და შეგნებული თავდაცვა. ეროვნული ერთიანობის დროშას შეფარებელი. 1926 წლის გაფიცივას გოლზორკითი იყენებს ამის საბუთად, რომ პროგრესის მიუხედავად ინგლისური ხასიათი არ შეიცვალა.

ტრილოგია „თავის დასასრული“ არ წარმოადგენს ფორსაიტების ქრონიკების ნაწილს, თუმცა ფლერ მონტი, ტრილოგიის მეორადი პერსონაჟი, ხანდახან ჩნდება ზოლზე მასში, როგორც რომანის მოქმედ პირთა ნათესავი. ფლერი, რამდენადაც შეიძლება მისი დანახვა,

სოომის სიყვდილის სცენა შვითხეულს სრულბა გულში. პირწავარდნილი ინგლისელი სოომის ბოლოსდაბოლოს გოლზორკითიმ იტერნაციონალურ აღმამიამდე განავითარა. შვითხეულ ეგოიზმისა, სოომის გრძნობა სიყვარულისა და სინახის მოთხოვნილებას, ოლონდ იშვიათად ახერხებდა ამის გამოხატვას. ეს თითქმის ანტიპათიური კაცო ხანდაზმულობისა და ცელილების გზით გოლზორკითიმ აქცია გმირად, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. და თუ სოომის ვარდაცვლების სცენაში გოლზორკითი ვაქცეა ზედმეტ შუქხარებასა და სენტიმენტალიზმს, ეს იმიტომ, რომ მან კვლავ გამოიყენა თავისი თავდაპირვილი პერსონაჟის თვლი: სოომის სიყვდილი მოხეცი გრედმენის თვლით არის დანახული. გრედმენის პორტრეტი გოლზორკითის მოხუცების შესანიშნავ გალერეას ეკუთვნის.

აქ გამოსწორებელი როდია, ისევ ეგოსტიია და ხარბი თვლით შაძიებელი შატერიალური სიკეთისა და სოციალური წარმატებისა. აქ აღბრუნ ფორსაიტული ქვეყნის კონფლიქტებია წამოჭრილა, სტილიც სხვაა და თუ რითიმე უკავშირდება ეს ტრილოგია ფორსაიტების ტრილოგიებს — ეს არის ახალი დრო და მისი გმირის ძიება (დაწყებული ვერ კიდევ „თანამედროვე კომედიში“), ეს არის დაბრუნება ტრადიციასთან და მიწასთან როგორც გაქანხალების ერთადერთი გზა.

ფორსაიტების გენეალოგიურ ხეში, რომელიც „გველის სიმღერის“ ინგლისურ გამოცემა აქვს დართული, გოლზორკითი ჩონის განსტრების ქვეშ სვამს მრავალმეტყველ კითხვის ნიშანს, ნიშანს ფორსაიტული გვირის დაუმრეტელობისა, ზოლო თავის უკანასკნელ ტრილოგიაში ცდილობს ამ კითხვის ნიშნის ადვილას ჩასვას ცოცხალი აღამიანი.

ტრილოგია „თავის დასასრული“ მიძღვნილია იდეალური ინგლისელი ქალიშვილისადმი. იგი თავისი იდეალიზმის ფორსაიტების ქრონიკების შატერული და იდეური დონის აქარა დაქვეითებაა.

„თავის დასასრულიში“ შედიან რომანები: „ქალწული-შეგობარი“, „აყვავებული ეღაზნი“, „მდინარის იქით“.

ტრილოგიის დაწერის წლები (1931 — 1932) კაბიტალისტური ინგლისის მოზიე კრიზისის წლებია. რაც უფრო ღრმავდება ეს კრიზისი, მით უფრო უღრმავდება გოლზორკითი თავისი გმირების ეროვნულ ფესვებს.

დანი ჩერელი — ტრილოგიამ გმირი ქალი — აქრთიანებს მორალურ პირობითობისაგან გათავისუფლებული თანამედროვე ქალს თე-

სებებს და გოლზუორთის „ლანდშაფტური პარტიოტიზმის“ იდეებს — საუკეთესო ტრადიციონალიზმს. იგი დანარჩენ ჩერელებთან ერთად დაწმენდულია, რომ არც კლასი, არც პარტია არ თამაშობს როლს. მათ ჰგონიათ, რომ ხელმძღვანელია მხოლოდ პარტიოტიზმის გრძნობა და არა პირადი ინტერესი.

როგორც დღევანდელი ინგლისის მეთაურები სთვლიან დემოკრატულ ბრიტანეთის პარტიულ რესურსებს, ასევე გოლზუორთი ეძებს დაუშვებელ მორალურ რესურსებს ინგლისური ერთეულების პარადიულ ღირებულებებში. მიწის ერთეულებს გოლზუორთი ინგლისის მორალური და მატერიალური გაჯანსაღების პირობად სთვლის. ამიტომ ასახლებს იგი მიწაზე და ამკარებს თანამედროვე უადგილო „მოხეტიალე სულებს“. ინგლისური ცხოვრების ფეხები დამცველად გოლზუორთი პროვინციულ აზნაურობას სთვლის. განსაკუთრებით მოსწონს მას ამ აზნაურობის პირადი კავშირი მახლობელ გლეხობასთან, კლასობრივი ზავისა და ეროვნული ერთიანობის მანიშნებელი.

აღა გოლზუორთი ტრილოგიის წინასიტყვაობაში ამგვარად წარმოადგენს გოლზუორთის როგორც მწერლისა და ადამიანის განვითარებას: 1904 წლის მკვლევარე ახალგაზრდა სატირიკოსმა 1932 წლის შემწყვანარებელ დამკვირვებლად გადაქცევამდე დიდი გზა გაიარა. სილამაზის დამანგრეველი ეფექტი შესაკუთრე ქვეყნის მიმართ, ეფექტი, რომელიც „საგის“ დასასრულამდე ძლიერია, უკანასკნელი რომანის ბოლომდეც აქტიურია: აირინი, გამანადგურებელი სილამაზის განსახიერება, რომელიც აესება მთელ „საგას“ და რომელიც იძლევა ასე ცოტას და ითმენს ასე ბევრს ფლენი, რომელიც „თანამედროვე კომედიში“ ბატონობს, არაფერს იძლევა და იღებს კი საქმიად ბევრს, მაგრამ მშვენიერად უპირაეს თავი ომისშემდგომ შველიად ქვეყანაში; დინი, უკანასკნელი სამი რომანის სიცოცხლე და სული, რომელიც იძლევა ბევრს და იღებს ცოტას — ეს არის, ანუ გოლზუორთის აზრით, გოლზუორთის განვითარების გზის ნიშანსვეტები. ამ მიმოხილვაში, რომელშიც არ არის მწერლის განვითარების რეალური ახსნა, ერთი უდავო კემპარიტება მოჩანს: დინი ჩერელში თავს იყრის, გოლზუორთის აზრით, საუკეთესო და, ჩვენი აზრით, ვიდრელებული თვისებები ინგლისელია. ახალი ინგლისური სულის ელემენტების ხეტიალი (სულსა, რომელიც მანამდე, ვიდრე განვითარების კანონი დაარღვევდა, წარმოადგენდა ფორსაიტებში განსახიერებულ მთლიანობას) დინი ჩერელით მოულო გოლზუორთით მხოლოდ და როგორც ფოკუსში თავი მოუყარა ამ ელემენტებს დინის ფიგურაში.

დინი ჩერელი პირველ რომანში ალტრუისტი და სიცოცხლით სასვე ადამიანია, რომელიც სხვებისთვის თავის თავს უსწრებს. მაგრამ ეს ალტრუიზმი, რომელიც „კამპარტება“ ოჯახის ღირსების დაცვაში ან საოცარი ენერჯის გამოჩენაში მის დასაცავად (რათა არ დასაჯოს იგი სასამართლომ კოლონიის მცხოვრებთა წამებისათვის) — ვერ გვაჯერებს და უფრო განზრახვის შთაბეჭდილებას სტრუქტურას, ვიდრე შესრულებს. წიგნში უმადლესი საზოგადოების ინტრიგები და ცხოვრებაც კი არ არის ავტორისათვის ჩვეული ისტაბილური მოთხრობილი.

მეორე რომანი პოეტ უილფრიდ დეზერტს ეხება. დეზერტი ომისშემდგომი ბურჟუაზიის თაობის იმედგაცრუებას და სკეპსის ასახიერებს სკეპსის „ძლიერი პირაუგნისი“ სამოსელით არის დაფარული. დეზერტი სიკარიელეს კოლონიური საქმიანობით ავსებს და მიუხედავად აქტივიზმისა, ნიქისა, ორავინალობისა და სულიერი სირთელისა, გოლზუორთი დეზერტს შიანც ახალი თაობის ავადმყოფურ მოვლენად თვლის. დინის ჯანმრთელმა სულმა უნდა დაუბრუნოს იგი სიცოცხლეს, მაგრამ მათ კავშირს წინ აღუდგება ოჯახი: დეზერტს ფინანტიკოსმა არამა იარაღის მექარით მამადიანობა მიადევნა. ოჯახის მიერ ნაკარნახევი ღირსებასა და მოვალეობის გრძნობა იმარჯვებს დინში. ფაურის ტრაგედია აღაბა ჰეავს ადამიანური ურთიერთობის დამახინჯების ტრავმად, რომელიც „მესაკუთრეშია“ მოცემული, ოჯახისადმი მორჩილება აღარ ნიშნავს სილამაზისა და თავისუფლების იდეის შეურაცხყოფას. ალტრუისტიული იდეალს წინ წამოწყობი საზოგადოებრივი საწყისი იმარჯვებს ინდივიდუალურზე. ქალის ვაითხეობა საზოგადოებრივი მოვალეობის მოხდად იქცევა, ოჯახის შექმნა საუკეთესო საგვარეულო ტრადიციების განმტკიცებად, ხოლო თვით ოჯახი მიკროკოსმოსია, მთელი ინგლისური საზოგადოების განმეორება მინიატურული მოცულობით.

თუ მეორე რომანი პირველზე მალა დგას, როგორც მხატვრული ნაწარმოები, მესამე რომანიც მხოლოდ კიდევ უფრო მეტ სიმბოლუზება ასული.

ამ რომანში დინი ჩერელი მიჰყვება ცოლად კონსერვატორ პოლიტიკურ მოღვაწეს ოუსტეის ღორდორდს (რომელსაც გოლზუორთი აგრეთვე აიღვალებს) და ჰქმნის ეროვნული ფესვების მქონე თაობის ოჯახს. ამ ფესვებზე აშენებს დინი თანამედროვე კულტურის მთელ დახვეწილობას, რითაც მას ახასიათებს ავტორი.

მაგრამ ის ბუნდოვანი პროექტები, რომლებითაც აღსავსე მთელ მონტი ოფისლაც დახვეტეზდა ლონდონის ნისლში, და რომლებიც ყველაზე უფრო გამოხატავდნენ კამბოლისტური ინგლისის არამყარ მდგომარეობას, ამ რომან-

შიცაა წარმოდგენილი. თუ მსოფლიო ომის დროს ინგლისში იყო ერთი ხალხი, რომელიც იბრძოდა გარეულ შტრის წინააღმდეგ, დინის სიტყვებით, „ახლა ორი ხალხია, ერთიმეორის წინააღმდეგ მებრძოლი, რომლებსაც დიამეტრულად საწინააღმდეგო აზრები აქვს იმის შესახებ, თუ საიდან უნდა მოვიდეს ხსნა“. მედანიკოლოგ ტონებში მოცემული დინის კორწინება, რომელიც სწავებს ყველა საკითხს, მკითხველს ავსებს ეროვნული სულის ძიების უნიადგობის შეგრძნებით.

მაგრამ ის, რაც მთავარია და დამახასიათებელი გოლზმორთის შემოქმედებით უნარში, ეს არის საზოგადოებისა და დამიანის გამოხატვა ისეთი კონკრეტულად დამკვირვებელი დეტალებით, რომ მისი ნაწარმოებები (შეიძლება რაღაც უნებლად უნივერსალური სიზუსტის წყალობითაც) ვადაბნეცა არა მარტო კრიტიკული, არამედ სპეციალური ანთროპოლოგიურ-ეთნოგრაფიული დისერტაციების მასალად ისე, როგორც შექსპირია გამოყენებული სპეციალური ფსიქოლოგიური და ფსიქოანალიტიკური გამოკვლევებისათვის.

გოლზმორთი, უპირველეს ყოვლისა, იხედება იდამიანთა გულში, რათა ამის შემდეგ მათი შემდგომი ბედ-იღბალი გადასწყვიტოს. იგი ყურადღებას აქცევს ხალხის პირველყოფილ ისტორიას და რასობრივ შემადგენლობას ფორსაიტს ხატავს, როგორც „ანგლო-საქსს“, აირიშს და ბოსნიანს, როგორც „კელტებს“, ხატავს აგრეთვე გარდამავალ ფორმებს, ნარეუებს ანგლო-საქსებისა და კელტებისა, ჯოლიონს და მის შვილებს, ფლერს, რომელსაც დედა ფრანგი ჰყავს. გოლზმორთი ხაზს უსვამს მათ პიროვნებათა ფრთხილკომიშარბობას, გარეგნული ქცევის ფორმებსა და ხასიათს. იგი ხმა-რობს მრავალ შედარებას ბუნებისმეტყველების დარგიდან, განსაკუთრებით პიროვნების შედარებას ცხოველთა სამკეთოს სხვადასხვა წარმომადგენელთან მათი მოქმედების, ინსტინქტი-ისა და ჩვეულებების გადმოსაცემად. ამ შედარებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ფორსაიტები — ძალა, ბოსნი — კატა.

დამკვირვებელი და კრიტიკოსი გოლზმორთი ხატავს ინგლისელთა სავრთო ყოფას, როგორც ყოველი ხალხის ყოფას. ფორსაიტებში გვხვდავთ ანგლო-საქსურ ხასიათის სხვადასხვა ვითარებაში რომელსაც ერთი საერთო მნიშვნელობა აქვს — ინგლისელობა. ინგლისელობის არსებობით და ძირითადი ხაზი არის გამბედაობა, (რომელიც მონტეგუე დარტის უყრდნობა) და სპორტსმენობა. (რომლის პარალელური მოცემულია სუითონ ლორსაიტში და ჯორჯ ფორსაიტში). აქ როგორც ჩანს ავტორი გულისხმობს არა მარტო წმინდა ინგლისურ მორალს — მორალს სპორტისა და „პატიოსანი თამაშისა“, არამედ ვიციანების ბუნელი წარსულიდან გადმოსულ მეოპორულ გამბედაობას. გოლზ-

მორთის დებულება ინგლისელთა თვისებების შესახებ გადმოცემულია შემდეგნაირად: 1) დამკვირვებელი და სარკების მიღება, ექსტრუქციონიზმი, კეთილშობილი ადამიანებისა და ქალი გოლზმორთის გამოყვანილი ჰყავს როგორც სიმბოლო, 2) გარეული ცხოველების ზოოლოგიურ ბაღში ჩამწყვედევა, 3) თვალთმაქცობა, რაც ნიშნავს სათნოების ან სიკეთის ყალიბ გარეგნობის შექმნას ნამდვილი ხასიათის ან განწყობის დასაფარავად.

აირონიულად, მაგრამ მაინც სინანულით აღიარებს გოლზმორთი, რომ ანგლო-საქსებს წარმოდგენის უნარი აკლიათ და მოუთმუნლად ელის შეგვიარებას სუფთა კელტურ ელემენტთან მშვენიერების იდეშალი არსის შესამედნებლად. სულეზად იგი აირინის მხარეზეა, რომელიც სილაშხეს ასახიერებს სოომსთან კონფლიქტში, მაგრამ სოომში გულწრფელად ებრალება. გოლზმორთი, როგორც ინგლისელი, სრულიად ობიექტური რჩება, როდესაც საქმე საქუთარებას და სამართლის ეტება. სოომისა და აირინის კონფლიქტშიც, რომელსაც იგი უღას როგორც იურიდიულ პროცესს, ფორმალურად მიუდგომელია.

ფსიქოლოგიურ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისით განუკრებილ ფორსაიტების ქრონიკებს თავისებური შეტი ეფინება. მაგრამ ეს თვალსაზრისი არ შეიძლება გადაწყვეტი იყოს. ეთიკურ-მორალური თუ ფსიქოლოგიური ან ანთროპოლოგიურ-ეთნოგრაფიული ღირებულება გოლზმორთის მიერ შექმნილი გმირებისა არ შეიძლება წარმოდგენილ იქნას ცალკე და მთი უშეტეს, გოლზმორთის ისეთივე გარეშე. ამ ესთეტიკის სათავეში დგას, უპირველეს ყოვლისა, პოეტი, სილაშხისა, ბუნებისა და იდამიანის ღრმად მოსიყვარულე, ფიზიკური სამყაროს ცვალებადობის მკვერტელი და მისი დეტალები იღვშალი სუბსტანციის შიდაარებელი და მხოლოდ ამის შემდეგ ინგლისელი, თავის იდამიანურ უპირატესობათა შეგნებათა და პატიოტული გრძნობითურთ.

გოლზმორთი ინგლისური ბურჟუაზიის შეი-ლია და მის ინგლისელობას მისსავე ბურჟუაზი-ულიობასთან ისეთივე ეკმობა აქვს, როგორც ფორსაიტების ეროვნულ თვისებათა კომპლექსს — სოციალურთან. ემპირიკოსი, როგორც ყოველი ინგლისელი, რომელსაც მეოცე საუკუნეშიც კი არა სწამს ის, რაც თვითონ არ გამოუცდა, იგი იმითაც არის ინგლისელი, რომ უყვარს ბუნება და ახლოსა მასთან. ანდრე ზიგ-ფრიდის აზრით „ინგლისელი ყოველ ასაკში ინარჩუნებს მოზარდიო ბავშვის აზროვნების ხასიათს; მას უყვარს ბუნება და ახლოსა მასთან, ბავშვებსა და ცხოველებთან, რომელთაც ინგლისელი აღმკრთებს“. გოლზმორთის აქვს ინგლისელის ეროვნული უპირატესობის გრძნობა, რომელიც ინგლისის მრავალი საუკუნის მანძილზე აღმსავლას და გამაჩქვებებს ეყრდ-

ნობა და ამტკიცებს რწმენას, რომელიც გამო-
ხატულია სოციალ ფორმულაში „თუნდ ბრძან-
დად, მაგრამ მაინც ჩემსას გაიტანა“. ინგლისის ეუ-
როპულს არ ახსოვთ თავდასხმა სტუდენტების
განმავლობაში. ამიტომ არ ესმის ინგლისელს
სხვისი და გრძნობს თავის უპირატესობას.
ანდრე ზიგერდი ფიქრობს, შეიძლება იგი
„უფრო გამგები გამხდარიყო, ოქსფორდისთვის
რომ უფროა დაემთხვა, ან დაეგრძობა უესტ-
მინსტერი“. დღევანდელი ინგლისი იქნის ამ გა-
მოცდილებასაც, მაგრამ საეკუო იგი მნიშვნე-
ლოვნად შეიცვალოს, თუ კაპიტალიზმი არ და-
ინგრა შეიქნის მსოფლიოში, ომის შემდეგ ინ-
გლისი ყოველთვის იფიქრებდა განვილილ უბე-
დერებას და ატავისტრად უბრუნდებოდა
კონსერვატიულად უცვლელი პოლიტიკური და
ეკონომიური ლიბერალიზმის პრინციპებს.

გოლზუორთის უფვარდა თავისი ინგლისი,
სწამდა ინგლისური ტრადიცია და უფროსილ-
დებოდა ინგლისის სახელს. განსაკუთრებით
კი უფვარდა ინგლისური პრაქტიკა. ამ სიყვარ-
ულში ინგლისისადმი გახდა იგი ინტერნაციო-
ნალისტური. იგი იტყოდა ხოლმე: „რადგან მჭამს
ჩემი საკუთარი ქვეყანა და ვისურვებ მისთვის
უკეთესს, მე შესმის, რას გრძნობენ სხვები საკუ-
თარი ქვეყნის მიმართ“.

„ადამიანური ცხოვრება მეგობრობის ვარჯ-
შე არა ღირს“, სთქვა მან პენსილებას ბუდა-
პეშტის კონგრესზე 1932 წელს, მაგრამ ამგვი-
რი ინტერნაციონალიზმი ხელს არ უშლდა
გოლზუორთის თავისი შეხედულებანი ჰეინო-
და სხვა ეროვნულ კულტურათა შესახებ.

ჭრისტიანობა, ისე როგორც ტოლსტოის ეს-
მოდა ეს ცნება, გოლზუორთის აზრით, დასაე-
ლეთის ადამიანისათვის შეუფერებელია. გოლ-
ზუორთი არ იყო დოგმატიკური რწმენის მსა-
ხური, სამედიცინოება და რელიგია თითქმის
არავითარ როლს არ თამაშობენ მის შემოქმე-
დებაში, მაგრამ გოლზუორთის სწამს ღმერთის
გამოცენა სამყაროს ძალებში, რომლებიც ბე-
ნებას ასახიერებენ. კურტიე („პატრიარქის“)
ცხოვრების ყოველ მომენტში და ყოველ სა-
განში ხედავს ღმერთის სახეს. გოლზუორთი
ძველი, წარმართული აღტაცებით ავლენს თა-

ვის პირად რწმენას — დაუშრეტელ სხივრულს,
მარადიული ბედისწერის მშვიდ მიღებას, სო-
ციების დაუღალავი საიდუმლოებითა და სა-
ოცარ დათანხმებას, წარღობი ფრენა ლტქმე-
სადმი (სემიულ ბატერის მიერ აღძრული
ღმერთის საკითხის გამო, 27 ოქტომბერი,
1910 წ.) გოლზუორთი წერს: „ღმერთის და-
ყვანა ბუნებამდე — ეს სიტყვების უბრალო
შეცვლაა. ჩვენი გონება ახლაც აზროვნებს
ემოციონალურად და მუდამ დაფიქრდება იმ
უცნობის შესახებ, რაც ბუნების უკან მდებარე-
ობს, იღუპალი და ჯადოსნური შეთანხმების შე-
სახებ, რომელიც აპირობებს ყოველ საგანს.
არასოდეს გვეცოდინება, გვრასოდეს ვიპოვებ
და სწორედ ეს შეიცავს „ღვთის დიდებას და
პოეზიას“, ისევე როგორც ჩვენი სიცოცხლის
პოეზია და დიდება არის ის, რომ ჩვენ მომენ-
ტიდან მომენტამდე არ ვიცით, რა მოხდება“.

ფორსაიტებისათვის, რომელიც მოკლებულ-
ნი იყვნენ ასტრაფიკებისა და წარმოდგენის
უნარს, ეკლესია იყო მიღებული ინსტიტუტი,
სოციალური იმპერატივი და არა რელიგია. შე-
ცვლილ ფორსაიტებში რწმენის საკითხი შეი-
ცვალა სხვა მორალურ კატეგორიათა მსგავსად
და მათ პარალელურად. მაგრამ ერთი რამ დარ-
ჩა უცვლელი: ბუნება, როგორც სამყაროს იღუ-
პალი ძალების ხილული გამოცენა, როგორი
სახითაც უნდა იყოს წარმოდგენილი იგი: ადა-
მიანის ბუნების თუ ფიზიკური ქვეყნისა, თუ
სხვა შესაძლებელი სახით — იგი ყოველთვის
გადამწვევად გავლენას ახდენს თვით უმტკიცეს
ფორსაიტზედაც კი და სცვლის მას. ეს გატაცე-
ბა უნივერსალურით — გოლზუორთის პერმა-
ნენტული მდგომარეობა არ არის, თუმცა უნი-
ვერსალურ ილუმინაციაში აქვს გოლზუორთის
ესთეტიკას სთავადა, მაგრამ გოლზუორთი მეტის-
მეტად დასაყვლილია და არ შეიძლება მდებრივი
მისტიციზმის ატმოსფეროში იმყოფებოდეს.

იმ მომენტში კი, როდესაც გოლზუორთი
თავის ანდერშს სტოვებდა, მას უსათოოდ ახ-
სოვდა ეს მისთვის საყვარელი და ყოველმომ-
ცველი ბუნება: ანდერშის თანახმად მისი ცხე-
დარი დასწევს და ფერფლი მშობლიურ სო-
ფელს მიფინეს, ბუნების წიაღში.

უმათერესი გოლზუორთის ხედვებებში

ხელოვნების ძირეულ თვისებად, რომელიც
ქვეყნობიერ ემოციას იწვევს, გოლზუორთის
ხილამხე ემიანია. მაგრამ ხელოვნება, მისი
აზრით, ჩნდება მაშინ, როდესაც „ერთი მოკლე
მომენტი ჩემსადმი ინტერესს სცემს ინტერეს-
სით მისლამი“. აქედან მოდის გოლზუორთის
მიდრეკილება იმ ობექტურთა ქვეყნის მიუდგო-
მელი ასახვისადმი, რომელთადაც ადამიანის ურ-
თიერთობა შეადგენს განსაკუთრებულ ინტე-
რესს. აქედანვე მომდინარეობს მისი რეალიზმი.

გოლზუორთის კემპარიტება მიიჩნია მთელი-
სადმი იმ დამოკიდებულებად, ურომლისოდაც
ცოცხალ არსებას არ შეუძლია არსებობა. შემო-
ქმედის ამოცანაა ხილვითა წარმოდგენა კემ-
პარიტების ვარკვეული პროპორციებით, წინა-
სწარმკვერეტლობის ტემპერამენტით იმგვარად
შეფერაილ ხილვითა წარმოდგენა, რომ მათ ცო-
ცხალი ქმნილების სიახლე შეიცავთ. ეს იმიტომ,
რომ ორი ცოცხალი ქმნილება არასოდეს არის
ერთმანეთის მსგავსი, არც მათი დინამიკის ორი

მსგავსი საშეაღება არსებობს. გოლზუორთის აზრით, ნაწარმოებთა ავტორის ნიშანს უნდა ატარებდეს. მაგრამ რომანისტი თუ იგი ხელოვნია, არ უნდა იყოს აკრძალული, და არც სკოლის მასწავლებელი. მისი ხარკი სოციალური და ეთიკური ღირებულებათა მიმართ უნდა განისაზღვროს ხასიათისა და ვარჯიშობის ასახვით. ასახვა ორგანოა: ერთი ნეგატიური, რეალისტური და კვაზისტიკური და მეორე, რომანტიკული. რომანისტი უნებნით არის განწყობილი რომელიმე ამბავანის, ან შეიძლება ორივეს სასარგებლოდ. სრულყოფილის ან გმირულის ასახვა და ამის მოთხოვნა რომანისტის ამოცანის ვაუტერობის, გამოხატულობისა და ესთეტიკური გრძნობის ნაკლებობის ნიშანია. თუ რომანისტი ვხვდება საზოგადოებას, და გაანია კრიტიციზმის ელემენტს, მის უნებურად ვაბდებს სატირაციოსის მსგავსი რამ. საზოგადოების სუსტი მხარეები და კანონები, მისი ღირსების ნეგატივი გამოვლენება დღის სინათლეზე. ცხოვრების მიუღვამელი ასახვით მთელ ცხოვრებასთან ადვილდებულ დამოკიდებულებაში რომანისტი ეს ცხოვრება გამოაქვს საქვეყნოდ და ამით ხელს უწყობს მის ევოლუციას. მასალის კარგ შერჩევას და დალაგებას, რომელიც ხსნის ხასიათების ძირეულ თვისებებს, თვითონ შემოაქვს სოციალური პრობლემა ან რაიმე რეფორმის საკითხი. ყველაფერი, რაც რომანისტის ხელთაა, ეს არის კვშიარტების წარმოდგენა ისე როგორც რომანისტი ხედავს მას. ამით რომანისტი თავის შკითხვებებში განიხილავს და მორალურ ფერმენტს ჰქმნის. იგი ყოველთვის უნდა ელოდეს, რომ შეიძლება შეცდეს კიდევ და გაკორტიკებულ იქნას. გოლზუორთის აზრით, რომანისტებში კი არ ირჩევენ სავნებს, არამედ სავნები ირჩევენ რომანისტებს. ცხოვრება მათზე ძალს მხარობს და არ ასეევენს მათ, სანამ არ ამოვის თავის გამოხატულებას და მერე დამშვიდდება. ჰევენიის სილამაზე და კვშიარტება არის რომანისტის ძიების სავანი და თუშეა ძნელი საძიებელია, მაგრამ თუ ეს არა, სხვა რაღაა ძიების ღირსი?

გოლზუორთის აზრით, რომანისტის ზურგს უკანაც დავს ფილოსოფიის მსგავსი რაღაც. საკუთარი ფილოსოფიის შესახებ იგი ამბობს, რომ ადამიანისთვის საყაროს პირველი მიზეზის ვაგება მოუწევია. იგი იძულებულია მიიღოს ის, რაც არის. „საიდუმლოდან მოვედით, საიდუმლოში ვბრუნდებით“. მაგრამ ვინაიცი სასიცოცხლო ინსტიტუტი გაანია, არ უნდა შეაწუროს ამ შეტად მცირე გარკვეულობამ, მისთვის ცხოვრება საკმარის კარგი უნდა იყოს. რაც შეეხება როსს, რომელსაც წვეს ვთამაშობთ, გამბედაობა და სიკეთე არის უმთავრესი სათნოება, რადგან მხოლოდ მათ გამო ღირს ადამიანმა იცოცხლოს და მათ მოაქვთ ადამიანისათვის შინაგანი ბედნიერება.

ამგვარად, გარდაუვალი კვშიარტებად იცნობა გოლზუორთის ობიექტური კვლევების მხატვრად და, შამასადამე, რეალისტად აქცევს. მისი ასახვის მანერა, მართლაც ნეგატიურია და კვაზისტიკური და ამის გამო ეძლევა გოლზუორთის რეალისტს კრიტიკული ხასიათი. მაგრამ მისი რეალისტური უკუპროპორციულ დამოკიდებულებაში ვქცევა ტენდენციურობის მიმართ: რაც უფრო ტენდენციური ხდება გოლზუორთის თავისი საზოგადოების გამოხატვისას, მით უფრო მცირდება მისი რეალისტური კრიტიკული ელემენტის შემცირება იწვევს ამ განსხვავებას დიდ, ბალზაქურ რეალისტთან, რომელიც ნარკვევის თავში აღწინწნეთ.

განსხვავება დიდი რეალისტთანაა მხატვრულ ტენდენციურობის საკითხით ან ამოწურება. გოლზუორთის რეალისტში, როგორც მხატვრულ ხერხების კომპლექსი, ყველაზე თავისებურია: მას აქვს ძირითადი რეალისტური თვისება — საზოგადოებისაკენ მიმართული დაკვირვება, ე. ი. ის რაც ბალზაქის შემოქმედებში მისი თანამედროვე შენიერების დონეზე დგას. გოლზუორთის ნაწარმოებებში უფრო გართულდებულ შეცნირულ (უშთავრესად ფსიქოლოგიურ) ფორმებს უახლოვდება. გარდა ამისა, თუ ბალზაქისეული ხერხები მხოლოდ რეალისტის სკოლის კუთვნილებას შეადგენდა, გოლზუორთი რეალისტის ექვეტს ძალიან ზწირად სატოლად არაბავლისტური ხერხებით ჰქმნის ამას გოლზუორთის ხელოვნების უმთავრესი და საკეთიფიკური მხარეების მოკლე მიმოხილვაი კი დაგვანახებუნდა.

გოლზუორთი რომ კვშიარტების და სილამაზის მამიდებელია, საზოგადოების მხატვარი და სატირაციოსისა და კრიტიკოსის „მსგავსი რაღაც“ — ეს ვფრთხილდები ვუკნ ცხადია. მაგრამ უფრადლება უნდა შევანეროთ მისი ხელოვნების ერთ მნიშვნელოვან დეტალზე. ეს არის ვარჯიანი შტრინის სიმბოლური მნიშვნელობა შინაგანი თვისების გადმოსაცემად და მრავალი ადამიანისთვის ისეთი საერთო ვარჯიანი შტრინების მოხაზვა, რომლებიც ტიპს, დროს, კლასს და პროფესიას გამოხატავს. გოლზუორთი ამ დროს თითქოს თვითონ უკან მიდგება ხოლმე და წმინდა დამკვირვებელი გამოდის წინ. ფიგურა, დაწყებულ მისი მოთავარი თვისებიდან, მისი ცხოვრების ყოველდღიური მომენტების ურიცხვი მცირე და შერჩეული დეტალებით, თანდათან შენდება წვეს თვალწინ. დიდ რომანებში ფიგურები მოძრაობაში არიან ნარკვევები, მაგრამ დეტალი აქაც ზუსტია. ამგვარად არის გადმოცემული ფორსაიტის საერთო ტიპის სხვადასხვაობა „მესაკუთრეში“. შტრინის ამგვარ წიგნს ზოოლოგიას უწოდებს.

მეთოდური დაკვირვებით ავტორი ფორსაიტების ცხოვრებას ასახავს უმთავრეს და სავანებში სიტუაციებში (ამის საბუთია ცალკე თავების სათაურებიც კი: „მოხუცი ჭოლიონის

სახლში“, „სადილი სეთიონისას“, „მოხუცი ქოლიონი ოპერაში“, „შამიდა ენის სიკვდილი“, „ცეცა როფერისას“, „საღამო ჩინმონდ პარკში“ და სხვ.). ფორსაიტული იდეებს აიღვრებოდა თუ სიკვდილის, ბუნებრივებისა თუ ღირსების, მორალისა თუ რელიგიის, ქორწინებისა თუ ნათესაობის, სიყვარულისა თუ ხელოვნების შესახებ ვეცნობით ფორსაიტული სახეების მთელი დამახასიათებელი თვისებებით. ამასთან გოლზუორთი მონოლოგს როდი მიმართავს, არამედ დევნიებს, რომლებსაც თვისებები იწვევს. ენა მლიერ მოხერხებულა, ირიბ მეტყველებას. გოლზუორთის ნაწარმოების ყოველი ფრაგმენტი მხოლოდ მთელ კონტექსტთან დაკავშირებით ხდება სრულფასოვანი. ამიტომ არ შეიძლება მისი ამოღება. მაგალითისათვის შეიძლება მიითვებოდეთ იქნას სტუპრობის სცენა მოხუცი ქოლიონისა შევლიან და უკან დაბრუნება („მესაკუთრე“). აქ არა მარტო ფსიქოლოგიური დეტალია გადმოცემული და ამავე დროს ფიზიკური და მორალური სტრუქტურით არის დახასიათებული პერსონაჟი, არამედ ამ სტრუქტურის ჩარჩოს აღწერითაც და პერსონაჟის მიმართებითაც გარემომცველი საგნებისადმი. ტრივიალურ გარეგნობათა დეტალური აღწერა ფორსაიტულ ხელოვნებას უბლოვდება. გოლზუორთი სინთეზისა კი იწერს.

შეგვიჩინებს ბრწყინვალედ ახასიათებს გოლზუორთის „მინიშნებისა“ და „გულსხმობის“ ხელოვნებას. გოლზუორთი მხარობს ორგვარ ურთიერთმომწინააღმდეგე დევნებს: ერთი მდგომარეობს ყველაფრის თქმვაში, მეორე — ყველაფრის ართქმვაში. რეალობა რომელსაც გოლზუორთი უხედა ხშირად მომენტალურად არა მგადავს. ერთი მხრით, თუ გოლზუორთი მისდევს ფაქტებს, მეორე მხრით, სტრუქტურის მიხედვით გარკვეულ წერილში, მაგრამ ყურადღებით შეტრეფულ მითითებათა წინაშე. ეს უკანასკნელი ასახევენ მთავარი ხასიათების გრძნობას ან მოქმედებას და გადმოიცემიან ფრაგმენტებით, რომლებიც ამაღლებენ მითხველის წარმოდგენას შეავსოს „ცარიელი“ ადგილები.

თუ დგანვები, რასინის რატორიკული მოდელების შექვიდრებები, ცვალობენ დაწერილი მეტყველება ფიქრის სრულყოფილ ასახვად აქციონ და საზოგადოების სამსჯავროს წინაშე გამოაქვთ „კარგი წერის“ იდეალი, ლოკისაიდ-ბი უტორ გულგრილად განწყობილი ინგლისელები, თავიანთ წარმოდგენაში რეალობის შესახებ აქსოვენ გონების მრავალფეროვან ქვეყანას, რთულსა და ფრაგმენტულს. ინგლისური ფსიქოლოგიური რომანის დალოგში სედის მრავალი მომართობა დამალული, მრავალი დემილია ამერყველებული, მრავალი, თავისთავად უმნიშვნელო სიტყვას მიღებული აქვს ისეთი ახალი მნიშვნელობა, რომელსაც ლექსიკონში ვერ ვიპოვით. ავანსცენა უპირავეს ჩვეულებრივ ადამიანებსა და საგნებს, ამით იქმნება

რეალობის შთაბეჭდილება. წერილობაში კი ნიღბავს დრმა მნიშვნელობის აზრებს, შეიძლება იძულებულია იფიქროს და ატროტის ნაკვალავს მოახდინოს მოვლენის ინტერპრეტაცია.

სადილობის ტიპური სცენა „მესაკუთრეში“ („ქუჩის ნადიმი“) ერთი იმ სცენათაგანია, რომელიც თავისი გესპრესიულობისა და კონდენსაციის წყალობით გვიხსნის მთელი ნაწარმოების დრამატულ არსს (კერძოდ, დრამის დასაწყისი) და ყოველი მოქმედი ხასიათის სრულ ფსიქოლოგიას.

„სადილი დაიწყო სინთეზში; ქალები ერთმანეთის პირდაპირ ისხდნენ, კაცებიც ერთმანეთის პირისპირ.“

სინთეზში გათავდა წვენი — საუცხოო, თუმცა ცოტა სქელი; შემოიტანეს თევზი. სინთეზი ჩამოარიგეს.

ბოსინამ გაბედა: „დღეს ვაზაფხულის პირველი დღეა“.

იირინმა წყნარად გაიმეორა: „დაიღ—ვაზაფხულის პირველი დღე“.

„ვაზაფხულო“ სთქვა ქუნმა! — რა ვაზაფხულია, პაერი აბე კი იძერის“.

არაგინ უბანუხა. თევზი წილეს, დევრის მშვენიერი ქამბალა. და ბილსონმა შემოიტანა შამპანური, ყელზე თვთარ ხელსახოცსემოხვეული.

სოომსმა სთქვა: „შამპანური შშრალია“

დრამა, რომელიც სამ მოსაუბრეს შორის გათამაშდება, უკვე გაშაფხულებულია. აირინსა და ბოსინის შორის იწვება რომანი. აქვეა გოლზუორთისთვის ჩვეული ორმაგი აზრი, რომლიდანაც ერთი პირდაპირია, მეორე კი სიმბოლური: ეს ვაზაფხულის პირველი დღეა და აირინსა და ბოსინის სიყვარულის ვაზაფხულის პირველი დღეც. ხასიათების ფსიქოლოგია მოცემულია: აირინი — პასიური, მაგრამ შთაბეჭდილებანი, თანაც თავდაქერილი. ქუნა — გაბედული და ქინიანი შეილიშეილი მოხუცი ქოლიონისა, შეტევისათვის გამოადებული. ბოსინი — მიჯნური და ხელოვანი, ბუნების იღვშალ-ცვლილებათა მიმართ მგრძნობიარე, და ბოლოს სოომსი — მარადიული ქმარი; პოზიტიური ფორსაიტო, მატერიალურ რეალობათავეს მიბრუნებული, თვალი რომ უპირავეს საათზე და ეტლი ასსოვს. გამჭრიახი კაცი, რომელიც ვერაფერს ზედავს მესაკუთრე, შამპანელი, მიხედა და დღეისას სარდაფის შცოდება.

ერთი წუთით აეტორი ვანზე დგება და შორიდან ვახედავს თავის ხასიათებს. ირანიულად გვიჩვენებს გარეგნულად კმაყოფილ ხასიათის — ერთიან ოქახს სადილობისას: „ვერცხლის ღანჭრით გერმანული ქლიაგი შემოიტანეს. გრძელი პაუზა ჩამოვიარა. სრულიად შეწყობილი შეეკეთება ყველა“. პაუზებში იგრძნობოდა, რომ რაღაც განსაკუთრებული დასტრიალებს თავს ამ სადილს ტიპურ სცენათა გველით, რომანი მიიწევს წინ წელ-წელა, უხილავი მიწის-

ქვეშა პროგრესით, და როგორც სადღობის სცენას, ყველა დანარჩენ სცენასაც თავს დასტრობს ანუ რაღაც იდენტული. არაბადი ზემად ჩერ-სულუბენ ფორსაიტების კულუარებში. აირინი და ბოსინი ყველაზე ნაკლებ ჩანან და მხოლოდ მათი მოძრაობის ჩრდილი ეცემა სცენის უკანა ფარდას. ტრავედა მოფარებულია ჩვენს თვალს, მაგრამ ვნების საოცარი ყვავილის სურნელი ძლიერდება და მსკვლავს ცოცხა და კორექტული ინგლისურ ცხოვრებას. ორი წინასწარ განწი-რული და უცნაური ფიგურა, რომელიც იშვია-თად ჩნდება, მაგრამ უძლიერესი ბუნებრივი ვნების წარმომადგენელია, განმარტებულია საზოგადოების წიაღში, მაგრამ დღევინყარია ამიტომ, რომ ეკუთვნის მართლაც ბუნებას.

რომანოს მხოლოდ მორტიე წაკითხვას შე-უძლია მოვლეს გოლზუორთის ირიბი მხატვრუ-ლი მეთოდის შესახებ სწორი წარმოდგენა. გოლზუორთი წინა პლანზე ალაგებს ყურადღე-ბით შესწავლილ ხასიათებს. ძირითად ამბავს („მესაყურეში“ — სიყვარულის ამბავს) გვა-ტოვონებს არა პირდაპირ, არამედ ამ ხასიათთა გამჭორ. გოლზუორთი რამდენიმე ხასიათს აფე-შავებს ერთსა და იმავე დროს. ტრავედიული ფიგურების გვერდით აგებს ძალიან ჩვეულებ-რივს და ზოგჯერ კომიკურ ხასიათს. ასე, მაგა-ლითად: აირინისა და ბოსინის შეხვედრა რომან პოლის სახლის შენების პერაოდში სამოცდაათი წლის მოხუცი სუითინის თვალში არის დანა-ხული და ამ ამბავს ვეცნობით სუითინის ტა-პაურ მოთხორობაში ტიმოთის „პირაჯეუ“. ერთ-სა და იმავე დროს ჩანს ორი მიჯნური სინამ-დვილემაც და სუითინის შემეცნებაშიც და, მე-ორე მხრივ, ესწავლებთ თვის სუითინს — ინ-გლისელს, რომელიც თავისი გამოვლინებული ფუნდამენტური ინსტიტუტით შეიჯრძნობს გან-საკლებლს. ამგვარად ვაღმოცემული ამბავი შე-ტი სიხალის შთაბეჭდილებას სტრუქტურს (რადგან პირდაპირი მეთოდის ხმარებისას მხოლოდ გან-მარტდებობა სიყვარულის მართლდულ და ნიკნობ ისტორიათაგან). უფრო მართალია (რადგან სიყვარულის ამბავი არ არის გამო-ცალკევებული დანარჩენი ცხოვრებიდან, არა-მედ მოკლე მითითებით ვერძნობთ მის პერ-მანენტულ და დამაჩერებელ არსებობას) და უფ-რო მოძრავე და პრაქტიკური (რადგან იგი და-პირისპირებულია ტრავედიულ რეალბასთან). ამბავი ასეთ შთაბეჭდილებას არ დასტოვებდა, პირდაპირი მეთოდით რომ ყოფილიყო ვაღმო-ცემული. ამგვარად ვაგვიღიან ხოლმე ერთნი მე-ორეთა თვალეში, როდესაც მათი იდენტობის ატმოსფეროს დაეცა საჭირო, და ამ ზედვის შესაბამისად იცვლიან სახეს: სუითინის თვალში ვაგვიღიან აირინი უფერულია, მაგრამ აირინის მიზიდველობა, სიღამაზე და ვნების კვალი მოჩანს მაშინ, როდესაც იგი კაბეუა ყოლიონის თვალში ვაგიღის. გოლზუორთის ხელოვნებას მართავს ის იდეა, რომ ადამიანის შინაგან

ცხოვრება მხოლოდ ცალკეულ ფიგურებშია ხე-ხით ჩანს და ჩვენ მას პირდაპირ არასოდეს ვხედავთ. მაშასადამე, არც შეიძლება ვთქვათ პირ-დაპირი ასახვა. ვარდა ამისა, *„The Picture of Dorian Gray“* მოძრავე ქვეყნის ნაწილია, არც ერთი ფიგურა არ ჩნება განცალკევებით, სხვა ფიგურათა თვალში არცვლის ვარემე, ამიტომ მისი შეს-წავლაც არ შეიძლება ცალკე და მისი დღიხანს განცალკევებით დატოვება შეუძლებელია. ცხოვ-რების განსაკუთრებით ვინებრივი ცხოვრების გაღმოცემა არ შეიძლება შეტყველების ტერ-მინებით. სიტყვებისა და ფრაზების ლოგიკური ასოციაციები ვერ ვაღმოსცემენ იმას, რაც შევ-რითინის თქმით, „ერთსადამივე დროს სრუ-ლიცა და ურამგმენტულიც მდინარიც და მყარიც, მარტივიც და რთულიც აზრისა და გრძნობის ყოველ მომენტში“. ამიტომ არა ფორმებისა და ფერების ხატვას, არამედ მი-ღებულ ცვალებად შთაბეჭდილებათა ჩაწერას შეუძლია სულიერი ცხოვრების თარგმნა სწრაფ-მსრბოლი ვარადიციებით. შეერთიონი ამტკუ-ნებს, რომ გოლზუორთი მიმართავს ბერესო-ნის ინტუიტურ მეთოდს: მოუწოდებს შეი-თხველის წარმოდგენას შეავსოს ხარვეზები, შემოიტანოს ვახანგრძლივების (durée) ელე-მენტ, სპირიტუალური მდინარება (რომელიც არ შეიძლება დატვირთ იქმნას), რათა ვაღმო-ცერს ცვალებადი მომენტებისაგან შემდგარი ხასიათის ფარული ცხოვრება. მწერალს შეუძ-ლია მხოლოდ თინშიმდგვრობით აღნიშნოს ამ ცხოვრების პირობითად მყარი მომენტები და და-ნიშნოს მათი მიმართულების ხაზი, მაგრამ მას არ ძალუბს ვაღმოვცევს მისი არსი, რომელიც არის ძალა — მოძრაობაში, ძალა — მოქმედე-ბაში ვადასული.

გოლზუორთის ხელოვნებაში ვარევეანი ზაჩი სიმბოლურ მნიშვნელობას ღებულობს, რათა შინაგანი გვლმოსცეს. რეალური უეცრად სიმ-ბოლური ხდება, ჩვეულებრივი წერტილმანს უც-ნაური მნიშვნელობა ეძლევა და არქიტეალისტა გოლზუორთი სიმბოლისტად იქცევა. გოლზუორ-თის აბასიათებს სიმბოლიზში, მაგრამ ამ სიტყ-ვის პირდაპირი და არა ლიტერატურულ-სყო-ლური მნიშვნელობით. ფიგურათა თითქმის ყო-ველ მნიშვნელოვან მოძრაობაში ხმარად გოლ-ზუორთი სდებს ორმჯე აზრს, რომლისგანაც ერთი სიმბოლური აზრია. გოლზუორთი სიმ-ბოლურს (შეიძლება ემბლემატურსაც) ხდის თავის უმთავრეს ფიგურებს. უპირველეს ყოე-ლისა, ჩვენ ვხედავთ ეპოქალურ ემბლემატიკის: მესაკუთრე ფილისტერა სოამისი — ეპიტო-რისი ეპოქის ემბლემია, ლიბერალი კაბეუა ყო-ლიონი — ელვარქის ეპოქისა, ცინიკოსი პრე-ფონი იმედგატრეხულ, ომისშემდგომ რეკლისს წარმოდგენს და მოუხვენარი, ციკლ-ცხელები-ნი ფერაი — ღებუდაყარგულ თანამედროვე საუკუნეს. ამჯე დროს: სოამისის სახლი რომინ პილი ღდას, როგორც საკუთრების სიმბოლო:

ზოოლოგიურ პარკში დატყვევებულ გარეული ცხოველები სიმბოლურად გამოხატავენ ბუნებას ფორსაიტების მიერ გალაშქრებულ ჩამხლებს, სოთმისისა და აირინის დღეობა არაა მარტოვი ჩხუბი ცოლსა და ქმარს შორის, არამედ, ერთი მხრით, სწესთა მარადიული ბრძოლაა, რომელიც ქალის ემანსიპაციით უნდა დამთავრდეს, მეორე მხრით, ეს უფრო მაღალი ინტელექტუალური პრობლემის აღნიშვნაა: აირინი სილაშაზის სიმბოლოა. სოთმისი — საკუთრების გრძნობის სიმბოლოა. სოთმისი შეიცვალა ბოლოს, რომ სილაშაზეს აქვს სპირიტუალური არსი, რომლის დაწყობა შეუძლებელია თავის განწირვის გარეშე. ამ სიმბოლური გადაწყვეტილებისას გოლზუორთის შესაძლებელია მხედველობაში ჰქონდა ქრისტიანული ფორმულა, რომ ნებაყოფლობითი მსხვერპლის გულგებლად არ შეიძლება არაფრის მიღება. სილაშაზის დაფუძნებისათვის უნდა შესწიროს შენი სამფლობელოები, შენი საგნობრიობის კონცეფცია. ამ თვალსაზრისით ფორსაიტები მარტოოდნ წარმართულ თვისებით ყოფილან აღუბრუნელი და ქრისტიანობა მათთვის წარმოადგენს არა რეაგისა, არამედ სოციალურ იმპერატორს. ქრონიკების ძირითადი სიმბოლიზმის გახსნა გეაწყენდის ამგვარ აზრს გოლზუორთის თვალსაზრისის შესახებ. აქ ზელოვანი დგება ქრისტიანული მორალის სამსახურში.

აირინი როგორც ცოცხალი ადამიანი, წიგნები რჩება ამ სიმბოლურობის გამო: იგი სტოეებს არარეალური არსების შთაბეჭდილებას, მაგრამ გოლზუორთის აირინის სხივით არც ჰქონია ფიზიკური რეალობის გადმოცემის განზრახვა, არამედ, როგორც ჩანს, მას მორალური რეალობის გადმოცემა სურდა. ამით მართლდება რომანისა და ალეგორიის ის შეუთავსებლობა, რომელიც უთუოდ იგარბნობა „ფორსაიტ სავაში“. მაგრამ „ფორსაიტ სავაში“ არის ერთი ადგილი, სადაც ხასიათების შინაგანი მნიშვნელობა ფიზიკურ რეალობად ვლინდება, სიმბოლიკა და ემპირიკა ერთიანდება. ეს არის „ფორსაიტის უქანასკნელი ზახხელი“. სილაშაზის მიმართ მგაბრძობარე მოხუცის უქანასკნელ დღეებში რეალურ აირინს მართლაც შეუძლია დაიჭიროს იმავე დროს სიმბოლური ადგილი და არ შეჰქმნას მხოლოდ ალეგორიის შთაბეჭდილება.

ცნობილია, რომ გოლზუორთი დრამატურგს მიზნად უსახავდა მორალის გამოტანას დღის სინათლეზე. ეს მან „შესაკუთრეშიც“ განახორციელა. მაგრამ მორალის ამგვარი გამოტანა, რაც ნიშნავს პრობაგანდას, გოლზუორთი ტექნიკურ საშუალებად აქცევს: ეკონომიური და სოციალური იდეებისაგან ის ავებს ბაზისს და მასზე აშენებს ადამიანური ენებისა და სისუბტიის სტრუქტურას. მაგრამ ამ პრობაგანდისტისთვის იგი, ბერნარდ შოუს მსგავსად, დიალოგს კი არ აუყენებს, არც ხასიათებს, არამედ სიტუაციებს,

რომლებიც თვითონ შეიცავენ მორალს. მწერლის დრამატურგიული ნიჭის წყალობით... დიალოგი გოლზუორთის რომანებში... გულზუორთი შეტყვევდა და საოცრად ეკონომიურად სიტუაციის მხრივ. გოლზუორთის სურია, რომ ეფექტური დიალოგი დამოკიდებულია სიტუაციათა ეკონომიაზე, ილუსტრირების ძალაზე, ხასიათის პირდაპირ გახსნაზე.

„ფორსაიტ სავას“ დიალოგი გვიჩვენებს „ხუსტი სიტუაციის“, ანუ შესაფერის ფრაზის, აღწერალობითი წინადადების, გონებათმეტვილობის ფორმითა ძიებას. „თანამედროვე კომედიაში“ დიალოგისა და საერთო თხრობის დამუშავების ხასიათი იცვლება. გოლზუორთი სრულყოფის წელი ძიების ნაცვლად უზრუნველად წერს და მხოლოდ შემდეგ ასწორებს ნაწერს. ეს განსაკუთრებით „ვერცხლის კოვზის“ ეტყობა. იმავე ნიშნა მისცა მას „ფრანდის“ ბრწყინვალე გრძნობა: ცალკე თავები, ნაწილები და რომანები მუდამ ექსპრესიულად თავდებიან, ისეთ ადგილებში და იმგვარად, რომ მკითხველის თვალწინ მეთრდება ნაწარმოების მთელი შთაბეჭდილება. თვალდაპირველი ხელნაწერებიც ამეღებებენ ამ თვისებას: ისინი „ფრანდის“ მომენტში თითქმის სრულიად არ არიან შესწორებული. რომანისტიკისა და დრამატისტიკის ურთიერთობა კიდევ უფრო შორს მიდის: გოლზუორთიმ თავისი დრამა რომანის მოქნილობამდე მიუყვანა, მაგრამ თავისი რომანებიც დრამატული კონფლიქტის წესებზე აყვას: „შესაკუთრე“ ზვეულებრივი სამკუთხედის წესზეა აგებული (სოთმისი — აირინი — ბოსინი), „მარკუეში“ იმ ვე სამკუთხედს სხვაგვარი ხასიათებითა და ურთიერთობით გვიჩვენებს (სოთმისი — აირინი — ქაბუკი ქოლინი), „ჰირავდება“, შექსპირის „რომეო და ჯულიეტას“ მსგავსად, წარმოვიდგინოს ორ, საგვარეულო სიძულელით დევნილ მიგნერს (რომეო-ქონი, ჯულიეტა-ფლერა, ლედი აირინ-კაბუკი, სოთმის-მონტეკი), „უფთრ მიომენში“ ისევ სამკუთხედიან: შაიკლი, ფლერი, უილფრიდი, „ვერცხლის კოვზში“ — ორი ქალი კონფლიქტი, რომელშიც ორი ოჯახი ებმება, „გედის სიმღერა“ განახლებული დადგმა „რომეო და ჯულიეტას“ სოციალისტისა შეცვლილ პირობებში.

როგორც ზელოვანი გოლზუორთი სიტუაციისა და ატმოსფეროს შედარებელი ოსტატია, ხასიათები, მიუხედავად მათი სიციქლისა, შინა ცუფრო ტიპოურებია, ვიდრე ინდივიდუალურები. უფრო ნაცნობები, ვიდრე შეგობრები და, თავის თავის განმეორების გამო, მკორეც მონოტონურებიც. შეიძლება ამგვარი შთაბეჭდილება გოლზუორთის შემოქმედებითი მეთოდის ბრალია, მეთოდისა, რომელიც მას ნების არ აძლევს შოაგანდის საგანგებო ფსიქოლოგიური ანალიზი, არამედ ფსიქოლოგიური ვარიაციები მხოლოდ გარეგანი მანიფესტაციებით გვაგარბნობინოს. შეიძლება გოლზუორთის სი-

ცივიც კი დააბრალონ და გადაკარბებულნი თავდაპირველად, მაგრამ იშვიათი შემთხვევებით, როდესაც იგი თავის თავისუფლებას აძლევს, გეიტაკიციენ, რომ მისი ეს თავდაპირველი უძლიერობის ნიშანი კი არ არის, არამედ მას, როგორც ინგლისელს, საჭიროდ მიიჩნია. განსაკუთრებით ენების ატმოსფეროს ვადმოკვების დროს არის იგი ძლიერი. ამის მაგალითად შეიძლება დავასაბულოთ სტენა „მუსიკალური“ კერე ნაწილის დასასრულს, როდესაც აირინი დაბრუნდა ბოსნიისგან და სუნთქავდა, „როგორც ახლად გალილი ყვავილი“.

სიტუაციის გრძობის ვარდა, გოლზუორთი ატმოსფეროს გრძობით არის დაწილდებულ და ეს მისი არაჩვეულებრივი საერთო მგრძობიარობისგან მომდინარეობს. ამ მხრივ იგი ნამდვილი პოეტია, ისევე როგორც სიტყვების შერჩევისას. მისი ენა არ არის პუტისტული. იგი, ერთი შეხედვით, წინადადებას აფუჭებს, ხშირად ხმარობს უხეშო წინადადებებს, რომლებიც იწყებიან „და“-თი. სიტყვათა მნიშვნელობის ცოდნისა და მათი გამოყენების თვალსაზრისით იგი დიდი ხელოვანია. გოლზუორთი საესეებით იყენებს ინგლისურ ენას, რომელიც საერთოდ ძლიერ მოქნილია და გოლზუორთის ხელში კი საჭიროებისამებრ ორბარუნდულიც. სიტყვებს გოლზუორთი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. „სიმშვიდის თავშესაფარის“ წინასიტყვაობაში იგი წერს: „სიტყვებს უნდა ჰქონდეს ეფონიისა, ასოციაციისა და მოთვლიდნელობის მაგიერობა“. მხოლოდ ეფონიური მოსაზრებით გადაასწორა მან „ჭირადღებამ“ პირველ თავში მიიღო ჰეიბერნი შიკლ მონტად.

შალიტის აზრით, გოლზუორთი ხშირად იყენებს კონტრასტებს: სიმდიდრე — სიღარიბე, საკუთრების ინსტიტუტი — იდეალიზმი, ეგოიზმი — თავის დაიწყება, სიყვარული — სიბრძნეობა, და ასე უსასრულოდ.

ბალზაკს თავისი რომანების „ადამიანურ კომედია“ გავრთიანების იდეა დაებადა რამდენიმე მთავრის დაწერის შემდეგ. გოლზუორთისაც რომ არ ჰქონია თავიდანვე რომანების ერთიანი კლასის დაწერის განზრახვა, ამის უტყუარი საბუთი ის ინტერვალია, რომელიც „მუსიკალურისა“ და მის მიმდევრო რომანს შორის მდებარეობს. მაგრამ თუ ბალზაკს უკვე დაწერილ რომანებში გვირების სახელების გაიგივება მოუხდა, გოლზუორთის ეს არ დასკირებია. გოლზუორთის წესად ჰქონდა რომანის დაგეგმა მისი წერის დაწყებამდე. ამიტომ მცირეოდენი წინააღმდეგობის აღმოჩენაც კი არ შეიძლება მისი რომანების მიმდინარეობაში. მათი გეგმებიც ისევე ელასტიურია, როგორც

ავტორის ფორმის გრძობა. როგორც გეომეტრიკელებს, ფორსაიტების ჭარბიკების ხელნაწერთა ანალიზი (რომლებიც ბრიტანურის შემდგომს გადასცა თვით გოლზუორთის) მშვენიერად უნდა რომანის დასრულების შემდეგ იგონებდათ გოლზუორთის რომანები შინაგანად შეიცავენ სიმბოლურ აზრს, ეს სათაურებს მით უფრო ევალებოდა. ამიტომაც ვახვდება სათაურების მრავალი გადაკეთება.

მათე თავის ხელნაწერი რომანისა „მარსულები“, გვიჩვენებს, თუ როგორ მუშაობდა გოლზუორთი ღრმა აბსტრაქციებით: ჯოლიონის კამათი ჯოლისთან შემოქმედებითი პრინციპის შესახებ დაწერილია ცალკე ფურცელზე, თავის დამთავრების შემდეგ. როგორც ჩანს, გოლზუორთი მკაცრ აბსტრაქციებს თემისა და ხასიათის შექმნის ციხე-ციხელების გარეშე ჰქმნიდა, დამწვინდებულ გარემოცვაში.

გოლზუორთის ვარტეგულად მიუჯერებელი ხელოვნება არ არის ხელოვნება მოსამართლისა, რომელიც უგრძობლად სწავლის მოვლენის pro და con-ებს. მისი ფესვები იმის ღრმა შეგნებაში მდებარეობს, რომ ყველა — მკაცრელებიც და ჩავრულებიც — იმპერსონალური სოციალური ძალების მსხვერპლი არიან — კანონის, საკუთრების, ინდუსტრიული სისტემისა და სხვა ძალებისა, რომლებიც, როგორც ვიცი, კაპიტალისტურ სისტემას ახასიათებენ. ეს აბსტრაქტული ძალები გოლზუორთის ნაწერებში იმავე როლს ასრულებენ, რაც ბედისწერას ვიხსენებოდა დიდი ბერძენი დამატურგების ნაწერებში. ამით აიხსნება ადამიანის ხასიათისა და მისი ქცევის ფატალისტური ვაგება, რომელიც გარკვეულ სოციალურ სიტუაციაში ბუნებრივია. მსგავსი კონცეფცია აქვს გოლზუორთის ადამიანის იდეალის შესახებ სამყაროში, იმ ძალების უსიტყვო მიღება, რომლებიც ადამიანის ცნობიერების გარეშე არსებობენ, ან რომლებიც სათამაშოდ აქცევენ ადამიანს და ბოლოს კი სრულს. ეს კონცეფცია ბოლოს, განსაკუთრებით მის უანასკნელ ნაწერებში, გაანელა ერთგვარმა წარმართულმა მისტიციზმმა, რომელშიც თავი იჩინა ბუნებასთან შეხებისას, სილამაზისა და სიცოცხლის საიდუმლოების შეგრძნებაში.

ჩვენ ვიცი, რომ ფატალიზმი სოციალური ძალების მიმართ გოლზუორთის კლასიციზი შეზღუდულობით აიხსნება: მწერალი გრძობდა და ასახავდა კაპიტალიზმის გამანადგურებელ სოციალურ ეფექტს, მაგრამ ვერ იხედებოდა თავისი განწირული კლასის საზღვრებს იქით და გამოსავალი ვერსად პოულობდა. ბუნებასთან შეხება და სიცოცხლის იდუმალი სილამაზის გრძობა კი მეტად წარმოსახვითი გამოსავალი იყო.

პოეტის გულიდან

კოლაუ ნადირაძეს, როგორც პოეტს, ვრძელი და ძიებით აღსავსე შემოქმედებითი გზა იქვს განვლილი. მისი პოეზია ყოველთვის განირჩეოდა სამყაროს თავისებური აღქმით. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კოლაუ ნადირაძის შემოქმედებითი გზა არ ყოფილა სწორბაზოვანი; ჯერ კიდევ რევოლუციამდელ პერიოდში საკმაო ხარკი მიუზღო მან სიმბოლიზმსა და იმ დროის სხვადასხვა მოდერნისტულ სკოლებს; მაგრამ 20-იან წლების მეორე ნახევრიდან პოეტის შემოქმედებაში უკვე აშკარად იგრძნობა სურვილი ცხოვრებაში მომხდარი სოციალური ძვრების სწორად გაგებისა და შეფასებისა; პოეტი ცდილობს მიიღოს მონაწილეობა იმ დიდ გარდაქმნებში, რომლებიც საზოგადოებრივი ცხოვრების უველა სფეროში შეინიშნება და თავისი პოეტური სიტყვა ხალხის სამსახურში ჩააყენოს. ერთ-ერთ თავის საუკეთესო ლექსში — „პოეტს“ იგი ამბობს, რომ პოეტს უნდა ხიბლავდეს „ბრძოლის ცეცხლი, ხალხთან ერთობა“, რომ ეპოქის სუნაქვა უნდა ასაზრდოებდეს პოეტის სულს.

კოლაუ ნადირაძის შემოქმედებაში ყოველთვის დიდი ადგილი ეკავა ისტორიულ თემატიკას. წარსულის სურათებია დახატული ლექსებში „ასპინძის ომი“, „ფიქრები კრწანისზე და მინანა ორბელიანზე“, „წიწამურიდან საგურამოში“ და სხვ. პოეტი ცდილობს დაამყაროს ურღვევი კავშირი საქართველოს წარსულსა, აწმყოსა და მომავალს შორის. ლექსები „განახლებული ქუთაისი“, „თბილისის გამორღეძება“ პატრიოტული აღმავლობით და შთაგონებით დაწერილი ნაწარმოებებია, რომლებშიც იგი უმღერის აღორძინებულ და განახლებულ ქუთაისს, ორბის ფრთხილით გაშლილ დედაქალაქს.

კოლაუ ნადირაძის ლექსებისათვის ყოველთვის დამახასიათებელი იყო საოცარი გულწრფელობა. იგი ყოველთვის იმაზე სწერდა, რაც მისი გულსათვის მახლობელი და სათაყვანებელი იყო.

იგი იმ პოეტთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებ-

შიც ერთხელ არჩეული გზიდან არ გადაუხვევენ და ბოლომდე ერთგული რჩებიან თავისი მრწამსისა და ესთეტიკური იდეალებისა.

ამის საუკეთესო დადასტურებას წარმოადგენს კოლაუ ნადირაძის ლექსების პატარა წიგნაი, რომელიც გამოცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“ მიაწოდა შეიხვევს.

სწორედ თავისი პოეტური მრწამსის ერთგულებაზე ლაპარაკობს პოეტი ლექსში „ჩემი სათქმელი“, რომლითაც ეს კრებული იხსენება. იქ იგი ლაპარაკობს იმაზე, რომ შთაბეჭდილი, უპტიკესი რწმენის მომცემი ყოველთვის იყო ხალხის, სამშობლოს საყვარული:

ტანჯვის, ტყვილის
გადატანა იყო ადვილი,
რადგან მე მწამდა
მხოლოდ ერთი
ღმერთი ნამდვილი,
მხოლოდ ერთი,
ნამდვილი ღმერთი
ჩემი მამული
მისი ენა
სიტყვა ქართული —
ჩემი მამული,
ჩადენილი
და გამართული...

რაზეც არ უნდა წერტეს პოეტი, მისი ფიქრები, ოცნებები ყოველთვის საქართველოს, მის წარსულსა, აწმყოსა და მომავალს დასტრიალებს, ამიტომ იგი სრულიად დამსახურებულად ამბობს სამშობლოს შესახებ:

მას ვანაცუალე
და შევიჩრე
რაც კი შეზადა:
ჩემი ოცნება,
ფიქრი, ცრემლი
და ჩემი გული —
შევიჩრე რათა უფილიყო
მხნე
და დღეგრძელი...

...ეს არ არის პოეტის ლიტონი სიტყვები. მისი ლექსების ყოველ სტრიქონში სამშობლო-

სადმი დიდი სიყვარულია ჩაღვრილი. ავიღოთ თუნდაც მისი ლექსი „ასი წლის შემდეგ“. ამ ლექსში ვალმოხდელი პოეტი მხოლოდ იმაზე დარდობს, რომ მას შემთხვევა არ ჰქონია სი-
კოცხლე სამშობლოსათვის შეეწირა:

ვერ ვემსახურე ჩემს ქვეყანას ხმლითა და
შკაღვით—
სულ სხვა დროს გავჩნდი, მუხრანადი არ
მცნია გმირის,
ვერ შევეწირე, მამულისთვის ვერ დავდე
თავი
და ვერ ვიგეშე მისი მტრების მახვილის
პირი.

პოეტმა ისიც კარგად იცის, რომ სიყვარული და არა სიძულვილი, მუგობრობა, და არა მტრო-
ბა უოველგვარი სიყვითის სათავეა. ამიტომ იგი ამავე ლექსში წერს:

და ეს იწამე: სიყვარული სასწაულს
შბადებს...

საბჭოთა ლიტერატურას ჰყავს მწერლები, რომლებსაც საკუთარი ინდივიდუალობა, სა-
კუთარი სტილი აქვთ. ამის დადასტურებას წარ-
მოადგენს თუნდაც, კოლაუ ნადირაძის თავისე-
ბური შემოქმედება. ჩვენ შეიძლება გავიზიაროთ, ან არ გავიზიაროთ კოლაუ ნადირაძის ლექსების თემატიკა, მოგვეწონოს ან არ მოგვე-
წონოს მისი გამოსახვითი ხერხები და საშუალე-
ბანი, მაგრამ ერთი კი უდავოა: მას გააჩნია სა-
კუთარი პოეტური ხმა და სატულიად განსხვავე-
ბული პოეტური სამყარო.

პოეტმა საუკეთესო ლექსები უძღვნა ირანის დიდ პოეტებს — „ომარ ხაიამ“-ი და „საადი-პა-
ფიზ“-ს.

ლექსი „ომარ ხაიამ“ ნათელი სევდით არის გამსჭვალული:

მაგრამ... დღეს სევდამ, შენმა სევდამ
წამილო, ხაიამ,
და აღარ მშველის აღარც ღვინო
და აღარც ლექსი!
ო, აღარც ლექსი და აღარც ღვინო
არ მშველის, ხაიამ!

ახლა სასაცილოდა გვიჩვენება გულუბრყვი-
ლო აზრი იმის შესახებ, რომ სევდა, და თუ
გინდათ პესიმიზმი, უცხო არის საბჭოთა ადამი-
ანისათვის. რაკიმიზმი, სიხარული არ არსებობს
პესიმიზმისა და სევდის გარეშე. ვინც ერთი არ
განიცადა, ვერც მეორეს განიცდის, ამიტომ ერ-
თი ან ორი ვაი-კრიტიკოსი ვერ წაართმევს პო-
ეტსა და ადამიანს განცდის უნარს, განცდები კი
მწუხარებისა, დარდისა და სევდის გარეშე წარ-
მოუდგენელია.

ძალზედ სინტერესო პრობლემაა დაყენებუ-

ლი და გადაჭრილი ლექსში „საადი-პაფიზი“.

ძნელად ურთიგდებოდა ადამიანის გონება იმ ფაქტს, რომ იმ ხალხმა, რომელმაც აწარმოა საადი და პაფიზი, ომარ ხაიამი და ფირდოუსი, რომლის წიაღშიც შეიქმნა ნაწარმოებები კაცთ-
მოყვარობის, უღამახესი და უწმინდესი გრძნობებით აღსავსე, რომლებშიც ჩანს ადამი-
ანის სულის მთელი სიდიადე, წარმოშვა შამ-აბა-
სები, ამხედრა სხვა ხალხის კულტურის მოსას-
პობად გამახადებელი ავახაკთა ურდოები. იმ
როგორ ვადმოგვეცეს ამ აზრს კ. ნადირაძე:

თქვენ ვერ
ხელაღვლით
თქვენს მოამეთა ავახაკობას,
შამ-აბასების ვერავობას,
ხალხის მოსპობას...
საადი-პაფიზი,
თქვენ ამში არ გიღვეთ ბრალი!
მაგრამ მიხილავი
თქვენი ლექსის
სიტყვო და ალი
ნეთუ არ ჩაწედა
ბარბაროსებს
ღვთაებრივ ძალით
და ვერ გაათბო მათი გული,
ბედჯრული გული,
რომ ამოწყდელი
კვლავ აქაქაშში
ჩაეგვით ხმალი?

ამ კითხვაზე პოეტი იქვე პასუხობს:

ავაჩაყებს და
კაცთმოძულეთ
მარადიული
როდის უვრჩენიათ
პოეზიის
მადლი ციერია?!

თუმცა კოლაუ ნადირაძე მხოლოდ და მხო-
ლოდ პოეტებს მიმართავს, მაგრამ ასეთი მიმარ-
თვა მართლებული იქნებოდა გოეთესა და ში-
ლერის, ჰაინესა და ბუთოვენისადმიც. გერმა-
ნელმა ხალხმა კი ხომ ჰქონდა აწოვა მათ, შექმნა
უდიდესი კულტურა. მაგრამ იმავე ერმა წარ-
მოშვა პიტლერი, რომელიც მსოფლიო კულტუ-
რას დანგრევით ემუქრებოდა.

ამიტომ კოლაუ ნადირაძის ლექსი „საადი-პა-
ფიზი“ დიდი განზოგადების მქონე ნაწარმოე-
ბია.

კრებულში მოთავსებულია ლირიზმით აღსავ-
სე ლექსები — „სავაზაფხული“, „შეხვედრა“,
„ნიკოლოზ ბარათაშვილი“, „ზღვა შავიდაზე“,
და „ასი წლის შემდეგ“, რომლებშიც აისახა
პოეტის პატრიოტული სულისკეთება, მშრომე-
ლი ხალხისადმი პატივისცემა და სიყვარული.
კრებულში მოთავსებულია კ. ნადირაძის ახა-

ლი პოემა-იუმორესკა „სოფლის ამბავი“. ჩვენს ახრით იგი წარმოადგენს ბურლესკულ პოეზიას ნიშნებს, იგი კლასიკური პოემის პაროდიას წარმოადგენს, სევდანარევი იუმორით გაღმოგვეყვამს ხასიახული კაცის დავეინებულო საყვარლის ამბავს.

პოემაში თუმა გვხვდება კოლორატულად დაწერილი სცენები, მაგრამ მასში დიდ დეკორატივად, აგრეთვე, ვალესილ პროზაიკულ სურათად კი პოემა გამსჭვალულია სიცოცხლისადმი დიდი საყვარელით.

დ. ქაშინივილი

პოეტური ფიქრის სიცოცხლე...

ქვეყნად ყოველი მოვლენის სიცოცხლე უშეალოა და ბუნებრივი, ამასთან შეტყაველებად ხანდახმული და წარმავალია. პოეტური ფიქრი კი, როგორც ზემთაგონებელი აღფრთოვანების შედეგი, უშეალოა და ეყვალხად, მოციოგე ფერებით, ათასგვარი ზმებოთა და ზგერებით აღსავსე, და ამგვარი ფიქრის სიცოცხლევ ვრძელდება დაუსრულებელად...

ახე ორგანულად ეწევა პოეტურ ფიქრში იმგადახდილი კაცის განსდები და ტყვილები, სიხარული და სულეობი ღტოლვა, სამშობლოსადმი თაუდადება და ერთგულება, რაც შეადგებს ლაღო სულაბერიის ლექსების ახალი წიგნის პათოსსა და შთამავონებელ თემას.

სარეცენზიო წიგნში წარმოდგენილია პოეტის შიერ უკანასკნელ წლებში დაწერილი ლექსები და ერთი პოემა „სეკვანთან“, ლექსების დიდი ნაწილი ომის გამოძახილია, ქარიშხლისაგან ნარბევი გულის ამონამღერია, ოდესღაც განცილები მწუხარების შელოდია. აქ შეტყველებს მხოლოდ გრძნობა, რომელიც ისე სავსე და ხალასია, რომ არ საჭიროებს გამოსახატავლ საგანგებო პოეტურ სამკალებს. იგი შეტყველებს თავისთაუად, და ამდუნად კიდევ უფრო ძლიერია ამ გრძნობის ზემოქმედების ძალა და ეფექტი.

წიგნში ლექსები არაა დაყოფილი თემატიკურ რკალებად, მკითხველს მკაფიოდ ესაბება თვითონ ლექსის იდეური ჩანაფიქრი, ამასთან თემატიკური სიახლე და აქტიურობა როდი ეკლია რომელიმე მათგანს!

ლაღო სულაბერიის ყოველი ლექსი პოეტის ფიქრისა და განსჯის ნაყოფია. მის შემეტყვნებაში შემოღის მრავალმხრივობა ცხოვრებისა, რომლითაც ცხოვრობს არა მხოლოდ ავტორი, არამედ შთელი ხალხი.

ლექსი „წარწერა დელაქრუს სურათზე“, რომლითაც წიგნი იხსნება, გაღმოგვეყვამს თვისუფლებსათვის ბრძოლის დიად იდეას:

თავისუფლება შემომდგარა ბარკიანაზე,
შეკრდვალული ქალს წაფრენია ბალლი
კალთაზე,
ის მიუძღვება ამხდრებულ ღარიბ-ღატაკებს,

დ. სულაბერიძე, „ლექსები“, „საბჭოთა საქართველო“, 1965.

თავისუფლება შემომდგარა ბარკიანაზე.
თვალერმლიანი მოპყვებიან მეამბოხენი...
არა ორგინს, არა ბოქმის, —
მშვენიერების სული ყალუზე შედგა
ბორკვითა,
და ისმის მსხერევა მძიმე ბორკელთა.

თითქოს ეს „მსხერევა მძიმე ბორკელთა“ პრელუდიაა თავისუფლებისათვის იმ დიდი ბრძოლისა, რომელიც საყუთარი მხრებით ზიდა პოეტმა და მისმა თაობამ; ამ თაობის სულეობი ბიოგრაფია კი ესოღენ რელიეფური გამოთხატა ომისდროინდელ ქართველ პოეზიაში...

ლაღო სულაბერიძე პირველ შემოქმედებით სიხარულს ეხიარა ჟერ კიდევ ომის წინა წლებში. მაგრამ ომმა, როგორც ბევრ სხვის, მასაც ჟარისკაცი ფარაჟა ჩააცვა და სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩააყვანა. იგი ომიხიანად, მგზნებარედ მღეროდა სამშობლოზე, იმ საარაკო გმირობაზე, რომლითაც თვითთული პატრიოტი სამშობლოს აცაედა ვერაგი მტრის ზელყოფისაგან. ბუნებრივია, მისმა თაობამ ბეერი რამ ნახა და განცადა, ზოგის სიცოცხლევ კი ვასწირა, ზოლო ის, ვინც ომიდან დაბრუნდა, თან ჩამოიტანა გმირულად დაყვულთა ხსოვნა, და შეგნება იმისა, რომ ომი ყველაფერის დამანგრეველი და მომსპობია, სამინელებათა შორის ყველაზე დიდი სამინელება და ბორბობაა და ამიტომ ვასაკვირი არაფერია იმაში, თუ იმგადახდილი პოეტი დღესაც წერს ლექსებს, რომლებიც გამსჭვალულია ომისადმი სიძულელის პათოსით, განადიდებენ შრომისა და მშვიდობის, როგორც საყუთისა და მშვენიერების წყაროს.

სუფეტიანი ლექსში „ობელისკები“ საუბარია სწორედ იმ ჟარისკაცებზე, რომლებმაც სამშობლოსათვის დასდეს თავი:

ობელისკები დგანან ზვიდად,
დგანან და პირქვე არ ვარდებიან,
შუბა წვერები აუბრქვევილდათ,
ჩახიანა მზეზე ვარჯარდებიან.
ობელისკები სუნთქავენ მძიმედ,
ბალახებს ქელავს აგვისტო ცხელი,
მისძინებოათ შორეულ წვიმებს,
რტოთა შაროს ურბევენ ზენი,
სამამულე რქა აყროათ ეაზებს,

აბრღებულა რქა სამამულო,
ობელსკების წვეტიან თავზე
დაუკეციოთ ფრთები ამურებს.

პოეტის სინანული უნაპიროა, როცა იხსენებს ომის დროს უკვალოდ გაპარალთ, რომელთა სახელები არც ობელსკზე დარჩა წარწერად...

სამშო საფლავიც აღარ ეღირსა,
ბელმა გარცია აგრე მშათავან.

რადღენ ძლიერად ეღერს ოპტიმისტური
აკორდი, რომელიც პოეტმა ლექსის ბოლო
სტრიქონებში გააბმავან:

თუ დაიკეპეს, შესძრავენ ბმულეთს
გარინდებული ობელისკები.

ლექსში „ომი და ჩემი პატარა სახლი“ ავტორი კვლავ ომის თემას უბრუნდება. მაგრამ აქ განიცდება არა ნამდვილი და უშუალო, არამედ უკუფენილი ამბავი. პოეტი თბილისის ერთ-ერთ პატარა უბანს შეფარებია, აქ მისი სახლია, მისი პატარა ოჯახი, შინ მშვილობა სუფევს, გარეთ ვახუშტულია და ქადრები უშფოთველად მბასობენ ნიათთან, მაგრამ:

ტელევიზორის კინოკადრებით
ჩემს მშვიდ ოთახში შემოდის ომი.

და პოეტიც შორეულ მოგონებაში მიჰყავს ამ სურათს:

წამს გავიხსენებ შორეულ ნგრევას,
წამს მაგონდება ვიღაც და რაღაც.
მე ჩემი სახლის კარებთან ედგაყარ
და არ მეხლება აზოვის ტალღა.

გეომარულ ლექსებში ლ. სულაბერიძე როდი მსყელობს აბსტრაქტულად; პირაქით, იგი საუბრობს სახეებით, ლაღად, ძალადუტანებლად და ამით თავს აღწევს ერთფეროვნებას. ლადო სულაბერიძე არ მისდევს თვითმიზნურ ძიებას და სიბაღეს, რომელიც არაფერს ეუბნება მკითხველს. ყოველი მისი ლექსი განათებულია საინტერესო იდეური ჩანაფიქრით, გამდიდრებულია ცოცხალი სიუჟეტური დეტალებით; და ეს თვისება კიდევ უფრო ემოციურსა და შეშეცენებითად ღირებულს ხდის მის ლექსებს.

„პატალიონი“, „პაბტირონის ჩრდილი“, „მანევი“, „ბორენა“, „მეგონა მაშინ“ და სხვა ლექსები ლამაზ პოეტურ ქმნილებებად გვევლინებოან. მრავალწახნაგოვანი თემატიკური ნიუანსები და დეტალები მათში აყვანილია მხატვრული განზოგადების დონემდე. პარამონიულად ვითარდება პოეტის იდეური მრწამსი მომღვერო ლექსებშიც. „ეყავს ყვავილები“,

„აღზეყენს ავა შირილზე ხარი“, „ბული მამინა“, „ფუნჯი“ სახელოვან თანამემამულეთა სულიერ ცხოვრებაზე მოგვიტობრობენ. სტრიქონი კლოტირებულია ლექსით: „ფუნჯი“. ლექსში წარმოვიდგება მხატვარ დავით კვაბაძის სახე და შემოქმედება. მიგნებულადაა ნათქვამი:

კომეზე შემდგარა მხატვრის გენია
და ზატავს შთელი მამულის სიბოზს.

ლექსში „მეგონა მაშინ“ ავტორი გვესაუბრება სიკაბუციის წლებში განცილდ, გაწბილებულ გრძნობაზე და გვაიმედებს, რომ ასეთი რამ მოსალოდნელია, კიდევ მეტი: შინაგანი ავცილებლობის ემპირიული გამოვლენა.

შენ შემეფეთე ჭანყიან ქარში...
და აღარ გეძებ, აწ აღარ გეძებ.
მე კი მეგონა, ძვირფასო, მაშინ
რომ უშენობას ქვეყნად ვერ შეეძლებ.

აქტუალურ თემაზეა დაწერილი „შვილის მეგობრებს“, „ჩადრი“, „გზა“ და ა. შ. პირველ მოზრდილ ლექსში პოეტი ლაპარაკობს ახალი თაობის შესახებ, ამყავს იმით, რომ ეს არის დიდი მომავლის თაობა, რომელიც მას „უკრთობს უკრთობის სიღუბტებს“ და „უერთდება მისი ოჯახის შთით ვიდმობხეთქილ ანკარა ლელს“...

თქვენ შეუმჩნევლად გააღეთ კარი,
არ მახსოვს, ასე როდი მომაცხრით,
შემომგზებება მე თქვენი ქარი
და ქადარაზე ნისლს შემომაცილის.

„გზა“ განცილილია, როგორც უსასრულობა, რადგან „ეს გზა ვადის სასაფლაოზე და იმას იქით კიდევ გრძელდება“. ეს არის ახლის ძიებისა და დიდების, გმირთა უკუდავებისა და მარადიულობისაყენ მიმავალი გზა.

ორიგინალური ჩანაფიქრით ხასიათდება პოემა „სევანთან“, უფრო სწორად, ეს არის პოემის მოტივები. არა ერთი მოტივი, არამედ მოტივთა შთელი კომპლექსი უდევს საფუძვლად მის სიუჟეტურ ქარგას.

ეს არის ძველის ნგრევისა და ახლის შენების, „სიყვარულისა და ქმობის მარლის“, ერთად ბრძოლისა და ქვეყნის აღმშენებლობის მძლავრი პათოსი, სწორედ ეს, რაც ამ სტრიქონებშია უკუფენილი:

გუნდუნებს გრძელი მაგისტრალები,
სევანზე ძმობის ხიდი გრიალებს,
ამ გუნებზე არის ნაკრისტალები
ჩვენი ცხოვრება და მატანე.

ქართულთა და სომეხთა ძმობა შოთღუღ წარსულშია ფესვადგმული. „ქირსა შიგან“ ერთად ყოფნისა და ბრძოლის მისწრაფება ამ ორ ერს ოდითგანვე მოსდგამს. ეს პოემის ერთ-ერთი მოტივთაგანია და პოეტური საღებავებითა გახსნილი:

მე მახსოვს შენი პურის ნატეხი,
შენ არ გყოფნიდა, მე გამიყავი,
მე შენი გულის სითბოს ნატეხი
მომეცა, როცა თოვლში ვიყავი.
შემომახტერე შენი ფარაჯა,
როცა გამჭოლი თქვენი შესხმოდა,
დაპრილი ვიყავი, მეუღლე დარაჯად
და მერე მესხი ისევე მესხობდა...

ხოლო ძმური დახმარების ხელს უწყობდნენ ქართველები სომეხთს ავბედობის ქაშს.

შენ გახსოვს, ჩემი პურის ნატეხი
მე არ მყოფნიდა, შენ ვაგვიყავი...

ამ ეპიკურ ქმნილებაში ცოტა როდია ლამაზი პოეტური თქმები, ფრთიანი ფრაზები, ისეთი სამკაულები, რომლებიც სათქმელ აზრს სინათლესა და მკაფიობას მატებენ.

ლადო სულაბერიძეს კარგად ეხერხება ამბის გაშლა, მასში ლირიკული ელემენტების შეტანა და გამდიდრება. თუმცა ლირიზმი ყოველთვის დომინანტობს მის პოეზიაში. იგი აქ იჭრება, როგორც სტიქია და სიცოცხლეს ანი-

ჭებს პოეტური იდეას. ლექსების რიტმი და სიმღერის მოტივი როდია მძიმე და ნაკლებ მუსიკალური. ზოგიერთი ლირიკული ნაწარმოები, რომლებიც განსაკუთრებულ აზრს არ შეიცავენ, საკმაო ემოციურ ზემოქმედებას ახდენენ მკითხველის წარმოსახვაზე.

მიუხედავად ამისა, ზოგ ლექსში საგრძნობია პათეტიკური ტონი და სახის გაბუნდოვნება, ან ისეთი ვართულება, რომელიც აღუნებს ლექსის მუსიკალურ რიტმს.

მაგალითად:

მე ფეხს დაეადგამ და შეეჩერდები, —
ოთახის კარი კი გჭონდა ღია,
მაგრამ აღარ ჩანს ახლა კედლებიც
და ვხვდები ფართო პროსპექტის ღრიალს.

ჯერ ერთი, „პროსპექტის ღრიალი“ ცოტა არ იყოს მხატვრულად შეუსაბამო თქმაა, მეორეც, აქ ნაკლებად იგრძნობა პოეტური ლექსიკის სიახლე და სიუხვე. ასეთი გამოთქმები სხვა ლექსებშიც გვხვდება („გლობუსთან“, „დაკარგული წუთები“ და სხვ).

ლადო სულაბერიძე მზარდი, ინდივიდუალური ხმის პოეტიკა, იმედა, იგი კიდევ მრავალი მაღალიღებური ქმნილებით ვაახარებს მკითხველს, რომელიც ამ წიგნს გულთბილად შეხვდება.

სიმონ პრველაკა.

0 7
8260 80 333.



И Н Д Е К С
7 6 1 2 8

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„М Н А Т О Б И“

ИЗДАТЕЛЬСТВО „ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА“